პაატა იაკაშვილი

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ავტორია იდეოლოგიურ თემაზე შექმნილი ესეების კრებულისა „ეროვნული იდეა“ და ასზე მეტი სტატიისა და სამეცნიერო შრომის, ხელოვნებისა და კულტუროლოგიის საკითხებზე.

ISBN 978-9941-8-0152-5
9 789941 801525

ეროვნული სიდიადის ფილოსოფია

ეროვნული სიდიადის ფილოსოფია

ეროვნული სიდიადის ფილოსოფია

პაატა იაკაშვილი

ეროვნული სიდიადის ფილოსოფია

პაატა იაკაშვილი

პტლანტისის საიდუმლო

თბილისი
2018

ავტორი
პაატა იაკაშვილი

გამომცემლობის დირექტორი
ნინო კოზახიძე

რედაქტორი
სალომე ზვიადაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ასმათ მენთეშაშვილი

კორექტორი
ლია მინაშვილი

გამოცემის რედაქტორი
მარინე მარკოზაშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ალექსანდრე კუზანაშვილი

ავტორი მონოგრაფიაზე მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის
მადლობას უხდის ქალბატონებს:
მაია გუგულაშვილს, ნათელა შურღაიას,
ეკა წერეთელს და მანანა თეთრუაშვლს.

გამომცემლობა
„მირაჟი“

© პაატა იაკაშვილი. ყველა საავტორო უფლება დაცულია.
ISBN 978-9941-8-0152-5

შესავალი

„მე არაფერი ვიცი და არც არაფერს
ვასწავლი, გარდა სულ უბრალო რამისა –
დასვა კითხვები და მათ პასუხი გასცე“.
პლატონი

ბერძენი ფილოსოფოსის ეს ფრაზა გამოდგება პრინციპად, რომლითაც სასურველია, ვიხელმძღვანელოთ იმ საიდუმლოსთვის საბურველის ახდის კიდევ ერთი მცდელობისთვის, რასაც ატლანტისი ჰქვია.

პლატონმა დიალოგებში „ტიმეოსი“ და „კრიტია“ მოგვითხრო ატლანტისის თაობაზე, ამასთან, ისე დაწვრილებით, რომ ერთი შეხედვით საიდუმლო იქ არაფერია, მაგრამ თუ დავუკვირდებით, დავინახავთ: დიდი მოაზროვნის მონათხრობი უფრო მეტ კითხვას აჩენს, ვიდრე მათზე პასუხებს იძლევა... თავად განსაჯეთ: ის ლაპარაკობს უძველესი კულტურის არსებობისა და დაღუპვის შესახებ. მკითხველს აოცებს ამ კულტურის სიდიადეც და ასაკიც – დღეიდან თუ ვიანგარიშებთ, ატლანტისი ოკეანეში დანთქმულა 11500 წლის წინ; ეს თარიღი არღვევს კაცობრიობის განვითარების შესახებ არსებულ ყველა წარმოდგენას და, ბუნებრივია, იძლევა ატლანტისის ამბის მრავალგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას. უდავოდ, ეს არის მიზეზი იმისა, რომ დიალოგების შეთხზვიდან განვლილი 24 საუკუნის განმავლობაში ატლანტისის თაობაზე ბევრი დაიწერა; ტ. გატეფოსესა და კ. რუს ბიბლიოგრაფიაში მითითებულია, რომ 1920 წლისათვის 1700 ნაშრომი არსებობდა, სადღეისოდ კი 6000-ზე მეტი უნდა იყოს და, თუ ამ თემისადმი გამოვლენილ ინტერესს გავითვალისწინებთ, ეს რაოდენობა კიდევ გაიზრდება. მე ამ ინტერესმა შემიპყრო 1972 წელს, როცა პირველად გავეცანი ნაშრომებს ატლანტისზე. ატლანტოლოგთა მიერ ბასკების, ეტრუსკებისა და პელასგების მიკუთვნებამ ატლანტიკურ რასასთან მაფიქრებინა ატლანტისის კავშირი პროტოქართველურ ტომებთან; მთელი ამ დროის განმავლობაში ვაგროვებდი მასალებს ჩემი ჰიპოთეზის დასამტკიცებლად, რისი საშუალებაც მომცა ქართველ მეცნიერთა ბოლო დროის აღმოჩენებმა.

ასე, რომ, ეს წიგნიც ამავე ინტერესის შედეგია...

თავი I

რას წერს პლატონი ატლანტისის შესახებ

ატლანტისის თაობაზე ცნობას, როგორც უკვე მოგახენეთ, ვპოულობთ პლატონის ორ დიალოგში „ტიმეოსი“ და „კრიტია“.

პლატონი ათენის მოქალაქე იყო. მისი მშობლები, მამა, არისტონი და დედა, პერიქტიონე, ათენის უკანასკნელი მეფის, კოდროსის საგვარეულოს ეკუთვნოდნენ და ამ გზით სოლონს ენათესავებოდნენ.

პლატონი დაიბადა ძველი წელთაღრიცხვის 427 წელს. მას ბედად ხვდა, ყოფილიყო სოკრატეს მოწაფე და არისტოტელეს მასწავლებელი.

იგი ადრე დაინტერესდა ფილოსოფიით; პოეზიასაც დიდ დროს უთმობდა, მაგრამ ძველი წელთაღრიცხვის 407 წელს სოკრატესთან დაახლოებამ ფილოსოფიის სასარგებლოდ გააკეთებინა არჩევანი. მათი ურთიერთობა რვა წელი გაგრძელდა, ეს პერიოდი მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ პლატონისათვის, რომლის ცხოვრება შეიცვალა, არამედ ათენის პოლიტიკური მდგომარეობისთვისაც. ძვ.წ. 431-404 წლებში დამთავრდა ათენსა და სპარტას შორის მიმდინარე პელოპონესის ომი. სპარტელთა თითქმის ერთწლიანმა ალყამ ათენი აიძულა, ზავს დათანხმებოდა. ამის შედეგად ათენში დაემხო დემოკრატთა ხელისუფლება და დამყარდა ოლიგარქთა მმართველობა, ე.წ. „ოცდაათთა ტირანია“, რომლის მეთაურიც იყო პლატონის ნათესავი კრიტია, მისი დიალოგების პერსონაჟი, ვისი სახელიც ერთ დიალოგს უწოდა კიდეც. ძვ.წ. 403 წელს სამოქალაქო ომში მუნიქიასთან გამართულ ბრძოლაში კრიტია დაიღუპა. გაიმარჯვეს დემოკრატებმა, რომელთაც თრასიბულე მეთაურობდა, ათენში დემოკრატია აღდგა. ამ პოლიტიკურ დაპირისპირებას ემსხვერპლა პლატონის მასწავლებელი სოკრატე. ძვ.წ. 399 წელს მას ბრალად დასდეს, „რომ ის არ ცნობს იმ ღმერთებს, რომლებსაც ცნობს სახელმწიფო, და აღიარებს რაღაც ახალ დემონებს. დამნაშავეა ის იმაშიც, რომ რყვნის ახალგაზრდა ყმაწვილებს და ამისათვის ღირსია სიკვდილით დაისაჯოს“. საბედისწერო ბრალდების საფუძველი რელიგია და ზნეობა არ ყოფილა, როგორც ჩანს, პოლიტიკა იყო. ამ ამბების შემდეგ პლატონმა ათენი დატოვა და მთელი 12 წელი მოგზაურობდა, იყო ეგვიპტეში, სამხრეთ იტალიასა და სიცილიაში. იქ, რაღაც მიზეზით, პლატონს განურისხდა სირაკუზის ტირანი დიონისე და მონად გაყიდა... პლატონი წაიყვანეს კუნძულ ეგინაზე, სადაც ის კარიელმა ანიკერიდომ 30 მნად იყიდა... მეგობრებმა გამოსასყიდი ფული შეაგროვეს, მაგრამ ანიკერიდომ პლატონი უსასყიდლოდ გაანთავისუფლა. ძველი წელთაღრიცხვის 387 წელს ათენს დაბრუნებულმა პლატონმა გამოსასყიდი ფულით ჭადართა ჭალაში ბერძენი გმირის აკადემოსის პატივსაცემად მიწის ნაკვეთი შეიძინა, ჭალას აკადემია ეწოდებოდა. აქ დააარსა პლატონმა თავისი ფილოსოფიური სკოლა. ძვ.წ. 367 წელს, სირაკუზის ტირანის, დიონისეს სიკვდილის შემდეგ, ის კვლავ ჩავიდა სიცილიაში დიონისე უმცროსთან. სავარაუდოა, მას იმედი ჰქონდა, ახალგაზრდა ტირანის დახმარებით მოეხდინა თავისი სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებების პრაქტიკული რეალიზება, მაგრამ ხელი მოეცარა. ამბობენ, ძვ.წ. 360 წელს იმავე მიზნით კვლავ გაემგზავრა სირაკუზაში და კვლავ უშედეგოდო. პლატონი ძვ.წ. 347 წელს გარდაიცვალა.

პლატონმა დატოვა დიდი და მრავალფეროვანი ფილოსოფიური მემკვიდრეობა: „სოკრატეს აპოლოგია“, „კრიტონი“, „ევტიფრონი“, „ლაქეტი“, „ლისია“, „ქარმიდი“, „პროტაგორა“, „გორგია“, „მენონი“, „ევთიმედი“, „მენექსენი“, „ფედონი“, „ნადიმი“, „კრატელი“, „ჰიპიას მცირე“, „ჰიპიას დიდი“, „იონი“, „სახელმწიფო“, „თეეტეტი“, „პარმენიდე“, „სოფისტი“, „პოლიტიკოსი“, „კანონები“, „ტიმეოსი“ და „კრიტია“.

მისი დიალოგები მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორიცაა მოძღვრებანი ცოდნის, სულის, იდეების, სათნოების, კოსმოლოგიის, ხელოვნებისა და სახელმწიფოს შესახებ. რიგით უკანასკნელს მიეკუთვნება ჩვენთვის საინტერესო ორი დიალოგი: „ტიმეოსი“ და „კრიტია“. გავეცნოთ ატლანტისზე ცნობების შემცველ ამ წყაროებს.

დავიწყოთ „ტიმეოსით“. ეს დიალოგი პლატონს ძვ.წ. IV საუკუნის 60-50 წლებში შეუქმნია. დიალოგი, უფრო სწორად კი მისი მეორე ნაწილი, წარმოადგენს კოსმოლოგიური ხასიათის მოძღვრებას, ყველაზე რთული ხასიათის ნაშრომს პლატონის შემოქმედებაში. რაც შეეხება „ტიმეოსის“ პირველ ნაწილს, მასში იდეალურ სახელმწიფოზე საუბრობენ; გამოდის, რომ ეს არის პლატონის დიალოგ „სახელმწიფოში“ მიმდინარე მსჯელობის გაგრძელება. წინა დღით სოკრატე საუბრობდა იდეალურ სახელმწიფოში საზოგადოების სოციალურ წოდებებად დაყოფაზე, „ტიმეოსშიც“ ნახსენებია ეს თემა.

დიალოგს ოთხი მონაწილე ჰყავს:

სოკრატე (ძვ.წ. 469-399 წ.წ.) – დიდი ბერძენი ფილოსოფოსი, პლატონის მასწავლებელი და მისი ბევრი დიალოგის მთავარი მოქმედი პირი; გვევლინება პლატონის მეორე „მედ“ ამ დიალოგში;

ტიმეოსი (დაიბადა ძვ.წ. 490 წელს), სამხრეთ იტალიის ბერძნული კოლონიის ქალაქ ლოკრიბეს მკვიდრი, ასტრონომი, მათემატიკოსი, ფილოსოფოს-პითაგორისტი და პოლიტიკოსი. მას მიეწერება ტრაქტატები: „სამყაროს სულისათვის“ და „ბუნებისათვის“. მასაც პლატონის მასწავლებლად მიიჩნევენ. მისი სახელი ეწოდება ჩვენთვის საინტერესო პირველ დიალოგს;

ჰერმოკრატე (ბრძოლაში მოკლეს ძვ.წ. 408 წელს) – სირაკუზელი პოლიტიკოსი და მხედართმთავარი, სირაკუზის ტირანის, დიონისე უფროსის სიმამრი. პელოპონესის ომის დროს სირაკუზელთა მეთაური იყო და სპარტის მხარეზე იბრძოდა. ძვ.წ. 410 წელს, პოლიტიკური ინტრიგების წყალობით გააძევეს სირაკუზიდან. ორი წლის შემდეგ სამხედრო რაზმის დახმარებით სცადა ქალაქში დაბრუნება, მაგრამ ბრძოლაში დაიღუპა.

კრიტია (დაიღუპა ბრძოლაში ძვ.წ. 403 წელს) – პლატონის დედის ბიძაშვილი, სოკრატესა და სოფისტ ლეონტინელის მოწაფე; პოეტი, რიტორი და პოლიტიკოსი, „ოცდაათთა ტირანიის“ მეთაური. პლატონის დიალოგების პერსონაჟი, მისი სახელი ეწოდება ჩვენთვის საინტერესო მეორე დიალოგს.

მკვლევართა აზრით, „ტიმეოსში“ მოქმედება ვითარდება ძვ.წ. 421 წელს, ე.წ. „ნიკიას ზავის“ დროს, როცა პელოპონესის ომი დროებით შეწყდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მტრის ბანაკის წარმომადგენლები, ტიმეოსი, უფრო კი ჰერმოკრატე, სამხრეთ იტალიიდან ვერ ჩამოვიდოდნენ. ზავმა მათ ამის საშუალება მისცა. შეხვედრა შედგა კრიტიას სახლში.

დიალოგის პირველ ნაწილში აქტიურობენ სოკრატე და ტიმეოსი, ჰერმოკრატე თითქმის სულ დუმს. სამაგიეროდ, ყველაზე ბევრს და, ამასთან, მეტად მნიშვნელოვანს, კრიტია ამბობს: „კრიტია: მაშ, მოისმინე, სოკრატე, ეს ყოვლად უცნაური, მაგრამ უეჭველად მართალი თქმულება, როგორც თქვა ერთხელ სოლონმა, ყველაზე ბრძენმა შვიდ ბრძენ კაცს შორის. ის ჩვენი დიდი პაპის – დროპიდეს ნათესავიც იყო და უახლოესი მეგობარიც (დროპიდე უფროსი კრიტიას მამა გახლდათ. მას, თავის მხრივ, ჰყავდა ორი

ვაჟი – კალესხრე და გლავკონი. კალესხრეს შვილი იყო უმცროსი კრიტია, ამ დიალოგის მონაწილე. პ.ი.), რასაც თვითონვე არაერთგზის აღნიშნავს თავის ლექსებში (სოლონის პოეტური ქმნილებების – ელეგიების შესახებ ცნობებს გვაწვდის არისტოტელე თავის „რიტორიკაში“. პ.ი.); მან უამბო პაპაჩემ კრიტიას, ბერიკაცი კი შვილიშვილებს გვიმეორებდა, რა დიადი და განსაცვიფრებელი საქმეებით გაუთქვამს ოდესღაც სახელი ჩვენს ქალაქს, – საქმეებით, რომლებიც შემდეგ დავიწყებას მისცემიან ჟამთა სიავისა და კაცთა სიკვდილის გამო. ამ საქმეთაგან უდიდესია ის, რისი გახსენებაც ამჟამად გვმართებს, რათა შენც გაგიმასპინძლდეთ და ამ საღმრთო დღესასწაულზე ღირსეული და მართალი სახოტბო ჰიმნით სათანადო პატივი მივაგოთ ქალღმერთსაც (იგულისხმება ქალღმერთ ათენასადმი მიძღვნილი დღესასწაული „პლინტერიები“. ის იმართებოდა თარგვლიონის (მაის-ივნისის) თვეში და ტაძრიდან გამოტანილი ათენას ძველი ხის ქანდაკების ზღვაში განბანვის საკრალურ რიტუალს წარმოადგენდა. პ.ი.).

სოკრატე: – კეთილი და პატიოსანი; მაგრამ ეს რა საქმეა, არა მონაჭორი, არამედ უხსოვარ დროში მართლაც ჩადენილი ჩვენი ქალაქის მიერ, რაც სოლონის გადმოცემით მოუსმენია კრიტიას?

კრიტია: – მოგახსენებ ამ ძველისძველ ამბავს, ბერიკაცისგან ნაამბობს. იმხანად კრიტია, როგორც თვითონვე ამტკიცებდა, თითქმის ოთხმოცდაათი წლისა იყო, მე კი, ჰა და ჰა, ათისა თუ ვიქნებოდი. ეს მოხდა აპატურიის დღესაწაულზე, კერძოდ, კურეოტისის დღეს (ატიკურ-იონიური დღესასწაული, რომელიც პიანეპსიონის თვის (ოქტომბერ-ნოემბერში) 27-29 რიცხვებში იმართებოდა და რომლის დროსაც მოქალაქეები საკუთარი ფრატრიის („ძმობის“) წევრთა სიაში („ფრატრიკონ გრამატეიონ“) წერდნენ თავიანთ შვილებს. პ.ი.) ჩვენმა მამებმა, ადათისამებრ, ამჯერადაც ჯილდოები შემოგვთავაზეს ყმაწვილებს ლექსის კითხვაში. წაკითხულ იქნა უამრავი პოეტის ურიცხვი ლექსი. ბევრი ყმაწვილი კითხულობდა სოლონის ლექსებსაც, რომლებიც მაშინ ჯერ კიდევ ახალი ხილი იყო და აი, საძმოს ერთ-ერთმა წევრმა, არ ვიცი, გულწრფელად თუ, იქნებ, იმ მიზნითაც, რომ კრიტიასთვის ეამებინა, თქვა: სოლონი არა მარტო ყველა სხვა მხრივ ბრძენთა-ბრძენად მიმაჩნია, არამედ თავისი ლექსებითაც უკეთილშობილესი მგონია პოეტებს შორისო. ბერიკაცს – დღევანდელი დღესავით მახსოვს – ძალიან გაუხარდა და ღიმილით მიუგო: „ეჰ, ჩემო ამინანდრე, პოეზიისათვის სასხვათაშორისოდ კი არა, სხვა პოეტებივით საგულდაგულოდ რომ მიეყო ხელი და ბოლომდე მიეყვანა ეგვიპტიდან თავისი ჩამოტანილი თქმულება, რომელსაც იძულებით მიანება თავი იმ არეულობისა და ათასი სხვა უბედურების გამო, რაც სამშობლოში დაბრუნებულს დახვდა, მაშინ, ვფიქრობ, ვერც ჰესიოდეს, ვერც ჰომეროსისა და ვერც რომელიმე სხვა პოეტის დიდება ვერ დაჩრდილავდა მისას“. „კი, მაგრამ, ასეთი მაინც რა თქმულება იყო, კრიტია?“ – ჰკითხა მან. „ის ეხებოდა უდიდეს გმირობას, რომელიც ოდესმე გამოუჩენია ჩვენს ქალაქს, – მიუგო კრიტიამ, – და უთუოდ ყველაზე ღირსსახსოვარიც იქნებოდა, დროსა და ამ გმირობის ჩამდენთა დაღუპვას რომ არ წაეშალა მისი ხსოვნა“. „მოდი, თავიდან მიამბე, – სთხოვა ამინანდრემ, – რა მოხდა, როგორ მოხდა, ანდა ვისგან მოისმინა სოლონმა ის, რის სიმართლეშიაც ეჭვი არ ეპარებოდა?“[1]

ასე იწყება დიალოგის ის ნაწილი, ატლანტისს რომ შეეხება და ამ დასაწყისსაც სჭირდება კომენტარი: სოლონი (ძვ.წ. 640-560 წ.წ.) „შვიდ ბრძენთაგან“ ერთ-ერთი (დანარჩენები არიან: თალესი, ქილონი, პიტაკე, ბიანტი, კლეობულე, პერიანდრე), ათენელი, სამეფო

1 იხ.: პლატონი, „ტიმეოსი“, გამომცემლობა „ირმისი“, 1994 წ., გვ. 281-282.

გვარის წევრი (უკანასკნელ მეფეს, კოდროსს ენათესავებოდა), პოეტი, მხედართმათავარი (მისი სარდლობით ათენმა მეგარას წაართვა კუნძული სალამინი), რეფორმატორი, ძვ.წ. 594 წელს აირჩიეს არქონტად და ესიმნეტად. ამან საშუალება მისცა, საკანონმდებლო ცვლილებები გაეტარებინა: მან განახორციელა სიისქეა – „ტვირთის მოხსნა“, ანუ ამოყარა სავალო ქვები მოვალეთა მიწის ნაკვეთებიდან და გააუქმა სავალო კაბალა; აკრძალა ვალში ბერძენის მიერ ბერძენის გაყიდვა; გვაროვნული ცენზი შეცვალა ქონებრივი ცენზით („ტიმოკრატია“), – ათენის მოქალაქენი ქონების მიხედვით დაიყვნენ ოთხ კლასად: პენტაკოსიომედიმნები (ხუთასსაწყაოიანები), ტრიაკოსიომედიმნები (სამასსაწყაოიანები), ზევგიტები და თეტები. ქონების განმსაზღვრელი იყო მედიმნი (ერთი მედიმნი 30 კილოგრამ ნატურით შემოსავალს შეესაბამებოდა); მოახდინა მონეტისა და ზომა-წონის უნიფიკაცია; გააძლიერა სახალხო კრება, არ შეუზღუდავს არეოპაგის (უხუცესთა საბჭოს) უფლებები, შექმნა ახალი ორგანო – ბულე (ოთხასთა საბჭო) და პელიეა (მსაჯულთა სასამართლო); პოლიტიკურ ბრძოლაში გულგრილობისათვის დააწესა ატიმია (მოქალაქეობის ჩამორთმევა); მისი კანონებით მშობლები ვალდებულნი იყვნენ, შვილებისათვის ხელობა ესწავლებინათ; საკანონმდებლო დონეზე იბრძოდა ზნეობის დასაცავად.

როგორც ცნობილია, სოლონის მიერ დამკვიდრებულ კანონებს ათენის მოსახლეობა ადვილად ვერ შეეგუა; ბევრი სთხოვდა განმარტებას სოლონს. ამ უკანასკნელს თავის კანონებში არაფრის შეცვლა არ სურდა, ამიტომ ათი წლით დატოვა ათენი და სამოგზაუროდ წავიდა. ამის თაობაზე პლუტარქე წერს: „პირველად სოლონი ეგვიპტეში ჩავიდა და, როგორც თვითონ ამბობს, ცხოვრობდა ნილოსის უბესთან, სადაც კანობისის ნაპირი არის. აქ იგი რამდენსამე ხანს ფილოსოფიაში მეცადინეობდა იქაურ უბრძნეს ქურუმებთან – ჰელიოპოლისელ ფსენოფისთან და საისელ სონქისთან. ამათგან სოლონმა, როგორც პლატონი გადმოგვცემს, მოისმინა თქმულება ატლანტისზე და შეეცადა, ეს თქმულება პოემად შეეთხზა და ელინებისთვის მიეწოდებინა“[1].

მართალია, თავიდან სოლონს ატლანტისის თაობაზე ორივე ქურუმი ელაპარაკა, მაგრამ, როგორც დიალოგებიდან ჩანს, ძირითადი ინფორმაციის მიმწოდებელი უნდა ყოფილიყო საისელი ქურუმი, სახელად სონქი, ამიტომ შემდგომი თხრობისას მას მოვიხსენიებთ.

ამრიგად, სოლონმა ეგვიპტეში მოსმენილი ამბავი ათენში ჩამოიტანა და, ბუნებრივია, თავის ნათესავებსაც გააცნობდა. სოლონს ჰყავდა ძმა დროპიდე, ამისი შვილი იყო კრიტია (უფროსი კრიტია), რომლის პირველი შვილის, კალესხრეს შვილიც გახლდათ უმცროსი კრიტია, – ამ დიალოგის პერსონაჟი, რომელსაც პაპამ უამბო სოლონის მიერ ეგვიპტეში გაგონილი. ის ამ ამბავს დიალოგში მოგვითხრობს: „არის ეგვიპტეში, – დაიწყო კრიტიამ, – დელტის წვეროსთან, იქ, სადაც ნილოსის დინება მრავალ ნაკადად იტოტება, ერთი ნომოსი (ოლქი. პ.ი.), საისად სახელდებული, რომლის მთავარი ქალაქიც გახლავთ საისი (ქვემო ეგვიპტის ძველი დედაქალაქი. პ.ი.). სხვათა შორის, სწორედ იქაური მეფე იყო ამასისი. საისის მფარველი ღვთაებაა მავანი ქალღმერთი, რომელსაც ეგვიპტურად ნეითი („საშინელი“, ეგვიპტელთა უზენაესი ქალღმერთი, ღმერთების დედა; ბერძნები ნეითს ათენასთან აიგივებდნენ. პ.ი.), ელინურად კი, როგორც იქაურები ამტკიცებენ, ათენა ჰქვია. საისელები ძალზე კეთილმოსურნედ არიან განწყობილნი ათენელთა მიმართ და

1 იხ.: პლუტარქე, „რჩეული ბიოგრაფიები“, „სოლონი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1975 წ., გვ. 166

<u>მათ თავიანთ ნათესავებადაც თვლიან</u> (ხაზგასმა ჩემია, პ.ი.). სოლონი ყვებოდა, საისს რომ ჩავედი, იქაურებმა დიდი პატივით მიმიღესო, ხოლო როდესაც გარდასულ დღეთა ამბების გამოკითხვა დავუწყე ყველაზე მცოდნე ქურუმებს, დავრწმუნდი, რომ არც მე და, საერთოდ, არც ერთ ელინს, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ამ საქმისა არა გაგვეგება რაო. ერთხელაც სოლონს განუზრახავს ძველ თქმულებებზე ჩამოეგდო სიტყვა და უცდია, მათთვის მოეთხრო ის მითები, რომლებიც უძველესადაა მიჩნეული ამ ჩვენს ქალაქში, კერძოდ, მითი ფრონევსზე (არგოსის მეფე, ინაქესა და ნიმფა მელიას ძე; მითის მიხედვით, მან დანერგა არგოსში ჰერას კულტი. პ.ი.), რომელსაც პირველ ადამიანად ვთვლით, ნიობესა (ზოგიერთი მითი მას ინაქეს მეუღლედ ანუ ფრონევსის დედად მიიჩნევს. პ.ი.) და იმაზე, თუ როგორ გადაურჩნენ წარღვნას დევკალიონი და პირა (დევკალიონი, პრომეთესა და კლიმენეს ძე, წარღვნას გადარჩენილი კაცობრიობის მამაა, მისი ცოლი პირა კი – დედა. პ.ი.), თანაც, მოუწადინებია გამოეყვანა მათ შთამომავალთა მეგვარტომობის ნუსხა და გარდასულ თაობათა რიცხვის მიხედვით გამოეანგარიშებინა მათ შემდგომ განვლილი დრო. მაშინ ერთ მხცოვან ქურუმს (მისი სახელი, როგორც პლუტარქე წერს, არის სონქი. პ.ი.) წამოუძახია: „ო, სოლონ, სოლონ, თქვენ, ბერძნები, მარადიული ბავშვები ხართ და არ არის მოხუცი ბერძენთა შორის!“ „რად ბრძანებთ მაგას?“ – უკითხავს სოლონს. „თქვენ ყველანი ყრმები ხართ სულით, – უპასუხებია ქურუმს, – ვინაიდან არც ერთის სული არ იმარხავს ოდითგანვე მომდინარე ძველისძველ გადმოცემებს და არც დროით გაჭაღარავებულ რაიმე სწავლას. ხოლო ამის მიზეზი შემდეგი გახლავს: ვინ მოთვლის, რამდენჯერ დაღუპულა კაცთა მოდგმა და კიდევ რამდენჯერ და რამდენნაირად დაიღუპება იგი. ადამიანებს მუსრს ავლებდა ცეცხლი და წყალი, შედარებით უფრო ნაკლებ – ათასი სხვა უბედურება. სწორედ აქედან იღებს დასაბამს თქვენი თქმულება ფაეტონზე, ჰელიოსის ძეზე, რომელიც ერთხელ ვითომ მამამისის ეტლში ჩამჯდარა, მაგრამ ვერ მოუხერხებია, ჰელიოსის გზით წარემართა იგი, ამიტომაც გადაუბუგავს ყველაფერი დედამიწაზე და, ელვით დაფერფლილი, თვითონაც დაღუპულა (ფაეტონი – ჰელიოსისა და კლიმენეს ვაჟი. მამის ეტლის მართვა ვერ შეძლო, გამოიწვია საშინელი ხანძარი, ამის გამო ზევსმა ელვით განგმირა იგი. პ.ი.). ეს თქმულება მითს მოგვაგონებს, მაგრამ ის სიმართლესაც შეიცავს: მართლაცდა, ცის თაღზე დედამიწის ირგვლივ მბრუნავი სხეულები ზოგჯერ თავიანთი ჩვეული გზიდან გადაიხრებიან, ასე რომ, დროის ხანგრძლივ შუალედებს შორის დედამიწაზე ყველაფერი აბობოქრებულ ხანძარში ინთქმება და იღუპება. ამ დროს მთების, ზეგნებისა თუ უწყლო ადგილების მკვიდრნი გაცილებით უფრო მეტნი იხოცებიან, ვიდრე ზღვისა თუ მდინარეთა ნაპირებზე მობინადრენი. ასე რომ, ნილოსი, ჩვენი მუდივი მფარველი და მწყალობელი, ამ უბედურებისგან გვიფარავს, ნაპირებიდან გადმოვარდნილი. ხოლო როდესაც ღმერთები, დედამიწის განწმენდის მიზნით, წარღვნას მოუვლენენ მას, თავის გადარჩენის იმედი შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ მწყემსებსა და მეჯოგეებს, მთის კალთებზე რომ აძოვებენ ნახირს, მაშინ, როდესაც ღვარცოფს ზღვაში ჩააქვს თქვენი ქალაქების მკვიდრნი. ჩვენს ქვეყანაში კი, არც ამ დროს და არც სხვა შემთხვევაში, წყალი არასოდეს ზემოდან არ ატყდება თავზე ველ-მინდვრებს, არამედ, თავისი ბუნებისამებრ, ქვემოდან მოიწევს მაღლა. აი, რატომაა, რომ ჩვენში შემონახული თქმულებები გაცილებით უფრო ძველია. ყველა ქვეყანაში, სადაც არც მეტისმეტი სიცხე იცის და არც სიცივე, კაცთა მოდგმა ოდითგან არსებობს, რიცხვმრავლობით ზოგან მეტი, ზოგან ნაკლები. რა უნდა მოხდეს დიადი, შესანიშნავი ან ღირსახსოვარი, რომ ჩვენ არ აღვნუსხოთ და არ ჩავიწეროთ? ხოლო ამ ჩანაწერებს,

უძველესი დროიდან მოყოლებული, ჩვენ ტაძრებში ვიცავთ და ვინახავთ. როგორღაა საქმე თქვენში და დანარჩენ ხალხებშიც? როგორც კი მოახერხებთ დამწერლობისა თუ ყოველივე დანარჩენის გამოგონებას, რაც საჭიროა სახელმწიფოს ცხოვრებისათვის, ციდან კვლავ და კვლავ, დროის გარკვეულ შუალედებში, სახადივით მოსკდება წარღვნა და ცარიელ-ტარიელთ, უვიცთა და უმეცართ გტოვებთ. ასე რომ, იძულებულნი ხართ, ყველაფერი თავიდან დაიწყოთ, თითქოს ეს-ესაა მოევლინეთ ქვეყნიერებას, და წარმოდგენაც არ გაქვთ, თუ რა მოხდა უხსოვარ დროს თქვენს ქვეყანაში და თვით თქვენშიაც. ავიღოთ, თუნდაც, თქვენი მეგვარტომობის ამბავი, ახლახან რომ გაგვანდე, სოლონ; განა რითი განსხვავდება საბავშვო ზღაპრებისგან? ჯერ ერთი, თქვენ შემოგრჩათ მხოლოდ ერთი წარღვნის ხსოვნა, მაგრამ წარღვნა მანამდეც მრავალი იყო და მერეც. ისიც კი არ იცით, კაცთა რა დიდებული და კეთილშობილური მოდგმა ცხოვრობდა ოდესღაც თქვენს ქვეყანაში. შენცა და მთელი შენი აწინდელი ქალაქიც დასაბამს იღებთ იმ თესლისაგან, რაც ამ მოდგმისგან გადარჩა, მაგრამ თქვენ წარმოდგენაც არა გაქვთ ამაზე, ვინაიდან გადარჩენილთა არა ერთი და ორი თაობა ისე გადაეგო, რომ მუნჯივით უტყვს არავითარი წერილობითი მოწმობა არ დაუტოვებია. თუმცაღა ყველაზე საშინელი და დამანგრეველი წარღვნის წინ ის სახელმწიფო, რომელიც დღეს ათენის სახელითაა ცნობილი, საომარ საქმეშიც პირველი იყო და კანონების სრულყოფილებითაც ბადალი არ მოეძებნებოდა, სოლონ; გადმოცემა იმნაირ დამსახურებასა და დადგენილებებს მიაწერს მას, რომელთა დიდებულებასაც ვერაფერი შეედრება, რაც კი საერთოდ გაგვიგია ამ ცისქვეშეთში“.

ეს რომ მოვისმინე, – ყვებოდა თურმე სოლონი, – გაოგნებული დავრჩი და გულმხურვალედ შევევედრე ქურუმებს, ათენის ამ ძველი მოქალაქეების ამბავი დაწვრილებით და დალაგებით მოეთხროთ ჩემთვის.

ქურუმს უთქვამს: „არ დაგზარდები, ყველაფერს გიამბობ, სოლონ, შენი პატივისცემისა და თქვენი ქალაქის, უწინარეს ყოვლისა კი – იმ ქალღმერთის (იგულისხმება ათენა, იგივე ნეითი. პ.ი.) გულისთვის, რომელსაც წილად ხვდა და რომელმაც აღზარდა და გაანათლა როგორც შენი, ისე ეს ჩვენი ქალაქიც; მაგრამ გეასა და ჰეფესტოსაგან რომ მიიღო თქვენი თესლი (იგულისხმებიან ძველი ატიკელები, რომელთა მეფე ერეხთონიოსი ჩაისახა ჰეფესტოს თესლისაგან, რომელიც მაშინ დაეცა გეას (დედამიწას), როცა ჰეფესტო უშედეგოდ ცდილობდა ათენას დაუფლებას. პ.ი.). მან ჩვენს ქალაქზე მთელი ათასწლეულით უფრო ადრე დააარსა თქვენი ათენი. ხოლო ჩვენი სამოქალაქო ცხოვრების სიძველე, წმინდა წერილის თანახმად, რვა ათასი წლით განისაზღვრება. ასე რომ, ეგ შენი წინაპრები, რომელთა დიდებული კანონებისა და დიადი ღვაწლის შესახებ მოკლედ უნდა მოგითხრო ახლა, ცხრა ათასი წლის წინათ ცხოვრობდნენ. მოგვიანებით, მოცალეობის ჟამს, ჩვენ ავიღებთ წმინდა წერილს და უფრო გულდასმით და თანმიმდევრულად გამოვიძიებთ ყოველს.

<u>შენი წინაპრების კანონები შეგიძლია აქაური კანონების მიხედვით წარმოიდგინო</u> (ხაზგასმა აქ და შემდგომ ჩემია, პ.ი.): ბევრ რასმეს, რაც უწინ თქვენს ქალაქში არსებობდა, ამჯერად ჩვენში შეხვდები; უწინარეს ყოვლისა, ქურუმთა წოდებას, ყველა დანარჩენისაგან განკერძოებულს; შემდეგ ხელოსანთა წოდებას, რომლის ყოველი წევრი თავის საკუთარ ხელობას მისდევს და სხვის საქმეში არ ერევა; და ბოლოს, მეჯოგეების, მონადირეებისა და მიწის მუშაკთა წოდებას; თუმცა მეომართა წოდებაც, როგორც შენ, ალბათ, შენიშნე, განკერძოებულია დანარჩენთაგან და მის წევრებს კანონი უწესებს, არაფერზე არ იზრუნონ, გარდა ომისა. ამას დაუმატე ისიც, რომ ჩვენი მეომრები ფარე-

ბითა და შუბებით არიან აღჭურვილნი; ამნაირი აღჭურვილობა, რომელიც თვით ქალღმერთმა მოუვლინა ორივე ქალაქს, ჩვენ პირველებმა დავნერგეთ მთელ აზიაში, ისევე, როგორც თქვენ – ევროპაში. რაც შეეხება გონებრივ წვრთნას, ხომ ხედავ, რანაირ მზრუნველობას იჩენს ამ საქმის მიმართ ჩვენი კანონი, რომელიც გვიწესებს, ვიკვლევდეთ კოსმოსს და ღვთაებრივ მეცნიერებათაგან გადმოგვყავდეს ადამიანური ცოდნა, მისნობისა თუ სამედიცინო ხელოვნების ჩათვლით, რომლის დანიშნულებაცაა ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ისევე, როგორც ცოდნის ყველა სხვა დარგი, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილთ უკავშირდება.

მაგრამ მთელი ეს მწყობრი წესრიგი ქალღმერთმა კიდევ უფრო ადრე დააფუძნა თქვენს ქალაქში; დაწყებით კი იმით დაიწყო, რომ თქვენს გასაჩენად და სამშობლოდ ამოირჩია ისეთი ადგილი, სადაც, კეთილად შეზავებული ჰავის წყალობით, შესაძლებელი იქნებოდა მთელი დედამიწის ზურგზე ყველაზე გონიერ ხალხად შობილიყავით. ომისა და სიბრძნის მოყვარე ქალღმერთმა შეარჩია და საცხოვრისად დასახა სწორედ ის მხარე, რომელსაც უნდა ეშვა ხალხი, ყველაზე მეტად რომ ემგვანებოდა მას და, აი, თქვენ დამკვიდრდით იქ, დიდებულ კანონთა მფლობელნი, რომლებიც მაშინ კიდევ უფრო სრულყოფილნი იყვნენ, და ყველა ხალხზე ყოველნაირი სიქველით აღმატებულნი, როგორც შეშვენით ღმერთების ნაშიერთა და აღზრდილთ, მრავალრიცხოვანნი და დიადნი არიან. თქვენი ქალაქის საგმირო საქმენი – ისინი აქა გვაქვს ჩაწერილი და დღემდე ჩვენს აღტაცებას იწვევენ; მაგრამ მათ შორის ერთი ყველას აღემატება სიდიადითა და სიქველით. მართლაცდა, ჩვენი ჩანაწერები გვაუწყებენ, როგორ მოუღო ოდესღაც ბოლო თქვენმა ქალაქმა მრისხანე და თავგასულ სამხედრო ძალას, მთელი აზიისა და ევროპის დასაპყრობად რომ შემოიჭრა ატლანტიკის ზღვიდან. მაშინ ჯერ კიდევ შეიძლებოდა ამ ზღვის გადალახვა, რადგან ჯერ კიდევ არსებობდა კუნძული იმ სრუტის გადაღმა, თქვენს ენაზე „ჰერაკლეს სვეტებად“ რომ იწოდება (იგულისხმება ჰიბრალტარის სრუტე. პ.ი.). ეს კუნძული უფრო დიდი იყო, ვიდრე ლიბია (ასე უწოდებდნენ ძველი ბერძნები აფრიკას. პ.ი.) და აზია ერთად. მაშინდელ მოგზაურებს ადვილად შეეძლოთ ამ კუნძულიდან გადასულიყვნენ სხვა კუნძულებზე, იქიდან კი – პირდაპირ მდებარე მთელ ხმელეთზე, რომელიც მოიცავდა იმ ზღვას, მართლაც რომ იმსახურებს თავის სახელს (ხმელთაშუა ზღვა. პ.ი.), რადგან ზემოხსენებული სრუტის გადმოღმა ეს ზღვა, არსებითად, სხვა არა არის რა, თუ არა უბე, შიგ დატანებული ვიწრო გასასვლელით, და მხოლოდ მის სრუტისმიღმურ ნაწილს თუ შეიძლება ეწოდოს ზღვა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით (ატლანტის ოკეანე. პ.ი.), ისევე, როგორც სრუტისაქეთა უბის მომცველ მიწას სავსებით სამართლიანად შეგვიძლია, ხმელეთად ვთვლიდეთ (ხმელეთად ევროპა, აზია და აფრიკა იგულისხმება. პ.ი.). აი, სწორედ ამ კუნძულზე, რომელსაც ატლანტიდა ერქვა, წარმოიშვა სამეფოთა დიადი და საოცრად მძლავრი კავშირი, რომლის ძალაუფლებაც ვრცელდებოდა მთელ კუნძულზე, ბევრ სხვა კუნძულსა და ხმელეთის ნაწილზეც. გარდა ამისა, სრუტის გადმოღმა მათ დაიპყრეს ლიბია, თვით ეგვიპტემდე, და ევროპა, ვიდრე ტირენიამდე (აპენინის ნახევარკუნძულზე, შუა იტალიაში, ტირენიის ზღვის პირას მდებარე ოლქი ეტრურია. პ.ი.). და, აი, ეს შეერთებული ძალა გადმოსროლილ იქნა, რათა ერთი დარტყმით დაემონებინა ჩვენი და თქვენი ქალაქი, ისევე, როგორც სრუტის გადმოღმა მდებარე ყველა ქვეყანა. სწორედ მაშინ გამოვლინდა, სოლონ, ყველას წინაშე თქვენი ქალაქის გასაოცარი სიმამაცე და ძალმოსილება, აშკარად რომ აღემატა დანარჩენთ სულის სიმტკიცითა და საომარ საქმეში გაწაფულობით. ის თავდაპირველად

სათავეში ჩაუდგა ელინებს, მაგრამ მოკავშირეთა გამცემლობის გამო იძულებული შეიქნა, მარტოდმარტო შეგებებოდა საშინელ განსაცდელს. მიუხედავად ამისა, მაინც სძლია მომხდურს და გამარჯვების მაუწყებელი ტროპაიონიც (ძეგლი, რომელსაც მტრისათვის წართმეული საჭურველის დახვავებით ქმნიდნენ. პ.ი.) აღმართა. ისინი, ვინც ჯერ კიდევ არ დაემონებინათ დამპყრობლებს, მონობისაგან დაიხსნა, ხოლო ჰერაკლეს სვეტებს გადმოღმა მცხოვრებ ყველა ხალხს უშურველად მიანიჭა თავისუფლება; მაგრამ მოგვიანებით დაიწყო არნახული მიწისძვრები და წარღვნა; ერთი საზარელი დღე-ღამის განმავლობაში მთელი თქვენი ლაშქარი მკერდგაპობილმა მიწამ შთანთქა; ზღვის უფსკრულში დაინთქა და სამუდამოდ გაუჩინარდა ატლანტიდაც. მას აქეთ ზღვა ამ ადგილას თვით დღევანდელ დღემდე მიუდგომელია ხომალდებისთვის წყალმარჩხობისა და წარმოუდგენლად სქელი შლამის გამო, რომელიც ჩაძირულმა კუნძულმა დატოვა“[1].

„ტიმეოსი“ არის პლატონის პირველი დიალოგი, რომელშიც ის ატლანტისზე ლაპარაკობს. ამასთან, ბევრიც არის ნათქვამი და ცოტაც... ბევრი იმიტომ, რომ მანამდე უცნობ ამბებზე და უძველეს კულტურებზე ითქვა, მაგრამ არც ისე დაწვრილებით, რომ მკითხველს სრული წარმოდგენა შექმნოდა ძველი ათენის პოლისისა და ატლანტისის შესახებ, ამიტომ თავისი სიცოცხლის ბოლოს პლატონმა დაწერა „ტიმეოსის“ პირველი ნაწილის უშუალო გაგრძელება, დიალოგი „კრიტია“, რომელშიაც ასეთ ამბავს ამოვიკითხავთ: „კრიტია: უპირველეს ყოვლისა, გავიხსენოთ, რომ, გადმოცემის თანახმად, ცხრა ათასი წლის წინათ, ჰერაკლეს სვეტების (ჰიბრალტარის სრუტე. პ.ი.) იქით მცხოვრებ ხალხსა და აქეთ მხარეს მკვიდრ ყველა დანარჩენს შორის იყო ომი. აი, ამ ომის შესახებ მოგვიხდება თხრობა. გვეუწყება, რომ ეს უკანასკნელნი ჩვენი სახელმწიფოს მეთაურობით აწარმოებდნენ ომს, ხოლო პირველთა სათავეში კუნძულ ატლანტისის მეფეები იდგნენ. როგორც უკვე მოგახსენეთ, ოდესღაც ეს სიდიდით ლიბიაზე და აზიაზე აღმატებული კუნძული იყო, შემდეგ კი ჩაიძირა და დღეისათვის იქცა გაუვალ შლამად და გზას უკეტავს ზღვაოსნებს, რომლებიც ჩვენგან ცდილობენ ღია ზღვაში გასვლას და ნაოსნობას შეუძლებელს ხდის. თანდათან დაწვრილებით გიამბობთ მრავალრიცხოვან ბარბაროსთა ტომებისა და იმ ბერძენი ხალხის თაობაზე, მაშინ რომ არსებობდნენ, მაგრამ აუცილებელია, სულ თავიდან ვთქვათ ათენელთა და ამ ომში მათ მოწინააღმდეგეთა შესახებ, აღვწეროთ ორივე მხარის ძალები და სახელმწიფო წყობილება. მივაგოთ ეს პატივი პირველად ათენელებს და მოვყვეთ მათ შესახებ.

როგორც ცნობილია, დედამიწის ქვეყნები ღმერთებმა ერთმანეთს შორის კენჭისყრით, მშვიდად, უდავოდ გაინაწილეს. ხომ არასწორი იქნება წარმოვიდგინოთ, თითქოს ღმერთებმა არ იციან, რა შეეფერება თითოეულ მათგანს, ან თითქოს მათ, მიუხედავად იმისა, რომ იციან, რომელიღაც საგანი სხვას უნდა ეკუთვნოდეს, შეუძლიათ წამოიწყონ კამათი ამ საგნის გამო. მაშ ასე, მიიღეს რა კენჭისყრით სასურველი წილი, ღმერთთაგან თითოეული დამკვიდრდა თავის ქვეყანაში; და მაშინვე შეუდგნენ თავიანთ მონაპოვართა და გაზრდილთა, ჩვენს, მოვლას ისე, როგორც თავიანთ სამწყოს (უვლიან) მწყემსები, ოღონდ თუ ეს უკანასკნელნი ფიზიკური ძალადობით ზემოქმედებენ სხეულზე და მათრახის საშუალებით მწყემსავენ საქონელს, ღმერთებმა აირჩიეს, ასე ვთქვათ, მესაჭის ადგილი, საიდანაც ყველაზე მოხერხებულია წარმართო მორჩილი ცოცხალი არსებანი და მოქმედებდნენ დარწმუნებით, თითქოს სულის საჭით, როგორც მათ თავიანთი ჩანაფიქრი კარნახობდა. ასე მართავდნენ ისინი მოკვდავთა მთელ მოდგმას.

1 იხ.: პლატონი, „ტიმეოსი“, გამომცემლობა „ირმისი“, 1994 წ., გვ. 282-286

სხვა ღმერთებმა წილისყრით სხვა ქვეყნები მიიღეს და დაიწყეს მათი მოწყობა, მაგრამ ჰეფესტომ და ათენამ, როგორც ერთი მამის შვილებმა, ერთი ბუნებისანი რომ იყვნენ და ერთნაირად უყვარდათ სიბრძნე და მხატვრობა, შესაბამისად მიიღეს კიდეც ერთი წილი – ჩვენი ქვეყანა (იგულისხმება საბერძნეთის პროვინცია ატიკა. პ.ი.), რომელიც თავისი თვისებებით ხელს უწყობდა სათნოებისა და გონიერების გამოზრდას; დაასახლეს ის მიწის მიერ ნაშობი კეთილშობილი კაცებით და შთააგონეს სახელმწიფოს მოწყობის ცნება. ამ-ათმა (პირველმოსახლე კეთილშობილი კაცების. პ.ი.) სახელებმა ჩვენამდე მოაღწია, მაგრამ საქმენი დავიწყებას მიეცა დიდი დროის გავლისა და იმ უბედურებათა გამო, რომელთაც გაანადგურეს მათი შთამომავლობა.

განსაცდელს, როგორც უკვე ითქვა, გადაურჩნენ მხოლოდ უწიგნური მთიელები, რომელთაც გაგონილი ჰქონდათ მხოლოდ ქვეყნის მბრძანებელთა სახელები და კიდევ რაღაც მათ საქმეთა შესახებ. წინაპართა გმირობა და კანონები მათთვის უცნობი იყო. ზოგი რამ ყურმოკრულად იცოდნენ და მხოლოდ სამახსოვრო სახელებს არქმევდნენ ახ-ალდაბადებულ ბავშვებს; ამავდროულად ისინი და მათი შთამომავლობის მრავალი თაობა განიცდიდნენ ყველაზე აუცილებლის უქონლობით გამოწვეულ გაჭირვებას, მხოლოდ ამ გასაჭირზე ფიქრობდნენ და ლაპარაკობდნენ, წინაპრები და ძველი დროის საქმეები კი ავიწყდებოდათ. მითების შეთხზვა და ძველ მოვლენათა ძიება ხომ დაიწყო ქალაქებში მო-ცალეობასთან ერთად, როცა აღმოჩნდა, რომ ზოგიერთები ფლობდნენ ცხოვრებისათვის საჭირო მზამზარეულ საშუალებებს და არავითარ შემთხვევაში უფრო ადრე. ამიტომაა, რომ ჩვენამდე მოაღწია წინაპართა სახელებმა და არა მათმა საქმეებმა და მტკიცებულე-ბად შემოიძლია მოვიტანო კეკროპის, ერეხთეევსის, ერიხთონის, ერისიხთონის სახელები, კიდევ ბევრ სხვათა, გადმოცემით თეზევსის წინამორბედები რომ იყვნენ. და, შესაბამისად, სოლონის დამოწმებით, ქალთა სახელებიც, რომლებიც გაუმხილეს მას ქურუმებმა, მაშ-ინდელ ომზე (ომი ათენელებსა და ატლანტისელებს შორის. პ.ი.) რომ მოუთხრობდნენ. აკი ჩვენი ქალღმერთის შესახედაობა და გამოსახულებაც აიხსნება იმით, რომ იმ დროს სამხედრო საქმეს კაცებიც და ქალებიც ერთნაირად მისდევდნენ და ამ კანონის თანახმად მაშინდელმა ადამიანებმა შექმნეს ჯავშანმოსილი ქალღმერთის ქანდაკება. ეს ყველაფერი ნათელყოფს, რომ ერთ საზოგადოებაში შემავალ მდედრობითი და მამრობითი სქესის ადა-მიანებს შეუძლიათ ერთად ივარჯიშონ ერთი ან მეორე სქესისათვის დამახასიათებელ სათ-ნოებაში.

ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა წოდების მოქალაქეებიც სახლობდნენ, ხელოსნობითა და მიწათმოქმედებით დაკავებულნი, მაგრამ ღვთაებრივ კაცთა სამხედრო წოდება თავი-დანვე გამოირჩა. ისინი ცალკე ცხოვრობდნენ, ამ ფენის წარმომადგენლები იღებდნენ ყვე-ლაფერს, რაც საჭირო იყო არსებობისა და აღზრდისათვის, მაგრამ პირად საკუთრებაში არავის არაფერი გააჩნდა, ყველაფერს ყველა საერთოდ თვლიდა. ამასთან, მათთვის წარ-მოუდგენელი იყო დანარჩენი მოქალაქეებისაგან აეღოთ რაიმე საჭიროზე მეტი. ისინი ას-რულებდნენ ყველა იმ მოვალეობას, რომელსაც შევეხეთ ჩვენ გუშინ, მცველთა სავარაუდო წოდების შესახებ რომ ვლაპარაკობდით; ხოლო თავად ჩვენი ქვეყნის თაობაზე მიმდინ-არეობდა სარწმუნო და მართალი თხრობა, რისგანაც უპირველეს ყოვლისა აშკარა გახდა, რომ მისი საზღვრები იმ დროს აღწევდა ისთმოსამდე (გეოგრაფიული ადგილი კორინთოს ყელთან. პ.ი.), ხოლო მატერიკის გასწვრივ – კითერონისა და პარნეთის მწვერვალებამდე, შემდეგ ზღვისკენ ეშვებოდა. მის მარჯვენა მხარეს მდებარეობდა ოროპიუსი, მარცხენა

მხარეს კი ასონი (პირველი ადგილია, მეორე კი მდინარეა ატიკაში. პ.ი.). ნაყოფიერებით იქაური მიწები აღემატებოდა ნებისმიერ სხვას, რისი წყალობითაც ქვეყანას საშუალება ჰქონდა, შეენახა სამიწათმოქმედო საქმიანობისაგან განთავისუფლებული მრავალრიცხო-ვანი არმია, და ამის საფუძვლიანი უდავო დადასტურებაა ის, რომ ამ მიწის დღევანდელი ნარჩენებიც კი სხვაზე არანაკლებ მდიდარია სხვადასხვა ნაყოფით და კვებავს ყოველგვარ ცხოველს, ძველად კი ეს ყველაფერი ამ მიწაზე უხვად და საუკეთესოდ იზრდებოდა. მა-გრამ როგორ დავრწმუნდეთ ამაში და რატომაა სწორი, ახლანდელ ქვეყანას ძველის ნარ-ჩენს რომ უწოდებენ? მთელი მისი ტერიტორია მატერიკიდან შორს, ზღვაში, როგორც კონ-ცხი, გაჭიმულია და ჩაძირულია უფსკრულის ღრმა ჭურჭელში იმდენად, რამდენადაც ცხრა ათასი წლის მანძილზე მოხდა ბევრი დიდი წყალდიდობა და აგერ ამდენი წელი გავიდა მას შემდეგ დღევანდელ დღემდე. მსგავსი უბედურების დროს სიმაღლეებიდან წყლის მიერ ჩამორეცხილ მიწას არ ხვდებოდა რაიმე მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა, როგორც სხვა ადგილებში, ყოველმხრივ ირეცხებოდა ტალღებით და შემდეგ უფსკრულში ინთქმებოდა. და აი, როგორც ეს ემართება მცირე კუნძულებს, ძველ მდგომარეობასთან შედარებით დარჩა მხოლოდ ავადმყოფობით გამოფიტული სხეულის ჩონჩხი, როცა რბილი და ნოყიერი მიწა სულ ჩარეცხილი აღმოჩნდა და მხოლოდ ჩონჩხია ჩვენს წინაშე. მაგრამ იმ დროს ჯერ კიდევ ხელუხლებელ, უვნებელ მხარეს გაშლილი იყო მაღალი, ბორცვებიანი მთები და დაბლობები, რომლებსაც დღეს ქვიანს უწოდებენ, მაშინ კი ველზე რბილი ნიადაგი და მთებში ხშირი ტყე იყო, რისი დამადასტურებელი მტკიცებულება ახლაც შეიძლება ვიპოვოთ: ჩვენს მთებს შორის ისეთებიც არის, რომლებიც ახლა მხოლოდ ფუტკრებს თუ გამოზრდიან, არადა, არც ისე დიდი ხნის წინ ჯერ კიდევ მთელი იყო ამ მთებში მოჭრილი სასახურავე ხისგან დამზადებული ყველაზე დიდი ნაგებობების სახურავები. ბევრი იყო ადამიანის მიერ მოშენებული მაღალი ხეებიც, საქონლისთვის კი გაშლილი იყო უხვი სა-ძოვრები, რამეთუ წყლები, რომელსაც ზევსი ყოველ წელს გვიგზავნის (ზევსი, ყველაფერ-თან ერთად, წვიმის ღმერთიც იყო. პ.ი.) შიშველი მიწიდან ზღვაში კი არ იკარგებოდა, როგორც ახლა, არამედ ბარაქიანად შეიწოვებოდა ნიადაგში, ზემოდან ჩაჟონავდა მიწაში არსებულ სიცარიელეში, გროვდებოდა თიხის სათავსოებში, და ამიტომ ყველგან უხვად ჩქეფდა. ნაკადულებისა და მდინარეების სათავეები, ადრინდელი წყაროების დღემდე არ-სებული საღვთო ნარჩენები იმის დადასტურებაა, რომ ამ ქვეყნის შესახებ ჩვენი ახლან-დელი მონათხრობი სიმართლეა.

ბუნებრივად ასეთი იყო მთელი ჩვენი მხარე და ისე ამუშავებდნენ, როგორც მოსა-ლოდნელია ჭეშმარიტ, თავისი საქმის მცოდნე, მშვენიერების ერთგულ და უნარიან მი-წათმოქმედთაგან, როცა მათ მიცემული აქვთ საუკეთესო მიწა, უხვი სარწყავი წყალი და ზომიერი კლიმატი. დედაქალაქი კი მაშინ ასე იყო აგებული: უპირველეს ყოვლისა, აკროპოლისის მდებარეობა იყო სრულიად განსხვავებული, ვიდრე ახლაა; ამჟამად მისი ბორცვი გაშიშვლებულია, – მისგან მიწა ერთ ღამეში რაღაც უჩვეულოდ ჩამორეცხა წყ-ალმა. ეს მოხდა მაშინ, როცა მიწისძვრასთან ერთად დაიწყო წარმოუდგენელი წარღვნა, რიცხვით მესამე დევკალიონის უბედურებამდე, – მაგრამ წარსულში აკროპოლისი გად-აჭიმული იყო ერიდანამდე და ილისამდე, მოიცავდა პიკნისს, პიკნისის საპირისპირო მხ-არეს კი ლიკაბეტის მთამდე აღწევდა. ამასთან, მთლიანად მიწით იყო დაფარული, ზემო-დან კი, რამდენიმე ადგილის გარდა, ბრტყელ სივრცეს წარმოადგენდა. მის მიღმა ბორცვის კალთებზე სახლობდნენ ხელოსნები და მიწათმოქმედნი, რომელთაც მიწის ნაკვეთებიც

ახლოს ჰქონდათ. მაგრამ ზემოთ, განცალკევებით, ათენასა და ჰეფესტოს საკურთხევლის გარშემო, თითქოს კეტავენო ერთი ოჯახის კუთვნილ ბაღს, ერთი ზღუდის მიღმა ცხოვრობდა მეომართა განკერძოებული წოდება. ბორცვის ჩრდილოეთ მხარეს მეომრებს ჰქონდათ საერთო საცხოვრებელი, ზამთრის ტრაპეზისათვის განკუთვნილი შენობა და საერთოდ ყველაფერი ის, რაც საჭიროა საოჯახო მეურნეობისათვის და წმინდა საგნები, რაც შესაფერისად ითვლება, გააჩნდეს მეომარს საზოგადოებრივი მმართველობის მქონე სახელმწიფოებში, გარდა ოქროსა და ვერცხლისა: არც ერთსა და არც მეორეს ისინი არანაირი სახით არ იყენებდნენ, მაგრამ იცავდნენ შუალედს სიმდიდრესა და სიღატაკეს შორის, მოკრძალებულად ჰქონდათ მოწყობილი თავიანთი სადგომი, რომელშიც სიბერემდე ცხოვრობდნენ თვითონ ისინი და შთამომავლები მათი შთამომავლებისა, მარადიულად გადასცემდნენ სახლს უცვლელად თავიანთთავე მემკვიდრეებს. ბორცვის სამხრეთი მხარე მათ გამოუყვეს ბაღებისათვის, გიმნასიებისათვის და ერთობლივი ტრაპეზისათვის და შესაბამისადაც იყენებდნენ. წყარო ერთი იყო – დღევანდელი აკროპოლის ადგილას; ის ახლა განადგურებულია მიწისძვრისაგან და მისგან მხოლოდ პატარა, მრგვალი წყაროები დარჩა, მაგრამ იმ დროს ის ხალხს უხვად აწვდიდა კარგ სასმელ წყალს როგორც ზამთარში, ისე ზაფხულში. ასე მკვიდრობდნენ აქ ისინი – თანამოქალაქეთა გუშაგნი და ბელადნი ყველა დანარჩენი ელინისა ამ უკანასკნელთა კეთილი ნებით; ისინი ყველაზე მეტად ყურადღებას აქცევდნენ იმას, რომ სამარადისოდ შეენარჩუნებინათ ერთი და იგივე რაოდენობა მამაკაცებისა და ქალებისა, რომელთაც საჭირო დროს იარაღის აღება შეეძლებოდათ, სახელდობრ, ოცი ათასამდე.

ისინი ასეთები იყვნენ და ამგვარად სამართლიანად მართავდნენ თავიანთ ქვეყანას და ელადას. მთელს ევროპასა და აზიაში არ იყო სხეულის სილამაზითა და სულის მრავალმხრივი სათნოებით უფრო ცნობილი და სახელგანთქმული ხალხი.

ახლა ვილაპარაკებთ მათი მოწინააღმდეგეებისა და იმის შესახებ, თავიდან როგორ მიდიოდა ამ უკანასკნელთა საქმე. ვნახოთ, ხომ არ მოვასწარით დაგვევიწყებინა ის, რაც ჯერ კიდევ ბავშვობაში გავიგონეთ და, მეგობრებისთვის ყველაფერი რომ საერთო იყოს, ჩვენი ცოდნა თქვენს წინაშე წარმოვაჩინოთ. მაგრამ ჩვენს მონათხრობს წინ უნდა წარვუმძღვაროთ კიდევ ერთი მოკლე განმარტება, რადგან თქვენ რომ არ გაგიკვირდეთ, როცა ბარბაროსებთან მიმართებით ხშირად გაიგონებთ ელინურ სახელებს და ამას ასეთი მიზეზი აქვს: სოლონს, როგორც კი აზრად მოუვიდა, თავის პოემაში გამოეყენებინა ეს მოთხრობა (საისელი ქურუმის მიერ მოთხრობილი ამბავი ატლანტისელთა და ბერძენთა ომის შესახებ. პ.ი.), მან ცნობისმოყვარეობა გამოამჟღავნა სახელთა მნიშვნელობის მიმართ და პასუხად მოისმინა, რომ ეგვიპტელები, იწერდნენ რა ამ ხალხის წინაპრების სახელებს, თავიანთ ენაზე თარგმნიდნენ მათ. ამიტომ თავად სოლონი არკვევდა სახელთა მნიშვნელობას და იწერდა მათ უკვე ჩვენს ენაზე. ეს ჩანაწერები ინახებოდა ჩემს პაპასთან (უფროსი კრიტია. პ.ი.) და აქამდე ჩემთან არის, მე ისინი ჯერ კიდევ ბავშვობაში გულმოდგინედ წავიკითხე. ამიტომ, როცა თქვენ ჩემგან ჩვენის მსგავს სახელებს გაიგებთ, დაე, ამაში თქვენთვის უცნაური ნურაფერი იქნება: თქვენ იცით, რაშია საქმე. თავად მოთხრობას რაც შეეხება, ის იწყებოდა დაახლოებით ასე:

ადრე თქმულის შესაბამისად, ღმერთებმა მთელი დედამიწა კენჭისყრით გაინაწილეს სამფლობელოებად – ზოგს ბევრი ერგო, სხვას – ნაკლები და თავ-თავიანთი საკურთხევლები და მსხვერპლშეწირვა დააფუძნეს. ასე პოსეიდონმაც (ზღვის მპყრობელი, კრონოსისა და რეას ვაჟი, ზევსის ძმა. პ.ი.) მიიღო სამკვიდროდ კუნძული ატლანტისი, დაასახლა მოკვდავი ქალისაგან შეძენილი თავისი შვილებით ქალაქი, სავარაუდოდ აი, ასეთ ადგილას: ნაპირებიდან თანაბარ მანძილზე, მთელი კუნძულის შუაგულში იყო დაბლობი, თუ დავუჯერებთ გადმოცემას, სხვა დაბლობებზე ლამაზი და ნაყოფიერი. და კიდევ, ამ დაბლობის შუაგულში, სავარაუდოდ მისი კიდეებიდან ორმოცდაათ სტადიონზე (სტადიონი უდრის 193 მეტრს. პ.ი.) იდგა მთა, არც ერთი მხრიდან მაღალი არ იყო. ამ მთაზე ცხოვრობდა მიწის მიერ ამ ქვეყანაზე სულ თავიდან მოვლენილი ერთი მამაკაცთაგანი, სახელად ევერონი, მასთან ერთად – მისი ცოლი ლევკიპა (მიწის მიერ შობილი ამ წყვილის გაჩენის ამბავი გარკვეული თვალსაზრისით პრომეთეს ძე დეკალიონისა და პირას მიერ მიწაში დათესილი ქვებისაგან წარმოშობილი ხალხის მითს უკავშირდება. პ.ი.); მათ ერთადერთ ასულს კლეიტო ერქვა. როცა გოგონამ საქორწილო ასაკს მიაღწია, მისი დედ-მამა გარდაიცვალა. პოსეიდონი, სურვილით აგზნებული, მასთან შეერთდა. ბორცვი, რომელზედაც კლეიტო ცხოვრობდა, პოსეიდონმა გაამაგრა, გამოჰყო კუნძულისაგან წრიულად შემოვლებული, ერთმანეთის მონაცვლე სხვადასხვა სიდიდის წყლისა და მიწის წრეებით (მიწისა იყო ორი, წყლისა – სამი), რომლებიც გამოყვანილია კუნძულის ცენტრიდან თანაბარ მანძილზე ისე, თითქოს ფარგლით შემოუხაზავთო. ეს წინაღობები ადამიანისათვის გადაულახავი იყო, რადგან გემები და ნაოსნობა მაშინ არ არსებობდა. შუაში მდებარე კუნძული კი პოსეიდონმა, დიდი ძალისხმევის გარეშე, როგორც ღმერთს ეკადრება, კეთილმოაწყო, მიწიდან გადმოადინა ორი წყარო – ერთი თბილი, მეორე კი ცივი – და მიწა აიძულა, მოეცა მრავალფეროვანი და სიცოცხლისათვის საკმარისი საზრდო.

ხუთჯერ მოავლინა ქვეყანაზე ტყუპი ვაჟი; პოსეიდონმა გამოზარდა ისინი და მთელი კუნძული ატლანტისი დაჰყო ათ ნაწილად. ამასთან უფროსი წყვილიდან პირველად დაბადებულს მისცა დედის სახლი და მიმდებარე სამფლობელოები, როგორც ყველაზე დიდი და საუკეთესო წილი და დაადგინა ის დანარჩენთა მეფედ, ხოლო სხვები – არქტონებად და თითოეული მათგანი მრავალრიცხოვანი ხალხისა და ვრცელი ქვეყნის მფლობელი და გამგებელი გახდა. სახელები კი ყველას, აი, როგორი დაარქვა: უფროსსა და მეფეს – ის სახელი, რომელიც ჰქვია კუნძულსა და ზღვას, ატლანტის ზღვად რომ იწოდება, რამეთუ მისი სახელი, რომელიც პირველმა მიიღო სამეფო, იყო ატლანტი (ამ ატლანტის, ანუ პოსეიდონის და კლეიტოს შვილის გარდა, ვის შესახებაც პლატონი წერს, ბერძნული მითოლოგიიდან კიდევ ვიცნობთ ტიტან ატლანტს, პრომეთეს ძმას, ჰესპერიდების მამას, უკიდურეს დასავლეთში ცის თაღი რომ ეჭირა მხრებით. პ.ი.)

მის შემდეგ დაბადებულ ტყუპისცალს, რომელმაც სამკვიდროდ ჰერაკლეს სვეტების მხარეს, გადირიტების დღევანდელ ქვეყნამდე გადაჭიმული კუნძულის განაპირა მიწები მიიღო, ამ ადგილის სახელწოდების მიხედვით მიენიჭა სახელი, რომელიც ელინურად შეიძლება გადმოვცეთ, როგორც ევმელე („ნახირით მდიდარი“. პ.ი.), ხოლო ადგილობრივ ენაზე – როგორც გადირი. მეორე ტყუპიდან მან ერთს დაარქვა ამფერი („მრგვალი“. პ.ი.), მეორეს კი ევემონმი („ფიცხი“. პ.ი.); მესამედან – უფროსს მნესეი („მოაზროვნე“. პ.ი.), უმცროსს კი – ავტოქტონი („მიწის მიერ შობილი“. პ.ი.), მეოთხედან – უფროსს ელასიპე („მხედარი“. პ.ი.) და უმცროსს მნესტორი („სასოება“. პ.ი.). და ბოლოს, მეხუთე ტყუპიდან უფროსს დაარქვა სახელი აზაესი („მხურვალე“. პ.ი.), უკანასკნელს – დიაპრეპი („სახელოვანი“. პ.ი.). ყველა ისინი და მათი შთამომავლები მრავალი თაობის მანძილზე ცხოვრობდნენ იქ, ბატონობდნენ ამ ზღვის სხვა მრვალ კუნძულზე და, გარდა ამისა, როგორც ადრე

უკვე ითქვა, განავრცეს თავიანთი ძალაუფლება ჰერაკლეს სვეტებს აქეთ ეგვიპტესა და ტირენიამდე.

ატლანტისგან წარმოიშვა მრავალრიცხოვანი და პატივცემული მოდგმა, რომელშიაც უხუცესი ყოველთვის მეფე იყო და გადასცემდა თავის წოდებას უფროს შვილს; თაობიდან თაობამდე ინარჩუნებდნენ ძალაუფლებას გვარში და დააგროვეს ისეთი სიმდიდრე, როგორიც არ ჰქონია არასდროს არც ერთ სამეფო დინასტიას ძველად და საეჭვოა, რომ ექნეს კიდევ ვინმეს ოდესმე, რადგან მათ განკარგულებაში იყო ყველაფერი, რაც მზადდებოდა როგორც ქალაქში, ისე მთელ ქვეყანაში. მათთან შემოჰქონდათ ბევრი რამ ქვეშევრდომი ქვეყნებიდან, მაგრამ ცხოვრებისთვის საჭიროს თავად კუნძული იძლეოდა; აქ მოიპოვებოდა, უპირველეს ყოვლისა, ყველა სახის წიაღისეული, მაგარი და დნობადი ლითონების საბადოები, და მათ შორის ის, რაც დღეს ცნობილია მხოლოდ სახელწოდებით, მაშინ კი ნამდვილად არსებობდა: თვითნაბადი ორიხლაკოსი (როგორც მეცნიერები თვლიან, ეს არის ყვითელი სპილენძი. პ.ი.), რომელიც კუნძულის სხვადასხვა ადგილას, მიწის წიაღიდან მოიპოვებოდა. ტყე უხვად იძლეოდა ყველაფერს, რაც სჭირდებოდა მშენებლობას, აგრეთვე შინაური და გარეული ცხოველების გამოკვებას. კუნძულზე სპილოებიც კი დიდი რაოდენობით გამრავლდნენ, რადგან საკვები საკმაო იყო არა მარტო ყველა დანარჩენი ცხოველისთვის, ჭაობებში, ტბებში, მდინარეებში, მთებსა და დაბლობებში რომ ბინადრობდნენ, არამედ ნადირთაგან ყველაზე დიდი და მსუნაგი სპილოებისთვისაც კი. შემდეგ ყველაფერი კეთილსურნელოვანი, რასაც მიწა ასაზრდოებს – იქნება ეს ფესვებში, ბალახში, მერქანში, მწვეთავ ფისში, ყვავილებში ან ნაყოფში – ყველაფერ ამას ის აღმოაცენებდა და ჩინებულადაც ზრდიდა. ამასთან, ადამიანის მიერ მოვლილი ყოველი ნაყოფი და მარცვლეული, რომელსაც ჩვენ საკვებად ვიყენებთ ან რომლისგანაც პურს ვამზადებთ და სხვადასხვაგვარი ბოსტნეული; აგრეთვე საჭმლის, სასმლის ან ნელსაცხებლის მომტანი ყოველგვარი ხე, თითოეული ხის სასუსნავი ნაყოფი, რომელიც არ შეინახება და გართობისთვისაა გამოსადეგი, რომელსაც ვთავაზობთ საუზმედ კარგად დანაყრებულს. ყველაფერ ამას მაშინდელი საღვთო კუნძული მზის ზემოქმედების შედეგად აღმოაცენებდა მშვენიერს, გასაოცარს, უხვად. სარგებლობდნენ რა მიწის ამ ნობათით, მეფეები აწყობდნენ სამსხვერპლოებს, სასახლეებს, ნავსადგურებს და გემსაშენებს და მოაწესრიგეს მთელი ქვეყანა, მისცეს მას ასეთი სახე:

უპირველეს ყოვლისა, ძველი მეტროპოლიის გარემომცველ წყლიან წრეებზე (წყლიან კონცენტრულ არხებზე. პ.ი.) ხიდები გადაჰკიდეს, ააგეს დედაქალაქიდან გამავალი და მისკენ მომავალი გზები. სასახლე თავიდან იქ ააგეს, სადაც იდგა ღმერთისა და მათი წინაპრების სამყოფელი და შემდეგ, მემკვიდრეობით გადაცემისას, ერთიმეორის მიყოლებით სულ უფრო ალამაზებდნენ, ყოველ ჯერზე ცდილობდნენ ეჯობნათ წინამორბედისათვის, სანამ, ბოლოს და ბოლოს, არ შექმნეს სიდიადითა და სილამაზით გასაოცარი ნაგებობა. ზღვიდან გამოიყვანეს არხი, სიგანით სამი პლეტრისა (სიგრძის ერთეული, სტადიონის 1/6 ნაწილი, დაახლოებით 32 მეტრი. პ.ი.) და ასი ფუტი სიღრმისა, სიგრძით კი ორმოცდაათი სტადიონი წყლის განაპირა წრემდე. ასე შექმნეს ზღვიდან შემოსასვლელი ამ წყლიან წრეში, როგორც ნავსადგურში. მოამზადეს საკმაო გასასვლელი ყველაზე დიდი გემებისთვისაც. რაც შეეხება მიწაყრილიან წრეებს, წყლიანებს რომ ყოფდნენ, გათხარეს ისეთი სიგანის არხები, რომ ერთი წყლიანი წრიდან მეორისკენ ერთ ტრიერს (სამრიგ ნიჩბებიანი სამხედრო გემი. პ.ი.) შესძლებოდა გავლა, ზემოდან კი დააფინეს სახურავი, რომლის ქვეშაც უნდა ეცურათ. ზღვის ზედაპირთან შედარებით მიწაყრილიანი წრის სიმაღლე ამისათვის საკმაო იყო. გარშემოწერილობით ყველაზე დიდი წყლის წრეს, რომელსაც უშუალოდ უერთდებოდა ზღვა, სამი სტადიონი სიგანე ჰქონდა. შესაბამისად, მისი მომდევნო მიწაყრილიანი წრე სიგანით მისი ფარდი იყო; ორი შემდეგი წყლიანი წრე ორი სტადიონი სიგრძისა და მიწაყრილიანები კვლავ წყლიანის ფარდი, და ბოლოს, კუნძულის შუაგულის შემომფარგლავი წყლიანი წრე (არხი. პ.ი.) ერთი სტადიონი სიგანის იყო.

კუნძულს, რომელზეც სასახლე იდგა, ხუთი სტადიონის დიამეტრი ჰქონდა. მეფეებმა ამ კუნძულს ყოველი მხრიდან შემოავლეს აგრეთვე მიწაყრილიანი წრეები და პლეტრი სიგანის ხიდები წრიული ქვის კედლებით; ხიდებზე, ზღვაზე გასასვლელთან, ყველგან ჩადგეს კოშკები და ჭიშკარი.

თეთრი, შავი და წითელი ფერის ქვას ისინი კუნძულის შუაგულში მდებარე საბადოდან, გარე და შიდა მიწაყრილიანი წრეების შიგნით მოიპოვებდნენ. ქვის სამტეხლოებში რჩებოდა ორმაგი ღრმულები, რომლებსაც ზემოდან იმავე ქვით ხურავდნენ, მათში გემების სადგომები მოაწყვეს. ზოგიერთ თავიანთ ნაგებობას ატლანტისელები მარტივად აგებდნენ, სხვა შემთხვევაში კი თავის შესაქცევად, გემოვნებით ახამებდნენ სხვადასხვა ფერის ქვებს, აერთებდნენ მათ ბუნებრივ მშვენიერებას; ასევე განაპირა მიწაყრილიანი წრის გარშემო კედლები სიგრძეზე მოაპირკეთეს სპილენძით, აკრავდნენ გამდნარი მეტალის ფირფიტებს, შიდა მიწაყრილის კედელი ჩამოსხმული კალით, ხოლო თავად აკროპოლის კედელი ცეცხლოვანი ბრწყინვალების ამომტყორცნი ორიხალკით მოაპირკეთეს.

აკროპოლის შიგნით მეფეთა სადგომი შემდეგნაირად იყო მოწყობილი: შუაგულში ოქროს კედელშემოვლებული, მიუწვდომელი, კლეიტოსა და პოსეიდონის წმინდა ტაძარი – ეს იყო ის ადგილი, სადაც მათ ჩასახეს და წარმოშვეს ათი მეფის თაობა. სწორედ ამის პატივსაცემად ორივე მათგანს ყოველწლიურად, ათივე სამკვიდროდან მოართმევდნენ შესაწირავ საწყისებს. იყო მხოლოდ პოსეიდონისადმი მიძღვნილი ტაძარიც, რომელსაც სტადიონი სიგრძე, სამი პლეტრა სიგანე და ამისი შესაფერისი სიმაღლე ჰქონდა; ~~ნაგებობის გაფორმებაში კი იყო რაღაც ბარბაროსული~~ (ხაზგასმა ჩემია, პ.ი.): ტაძრის მთელი გარე ზედაპირი, აკროტერების (სკულპტურული ორნამენტი შენობის ფრონტონების თავზე. პ.ი.) გარდა, ვერცხლით იყო მოპირკეთებული, აკროტერი კი – ოქროთი. შიგნით თვალს წარმოუდგებოდა სპილოს ძვლის ჭერი, მთლიანად აფერადებული ოქროთი, ვერცხლითა და ორიხალკით. კედლები, სვეტები და იატაკი მთლიანად ორიხალკით იყო მოგებული, ტაძარში იდგა ოქროს ქანდაკებებიც: თვით ღმერთი პოსეიდონი ეტლში მდგარი მართავდა ექვს ფრთოსან ცხენს, მის გარშემო – ასი (იმ დროს ადამიანებს მათი რაოდენობა ასე ჰქონდათ წარმოდგენილი) დელფინებზე ამხედრებული ნერეიდა, აგრეთვე კერძო პირთა მიერ შემოწირული კიდევ ბევრი ქანდაკება. გარეთ, ტაძრის გარშემო იდგა ოქროს გამოსახულება ათი მეფის ცოლებისა და ყველა იმათი, ვინც მათგან წარმოიშვა; ამას გარდა, სხვა უამრავი ძვირფასი ძღვენი ამ ქალაქის მეფეთაგან, კერძო პირთაგან და იმ ქალაქებისაგან, მას რომ ემორჩილებოდნენ. საკურთხევლის სიდიდე და შემკულობა ამ სიმდიდრის ტოლფასი იყო; მსგავსად ამისა, მეფის სასახლეც სახელმწიფოს სიდიადის, ასევე სიწმინდეების მორთულობის ტოლფასი და შესაფერი იყო.

მეფის განკარგულებაში იყო ორი წყარო – ცივი წყლის და ცხელი წყლისა, რომლებიც უხვად იძლეოდნენ როგორც გემოსა და ასევე სამკურნალო ძალის გასაოცარ წყალს. ისინი (ე.ი. წყაროები. პ.ი.) კედლით შემოღობეს, დარგეს მათთან ამ წყლის თვისებებს მისად-

აგებული ხეები და მიმართეს ეს წყლები აბანოებში, რომელთაგან ზოგიერთები ღია ცის ქვეშ იყო, ზოგიერთი კი, ცხელი წყლით, საზამთროდ იყო მოწყობილი, ამასთან, ცალკე – მეფეთათვის, ცალკე – უბრალო ხალხისათვის, ცალკე – ქალებისათვის და ცალკე – ცხენებისა და სხვა შესაბმელი ცხოველებისათვის. ყოველი საბანებელი თავისი დანიშნულების შესაფერისად იყო მოპირკეთებული. ჭარბი წყალი გაიყვანეს პოსეიდონის წმინდა ჭალაში, სადაც ნაყოფიერი მიწის წყალობით დაუჯერებელი სილამაზისა და სიდიდის ხეები იზრდებოდა. ხოლო იქიდან არხებით გაიყვანეს (წყალი. პ.ი.). ხიდები გადაუშვეს გარე მიწაყრილის წრეზე. ამ წრეებზე ააგეს მათ სხვადასხვა ღვთაებების მრავალრიცხოვანი საკურთხევლები და მრავალრიცხოვანი ბაღები და გიმნაზიები მამაკაცებისა და ცხენების სავარჯიშოდ, რომლებიც ყოველ წრიულ კუნძულზე ერთმანეთის დაშორებით მდებარეობდნენ. ყველაფერთან ერთად, ყველაზე დიდი წრის შუაში მათ მოწყობილი ჰქონდათ იპოდრომი ცხენების რბოლისათვის, რომლის სიგანე სტადიონი იყო, სიგრძე კი მთელ წრეს მოიცავდა. მის ორივე მხარეს იდგა შენობები მრავალრიცხოვანი სამეფო შუბოსნებისათვის. მაგრამ უფრო ერთგული შუბოსნები განთავსებულნი იყვნენ მცირე წრეზე, აკროპოლთან ახლოს, ხოლო ყველაზე სანდოებს აკროპოლის შიგნით, მეფეთა სასახლის გვერდით ჰქონდათ სამყოფელი. გემსაშენები სავსე იყო ტრიერებით და ყველაფრით, რაც საჭიროა ტრიერისთვის. ასე, რომ, ყველაფერი სამყოფი იყო. ასე გახლდათ მოწყობილი მეფეთა საცხოვრებელი ადგილი: თუ გავცდებოდით სამ გარე ნავსადგურს, იქ წრიულად მიუყვებოდა ზღვასთან დაწყებული კედელი, რომელიც მთელ სიგრძეზე დიდი წყლიანი წრიდან და ნავსადგურიდან ორმოცდაათი სტადიონით იყო დაშორებული, ის მთავრდებოდა ზღვასთან შემავალ არხთან (კედელი წრეს შეკრავდა. პ.ი.). მასთან ახლოს სივრცე მჭიდროდ იყო განაშენიანებული, შესართავი და ყველაზე დიდი ნავსადგური სავსე იყო გემებით, რომლებითაც ყოველი მხრიდან ჩამოდიოდნენ ვაჭრები, ამასთან იმდენად ბევრნი, რომ დღისით და ღამით ისმოდა ლაპარაკი, ხმაური და კაკუნი.

ამრიგად, ჩვენ მეტ-ნაკლებად გავიხსენეთ, თუ რას მოგვითხრობდნენ მაშინ ქალაქსა და ძველ სამყოფელზე. ახლა ვცადოთ, გავიხსენოთ, როგორი იყო ბუნება სოფლად და როგორ იყო ის მოწყობილი. უპირველეს ყოვლისა, ითქვა, რომ მთელი ეს მხარე მეტად მაღლა მდებარეობდა და ციცაბოდ იყო ჩახრამული ზღვისკენ, ქალაქის გარშემო მთელი დაბლობი მთებს შუა მოქცეული და ზღვამდე გადაჭიმული, წარმოადგენდა სამი ათასი სტადიონის სიგრძის ვაკე ზედაპირს, ზღვის მხრიდან კი შუაგულამდე ორი ათასი სტადიონი იყო. კუნძულის მთელი ეს მხარე მიქცეული იყო სამხრეთის ქარისაკენ, ჩრდილოეთიდან კი მთებით იყო ჩაკეტილი. ეს მთები თქმულებებში ხოტბაშესხმულია იმისათვის, რომ ისინი სიმრავლით, სიდიდითა და სილამაზით ყველა ახლანდელს აღემატებოდნენ: იქ იყო ბევრი ხალხმრავალი დასახლება, მდინარეები, ტბები და მდელოები, საკვებს რომ აწვდიდა ყველანაირ მოშინაურებულსა და გარეულ ცხოველს; აგრეთვე ტყეები, ნებისმიერი საქმისათვის უზარმაზარი და სხვადასხვაგვარი ხის უხვად მომწოდებელი. ასეთი გახლდათ ხსენებული დაბლობის ბუნება, მის მოსაწყობად კი მრავალი თაობის განმავლობაში იზრუნა ბევრმა მეფემ. ის წარმოადგენდა მოგრძო ოთხკუთხედს, რომლის დიდი ნაწილი სწორხაზოვანი იყო, ხოლო იქ, სადაც მისი ფორმა ირღვეოდა, გაასწორეს, ყოველი მხრიდან გათხარეს არხი. რომ ვთქვა, რა სიღრმე, სიგანე და სიგრძე ჰქონდა ამ არხს, არავინ დაიჯერებს, რომ შესაძლებელია ადამიანის ხელს, სხვა სამუშაოების გარდა, ასეთი ქმნილებაც შეექმნა, მაგრამ ჩვენ ვალდებულნი ვართ, გადმოგცეთ ის, რაც გაგვიგია: არხი

ერთი პლეტრის სიღრმეზე იყო გათხრილი, სიგანე – ერთი სტადიონი, სიგრძე კი მთელი დაბლობის ირგვლივ ათი ათასი სტადიონი იყო. არხი იკრებდა მთებიდან ჩამოდენილ ნიაღვრებს და შემოსაზღვრავდა დაბლობს, რომლის მეშვეობითაც ის სხვადასხვა ადგილას უერთდებოდა ქალაქს, არხი ჩაედინებოდა ზღვაში. დინებიდან ზემოთ, მისგან გათხრილი იყო თითქმის ასი ფუტის სიგრძის სწორი არხები, რომლებიც დაბლობზე მიედინებოდნენ და კვლავ ჩაედინებოდნენ ზღვისკენ მიმავალ არხში, ამასთან, ერთმანეთისაგან ასი სტადიონით იყვნენ დაშორებულნი.

დაუკავშირეს რა ისინი ერთმანეთს და ქალაქს ირიბი სადინრებით, მათი მეშვეობით გადაჰქონდათ ქალაქში ხე-ტყე მთებიდან და სხვადასხვაგვარი ნაყოფი; მოსავალს წელიწადში ორჯერ იღებდნენ, ზამთრობით სარწყავად წყალს ზევსი უგზავნიდა, ზაფხულობით კი მიწიდან ამოდინებულ წყალს გადააგდებდნენ არხებიდან.

რაც შეეხება ომისათვის გამოსადეგ მამაკაცთა რაოდენობას, აქ არსებობდა ასეთი დადგენილება: დაბლობის თითოეულ ნაწილს უნდა გამოეყვანა ერთი მეომარი – წინამძღოლი; ამასთან, თითოეული უბნის სიდიდე ათი კვადრატული სტადიონი იყო, მთლიანობაში სულ სამოცი ათას ნაკვეთს მოიცავდა. ხოლო მთებიდან და ქვეყნის დანარჩენი ნაწილებიდან მოგროვილი ურიცხვი რაოდენობა უბრალო მოლაშქრეებისა, შესაბამისად უბანთა რიცხვისა, ნაწილდებოდა მეთაურთა შორის. ომის შემთხვევაში ყოველი წინამძღოლი ვალდებული იყო, გამოეყვანა საომარი ეტლების მეექვსედი ნაწილი – ისე, რომ სულ ყოფილიყო ათი ათასი ეტლი; ამას გარდა, ორი ცხენოსანი; ორი შეკაზმული ცხენი ეტლის გარეშე; პატარაფარიანი მეომარი, რომელსაც ცხენიდან ჩამოსვლა და ქვეითად ბრძოლა უნდა შესძლებოდა; მეეტლე, რომელიც ეტლში შებმულ ორივე ცხენს მართავს; ორი ჰიპლოტი; ორ-ორი მშვილდოსანი და შურდულის მსროლელი; სამ-სამი ქვის მტყორცნელი და შუბოსანი; ოთხ-ოთხი მეხომალდე, რათა მოგროვდეს ათას ორასი გემისთვის საკმარისი ხალხი. ასეთი იყო ომთან დაკავშირებული წესები თავად მეფის ოლქში; სხვა ცხრა ოლქში იყო კიდევ სხვა წესები, რომელთა გადმოსაცემად მეტად დიდი დრო იქნებოდა საჭირო.

ძალაუფლებას და თანამდებობებს რაც შეეხება, თავიდანვე შემდეგი წესები იყო დამკვიდრებული: ათიდან ყოველი მეფე თავის ოლქსა და თავის სახელმწიფოში განაგებდა ხალხსა და კანონების უმრავლესობას, ისე რომ, შეეძლო დაესაჯა და მოეკვდინებინა ნებისმიერი, ვისაც მოისურვებდა.

მართვის სფეროში მათ ურთიერთობას ერთმანეთთან აწესრიგებდა პოსეიდონის მითითებანი: პირველი მეფეების მიერ ორიხალკის სტელაზე დაწერილი კანონი, რომელიც კუნძულის შუაგულში, პოსეიდონის ტაძარში იდგა. ამ ტაძარში იკრიბებოდნენ ისინი (ატლანტისელთა მეფეები. პ.ი.), ყოველი მეხუთე და ან კიდევ მეექვსე წელს, მონაცვლეობით ხან ლუწ და ხანაც კენტ რიცხვებში, რათა ეთათბირათ საერთო საზრუნავზე, გაერჩიათ, რაიმე ხომ არ დაარღვია რომელიმე მათგანმა და გაემართათ სასამართლო. სასამართლოს დაწყებამდე ისინი ყოველთვის აძლევდნენ ერთმანეთს ფიცს: ჭალაში პოსეიდონის საკურთხეველთან თავისუფლად დასეირნობდნენ ხარები; მეფეები ცალკე რჩებოდნენ და ლოცვას აღუვლენდნენ ღმერთს, რათა მას თავად აერჩია თავისთვის სასურველი მსხვერპლი. შემდეგ იწყებდნენ ნადირობას, მაგრამ რკინის გამოყენების გარეშე, მხოლოდ ჯოხებითა და ქამანდით შეიარაღებულნი. ხარს კი, რომელსაც შეიპყრობდნენ, მიიყვანდნენ სტელასთან და დაკლავდნენ მის თხემზე ისე, რომ სისხლი წარწერაზე ჩამოდენილიყო. ხსენებულ სტელაზე კანონების გარდა ამოტვიფრული იყო ფიცი, რომელიც კანონის დამ-

რღვევს დიდი უბედურების თავზე დატეხვას უქადდა. თავისი დებულების მიხედვით, მსხვერპლშეწირვისა და ხარის ყველა ნაწილის დაწვის შემდეგ, ისინი თასში გააზავებდნენ ღვინოს და მასში ჩააგდებდნენ ხარის სისხლის ლეკერტს, ყველა დანარჩენს ცეცხლში აგდებდნენ და საგულდაგულოდ წმენდდნენ სტელას. ამის შემდეგ, ოქროს ფიალებით ბოლომდე ამოიღებდნენ თასიდან სასმელს (სისხლიან ღვინოს. პ.ი.) და ცეცხლთან ცოტას ღვრიდნენ, ამავე დროს დებდნენ ფიცს, რომ გააჩენდნენ სამართალს სტელაზე დაწერილი კანონების მიხედვით და დასჯიდნენ მას, ვინც რითიმე დაარღვია კანონი, თავად კი, მომავალში კეთილი ნებით, არასოდეს მოიქცეოდნენ ნაწერის საპირისპიროდ და მხოლოდ მამისეული კანონის შესაბამის ბრძანებებს გასცემდნენ და შეასრულებდნენ თავისი და თავისი შთამომავლების სახელით. დადებდნენ რა ამ ფიცს, თითოეული მათგანი შესვამდა დარჩენილ ღვინოს და დააბრუნებდნენ ფიალას ადგილზე ღმერთის საკურთხეველში. შემდეგ, როცა ნადიმი და აუცილებელი წეს-ჩვეულებები მთავრდებოდა, ბნელდებოდა, სამსხვერპლო ცეცხლი ქრებოდა, ყველანი შეიმოსებოდნენ ბრწყინვალე შავი სტოლებით, სხდებოდნენ მიწაზე საფიცარ კოცონთან და ღამით, ტაძარში ყველა ცეცხლის ჩაქრობის შემდეგ, განსჯიდნენ და განისჯებოდნენ, თუ რომელიმე მათგანს კანონი დაერღვია. სასამართლოს დამთავრების შემდეგ ისინი, დღის დადგომასთან ერთად, ოქროს ფიცარზე დაწერდნენ განაჩენს და, როგორც სამახსოვრო შესაწირავს, ძვირფასეულობასთან ერთად, უძღვნიდნენ ღმერთს.

არსებობდა უამრავი განსაკუთრებული კანონდებულება თითოეული მეფის უფლებათა შესახებ, მაგრამ ყველაზე მთავარი იყო შემდეგი: არც ერთ მათგანს არ უნდა აღემართა იარაღი მეორის წინააღმდეგ, მაგრამ ყველა ვალდებული იყო მიშველებოდა, თუ ვინმე რომელიმე სახელმწიფოში სამეფო გვარის დამხობას განიზრახავდა. აგრეთვე, წინაპართა წეს-ჩვეულების მიხედვით, ერთად თათბირობდნენ ომსა და სხვა საქმეებზე, უთმობდნენ რა უმაღლეს მეთაურობას ატლანტისის მეფეებს. ამასთან, არ შეიძლებოდა სამეფო გვარის კაცის სიკვდილით დასჯა, თუ ათთა საბჭოში ამ საკითხს ნახევარზე მეტი მხარს არ დაუჭერდა.

ოდესღაც იმ ქვეყნებში არსებული ასეთი დიდი და უჩვეულო ძალა ღმერთმა იქ მოაწყო და წარმართა ჩვენი მიწების წინააღმდეგ, გადმოცემის თანახმად, შემდეგი მიზეზით: მრავალი თაობის მანძილზე, ვიდრე არ გამოიფიტა ღმერთისაგან მემკვიდრეობით დატოვებული ბუნება, ატლანტისის მმართველები ემორჩილებოდნენ კანონებს და თანდაყოლილ ღვთაებრივ საწყისთან მეგობრულად ცხოვრობდნენ: ისინი მისდევდნენ ჭეშმარიტსა და ყოველმხრივ დიად აზრთა წყობას, ბედისწერის გარდაუვალ განჩინებას და კეთილგონივრული მოთმინებით ეკიდებოდნენ ერთმანეთს; არად აგდებდნენ ყველაფერს, გარდა სიქველისა, არაფრად მიაჩნდათ სიმდიდრე და თითქმის დასანან ტვირთად მიიჩნევდნენ ოქროს გროვებსა და სხვა საგანძურს. ისინი ფუფუნებისაგან არ თვრებოდნენ, თავგზა არ ერეოდათ და სიმდიდრის ზემოქმედებით გონება არ ეკარგებოდათ. მაგრამ, ინარჩუნებდნენ რა გონებრივ სიფხიზლეს, ნათლად ხედავდნენ, რომ ამ ყველაფრის (სიმდიდრის. პ.ი.) ზრდა დაკავშირებული იყო საერთო თანხმობასთან შეერთებულ სათნოებასთან, მაგრამ, როცა იწყება მასზე ზრუნვა და იქცევა პატივად, ფერფლად იქცევა და, მასთან ერთად, სათნოებაც იღუპება. სანამ ისინი ასე ფიქრობდნენ, ხოლო ღვთაებრივი ბუნება მათში ინარჩუნებდა თავის ძალას, იზრდებოდა ჩემ მიერ მოკლედ აღწერილი მათი ყველა მონაპოვარი, მაგრამ როცა ღმერთისაგან მემკვიდრეობით მიღებული წილი შემცირდა,

მოკვდავთა შერევის გამო მრავალგზის განზავდა და იმძლავრა ადამიანურმა ზნემ, მაშინ მათ ვეღარ შეძლეს აეტანათ თავიანთი სიმდიდრე და დაკარგეს ღირსეული მმართველობა. იმისთვის, ვისაც დანახვა შეუძლია, ისინი სამარცხვინო სანახაობას წარმოადგენდნენ, რადგან დაკარგეს თავიანთ ღირებულებათაგან ყველაზე მშვენიერი, მაგრამ მათ არ შეეძლოთ დაენახათ, რაში მდგომარეობდა ჭეშმარიტად ბედნიერი ცხოვრება და მშვიდნი და ბედნიერნი დარჩნენ სწორედ მაშინ, როცა მათში დაუოკებელი სიხარბე და ძალა დუღდა. და აი, ზევსმა, ღმერთების ღმერთმა, კანონთა მცველმა, კარგად რომ შეეძლო შეენიშნა ის, რაზედაც ჩვენ ვლაპარაკობდით, განიზრახა, ასე საცოდავ გარყვნილებაში ჩაფლული სახელოვანი მოდგმისათვის სასჯელი დაედო, რათა გამოეფხიზლებინა უბედურებისაგან და კეთილგონიერება ესწავლებინა. ამიტომ მან მსოფლიოს შუაგულში მდებარე თავის ყველაზე დიდებულ სამყოფელში, საიდანაც შეეძლო ეჭვრიტა ყველაფრისათვის, რაც დაბადების თანაზიარია, მოიხმო ყველა ღმერთი და მიმართა შეკრებილთ ასეთი სიტყვებით..“.[1].

არავინ იცის, რა უთხრა ზევსმა ღმერთებს, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ სურდა თავს რისხვა დაეტეხა ატლანტისელთათვის და ამის გაკეთებას სხვა ღმერთების თანხმობით აპირებდა.

„კრიტიას“ დასასრულისადმი მეცნიერებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ. ზოგი იმ აზრისაა, რომ დიალოგის ბოლო ნაწილი დაიკარგა, ზოგიც ფიქრობს, თითქოს პლატონს აბსურდული ჩვენებოდეს თავისი მონათხრობი და ამიტომ არ დაებოლოებინოს ის... ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ გვაქვს პლატონის ორი დიალოგი, რომლებიც ატლანტისის თაობაზე ერთადერთ წყაროს წარმოადგენს.

ამრიგად, პლატონის მიერ დიალოგებში მოთხრობილი ამბავი იწყება „ტიმეოსში“ ცხრა ათასი წლის წინ მომხდარის გახსენებით, როცა მაშინდელი სამყაროს ნახევრის დამპყრობი ატლანტისელების აგრესიას ძველი ათენელები წინ აღუდგნენ.

სიმართლე რომ ითქვას, შორეული წარსულის გახსენება ამ უკანასკნელთა (ათენელთა, პ.ი.) სამხედრო და მოქალაქეობრივი სიდიადის აღსანიშნავად მოხდა: „კრიტიაში“ კი არის წინა დიალოგში მოცემული, ორი დაპირისპირებული მხარის – ძველი ათენის პოლისისა და ატლანტისის სამეფოს – აღწერა. ამასთან, ეს გაკეთებულია ერთგვარი სქემის მიხედვით და, ტექსტიდან გამომდინარე, პირობითად ხუთ ნაწილად იყოფა:

1. ძველი ატიკა და კუნძული ატლანტისი, ღმერთების ხვედრი ტერიტორია;
2. ძველი ათენის პოლისისა და ატლანტისის სახელმწიფოს სოციალური და პოლიტიკური მოწყობა, რელიგია და რიტუალები;
3. ძველი ატიკისა და კუნძულ ატლანტისის გეოგრაფიული დახასიათება;
4. ძველი ათენისა და ატლანტისის დედაქალაქის არქიტექტურისა და ადგილმდებარეობის აღწერა;
5. ატლანტისელთა დამარცხების ზნეობრივი მიზეზების წარმოჩენა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს სქემა ორივე დაპირისპირებული მხარის შესახებ საუბრისას გარკვეულ პარალელსა და თანაბარი რაოდენობის ინფორმაციის მოწვდენას გულისხმობს, პლატონი ასე არ აკეთებს და ატლანტისელთა შესახებ უფრო დაწვრილებით ლაპარაკობს, ვიდრე ძველ ათენელთა შესახებ.

მომდევნო თავში ვეცდებით გავარკვიოთ დიალოგების ავტორის ჩანაფიქრის მიზანი...

1 იხ.: Платон, Сочинения, “Критий», издательство «Мысль», Москва, 1971 г., том 3, გვ. 547-560

თავი II

რა ფარული აზრი ძევს დიალოგებში „ტიმეოსი“ და „კრიტია“

ატლანტისთან დაკავშირებით თავისი ნათქვამის უცილობელ ჭეშმარიტებად მიჩნევას პლატონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ამიტომ ჯერ კიდევ „ტიმეოსში“ ათქმევინა დიალოგის ერთ-ერთ მონაწილეს: „სოკრატე: რას ამბობ, კრიტია, რა შეიძლება ვამჯობინოთ იმას, რაც ყველაზე მეტად შეჰფერის ქალღმერთის პატივსაცემ მსხერპლშეწირვასა და ღმერთის მსახურებას, რადგან თვით ქალღმერთს ენათესავება. ეგეც არ იყოს, განა ცოტას ნიშნავს, რომ გამოგონილ მითთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ მართალ თქმულებასთან. ამაზე თუ უარს ვიტყვით, სად ან რას ვიპოვით უფრო უკეთესს? ღმერთმანი, ვერაფერს. მაშ, ღმერთი იყოს თქვენი შემწე, დაიწყეთ! მე კი, ჩემი გუშინდელი სიტყვის სანაცვლოდ, უსიტყვოდ დაგიგდებთ ყურს“[1].

ასე, რომ, დიალოგების ავტორმა სოკრატეს ათქმევინა, ატლანტისის ამბავი „მართალი თქმულება“ არისო და მაინც, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ პლატონი მალევე გააკრიტიკა მისმა მოწაფემ და ოპონენტმა არისტოტელემ. ყურადღებას იქცევს მისი ნათქვამი: „ვინც ატლანტისი გამოიგონა, მანვე გაგზავნა ის ზღვის ფსკერისკენ“[2]. ამრიგად, თუ არისტოტელეს ვერწმუნებით, საქმე გვაქვს, არც მეტი, არც ნაკლები, მისტიფიკაციასთან; ანუ ყველაფერი, რაც პლატონს შეუთხზავს ატლანტისთან დაკავშირებით, გამონაგონია და მეტი არაფერი.

კითხვაზე: თუ რა მიზეზი შეიძლება ჰქონოდა პლატონს ამისათვის, – პასუხი ასეთი შეიძლება იყოს: თუკი ატლანტისის ამბავი მართლაც პლატონმა შეთხზა, მაშინ ამ მოქმედების საფუძველი თავად დიალოგებშია საძებნელი: „ტიმეოსი“ და „კრიტია“ მისი სხვა დიალოგის, „სახელმწიფოს“, გაგრძელებებია და პლატონი ამ დიალოგების მეშვეობით თავისი პოლიტიკური შეხედულების ილუსტრირებას ახდენს. ამისთვის ის ქმნის იდეალურ სახელმწიფოთა მოდელებს (ცხადია, იდეალურის მისეული გაგებით), რათა ამ გზით მიაღწიოს უმთავრეს მიზანს: აჩვენოს იდეალური სახელმწიფო მოქმედებაში... ამას ამბობს კიდევაც „ტიმეოსში“: „სოკრატე: მაშ მომისმინეთ, რანაირ გრძნობას იწვევს ჩემში სახელმწიფო წყობილების ეს ჩვენი აღწერილობა. ამ გრძნობას მე შევადარებ იმას, რასაც აღგვიძრავს ხოლმე ზოგიერთი დიდებული და ლამაზი მხეცის დანახვა, რომლებსაც ან სურათზე გამოსახულთ ვხედავთ, ან კიდევ სინამდვილეში, მაგრამ უძრავთ და გარინდებულთ; ძალაუნებურად მოგინდება იმის დანახვაც, თუ როგორ მოძრაობენ ისინი, ან რანაირად ავლენენ ბრძოლაში იმ ძალებს, რასაც გვავარაუდებინებს მათი სხეულის მოქნილობა. ზუსტად ამნაირ გრძნობას აღმიძრავს ჩვენს მიერ წარმოსახული სახელმწიფოც. ნეტავი მომასმენინა ამბავი იმისა, თუ როგორ იქცევა ეს სახელმწიფო სხვა სახელმწიფოებთან ბრძოლაში, რარიგ ღირსეულად ებმება ომში, რანაირ გმირობას იჩენენ მისი მოქალაქენი, მათი აღზრდისა და განსწავლულობის შესაფერისად, ბრძოლის ველზე იქნება ეს თუ სხვა სახელმწიფოებთან მოლაპარაკებისას“[3].

1 იხ.: „ტიმეოსი“, “, გამომცემლობა „ირმისი“, 1994 წ., გვ. 287.

2 იხ.: http//historic.ru//lostcivil/atlantid/seqrch/01; html/Исторический портал Historic.ru/Атлантида/Литература об...)

3 იხ.: „ტიმეოსი“, “, გამომცემლობა „ირმისი“, 1994 წ., გვ. 279.

ამრიგად, პლატონს სურდა და აჩვენა კიდეც მის მიერ მოდელირებული სახელმწიფოები, ძველი ათენის პოლისი და ატლანტისი მოქმედებაში. ოღონდ, ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ არისტოტელე მართალია და ყველაფერი პლატონმა შეთხზა. არა, რა თქმა უნდა. ფაქტი ისაა, რომ არისტოტელეს შემოქმედებაში პლატონის კრიტიკას დიდი ადგილი უკავია. მათ ურთიერთობას კარგად გამოხატავს ლათინური სიტყვა-თქმა: Amicus Plato, sed magis amica veritas – პლატონი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარია.

ზოგჯერ არისტოტელეს მიერ ჭეშმარიტების ძიება ტენდენციურ ხასიათს იღებდა და ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც, როცა ატლანტისის ამბავი პლატონის მისტიფიკაციად გამოაცხადა. ძნელია, ამას ბოლომდე ვერწმუნოთ, რადგან მაშინ ზემოხსენებული დიალოგების პოლიტიკური მნიშვნელობა მხოლოდ იდეალური სახელმწიფოს მოდელის შექმნამდე დაიყვანება.

საქმე კი ის გახლავთ, რომ პოლიტიკური მიზნები სხვასაც ჰქონდა, კერძოდ, საისელ ქურუმ სონქისაც და ეგვიპტეში ძველი წელთაღრიცხვის 571 წელს ჩასულ სოლონსაც; ამასთან, განსხვავებულიც და გარკვეულწილად – მსგავსიც.

დავიწყოთ ეგვიპტელით: ვიდრე ძვ.წ. 664 წელს ფსამეტიქ I დააფუძნებდა XXVI (საისურ) დინასტიას, ეგვიპტეში სამი საუკუნე ბატონობდნენ უცხოელები – ლიბიელები, ნუბიელები, ასურელები და ეთიოპელები. ასე რომ, თავისუფლება-მოპოვებული და აღორძინების გზაზე შემდგარი სახელმწიფოსათვის (ეს პროცესი ხანგრძლივი არ ყოფილა და ძვ.წ. 525 წელს სპარსეთის მიერ ეგვიპტის დაპყრობით დამთავრდა) ათენელი პოლიტიკური მოღვაწის მოგზაურობა ეგვიპტეში ნამდვილად იყო მნიშვნელოვანი მოვლენა და ბრძენ ქურუმ სონქის შესაძლებლობას აძლევდა, იდეოლოგიური საფუძველი შეექმნა ათენის პოლისთან სამომავლო სამხედრო კავშირის დადებისათვის; ამიტომაც მოუთხრობდა ათენელ სტუმარს ძველისძველ ამბებს და ამ გზით მისი კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობდა. სავარაუდოდ, აქედან მოდის ძველი ათენის პოლისის უჩვეულო განდიდებაც და მსოფლიოს მხსნელად გამოცხადებაც; ეს კი მაფიქრებინებს, რომ მიზნის მისაღწევად ქურუმ სონქისაც დასჭირდებოდა შორეულ წარსულში გათამაშებული ისტორიის გარკვეული თვალსაზრისით მისტიფიცირება...

სხვა საქმეა, როგორ გაიაზრა გაგონილი სოლონმა და რა შედეგი მოჰყვა ამას.

ცხადია, მიღებული ინფორმაცია სოლონისათვის მეტად ღირებული იყო. მას ხომ იმ ათენის ძველი დიდების შესახებ ამცნეს, რომლის კანონმდებლობის სრულყოფას ამდენი დრო და ენერგია შეალია. შორეულ წინაპართა საგმირო საქმეები სოლონის თანამედროვე ათენელთათვის მისაბაძი მაგალითი უნდა ყოფილიყო. ის ბერძენთა ეროვნული ღირსების გრძნობას კიდევ უფრო გააღვივებდა და საისელი ქურუმის ნათქვამს საერთო ეროვნულ ღირებულებად, პრინციპად და ინტერესის საგნად აქცევდა.

სოლონის მიერ ეგვიპტიდან ჩამოტანილი ამბის განსაკუთრებული მნიშვნელობის დადასტურებას ვნახულობთ ისევ „ტიმეოსში“, სადაც ნათქვამია, სოლონს ბოლომდე რომ მიეყვანა თავისი პოემა, მის დიდებას ვერც ჰესიოდე და ვერც ჰომეროსი ვერ დაჩრდილავდნენო. ამრიგად, სოლონის შემდგომმა თაობებმა დიდად დააფასეს მის მიერ ნამცნები ისტორია.

„ტიმეოსის“ მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სოლონს პოემად რომ შეეთხზა ძველ ათენელთა ატლანტისელებზე გამარჯვების ამბავი, ის ბევრად მნიშვნელოვანი იქნებოდა ათენელთათ-

ვის, ვიდრე „ილიადაში“ ჰომეროსის მიერ გალექსილი აქაველთაგან ტროელთა ძლევის თქმულება.

მიუხედავად ეგვიპტიდან ჩამოტანილი ამბის აქტუალური ხასიათისა, პოლიტიკური თვალსაზრისით მისი გამოყენება სოლონმა ვერ შეძლო, რადგან კიდევ უფრო გაღრმავდა ჯერ კიდევ დიდი რეფორმატორის ათენში ყოფნის დროს დაწყებული სოციალური დაპირისპირება. საქმე იქამდე მივიდა, რომ რამდენიმე წელი მოქალაქეებმა არქონტის არჩევაც ვერ შეძლეს. შემდეგ დამახასიათებელ ტირანია. ამას მოჰყვა, ერთის მაგივრად, ათი არქონტის არჩევა, რომლებიც სხვადასხვა სოციალურ ფენას წარმოადგენდნენ, ბოლოს კი ყველაფერი პისისტრატეს ხანგრძლივი ტირანიით დამთავრდა. ცხადია, ასეთ დროს მოხუცებულ სოლონს, რომელმაც თავისი როლი უკვე შეასრულა ათენის პოლისის ისტორიაში, გაუჭირდებოდა ხელახლა დამკვიდრება პოლიტიკურ ასპარეზზე და ეს არც უცდია.

მისი დამსახურება ატლანტისთან დაკავშირებით არის ის, რომ მან საისელი ქურუმის, სონქის, მონათხრობი ათენში ჩამოიტანა. არა მგონია, სოლონს პოლიტიკური მოსაზრებით ამ თემასთან დაკავშირებით რაიმე მისტიფიკაცია განეხორციელებინოს, ამისი საჭიროება არ ჰქონია. ესეც არ იყოს, ქურუმის ნათქვამი თავიდანვე შეიცავდა როგორც პოლიტიკისათვის, ისე პოეზიისთვის საჭირო მასალას.

სავარაუდოდ, სოლონის ჩანაწერებმა უმცროსი კრიტიას მეშვეობით, პლატონამდე მიაღწია. პლატონს კი ნამდვილად ჰქონდა საფუძველი მისტიფიცირებისათვის. ცხადია, არა ისეთი, როგორზეც არისტოტელე ლაპარაკობდა.

იმ დროს, როდესაც პლატონი „ტიმეოსსა“ და „კრიტიას“ ქმნიდა, ათენის პოლიტიკური მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო, რაც, ბუნებრივია, შეურაცხჰყოფდა მოქალაქეთა თავმოყვარეობას. ბერძენ-სპარსელთა ომებში ბერძენთა გამარჯვების ორგანიზებაში ათენელებს დიდი წვლილი მიუძღოდათ. ამას მოჰყვა ათენის აღზევება და აყვავება. პერიკლეს მმართველობა გახლდათ ათენის პოლიტიკური ძლიერებისა და კულტურული აღმავლობის უმნიშვნელოვანესი ხანა. მოკლე დროში მოპოვებულმა ყოველმხრივმა წარმატებამ, როგორც თუკიდიდე გადმოგვცემს, პერიკლეს ათქმევინა: „ჩვენ გაოცების საგნად ვიქცევით თანამედროვეთა და შთამომავალთათვის და ხოტბის შესასხმელად ჩვენ ჰომეროსი არ გვჭირდება..“..[1] დაუფარავი პატივმოყვარეობა გამოსჭვივის ამ სიტყვებში, მაგრამ ათენის მესვეურთა ნამოქმედარი ამისი თქმის საფუძველს იძლეოდა...

პელოპონესის 27-წლიან ომში დამარცხების შედეგად ათენის პოლისმა დაკარგა გაბატონებული მდგომარეობა საბერძნეთში. ახლა ის დამცირებული და შევიწროებულია. ამას ათენელები და, ცხადია, პლატონიც, ბუნებრივია, მტკივნეულად განიცდიდნენ. ამიტომ პლატონისა და ათენელთათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სოლონის მიერ ეგვიპტიდან ჩამოტანილ ამბებს, რომლის მიხედვითაც 9000 წლის წინათ ათენელებმა საარაკო გამარჯვება მოიპოვეს ატლანტისის სამეფოთა გაერთიანებულ მხედრობაზე და გაათავისუფლეს მათ მიერ დაპყრობილი ხალხები.

ამიტომაც შეთხზა პლატონმა ის ორი დიალოგი, რადგან კარგად უწყოდა: შორეულ წინაპართა გამარჯვებათა შესახებ თხრობა ათენელებში გაამძაფრებდა ეროვნული ღირსების გრძნობას, რაც, თავის მხრივ, ეროვნულ ენერგიას გამოიხმობდა, ასე რომ სჭირდებოდა დაძაბუნებულ ათენს.

უდავოა, პლატონმა, ძველი ათენის პოლისსა და ატლანტისელთა სამეფოს აღწერისას,

1 იხ.: История древнего Мира, Главная редакция восточной литературы, Москва, 1989 г., გვ. 179.

ბევრი რამ თავისი პოლიტიკური შეხედულებებიდან მიაწერა ორივე მხარეს. ამისი დამტკიცება ადვილია, რადგან იდეალური სახელმწიფოს პლატონისეული ხედვა ცნობილია.

როგორც უკვე ვნახეთ, პლატონი დიალოგებიდან პირველად „ტიმეოსში“ იძლევა იდეალური სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ სოციალურ წოდებათა ჩამონათვალს: ქურუმები, ხელოსნები, მეჯოგეები, მონადირეები, მიწის მუშაკები და მეომრები. აქვე მიუთითებს, რომ ქურუმები და მეომრები განცალკევებულნი იყვნენ, მეომრებს მხოლოდ ომზე უნდა ეფიქრათ.

მეორედ ამ თემას პლატონი „კრიტიაში“ ეხება; ჯერ ძველი ათენის პოლისში არსებულ სოციალურ წოდებათა წარმომადგენლებს ჩამოთვლის, პირველ რიგში, მეომრებს; მეომართა წოდებას ის მიაკუთვნებს არა მარტო კაცებს, არამედ ქალებსაც და საჭიროდ მიიჩნევს მათ ერთობლივ წვრთნას. მეომრები ამ დიალოგშიც სხვა წოდებებისაგან განცალკევებით ცხოვრობენ, აქვთ ყველაფერი, გარდა ოქრო-ვერცხლისა. მათი პროფესია მემკვიდრეობით გადაეცემა, ისევე, როგორც მათი ქონება; ისინი არიან თანამოქალაქეების ბელადები და გუშაგნი. იქვე მითითებულია მეომართა სავარაუდო რიცხვიც – 20 ათასი.

სხვა წოდებებისგან პლატონი იხსენიებს ხელოსნებსა და მიწის მხვნელებს.

ამრიგად, ორივე დიალოგში პლატონი გვთავაზობს სოციალურ წოდებებად დაყოფილი სახელმწიფოს მოდელს.

ასეთი დაყოფის არსობრივი მნიშვნელობის შესახებ ის დაწვრილებით ლაპარაკობს დიალოგში „სახელმწიფო“: „მე მგონია, სახელმწიფოს მაშინ ეძლევა დასაბამი, როცა არც ერთ ადამიანს აღარ შეუძლია დაიკმაყოფილოს თავისი თავი, რადგანაც ათასი რამ სჭირდება. თუ, შენი აზრით, სახელმწიფოს დასაბამს სხვა რამე განაპირობებს?

– არა, სხვა არაფერი.

ამიტომ ყოველი კაცი ხან ვის მიმართავს და ხან ვის თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ათასნაირ გაჭირვებას რომ განიცდის, ათასობით კაცი ერთიანდება, რათა ერთად იცხოვრონ და შეეწიონ კიდეც ერთმანეთს. სწორედ ამ თანაცხოვრებას ვუწოდებთ ჩვენ სახელმწიფოს; ასეა, არა?

– რა თქმა უნდა.

– ამრიგად, ისინი რაღაცას იღებენ ერთმანეთისგან და სანაცვლოდ გასცემენ კიდეც, რადგანაც ყველას ჰგონია, რომ ეს უფრო უმჯობესია მისთვის.

– დიახ.

– მაშ, მოდი, ვცადოთ, – ვთქვი მე, – აზრით ჩავუყაროთ საფუძველი სახელმწიფოს; ხოლო ამ საფუძვლად, როგორც ჩანს, ჩვენი მოთხოვნილებანი უნდა მიგვაჩნდეს.

– უეჭველად.

– უპირველესი და უდიდესი მოთხოვნილება კი საზრდოსა და საარსებო საშუალებათა მოპოვებაა.

– რა თქმა უნდა.

– მეორე მოთხოვნილება ისაა, რომ საკუთარი ჭერი გეფაროს თავზე, მესამე – ის, რომ ტანსაცმელი გქონდეს, და ასე შემდეგ.

– მართალს ბრძანებ.

– მაშინ ისიც უნდა ვიკითხოთ, – ვუთხარი მე, – რანაირად გაართმევს თავს სახელმწიფო ყოველივე ამას. იქნებ ისე, რომ ერთი მიწის მუშა იქნება, მეორე – ხურო, მესამე – ფეიქარი და ასე შემდეგ? ხომ არ მივუმატოთ ამათ ხარაზი და ბევრი სხვა ხელოსანიც,

ვინც ჩვენი ხორციელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება?

– ცხადია, უნდა მივუმატოთ.

– მაშასადამე, საზოგადოება ოთხი თუ ხუთი კაცისაგან მაინც უნდა შედგებოდეს?

– როგორც ჩანს.

– კი მაგრამ, ყოველი მათგანი თავის საკუთარ საქმეს უნდა ასრულებდეს, იმ ანგარიშით, რომ მთელი საზოგადოებისათვისაც შრომობდეს? ასე, მაგალითად: მიწის მუშას, მიუხედავად იმისა, რომ ერთია, ოთხი სულის სამყოფი პური უნდა მოჰყავდეს, ოთხჯერ მეტ დროს ხარჯავდეს და ოთხჯერ უფრო მეტ ოფლსაც ღვრიდეს, რათა სხვებსაც უწილადოს თავისი ნაშრომ-ნაჯაფი; თუ არად დაგიდევს დანარჩენებს, მხოლოდ თავის სამყოფ მოსავალს იწევდეს, ოთხჯერ უფრო ნაკლებ დროს ხარჯავდეს, დროის დანარჩენ სამ მეოთხედს კი სახლის ასაშენებლად, ტანსაცმლის მოსაქსოვად თუ ფეხსაცმელის შესაკერად იყენებდეს. ასე რომ, სხვებისთვის კი არა, მხოლოდ თავისთვის წვალობდეს და თავისსავე საქმეს იგვარებდეს?

– პირველი უფრო იოლია, სოკრატე, ვიდრე მეორე, – თქვა ადიმანტემ.

– ამაში, ვფიცავ ზევსს, არაფერია უჩვეულო, – ვუთხარი მე, – შენი პასუხი მაფიქრებინებს, რომ ადამიანები დაბადებითვე განსხვავდებიან ერთმანეთისგან იმის მიხედვით, თუ ვის რა საქმის კეთების ნიჭი დაჰყვება თან, და არც თავიანთი ბუნებით ჰგვანან ერთმანეთს. განა შენც ამას არ გულისხმობ?

– დიახ, მაგას.

– მერედა, ვინ უკეთ ასრულებს თავის საქმეს – ვინც მრავალ ხელობაში გაწაფულია, თუ ვინც მხოლოდ ერთი ხელობა იცის?

– ვინც ერთი ხელობა იცის“[1].

როგორც ხედავთ, პლატონისათვის სოციალური ფუნქციის მქონე წოდებები – მიწათმოქმედთა, ხელოსანთა, მშენებელთა, ამას უნდა დავუმატოთ ციტირებული ტექსტის მიღმა დარჩენილი სხვა წოდებათა წარმომადგენლები: დურგლები, მჭედლები, მწყემსები, მეწაღეები, მონადირეები, დალაქები, მზარეულები, მენარდეები, პოეტები, მსახიობები, მუსიკოსები, ვაჭრები (თუმცა გადამყიდველებს, ე.ი. ქორვაჭრებს პლატონი ვერ იტანდა და მათდამი უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს), და სხვა, – სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენენ, რადგან ისინი ქმნიან იმ პროდუქტს (და უხვადაც), რომელიც სახელმწიფოდ ორგანიზებული საზოგადოებისათვის არის აუცილებელი.

პლატონის ეს ხედვა, ჩამოყალიბებული დიალოგში „სახელმწიფო“, თავისებურად აირეკლება დიალოგებში „ტიმეოსი“ და „კრიტია“.

სხვა ასეთი ანარეკლია მეომართა, იგივე მცველთა შესახებ თქმული ამავე დიალოგებში, რაც ასევე საფუძვლიანად აქვს დამუშავებული პლატონს „სახელმწიფოში“. განსაკუთრებით დიალოგის იმ მონაკვეთში, სადაც მცველთა აღზრდასა და ყოფაზეა ლაპარაკი: „...ყველაზე დიდი სიმახინჯე და საშინელებაა ის, როცა მწყემსები იმნაირად ზრდიან ფარის მოდარაჯე ქოფაკებს, რომ ისინი ურჩობის, შიმშილისა თუ რაღაც უკეთური ჩვეულების გამო, თვითონვე გლეჯენ ცხვრებს და, ამრიგად, ქოფაკებს კი აღარ ჰგვანან, არამედ – მგლებს.

– მართლაც რომ საშინელებაა.

– ამიტომ ყოველნაირი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ჩვენი მცველები ასევე არ ეპყრობოდნენ მოქალაქეებს და, თავიანთი მძლეთამძლეობისა თუ კეთილმოწყალე მფარველთა იმედით, მძვინვარე მოძალადეებს არ დაემსგავსონ.

– რა თქმა უნდა, ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ.

– მაგრამ ყველაზე უკეთესი საშუალება ის იქნებოდა, რომ წესიერად აღგვეზარდა ისინი... გარდა სათანადო აღზრდისა, საღი აზრი გვკარნახობს, ისე დავაბინავოთ და იმნაირი პირობები შევუქმნათ მათ, რომ არაფერმა შეუშალოთ ხელი თავიანთი მოვალეობის აღსრულებისას, რაც იმას გულისხმობს, რომ ყველაზე უკეთესი მცველები იყვნენ და არავითარ ზიანს არ აყენებდნენ თავიანთ თანამოქალაქეებს.

– დიახ, საღი აზრი სწორედ მაგას გვკარნახობს.

– მაშ, დაუკვირდი; თუ გინდა, რომ ღირსეულად მოიხადონ თავიანთი ვალი, აუცილებელია თუ არა, ისე დავაბინავოთ და იმნაირი პირობები შევუქმნათ მათ, როგორსაც მე გეუბნები. ჯერ ერთი, არც ერთი მათგანი არ უნდა იყოს რაიმე კერძო საკუთრების მფლობელი, გარდა იმ საგნებისა, რომლებიც აუცილებელია ყოველი ჩვენგანისათვის. მეორეც, არც ერთს არ უნდა ჰქონდეს იმნაირი საცხოვრისი თუ სათავსი, სადაც ვერ შეაღწევდა ნებისმიერი სხვა მოქალაქე. რაც შეეხება თავდაჭერილი და მამაცი მეომრებისათვის საკმარის სარჩოს, მას თავიანთი სამსახურის საზღაურად უნდა იღებდნენ დანარჩენი მოქალაქეებისგან, ისე, რომ არც შემოაკლდეთ და არც მოსჭარბდეთ მთელი წლის განმავლობაში. ისევე, როგორც ლაშქრობისას, ისინი ერთად უნდა ცხოვრობდნენ და ერთადვე ჭამდნენ პურსაც. ოქრო-ვერცხლზე კი მათ უნდა ვუთხრათ, რომ სულში ყოველთვის უბრწყინავთ ღვთითბოძებული ოქრო. ასე რომ, კაცთაგან ბოძებული ოქრო აღარ სჭირდებათ... მოქალაქეთა შორის მხოლოდ მათ ეკრძალებათ არა მარტო ოქრო-ვერცხლის ფლობა, არამედ, თვით მათი შეხებაც, იმ ჭერქვეშ ყოფნა, სადაც ოქრო-ვერცხლს ინახავენ და ოქროსა თუ ვერცხლის სასმისებით სმაც. მხოლოდ ესაა როგორც თვით მათი, ისე სახელმწიფოს ხსნის ერთადერთი საწინდარიც და საშუალებაც. რადგანაც საკმარისია საკუთარი ადგილ-მამულის, სახლ-კარისა თუ ოქრო-ვერცხლის მფლობელნი გახდნენ, რომ მცველები კი აღარ იქნებიან, არამედ მხვნელ-მთესველნი და მესაკუთრენი. ასე რომ, დანარჩენ მოქალაქეთა თანამდგომებად კი არა, მათ მტრებად და მრისხანე მბრძანებლებად მოგვევლინებიან. სხვათა მოძულენი და სხვებისგან მოძულებულნი, სხვათა მგმობელნი და სხვებისაგან გმობილნი მთელი თავიანთი დღე და მოსწრება თავს ვერ დააღწევენ შიშსა და ძრწოლას, ხოლო მათი შიშის მიზეზი შინაური მტერი უფრო იქნება, ვიდრე გარეშე მომხდური. ასე რომ, ადრე თუ გვიან, უფსკრულში გადაიჩეხებიან და სახელმწიფოსაც თან გადაიყოლებენ“[1].

აი, ასე ჩამოაყალიბა პლატონმა მცველთა ანუ მეომართა წოდების უფლება-მოვალეობები და მორალური კოდექსი. ისინი არსებითად უანგაროდ უნდა ემსახურონ დანარჩენ საზოგადოებას. ეს არის პლატონის იდეალურ სახელმწიფოში მეომართა არსებობის უმთავრესი პრინციპი და ის მთლიანად აისახა „კრიტიაში“, როცა პლატონი ძველი ათენის პოლისის მეომართა წოდებას აღწერდა.

ოღონდ ამით არ ამოიწურება პლატონის იდეების გადმოტანა დიალოგ „სახელმწიფოდან“ დიალოგებში „ტიმეოსი“ და „კრიტია“. ასე, მაგალითად, ყურადსაღებია ატლანტისის დედაქალაქის აღწერა: გავიხსენოთ, ქალაქი, რომლის ტოპოგრაფიასაც ფილოსოფოსი გვთავაზობს, გაშენებულია მთაზე. ეს მთა მდებარეობს კუნძულის ცენტრში. მას შემოვლებული აქვს სამი წრიული არხი და ორიც – მიწაყრილიანი წრე. წყლიანი წრე ანუ კონ-

1 იხ.: პლატონი, „სახელმწიფო“, გამომცემლობა „ნეკერი“, 2003 წ., გვ. 60-61.

1 იხ.: პლატონი, „სახელმწიფო“, გამომცემლობა „ნეკერი“, 2003 წ., გვ. 122-124.

ცენტრული არხი სხვა არხით უკავშირდება ზღვას. ამას გარდა, არხების მთელი სისტემა უზრუნველყოფდა მორწყვასა და ზედმეტი წყლის გადინებას.

მიწაყრილიანი და წყლიანი წრეები გეომერიული სიზუსტით იყო გაყვანილი.

ატლანტისის დედაქალაქის მკაცრად გეომეტრიული ხასიათი, და ამას უნდა დავუმატოთ დიდი დაბლობის ასევე გეომეტრიული ფორმა „მოგრძო მართკუთხედი“, თავის თეორიულ საფუძველს ისევ პლატონის „სახელმწიფოში“ პოულობს, სადაც გეომეტრიის მნიშვნელობაზე ასეთი დიალოგია გამართული: „მაშასადამე, ესაა ჩვენ მიერ აღიარებული პირველი მეცნიერება; ახლა კი მეორეც განვიხილოთ, რომელიც პირველს უკავშირდება და ვნახოთ, საჭიროა თუ არა ჩვენთვის.

– გეომეტრიას ხომ არ გულისხმობ?

– დიახ, სწორედ გეომეტრიას.

– რამდენადაც ის გამოიყენება სამხედრო საქმეში, – თქვა მან, – რა თქმა უნდა, გვჭირდება, ბანაკის გაშლა იქნება, ხელსაყრელი ადგილის დაკავება, ლაშქრის დარაზმვა თუ გაშლა, ან სხვა საომარი მოქმედებები როგორც ბრძოლის ველზე, ისე ჯარის გადაადგილებისას. ყოველივე ამას გეომეტრიის მცოდნე მხედართმთავარი გაცილებით უკეთ გაართმევს თავს, ვიდრე არმცოდნე.

– მაგრამ ამისთვის საკმარისი იქნებოდა გეომეტრიის სულ უმნიშვნელო ნაწილისა და ანგარიშის ცოდნაც, ჩვენ კი გვმართებს განვიხილოთ მისი უმთავრესი ნაწილი, გაცილებით უფრო ფართოდ რომ გამოიყენება, რათა დავრწმუნდეთ, შეესაბამება თუ არა ის ჩვენ მიერ დასახულ მიზანს, ან რამდენად გვიწყობს ხელს იმაში, რომ უფრო ადვილად ვჭვრეტდეთ სიკეთის იდეას. რა თქმა უნდა, ხელს გვიწყობს, ვამტკიცებთ ჩვენ, რამდენადაც აიძულებს სულს, მიიქცეს იმ სამყაროს მიმართ, რომელიც არის სავანე არსთა შორის უნეტარესი არსისა, ვის ხილვასაც დაუოკებლად უნდა მიელტვოდეს ყველა ჩვენგანი.

– მართალსა ბრძანებ.

– მაშასადამე, თუ გეომეტრია ჭეშმარიტი არსის ჭვრეტად მიგვაქცევს, ის საჭიროა ჩვენთვის, ხოლო თუ ქმნადობის ჭვრეტად – არა.

– ცხადია.

– მაგრამ ვისაც ცოტა რამ მაინც გაეგება გეომეტრიისა, ალბათ დაგვეთანხმება, რომ ეს მეცნიერება აშკარად უპირისპირდება იმ ენას, რომელსაც იყენებენ მისი მიმდევრები.

– როგორ?

– ეს ენა ძალზე სასაცილოა და უცნაური, რადგანაც ისინი პრაქტიკოსებივით ლაპარაკობენ და მხოლოდ პრაქტიკულ მიზნებს ისახავენ. ამიტომაც ერთთავად ეს აკერიათ პირზე: „ავაგოთ ოთხკუთხედი“, „დავუშვათ მოცემულ ხაზზე“, „მივუმატოთ“ და ასე შემდეგ. არადა, ამ მეცნიერების მიზანი შემეცნებაა.

– რა თქმა უნდა.

– ერთშიაც ხომ არ შევთანხმდეთ?

– რაში?

– მისი მიზანი მარადიული არსებობის შემეცნებაა და არა იმისი, რაც იბადება და კვდება.

– გეთანხმები. გეომეტრია მართლაც მარადიული არსებობის შემეცნებაა.

– მაშასადამე, ის, ჩემო კეთილშობილო, ჭეშმარიტებისაკენ მიაქცევს სულს და ფილოსოფიურ აზრს აღვიძებს მასში, რის შედეგადაც ზეგრძნობადი სამყაროს საგნებისკენ

მიმართავს ჩვენს მზერას, რომელიც ახლა, შეცდომით, გრძნობადი საგნებისკენ გვაქვს მიმართული“[1].

პლატონისათვის გეომეტრია „მარადიული არსებობის შემეცნებაა“, ის „ჭეშმარიტებისაკენ მიაქცევს სულს“. ასე რომ, გასაკვირი სულაც არ უნდა იყოს, რომ გეომეტრიის მისეულმა ხედვამ თავისი ასახვა ჰპოვა ატლანტისის დედაქალაქის (ძველი მეტროპოლიის) წარმოსახვაში. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რეალური ატლანტისის არქიტექტურა გამორიცხავდა გეომეტრიის რაიმენაირ გამოყენებას.

პლატონის პოლიტიკური შეხედულებების ასახვა დიალოგებში ამით არ დამთავრებულა.

ყურადღებას იქცევს სახელმწიფოთა მართვის ის სისტემები, რომლებიც მან „კრიტიაში“ შემოგვთავაზა. ის შეეხება ძველი ათენის პოლისსა და ატლანტისელთა სამეფოებს.

პირველი, რასაც პლატონი მათთან დაკავშირებით ამბობს, არის ის, თუ როგორი წესები ჰქონდათ თავიანთი სახელმწიფოების სამართავად და ვინ დაუწესა მათ ისინი. ეს ღმერთების ნამოქმედარი ყოფილა: ძველ ათენელებს ჰეფესტომ და ათინამ შთააგონეს „სახელმწიფოს მოწყობის ცნება“, ატლანტისელებს კი პოსეიდონის მიერ ნაბოძები კანონები ჰქონდათ.

ღმერთებმა ამ ქვეყნებში მართვის განსხვავებული სისტემა შექმნეს. საინტერესო ის არის, რომ ორივე ამ სისტემას პლატონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ასე, მაგალითად: ძველი ათენის პოლისში არის „ღვთაებრივ კაცთა წოდება“. ესენი იყვნენ „თანამოქალაქეთა გუშაგნი და ბელადნი“, ანუ საქმე გვაქვს სამხედრო-არისტოკრატიულ მმართველობასთან. პლატონი ყველაზე მეტად სახელმწიფოს მართვის ორ ფორმას აფასებს: მონარქიულს და არისტოკრატიულს. ვნახოთ, თუ როგორ მსჯელობს მათ შესახებ დიალოგში „სახელმწიფო“: „მე თუ მკითხავთ, სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთი სახეისაა, ახლახან რომ მიმოვიხილეთ, მაგრამ მას შეიძლება ორნაირი სახელი ეწოდოს: თუ მმართველთა შორის ყველას აღემატება ერთი, ამას სამეფო ძალაუფლება ჰქვია, ხოლო თუ ძალაუფლებას მრავალი მმართველი ინაწილებს, ეს იქნება არისტოკრატია.

– მართალს ბრძანებ.

– აი, სწორედ ამას ვსახავ სახედ.

მმართველობის ერთ-ერთ სახედ, რადგან მმართველი ერთი იქნება თუ მრავალი, ისინი არ დაარღვევენ სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს კანონებს, თუკი იმნაირად წარმართავენ ქვეშევრდომთა აღზრდას და სწავლას, როგორც ჩვენი მსჯელობისას ჩამოვაყალიბეთ.

– რა თქმა უნდა, არ დაარღვევენ“[2].

პლატონი არისტოკრატიისადმი სიმპათიას ამჟღავნებს აგრთვე დიალოგში „პოლიტიკოსი“. ის წერს:

„უცხოელი: მონარქიიდან ჩვენ გამოვყოფთ სამეფო ხელისუფლებას და ტირანიას, მცირერიცხოვანთა მმართველობიდან – არისტოკრატიას (დიდებული სახელია!) და ოლიგარქიას“[3].

ამრიგად, პირველ შემთხვევაში პლატონი სამეფო ძალაუფლებასა და არისტოკრატიის მმართველობას აიგივებს, მეორეგან კი არისტოკრატიის სახელწოდებაც კი მის აღტაცე-

1 იხ.: პლატონი, „სახელმწიფო“, გამომცემლობა „ნეკერი“, 2003 წ., გვ. 256-257.

2 იხ.: პლატონი, „სახელმწიფო“, გამომცემლობა „ნეკერი“, 2003 წ., გვ. 162.

3 იხ.: Платон, «Политик», Сочинения в трех томах, том 3, часть 2, Издательство «Мысль», Москва, 1971 г., გვ. 70.

ბას იწვევს. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის თავად არის სამეფო გვარის შთამომავალი, კოდროსიდების საგვარეულოს წარმომადგენელია და, ცხადია, ეს გარკვეულ როლს თამაშობდა მის შეხედულებათა ფორმირებაში. ამის გამოა, თუ სხვა მიზეზითაც, ფაქტია, რომ მცირერიცხოვანთა ანუ არისტოკრატიის მმართველობას პლატონი ძველი ათენის პოლისის მართვის იდეალურ სისტემად წარმოგვიდგენს.

ოღონდ პლატონი დიალოგში „სახელმწიფო“ იმასაც წერს, თუ რა ევალებათ სახელმწიფოს მმართველებს და როდის არიან ისინი სასარგებლონი თანამოქალაქეებისთვის და რა შემთხვევაში უქმნიან მათ საფრთხეს: „მაგრამ თუ ქვეყნისა და კანონიერების სადარაჯოზე მდგარი მცველები მხოლოდ სახელით იქნებიან მცველები და არა თავიანთი არსით, მალე შენი თვალით ნახავ, როგორ დააქცევენ და მიწასთან გაასწორებენ სახელმწიფოს, ვინაიდან მათზეა დამოკიდებული ქვეყნის ბედნიერებაც და კეთილდღეობაც“[1].

ასე რომ, პლატონისათვის იდეალურ სახელმწიფოში მცველები ანუ მმართველები არსობრივად უნდა შეესაბამებოდნენ ნაკისრ ვალდებულებას. „კრიტიაში“ აღწერილი ათენის ძველი პოლისის მეომრები და ბელადები სწორედ რომ შეესაბამებიან ამ მოთხოვნას, ამასთან, იმდენად კარგად, რომ მათ მთელ ელადაზე აქვთ გავლენა და, რაც მთავარია, როდესაც საფრთხე გაჩნდა, – ატლანტისელებმა მაშინდელი სამყაროს ნახევარი დაიპყრეს, – ძველი ათენის პოლისის მხედრობამ ატლანტისელთა უზარმაზარი არმია დაამარცხა და გაათავისუფლა მათ მიერ დაპყრობილი ხალხები, შემდეგ კი კუნძულ ატლანტისზეც შეიჭრა. ასე რომ, ძველი ათენის პოლისის მეომრებმა და ბელადებმა უნაკლოდ განახორციელეს ის ქმედება, რაც, პლატონის თვალსაზრისით, იდეალური სახელმწიფოს მმართველ სისტემას ევალებოდა.

თავისებურად იდეალურია ატლანტისელთა მართვის სისტემაც. აქ, როგორც ვიცით, მონარქიათა კავშირია. კუნძულზე ათი სამეფოა, ამათგან ერთი, ანუ პოსეიდონის უფროსი შვილის შთამომავალი, მთავარი მეფეა. მეფეები ფლობენ აბსოლუტურ ძალაუფლებას. ყოველ მათგანს „თავის სახელმწიფოში ხალხზე და კანონების დიდ ნაწილზე ჰქონდა ძალაუფლება ისე, რომ შეეძლო დაესაჯა და მოეკვდინებინა ნებისმიერი“. ეს უბრლოდ აბსოლუტური მონარქია არ არის, ტირანიაა, რომლის დროსაც მონარქს არაფერი ზღუდავს.

ატლანტისელთა სისტემის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ის, რომ, გამომდინარე პოსეიდონის კანონების მოთხოვნიდან (ერთადერთი, რასაც ანგარიშს უწევდნენ ატლანტისის მეფეები), ისინი ერთმანეთთან თანხმობითა და ურთიერთგაგებით ცხოვრობდნენ და საერთო საკითხებს, ერთობლივი რიტუალების ჩატარების შემდეგ, თათბირის გზით წყვეტდნენ.

შესაძლოა, სწორედ ამ ურთიერთობაში დავინახოთ იდეალური სახელმწიფოს ნიშნები.

აღსანიშნავია, რომ ატლანტისელთა მეფეები ღვთაებრივ რიტუალებს თავად ასრულებდნენ, ანუ მათში გაერთიანებულია მეფე და ქურუმი. ამრიგად, ისინი ორივე ფუნქციას ითავსებდნენ.

ატლანტისელები ქმნიან მდიდარ და ძლევამოსილ სახელმწიფოს და ბედნიერად ცხოვრობდნენ, ვიდრე არ დაკარგეს ღვთაებრივი ბუნება და მათში არ იმძლავრა ყველანაირმა ადამიანურმა სისუსტემ, რის შედეგადაც ისინი დაემონნენ თავიანთ სიმდიდრეს და მის გასამრავლებლად წამოიწყეს უსამართლო დაპყრობითი ომი, მაგრამ დამარცხდნენ და, სავარაუდოდ, ზევსის რისხვის გამო, მათი კუნძული ოკეანეში დაინთქა.

1 იხ.: პლატონი, „სახელმწიფო“, გამომცემლობა „ნეკერი“, 2003 წ., გვ. 126-127.

აქ ბუნებრივად ჩნდება კითხვა: თუ ატლანტისი იდეალური სახელმწიფოს მოდელია, მაშინ რატომ დაუშვა მისი დაღუპვა პლატონმა? საქმე ისაა, რომ დიალოგების ავტორს ანგარიში უნდა გაეწია ორი საკითხისათვის: პირველი. ატლანტისის დაღუპვის შესახებ ლაპარაკისას ის მიჰყვება პირველწყაროს მიერ მოწვდილ ცნობას. მეორე. პლატონისათვის ატლანტისი არის უარყოფითი სახელმწიფოს იდეალური მოდელი, ისეთი, რომელიც პოლიტიკური თვალსაზრისით უცხოა ბერძენთათვის. ნუ დაგვავიწყდება, რომ ატლანტისელები ეომებოდნენ ძველი ათენის პოლისს და მათ ხელოვნებაში „არის რაღაც ბარბაროსული“, ანუ უცხო ბერძენთათვის... მიუხედავად მონარქიისადმი პლატონის პირადი სიმპათიისა და რომ ატლანტისელთა სახელმწიფო წყობა მონარქიულია, ათენელები უპირატესობას ანიჭებდნენ დემოკრატიულ მმართველობას, რომელიც მათი პოლიტიკური ცხოვრების წიაღში იშვა. ამ ფაქტს ხაზგასმულად წარმოაჩენს პლატონი დიალოგში „პოლიტიკოსი“: „ათენელი: მომისმინე! არსებობს ორი, ასე ვთქვათ, დედასახეობა სახელმწიფო მოწყობისა, რომელთაგან, მართალი რომ ვთქვა, იშვნენ დანარჩენები. სწორი იქნება, მივუთითოთ მონარქიაზე, როგორც ამათგან პირველზე, და აგრეთვე, დემოკრატიაზე, როგორც მეორეზე. მონარქიამ უმაღლეს განვითარებას მიაღწია სპარსელებთან, დემოკრატიამ – ჩვენთან“[1].

აი, ამაშია საქმე, დემოკრატია ათენის პოლიტიკური კულტურის წიაღში წარმოიშვა და ათენელ პლატონს, ცხადია, ამისთვისაც უნდა გაეწია ანგარიში.

რამდენადაც აშკარად ჩანს, რომ „ტიმეოსსა“ და „კრიტიაში“ ძველი ათენის პოლისისა და ატლანტისის სამეფოს პოლიტიკური სისტემების აღწერისას პლატონმა გამოიყენა თავისი პოლიტიკური შეხედულებები, იმდენად სავარაუდოა, რომ ატლანტისელთა ხელოვნებისა და რიტუალების, აგრეთვე არქიტექტურული ფორმებისა და ლანდშაფტის დაგეგმარებაზე თხრობისას – ცხადია, თუ ეს ყველაფერი ქურუმ სონქისა და სოლონისგან არ მომდინარეობს დეტალიზებულად მოცემული – პლატონმა მსგავსი ხასიათის ამბები გამოიყენა, ანდა მსგავსმა ამბებმა ერთგვარად გააღვივა მისი ფანტაზია. ასეა თუ ისე, პლატონის ზემოხსენებული დიალოგების კითხვისას უნებლიეთ გახსენდება ჰომეროსის „ოდისეა“, რომელშიც ლაპარაკია ფეაკელთა მეფის, ალკინოეს სასახლეზე, ბაღებსა და ბოსტნებზე, ზღვაში, სადღაც დასავლეთით მდებარე კუნძულ სქერიაზე რომ იყო აშენებული და გაშენებული.

სხვათა შორის, ეს ალკინოეც პოსეიდონის შთამომავალია; მის ქალაქში დგას პოსეიდონის ტაძარი, არის ვრცელი მოედანი და ნავსადგური. სასახლის გარშემო გაშენებულია დიდებული ბაღი და ბოსტანი, რომელიც ზაფხულშიც და ზამთარშიც უხვად იძლევა ყოველგვარ ხილსა და ბოსტნეულს. თავად სასახლე პოემაში ასეა აღწერილი:

„ოდისევსი კი, ალკინოეს სახლთან მისული,
ფიქრებს შეეპყრო, ვიდრე ზღურბლზე ფეხს გადადგამდა, –
გაბრწყინებული იყო ერთთავ, მზის და მთვარისებრ,
ტურფა სასახლე დიდსულოვან ალკინოესი.
სპილენძის კედლის ბრწყინვალება თვალს ჭრიდა ერთობ,
ზემოდან ედგა ლავგარდანიც, ლურჯად ელვარე.
თვით შესასვლელი ოქროს კარით შემკობილიყო.

1 იხ.: Платон, «Политик», Сочинения в трех томах, том 3, часть 2, Издательство «Мысль», Москва, 1971 г., гз. 164.

სპილენძის ზღურბლს კი გაჰყოლოდა ვერცხლის წირთხლები
და კარნაგელიც – ვერცხლის, ოქროს სახელურითა.
ორივე მხარეს ოქრო-ვერცხლის ძაღლები იწვა,
ჰეფესტოს მიერ დიდი ნიჭით ნახელოვნები,
რომ დიდსულოვან ალკინოეს სახლი დაეცვათ,
მარად უკვდავთა და მარადჟამს უბერებელთა.
კედლების გასწვრივ სავარძელნი ჩამწკრივებულნი
ზღურბლიდან ვიდრე სრა-სასახლის დასასრულამდე,
ზედაც საფარი რბილ თივთიკის, უცხოდ ნაქსოვი.
ამ სავარძლებში ფეაკების თავკაცნი ისხდნენ.
ჭამდნენ და სვამდნენ და არ აკლდათ მათ პურ-მარილი.
ოქროს ჭაბუკთა მწკრივი მაღალ კვარცხლბეკებიდან
ხელში ანთებულ ჩირაღდნებით გადმომდგარიყო
მოდარბაზეთა თავზე შუქის გადმოსაფენად“[1].

როცა „ოდისეას“ ამ მონაკვეთს ეცნობი, პირველი, რაც გახსენდება, ეს ატლანტისის პლატონისეული აღწერაა და საფიქრებელია, რომ „ოდისეას“ აღნიშნულმა ფრაგმენტმა ზოგი რამ მაინც უკარნახა პლატონს. მათ შორის ალკინოეს სასახლის უცნაურმა გაფორმებამ, სპილენძისა და ოქრო-ვერცხლის უხვად გამოყენებამ არქიტექტურული და დეკორატიული თვალსაზრისით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პოემის ზემოხსენებული ფრაგმენტის თაობაზე ასეთი მოსაზრებაც გამოითქვა: „ამ სასახლის აღწერილობაში დაცული უნდა იყოს ცნობები მიკენის ეპოქის სასახლეებზე, რომლებიც ჰომეროსის დროს უკვე ნანგრევებს წარმოადგენდნენ“[2].

ამრიგად, ის, რაზეც „ოდისეაშია“ ლაპარაკი, რეალურად არსებული წარსულის გამოძახილი ყოფილა. ოღონდ, სურათი რომ სრული იყოს, მას კრეტის ეპოქაც უნდა მივუმატოთ თავისი დიდებული სასახლეებით და მაშინ თამამად შეგვეძლება ვთქვათ, რომ „ოდისეაში“ არეკლილი წარსული თავისებურად აირეკლა პლატონის დიალოგშიც. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ასეთი მოსაზრება ჭეშმარიტებასთან მეტად ახლოს არის...

სხვა ასეთ ასოციაციას ციცერონის მიერ „ისტორიის მამად“ წოდებული ჰეროდოტეს „ისტრიაში“ ამოკითხული ამბავი იწვევს, ასე რომ ჰგავს პლატონის მიერ ძველი მეტროპოლიის აღწერას, სადაც ის ლაპარაკობს იმის თაობაზე, თუ როგორ იყო ატლანტისის დედაქალაქში ზოგი შენობა თეთრი, შავი და წითელი ქვებით მოპირკეთებული; მიწაყრილის გარშემო აგებული კედელი მთელ სიგრძეზე სპილენძით მოპირკეთებული; შიდა მიწაყრილის კედელი – ჩამოსხმული კალით, ხოლო აკროპოლის კედელი კი ორიხალკით ყოფილა ამოგებული. აკროპოლის შიგნით კლეიტოსა და პოსეიდონის ტაძარს ოქროს კედელი ჰქონია შემოვლებული; პოსეიდონისადმი მიძღვნილი ტაძრის გარე მხარე ვერცხლით იყო დაფარული.

ამ გასაოცარ სიმდიდრეს ანალოგია აღმოსავლურ ფუფუნებაში მოეძებნება.

1 იხ.: ჰომეროსი, „ოდისეა“, მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1979 წ., VII, 80-100, გვ. 170-171.

2 იხ.: ალ. წერეთელი, „ძველი საბერძნეთი“, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1965 წ., ტომი I, გვ. 109.

ვნახოთ, როგორ აღწერს მიდიელთა დედაქალაქს ჰეროდოტე: „მიდიელები დაჰყაბულდნენ ამაზე და ააგეს დიდი და მაგარი ზღუდეები (რასაც აგბატანა ეწოდება), ისე, რომ ერთი ზღუდე მეორეში მრგვალად იყო ჩადგმული. ისე იყო ეს ციხე-სიმაგრე გაკეთებული, რომ ერთი წრე მეორეზე უფრო მაღალი იყო მხოლოდ ბასტიონებით. ამ გარემოებას ზოგან თვითონ ადგილი შველოდა, რომელიც ბორცვებიანი იყო, ზოგან კი ეს ხელოვნურად გააკეთეს. წრე სულ შვიდი იყო, ხოლო უკანასკნელში იყო მეფის სასახლე და საგანძურები. მათ შორის უდიდესი ზღუდე სიდიდით არის, ათენის ირგვლივ რომ კედელია, დაახლოებით იმოდენა. პირველი წრის ბასტიონები არის თეთრი, მეორისა – შავი, მესამე წრისა – მიწისფერი, მეოთხისა – ლურჯი, მეხუთისა – ღია წითელი. ყველა წრის ბასტიონები ეგრე იყო შეღებილი წამლით, ხოლო ორი უკანასკნელიდან ერთს ბასტიონები მოვერცხლილი აქვს, მეორეს კი მოოქრული“[1].

როგორც ცნობილია, ჰეროდოტემ თავისი თხზულება საჯაროდ წაიკითხა ათენში ძვ.წ. 447 თუ 445 წელს, ე.ი. პლატონის დაბადებამდე 20 თუ 18 წლით ადრე. ასე რომ, ფილოსოფოსს შეეძლო „ისტორიის მამის“ თხზულებებს გასცნობოდა და მის მონათხრობს მიდიელთა დედქალაქის თაობაზე, შესაძლოა, მოეხდინა კიდეც გავლენა პლატონზე, როცა ის ძველი მეტროპოლიის არქიტექტურულ სურათს ხატავდა. მით უმეტეს, ნიმუშად მას ბარბაროსული ქალაქი სჭირდებოდა.

ვარაუდები ანტიკური ლიტერატურიდან ნიმუშების მოხმობის თაობაზე ლოგიკას მოკლებული არ არის. მით უმეტეს, რომ ატლანტისელთა არქიტექტურულ ფორმებს და ზოგიერთი რიტუალის ხასიათს მიდიურ თუ ეგვიპტურ ყოფაში ანალოგიები ნამდვილად ეძებნება.

გავიხსენოთ „კრიტიაში“ მოთხრობილი ამბავი ატლანტისელთა ათივე მეფის მიერ ფიცის დადებისა. ამ მოქმედების არსი ის იყო, რომ სამეფოთა კავშირი კანონების მიხედვით უნდა ემართათ, რა დროსაც სრულდებოდა ხარის მსხვერპლად შეწირვისა და მისი სისხლის ოქროს ფიალებით შესმის რიტუალი, რაც ძალიან ჰგავს იმას, რასაც ჰეროდოტე წერს თავის ისტორიაში: „ამას ამბობენ თვითონ ეგვიპტელები; ახლა კი გადმოვცემ იმას, რასაც ამბობენ სხვა ხალხები ამ ქვეყნის შესახებ და ეგვიპტელები მათ ეთანხმებიან. ამას კიდევ ზოგს რასმე დავუმატებ, რაც მე თვითონ მინახავს. ეგვიპტელები რომ განთავისუფლდნენ ჰეფესტოსის ქურუმის მეფობის შემდეგ (რადგან მათ არასოდეს არ შეეძლოთ უმეფოდ ცხოვრება), დააყენეს 12 მეფე და მთელი ეგვიპტე 12 ნაწილად დაჰყვეს. ეს მეფეები ერთმანეთს დაუმოყვრდნენ და მეფობდნენ შემდეგი კანონის დაცვით: ერთმანეთის ძალაუფლება არ უნდა დაემხოთ, არ უნდა ცდილიყვნენ, რომ ერთს მეორესთან შედარებით რაიმე უპირატესობა ჰქონოდა და პირიქით, ერთმანეთში განსაკუთრებით უნდა ემეგობრათ. ეს კანონები მათ შემდეგი მიზეზის გამო დააწესეს და ძალიან მკაცრად იცავდნენ კიდეც: იმთავითვე, როგორც კი ტირანია მათ ხელში გადავიდა, ასეთი მისნობა მოუვიდათ: რომელი მათგანიც ჰეფესტოსის სალოცავში მოახდენდა დათხევას, ის გამეფდებოდა მთელს ეგვიპტეში. ამიტომ ისინი ყოველგვარ ღვთისმსახურებაზე ერთად დადიოდნენ... თორმეტი მეფე სამართლიანად იქცეოდა. ერთხელ, როდესაც ისინი ჰეფესტოსის სალოცავში მსხვერპლს სწირავდნენ, დღესასწაულის უკანასკნელ დღეს დათხევა უნდა მოეხდინათ. ქურუმთმთავარმა გამოუტანა მათ ოქროს ფიალები, რომლებითაც ხდებოდა ჩვეულებრივ დათხევა, მაგრამ რაოდენობა შეეშალა და 11 ფიალა გამოიტანა

1 იხ.: ჰეროდოტე, „ისტორია“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1975 წ., ტ. I, გვ. 74.

მაშინ, როდესაც მეფეები თორმეტნი იყვნენ. რაკიღა ფიალა აღარ შეხვდა მათ შორის განაპირას მდგომ ფსამეტიქოსს, მან თავიდან მოიხადა სპილენძის მუზარადი, შეუშვირა და ასე მოახდინა დათხევა“[1].

როგორც ვნახეთ, ათი ატლანტისელი მეფის რიტუალი, ოქროს ფიალებით ხარის სისხლის შესმისა და სისხლის დათხევისა, ძალიან ჰგავს ჰეროდოტეს მიერ აღწერილი თორმეტი ეგვიპტელი მეფის მიერ მსხვერპლის შეწირვის ბოლო დღეს ოქროს ფიალებით დათხევის რიტუალს და ცთუნებაც დიდია იფიქრო, რომ პლატონი გაეცნო ჰეროდოტეს თხზულებას და იქ აღწერილი რიტუალი დიალოგში ამბის დასასურათებლად გამოიყენა... მაგრამ ანტიკურ სამყაროში მსგავსი რიტუალები ფართოდ იყო გავრცელებული ეგვიპტეშიც და საბერძნეთშიც. ამის დადასტურებას ანტიკურ ლიტერატურაში ყოველ ნაბიჯზე ვაწყდებით. ასე, მაგალითად: „ისტორიაში“ სულ სხვა ადგილას ჰეროდოტე ანალოგიურ რიტუალს აღწერს: „მათ რომ ეს შეიტყვეს, მხსნელი პოსეიდონის მიმართ ილოცეს, მის პატივსაცემად სამსხვერპლოზე ზედაშე დასთხიეს და რაც შეიძლება სასწრაფოდ დაბრუნდნენ არტემისიონში“[2].

ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ აღუწერეს სოლონს ატლანტისი ბრძენმა ქურუმებმა, ჰელიოპოლისელმა ფსენოფისმა და საისელმა სონქიმ (განსაკუთრებით ამ უკანასკნელმა), ზოგადად ამბავი ამცნეს თუ დეტალებსაც ჩაუღრმავდენენ. შესაბამისად, არ ვიცით, თუ რა ხასიათის მასალა დარჩა სოლონს და რა მიიღო პლატონმა. მაგრამ, როგორც ვნახეთ, მან თავისი პოლიტიკური შეხედულებების გამოსახატავად, მათ დასასურათებლად გამოიყენა მონათხრობი ატლანტისის თაობაზე. იმის თაობაზე, რომ პლატონმა შეავსო სოლონის დანატოვარი, ისევ და ისევ პლუტარქე წერს სოლონის ბიოგრაფიაში: „ატლანტისის თქმულების შინაარსი პლატონისათვის მშვენიერი, მაგრამ დაუმუშავებელი ნიადაგი იყო, რომელიც ნათესაობის უფლების ძალით მიიღო. პლატონი დიდ პატივისცემად თვლიდა დაემუშავებინა და გაელამაზებინა იგი. სოლონის მიერ დაწყებულ საქმეს მან ისეთი დიდი ტალავარი დაუდგა, ისეთი გალავანი შემოავლო და ისეთი ვრცელი ეზო გაუშალა წინ, როგორიც არც ერთ გადმოცემას, არც ერთ თქმულებას და არც ერთ პოემას არ ღირსებია. ამ საქმეს პლატონმაც გვიან მოჰკიდა ხელი და მანამდე გამოესალმა წუთისოფელს, სანამ შრომას დაასრულებდა. ჩვენ, მართალია, დიდად ვტკბებით იმით, რაც მან დაგვიწერა, მაგრამ უფრო მეტად გულსა გვწყვეტს ის, რისი შექმნაც ვერ მოასწრო. როგორც ათენელებმა ვერ დაასრულეს ოლიმპიონის აგება, ისე პლატონის სიბრძნემ მრავალ ძვირფას ნაწარმოებთა შორის ვერ მოასწრო დაემუშავებინა ატლანტისის თქმულება“[3].

უკვე მოგახსენეთ იმის შესახებ, რა შეიტანა პლატონმა თავისი შეხედულებებიდან დიალოგებში და ისიც მოგახსენეთ, თუ საიდან შეიძლება ყოფილიყო აღებული რიგი აღწერილობისა, ის რომ იძლევა.

ძველი ათენის პოლისისა და ატლანტისის პლატონისეულ მოდელირებას მეცნიერები „რესტავრირებულ უტოპიას“ უწოდებენ; აგრეთვე ლაპარაკობენ „ათასწლოვანი წარსულის იდეალიზების“ შესახებ, მაგრამ, როგორც არ უნდა შეაფასონ „ტიმეოსი“ და „კრიტია“, თუ ამ დიალოგებს დავუკვირდებით, საინტერესოდ მოთხრობილი და ხატოვნად

1 იხ.: ჰეროდოტე, „ისტორია“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1975 წ., ტ. I, გვ. 174-176.

2 იხ.: ჰეროდოტე, „ისტორია“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1975 წ., ტ. II, გვ. 472.

3 იხ.: პლუტარქე, „რჩეული ბიოგრაფიები“, „სოლონი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1975 წ., გვ. 174.

აღწერილი ამბების მიღმა შეიძლება დავინახოთ შორეული წარსულის აჩრდილი. ასე, მაგალითად: ძველი ათენის პოლისის მართვის სისტემაში მეომრების გარდა ნახსენებია ბელადები. ეს საშუალებას გვაძლევს მათში სამხედრო-გვაროვნული არისტოკრატიის წარმომადგენლები დავინახოთ, ხოლო ატლანტისელ მეფეთა რიტუალებში მოჩანს ის ეპოქა, როცა ხალხებს და ქვეყნებს მართავდნენ მეფე-ქურუმები. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ დიალოგებში აირეკლა კაცობრიობის განვითარების ადრინდელი ეტაპები.

უაღესად საინტერესოა ის ფაქტი, რომ პლატონი ზედმიწევნით ზუსტად ჩასწვდა ატლანტისელთა სახელმწიფოს დაცემის მიზეზს, როცა ის ლაპარაკობს ზნეობრივ კრიზისზე ატლანტისში. რაც გამოვლინდა იმით, რომ ატლანტისელებმა გადააფასეს ღირებულებანი, მათ ხასიათში გაძლიერდა სიხარბე და მომხვეჭელობა, მიდრკნენ ძალმომრეობისაკენ, რასაც პლატონი ღვთაებრივი ბუნების დაკარგვით ხსნის.

თუ პლატონის ნათქვამს შევუდარებთ ერთ თანამედროვე სამეცნიერო მოსაზრებას, დავინახავთ გასაოცარ მსგავსებას; საქმე ის გახლავთ, რომ ამ შეხედულების მიხედვით სახელმწიფოს წარმოქმნას, მის გაძლიერება-აღორძინებას და, პირიქით, დასუსტება-დაღუპვას განაპირობებს ეთნოსის ზნეობრივი მდგომარეობა, – ვგულისხმობ თეორიას პასიონარული ბიძგის შესახებ, რაც ეთნოგენეზის საწყისი მომენტია და რის შედეგადაც ეთნოსში არსებულ პასიონარ ინდივიდთა ანუ ალტრუისტთა რაოდენობა და აქტიურობა ხდება ამ ეთნოსის მამოძრავებელი ძალა; ამას მოჰყვება ერის ჩამოყალიბება, სახელმწიფოს შექმნა, ვითარდება მეურნეობა და კულტურა, მაგრამ ბიძგიდან განვლილი 1000-1500 წლის მანძილზე პასიონართა ანუ ალტრუისტთა რიცხვი კატასტროფულად კლებულობს, სუბპასიონართა ანუ ეგოისტ ინდივიდთა რიცხვი კი უზომოდ იზრდება, რაც საბოლოო ჯამში ეთნოსის ქმედუნარიანობის დაკარგვისა და განადგურების მიზეზი ხდება[1].

დიახ, თუ შევუდარებთ გასაოცარ დამთხვევას, ვნახავთ, რომ ის კანონზომიერება, რაც ამ თეორიას უდევს საფუძვლად, პლატონმა 2400 წლის წინ შენიშნა და ატლანტისელთა ზნეობრივი დაცემისა და დაღუპვის ამბავი ამის ნიმუშად წარმოგვიდგინა...

დიალოგებში „ტიმეოსი“ და „კრიტია“ არანაკლებ ყურადსაღებია მსჯელობა გეოგრაფიული გარემოს ხასიათისა და მისი შეცვლის მიზეზების თაობაზე.

პლატონი დაწვრილებით აღგვიწერს როგორც ნახევარკუნძულ ატიკას, ისე კუნძულ ატლანტისს. პირველთან დაკავშირებით გავიხსენოთ, რომ ის ლაპარაკობს უძველეს დროს ატიკაში განსაკუთრებულად მდიდარი ბუნების თაობაზე, ნოყიერ მიწას მდინარეები და წყაროები რწყავდნენ და ის იმდენად უხვ მოსავალს იძლეოდა, რომ თავისუფლად შეეძლო მოსახლეობის გამოკვება. იმ დროს თურმე აკროპოლისის ბორცვი ახლანდელზე ბევრად დიდი ყოფილა, ნოყიერი მიწით შემოსილი, ბაღებში ჩაფლული. საერთოდ, ძველი ატიკა რაღაც მიწიერი სამოთხის მსგავსია და მას გააჩნია ყველა ის სიკეთე, რაც პლატონის თანამედროვე ატიკაში სანატრელი იყო.

რაც შეეხება მეორეს, ანუ კუნძულ ატლანტისს, მას პლატონი კიდევ უფრო ფერადი საღებავებით აღწერს: ის არის არნახულად მდიდარი კუნძული, რომლის წიაღშიც მოიპოვებოდა ყველა სახის მადნეული და მათ შორის ორიხალკი. არის ვრცელი ტყე, რომელიც კვებავს უამრავ ნადირს და, თქვენ წარმოიდგინეთ, სპილოებსაც კი. აქაც უაღრესად ნოყიერი

1 იხ.: Л.Н. Гумилев, «Этногенез и биосфера земли». ГИДРОМЕТЕОИЗДАТ, 1990 г. აგრეთვე, პ. იაკაშვილი, „ეროვნული იდეა“, თბილისი, 2003 წ.

მიწაა, რომელიც უხვად ირწყვება. ამას გარდა, ატლანტისელებს ირიგაციის სისტემა კარგად ჰქონდათ მოფიქრებული, უამრავი არხის წყალობით წვეთი წყალი არ ეკარგებოდათ და მოსავალსაც ბევრს იღებდნენ.

ამრიგად, დიალოგებში აღწერილი ძველი ატიკაცა და კუნძული ატლანტისიც სამოთხისებური ადგილებია, რომლის მსგავსი დედამიწაზე ცოტა თუ მოიძებნებოდა.

როგორც სოლონს საისელმა ქურუმმა უთხრა, წარღვნებმა გადარეცხა და ზღვაში ჩაიტანა ატიკის ნაყოფიერი მიწა, კუნძული ატლანტისი კი ოკეანეში დაინთქა. ქურუმ სონქის მონათხრობს თუ დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ ამ კატასტროფათა ამა თუ იმ ფორმით გამომწვევნი ღმერთები უნდა ყოფილიყვნენ. სონქიმ ისიც იცოდა, რომ ეგვიპტელებს და ბერძნებს არსებითად ერთი პანთეონი ჰქონდათ და კარგად იყო გარკვეული ამ ღმერთების ქმედებათა ხასიათში.

რაც შეეხება ბერძნებისა და ეგვიპტელების რელიგიურ ურთიერთობას, ამის თაობაზე მეტად საინტერესო მოსაზრებას გვაწვდის ჰეროდოტე: „ელადაში თითქმის ყველა ღმერთის სახელი ეგვიპტიდანაა შემოსული; ეს სახელები რომ ბარბაროსთაგან არის გადმოღებული, ეს დანამდვილებით შევიტყვე გამოკითხვის შედეგად, ხოლო მე კი უფრო ის მგონია, რომ სწორედ ეგვიპტიდან შემოვიდა ელადაში ეს სახელები, გარდა პოსეიდონისა და დიოსკურებისა, რის შესახებაც ზემოთ ვილაპარაკე. ჰერას, ჰესტიას, თემიდას, ქარიტების, ნერეიდებისა და ყველა სხვა ღმერთების სახელები ეგვიპტელების ქვეყანაში ცნობილი იყო იმთავითვე“[1].

ჰეროდოტეს ნათქვამს ადასტურებს საისელი ქურუმი სონქი, როცა სოლონს ძველი ათენის ამბავს უყვება: „იმ ქალღმერთის გულისთვის, რომელსაც წილად ხვდა და რომელმაც აღზარდა და გაანათლა როგორც შენი, ისე ეს ჩვენი ქალაქიც“... მოგეხსენებათ, ლაპარაკია ეგვიპტელთა ქალღმერთ ნეითზე, იმავე ბერძენთა ათენაზე.

დავიწყოთ ქალღმერთის ეგვიპტური, ანუ ორიგინალური ვარიანტით: ნეითი ნიშნავს „საშინელს“. ის უზენაესი ქალღმერთია, ღმერთების დედა, ეგვიპტურ რელიგიასა და მითოლოგიაში ქალის საყოველთაო კულტის ერთ-ერთი უძველესი სახე. ნეითის კულტი ჯერ კიდევ წინარეისტორიული ეპოქიდან იღებს დასაბამს, როცა მას თაყვანს სცემდნენ ფეტიშის – ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ორი ისრისა და ფარის სახით, უფრო გვიან კი ანთრომორფულად გამოსახავდნენ ქვემო ეგვიპტის სამეფო გვირგვინზე: ქალღმერთს ხელთ მშვილდ-ისარი ეპყრა. არქაულ ეპოქაში ნეითი დედოფალთა მფარველ ღვთაებად ითვლებოდა. XXVI დინასტიის დროს, როცა ეგვიპტის ფარაონები წარმომავლობით საისელები იყვნენ, საისში იდგა ნეითის დიდებული ტაძარი. გადმოცემით მასში ქალღმერთი იყო დაკრძალული. დიდი მოკრძალებით აღწერს ჰეროდოტე ამ ადგილს:

„საისში არის აგრეთვე სამარხი იმისა, ვისი სახელის მოხსენიებაც ასეთ პირობებში ცოდვაა, ის ათენას სალოცავშია, ტაძრის უკან და ათენას სალოცავის მთელი კედლის გასწვრივ უჭირავს ადგილი. ამავე წმინდა მიწის ნაკვეთზე დგას ქვის ობელისკები; იქვეა ტბა, რომელსაც ირგვლივ ნაჩუქურთმევი და ლამაზად ნაკეთები ქვის ზეძირკველი აქვს და მე ისე მგონია, რომ სიდიდით იმოდენავეა, რამოდენაც არის დელოსის ეგრეთ წოდებული ბორბლის მსგავსი ტბა“[2].

ქალღმერთი ნეითის ქანდაკებაზე ასეთი წარწერა ყოფილა ამოკვეთილი: „მე ვარ

1 იხ.: ჰეროდოტე, „ისტორია“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1975 წ., ტ. I, გვ. 138.

2 იხ.: ჰეროდოტე, „ისტორია“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1975 წ., ტ. I, გვ. 183.

ის, რაც ოდესმე ყოფილა, არის, ან იქნება და არც ერთ მოკვდავს ჩემი საფარველი არ აუხდია“[1].

აი, ამ ნეითს აიგივებდნენ ბერძნები ათენასთან.

ათენა (Athena) სიბრძნის, ხელოვნების, ხელოსნობის, მიწათმოქმედების, ქალაქთა, წმინდა გონების, შეგნებული ნებისყოფის, მეცნიერების, სამართლის, ომის, მშვიდობიანი შრომის უბიწო ქალღმერთია, ქალაქ ათენისა და ატიკის მფარველი, ზევსის უსაყვარლესი ასული. მითის მიხედვით ათენა მამამისის, ზევსის თავიდან იშვა, ეს კი ასე მოხდა: ზევსმა გადაყლაპა თავისი პირველი მეუღლე ოკეანიდა მეტიდა; მალე თავის საშიინელი ტკივილი დაეწყო; ზევსმა ჰეფესტოს უხმო და უბრძანა, მისთვის თავი გაეპო. ჰეფესტომ თავში ჩაქუჩი დაჰკრა და ზევსის თავიდან საომარი იარაღით აღჭურვილი ათენა ამოვიდა.

მკვლევართა აზრით, ათენა ძველი ღვთაებაა, ბერძნებზე ადრინდელი მოსახლეობის მიერ გაღმერთებული. დედის მხრივ ის წყლის სტიქიას უკავშირდება, ხოლო იმით, რომ დედათა დედაა და იარაღით არის აღჭურვილი, უკავშირდება ნეითს. ის ნეითის ვარიანტია და ეგვიპტიდან ეგეიდაში ბერძნებამდელი მოსახლეობის, პელასგების დროს უნდა შემოსულიყო.

საინტერესოა, რომ ათენასთან მჭიდროდ დაკავშირებული ღვთაება კეკროპის (Kekrops) წარმომავლობაც ეგვიპტეს უკავშირდება. ამას ზოგიერთი მითი გვეუბნება. კეკროპი ატიკის, რომელსაც კეკროპიასაც უწოდებდნენ, პირველი მეფეა, ერისიხთონის მამა. მან დააფუძნა ათენის აკროპოლისი და თორმეტი ქალაქი. ატიკა დაყო თორმეტ სათემოდ. მანვე დაამკვიდრა ზევსისა და ათენას კულტი; მონაწილეობდა ღმერთების დიდი დავის გადაწყვეტაში: ათენასა და პოსეიდონს დავა ჰქონდათ ატიკის მფარველობასთან დაკავშირებით. საქმეში ზევსი ჩაერია და თათბირი გამართა. დავის გადასაწყვეტად მოიწვია კეკროპი, და დაავალა, უპირატესობა იმისათვის მიენიჭებინა, ვინც ქვეყანას, ანუ ატიკას, მეტ სიკეთეს მოუტანდა. პოსეიდონმა კლდეს სამთითი დაჰკრა და იქიდან ზღვის მლაშე წყლის სამი ნაკადული გადმოედინა. ათენამ დაჰკრა მიწას კვერთხი – ჯოხი მწვანედ შეიფოთლა და ზეთისხილის ხედ იქცა. ამის მნახველმა კეკროპმა თავისი აზრი ასე ჩამოაყალიბა: „ოლიმპოს ნათელო ღმერთო, ზღვის მლაშე წყალი ყველგან უხვადაა, ზეთისხილი კი იშვიათია და ხალხს ბარაქას გაუჩენსო“[2] თქვა ეს და თავის სამეფო ქალაქს ათენი უწოდა, ათენას ტაძრის ქურუმებად კი თავისი ქალიშვილები დანიშნა.

ასეთი იყო კეკროპის, ნახევრად კაცისა და ნახევრად გველის განაჩენი, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი ატიკის ადგილობრივ ღვთაებად მიიჩნევს, ზოგი კი ეგვიპტური წარმომავლობისად.

რაც შეეხება ათენასა და პოსეიდონის დავას, ანუ, ერთი მხრივ, ატიკის, ხოლო, მეორე მხრივ ატლანტისის ღვთაებათა დაპირისპირების ამსახველ მითს, მასში შორეულ წარსულში მომხდარი კონფლიქტის ანარეკლი შეიძლება დავინახოთ; დაპირისპირებისა, რომელიც კონტინენტზე მდებარე სახელმწიფოს ჰქონია კუნძულოვან სახელმწიფოსთან, რასაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, დიდი ეთნიკური შერკინებაც მოჰყვა.

ათენასა და კეკროპის მითებში ეგვიპტის რელიგიური გავლენაც შეინიშნება. ეს არც არის გასაკვირი, რადგან დიდი ისტორიის მქონე ქვეყანასთან მჭიდრო კულტურულმა

1 იხ.: პლუტარქე, „ისისი და ოსირისი“, თარგმანი ანი ჩანტლაძისა, გამომცემლობა „საუნჯე“, №5, 31.X.84.

2 იხ.: აკაკი გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, გმომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1983 წ., გვ. 243.

ურთიერთობამ დიდად გაამდიდრა კონტინენტური და კუნძულოვანი საბერძნეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომების ღვთაებრივი პანთეონი, ქურუმ სონქის კი უფლება მისცა, ძველ თქმულებათა შესახებ დაინტერესებული სოლონისათვის შეეხსენებინა ელინთა დაკარგული ისტორიული მეხსიერება, რის მიზეზადაც საისელი ქურუმი ბუნებაში მომხდარ კატასტროფებს თვლიდა; ყველაფერ ამაში ღმერთების ნებას ხედავდა და განსაკუთრებით გამოჰყოფდა ცეცხლითა და წყლით ადამიანების დაღუპვის ამსახველ თქმულებებს.

სონქის, როგორც ვნახეთ, სამაგალითოდ მოჰყავს მითი ფაეტონის შესახებ, ამიტომ მასზე დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ. ფაეტონი (Phaethon) მოელვარეს, აგრეთვე დღეს ნიშნავს.

ვნახოთ, თუ რა ამბავია მოთხრობილი მასზე ამ მითში: „მხოლოდ ერთხელ იქნა დარღვეული სამყაროში არსებული წესრიგი და მზის ღმერთი არ გამოვიდა ცარგვალზე, რომ ხალხისათვის გაენათებინა. და აი, როგორ მოხდა ეს: მზე-ჰელიოსს და კლიმენეს, ზღვის ქალღმერთის, თეტიდას ქალიშვილს, ჰყავდათ ვაჟი ფაეტონი. ერთხელ ფაეტონს მისმა ნათესავმა, მეხთამტყორცნი ზევსის ვაჟმა, ეპიფანემ, დაცინვით უთხრა: – მე არ მჯერა, რომ შენ გასხივოსნებული ჰელიოსის შვილი ხარ. დედაშენი სიმართლეს არ ამბობს. შენ უბრალო მოკვდავის შვილი ხარო.

განრისხდა ფაეტონი, სირცხვილისაგან სახეაწითლებული გაიქცა დედასთან, გულში ჩაეკონა და თვალცრემლიანმა შესჩივლა მიყენებული შეურაცხყოფის გამო“[1].

დედამ ფიცით სცადა მისი დარწმუნება, მაგრამ, ჩანს, ბოლომდე ვერ გაუფანტა ეჭვი და დამატებითი საბუთის მისაღებად მამამისის სასახლეში გაგზავნა, რომელიც ღმერთ ჰეფესტოს ისე მოერთო ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასი თვლებით, რომ ცისარტყელას ყველა ფერით ელვარებდა. იქ მისულ ფაეტონს სხივმოსილი ჰელიოსი ტახტზე მჯდარი დაუხვდა, მისი გვირგვინიდან მომდინარე ციალმა თვალი მოსჭრა. მზის ღმერთმა მოსვლის მიზეზი ჰკითხა, ფაეტონმა მას მამობის მტკიცებულება მოსთხოვა.

„ჰელიოსმა მოიხადა სხივმოსილი გვირგვინი, მოიხმო თავისთან ფაეტონი, მოეხვია და თქვა:

– დიახ, შენ ჩემი შვილი ხარ, დედაშენმა სიმართლე გითხრა; ხოლო იმისათვის, რომ მეტს არ ეჭვობდე, მთხოვე, რაც გსურს და, ვფიცავ საღვთო მდინარე სიქსტის წყლებს, მე შევასრულებ შენს თხოვნას.

თქვა თუ არა ეს ჰელიოსმა, მაშინვე დაუწყო მას თხოვნა ფაეტონმა, მიეცა ნება, გაევლო ცარგვალზე ჰელიოსის მაგივრად მისი ოქროს ეტლით. შეძრწუნდა სხივმოსილი ღმერთი.

– უგუნურო, რას მთხოვ! – შესძახა ჰელიოსმა. – ო, მე რომ შემეძლოს გავტეხო ფიცი! ფაეტონ, შენ შეუძლებელს მთხოვ. ეს შენს ძალებს აღემატება. შენ ხომ მოკვდავი ხარ, ნუთუ ეს მოკვდავის საქმეა? უკვდავი ღმერთებიც კი თავს ვერ იკავებენ ჩემს ეტლში. თვით დიდ ზევს-მეხთამტყორცნელს არ ძალუძს მართოს ის; მასზე ძლევამოსილი კი ვინღაა!“[2]

შემდეგ აღელვებული მზის ღმერთი ფაეტონს გზის სიძნელეზე ელაპარაკა, ზეაღსვლასა და დაბლა დაშვებაზე, აშინებდა მგზავრობისას უჩვეულო მხეცებთან შეხვედრით (თანავარსკვლავედთა აღმნიშვნელი ზოდიაქოს ნიშნები: კურო, კენტავრი ანუ მშვილდოსანი, მორიელი და კირჩხიბი). ისიც უთხრა, მშვენიერს იქ ვერაფერს ნახავო, მაგრამ გაჯიუტებულ

1 იხ.: Легенды и сказания Древней Греции и Древнего Рима. Москва, издательство «Правдв», 1987 г., გვ. 72-73.

2 იხ.: Легенды и сказания Древней Греции и Древнего Рима. Москва, издательство «Правдв», 1987 г., გვ. 73.

ყმაწვილს ვერაფერი შეაგონა. ბოლოს დამწუხრებულმა უთხრა, უფრო გონიერი მეგონეო. შემდეგ ფაეტონი წაიყვანა იქ, სადაც მისი ოქროს, ძვირფასი თვლებით მორთული ეტლი იდგა. მოიყვანეს ამბროსიითა და ნექტრით გამოკვებილი ჰელიოსის ფრთოსანი ცხენები და შეაბეს ეტლში. განთიადის ქალღმერთმა, ვარდისფერთითებიანმა ეოსმა ჭიშკარი გააღო. მზის სხივებს რომ არ გაერუჯათ, ჰელიოსმა საღვთო მალამოთი დაუზილა ფაეტონს სახე, თავზე მოელვარე გვირგვინი დაადგა და რჩევა მისცა:

„შვილო ჩემო, გახსოვდეს ჩემი უკანასკნელი დარიგება, თუ შესძლებ, შეასრულე ის: ნუ გააჭენებ ცხენებს, რაც შეგიძლია მტკიცედ გეჭიროს აღვირი, თავად გაჭენდებიან ჩემი ცხენები, ძნელია მათი შეკავება. გზას კი შენ ნათლად დაინახავ ბორბლების ნაკვალევის მიხედვით, ის მთელ ზეცას მიუყვება. ნუ აიჭრები ძალიან მაღლა, რათა არ გადაწვა ზეცა, მაგრამ არც ქვემოთ არ დაეშვა, რომ არ გადაბუგო დედამიწა; არ გადაიხარო არც მარჯვნივ და არც მარცხნივ. შენი გზა სწორედ რომ გველსა და საკურთხეველს შუაშია“[1].

„გველი“ და „საკურთხეველი“ თანავარსკვლავედთა ბერძნული სახელწოდებებია, შეესაბამება ცარგვალის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებს. მაგრამ მივყვეთ მითს: სულსწრაფი ფაეტონი შეახტა ეტლს, აღვირს ხელი სტაცა და ნესტოებიდან ცეცხლისმფრქვეველი ცხენები ადგილს მოსწყდნენ. ფაეტონი იმ წამს ბედნიერი იყო, მაგრამ როცა ცხენებმა მისი გამოუცდელობა იგრძნეს, თავი აიშვეს, გზას გადაუხვიეს და უგზო-უკვლოდ გაიქროლეს. მიწას რომ თვალი ვეღარ ჰკიდა, მაშინ კი შეშინდა ჰელიოსის ძე, ინანა, მამას ეტლის მართვა რომ სთხოვა; მას თავზარი დასცა თანავარსკვლავედთა გამომხატველი ცხოველების ხილვამ და აღვირს ხელი გაუშვა. თავისუფლებამოპოვებულმა ცხენები ხან ზეცისაკენ აიქროლებდნენ, ხანაც დედამიწისკენ დაეშვებოდნენ. ჰელიოსის და, მთვარის ქალღმერთი სელენა შეძრწუნებული შეჰყურებდა, როგორ უთავბოლოდ მიჰქროდნენ თავის ნებაზე მიშვებული მისი ძმის ცხენები. ეტლის ახლოს დაშვებისაგან წარმოქმნილი ცეცხლის ალი მოედო დედამიწას.

„იღუპებოდნენ დიდი და მდიდარი ქალაქები, მთელი ტომები, იწვოდა ტყით დაფარული მთები: ორთავიანი პარნასი, ჩრდილიანი კიფერონი, მწვანე ჰელიკონი, კავკასიის მთები, თმოლი, იდა, ოსსა. გარშემო ყველაფერი კვამლმა დაფარა, ფაეტონი სქელი კვამლის გამო ვერ ხედავდა, თუ საით მიდიოდა. წყალი ადუღდა მდინარეებსა და ნაკადულებში. ტიროდნენ ნიმფები და იმალებოდნენ ღრმად მღვიმეებში შეძრწუნებულნი. ქაფქაფებდნენ ევფრატი, ორონტი, ალფეი, ევრონდი და სხვა მდინარეები. სიცხისაგან სკდება მიწა და მზის სხივი აღწევს ჰადესის პირქუშ სამეფოში. ზღვები ამოშრობას იწყებენ და პაპანაქებისაგან იტანჯებიან ზღვის ღვთაებანი“[2].

და მაშინ, მიწის ქალღმერთმა გეამ ხმამაღლა შესძახა ზევსს: ნუთუ მე უნდა დავიღუპო, ან დაიღუპის შენი ძმის, პოსეიდონის სამეფო, ნუთუ ყველაფერი ცეცხლში უნდა დაინთქას! შეხედე, ატლასს ძლივსღა უჭირავს ცის თაღი, ცა და ღმერთების სასახლეები ჩამოიქცევიან. ნუთუ ყველაფერი პირველყოფილ ქაოსს უნდა დაუბრუნდეს, გადაარჩინე, რაც დარჩა!

„ზევსმა გაიგონა გეას ვედრება, მრისხანედ აიქნია მარჯვენა, სტყორცნა თავისი მოელვარე ელვა და ცეცხლით ჩააქრო ცეცხლი. ზევსმა ეტლი ელვით დაამსხვრია. ჰელიოსის ცხენები სხვადასხვა მხარეს გაიქცნენ. მთელს ცაზე გაიფანტა ეტლის ნამსხვრევები და

1 იხ.: Легенды и сказания Древней Греции и Древнего Рима. Москва, издательство «Правдв», 1987 г., გვ. 75.

2 იხ.: Легенды и сказания Древней Греции и Древнего Рима. Москва, издательство «Правдв», 1987 г., გვ. 76.

ჰელიოსის ცხენების აღკაზმულობა.

ფაეტონმა კი, გრუზა თმაზე ცეცხლმოკიდებულმა, ჰაერში მოწყვეტილი ვარსკვლავივით ჩაიქროლა და ჩავარდა მდინარე ერიდანოსის ტალღებში (მითიური მდინარე ევროპაში, ზოგჯერ მიწისქვეშეთში ათავსებდნენ, ზოგი მას ჩრდილოეთ იტალიის მდინარე პოსთან აიგივებს. პ.ი.), თავისი სამშობლოდან შორს. ჰესპერიელმა ნიმფებმა ამოიღეს წყლიდან მისი სხეული და მიწას მიაბარეს.

ფაეტონის მამამ, დიდად მწუხარე ჰელიოსმა, სახე დაიფარა და ცისფერ ცაზე მთელი დღე არ გამოჩენილა. მხოლოდ ხანძართა ცეცხლი ანათებდა დედამიწას.

ფაეტონის უბედური დედა კლიმენე დიდხანს ეძებდა თავისი დაღუპული შვილის სხეულს და ბოლოს ერიდანოსის ნაპირებთან ნახა, ოღონდ შვილის სხეული კი არა, არამედ მისი საძვლე. მწარედ დასტიროდა შვილის საფლავს უნუგეშო დედა; მასთან ერთად, დაღუპულ ძმას დასტიროდნენ კლიმენეს ქალიშვილები – ჰელიადები, უსაზღვრო იყო მათი მწუხარება.

მტირალი ჰელიადები ღმერთებმა ალვის ხეებად გადააქციეს. დგანან ალვა-ჰელიადები, ერიდანოსზე დახრილები, და მათი ცრემლი, ფისი, ცვივა ლაბრისებრ წყალში, დედდება და გამჭვირვალე ქარვად გადაიქცევა.

ფაეტონის დაღუპვას გლოვობდა მისი მეგობარი კიკნოსიც (Kyknos – „გედი“, აპოლონისა და ჰირიას შვილი, მონადირე. პ.ი.), მისი მოთქმა შორს, ერიდანოსის ნაპირებზე გაისმოდა. კიკნოსის უნუგეშო მწუხარების შემყურე ღმერთებმა ის თეთრ გედად აქციეს. მას შემდეგ გედი კიკნოსი წყალში ცხოვრობს, მდინარეებსა და ფართო ნათელ ტბებში. მას ეშინია ცეცხლის, რომელმაც მისი მეგობარი ფაეტონი იმსხვერპლა“[1].

ეს უაღრესად პოეტური თქმულება, მეტისმეტად ემოციური და ამბიციური ახალგაზრდის ტრაგიკული აღსასრულის ამბავს რომ გადმოგვცემს, მხოლოდ მოუთოკავი გრძნობებით გამოწვეულ ქმედებათა სავალალო შედეგს არ გვამცნობს. მასში სხვა სათქმელიც იკითხება: აშკარაა, რომ ის არის რეალურად მომხდარი კოსმიური კატასტროფის თავისებური ანარეკლი მითოლოგიაში. ამ თვალსაზრისით ეს მითი ძალიან ბევრ „საბუთს“ შეიცავს. თავად განსაჯეთ, ზევსის ელვით ეტლის დამსხვრევა და მისი ზეცაში გატყორცნილი ნამსხვრევები სტრატოსფეროში მომხდარ დიდ აფეთქებაზე მიგვანიშნებს; შეიძლება, ეს კომეტის ან ასტეროიდის დედამიწასთან შეჯახების გამოძახილი იყოს. მით უმეტეს, რომ ფაეტონის მოწყვეტილი ვარსკვლავივით დაცემა დედამიწაზე ციური სხეულის ჩამოვარდნას მოგვაგონებს. გავიხსენოთ, ამის თაობაზე „ტიმეოსშიც“ არის ნათქვამი: „ცის თაღზე დედამიწის ირგვლივ მბრუნავი სხეულები ზოგჯერ თავიანთი ჩვეული გზიდან გადაიხრებიან, ასე, რომ, დროის ხანგრძლივ შუალედებს შორის დედამიწაზე ყველაფერი აბობოქრებულ ხანძარში ინთქმება და იღუპება“.

ხოლო ის, რომ ფაეტონის მამამ, ჰელიოსმა, გლოვის ნიშნად სახე დაიფარა და ერთი დღე-ღამე არ გამოჩენილა, ანუ მთელი ოცდაოთხი საათით მზე დაბნელდა და უკუნეთი ღამე იყო, შესაძლებელია, ასეთი რამ მომხდარიყო დედამიწასთან რომელიმე კოსმოსური სხეულის შეჯახების შედეგად წარმოქმნილი მტვრის უზარმაზარი ღრუბლის გამო, რომელმაც მზე დაფარა; შემდეგ მტვერი გაიფანტა და მზემ კვლავ გამოანათა.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ფაეტონის მითში კოსმოსური კატასტროფის ამბავი საკმაოდ ზუსტად არის გადმოცემული. არც ისაა გამორიცხული, რომ ამ თქმულებაში

1 იხ.: Легенды и сказания Древней Греции и Древнего Рима. Москва, издательство «Правдв», 1987 г., გვ. 77.

თავი მოეყაროს რამდენიმე კოსმოსური კატასტროფის ხსოვნას და ის მითისთვის დამახასიათებელი ფორმით, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით იყოს გადმოცემული.

კოსმოსური კატასტროფები რომ მრავალგზის მოხდა როგორც წინარეისტორიულ ხანაში, ასევე უახლოეს დროს, ამას მეცნიერებაც ადასტურებს. გავიხსენოთ, რომ 65 მილიონი წლის წინათ მექსიკის ყურეში ჩამოვარდნილმა მეტეორმა თუ კომეტამ დაასრულა დინოზავრების ბატონობა დედამიწაზე და გზა გაუხსნა ძუძუმწოვართა გაბატონების პროცესს. თუ ეს მოვლენა ადამიანის გაჩენამდე ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა და, შესაბამისად, კაცობრიობის ხსოვნას ვერ შემორჩებოდა, მის შესახებ მეცნიერთა ძალისხმევის შედეგად ვიცით; მეორე მაგალითი XX საუკუნის დასაწყისში მოხდა; ამის თაობაზე ენციკლოპედიაშიც ამოიკითხავთ:

„ტუნგუსკის მეტეორიტი, სახელწოდება უნიკალური ბუნებრივი მოვლენისა, რომელიც მოხდა 1908 წ. 30 ივნ. ადგილ. დროით დილის 7 საათზე მდ. პოდკამენაია ტუნგუსკის აუზში (ახლანდელი კრასნოიარსკის მხარე, ევენკთა ავტონ. ოკრუგი). იგი მოგვაგონებდა მოვლენებს, რ-ებიც თან სდევს მეტეორიტების ჩამოვარდნას, ოღონდ გამოირჩეოდა უზარმაზარი მასშტაბებით. ამ დღეს აღმ. ციმბირის უზარმაზარ ტერიტორიაზე, 800 კმ-მდე რადიუსის მანძილზე მრავალმა ადამიანმა შენიშნა თვალისმომჭრელი სიკაშკაშის ბოლიდი. მის გზაზე დარჩა ძლიერი მტვრისებრი კვალი, რ-იც რამდენიმე საათის განმავლობაში ჩანდა. მოვლენის ადგილიდან 1000 კმ-მდე მანძილზე ისმოდა აფეთქების ხმა. აღნიშნული იყო მიწისძვრების მსგავსი მოვლენები. წარმოქმნილმა ჰაერის ტალღამ ბევრ ადგილას წააქცია ადამიანები და შინაური ცხოველები. მსოფლიოს მრავალმა სეისმურმა სადგურმა აღნიშნა მიწისძვრა.

ტ.მ. პირველად გამოიკვლია საბჭოთა ექსპედიციამ ლ. კულიკის მეთაურობით. ტაიგაში აღმოჩნდა მიდამო, სადაც 15-30 კმ რადიუსში მთლიანად მოთხრილ-მოტეხილი და რადიალურად წაქცეული იყო ხეები დარტყმითი ტალღით. აღინიშნებოდა დამწვრობის კვალიც.

ექსპედიცია მივიდა დასკვნამდე, რომ ტუნგუსკის მოვლენა გამოწვეული იყო გიგანტური მეტეორიტის ჩამოვარდნით. მაგრამ ვერც ამ ექსპედიციამ და ვერც შემდგომში რამდენჯერმე წამოწყებულმა ექსპედიციებმა მეტეორიტების მსგავსი რაიმე საგანი ვერ აღმოაჩინეს. ამიტომ დაასკვნეს, რომ მეტეორიტის აფეთქების შედეგად გამოიყო კოლოსალური ენერგია (10^{23}-10^{24} ერგ), რამაც აირად აქცია მეტეორიტის მასა.

არსებობს ჰიპოთეზა, რ-ის თანახმად ტუნგუსკის მოვლენა დედამიწასთან რომელიმე პატარა კომეტის შეჯახებამ გამოიწვია. ეს ჰიპოთეზა ყველაზე სრულყოფილად ხსნის დაკვირვების მონაცემებს. არის სხვა ჰიპოთეზებიც. ტ.მ.-ის საკითხი საბოლოოდ კიდევ არ არის გადაჭრილი“[1].

როგორც ციტირებული წყაროდან ჩანს, შესაძლოა, კოსმოსური კატასტროფის გამომწვევი რამდენიმე ობიექტი ყოფილიყო (მეტეორი, კომეტა). ამასთან, ყველა ასეთი კატასტროფა დაფიქსირებული და შესწავლილი არ არის, მაგრამ რაც ვიცით, ისიც საკმარისია, რომ მითში აღწერილი ამბის საფუძვლის რეალურობა ვირწმუნოთ. ამრიგად, პლატონის (ან, უფრო სწორი იქნება, ქურუმ სონქის) ნათქვამს თუ დავიჯერებთ, რომ ამ კოსმოსურ კატასტროფებს უნდა მოჰყოლოდა მთებსა და ზეგნებზე მცხოვრები მოსახლეობის განადგურება, „მაშინ, როდესაც ღვარცოფებს ზღვაში ჩააქვს თქვენი ქალაქების

1 იხ.: „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, თბილისი, 1986 წ., ტ. 10, გვ. 71.

მკვიდრნი“, ეს უკვე წარღვნად წოდებული მოვლენაა, რაც არაერთხელ მომხდარა, მაგრამ მათ შორის უდიდესის გმირები არიან დევკალიონი – პრომეთესა და კლიმენეს ძე და მისი ცოლი პირა – პანდორასა და ეპიმეთეს ასული.

ამათი წარღვნა სპილენძის საუკუნეში მომხდარა.

ვნახოთ, რას ნიშნავს საუკუნეთა ასეთი დაყოფა.

ბერძნული მითოლოგია იცნობს ხუთ საუკუნეს, ისინი პირობითად აღნიშნავენ კაცობრიობის განვითარების ხუთ პერიოდს.

პირველი იყო ოქროს საუკუნე. ამ დროს ზეცას ღმერთი კრონოსი მართავდა; ადამიანებმა არ იცოდნენ, რა იყო საზრუნავი, შრომა და დარდი, არც უძლურება და სიბერე, მუდამ ძლიერები იყვნენ. მათი უზრუნველი და ბედნიერი ცხოვრება მარადიული ნადიმი იყო. ხანგრძლივი ცხოვრების შემდეგ სიკვდილი მშვიდ სიზმარს ჰგავდა. სიცოცხლეში ყველაფერი უხვად ჰქონდათ, შრომა არ უხდებოდათ, მიწა თავად აძლევდა მათ მდიდრულ ნაყოფს. მრავალრიცხოვანი საქონელი წყნარად ძოვდა ბალახს. უშფოთველი იყო ოქროს საუკუნის ადამიანთა ცხოვრება. ღმერთები თავად მოდიოდნენ მათთან სათათბიროდ; მაგრამ ოქროს საუკუნე დამთავრდა, იმ დროის მოსახლეობიდან ცოცხალი აღარავინ დარჩა. სიკვდილის შემდეგ ოქროს საუკუნის ადამიანები ახალი თაობის ადამიანების მფარველ სულებად იქცნენ. ისინი დაჰქროდნენ მთელს დედამიწაზე, იცავდნენ სიმართლეს და ებრძოდნენ ბოროტებას. ასე დააჯილდოვა ისინი სიკვდილის შემდეგ ზევსმა.

მეორე საუკუნე ვერცხლისა იყო და ადამიანებიც აღარ იყვნენ ისეთი ბედნიერები, როგორც წინა ეპოქაში. ისინი მათი სწორნი არ ყოფილან არც გონებით და არც ძალით. მთელი ასი წელი იზრდებოდნენ ისინი თავიანთი დედების სახლებში და უგუნურები იყვნენ. დავაჟკაცდებოდნენ თუ არა, სახლს ტოვებდნენ. მოწიფულობის ასაკში ხანმოკლე იყო მათი ცხოვრება; და რადგანაც ისინი უგუნურნი იყვნენ, ამის გამო ბევრი უბედურება და სიმწარე ნახეს ცხოვრებაში. კრონოსის შვილმა ზევსმა დედამიწაზე მოსპო მათი მოდგმა. ის იმიტომ განურისხდა ვერცხლის საუკუნის ადამიანებს, რომ ეს უკანასკნელნი ოლიმპოზე მცხოვრებ ღმერთებს არ ემორჩილებოდნენ. ზევსმა ისინი მიწისქვეშეთის ბნელ სამყაროში დაასახლა.

მესამე სპილენძის საუკუნე იყო და მასთან ერთად ზევსმა შუბის ტარისგან შექმნა ადამიანთა ახალი თაობა, საშინელნი და ძლევამოსილნი. სპილენძის საუკუნის ადამიანებმა შეიყვარეს სიამაყე და ომი. მათ არა იცოდნენ რა მიწათმოქმედებისა და არც მიწის ნაყოფს მიირთმევდნენ. ისინი უზარმაზარი სიმაღლისა და დიდი ძალისანი იყვენენ. მოუთოკავი ხასიათი ჰქონდათ. მათი იარაღი სპილენძისაგან იყო გამოჭედილი, სახლებიც სპილენძისა იყო. ამ ადამიანებმა რკინა ჯერ არ იცოდნენ. სპილენძის საუკუნის ადამიანებმა ერთმანეთი მოსპეს და სწრაფად ჩავიდნენ საშინელი ჰადესის პირქუშ სამეფოში.

მეოთხე საუკუნის ადამიანებიც ზევსმა შექმნა. ესენი იყვნენ უფრო კეთილშობილნი, უფრო სამართლიანები, ღმერთების თანასწორნი, ნახევრადღმერთები – გმირები. ყველა ისინი დაიღუპნენ საშინელ სისხლისმღვრელ ბრძოლებში, ერთნი, – შვიდკარიან თებესთან, კადმოსის ქვეყანაში, ოიდიპოსის მემკვიდრეობისათვის მებრძოლნი. სხვანი, – მშვენიერი ელენესთვის წასულნი, ტროასთან დაეცნენ. ზევსმა ისინი სამყაროს განაპირას, ნეტართა კუნძულებზე დაასახლა.

მეხუთე საუკუნე და ადამიანთა მოდგმა რკინისაა და დღემდე გრძელდება. დღედაღამ ღუპავს ადამიანებს დარდი და გაუსაძლისი შრომა. ღმერთები ათასგვარ დაავადებებს

უგზავნიან მათ. ზოგჯერ სიკეთესაც გაიმეტებენ, მაგრამ ბოროტება უფრო ბევრია, ის ყველგანაა: შვილები მშობლებს პატივს არ მიაგებენ, მეგობარი მეგობარს არ ერთგულობს, სტუმარს არ ხვდებიან სტუმართმოყვარედ, ძმათა შორის სიყვარული არ არის. ადამიანები ფიცს სტეხენ, არ აფასებენ სიმართლესა და სიკეთეს, ერთმანეთს ქალაქებს უნგრევენ. ყველგან ბატონობს ძალადობა, ფასობს მხოლოდ სიამაყე და ძალა.

სინდისისა და მართლმსაჯულების ქალღმერთებმა მიატოვეს ადამიანები. მათ ოლიმპოს შეაფარეს თავი, ადამიანები კი ბოროტებისგან დაუცველნი არიან.

ამ ხუთი საუკუნის ანუ ხუთი ეპოქის განმავლობაში ადამიანთა მოდგმა სრულყოფის გზას სულაც არ ადგა, პირიქით, აშკარაა მათი უარესისაკენ მიდრეკა.

ზოგჯერ ადამიანთა მოდგმის ცუდი საქციელი ზევსს შეაწუხებდა და ისიც მათ თავს რისხვას დაატეხდა ხოლმე. ასე მოხდა მაშინ, როცა სპილენძის საუკუნის, ომის მოყვარული ადამიანები ერთმანეთს მუსრს ავლებდნენ, მათ ბევრი დანაშაული ჩაიდინეს. ეს ქედმაღალი ხალხი ოლიმპიელ ღმერთებს არ ემორჩილებოდა. ამან განარისხა მეხთამტყორცნი ზევსი, განსაკუთრებით კი, არკადიაში მდებარე ლიკოსურის მეფე ლიკაონმა. ერთხელ ზევსი უბრალო მოკვდავის სამოსში გამოწყობილი ჩავიდა ლიკოსურში. მოსახლეობას რომ გაეგო, თუ ვინ მივიდა მათთან, ზევსმა საამისო ნიშანი მისცა მათ. ხალხმა ზევსს პატივი მიაგო, მხოლოდ ლიკაონს არ სურდა ზევსისათვის ღვთაებრივი პატივი ეცა და დასცინოდა ყველას, ვინც ზევსს აღიარებდა. ბოლოს გადაწყვიტა, გამოეცადა ზევსი, სურდა გაეგო, ღმერთი იყო თუ არა და ამისათვის ასეთ ხერხს მიმართა: მოკლა თავის სამეფო კარზე მყოფი მძევალი და მისი ხორცი მიართვა სტუმარს. ამის გამო საშინლად განრისხდა ზევსი, მეხის დარტყმით დაანგრია ლიკაონის სასახლე, ლიკოსურის უგუნური მეფე კი მგლად აქცია, რომ ამიერიდან თავად ეჭამა ადამიანის ხორცი... ამ ამბავმა და ადამიანთა ბიწიერებამ ზევსი აიძულა, კაცთა მოდგმის მოსპობაზე ეფიქრა და მანაც გადაწყვიტა, წყლით მოეშთო ხალხი. ამიტომ ყველა ქარს უბრძანა არ დაებერათ, გარდა სამხრეთის ნესტიანი ქარისა. ამ ქარის მიერ მონაბერი საწვიმარი ღრუბლებიდან თავსხმა წამოვიდა. ზღვებსა და მდინარეებში წყალი ადიდდა და სულ უფრო ზევით მიიწევდა, მან დაფარა ქალაქები და ტაძრები. მთელი საბერძნეთი აბობოქრებული ტალღების ქვეშ მოექცა. ყანების ადგილას თევზები, ხოლო ტყეების ადგილას დელფინები დაცურავდნენ. წყლის ამ უკიდეგანო სივრცეში ეულად მოჩანდა ორწვერა პარნასი. მოზღვავებულმა წყალმა მოსპო სპილენძის საუკუნის ადამიანები.

ამ წარღვნას ორნი გადაურჩნენ – თესალიის ქალაქ ფთიას მეფე დევკალიონი და მისი ცოლი პირა.

ყოველწლიურად ნახულობდა დევკალიონი კავკასიონზე მიჯაჭვულ პრომეთეს, რომელიც შვილს რჩევა-დარიგებებს აძლევდა. სწორედ პრომეთემ ამცნო დევკალიონს ზევსის მიერ წარღვნის მოვლენის გარდუვალობა; ისიც ასწავლა, თუ როგორ გადარჩენილიყვნენ და ამ გზით მეორედ გაუწია კაცობრიობას ფასდაუდებელი სამსახური. პრომეთეს რჩევით დევკალიონმა ააგო კიდობნის მსგავსი დიდი გემი, იქ სურსათი აზიდა, ავიდა გემზე და პირაც აიყვანა. წყალმა მთელი ქვეყანა დაფარა. 9 დღეს ატივტივა წყალმა კიდობნის მსგავსი გემი და ბოლოს ის მიადგა პარნასის მწვერვალს. დევკალიონი და პირა ხმელეთზე გადავიდნენ. წყალმაც იკლო და გამოჩნდა გაუდაბურებული მიწა. გადარჩენილმა ცოლქმარმა ზევსს მსხვერპლი შესწირა.

„მაშინ ზევსმა ჰერმესი გაუგზავნა დევკალიონს. გადაუქროლა ღმერთების მაცნემ და-

ცარიელებულ დედამიწას, წარსდგა დევკალიონის წინაშე და უთხრა:

– ზევსმა, ღმერთებისა და ადამიანების მეუფემ, იცის რა შენი კეთილშობილების შესახებ, გიბრძანა, აირჩიო ჯილდო; გამოთქვი შენი სურვილი და კრონოსის შვილი მას შეასრულებს.

დევკალიონმა უპასუხა ჰერმესს:

– ო, დიდო ჰერმეს, მხოლოდ ერთს შევთხოვ ზევსს: კვლავ დაასახლოს ადამიანები დედამიწაზე.

უკან, ოლიმპოსაკენ გაიქროლა სწრაფმა ჰერმესმა და გადასცა ზევსს დევკალიონის მუდარა. ზევსმა უბრძანა დევკალიონსა და პირას, შეეგროვებინათ ქვები და ისე გადეგდოთ ზურგს უკან, თავს ზემოთ, რომ უკან არ მიეხედათ. დევკალიონმა შეასრულა ზევსის ბრძანება და იმ ქვებისაგან, რომლებიც მან გადაისროლა, კაცები შეიქმნენ, იმ ქვებისაგან კი, რომლებიც მისმა ცოლმა პირამ გადაისროლა – ქალები. ასე დაასახლეს წარღვნის შემდეგ დედამიწა ახალი, ქვებისაგან წარმოშობილი ადამიანების მოდგმით“[1].

ძველბერძნულად „ლაას“ ნიშნავს „ქვას“, ხოლო „ლაოს“ – „ხალხს“.

ეს მითი აშკარად ინახავს გადმოცემას რეალურად მომხდარი წარღვნის თაობაზე. ის ისეთი ბუნებრივი მოვლენის შედეგი უნდა ყოფილიყო, როგორიც არის ჭარბი ნალექის მოსვლა და ამის გამო წყლის უჩვეულო ადიდება, რომელსაც უდავოდ მოჰყვებოდა ადამიანთა მსხვერპლი, ანუ ზღვისა და მდინარეების პირას მცხოვრებ ადამიანებს ჩაიტანდა წყალში. ოღონდ წარღვნა, ცხადია, მხოლოდ დევკალიონის დროს არ მომხდარა, „ტიმეოსში“ სოლონი ლაპარაკობს ფრონევსზე.

ამასთან დაკავშირებით ატლანტოლოგები იშველიებენ ძვ.წ. VI-V საუკუნეების ბერძენი ისტორიკოსის, აკუსიალე არგოსელის ცნობას, რომელიც თურმე წერდა, რომ ფრონევსის დროს მომხდარა წარღვნა, რომლის გმირიც ოგიგე იყო. მართლაც, ბერძნების ხსოვნას შემორჩა „ოგიგოსის წარღვნა“. ოგიგოსი ყოფილა ბეოტიის პირველი მეფე, რომლის დროსაც კოპაიდის ტბა ადიდებულა, ნაპირებიდან გადმოსულა და გარემო წაულეკავს. არის კიდევ წარღვნა ზევსისა და ელექტრას ძის, მეფე დარდანოსის – დარდანთა წინაპრის დროინდელი.

ზემოსხენებულ წარღვნებთან დაკავშირებით შეიძლება გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაშიც მითებმა აირეკლა რეალურად მომხდარი მოვლენები, ოღონდ საკითხავია, თუ რა მოვლენები იყო და როდის მოხდა ისინი პასუხისათვის მივმართოთ ისევ ენციკლოპედიას, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია შავი ზღვის შესახებ და, კერძოდ, ხმელთაშუა ზღვასთან დამაკავშირებელი სრუტეების საბოლოოდ ფორმირების თაობაზე: „შ.ზ-ის ღრმულის წარმოშობას ზოგიერთი მკვლევარი დედამიწის კონტინენტური ქერქის „ოკეანიზაციის“ პროცესებს უკავშირებს, ზოგი თვლის, რომ ღრმული ძვ. ტეთისის ოკეანის აუზის ნაშთია. თანამედროვე ღრმულის კონტური ოიგოცენში ჩაისახა, მაშინ, როცა მცირე აზიაში მიმდინარე ტექტონ. აღზევებებმა თანდათანობით გამოყვეს შავი და კასპიის ზღვა ოკეანისაგან. გვიანდ. მიოცენში შ.ზ. გამტკნარებული ზღვა-ტბების (სარმატული აუზი) ნაწილს წარმოადგენდა. ხმელთაშუა ზღვასთან ხანმოკლე კავშირის შემდეგ, მეოტურ დროში, წარმოიშვა გამტკნარებული პონტური ტბა. პონტოური დროის ბოლოს შ.ზ-სა და კასპიის ზღვას შორის კავშირი გაწყდა. სავარაუდოა, რომ შუა და გვიანი პლიოცენის განმავლობაში იგი გამტკნარებული გამდინარე ტბა იყო. შუა პლეისტოცენში შ.ზ. მცირე ხნით

1 იხ.: Легенды и сказания Древней Греции и Древнего Рима, Москва, издательство «Правда», 1987 г., გვ. 91-92.

ორჯერ იყო დაკავშირებული ხმელთაშუა ზღვასთან და მისი წყალი უფრო მარილიანი იყო. უკანასკნელი გამყინვარების დროს ჩამოყალიბდა ძლიერ გამტკნარებული ახალევქსინური ტბა-ზღვა, რ-იც 6-7 ათასი წლის წინ სრუტეებით დაუკავშირდა სმელთაშუა ზღვას“[1].

მაშ ასე, ჩვენთვის საყურადღებო საკითხთან დაკავშირებით ენციკლოპედია ინფორმაციას გვაწვდის სრუტეების წარმოქმნის თაობაზე. პლეისტოცენში შავი ზღვის ორჯერ დაკავშირება, ისიც მცირე ხნით, ხმელთაშუა ზღვასთან სრუტეთა წარმოქმნის ხანგრძლივ პროცესზე მიგვანიშნებს: 6-7 ათასი წლის წინ სრუტეების საბოლოოდ წარმოქმნა, უფრო რომ დავაკონკრეტოთ, ძვ.წ. მე-5-მე-4 ათასწლეულში მომხდარა. დროის ამ მონაკვეთთან ახლოს დგას XX საუკუნის მიწურულს მეცნიერების მიერ გამოთქმული მოსაზრებაც: „1998 წელს ამერიკელმა გეოლოგებმა, უოლტერ პიტმენმა და უილიამ რაიანმა, საკმაოდ დამაჯერებლად დაასაბუთეს მეცნიერული ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც უკანასკნელი გამყინვარების დასასრულს, დაახლოებით 7500 წლის წინ, შავი ზღვის ადგილზე არსებობდა დიდი მტკნარი ტბა (რომლის დონეც დღევანდელ წყალსატევზე 150-ოდე მეტრით დაბალი უნდა ყოფილიყო). ჩრდილოეთ ატლანტიკაში ყინულის დნობის შედეგად ხმელთაშუა ზღვაში შემოსულმა დიდმა წყალმა გაანგრია დღევანდელი ბოსფორის სრუტე და სწრაფად, სულ რამდენიმე თვეში, აამაღლა ტბის დონე, რომელიც ამის შემდეგ მლაშე ზღვად იქცა (Ballard, 2001)“[2].

როგორც ჩანს, ატლანტის ოკეანიდან ხმელთაშუა ზღვაში შემოჭრილი წყლის დიდი მასა იყო ატიკისა და ეგეოსის ზღვების კუნძულებისთვის ნოყიერი ნიადაგის შემოძარცვის მიზეზი. წყლის აწეულმა დონემ გაანგრია ბოსფორის სრუტე და შავი ზღვის (მაშინ ტბის) ნაპირებზე მცხოვრები მოსახლეობა აიძულა, თავშესაფარი უფრო ამაღლებულ ადგილებში ეძებნა. მათთვის მომხდარის შთაბეჭდილება წარუშლელი იქნებოდა, რადგან წყალი დაფარავდა მათი ბუნებრივი სამყაროს დიდ ნაწილს, გაანადგურებდა ამ ადამიანების საცხოვრის საზოგადოებივ სივრცეს, დაარღვევდა მათი ცხოვრების ჩვეულ რიტმს და აიძულებდა მათ ახალ ადგილებზე ადაპტირებას. იმ დროისათვის შავი ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაპირებზე მცხოვრები პროტოქართველური ტომები საკმაოდ განვითარებულნი იქნებოდნენ იმისათვის, რომ ამ კატასტროფის ამბები, ისტორიული მეხსიერებიდან გამომდინარე, შთამომავლებისთვის გადაეცათ და დროთა განმავლობაში ეს ამბები მითების საბურველში გაეხვეოდა. როგორც ქვემოთ ერთ-ერთ მომდევნო თავში ვნახავთ, პროტოქართველები მიგრაციის შედეგად ეგეიდაში აღმოჩნდნენ და იქ ჩაიტანდნენ დიდი კატასტროფის მითად ქცეულ ამბებს. ალბათ ასე მივიღეთ მითი ფრონევსის, ოგიგოსისა და დევკალიონის წარღვნათა შესახებ. იმის თაობაზე, რომ წარღვნის მითების ფორმირებაში პროტოქართველებს მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშათ, მეტყველებს დევკალიონის წარღვნის ისტორიაში კავკასიის ქედზე მიჯაჭვული პრომეთეს როლიც.

ამრიგად, რიგ მითებში მოხსენიებული ამბების რეალური საფუძველი გეოლოგიურ პროცესებში იძებნება.

1 იხ.: „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, მთავარი სამეცნიერო რედაქცია, თბილისი, 1986 წ., ტ. 10, გვ. 670-671.

2 იხ.: რევაზ გაჩეჩილაძე, „ახლო აღმოსავლეთი“, ბაკურ სულაკურის გამომცემლობა, თბილისი, 2008 წ., გვ. 161.

თავი III

სად მდებარეობდა კუნძული ატლანტისი

ზოგს შეიძლება ატლანტისელთა სამყოფელის ძიების საკითხი სრულიად ზედმეტი ეჩვენოს, რადგან პლატონს „ტიმეოსში“ ზედმიწევნით ზუსტად აქვს მითითებული მისი მდებარეობის ადგილი: „... იმ სრუტის გაღმა მდებარე კუნძული, თქვენს ენაზე „ჰერაკლეს სვეტებად“ რომ იწოდება“. ლაპარაკია ჰიბრალტარის სრუტის დასავლეთით ანუ ატლანტის ოკეანეში დიდი კუნძულის არსებობაზე, რომელზეც ატლანტისის სამეფოთა ძლიერი კავშირი მდებარეობდა.

ჩვენ არ ვიცით, ატლანტისის ადგილმდებარეობა, რაზეც დიალოგებშია საუბარი, ქურუმ სონქისაგან მომდინარე ცნობაა თუ პლატონის მისტიფიკაცია... სამაგიეროდ, ვიცით, რომ პირველი, ვინც ატლანტისის ამბავი პლატონის მიერ მოგონილად მიიჩნია, მისი მოწაფე არისტოტელე იყო, ოღონდ ეს საკითხი ამით არ გადაჭრილა და პლატონს მხარდამჭერებიც გამოუჩნდნენ. ძვ.წ. III საუკუნეში კრანტორ სოლელს ქალაქ საისში, ქალღმერთ ნეითის ტაძარში უნახავს ატლანტისზე დაწერილი ეგვიპტური ტექსტები. ამ ცნობას გვაწვდის ნეოპლატონიკოსი პროკლე, რომელიც, სავარაუდოდ, ცხოვრობდა ახ.წ.-ის 410-485 წლებში. ამავე ავტორს მარცელინუსის დაკარგული წიგნიდან „ეთიოპიის ისტორია“ შემოუნახავს ზოგიერთი მოსაზრება ატლანტისის შესახებ. აი, რას გვმცნობს ამის თაობაზე პროკლეს ნაშრომი: „ატლანტის ოკეანეში მდებარე ზოგიერთი კუნძულის მცხოვრებთ ხსოვნაში შემორჩენიათ თავიანთ წინაპართა მიერ მონათხრობი ამბები უჩვეულოდ დიდი კუნძულის – ატლანტისის შესახებ; ეს კუნძული პოსეიდონს ეკუთვნოდა და იქ მდებარე ქვეყანა დიდი ხნის განმავლობაში ფლობდა ოკეანის ყველა დანარჩენ კუნძულს“[1].

ორივე ეს წყარო ფასდაუდებელი მნიშვნელობისა იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება: პროკლეს პირველწყაროების ავტორთაგან აშორებს დროის დიდი მონაკვეთი – 8 საუკუნე, ამ ხნის მანძილზე კრანტორ სოლელისა და მარცელინუსის ტექსტების გადამწერებს, შესაძლოა, ნებსითა თუ უნებლიეთ, რაიმე ცვლილებები შეეტანათ, რომ არაფერი ვთქვათ თავად ნეოპლატონიკოს პროკლეზე, რომელიც პლატონის თავგამოდებული მიმდევარი იყო. ცხადია, ამის გამო მას არ შეიძლება ბრალი დაედოს ფაქტების გაყალბებაში, მაგრამ ყველაფერი ერთად მის ნაშრომს, როგორც, პლატონის დიალოგებში მოთხრობილი ამბის დამადასტურებელი წყაროს, დამაჯერებლობას უკარგავს.

საერთოდ, აშკარად იგრძნობა „ტიმეოსსა“ და „კრიტიაში“ მოცემული ისტორიის გავლენა შემდგომი ხანის ავტორთა ქმნილებებზე. ასე, მაგალითად: პლატონის უმცროსი თანამედროვის, ბერძენი ისტორიკოსის, თეოპომპე ქიოსელის (ცხოვრობდა ძვ.წ. 376-305 წლებში) ერთ ნაშრომში, რომელიც შემონახულია ახ.წ.-ის II-III საუკუნეების შესაყარზე მცხოვრები რიტორის, კლავდიუს ელიანუსის „ნაირფერ ისტორიებში“, ამოიკითხავთ: „ევროპა, აზია და ლიბია ოკეანით გარშემორტყმული კუნძულები იყო ოდესღაც. ერთადერთი მატერიკი ამ ქვეყნების გარეთ მდებარეობდა. ერთობ დიდი იყო ის მატერიკი და ვეება ცხოველები ბუდობდნენ იქ. ადგილობრივი მოსახლენიც ჩვენი მიწა-წყლის ხალხს სიდიდით ორჯერ აღემატებოდენენ. იმ ქვეყნებში ბევრი დიდი ქალაქი იყო, სულ სხვა კანონები და ადათ-წესები ჰქონდათ, ჩვენსას არ ჰგავდა. თავისი სიდიდით ორი ქალაქი გამოირჩეოდა

1 იხ.: ლუდვიკ ზაიდლერი, „ატლანტისი“, თბილისი, „ნაკადული“, 1972 წ., გვ. 178-179.

განსაკუთრებით, თუმცა, სიდიდის გარდა, არაფერი ჰქონდათ საერთო იმ ქალაქებს. ერთ მათგანს „საბრძოლო“ ეწოდებოდა, მეორეს – „სამშვიდობო“. მეორე ქალაქის მოსახლეობა უშფოთველად და შეძლებულად ცხოვრობდა. მოსავალს უგუთნოდ და უხარებოდ, უხნავ-უთესველად მოიწევდნენ. ავადმყოფობა რა იყო, არ იცოდნენ და მთელი მათი ცხოვრება ერთი გადაბმული დალხინება და სიხარული იყო. დანაშაულს და ცოდვას არ სჩადიოდნენ და ღმერთები დიდად უფასებდნენ ამ ამბავს. პირველი, საბრძოლო ქალაქის მკვიდრნი, პირიქით, შფოთისათვის იყვნენ განწობილნი, იარაღის ხმარება იცოდნენ. მუდამ იმის ცდაში იყვნენ, როგორმე მეზობლები დაემორჩილებინათ, რათა მათი ქალაქი მრავალ ხალხზე გაბატონებულიყო. ორ მილიონამდე სული ბინადრობდა ამ ქალაქში, იშვიათად ზოგიერთები ომში მიღებულ ჭრილობებს ეწირებოდნენ, ოღონდ რკინა ვერას ვნებდა მათ, ქვითა და ჯოხით თუ მოიკვლებოდნენ მხოლოდ. სამყოფი ჰქონდათ ოქრო და ვერცხლი და იმაზე ნაკლებად აფასებდნენ, ვიდრე ჩვენ ვაფასებთ რკინას. ოდესღაც, – ყვებოდა სილენი, – მათ მოიწადინეს ჩვენს კუნძულებსაც დასხმოდნენ თავს. ოკეანის გადმოღმა ათი მილიონი კაცი გადმოსხეს და ჰიპერბორელთა მიწებს მიაღწიეს. მაგრამ დარწმუნდნენ – ეს ხალხი ბედნიერი კი არის, ოღონდ ღარიბია და სიღატაკეში ცხოვრობსო, იმდენად შეიზიზღეს, რომ უარი თქვეს ლაშქრობის გაგრძელებაზე“[1].

თეოპომპეს მონათხრობის გაგრძელებაში კიდევ უფრო ჭარბად არის ფანტასტიკური ისტორიები. ეს შეეხება მეროპეებად წოდებულ ხალხს, რომლის სამფლობელოთა ბოლოს ერთი ადგილი, ანოსტო რომ ჰქვია, ისეთ ღრმულს ჰგავს, იქ არც სინათლეა და არც სიბნელე, ჰაერიც მეწამული. ამ ადგილას თურმე ორი მდინარე მოედინება – მწუხარებისა და სიხარულის. მათ ნაპირას ამოზიდულ ხეებს უცნაურ თვისებათა მქონე ნაყოფი ჰქონია. ვინც მწუხარების მდინარესთან გაზრდილი ხის ნაყოფს გემოს გაუსინჯავს, დამწუხრდება და მთელი სიცოცხლე მტირალი იქნება. ხოლო ვინც სიხარულის მდინარესთან მოწყვეტს ნაყოფს, ყველა სენისაგან განიკურნება, საზრუნავი დაავიწყდება და იქამდე გაახალგაზრდავდება, ვიდრე ბავშვად არ იქცევაო...

ახ.წ.-ის I საუკუნის რომაელი გეოგრაფის, პომპონიუს მელას წიგნში, „დედამიწის აღნაგობისათვის“, მოცემულია ნეტარი კუნძულების აღწერა: „სანაპიროს მზით გადაბუგული ნაწილის პირდაპირ არის კუნძულები, რომლებიც, გადმოცემის თანახმად, ჰესპერიდებს ეკუთვნით. სილიან სივრცეში ატლანტის მთა წამომართულა. ყოველმხრივ გამოშვერილი კლდეები მიუვალს ხდიან ამ მთას; ზედა ნაწილი წაწვეტილი აქვს, მისი მწვერვალი არ იხილვება, ღრუბლებს არის აშორებული. ამბობენ, არათუ სწვდება ცასა და ვარსკვლავებს, მათ საყრდენადაც არის შედგმულიო.

ამ მთის მოპირდაპირე მხარეს ნეტართა კუნძულებია. იქ თავისით ამოიზრდება ერთიმეორის მომყოლი ნაყოფი, რომელსაც საზრდოდ ხმარობენ კუნძულთა მოსახლენი, იმ ხალხს საზრუნავი არ აწუხებს და დიდებულ ქალაქთა ბინადრებზე უკეთ ცხოვრობს. ერთი კუნძულთაგანი იმით არის შესანიშნავი, რომ ორი საკვირველი წყარო გამოედინება: პირველის მგემებელს სიცილი აუტყდება და შეიძლება სიცილით მოკვდეს კიდეც. საკმარისია, მეორე წყაროს წყალი შესვას, რომ სიცილმა გადაუაროს“[2].

ის, რასაც პომპონიუს მელა წერს, თავიდან აფრიკის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროსა

1 იხ.: კლავდიუს ელიანუსი, „ნაირ-ნაირი ამბები“, თბილისი, გამომცემლობა „ლოგოსი“, 2012 წ., წიგნი III, 3, 18, გვ. 64-65.

2 იხ.: ლუდვიკ ზაიდლერი, „ატლანტისი“, თბილისი, გამომცემლობა „ნაკადული“, 1972 წ., გვ. 178-179.

და მიმდებარე კუნძულების აღწერას ჰგავს, მაგრამ შემდეგ მისი მონათხრობი სიცილის მომგვრელი და წამგვრელი წყაროების თაობაზე ძალიან ჰგავს თეოპომპეს სიხარულისა და მწუხარების მდინარეების ამბავს. ამასთან, როგორც პირველ შემთხვევაში იყო, ისე აქაც ფანტასტიკური ელემენტის შემოტანა ნაშრომს დამაჯერებლობას უკარგავს. ამას გარდა, ორი მდინარე და ორი წყარო, კუნძულების განსაკუთრებული ნაყოფიერება საფუძველს გვაძლევს, ამ ნაწარმოებებში პლატონის „ტიმეოსისა“ და, განსაკუთრებით, „კრიტიას“ გავლენის კვალი დავინახოთ.

ამ ავტორთა გარდა ბევრ სხვასაც უწერია ოკეანეში არსებულ კუნძულთა შესახებ და როცა ამ კუნძულთა აღწერებს ეცნობი, ისევ და ისევ პლატონის ატლანტისის გავლენას ხედავ.

ნაწილობრივ ეს ითქმის ძვ.წ. I საუკუნის რომაელი ისტორიკოსის დიოდორე სიცილიელის „ბიბლიოთეკის“ V წიგნში მოცემული კუნძულის აღწერაზეც: „ჰერაკლეს სვეტებს გამოღმა მდებარე კუნძულების გაცნობის შემდეგ ოკეანის კუნძულებზე გადავიდეთ. ლიბიის დასავლეთით აფრიკასთან უფრო ახლოს, ოკეანის სივრცეში უდიდესი კუნძული არის განფენილი. იქაური მიწა ნაყოფიერია, თუმცა მთაგორიანი კი არის ის მხარე, სანაოსნო მდინარეებით რომ ირწყვება. ტყიან ადგილას სხვადასხვაგვარი ხეები ხარობს უხვად, ხოლო აურაცხელი წალკოტი ნაყოფსავსეა, სოფლებიც აგრეთვე მდიდრულად არის გაშენებული...

ამ ქვეყნის მთიან მხარეში მრავლად არის ტყეები, რომლებშიც ნაირგვარი მსხმოიარე ხე შეგხვდებათ... კუნძულზე ბევრია წყარო, რომელთა წყალი წყურვილს კი არ კლავს მხოლოდ, ჯანმრთელობისთვისაც მოსახდენია. ნადირიც მრავლადაა მოსანადირებლად და მათი ხვავრიელობა სიხალისისა და სიმდიდრის ელფერით ამშვენებს ხოლმე ლხინს. კუნძულის ირგვლივ ზღვა თევზით არის სავსე... ჰავა ფრიად კეთილია... ბოლოს, იმ კუნძულზე იმდენად მშვენიერია ცხოვრება, რომ იტყვით, იქ კაცნი კი არა, ღვთაებანი უნდა სახლობდნენო.

დანარჩენი ქვეყნებისაგან დაშორების გამო წინათ ის კუნძული ცნობილი არ ყოფილა. შემთხვევით წააწყდნენ. ფინიკიელი ვაჭრები ძველთაგანვე ზღვით მიმოდიოდნენ ხოლმე. ამიტომ მხოლოდ აფრიკაში კი არა, ევროპის დასავლეთით მდებარე მხარეებშიც დაესახლნენ ისინი. რაკი ხელიც მოემართათ, ჰერაკლეს სვეტებსაც გასცდნენ და ოკეანედ წოდებულ ზღვაში შეცურეს; მანამდე კი, სვეტების ახლოს, სრუტესთან, ევროპის ნახევარკუნძულზე ქალაქი გადირი (დღევანდელი ესპანეთის ქალაქი კადიქსი. პ.ი.) დააფუძნეს და იმ ქალაქში ჰერაკლეს სახელზე ააგეს დიდებული ტაძარი, სადაც მსხვერპლს სწირავდნენ ხოლმე ფინიკიელთა ჩვეულებისამებრ. ის ტაძარი კვლავინდებურად წმინდა ადგილად არის მიჩნეული, ისე რომ, თვით წარჩინებული რომაელნიც დიდთა საქმეთათვის ხელის მიყოფამდე იმ ტაძარში აღთქმას დებდნენ ხოლმე და, საქმის კეთილად დაგვირგვინების შემდგომ, აღთქმასაც აღასრულებდნენ. ერთხელ, აფრიკის გასწვრივ მცურავი ფინიკიელნი ქარიშხალმა შორს გაიტაცა ოკეანეში და გზააბნეულნი ბოლოს იმ კუნძულს მიადგნენ. იმ მხარის დოვლათიანობის ამბავი რომ შეიტყვეს, სხვებსაც ამცნეს ეს ყოველივე. ამიტომ ზღვაოსანმა ტირენიელებმაც (ეტრუსკებმა. პ.ი.) განიზრახეს იქ დამკვიდრება, მაგრამ მათ წინ აღუდგნენ კართაგენელნი, რომელნიც იმას უფრთხოდნენ, რომ იმ კუნძულზე უზრუნველად ცხოვრების იმედით ცდუნებული მათი მოქალაქენი იქ არ გადასახლებულიყვნენ და, გარდა ამისა, კართაგენელებს სურდათ, ვინიცობაა მოულოდნელი საშიშროება დასტეხოდათ, მზა თავშესაფარი ჰქონოდათ მარქაფად. იმედოვნებდნენ – თუკი ხომალდები გვექნა, მტრისათვის უცნობ კუნძულებზე გადახვეწას ყველანი შევძლებთო“[1].

თუ რამითაა დიოდორე სიცილიელის ნაშრომის ეს თავი გამორჩეული, ესაა ჰერაკლეს სვეტებს იქით ფინიკიელებისა და ეტრუსკების საზღვაო ექსპედიციების შემცველი ცნობები, ამ ორ საზღვაო ერს შორის არსებული წინააღმდეგობის ასახვით, რასაც ახლად აღმოჩენილი კუნძულების კოლონიზების მცდელობა ედო საფუძვლად. რაც შეეხება ოკეანეში განფენილ უდიდეს კუნძულს, ეს უდავოდ პლატონის ატლანტისის ანარეკლია, რადგან ასეთი სიდიდის, ისიც დასახლებული, კუნძული ატლანტის ოკეანეში არ არსებობს. თუ კანარის კუნძულებსა და ერთ დროს იქ მოსახლე გუანჩების ტომს ვიგულისხმებთ, გამოდის, რომ ავტორს კუნძულების მასშტაბიც გაუზრდია და ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაც ერთობ გაიდეალებულად აუსახავს.

სხვათა შორის, დიოდორე სიცილიელს „ბიბლიოთეკის“ III წიგნში აღწერილი ჰქონია ამორძალების ლაშქრობა ატლანტების ნაყოფიერ მიწაზე მცხოვრები მშვიდობიანი უწყინარი ხალხის წინააღმდეგ. თუ რისი ანარეკლია მისი ეს აღწერა, ამის თქმა დანამდვილებით შეუძლებელია. ამასთან, ეს მონათხრობი არაფერს მატებს ატლანტისის ატლანტის ოკეანეში არსებობის იდეას.

ბრიტანეთის კუნძულების მახლობლად მდებარე უცნობ კუნძულებზეც ბევრი ითქვა: „ცივი ზღვების შესახებ, ამ კუნძულთა ნაპირებს რომ მიმორეცხავს, იმ დროს ყოველგვარ უაზრობას ყვებოდნენ. ასე, მაგალითად: კართაგენში ნამყოფი ერთი იდუმალი უცხოელის მონათხრობით, ბრიტანეთის კუნძულების დასავლეთით, ხუთი დღის ცურვის მანძილზე, არის კუნძული ოგიგოსი, მისგან ჩრდილოეთით კი – სამი სხვა; ერთ-ერთ ამ კუნძულზე დამწყვდეული იყო დამხობილი ღმერთი კრონოსი“[2]. ჯ.ო. ტომსონი ქვემოთ მიუთითებს, ეს ისტორია პლუტარქეს ეკუთვნისო. ოღონდ იმავე გვერდზე, რიგით მესამე სქოლიოში განმარტებულია: „აქ ავტორი გულისხმობს არა ისტორიკოს პლუტარქეს, „პარალელური ბიოგრაფიების“ ავტორს, არამედ ჩვ.წ. II ს. უცნობ მწერალს, რომელსაც ფსევდო-პლუტარქეს უწოდებენ“.

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მითში მოთხრობილი ამბისათვის გეოგრაფიული კონკრეტულობის მინიჭების მცდელობასთან. რაც შეეხება კრონოსს (Kronos), ის არის ოლიმპოს ღმერთების წინამორბედი, ურანოსისა და გეას შვილი, უმცროსი ტიტანი. Mან დედის (დედამიწის), გეას შემაწუხებელი თავისი მამა ურანოსი ნამგლით დაასაჭურისა, დანარჩენ ტიტანებზე ამაღლდა და ღმერთებს სათავეში მოექცა. კრონოსის დროს დადგა ოქროს ხანა. ცა და დედამიწა გაიყო. ცოლად შეირთო საკუთარი და – რეა, მისგან ეყოლა ჰესტია, დემეტრა, ჰერა, ჰადესი, პოსეიდონი, ზევსი; ხოლო ფილირისაგან – კენტავრი ქირონი. გეამ უწინასწარმეტყველა, შენც შენი შვილი დაგამხობსო. ამიტომ შვილებს დაბადებისთანავე ყლაპავდა. შთანთქა ყველა, გარდა ზევსისა, რადგან რეამ შვილის მაგივრად ქვა გადააყლაპა. პატარა ზევსი კი გადამალა კუნძულ კრეტაზე, იდას მთაგრეხილზე, დიქტეს გამოქვაბულში, სადაც მას თხა ამალთეა კვებავდა, კურეტები იცავდნენ, ნიმფები უვლიდნენ. როცა ზევსი გაიზარდა, ტიტანებთან ბრძოლას ჩაუდგა სათავეში, დაამხო კრონოსი და დედამისის, გეას დახმარებით, აიძულა, ჩაყლაპული შვილები ამოენთხია. აი, ეს

1 იხ.: ლუდვიკ ზაიდლერი, „ატლანტისი“, თბილისი, გამომცემლობა „ნაკადული“, 1972 წ., გვ. 183-184.

2 იხ.: Дж.О. Томсон, «История древней географии», Издательство иностранной литературы, Москва, 1953 г., გვ. 183.

კრონოსი, ერთი ვერსიით, სხვა ტიტანებთან ერთად ქვესკნელშია, მეორეთი – ოგიგოსზე იყო დატყვევებული; შემდეგ კი, ზევსთან დაზავებული, უკვე ნეტარ კუნძულებზე მსაჯულობდა.

ეს მითი იმით არის საყურადღებო, რომ მასში ასახულ ძველ და ახალ ღვთაებათა ბრძოლაში, ანუ ტიტანების დამარცხებასა და კუნძულზე დატყვევების ამბავში, აშკარად შეიმჩნევა ანარეკლი ეგეიდაში მიმდინარე კულტურათა ცვლის მძიმედ მიმდინარე პროცესისა, რაც ამ კულტურათა მატარებელი ეთნოსების გაძლიერების, დასუსტებისა და დაცემის შედეგად ხდებოდა. ჩანს, ბერძნებზე ადრინდელი კულტურის მატარებელი ხალხი, დამარცხების შემდეგ, ვიდრე ახალ ეთნიკურ ძალასთან ასიმილირდებოდა, კუნძულებზე აფარებდა თავს და ინარჩუნებდა თავისთავადობას, სანამ საბოლოოდ არ იქნა ბერძენთა მიერ დამორჩილებული.

კრონოსი ძველი კულტურის მითოლოგიზებული სახეა, ზევსი – ახლისა. მას შემდეგ, რაც ბერძენთა თვალსაწიერი გაიზარდა, მითოლოგიურ პერსონაჟთა სამოქმედო ასპარეზიც გაზარდეს და ის ეგეიდას ბევრად დააშორეს. შესაბამისად, კუნძული ოგიგოსიც სულ უფრო შორს გადაჰქონდათ და აი, ფსევდო-პლუტარქემ სცადა მისი ადგილმდებარეობის ლოკალიზება ატლანტის ოკეანეში. შემდეგ თავში ამ მითს კიდევ გავიხსენებთ. მივუბრუნდეთ კართაგენელთა საზღვაო ექსპედიციებს ატლანტის ოკეანეში, კერძოდ, ბრიტანეთის კუნძულებისკენ. ამის შესახებ ცნობებს ვნახულობთ ახ.წ. IV საუკუნის რომაელი პოეტის, რუფუს ფესტუს ავიენიუსის წიგნში „ზღვის სანაპიროს აღწერა“, რომელშიც ბერძენ ავტორთა შრომები უხვადაა გამოყენებული. აი, რას წერს ავიენიუსი: „აქედან წმინდა კუნძულებამდე, – ასე ეწოდებოდა მას ძველად, – ხომალდით ორი დღის სავალია. ის კუნძული (ირლანდია. პ.ი.) განივრად არის ამოზიდული წყლიდან და მასზე გიერნთა ტომი ცხოვრობს. მის მახლობლად ალბიონთა ტომის კუნძულია (დიდი ბრიტანეთი. პ.ი.) გაშლილი. ტარტესის მკვიდრთ ჩვეულებად ჰქონდათ ესტრიმინიდის ფარგლებში ევაჭრათ, ხოლო კართაგენის მცხოვრებნიცა და ჰერაკლეს სვეტებთან მოსახლენიც არაერთხელ შეცურებულან ამ ზღვებში. პუნიელი ჰამილკონი, რომელიც გვაუწყებს, ეს ყოველივე თავადვე გამოვცადე, როცა იქამდე გაჭირვებით ჩავაღწიეო, ამბობს: ოთხ თვეში თუ შეიძლება ამ გზის გავლა; ქარი არ ქრის, რომ ხომალდი მისით იძვროდეს, წყლის ლუმბრა ზედაპირი უძრავად დგასო. ამას უნდა დაემატოს შემდეგი: მორევთა წიაღში მრავლად იზრდებიან წყალმცენარენი და ტყეში აშლილი შამბნარივით ხომალდის ძვრას აბრკოლებენ ხოლმე. ამასთან, მისივე თქმით, იქ ზღვაც არ არის ღრმა და თხელი წყალი მიწას ძლივს ფარავს. ზღვის ცხოველთა გუნდებიც ხშირად გვხვდება იქ, ტაატით მიმავალ ხომალდთა შორის ზღვის ურჩხულები მიმოიძვრიან“[1].

ის, თუ სად მდებარეობდა წმინდა კუნძული, რომლის შესახებაც ავიენიუსის წიგნშია ლაპარაკი, მეცნიერებს დღემდე ვერ დაუდგენიათ. ციტატა მნიშვნელოვანი იმითაც არის, რომ წარმოდგენას გვიქმნის კართაგენელთა საზღვაო ექსპედიციების მასშტაბებსა და ხასიათზე. ოკეანის ზედაპირზე ამოსული წყალმცენარეები ნაოსნობას რომ აბრკოლებდნენ, შესაძლოა, ოკეანის იმ ადგილს წარმოადგენდეს, სადაც სარგასის ზღვაა ანუ შესაძლოა კართაგენელებს ანტილიის კუნძულებამდე მიეღწიოთ...

ეს ყველაფერი კარგია იმის დასასაბუთებლად, თუ როგორ იზრდებოდა ანტიკური სამყაროს გეოგრაფიული ფარგლები, რომ ისინი უკვე ატლანტის ოკეანეში დაცურავდნენ,

1 იხ.: ლუდვილ ზაიდლერი, „ატლანტისი“, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1972 წ., გვ. 181-182.

აღწევდნენ კანარის, მადერას, აზორისა და ბრიტანეთის კუნძულებს, სავარაუდოდ, ანტილიის კუნძულებსაც.

რაც შეეხება თეოპომპეს, პომპონიუს მელას, დიოდორე სიცილიელის, პლუტარქესა და ავიენიუსის შრომებს, მათში, როგორც უკვე ვთქვი, იგრძნობა პლატონის „ტიმეოსისა“ და „კრიტეას“ პირდაპირი თუ ირიბი გავლენა.

მიუხედავად იმისა, თუ რამდენად სარწმუნოა ის წყაროები, ზემოხსენებული ავტორები რომ ეყრდნობიან, ატლანტოლოგთა დიდი ნაწილი მათ შრომებში ატლანტის ოკეანეში კუნძულ ატლანტისის კატასტროფას გადარჩენილი ფრაგმენტების არსებობის დადასტურებას ხედავს...

არადა, პრობლემა ასე ადვილი გადასაწყვეტი არ არის თუნდაც იმიტომ, რომ ბერძნებმა არათუ პლატონამდე 9000 წლის წინ იცოდნენ ჰერაკლეს სვეტებს იქით მდებარე ოკეანის სახელი, არამედ, საყოველთაოდ ცნობილია ბერძნულ ლიტერატურაში, ატლანტის ოკეანე ამ სახელწოდებით პირველად ჰეროდოტემ ახსენა თავის „ისტორიაში“: „ხოლო მთელი ის ზღვა, რომელზედაც ელინები ცურავენ და ის, რომელიც ჰერაკლეს სვეტებს გარეთაა (ატლანტისად რომ იწოდება) და მეწამული ზღვა არსებითად ერთია“[1].

ამრიგად, იმ დროის კულტურული ერებიდან პირველები ფინიკიელები გასცდნენ ჰერაკლეს სვეტებს: „ეგეიდის ათვისების შემდგომ ფინიკიელებმა სავაჭრო ურთიერთობა დაამყარეს ხმელთაშუა ზღვის უკიდურეს დასავლეთის რაიონებთან, პირინეის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ იბერებთან, რომელთაგან ისინი უმთავრესად ლითონს იძენდნენ. ფინიკიელები დიდ სავაჭრო ექსპედიციებს აწყობდნენ პირინეის იბერიაში, სადაც ბრინჯაოს იარაღს, ნაირგვარ სურნელოვან ზეთებს, ძვირფას ქსოვილებს და სხვადასხვა წვრილმანს მიეზიდებოდნენ ხოლმე. იქ შეძენილი საქონელი კი მიჰქონდათ აღმოსავლეთისაკენ – სიცილიაში, საბერძნეთში, აზიაში და ვაჭრობის შედეგად დიდ მოგებას ნახულობდნენ. თანდათან ფინიკიელებმა ამ სავაჭრო გზის ათვისება მოახერხეს, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობების დასამყარებლად. საჭირო იყო აღნიშნული სავაჭრო გზის გასწვრივ ფინიკიურ დასახლებათა შექმნა, რომელნიც იქცეოდნენ ბაზებად დასავლეთისაკენ მიმავალი გემებისათვის. პირველი ფინიკიური კოლონია ტვიროსელებმა დააარსეს ჰიბრალტარის სრუტის დასავლეთით აფრიკის სანაპიროზე, იქ, სადაც ამჟამად მდინარე ლიკსი ატლანტის ოკეანეს ერთვის, მაგრამ რადგან იგი სავაჭრო გზებისაგან დაშორებული იყო, ტვიროსელმა ვაჭრებმა უშუალოდ იბერიის ნახევარკუნძულზე მოიკიდეს ფეხი და ფინიკიური ქალაქი გადესი (თანამედროვე კადიქსი) დააარსეს“[2].

ზემოხსენებული ორი კოლონიის გარდა, ფინიკიელებმა ჰერაკლეს სვეტების მიდამოებში კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ქალაქი ააშენეს: ტინგისი, კაინე, აბიტე. ხმელთაშუა ზღვის ამ უკიდურეს დასავლეთში ევროპისა და აფრიკის გამყოფ სრუტესთან უკვე ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში მოიდგეს ფეხი ფინიკიელებმა.

ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილში მათი უდიდესი კოლონია იყო ძვ.წ. 825 წელს დაფუძნებული ქალაქი კართაგენი. თავის მხრივ, კართაგენელებმაც ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში მოაწყვეს ექსპედიციები ჰერაკლეს სვეტებს მიღმა კოლონიების დაარსების მიზნით, მაგალითად, ჰანონის ხელმძღვანელობით განხორციელებული ცურვა.

1 იხ.: ჰეროდოტე, „ისტორია“. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1975 წ., ტ. I, გვ. 111.

2 იხ.: „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1971 წ., გვ. 336-337.

სოლონის ეგვიპტეში ჩასვლამდე ცოტა ხნით ადრე ფარაონ ნეხოს (ძვ.წ. 609-593 წ.წ.) დავალებით ფინიკიელებმა წითელი ზღვის გავლით აფრიკას გარშემო შემოუარეს. ამის შესახებ ცნობას ჰეროდოტე გვაწვდის: „ცხადია, რომ ლიბიეს ირგვლივ ზღვა ერტყმის, გარდა იმ ნაწილისა, რომლითაც ის აზიას ესაზღვრება. ვინც ჩვენ ვიცით, მათ შორის პირველი იყო ნეხო, ეგვიპტის მეფე, რომელმაც ეს დაამტკიცა: მან შეწყვიტა არხის თხრა, რომელიც ნილოსიდან არაბიის უბისაკენ მიემართებოდა, გაგზავნა ფინიკიელები ნავებით და უბრძანა მათ, უკან ჰერაკლეს სვეტებით გამოეცურათ, ვიდრე არ მოვიდოდნენ ჩრდილოეთის ზღვასა (ხმელთაშუა ზღვა. პ.ი.) და, ამრიგად, ეგვიპტეში“[1].

ფინიკიელთა ასეთი აქტიურობის დროს, როცა ისინი „ჰერაკლეს სვეტებს“ შორის კარგა ხანია გადი-გამოდიოდნენ, ბერძენი კოლაიოს სამოსელი იქ შემთხვევით მოხვდა: „ძალიან უნდოდათ ეგვიპტეში მოხვედრა, მაგრამ აღმოსავლეთის ქარმა მათ გზა გაუმრუდა. რადგან ქარი არ ჩადგა, გაიარეს ჰერაკლეს სვეტები და ღვთის განგების მიხედვით მიაღწიეს ტარტესოსს“[2]. ეს ამბავი ძვ.წ. 631 წელს მომხდარა, ანუ ძვ.წ. VII საუკუნეში ბერძნები ატლანტის ოკეანის გაცნობას მხოლოდ იწყებდნენ. უფრო ადრე მათ ამის შესახებ წარმოდგენაც არ ჰქონდათ: „ჰომეროსი არაფერს ამბობს ფინიკიელთა თაობაზე დასავლეთით და სიცილიის იქით არ მიუთითებს არავითარ რეალურ სახელწოდებას“[3].

ციტატიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ რაკი ჰომეროსს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილზე, შესაბამისად, ბერძნებმაც ბევრი არაფერი იცოდნენ ზღვის ამ ნაწილზე. ეხება რა ისეთ თემას, როგორიც არის ჰომეროსი და გეოგრაფია, ჯ.ო. ტომსონი თავის ნაშრომებში ცდილობს, დაწვრილებით გაერკვეს პრობლემის არსში: „ყველა ამ მსჯელობიდან მხოლოდ ის არის ნათელი, რომ პოეტი მისთვის უცნობ არემარეს მეტად თავისუფლად ექცევა. აქ შეიძლება ადგილი ჰქონოდა მივიწყებულ მოგზაურობათა გამოძახილს, მაგრამ ეს ნათელი არ არის და ხალხურ თქმულებათა ელემენტებთან უცნაურადაა შეზავებული წმინდა გამონაგონი. თუ ამაზე დიდი ხნით ადრე ვიღაც ეგეიდელებს შეეძლოთ დასავლეთზე მოეთხროთ რაიმე რეალური, ის ლეგენდებითაა გაბუნდოვნებული და თუ ოდისევსმა „ნახა ბევრი ხალხის ქალაქები და მათი აზრები შეისწავლა“, ჰომეროსთან ჩვენ ვხედავთ მხოლოდ საყოველთაოდ ცნობილ ზღაპრებს, უფრო დამაჯერებელი თავგადასავლები რომ დავიწყებას მისცეს. საპირისპიროდ ზოგიერთი ძველი მწერლის აზრისა, ჰომეროსს წარმოდგენა არა აქვს ხმელთაშუა ზღვაზე, ვითარცა ტბაზე, და მის ოკეან-მდინარეს საერთო არაფერი აქვს ნამდვილ ოკეანესთან ან მის მიქცევებსა და მოქცევებთან. ის თუმცა განასხვავებს მას ზღვისაგან, მაგრამ არა როგორც ცნობილ გარე ზღვას შიდა ზღვისაგან, რამდენადაც ეს სტრაბონს წარმოუდგენია. ზოგიერთი თანამედროვე ავტორი მიუთითებს, რომ პირველ ხანებში ოკეანის შესახებ წარმოდგენა იყო წმინდად მითიური, მაგრამ უკვე ფინიკიელთა ცნობების გავლენით ის ჩაითვალა ნამდვილ გარე ზღვად“[4]. ჯ.ო. ტომსონის ეს მოსაზრება თავდება სქოლიოს მითითებით, სადაც ის მეტად საინტერესო ინფორმაციას გვთავაზობს სიტყვა „ოკეანის“ ეტიმოლოგიის თაობაზე: „კ. რიტერი წერს, რომ თავად სიტყვა „ოკეანე“ წარმოსდგება ფინიკიური სახელწოდებიდან „ოგენ“, რაც „ყოვლისმომცველს“ ნიშნავს, რამეთუ ფინიკიელები პირველები გაეცნენ ოკეანეს, გავიდ-

1 იხ.: ჰეროდოტე, „ისტორია“. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1975 წ., ტ. I, გვ. 263.

2 იხ.: იქვე, გვ. 296.

3 იხ.: Дж.О. Томсон, «История древней географии», Издательство иностранной литературы, Москва, 1953 г., გვ. 50.

4 იხ.: იქვე, გვ. 53.

ნენ რა ჰიბრალტარის სრუტის გაღმა“[1].

მაშ ასე, როგორც ძველი, ისე თანამედროვე ავტორები ერთხმად ადასტურებენ ფინიკიელთა პირველობას ატლანტის ოკეანის კვლევის საქმეში და მაინც ხმელთაშუა ზღვის უკიდურესი დასავლეთი ნაწილისა და თავად ოკეანის ტოპონიმიკას ბერძნებმა თავისი კვალი დაამჩნიეს: ოკეანესთან დამაკავშირებელ სრუტეს (დღეს ჰიბრალტარისა რომ ჰქვია) „ჰერაკლეს სვეტები“ უწოდეს. ბერძნული მითოლოგიით, ამ სვეტების ამბავი ბერძენი გმირის, ჰერაკლეს მეათე გმირობას უკავშირდება. ეს არის გერიონის ძროხების ამბავი, რომელთა გამორეკვაც ევრისთევსმა დააკისრა ჰერაკლეს. ბუმბერაზი გერიონი უკიდურეს დასავლეთში, შუაგულ ოკეანეში კუნძულ ერითიაზე ცხოვრობდა. დავალების შესასრულებლად შორეულ გზას გაუდგა ჰერაკლე. გაიარა ევროპა, ეგვიპტე, მთელი ლიბია და მივიდა ოკეანის პირას. აქ, ტარტესთან ახლოს, თავისი ხანგრძლივი მოგზაურობის აღსანიშნავად აღმართა ორი სვეტი. ასეა მითის მიხედვით. ბერძნებმა „ჰერაკლეს სვეტები“ უწოდეს იმ ორ კლდეს, რომლებიც სრუტის ორივე – ევროპულ და აფრიკულ – ნაპირზე არის წამომართული.

ბერძნებმა აფრიკის ამ ნაწილში მდებარე მთებს ასევე მითოლოგიური პერსონაჟის, ატლანტის სახელი დაარქვეს. მითის მიხედვით, ატლანტი არის იაპეტისა და კლიმენეს, სხვა ვერსიით კი აზიის ძე, პრომეთეს ძმა, პლეადებისა და ჰესპერიდების მამა, აფრიკის მეფე. ამავე დროს ის არის ზღვათა წიაღისა და ცის მეცნიერი, მას მიაწერდნენ ცის პირველი სურათის დამზადებას და ამის წყალობით ასტრონომიის ფუძემდებლად შეიძლება მივიჩნიოთ. ღმერთებთან შებრძოლებისათვის ზევსმა დასაჯა მეამბოხე ტიტანი და ცის თაღი დაადგა მხრებზე. აფრიკისა და ევროპის შესაყართან იდგა ცის თაღს სვეტად შემდგარი ტიტანი, ჰესპერიდების ბაღიც მას ეკუთვნოდა. ამ ბაღში ინახებოდა ის ოქროს ვაშლები, გეამ რომ აჩუქა ჰერას ქორწილში და ჰერაკლეს მიკენის მეფისათვის უნდა ჩაეტანა. ეს მისი მეთორმეტე გმირობა იქნებოდა. ჰერაკლე მივიდა ჰესპერიდების ბაღში, ატლანტს სთხოვა, ვაშლები მომიტანეო, პრომეთეს რჩევით ატლანტს შეენაცვლა და ცის თაღი დაიდგა მხრებზე. გათავისუფლებულმა ატლანტმა ვაშლები მიუტანა, თუმცა, ტვირთისაგან გათავისუფლება გაუტკბა, აღარ მოუნდა, ცის თაღს სვეტად შესდგომოდა და ჰერაკლე კინაღამ იქ დარჩა მის მაგივრად, მაგრამ გმირმა იეშმაკა, მცირე ხნით შენაცვლება სთხოვა ატლანტს და, როცა ამ უკანასკნელმა ცის თაღი ისევ დაიდგა მხრებზე, ჰერაკლემ ვაშლებს დასტაცა ხელი და გაეცალა. მიუტანა ვაშლები ევრისთევსს, მაგრამ ამ უკანასკნელმა ჰერაკლეს უკან დაუბრუნა. ჰერაკლემ ვაშლები ათენას უძღვნა, მაგრამ ქალღმერთმა ისინი ისევ ჰესპერიდების ბაღში დააბრუნა, რადგან მათი სხვაგან შენახვა არ შეიძლებოდა.

ერთხელ, უხეში დახვედრით გაწბილებულმა პერსევსმა მედუზას თავი უჩვენა ატლანტს და ის იმ მთად აქცია, რომელსაც ატლასის მთებს ვუწოდებთ და რაკი ატლანტის სამყოფელი ესოდენ ახლოს აღმოჩნდა ჰერაკლეს სვეტებთან მდებარე ოკეანესთან, ბერძნებმა მას ატლანტის ოკეანე უწოდეს...

ბერძენთა მითოლოგიამ დიდი გავლენა იქონია მათ გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ ხედვაზე. ამისი დადასტურებაა ჰეროდოტეს მიერ აფრიკის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის აღწერა: „ამ ბორცვს მოსდევს მთა, რომელსაც სახელად ჰქვია ატლასი. ეს მთა ვიწროა და სრულიად მრგვალი, იმასაც ამბობენ, რომ იმდენად მაღალია, რომ მისი მწვერვალის დანახვა არც კი შეიძლებაო, რადგან არასოდეს ტოვებს მას ღრუბელი, არც ზაფხულში და

1 იხ.: იქვე, გვ. 53-ზე მესამე სქოლიო.

არც ზამთარში. ადგილობრივი მცხოვრებნი ამბობენ, რომ ეს არის ზეცის საბჯენი სვეტი. ხოლო ხალხი, რომელიც ამ მთასთან ცხოვრობს, მისი მოსახელეა. მათ ხომ ატლანტები ეწოდებათ. ამბობენ, რომ ისინი არაფერ სულიერს არ ჭამენ და არც სიზმრებს ხედავენ“[1].

ასეთი გახლავთ ბერძენი ისტორიკოსის თვალსაზრისი. ჰეროდოტე, მის წინამორბედ ისტორიკოსთა მსგავსად, ნამდვილად არ ყოფილა „ლოგოგრაფოსი“, რაც პროზით მწერალს ნიშნავს, – ასე უწოდებდნენ ადრეული ხანის ბერძენ ისტორიკოსებს. „მათ შესახებ ზოგადად უნდა ითქვას, რომ მათში მთავარი ყურადღება ლეგენდარულ ხანას აქვს მიქცეული და ისტორია არ არის ჯერ კიდევ გამიჯნული მითოსისაგან“[2]. მაგრამ, მისი აზროვნებისა და წერის სტილის, აგრეთვე მხატვრულობიდან და პოეტურობიდან გამომდინარე, ზოგ შემთხვევაში ჰეროდოტეს ნაწარმოებებში მითოსური წარმოშობის ცნობებს გარკვეული ადგილი უკავიათ და ატლანტებზე მსჯელობაც სწორედ ასეთი შემთხვევა გახლავთ, ხოლო რაც შეეხება იქაურ, ანუ ჩრდილო-დასავლეთი აფრიკის უძველესი ადგილობრივი მოსახლეობის, შთამომავლებს, მათი საერთო რაოდენობა 9 მილიონია, ლაპარაკობენ სემიტურ-ქამიტურ ენათა ოჯახში შემავალი ბერბერული ენის დიალექტზე. ენციკლოპედიაში მათ შესახებ ამოიკითხავთ: „ანთროპოლოგიურად განეკუთვნებიან ევროპოიდულ რასას. ბერბერული ტომების მთავარი ჯგუფებია: ტამაზიგტი, რიფები, შლიოხი, ტუარეგები, კაბილები და სხვ. ბ. ჩრდ. აფრიკის უძველესი მოსახლეობაა. მათი წინაპრები „თეხენუს“ სახელწოდებით პირველად იხსენიებიან ძვ.წ. IV ათასწლეულის ბოლო ხანების ეგვ. წარწერებში. უფრო გვიან ეგვიპტელები მათ უწოდებდნენ „ლებუს“ ან „ლიბუს“ (აქედანაა ლიბიელთა სახელწოდება)“[3].

საინტერესოა, „თეხენუს“ ბერბერთა შორეული წინაპრების თვითწოდება იყო, თუ ასე მათ ეგვიპტელებმა დაარქვეს. ამ კითხვაზე რომ პასუხი გვაპოვნინა, მაშინ გვეცოდინებოდა, ისინი თავის თავს რას უწოდებდნენ. რაც შეეხება „ლებუს“, ის ეგვიპტელთა შერქმეული გარეწოდებაა, რომელიც ბერძნებმა შეითვისეს და ამ სიტყვით აფრიკას მოიხსენიებდნენ.

როგორც ხედავთ, არც ეს ხალხი ეძახდა თავის თავს ატლანტებს და არც ეგვიპტელები უწოდებდნენ მათ ასე. ბერძნებმა ატლასი ჯერ მთას დაარქვეს, მერე მთის ძირას მცხოვრებ ხალხს და ბოლოს – ოკეანეს, სადაც შემდეგ პლატონმა კუნძული ატლანტისი „განათავსა“.

ასე რომ, ამ ოკეანესთან ბერძნებს ნაოსნობაზე მეტად მითები აკავშირებდათ, მითიურ პერსონაჟთა სამყოფელი კი იმის მიხედვით გადაადგილდებოდა ელადიდან შორს, რამდენადაც, როგორც უკვე მოგახსენეთ, ფართოვდებოდა ბერძენთა გეოგრაფიული თვალსაწიერი: მათ ჯერ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი ნაწილი „აითვისეს“, შემდეგ – დასავლეთი, ფინიკიელების მიერ ოკეანის დალაშქვრის შემდეგ კი, ამ ოკეანესაც დაარქვეს სახელი და მის უკდეგანო სივრცეებში მოათავსეს ზოგიერთი მითოლოგიური პრესონაჟის ადგილსამყოფელი.

თუ ამ კუთხით შევხედავთ, მაშინ შესაძლებელია, დავუშვათ, რომ კუნძული ატლანტისი თავდაპირველად სულ სხვა ადგილას მდებარეობდა და ისიც საკითხავია, ასე ეწოდებოდა თუ არა. ეს კითხვა კი, თავის მხრივ, სხვას ბადებს: საინტერესოა, სოლონთან საუბრისას როგორ მოიხსენია ატლანტისელები ქურუმმა სონქიმ? ან ეგვიპტელმა ქურუმებმა თუ იცოდნენ, ეს ხალხი საკუთარ თავს და ქვეყანას რას უწოდებდა? ამისი ცოდნა ატლანტისთან დაკავშირებით არსებულ ყველა საიდუმლოს გამოააშკარავებდა, მაგრამ ეს რომ არ ვიცით, ამაში დამნაშავე ჯერ ეგვიპტელები ყოფილან, შემდეგ კი სოლონი. გავიხსენოთ, რა წერია ამის თაობაზე დიალოგში „კრიტია“:

„სოლონს როგორც კი აზრად მოუვიდა თავის პოემაში გამოეყენებინა ეს მოთხრობა, მან ცნობისმოყვარეობა გამოიჩინა სახელთა მნიშვნელობის მიმართ და პასუხად მოისმინა, რომ ეგვიპტელები, იწერდნენ რა ამ ხალხის წინაპრების სახელებს, თარგმნიდნენ მათ თავიანთ ენაზე; ამიტომ თავად სოლონი არკვევდა სახელთა მნიშვნელობას და წერდა მათ უკვე ჩვენს ენაზე“.

ამრიგად, როგორ მოიხსენიებდნენ ატლანტისელები საკუთარ ქვეყანას და ხალხს, აგრეთვე მათი ტოპონიმიკა, ღმერთებისა და მეფეების სახელები, ჩვენ არ ვიცით; ხოლო ის, რაც ცნობილია და რასაც პლატონი წერს თავის დიალოგებში, ეს არის ცნობები უცნობი ხალხის შესახებ, რომლებიც ჯერ ეგვიპტურად უთარგმნიათ, შემდეგ – ბერძნულად; ამიტომაა, ატლანტისელების სახელები და ტოპონიმიკა ბერძნულად რომ ჟღერს და ამ ხალხის ნამდვილ თვითწოდებასთან საერთო არაფერი აქვს; მაგრამ ვიდრე მათ ნამდვილ სახელს არ გავიგებთ, იძულებული ვართ, ეს ხალხი ატლანტისელებად მოვიხსენიოთ... ოღონდ, თუ პირობითია მათი სახელი, მაშინ, ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ პირობითია მათი ადგილსამყოფელიც, ანუ სოლონმა ეგვიპტის ქალაქ საისში მოისმინა ძველისძველი ამბავი კუნძულზე მდებარე უძლიერესი საზღვაო სახელმწიფოს დაღუპვის თაობაზე, რომელსაც ომი ჰქონია ათენთან. ეს უძველესი ამბავი ბერძენთა ხსოვნას არ შემორჩენია, ეგვიპტელებმა კი მასზე ზოგი რამ იცოდნენ და ეს უთხრა კიდეც ქურუმმა სოლონს. სონქის მონათხრობი არა მარტო შემორჩენილი ცნობების ეგვიპტური თარგმანი იქნებოდა, არამედ, სავარაუდოდ, მთელი ეს ისტორია ეგვიპტელთა თვალთახედვის პრიზმაში იყო გარდატეხილი და ისე ჩაწერილი. თავის მხრივ, თუ სოლონი ამ ამბის მხოლოდ ბერძნულად თარგმნას დასჯერდა და მასში არაფერი შეცვალა, მაშინ უდავოა, რომ ამ ისტორიაში პლატონმა ბევრი ცვლილება შეიტანა და ის მხატვრულ-ფილოსოფიურ ნაწარმოებს დაამსგავსა. ამასთან, რაკი ყველაფერი ელინური ანალოგიებით არის დასურათებული და მოწოდებული ჩვენთვის, – გავიმეორებ ადრე ნათქვამს, – მიმაჩნია, რომ პლატონმა კუნძულის ადგილმდებარეობა შეცვალა, რათა, ერთი მხრივ მეტი იდუმალება და დამაჯერებლობა მიენიჭებინა ამ ამბისათვის; მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, ერთია: პლატონის დიალოგებში აღწერილი 9000 წლის წინათ დაღუპული ატლანტისის კულტურის არსებობის შესაძლებლობამ ბევრი მკვლევარი განაწყო იმისათვის, რომ, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, აღმოეჩინა ატლანტისის კულტურის არსებობის დამადასტურებელი არტეფაქტები, რადგან, მათი აზრით, ზემოხსენებული კულტურა ყველა შემდგომ წარმოშობილი კულტურის წინამორბედი უნდა ყოფილიყო და გულმოდგინედ ცდილობდნენ ამ პროტოკულტურის ნიმუშების თუ არა, მის მიერ მოხდენილი გავლენის კვალის აღმოჩენას ატლანტის ოკეანის გაღმა-გამოღმა, ოღონდ ეს იმდენად ძნელი აღმოჩნდა, რომ მეცნიერთა საკმაოდ დიდი ნაწილი ცდილობდა, ყველგან, სადაც შესაძლებელი იყო და არ იყო, ეძებნა ატლანტისი...

ეძებდნენ დედამიწის ისეთ ნაწილებში, რომელთა არსებობის შესახებ ძველ ბერძნებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ. ანტიკურ საბერძნეთში თავიდან დედამიწა დოლის მსგავსი ეგონათ, მისი ზედაპირი კი – დისკოს მაგვარი. ბერძნული თვალთახედვით დან-

1 იხ.: ჰეროდოტე, „ისტორია“. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1975 წ., ტ. I, გვ. 306.

2 იხ.: ალ. წერეთელი, „ძველი საბერძნეთი“, გამომცემლობა „განათლება“, 1966 წ., ტ. I, გვ. 280.

3 იხ.: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, მთავარი სამეცნიერო რედაქცია, თბილისი, 1977 წ., ტ. 2, გვ. 312.

ახული სამყაროს პირველი რუკის მონახაზი, რომლის სრულყოფა ჰეკატიუს მილეტელმა სცადა, ანაქსიმანდრეს მიეკუთვნება. ჰეკატიუსისა და ჰეროდოტეს მიხედვით შექმნილი დედამიწის პირველი რუკების რეკონსტრუქცია მოცემულია ჯ.ო. ტომსონის წიგნში[1]. ამ რუკის მიხედვით დედამიწა მრგვალია, მის გარშემო მდინარე-ოკეანე მოედინება, თავად დედამიწა შედგება ერთმანეთისაგან განუყოფელი სამი ნაწილისაგან, ესენია: ევროპა, აზია და ლიბია. ამათ შორის მოქცეულა ხმელთაშუა ზღვა თავისი შემადგენელი ზღვებით. ის იწყება ჰერაკლეს სვეტებთან, შემდეგ გრძელდება ეგეოსის ზღვამდე და აქედან დარდანელ-ბოსფორის სრუტეების გავლით და შავი ზღვით კოლხეთის სანაპირომდე, კერძოდ, მდინარე ფასისამდე აღწევს. კასპიის ზღვა აქ ყურედ არის წარმოდგენილი, ხოლო წითელი ზღვა – არაბულ ყურედ. კასპიის ყურის აღმოსავლეთით სახლობენ ისედონები, მდინარე ისტროსის ანუ დუნაის ჩრდილოეთით მოხსენიებულნი არიან ჰიპერბორები. სხვა დიდი მდინარეებიდან რუკაზე გამოსახულია ირიდანოსი, ის ჩრდილოეთით მიემართება და ჩაედინება მდინარე-ოკეანეში. ნილოსი ლიბიაშია, ტიგროსი, ევფრატი და ინდი – აზიაში. რუკაზე ასახულია პირინეის, აპენინის, ბალკანეთისა და ანატოლიის ნახევარკუნძულები, აგრეთვე ხმელთაშუა ზღვისა და ეგეოსის ზღვის კუნძულები, კავკასიის დასავლეთი სანაპირო.

ამ რუკაში გაცხადდა დედამიწის შესახებ ბერძენთა ეთნოცენტრისტული წარმოდგენა, რომლის ცენტრიც საბერძნეთია: აქვეა „დედამიწის ჭიპი“, კერძოდ, დელფოსში...

რაც შეეხება რუკის ჩვენთვის საინტერესო ნაწილს, ანუ ჰერაკლეს სვეტებს მიღმა სივრცეს, აქ ვხედავთ მხოლოდ მდინარე-ოკეანეს, რომლის ჩრდილოეთ მხარეს, კელტთა ტერიტორიის ახლოს, არის ე.წ. „კალის კუნძულები“, ანუ ბრიტანეთის კუნძულები, ამ რუკისთვისაც კი პირობითად გამოხატული და მეტი არაფერი, არანაირი კვალი ატლანტისისა ამ რუკაზე არ არის.

რაც შეეხება ჰეროდოტეს მიხედვით შედგენილ რუკას, ის, ცხადია, იმეორებს ბერძნულ ეთნოცენტრისტულ შეხედულებებს, ოღონდ ჰეკატიუსის რუკასთან შედარებით უფრო ვრცლად გადმოგვცემს დედამიწის შესახებ იმ დროს არსებულ ცოდნას. ჯერ ერთი, გაქრა ე.წ. მდინარე-ოკეანე, – მის მაგივრად არის ოკეანე, რომლის შესახებაც ჰეროდოტემ იცოდა ფინიკიელთა მოგზაურობის შედეგად. ამის წყალობით მან დანამდვილებით იცის, რომ ლიბიას ოკეანე შემოსაზღვრავს. წითელ ზღვას, როგორც ჰეკატიუსი, ისიც არაბთა ყურეს უწოდებს, ინდოეთის ოკეანეს – ერითრიის ზღვას (წითელ ზღვას). მისთვის ისიც ცნობილია, რომ ლიბიის სამხრეთში ეთიოპები ცხოვრობენ; იცნობს ატლასის მთებს და ნილოსის სათავეს რატომღაც ამ მთებში ათავსებს... მისი ცოდნა აზიის გეოგრაფიის შესახებ უფრო სრულყოფილია: იცის, რომ კასპიის ზღვა არ არის ყურე, იცნობს ბაქტრიის ხალხებს და აღმოსავლეთ ეთიოპებს (ალბათ ის ამ სახელით ინდოელებს გულისხმობს); ჩრდილო-აღმოსავლეთში დასახლებული ჰყავს არგიპეები, ისიდონები და მესაგეტები; ხმელთაშუა, შავი და აზოვის ზღვების კონტურები ისეთივეა, როგორიც ჰეკატიუსის მიხედვით შედგენილ რუკაზე. ევროპის ჩრდილო-დასავლეთში, კელტების განსახლების ადგილისა და დუნაის ზემოთ, მისთვის უცნობი მიწაა. რაც შეეხება ჰერაკლეს სვეტებს მიღმა ოკეანის ნაწილს, იქ არანაირი კუნძული და, მით უმეტეს, ატლანტისის რაიმე ნაშთი მითითებული არ არის.

1 იხ.: Дж.О. Томсон, «История древней географии», Издательство иностранной литературы, Москва, 1953 г., გვ. 150-151.

ასეთს ხედავდენენ დედამიწას ჰეკატიუსი და ჰეროდოტე.

გამოხდა ხანი და შუა საუკუნეების ევროპელთა გეოგრაფიული თვალსაწიერი, ანტიკურთან შედარებით, მეტისმეტად ნელა, მაგრამ მაინც გაიზარდა.

ვიდრე ევროპელთა მიერ ამ პროცესის წარმართვის თავისებურებას შევეხებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ შუა საუკუნეებში ატლანტისის თემით დაინტერესება, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ შეინიშნება.

ატლანტოლოგიაში გამოთქმული მოსაზრებით, ამას თავისი მიზეზი აქვს და ის უკავშირდება ქვეყნიერების შექმნის ქრისტიანულ წარმოდგენას, რომლის მიხედვითაც ქვეყანა ღმერთმა გააჩინა; ისინი ანგარიშობდნენ დროს „დასაბამთაგან“, ე.ი. „ქვეყნის გაჩენიდან“ ქრისტეს დაბადებამდე. ამასთან, არსებობს წელთაღრიცხვის რამდენიმე სისტემა: პანდორესი – 5492 წელი, ალექსანდრიული – 5500 წელი, ბიზანტიური – 5508 წელი, ქართული – 5604 წელი.

ამრიგად, შუა საუკუნეებში დამკვიდრებული იყო მკაცრად განსაზღვრული ქრონოლოგიური ჩარჩოები, ხოლო პლატონის ნათქვამი, ატლანტისი 9000 წლის წინ არსებობდაო, ბევრად აღემატებოდა სამყაროს შექმნის ქრისტიანულ გაგებას, რაც ქრისტიანული ეკლესიისთვის მიუღებელი იყო.

და მაინც, როგორც ამბობენ, სწორედ შუა საუკუნეებში შეიქმნა წიგნი, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით ეხმიანება პლატონისეული ატლანტისის თემას. ამასთან დაკავშირებით მოვიხმობ ციტატას ლუდვიგ ზაიდლერის წიგნიდან „ატლანტისი“: „1869 წელს ლევენვარდენის (ჩრდილოეთ ჰოლანდიაშია) ბიბლიოთეკამ შეიძინა ძალზე ძველი ხელნაწერი, უფრო სწორად – ძველ ფრიზულ ენაზე შესრულებული ხელნაწერის ფრაგმენტები. ეს გერმანული დიალექტი ანგლოსაქსურ ენებს უახლოვდება და XVI საუკუნიდან მკვდარ ენად არის მიჩნეული; აწინდელი ფრიზული დიალექტი მას ძლივსღა ჩამოჰგავს.

ხსენებული ხელნაწერის მფლობელი მანამდე ყოფილა კორნელი ოვერ დე ლინდენი. მის ოჯახში ხელნაწერი „უხსოვარი დროიდან“ ინახებოდაო. სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ხელნაწერი 1256 წლიდან ყოფილა ლინდენის ოჯახის საკუთრება. თავისი ფორმით ეს არის სხვადასხვა ავტორთა მინაწერებდართული ამბავი. ამ წიგნში გამოყენებული დამწერლობა ბერძნულის ნაირსახეობას წარმოადგენს.

„ურა ლინდა ბუკ“ – ოვერ დე ლინდენის ოჯახის წიგნი – გაცხოველებული კამათის საგანი შეიქნა. მასში წარმოდგენილ ცნობათა სარწმუნოობის საკითხს თუ დავეხსნებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს დოკუმენტი უტყუარად და XIII საუკუნეში შექმნილად მიიჩნიეს. ეს არის ფრიზების (ოვერ დე ლინდენის ოჯახსაც ფრიზებს მიაკუთვნებენ) თავისებური ისტორიაა. მასში მოთხრობილი ამბები ძალიან დიდი ხნის წინათ მომხდარა, თარიღიც კი არის აღნიშნული: „ატლანდის ქვეყნის ჩაძირვიდან 3449 წელს..“.

რომის იმპერიის ეპოქაში ფრიზები ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში, ჩრდილოეთის ზღვის ნაპირას ცხოვრობდნენ. რომაელი ისტორიკოსი ტაციტუსი მათ რამდენჯერმე იხსენიებს მიწათმოქმედ და ზღვაოსან ხალხად. „ურა ლინდა ბუკში“ მოხსენიებულია თეთრპირისკანიანი და ცისფერთვალა ხალხი ერთ ღმერთს სცემდა თაყვანს; მათ შორის მატრიარქატი ყოფილა გაბატონებული და დიდ როლს ასრულებდა ქურუმი ქალი ბურგტმაადი, აგრეთვე მინერვად წოდებული, ქალთა ორდენის წინამძღვარი. აქვე ვხვდებით ფრიზების მეფის სახელს – მინოს. მინ-ერვა რომაელთა ქალღმერთს მინერვას მოგვაგონებს, ხოლო მინო – კრიტოსის მეფეს, მინოსს, ბერძნული მითოლოგიით კარგად ცნობილს. ფრიზებისა

და ფინიკიელების სავაჭრო ურთიერთობათა გამოც არის ჩამოგდებული სიტყვა; იხსენიებიან აგრეთვე ზღვაოსანი მოგზაური, სახელად ნეეფ-ტუნა და მისი ნათესავი ინკა.

აი, ამ წიგნიდან ნაწყვეტი:

„მზე მთელ ზაფხულს ღრუბლებს ეფარებოდა, თითქოს აღარ სურდა კვლავაც ემზირა მიწისთვის. დედამიწაზე მუდმივი მდუმარება სუფევდა და ნოტიო ბურუსი სველი იალქანივით აწვა სახლებსა და ველებს. ჰაერი მძიმე იყო და დამთრგუნველი, ხალხს სიხარული დავიწყებოდა. მაშინ დაიწყო თითქოსდა ქვეყნიერების აღსასრულის მომასწავებელი მიწისძვრა. მთანი ცეცხლს აფრქვევდნენ, ხან წიაღში ინთქებოდნენ და ხანაც უფრო მაღლა აიზიდებოდნენ.

ალდლანი, რომელსაც ზღვაოსანნი ატლანს უწოდებენ, გაუჩინარდა, ხოლო გაავებული ზვირთები ისე შეიმართებოდნენ მთათა უმაღლეს, რომ ისინი, ვინც ცეცხლს გადარჩენოდა, ზღვის უფსკრულმა შთანთქა.

მხოლოდ ფინდას ქვეყანაში კი არა, ტვისკლანდშიც იწვოდა მიწა. ტყეები აალებული იყო, ხოლო როცა ქარი ტყეთა მხრიდან დაბერავდა, მთელ ქვეყანას ფერფლი ფარავდა; მდინარეებმა კალაპოტი შეიცვალეს, მათ შესართავებში ახალი კუნძულები გაჩნდა სილისა და ნარიყისაგან. სამ წელიწადს ასე გრძელდებოდა, მერმე სიმშვიდე დამკვიდრდა და ტყეებმა ისევ იხარა...

მრავალი ქვეყანა წყალქვეშ გაუჩინარდა, ალაგ-ალაგ ახალი მატერიკები გაჩნდა, ტვისკლანდში ტყეების ნახევარი მოისპო, ფინდას ხალხი უკაცურ მიწებზე დაესახლა, ადგილობრივი მკვიდრნი ან ამოწყვიტეს, ან მონებად აქციეს... კადიკის ნავსადგურში ინკას ხომალდები ნეეფ-ტუნას ფლოტილიას მოსწყდა და ოკეანის დასავლეთისკენ გაემართა. მეზღვაურნი იმედოვნებდნენ – იქნებ მივაკვლიოთ ატლანის ქვეყნის მთიან მხარეს, წყალში დანთქმას გადარჩენილს და იქნებ იქ შევძლოთო დასახლება...

ხოლო ნეეფ-ტუნა შუა ზღვისკენ გაემართა, მაგრამ ინკასა და მისთა მხლებელთა ამბავი მეტი აღარ სმენია...

ხელნაწერი ამგვარად მთავრდება: „მე, ჰიდო ტონომატ ოვირა ლინდა ვაკი, გმოძღვრავ ჩემს ძეს – ოკას: ამ წიგნს თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდე, მასში მთელი ჩვენი ხალხის თავგადასავალია მოთხრობილი. შარშან წყალდიდობისას შენთან და დედაშენთან ერთად გადავარჩინე ეს წიგნი. ჩემდა სავალალოდ, წიგნი დამისველდა და ხელახლა გადაწერა მომიხდა... ეს წიგნი შექმნილია ლიუდვერდში ატლანდის ქვეყნის ჩაძირვიდან 3449 წელს.

ამას მოსდევს უფრო მოგვიანო ავტორთა რამდენიმე მინაწერი, რომელთა შორის გვხვდება კიკო ოვირა ლინდას მიერ ხელმოწერილი სავედრებელი: „ათასგზის გემუდარებით, ეს ძველი ნაწერები ბერებს არ ჩაუგდოთ ხელში. ბერები ძალზე ვერაგნი არიან და ყოველივეს მოსპობა სწადიათ, რაიც ჩვენ, ფრიზებს მოგვეპოვება“.

ამით ვამთავრებ ამ საგულისხმო ხელნაწერის ციტატათა ამონაწერს.

თარიღი – „ატლანდის ქვეყნის ჩაძირვიდან 3449 წელს“ – ზოგიერთ ეჭვს აღძრავს. თუ ვივარაუდებთ, რომ ატლანტისის კატასტროფა სოლონის საისში ჩასვლამდე 9000 წლის წინათ, ე.ი. ჩვ.წ.-მდე 9560 წლის ახლო ხანებში მომხდარა, მაშინ გამოდის, რომ პირველი ვარიანტი, რომლის ასლსაც „ურა ლინდა ბუკ“ წარმოადგენს, ჩვ.წ.-მდე 6111 წელს უნდა შექმნილიყო. სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება საიმისო ცნობები, რომ იმ დროისათვის ევროპაში დამწერლობა არსებულიყოს.

იქნებ „3449 წელი“ იმ ასლის შექმნის თარიღი იყოს, რომელიც ჰიდო ტონომატ ოვირა ლინდას 1256 წელს გადაუწერია? ამას ადასტურებს ხელნაწერის შექმნის ადგილი – ლიუდვერდი (დღევანდელი გამოთქმით – ლეევარდენი). მაშინ ატლანტისის დაღუპვის თარიღად ჩვ.წ.-მდე 2193 წელი გამოვა. მაგრამ, ეს ხომ ეგვიპტეში VII დინასტიის მეფობის, ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოთა აღმოცენების ხანაა, ატლანტისის დაღუპვა გაცილებით ადრე უნდა მომხდარიყო. გარნა ამ თარიღს კარგად ეხამება ხელნაწერში მოხსენიებული ისეთი ამბები, როგორიცაა ფრიზების ურთიერთკავშირი ფინიკიელებსა და კრეტელებთან, აგრეთვე კადიკის ნავსადგურის ხსენება (ალბათ ნაგულისხმევია ფინიკიელთა ქალაქი გადირი, რომელსაც პლატონი გადეირად იხსენიებს და ატლანტთა სახელმწიფოს კუთვნილებად მიიჩნევს).

საიმდროოდ დამწერლობა უკვე არსებობდა. ლინდენთა ოჯახის ხელნაწერის დედანი შეიძლებოდა ჩვ.წ.-მდე მესამე ათასწლეულში ფინიკიური ანბანით შექმნილიყო ძველ ფრიზულ ენაზე. მომდევნო სამ-ნახევარი ათასი წლის განმავლობაში ენისა და დამწერლობის გაჩარხვის მიზნით ხელნაწერი შესაძლო იყო რამდენჯერმე გადაეწერათ და შიგ „რედაქციული შესწორებები“ შეეტანათ“[1].

ციტატა ერთობ დიდი გამოვიდა, მაგრამ რადგანაც ატლანტოლოგებს „ურა ლინდა ბუკი“ სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის დიდ მასალას აძლევს, საჭიროდ მივიჩნიე, მკითხველისათვის შეძლებისდაგვარად სრული ინფორმაცია მიმეწოდებინა; ამასთან, „ურა ლინდა ბუკი“ და პოლონელი ატლანტოლოგის ნააზრევიც შემეფასებინა.

რა შეიძლება ითქვას ამ ხელნაწერის შესახებ? ჩხადია, საქმე გვაქვს ვიღაცის მიერ საკმაოდ ეშმაკურად განხორციელებულ მისტიფიკაციასთან, რომელიც ლუდვიკ ზაიდლერს რატომღაც ჭეშმარიტებად მიუჩნევია, თუმცა სიყალბე აშკარად ჩანს და კრიტიკული მიდგომისას კიდევ უფრო ნათელი ხდება. დავიწყებ იმით, რითიც ატლანტოლოგი ამთავრებს ხელნაწერზე თავის მსჯელობას: „ენისა და დამწერლობის გაჩარხვის მიზნით ხელნაწერი შესაძლო იყო რამდენჯერმე გადაეწერათო“.

თუ ენციკლოპედიურ მონაცემებს დავუჯერებთ, ფრიზებს დამწერლობა ახ.წ. XIII საუკუნიდან აქვთ. ამასთან, ლათინურ ანბანს იყენებენ და ძველ ფრიზულ ენაზე რაიმე ტექსტის ფინიკიური ანბანით შექმნის თაობაზე არსად არაფერია ნათქვამი. მით უმეტეს, შეუძლებელია, ეს ძვ.წ. 2193 წელს მომხდარიყოს. ფინიკიელებმა ჩრდილოეთ ევროპისაკენ გზა გაცილებით გვიან, მხოლოდ I ათასწლეულის შუა ხანებიდან გაიკვლიეს და ეს მეტად ძნელი საქმე იყო. ერთი სიტყვით, ლ. ზაიდლერის მიერ გამოთვლილ დროს ფრიზებს და ფინიკიელებს საერთო არაფერი ჰქონდათ. გარდა ამისა, მოცემული თარიღი არ ემთხვევა ატლანტისის დაღუპვის პლატონისეულ თარიღს. მაშ, რაშია საქმე? რატომ გაჩნდა ახალი თარიღი და რით არის მისი გაჩენა არგუმენტირებული?

საქმე გამყალბებლის არჩევანშია; მას სურვილი ჰქონია, ატლანტისზე მოეთხრო შუა საუკუნეებში მცხოვრები ევროპელის პირით. ამისთვის საჭირო გახდა XIII საუკუნის ხელნაწერის იმიტაციის შექმნა. ტექნიკურად ეს როგორ გააკეთეს, არ ვიცი, სამაგიეროდ, იმ დროის ცნობიერება გათვალისწინებულია და ეს იქიდან ჩანს, რომ ხელნაწერში ლაპარაკია ხალხზე, „რომელიც ერთ ღმერთს სცემდა თაყვანს“. ეს აშკარად ქრისტიანული ფორმულაა, ქრისტიანობამდელ ეპოქას მისადაგებული. აგრეთვე, ატლანტისის ჩაძირვის თარიღად დასახელებული 3449 წელი ასევე თავსდება დროის მონაკვეთში „ქვეყნის დასაბამიდან“ ქრისტეს დაბადებამდე.

1 იხ.: ლუდვიკ ზაიდლერი, „ატლანტისი“, თბილისი, გამომცემლობა „ნაკადული“, 1972 წ., გვ. 150-154.

რაც შეეხება დანარჩენს, ის ჩრდილოეთ ევროპის მითებისა და ლეგენდების, აგრეთვე ანტიკური ლიტერატურისა და დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების პერიოდის მოგზაურთა ჩანაწერების ერთგვარი ნარევია. ასე, მაგალითად: ქურუმი ბურგტმაადი, რომელიც მინერვადაც იწოდებოდა ხელნაწერის მიხედვით; რომაელთა ქალღმერთი, მათი ათენა, ლათინურად Minerva, სიბრძნისა და გონიერების, მუსიკის, პოეზიის, მკურნალობისა და ხელსაქმის მფარველი. იგივე ითქმის ფრიზების მეფის სახელზეც; მინო ნამდვილად ჰგავს კრეტის მეფის მინოსის სახელს, ისევე, როგორც ნეეფ-ტუნას სახელი ძალიან ჰგავს ნეპტუნს, ლათინურად Neptunus, – რომაელთა პოსეიდონი, სატურნისა და რეას შვილი, იუპიტერისა და პლუტონის ძმა, ამფიტრიტეს ქმარი, დედამიწის შემაზანზარებელი მძლავრი ღვთაება, რომელიც სამთითა ფიწლის დაკვრით ატორტმანებს ზღვას და არყევს მიწას. როცა ამ სახელებს კითხულობ იმ ხალხის ე.წ. ხელნაწერში, ხვდები, რომ ფალსიფიკაციის ავტორი ცდილობს, ფრიზთა მითოლოგიური პერსონაჟები ბერძნულ-რომაულ სამყაროს დაუკავშიროს და საერთოდ, დაგვარწმუნოს, რომ ფრიზებსა და ხმელთაშუა ზღვის ხალხებს მჭიდრო ურთიერთკავშირი ჰქონდათ.

რომაელთა ღმერთის მოსახელე ნეეფ-ტუნა კადიკში (სავარაუდოდ, ფინიკიელთა კოლონია გადირია, დღევანდელი ქალაქი კადიქსი) მდგარა თავისი ფლოტით. მის ფლოტს მოწყვეტილ ინკას ხომალდებს დასავლეთისკენ გაუცურავთ. აი, ამ ინკამ გამოიწვია დიდი ინტერესი ატლანტოლოგთა შორის, რადგან აქვთ ცდა, ის პერუელ ინკებთან გააიგივონ. საქმე ის არის, რომ პირველი კონკისტადორები ლაპარაკობდნენ თეთრი პირისკანის მქონე ინდიელებზე, კერძოდ, ინკებს შორის. ამას ჩაეჭიდნენ ატლანტოლოგები და ფრიზულ ხელნაწერში ნახსენები ინკა ინკების წინაპრად სურთ დასახონ, მაგრამ სწორედ ინკას ხსენებით კიდევ უფრო ცხადი გახდა მისტიფიკაციის ავტორის პოზიცია: მას სურდა, ყველა პრობლემა ერთი ხელის მოსმით გადაეჭრა და ყველა კითხვაზე გაეცა პასუხი. რაც შეეხება მიწისძვრებსა და ვულკანის ამოფრქვევებს, კერძოდ, ფრიზლანდიასა და ტვისკლანდში (გერმანიაში), აქ მისტიფიკაციის ავტორს ისლანდიურ ლეგენდებში მოთხრობილი ამბები გადმოაქვს ევროპაში, რადგან ამ კონტინენტზე არც XIII საუკუნეში და არც ძვ.წ. 2193 წელს მსგავსი არაფერი მომხდარა.

ასე, რომ, ეს ხელნაწერი, რომლის მიხედვით კუნძული ატლანტისი ატლანტის ოკეანეში მდებარეობდა, აშკარა მისტიფიკაცია გახლავთ.

ანტიკური ხანიდან მოყოლებული და შუა საუკუნეებში გაგრძელებული, ევროპელებმა, რაც უფრო ითვისებდნენ ატლანტის ოკეანეს, მით უფრო ბევრი კუნძული დაასახლეს ხან მითოლოგიური პერსონაჟებით, ხანაც – წმინდანებით.

ირლანდიელ ბერს ბრანდანს, რომელიც ახ.წ. 484 წელს დაიბადა კერის საგრაფოში და 577 წელს გარდაიცვალა ანაგდაუნში, VI საუკუნის პირველ ნახევარში უმოგზაურია ატლანტის ოკეანეში. იქ დასახლებულა კუნძულზე, რომელსაც წმინდა ბრანდანის კუნძული უწოდეს. ამის შესახებ ცნობები მოიპოვება XI საუკუნის ლათინურ ხელნაწერში „Navigatio Brendani“, „ბრანდანის ნაოსნობა“. კონკრეტულად სად, რომელ კუნძულზე იმოგზაურა ბრანდანმა, ამის შესახებ დღეს რაიმე კონკრეტულის თქმა არ შეიძლება, არც ის არის ზუსტად ცნობილი, რომელ წლებში იმოგზაურა. არსებობს სხვადასხვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ბრანდანი იმყოფებოდა ისლანდიაში, იან-მაიენის კუნძულებზე, კუნძულ მადერაზე, აზორის კუნძულებზე. ზოგი ფიქრობს, რომ მან ამერიკას, კერძოდ კი ლაბრადორის სანაპიროს მიაღწია.

ინგლისში ჰერეფორდის ტაძარში არის 1275 წლის რუკა, რომელზეც ნაჩვენებია ბრანდანის მოგზაურობის მარშრუტი. მასზე ბრანდანის კუნძულებიც არის გამოსახული და ისინი ძალიან ჰგვანან კანარის კუნძულებს. ბრანდანის კუნძულები, ოღონდ ამჯერად მადერას რომ ჰგავს, დატანილია ძმები პიციგანების 1367 წლის ვენეციურ რუკაზე. და ბოლოს, ბრანდანის კუნძულს ვნახულობთ ცნობილი კარტოგრაფის, მარტინ ბეჰაიმის 1492 წლის გლობუსზე, იმ ადგილას, სადაც იმავე წელს ქრისტოფორე კოლუმბმა ამერიკა აღმოაჩინა....

ბრანდანის მოგზაურობის თემა იმიტომაა საინტერესო, რომ ამ მოგზაური ბერის კვალი, ირლანდიის გარდა, ატლანტის ოკეანეში მდებარე არც ერთ კუნძულზე არ აღმოჩნდა. ზოგიერთი ატლანტოლოგი ფიქრობს, რომ ბრანდანი იმ კუნძულზე იყო, რომელიც ჩაძირული ატლანტისის ნარჩენს წარმოადგენდა და მერე ისიც ჩაიძირა.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ბრანდანის მოგზაურობაც მაშინდელი სამყაროს ფარგლების გაფართოებას უწყობდა ხელს.

მნიშვნელოვანი აღმოჩენები მოჰყვა ატლანტის ოკეანეში ვიკინგების ლაშქრობებსაც. მათ ისლანდიას 861 წელს მიაღწიეს, მისი ათვისება კი 872-930 წლებში განახორციელეს. ვიკინგთა ბელადმა, ჟღალმა ერიკმა 983 წელს გრენლანდია აღმოაჩინა. ორი წლის შემდეგ ისლანდიელი ვაჭარი ბიარინ ჰერლიუფსონი ქარიშხალმა ამერიკის ნაპირებთან გარიყა; სხვა ვერსიით ეს ამბავი გადახდენია ვიკინგ ლეივ ბედნიერს 1000 წლის ახლო ხანებში.

XI საუკუნის დამდეგს ვიკინგების მიერ ამერიკის აღმოჩენის ამბავი ევროპის დანარჩენი მოსახლეობისათვის უცნობი დარჩა.

სამაგიეროდ დიდი რეზონანსი ჰქონდავენეციელი მარკო პოლოს (1254-1324 წ.წ.) მოგზაურობას აღმოსავლეთში. ის თავის ნათესავებთან ერთად 1271 წელს გაემგზავრა დიდი ყაენის ხუბალაის კარზე. ეს მოგზაურობა 20 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა. მარკო პოლომ გაიარა მცირე აზია, შუა აზია, ტიბეტი, ჩავიდა ჩინეთში, რამდენიმე წელი დაჰყო დიდი ყაენის სამსახურში; შემდეგ მოიარა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ზღვები, ინდოეთის ოკეანე და 1295 წელს დაბრუნდა ევროპაში. 1298 წელს ის ტყვედ ჩაუვარდა გენუელებს, რომლებიც ვენეციელებს ეომებოდნენ. ტყვეობაში მყოფმა სხვა ტყვეს, პიზელ რუსტიჩინოს უკარნახა თავისი თავგადასავალი. ამ თხზულებას ეწოდება „წიგნი სამყაროს მრავალფეროვნების შესახებ“ და ის საუკუნეების მანძილზე ავტორიტეტული წყარო იყო აღმოსავლეთით დაინტერესებულ ევროპელ მეცნიერთა, პოლიტიკოსთა და მოგზაურთათვის.

მარკო პოლოსა და სხვა მოგზაურთა მონათხრობმა, აგრეთვე 1453 წელს თურქ-ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ, ევროპელებს შთააგონა ეძებნათ ახალი გზები სანატრელი და სასურველი აღმოსავლეთისა და, კერძოდ, ინდოეთისაკენ. პირველები პორტუგალიელები დაადგნენ ერთ დროს ფინიკიელთა მიერ გაკვალულ გზას და ინდოეთის გზის მაძიებლებმა სამხრეთი ატლანტიკის გამოკვლევას მიჰყვეს ხელი. ამ ძიებამ 1487-1488 წლებში განხორციელებული მოგზაურობისას ბართოლომეუ დაიში მიიყვანა ინდოეთის ოკეანემდე, რომელიც ვასკო და გამამ ათი წლის შემდეგ გადაცურა და 1498 წელს მიადგა ინდოეთის სანაპიროს.

ამ ორ მოგზაურობას შორის, 1492 წელს, ესპანეთის სამსახურში მყოფმა გენუელმა ქრისტოფორე კოლუმბმა, ინდოეთისაკენ დასავლეთის გზით მიმავალმა (მას სწამდა ამ გზის არსებობა), გადალახა ატლანტის ოკეანე და მარტინ ბეჰაიმის გლობუსზე აღნიშნული ბრანდანის კუნძულის მაგიერ მიადგა უცნობ ნაპირს, რომელიც მას ინდოეთი ეგონა.

ეს შეცდომა მალევე გამოასწორა მეორე დიდმა იტალიელმა მოგზაურმა ამერიგო ვესპუჩიმ, ხოლო გერმანელმა მეცნიერმა ვალდზემიულერმა ახლად აღმოჩენილ კონტინენტს ამ ფაქტის დამამტკიცებლის, ვესპუჩის სახელი ამერიგო უწოდა, რაც ესპანურად ჟღერს, როგორც „ამერიკო“. ასე, რომ, უკვე XVI საუკუნის პირველ ნახევარში ევროპელებმა კარგად იცოდენენ ამერიკის აღმოჩენის თარიღიც და მისი „ნათლიის“ სახელიც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამერიკასთან მიმართებაში კვლავ ამოტივტივდა პლატონისეული ატლანტისის თემა...

საქმე ისაა, რომ ფრანცისკო ლოპეს დე გომარამ 1553 წელს გამოაქვეყნა „ინდოეთის ისტორია“, რომელშიც მან ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ახლად აღმოჩენილი კონტინენტის, ამერიკისა და ატლანტის ოკეანის ტოპოგრაფია ჰგავდა იმას, რასაც კუნძულ ატლანტისის მდებარეობასთან დაკავშირებით პლატონი წერდა: „მაშინ ჯერ კიდევ შეიძლებოდა ამ ზღვის გადალახვა, რადგან ჯერ კიდევ არსებობდა იმ სრუტის გაღმა მდებარე კუნძული, თქვენს ენაზე „ჰერაკლეს სვეტებად“ რომ იწოდება. ეს კუნძული უფრო დიდი იყო, ვიდრე ლიბია და აზია ერთად. მაშინდელ მოგზაურებს ადვილად შეეძლოთ ამ კუნძულიდან გადასულიყვნენ სხვა კუნძულებზე, იქიდან კი – პირდაპირ მდებარე მთელ ხმელეთზე, რომელიც მოიცავდა იმ ზღვას, მართლაც რომ იმსახურებს თავის სახელს, რადგან ზემოხსენებული სრუტის გამოღმა ეს ზღვა, არსებითად, სხვა არა არის, თუ არა უბე, შიგ დატანებული ვიწრო გასასვლელით და მხოლოდ მისი სრუტისმიღმურ ნაწილს თუ შეიძლება ეწოდოს ზღვა“.

ფრანცისკო დე გომარას ასეთი პარალელის გავლებაში დაეხმარა იმ დროს ერთობ წინწასული კარტოგრაფია, კერძოდ, 1537 წელს გამოქვეყნებული ცნობილი ფლამანდიელი კარტოგრაფის, მერკატორის რუკა, რომელზეც საკმაოდ ზუსტად იყო გამოსახული ატლანტის ოკეანის ტოპოგრაფია.

დე გომარა თვლიდა, რომ თუ წარმოვიდგენთ ჰიბრალტარის სრუტის დასავლეთით მდებარე დიდ კუნძულს, ანუ ატლანტისს, მისგან დასავლეთით შეიძლება გაცურვა ანტილიის კუნძულებისაკენ, იქიდან კი ამერიკის კონტინენტისაკენ. ამრიგად, ამერიკის აღმოჩენა მან მიიჩნია პლატონის დიალოგებში აღწერილი გეოგრაფიული სურათის დადასტურებად, რადგან, თუ დახედავთ მერკატორის ან თუნდაც კარტოგრაფ ორტელიუსის უფრო გვიანდელ, 1571 წლის მსოფლიო რუკას, იფიქრებ, რომ პლატონი ასეთ რუკებს დასცქეროდა და ისე აღწერდა ატლანტისის ადგილმდებარეობას.

ამგვარად, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ პლატონის მიერ „ტიმეოსსა“ და „კრიტიაში“ მონათხრობის დამადასტურებელ ფაქტად თავად ამერიკის აღმოჩენა იქცა, ოღონდ ეს ერთი შეხედვით. მოგვიანებით, ატლანტისის ადგილმდებარეობის სხვა ვერსიებიც გაჩნდება, მაგრამ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დროს და შემდგომ დროშიც, ატლანტისის კვალს ატლანტის ოკეანეში ეძებდნენ...

ასეთი დამოკიდებულება აირეკლა ინგლისელი ფილოსოფოსის, ფრენსის ბეკონის (1561-1626 წ.წ.) გარდაცვალების შემდეგ გამოცემულ მის წიგნში „New Atlantis“ („ახალი ატლანტისი“). ეს შრომა არის ალეგორიული ფორმის უტოპია, მოქმედება ამერიკის კონტინენტზე ხდება. ცხადია, ფ. ბეკონის უტოპიურ ნაწარმოებს თავისი მიზანდასახულობა ჰქონდა, – ისევე, როგორც თომას მორისა და ტომაზო კამპანელას ანალოგიური ხასიათის ნაშრომებს, ოღონდ ეს ჩვენი ამ წიგნის თემა არ არის. „ახალმა ატლანტისმა“ ჩემი ყურადღება მიიქცია იმით, რომ ფრენსის ბეკონი გვთავაზობს ატლანტისის დაღუპვის სხვა

მიზეზს და სხვა ქრონოლოგიას.

განვიხილოთ ორი მოსაზრება მისი ნაშრომიდან: „საჭიროა თქვენ იცოდეთ (თუმცა შეიძლება ეს დაუჯერებლად ჩათვალოთ), რომ სამი ათასი და მეტი წლის წინ ზღვაოსნობა (განსაკუთრებით შორეულ ქვეყნებში) ახლანდელზე მეტად იყო განვითარებული. არ იფიქროთ, რომ ჩემთვის უცნობია, თუ რა წარმატებები აქვს მას ბოლო ას ოცი წლის მანძილზე. ეს მე ჩინებულად ვიცი და, მიუხედავად ამისა, ვიმეორებ: დღევანდელზე მეტად. იმიტომ ხომ არა, რომ ადამიანთა მოდგმის მონარჩენი კიდობანმა იხსნა წარღვნის დროს და ამ მაგალითმა ისინი წაახალისა, მინდობოდნენ ტალღებს, ან კიდევ სხვა მიზეზი იყო, ოღონდ ეს ასეა. დიდი ფლოტი ჰყავდათ ფინიკიელებს, განსაკუთრებით კი ტიროსის მცხოვრებთ, ასევე მათ კოლონიას, კიდევ უფრო დასავლეთით მდებარე კართაგენს; აღმოსავლეთში ბევრი ხომალდი ჰყავდათ ეგვიპტესა და პალესტინას, ჩინეთსა და ატლანტისს (თქვენ რომ ამერიკას უწოდებთ), ახლა მხოლოდ ჯონკები და პიროგები რომ აქვთ, იმხანად დიდი გემები უხვად გააჩნდათ... მაგრამ ზეციურმა რისხვამ დასაჯა ეს ბატონობის მოყვარული ჩანაფიქრი. ას წელზე ნაკლები დროის გასვლის შემდეგ, დიდი ატლანტისი საფუძვლიანად დაანგრია – მიწისძვრამ კი არა, როგორც თქვენი წყარო ამტკიცებს (რამეთუ სამყაროს ეს ნაწილი ნაკლებადაა მიდრეკილი ამისაკენ), არამედ ნაწილობრივ წარღვნით ან წყალდიდობით; რადგან იმ მხარეში მდინარეები დაბლობში მეტად უხვწყლიანია, ხოლო მთები, საიდანაც წყალი ჩამოედინება, უფრო მაღალია, ვიდრე ძველი სამყაროს ნებისმიერ ნაწილში“[1].

როგორც ნახეთ, ფრენსის ბეკონმა, გამოიყენა რა თავისი უტოპიური ხასიათის ნაწარმოებისათვის პლატონის მონათხრობი, ატლანტისი განათავსა ამერიკის კონტინენტზე, კერძოდ, ბრაზილიაში. ეს უკვე უარყოფა იყო ატლანტისის მდებარეობის იმ განსაზღვრისა, დიალოგებში რომ არის მოცემული. მეორე, რაც მან შეცვალა, ეს ატლანტისის დაღუპვის თარიღია. ფრენსის ბეკონის აზრით, ეს სამი ათასი წლის წინათ უნდა მომხდარიყო. თუ ამ მოსაზრებას ვენდობით, ატლანტისი ტროას ომის დროს დაღუპულა. აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ფრენსის ბეკონი ანგარიშობს სამი ათას წელს, ანუ ისიც ექცევა „ქვეყნის დასაბამის“ ქრისტიანული წელთაღრიცხვის ფარგლებში.

ფრენსის ბეკონი ატლანტისის არსებობა-არარსებობის საკითხს კი არ იკვლევდა, არამედ თავისი სოციალურ-პოლიტიკური შეხედულების გამომხატველ ნაწარმოებს წერდა, მაგრამ, ნებსით თუ უნებლიეთ, პლატონისეული ატლანტისის თავისებური კრიტიკა გამოუვიდა...

მოგვიანებით, გამოითქვა კიდევ ბევრი განსხვავებული მოსაზრება ატლანტისთან დაკავშირებით. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს მრავალმხრივი ინტერესების მქონე სწავლული, გერმანელი იეზუიტი ათანასე კირხერი. მისმა მცდელობამ, გაეშიფრა ეგვიპტური იეროგლიფები, მარცხი განიცადა, „ჯადოსნური ფარნის“ გაუმჯობესება კი აშკარად წარმატებული მოქმედება გამოდგა. სწორედ მან, 1678 წელს, ნიდერლანდების ქალაქ ამსტერდამში, ლათინურ ენაზე გამოსცა რომის პაპის, ალექსანდრე VII-სადმი მიძღვნილი წიგნი „Mundos Subterraneus“ („მიწისქვეშა სამყარო“), რომელშიაც წერდა: „როგორც ჩვენ სხვა მხრივ წარმოვაჩინეთ ჩვენს „ოიდიპოსში“, პლატონი ცდილობდა, მინიმუმამდე დაეყვანა თავისი მოთხრობის ზღაპრული ნაწილი და მისთვის მიენიჭებინა ჭეშმარიტად ისტორიული ღირებულება ატლანტისის ფიზიკური, ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის

1 იხ.: Фрэнсис Бэкон, «Новая Атлантида», Опыты и наставления, нравственные и политические. Издательство Академии Наук СССР, Москва, 1954 г., გვ. 17-18.

დაწვრილებითი აღწერით“. და შემდეგ დასძენდა: „თუ ჩვენ ამ ძველ თქმულებას ატლანტისის შესახებ სარწმუნოდ მივიჩნევთ, მაშინ მისი ადგილსამყოფელი უნდა მოგვენიშნა კანარის, აზორისა და ფლანდრიის კუნძულებით, რომლებიც წარმოადგენენ, ასე ვთქვათ, წყლით დაფარული ატლანტისის ზეამოღმართულ მწვერვალებს“[1].

მაშ ასე, ათანასე კირხერი ატლანტისის ადგილმდებარეობას მიუთითებს იქ, სადაც ამას გულისხმობდა პლატონი, ანუ „ჰერაკლეს სვეტების“ იქითა მხარეს, ატლანტის ოკეანეში.

მისი მსჯელობა ეფუძნება იმის დაშვებას, რომ თუ სარწმუნოდ იქნებოდა მიჩნეული პლატონის მონათხრობი, მაშინ იგი ჭეშმარიტებად ჩათვლიდა ატლანტისის დანთქმას ოკეანეში, ამიტომ ჩაძირული კუნძულის მწვერვალების შესახებაც გამოთქვმს ვარაუდს. ა. კირხერის წიგნს დართული აქვს რუკა, რომელზეც მოცემულია ატლანტისის წარმოსახვითი გამოსახულება – ევროპას, აფრიკასა და ამერიკას შორის მოქცეული უზარმაზარი კუნძული. მოგვიანებით, 1685 წელს, ათანასე კირხერმა ატლანტისი სამხრეთ აფრიკაში „გადაიტანა“.

მომდევნო ხანის ავტორები, სადაც შესაძლებელი იყო და არ იყო, ატლანტისს იქ ათავსებდნენ.

1679 წელს ფრანგი მეცნიერი ოდიჟიე წერდა, რომ ატლანტისი მის სამშობლოში, ძველ გალიაში მდებარეობდა...

ცამეტი წლის შემდეგ, 1692 წელს, შვედი მეცნიერი ოლაფ რუბრეკი გერმანიის ქალაქ მაინის ფრანკფურტში გამოცემულ თავის ოთხტომიან ნაშრომში ამტკიცებდა, რომ ატლანტისის დედაქალაქი მდებარეობდა შვედეთში, კერძოდ, შვედეთის ძველი დედაქალაქის, უფსალას ადგილას...

ფრანგ მოგზაურსა და ბოტანიკოსს ჟოზეფ პიტონ დე ტურენფორს (1656-1708 წ.წ.) სარწმუნოდ მიაჩნდა ატლანტისის ადგილმდებარეობა პლატონისეულ საზღვრებში, მაგრამ მისი მასშტაბები მეტად გაზარდა. წიგნი „მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში“, რომელიც 1717 წელს დაიბეჭდა ლიონში ავტორის გარდაცვალების შემდეგ, გვამცნობს: „ცხადია, ჩრდილოეთის წყლები ჩაედინება ხმელთაშუა ზღვაში კიმერიული ბოსფორით, თრაკიული ბოსფორით და დარდანელის სრუტით, რომელიც, წინაპართა აზრით, იყო ბოსფორის სხვა სახეობა ანუ ზღვის ერთი განშტოება, რომლის გადაცურვა ხარსაც შეეძლო. ხმელთაშუა ზღვა ოკეანეს უკავშირდება ჰიბრალტარის სრუტით. საბედნიეროდ, სწორედ ჰიბრალტარის სრუტე აღმოჩნდა ის ადგილი, სადაც წყლებისათვის უფრო ადვილი აღმოჩნდა წარმოექმნა არხი, ვიდრე ის, რომ გაშლილიყო აფრიკის მიწებზე. უფალმა ინება ამ ნაპრალის შექმნა ატლასისა და კალპის მთებს შორის, ამისთვის კი საკმარისი იყო მხოლოდ ერთი წინაღობისგან განთავისუფლება. შესაძლებელია, ოკეანეში მომხდარმა საშინელმა ამოფრქვევამ ჩაძირა ან წაიღო ცნობილი კუნძული ატლანტისი, რომელიც პლატონმა აღწერა ესპანეთის, ხოლო დიოდორე სიცილიელმა – აფრიკის სანაპიროებთან. სავარაუდოდ, კანარის კუნძულები, აზორის კუნძულები და ამერიკაა მისი ნარჩენები“[2].

საყურადღებო მარტო ის კი არ არის, რომ ტურენფორს ატლანტისი უზარმაზარ კუნძულად მიაჩნდა, არამედ ისიც, რომ მისი დაღუპვის მიზეზად ოკეანეში მომხდარ ვულკანურ ამოფრქვევას თვლიდა.

ოლაფ კრიუსელი 1707 წელს ატლანტისელებს გოთებთან აიგივებდა.

1 იხ.: Рожэ Дэвинь, «Атлантида, исчезнувший материк», Издательство «Петроград», 1926 г., გვ. 69.

2 იხ.: Par M. Pitton de Tourvefort, “Relation d’un vouage ou Levant”, tome second, A Lyon, M. DCCXVII, გვ. 65.

1726 წელს მარსელელმა ადვოკატმა კლოდ ოლივიემ გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, თითქოს ატლანტისი იგივე იყოს, რაც „აღთქმული მიწა“, ანუ პალესტინა...

1754 წელს ჟან ეურენიუსი ამტკიცებდა, ატლანტისი იუდეა არისო, ხოლო XIX საუკუნის მეცნიერი ბაერი პარალელს ავლებდა ატლანტისის კატასტროფასა და სოდომისა და გომორის დაღუპვას შორის...

ჰიპოთეზა სხვაც ბევრი იყო, მაგალითად: ფრანგი ა. ბაი ატლანტისის ადგილსამყოფელად თვლიდა შპიცბერგენს და ამის დასასაბუთებლად მოიხმობდა პლატონის ნათქვამს, რომ ზღვა იქ გაუვალი იყოო და მას ამ ზღვად ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანე მიაჩნდა.

დელილ დე სალმამ გამოაქვეყნა 52-ტომიანი ნაშრომი, რომელშიც ამტკიცებდა, რომ ატლანტისი კავკასიის მთებშუა მდებარეობდა.

გარდა ამისა, ატლანტისს ეძებდნენ: საქართველოში, კოლხეთის ნაპირებთან, აგრეთვე ყირიმში, სპარსეთში და კუნძულ ცეილონზეც კი.

ატლანტისს აიგივებდნენ ლეგენდარული პუნტის ქვეყანასთან, ატლანტისელებად მიიჩნევდნენ სკვითებსა და ეგვიპტელებს.

ატლანტისის პოვნას ცდილობდენენ აფრიკაშიც. ამ მოსაზრებას XIX საუკუნეში მხარს უჭერდა ლიონის უნივერსიტეტის ძველი გეოგრაფიის პროფესორი ბერლიუ, რომელიც 1883 წელს გამოცემულ თავის „ატლანტისელების ისტორიაში“ ატლანტისის ადგილსამყოფლად მიიჩნევდა ატლასის მთებს და აჩვენებდა იმ გზებს, რომლებითაც ატლანტისელებს კულტურული კავშირები ჰქონდათ ძველი ეგვიპტისა და ამერიკის კონტინენტის ძველ ცივილიზაციებთან.

ლუი ფრობენიუსი კი, აფრიკის მკვლევარი და ცნობილი ეთნოგრაფი, 1908 წელს, გვინეის ექსპედიციის შემდგომ მივიდა დასკვნამდე, რომ ატლანტისი სადღაც ტოგოსა და ლიბერიას შორის არის საძებნელი. ამ მოსაზრების საფუძვლად მას გვინეის ყურის ნაპირზე აღმოჩენილი ბენინის კულტურა მიაჩნდა.

თანამედროვე ატლანტოლოგიის მამად წოდებულმა ამერიკელმა იგნატიუს დონელიმ ახალი ძალით გააღვივა ინტერესი პლატონისეული ატლანტისისადმი. 1882 წელს მან ნიუ-იორკში გამოაქვეყნა წიგნი „ატლანტისი, წარღვნამდელი სამყარო“; მისი ძირითადი სათქმელი ასე ჩამოყალიბდა:

„ჩვენ ეს არის ვიწყებთ წარსულის შეცნობას: ასი წლის წინ მსოფლიომ არაფერი იცოდა არც ლინგვისტურ კავშირებზე, ინდოევროპულ ხალხებს რომ აერთიანებს, არც იმ წარწერათა შესახებ, რომელთა უმეტესობითაც მოფენილი იყო ეგვიპტის ტაძრები და აკლდამები, არც ბაბილონის ლურსმული დამწერლობის მნიშვნელობის, არც იუკატანის, მექსიკისა და პერუს ნანგრევებში აღმოჩენილი გასაოცარი ცივილიზაციების თაობაზე.

ჩვენ ზღურბლთან ვდგავართ. სამეცნიერო კვლევა წინ გოლიათური ნაბიჯებით მიიწევს. ვინ იცის, – შესაძლოა, ასი წლის შემდეგ, მსოფლიოს დიდი მუზეუმები დამშვენებული იქნებიან ატლანტისური წარმოშობის ქანდაკებებით, იარაღით, ჭურჭლით, ხოლო მთელი მსოფლიოს წიგნის მაღაზიებში გამოჩნდება ატლანტისელთა წარწერების თარგმანები, ახალ შუქს რომ მოჰფენს კაცობრიობის მოდგმის მთელ წარსულს და ყველა დიდ პრობლემას, და რომლებიც საგონებელში ჩააგდებენ ჩვენი დროის მოაზროვნეებს?“[1].

როგორც ხედავთ, იგნატიუს დონელის ეს მოსაზრებები მეტისმეტად ოპტიმისტურად ჟღერს და სწორედ ამის გამო ზედმიწევნით ზუსტად წარმოაჩენს ავტორის განწყობას. მან

1 იხ.: Рожэ Дэвинь, «Атлантида исчезнувший материк», Издательство «Петроград», 1926 г., გვ. 71.

ატლანტისის სახით იპოვა ის პროტოკულტურა, რომელმაც, მისი აზრით, ხელი შეუწყო ყველა შემდგომი კულტურის წარმოქმნას; ამიტომ თავის წიგნში, „ატლანტისი, წარღვნამდელი სამყარო“, იგი გვთავაზობს კაცობრიობის მიერ განვლილი გზის თავისებურ ინტერპრეტაციას, იმის ახსნას, რაზეც მის თანამედროვე სამყაროში პასუხი არ არსებობდა.

მას ფაქტად მიაჩნდა დიდი კუნძულის არსებობა ატლანტის ოკეანეში. თვლიდა, რომ პლატონმა ზუსტად აღწერა იგი, რომ ატლანტისი იყო ის ადგილი, სადაც დედამიწაზე პირველად წარმოიქმნა ცივილიზაცია. დროთა განმავლობაში ატლანტისელები გამრავლდნენ და ოკეანის ორივე მხარეს შექმნეს დასახლებები. ეს იყო წარღვნამდელი სამყარო, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნების მითოლოგიაში სხვადასხვაგვარად მოიხსენიებდნენ: ჰესპერიდების წალკოტი, ალკონის ბაღები, ოლიმპოს მთა, ასგარდი, ედემი. ეს ყველაფერი არისო მოგონება დიდი ქვეყნის, ატლანტისისა, სადაც ოდესღაც საუკუნეების მანძილზე ადამიანი ცხოვრობდა მშვიდობასა და ბედნიერებაში.

ყველა ხალხის ღმერთები და ქალღმერთები, – იქნება ეს საბერძნეთის, ფინიკიის, ინდოეთისა თუ სკანდინავიისა, – თავის დროზე ატლანტისის მეფეები, დედოფლები და გმირები იყვნენო და ის, რაც მათ მიეწერება, დამახინჯებული მოგონებაა ისტორიული მოვლენებისა: მაგალითად მიუთითებს, რომ ბერძენთა ღმერთი ზევსი ერთ-ერთი ატლანტისელი მეფე იყო. ამასთანავე, ეგვიპტისა და პერუს მითოლოგია არის ატლანტისელთა თავდაპირველი რელიგია და წარმოშობს მზის თაყვანისცემას. ატლანტისელთა ყველაზე ძველი კოლონია არის ეგვიპტე, რომელიც ატლანტისელთა ცივილიზაციის ანარეკლს წარმოადგენს. ევროპაში ბრინჯაოს საუკუნე დაამკვიდრეს ატლანტებმა და რკინაც პირველებმა მათ გამოიყენეს; ფინიკიელთა ანბანი, რომლისგანაც წარმოიქმნა ევროპული ანბანები, თავის მხრივ, შეიქმნა ატლანტისელთა ანბანისგანო და ვარაუდობს, ის აგრეთვე მაიას დამწერლობის საფუძველიც შეიძლება იყოსო. ატლანტისი საწყისი ადგილი იყო ინდოევროპელთა არიული ოჯახისა და, აგრეთვე, სემიტური და სხვა ხალხების დასახლებისა. საშინელი კატასტროფის შედეგად დაიღუპა კუნძული ატლანტისი, მისი მოსახლეობა კი ატლანტის ოკეანემ წალეკა. სწორედ ამ კატასტროფას ასახავს ძველი და ახალი სამყაროს ლეგენდები წარღვნის შესახებო.

გამოთქმული ჰიპოთეზის დასაბუთება ბევრ პრობლემას გადაწყვეტს, ბევრი ძველი წიგნის სიმართლეს დაამტკიცებს, გაახანგრძლივებს კაცობრიობის ისტორიას, ახსნის ატლანტის ოკეანის საპირისპირო ნაპირებზე მდებარე ძველ ცივილიზაციათა შორის არსებულ მსგავსებას, გამოჩნდება ჩვენი ცივილიზაციისა და ჩვენი ცოდნის „წინამორბედიო“.

ცნობილი გახდებიან ისინი, ვინც ცხოვრობდა, უყვარდა და შრომობდა იმაზე დიდი ხნით ადრე, ვიდრე არიელები გამოჩნდებოდნენ ინდოეთში ანდა ფინიკიელები დასახლდებოდნენ სირიაშიო.

ის ფაქტი, რომ ატლანტისის ისტორია ათწლეულების მანძილზე ზღაპრად მიიჩნეოდა, არაფერს ამტკიცებს, საქმე გვაქვს ურწმუნოებასთან, რომელიც უცოდინრობისგან წარმოიშვა, აგრეთვე, ინტელექტისათვის დამახასიათებელ სკეპტიციზმთან; ჩვენი წინაპრები წარსულთან დაკავშირებით ყოველთვის ჩვენზე უკეთ ინფორმირებულნი არ იყვნენო.

ათასწლეულების მანძილზე დაღუპული ქალაქები ჰერკულანუმი და პომპეი ზღაპრულ ქალაქებად მიიჩნეოდნენ. ათასი წელი განათლებულ სამყაროს არ სჯეროდა ჰეროდოტესი, რომელმაც მოგვითხრო ნილოსისა და ქალდეველთა ცივილიზაციებზე.

იყო დრო, როდესაც საეჭვოდ მიაჩნდათ, ფარაონმა ნეხომ გაგზავნა თუ არა ექსპედიცია აფრიკის გარშემო, რადგან მოგზაურებმა გვაცნობეს, რომ გზის ნაწილის გავლის შემდეგ მზე ჩრდილოეთით იყოო. დღეს სრულიად აშკარაა, რომ ეგვიპტელთა ექსპედიციამ ეკვატორი გადალახა და ვასკო და გამამდე 2100 წლით ადრე აღმოაჩინა კეთილი იმედის კონცხიო.

ასეთი გახლავთ იგნატიუს დონელის შეხედულება წარღვნამდელ სამყაროზე. ერთი შეხედვით, ნათელია, რომ ის მაქსიმალისტია; ამიტომ ატლანტისის არსებობაში ხედავს კაცობრიობის ისტორიის სათავეს და, შესაბამისად, ყველა პასუხგაუცემელი კითხვის პასუხსაც ატლანტისში ეძებს... ის დროს არ კარგავს უამრავ ცალკეულ საკითხზე, მაგალითად: სახელმწიფოთა წარმოქმნის კანონზომიერებაზე და იმაზე, თუ რა როლს ასრულებს ამ პროცესში გეოგრაფიული გარემო; პარალელურ პროცესებზე ეგვიპტეში, შუამდინარეთში, ევროპაში, ინდოეთში, ჩინეთში და ცენტრალურ ამერიკაში; არც იმაზე, რომ პარალელური პროცესები ზოგჯერ სინქრონულად მიმდინარეობს, ზოგჯერ ასინქრონულია, ამასთან, დროითი სხვაობა შეიძლება ათასწლეულებს უდრიდეს, ანუ ამა თუ იმ ერის უნარზე, სწრაფად ან ნელა გაიაროს განვითარების გზა და შექმნას თვითმყოფადი კულტურა. მიუხედავად ამისა, მსგავსება განსხვავებულ კულტურებს შორის მეტად თვალსაჩინოა ხოლმე. გავიხსენოთ ძველი ეგვიპტის სახელმწიფო აფრიკაში და მაიას ქალაქ-სახელმწიფოები ცენტრალურ ამერიკაში. ორივე დესპოტია იყო, ორივეში მმართველი გაღმერთებული ჰყავდათ და ორივეგან აგებდნენ პირამიდებს. არის სხვა მაგალითიც: როგორც მოგეხსენებათ, ქალაქ-სახელმწიფოები მაიასაც ჰქონდა და ძველ საბერძნეთშიც იყო, მაგრამ მაიას ხალხი დესპოტური მმართველობის ერთგული დარჩა, ბერძნებმა კი დემოკრატიულ მმართველობას დაუდეს სათავე, მსგავსებათა რაობაში გარკვევისათვის ამ კულტურათა სპეციფიკურობის შესწავლაა საჭირო, რაც ხანგრძლივ კვლევა-ძიებას მოითხოვს და მხოლოდ ამის შედეგად არის შესაძლებელი არსობრივი განსხვავებულობის დანახვა, ოღონდ ეგ არის, ი. დონელი პრობლემას ამ კუთხით არ უდგება; პლატონისეული ატლანტისის სახით მან იპოვა ერთგვარი უნივერსალური ფორმულა, რომლის მეშვეობითაც, როგორც მოგახსენეთ, ყველა ამოცანის ამოხსნას ცდილობს...

ი. დონელი მართალი იყო, როცა უარყოფდა ისტორიისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას, მაგრამ როცა საკუთარ და, ამასთან, არაფრით არგუმენტირებულ მოსაზრებებს გვთავაზობს, თავისი წარმოსახვის შედეგს, ეს, რა თქმა უნდა, ცუდია. მიუხედავად ყველაფრისა, ი. დონელის შეხედულებებმა დიდი გავლენა მოახდინა თანამედროვე და შემდგომი თაობების ატლანტოლოგებზე, რადგან პროტოკულტურის არსებობის თეორია მათთვის მისაღები აღმოჩნდა.

ახლა ამასთან მიმართებაში განიხილავდნენ, მაგალითად, ამერიკის ინდიელთა ლეგენდებსა და მითებში მოხსენიებულ, თეთრი პირისახის მქონე წვერიანი ღვთაებებისა და ადამიანების გამოჩენას – ასეთი გახლავთ მაიას, ტოლტეკებისა და აცტეკების ღმერთი კეცალკოატლი, მაიას ენაზე მას უწოდებდნენ კუკულკანს, „ფრთოსან გველს“. ის იყო კულტურისა და პლანეტა ვენერას ღმერთი. მას „ცეცხლოვან გველსაც“ უწოდებდნენ, „გველღმერთსაც“, „ქარების ღმერთსაც“. აცტეკთა რწმენა-წარმოდგენით ის იყო ღვთაებრივი მმართველი მეორე – „ოთხი ქარის“ – ერისა. ამ ერის დასასრულს ქარიშხალმა დედამიწა წალეკა, ადამიანები კი მაიმუნებად გადაიქცნენ. ადგილობრივებისაგან განსხვავებით, კეცალკოატლს თეთრი პირისკანი და შავი წვერი ჰქონდა; ინდიელთა მითების მიხედვით ის აღმოსავლეთიდან მოსულა მექსიკაში თანმხლებ პირებთან ერთად, ბევრი რამ უსწავლებია,

მერე კი წასულა აღმოსავლეთისაკენ, თუმცა დაუბარებია, დავბრუნდებიო...

აღმოსავლეთიდან მოსული და უკან გაბრუნებული ღმერთის ისტორიამ მრავალი მოსაზრება წარმოშვა, რომელთა მიხედვითაც კეცალკოატლი ხან ადამიანი იყო და ხანაც ღმერთი. ამის შესახებ მეტად საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ჯ. ვაიიანს თავის ნაშრომში „აცტეკთა ისტორია“: „უკვე ეს გაუგებრობა ადამიანსა და ღმერთს შორის, ასეთი მრავალსახოვანი, საკმარისია იმისათვის, რომ ჩიხში მოაქციოს ისტორიკოსი, მაგრამ ესეც ცოტაა: ჩვენდა გასაკვირად, აღმოვაჩენთ, რომ ტიტული კეცალკოატლი ეძლეოდა არა მხოლოდ ტეოტიუკანელ ტოლტეკთა მმართველებს, არამედ ტენოჩტიტლანში ენიჭებოდათ მთავარ ქურუმებს, იმდროინდელ სწავლებათა მცველებს. ცნობილი ავტორიტეტები მხარს უჭერენ ჰიპოთეზას ვინმე მექსიკელზე, სახელად კეცალკოატლზე, იუკატანში რომ დასახლდა, შეითვისა მაიას კულტურა და წარჩინებულ მდგომარეობას მიაღწია. შემდგომში ის თითქოს დაბრუნებულა მექსიკაში, ზეგანის მცხოვრებლებისათვის უჩვენებია კალენდრის ერთ-ერთი ვარიანტი და კიდევ ბევრი სასარგებლო ხელოვნება უსწავლებია მათთვის. სხვა, უფრო რომანტიკულად განწყობილი ისტორიკოსები მზად არიან, კეცალკოატლში დაინახონ ირლანდიელი, ძველი სკანდინავიელი ან კიდევ მექსიკაში მოულოდნელად გამოჩენილი ატლანტისელიც კი, სინათლესა და ბარაქას რომ ავრცელებდა თავის გარშემო. მე, პირადად, ვფიქრობ, რომ დიდი კულტურის ელემენტების შემოტანას, ისევე, როგორც ადგილობრივ ხელობათა შექმნას, შეეძლო არა მარტო კულტურის ღმერთის გამოგონება, არამედ ღმერთის სახელი მიენიჭებინა ცალკეული ადგილობრივი ამღორძინებლებისა და ნოვატორებისათვის“[1].

უდავოდ ყურადსაღები მოსაზრებაა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ კეცალკოატლის თეთრმა პირისკანმა და შავმა წვერმა 1519 წელს, აცტეკთა იმპერიის დასაპყრობად გალაშქრებულ ფერნანდო კორტესსა და მის ესპანელებს დიდად შეუწყო ხელი გამარჯვებაში. აღმოსავლეთიდან მოსული და შემდეგ ზეცად ამაღლებული ღმერთის შთამომავლებს ელოდნენ აცტეკები, ეს მოლოდინი მათი რწმენა-წარმოდგენების განუყოფელი ნაწილი იყო. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, თეთრ პირისახიანი და შავწვერა ესპანელები თავიანთი ღმერთები რომ ეგონათ... 1520 წლის 30 ოქტომბერს ესპანეთის მეფის. კარლოს V-სადმი გაგზავნილ წერილში კორტესი წერს, რა უთხრა მას შეხვედრისას აცტეკთა იმპერატორმა მონტესუმამ: „ჩვენ ვიცით, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, საიდანაც ამოდის მზე, უნდა მოვიდნენ ადამიანები, რომელთაც უწერიათ ამ ქვეყნის მბრძანებლები გახდნენ. ოდესღაც მეფობდა მბრძანებელი, რომელიც გაქრა, და მისი მემკვიდრენი ჩვენი კანონიერი ხელმწიფენი არიან. ჩვენ ამ მიწის მკვიდრნი არა ვართ; მხოლოდ რამდენიმე საუკუნით ადრე ჩვენი წინაპრები, ჩრდილოეთიდან მოსულები, დამკვიდრდნენ აქ, და ჩვენ ვმართავთ მას მხოლოდ კეცალკოატლის ნაცვალის უფლებით. მაშ ასე, მე სიამოვნებით ვიღებ თქვენი ხელმწიფის ელჩობას და მის ფეხებთან დავამხობ ჩემს სამეფოს“[2].

ასეთი გახლავთ ფანატიკური რწმენის ძალა, რომელმაც თვალები დაუბრმავა მონტესუმას და საბედისწერო შედეგი მოუტანა აცტეკებს. რაც შეეხება თეთრი პირისახის შავწვერა ბრძენკაცს, მან ბევრი რამ ასწავლა აცტეკებს და მათზე მეფობდა, ვიდრე არ გაუჩინარდა. მისი მოსვლაცა და გაქრობაც კითხვებს იწვევს და მათზე ყველაზე დამაჯერებელი პასუხი ის იქნება, თუ ვივარაუდებთ, რომ თეთრი პირისახის მქონე შავწვერა კაცი

1 იხ.: Дж. Вайян, «История Ацтеков», издательство иностранной литературы, Москва, 1949 г., გვ. 134.

2 იხ.: Рожэ Дэвинь, «Атлантида, исчезнувший материк», Издательство «Петроград», 1926 г., გვ. 120.

თავის სამშობლოში დაბრუნდა...

ის აშკარად ევროპოიდული რასის წარმომადგენელია, ოღონდ რომელი ერისა, ამისი გაგება ისტორიის ერთ საიდუმლოს კიდევ ახდიდა ფარდას.

ატლანტოლოგებს მტკიცედ სჯერათ, რომ ეს იყო ატლანტისის დაღუპვის შედეგად გადარჩენილი ატლანტისელი; მაგრამ გაუგებარია, რატომ დატოვა მან მექსიკა, მით უმეტეს, რომ მისი კუნძული აღარ არსებობდა. ამასთან, როგორც ვიცით, ატლანტისი 11500 წლის წინათ დაიღუპა, ხოლო მაიას ცივილიზაცია ძვ.წ. II საუკუნიდან იღებს სათავეს. ამიტომ საინტერესოა, რატომ დასჭირდა იმ ატლანტისელს 9 ათასი წელი ოკეანის შუაგულიდან იუკატანის ნახევარკუნძულამდე მისაღწევად.

მაშ, ვინ შეიძლება ყოფილიყო ის ევროპოიდი? ლუდვიკ ზაიდლერი თავის წიგნში ბასკებს იბერიელებს უწოდებს და მათ შესახებ ასე მსჯელობს: „როგორი შესახედავნი იყვნენ იბერიელნი? „იულიუს აგრიკოლას ცხოვრებაში“ ტაციტუსი წერს: „სილურთა (ბრიტანეთის კუნძულების მცხოვრებთა. პ.ი.) შავგვრემანი სახეები, მეტწილად ხვეული თმა და ესპანეთის წინააღმდეგ მათი განწყობა საფიქრებელს ხდის, რომ ძველი იბერიელნი აქ ზღვით გადმოსულან და ეს მხარე დაუკავებიათ“. ტაციტუსი ამტკიცებდა, იბერიელებს ოდესღაც ბრიტანეთის კუნძულების კოლონიზაცია მოუხდენიათო. ამას დღევანდელი არქეოლოგები და ისტორიკოსებიც ამოწმებენ. გასული საუკუნის დასაწყისის უგამოჩენილესი ლინგვისტი ალექსანდრ ჰუმბოლდტი იმ აზრისა იყო, რომ დასავლეთ ევროპის მთელ ტერიტორიაზე, სიცილიის, სარდინიისა და კორსიკის კუნძულთა ჩათვლით ოდესღაც იბერიული ენა ბატონობდა.

ამავე დროს, შესაძლოა, მოიძებნოს გარკვეული ანალოგიები ბასკებისა და ევროპის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ხალხებს შორის. ჩრდილოეთ აფრიკის ხალხებთან ბასკების კავშირის ამბავი უკვე მოგახსენეთ, ხოლო ინგლისელი რ.ლ. კოლინგტონი, განათლებით ისტორიკოსი და ანთროპოლოგი, ამტკიცებს, გვატემალელ ინდიელთა ენა ბასკურს ძალიან ჩამოჰგავსო“[1].

პირველი, რაც უნდა ითქვას, არის ის, რომ ლ. ზაიდლერი ატლანტოლოგია და მისი მსჯელობის ხასიათი და არგუმენტების მოხმობის ფორმა ტიპურია ატლანტოლოგისთვის – უფრო მეტ დასაბუთებას ამ მიმართულების მკვლევრებთან მკითხველი იშვიათად თუ ნახავს. ახლა კი მისი მსჯელობის შესახებ: როგორც ვნახეთ, ის ბასკებს „ძველ იბერიელებს“ უწოდებს და ამაში, ჩემი აზრით, არც უნდა ცდებოდეს. ტაციტუსის მოხმობით, ის ცდილობს, წარმოაჩინოს ძველი იბერიელების ანუ ბასკების მიდრეკილება ზღვაოსნობისაკენ, რომელიც ისე ყოფილა განვითარებული, რომ მათ საზღვაო გზით ბრიტანეთის კუნძულების კოლონიზაციაც მოუხდენიათ. შესაბამისად, ასეთ დაოსტატებულ ზღვაოსნებს ვიკინგებზე და, მით უმეტეს, კოლუმბზე ადრე შეეძლოთ გადაეცურათ ატლანტის ოკეანე და მიეღწიათ იუკატანის ნახევარკუნძულამდე, რომლის მეზობლადაც მდებარეობს გვატემალა. და რაკი ავტორი დეტალურ ინფორმაციას არ გვაწვდის ბასკებისა და გვატემალელ ინდიელთა ენობრივ პარალელებზე, უნდა დავჯერდეთ იმას, რომ ვივარაუდოთ: თუკი ასეთი პარალელები არსებობს, ეს უდავოდ ბასკი ზღვაოსნების იუკატანის ნახევარკუნძულსა და მის მიდამოებში ჩაღწევისა და იქ ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის თავისებური დადასტურებაა...

ჩვენ ბასკებსა და მათი წრმომავლობის საკითხს კიდევ დავუბრუნდებით. განვაგრძოთ

1 იხ.: ლუდვიკ ზაიდლერი, „ატლანტისი“, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1972 წ., გვ. 246.

მსჯელობა: მე მგონია, რომ ბასკები, ესოდენ მარჯვე ზღვაოსნები, ნამდვილად მიაღწევდნენ არა მარტო ცენტრალურ ამერიკას, არამედ სამხრეთსაც... ყოველ შემთხვევაში, სამხრეთ ამერიკაშიც ანალოგიურად აღმოსავლეთიდან მოსულ თეთრ ადამიანს დიდი როლი აქვს შესრულებული პერუში ინდიელთა დიდი კულტურისათვის საფუძვლის ჩაყრის საქმეში. მათ შესახებ მეტად საინტერესოდ მოგვითხრობს ცნობილი ნორვეგიელი მოგზაური და მეცნიერი ტურ ჰეიერდალი: „ – პერუში როცა ესპანელებმა აღმოაჩინეს ინკების სამეფო, პედრო პისარომ ჩაწერა, რომ ანდების შავგვრემან და ტანმორჩილ ინდიელებს შორის ცხოვრობდა ინკების გაბატონებული მოდგმა. ეს იყო ტანმაღალი, თვითონ ესპანელებზე უფრო თეთრი კანის მქონე ადამიანების ტომი. პისარო განსაკუთრებით აღნიშნავს პერუს ცალკეულ მცხოვრებთა თეთრ კანსა და ქერა თმას. ასეთივე იყვნენ ის ადამიანები, რომელთა მუმიებსაც ახლა ვნახულობთ... წყნარი ოკენის ნაპირზე, პარაკასის ახლოს, ქვიშიან უდაბნოში არის ფართო გამოქვაბულები, სადაც ხელოვნურ სამარხებში შესანიშნავად შენახულა მუმიები. თუ მათ ფერად საბნებს გადავხდით, შეიძლება დავინახოთ, რომ ზოგ მათგანს თმა შავი აქვს და უხეში, როგორც ინდიელთა უმეტესობას, იმ დროს, როცა სხვებს, იმავე პირობებში შენახულებს, ქერა თმა ამშვენებთ, ხშირად წაბლისფერი, თხელი ნაზი, როგორც აბრეშუმი, დახვეული, როგორც ევროპელთა თმები. ამ მუმიებს აქვთ წინ წამოწეული ქალა, დიდი ზომის ტანი და მკვეთრად გამოირჩევიან პერუს თანამედროვე ინდიელი მოსახლეობისაგან. სპეციალისტებმა, რომელთაც მათი თმები მიკროსკოპში შეისწავლეს, განაცხადეს, რომ მათ ახასიათებთ ყველა ის თვისება, რითაც განასხვავებენ თმათა ნორდიულ ტიპს მონღოლთა და ინდიელთა თმებისაგან.

– ახლა რას ამბობენ ლეგენდები? ყველაფერი მიკროსკოპში ხომ არ ჩანს!

– ლეგენდები არაფერს არ ამტკიცებენ.

– მაინც რას ამბობენ?

– როცა პისარომ ინდიელებს ჰკითხა, ვინ იყვნენო თეთრკანიანი და ქერათმიანი ადამიანები, მათ უპასუხეს, რომ ესენი იყვნენ უკანასკნელი შთამომავალნი თეთრკანიანი, წვერიანი ადამიანებისა, ვირაკოჩა – ღმერთების შთამომავალნი. ისინი იმდენად ჰგავდნენ ევროპელებს, რომ, როცა პისაროს ხალხი ინკების სამეფოში ჩავიდა, მაშინვე მათ ვირაკოჩა უწოდეს. ხომ ფაქტია, რომ ფრანსისკო პისარო ერთი მუჭა ესპანელებით შეიჭრა პირდაპირ ინკების სამეფოს გულში, ტყვედ იგდო მეფე-მზე, დაამხო მისი დიდი იმპერია და მეფის უზარმაზარმა საბრძოლო ლაშქარმა ბუზიც ვერ აუფრინა. ინკებმა იფიქრეს, ნამდვილად ვირაკოჩები დაბრუნდნენო წყნარი ოკეანის მიღმიდან. მათ შორის ყველაზე უფრო გავრცელებული ლეგენდის მიხედვით, ინკების წინამორბედმა, მეფე-მზე კონ-ტიკი ვირაკოჩამ მთელი თავისი ქვეშევრდომების თანხლებით დატოვა პერუ და გაემგზავრა წყნარ ოკეანეში. ტიტიკაკას ტბის გარშემო მდებარე მთებში რომ ავიდნენ, ესპანელებმა იქიდან დაინახეს სამხრეთ ამერიკის ყველაზე უფრო დიდი ნანგრევები, – ტიაუანაკო, – მთაზე, უზარმაზარი ლოდებისაგან კლასიკური ფორმით აგებული ხელოვნური ტერასები, აგრეთვე ბუმბერაზი ადამიანების მრავალრიცხოვანი გამოსახულებანი. როცა ცნობილმა მემატიანემ სიესა დე ლეონმა იკითხა, ვინ დატოვა ეს ნანგრევებიო, უპასუხეს: ეს იმ შენობების ნანგრევებია, რომლებიც ინკების მოსვლამდე და გაბატონებამდე დიდი ხნით ადრე ააგესო. ისინი აუშენებიათ წვეროსანსა და თეთრკანიან ადამიანებს, რომლებიც ჰგავდნენ მათ, ესპანელებს. მაგრამ ერთხელ ამ ხალხმა მიატოვა ქანდაკებები და კედლები და თავიანთი ბელადის, კონ-ტიკი ვირაკოჩას წინამძღოლობით გაემართნენ კუსკოში, შემდეგ კი წყნარ

ოკეანეში. ზედწოდება ვირაკოჩა, ანუ „ზღვის ქაფი“, მათ იმიტომ მიიღეს, რომ თეთრი კანი ჰქონდათ და ზღვის ქაფივით გაქრნენ“[1].

ამრიგად, ზღვის ქაფივით გამქრალი ხალხი ევროპოიდები არიან, წარუშლელი კვალი რომ დატოვეს როგორც პერუს ინდიელთა კულტურასა და ყოფაზე, ასევე წყნარი ოკეანის კუნძულების მცხოვრებლებზე. იმას, რომ ისინი გარკვეულ მომენტში პერუდან აიყარნენ და კუნძულებზე გადასახლდნენ, უდავოდ ჰქონდა რაღაც მნიშვნელოვანი მიზეზი, ამ ევროპოიდებმა პრობლემა სხვაგვარად რომ ვერ გადაწყვიტეს, მაშინ მიმართეს, როგორც ჩანს, აპრობირებულ მეთოდს, ანუ ემიგრაციას, კონტინენტს გაეცალნენ და კუნძულებზე გადასახლდნენ. აპრობირებულიო, იმიტომ ვამბობ, რომ ამერიკის კონტინენტზე დასახლებამდე ეს ხალხი იძულებული გამხდარა, ახალი საცხოვრისი ეძებნა. რა იყო ამის მიზეზი, უცნობია, მაგრამ სხვაგან გადასახლებამ მათ წარმატება მოუტანა, რადგან მოახერხეს პერუში შესაძლებლობათა რეალიზება. ამას მაფიქრებინებს მათი დანატოვარი ძეგლები. წყნარი ოკეანის კუნძულებზე კი ამ ხალხის ბედი ტრაგიკულად წარიმართა. იმ ინფორმაციით, რაც ტურ ჰეიერდალმა მათ შესახებ მოიპოვა, ცნობილი ხდება, რომ კუნძულებზე დასახლებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ადგილობრივ მცხოვრებლებს ეს ემიგრანტები ამოუწყვეტიათ...

დღემდე უცნობია, თუ ვინ იყვენენ ეს ევროპოიდები, საიდან და როგორ აღმოჩნდნენ ამერიკის კონტინენტზე. ამ კითხვაზე მეცნიერულად დასაბუთებული პასუხი არ არსებობს. არის მხოლოდ ვარაუდები. ამათგან ერთის თაობაზე, ბასკების საზღვაო ექსპედიციებს რომ შეეხება, უკვე მოგახსენეთ; მაგრამ ატლანტოლოგთა ნაწილს, განსაკუთრებით კი იგნატიუს დონელის შეხედულებათა გამზიარებლებს, მტკიცედ სწამთ, რომ ევროპოიდები მექსიკასა და პერუში ატლანტისიდან მოვიდნენ...

მიუხედავად ამ თეორიის სუსტი მხარეებისა, მას ბევრი ატლანტოლოგი იზიარებს. ასე, მაგალითად: 1923 წელს ამერიკელი მიტჩელ ჰედჯი ამტკიცებდა: ატლანტისი ამერიკის კონტინენტის ახლოს მდებარეობდა, მისი ნაშთების ნახვა კარიბის ზღვის ფსკერზე შეიძლებაო. ამასთან, მ. ჰედჯი თვლიდა, რომ მექსიკისა და პერუს ძეგლები ეგვიპტურის მსგავსი იყო და რომ ატლანტიკის გაღმა-გამოღმა მდებარე ცივილიზაციებს ერთნაირი ძირები ჰქონდათ, რომლებიც ატლანტისს უკავშირდებოდა... ასე რომ, ი. დონელის მიმდევრები ნამდვილად ჰყავდა, მაგრამ მის თეორიას სერიოზული საფრთხე შეუქმნა „მობილიზმის ჰიპოთეზამ“, რომლის გასაცნობად ენციკლოპედიურ ცნობას მოვიხმობთ:

„მობილიზმი (ლათ. mobilis – მოძრავი), ტექტონიკური ჰიპოთეზა, რომელიც შესაძლებლად მიიჩნევს დედამიწის ქერქის დიდი უბნების მნიშვნელოვან ჰორიზონტალურ გადაადგილებას. მისი პირველი ავტორები იყვნენ ამერიკელი გეოლოგი ფ. ტეილორი (1910) და გერმანელი გეოფიზიკოსი ა. ვეგენერი (1912). ეს უკანასკნელი თვლიდა, რომ მეზოზოური ერის დასაწყისამდე კონტინენტები ქმნიდნენ ერთიან სუპერკონტინენტს – პანგეას. ქერქქვეშა ფენაში ცენტრიდანული და მოქცევის ძალების გავლენით მეზოზოურ და კაინოზოურ ერებში პანგეა დაიშალა და მისი ნაწილები დასავლეთისა და ეკვატორისაკენ დაიძრნენ. კონტინენტების მოძრაობის დროს მათ დასავლეთურ კიდეებზე წარმოიქმნა ნაოჭა სისტემები. 1930-იან წლებში მობილიზმი განავითარეს შვეიცარიელმა გეოლოგებმა ე. არგანმა და რ. შტაუბმა. მომდევნო წლებში ახალი გეოფიზიკური მონაცემებით „ბაზალ-

1 იხ.: ტურ ჰეიერდალი, „აღდგომის კუნძულის საიდუმლოება“, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1965 წ., გვ. 417-419.

ტურ“ ფენაში მოტივტივე მექანიკური გადაადგილების შეუძლებლობის გამო მობილიზმი თითქმის მთლიანად უარყოფილ იქნა; მაგრამ მას შემდეგ, რაც გამოირკვა დედამიწის მანტიის ზედა ნაწილში შედარებით პლასტიური ფენის, ასთენოსფეროს არსებობა და, განსაკუთრებით, ქანების ნარჩენი მაგნიტიზმის შეწავლის საფუძველზე, მობილიზმი კვლავ განახლდა ნეომობილისტური ფორმით და 60-იან წლებში ჩამოყალიბდა, როგორც „ახალი გლობალური ტექტონიკის“ ანუ „ფილაქნების ტექტონიკის ჰიპოთეზა“[1].

თუ ვერწმუნებით ალფრედ ვეგენერის კონტინენტების დრეიფის თეორიას, მაშინ, ატლანტის ოკეანეში კუნძულ ატლანტისის შესაძლო არსებობის საკითხი საეჭვო ხდება.

დავხედოთ ატლანტის ოკეანის ფიზიკურ რუკას: პირველი, რაც ყურადღებას იქცევს, ეს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 18 ათას კილომეტრზე მერიდიანულად გადაჭიმული შუა ატლანტის ქედია, ოკეანის ფსკერის მთათა სისტემა. ქედი ოკეანეს დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად ჰყოფს, თავად ქედიც ორად, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაწილებად იყოფა. ჩვენთვის საინტერესო ნახევარი ჩრდილოეთ ატლანტიკაში მდებარეობს. აქ ქედის ორივე მხარეს არის წყალქვეშა პლატოები, ქედები და მაღლობები. ფსკერის ეს ამაღლებები ერთმანეთისაგან გამოჰყოფენ ქვაბულებს. ამათგან უნდა გამოვარჩიოთ კანარის ქვაბული. ის მდებარეობს ჩრდილო ატლანტიკის ქედსა და აფრიკას შორის, დაახლოებით იმ ადგილას, სადაც მოიაზრებდა პლატონი ატლანტისს. ქვაბულის ფსკერი ბორცვიანი ან თითქმის მთლიანად ბრტყელი აბიზური ვაკეა. ქვაბულის მაქსიმალური სიღრმე მის ჩრდილოეთ ბოლოში 6578 მეტრი, ხოლო სამხრეთში 6549 მეტრია. კანარის ქვაბულის განაპირას წყალქვეშა მთებია. მათი მწვერვალები ამოშვერილია ვულკანური კუნძულების სახით, ამათგან სამხრეთ-აღმოსავლეთით მადერასა და კანარის, ხოლო უფრო სამხრეთით – მწვანე კონცხის კუნძულებია. აი, ამ მიდამოებში ვარაუდობენ ატლანტოლოგები კუნძულ ატლანტისის არსებობას. ცხადია, მათი ეს შეხედულება პლატონის ნათქვამს ეფუძნება, მაგრამ რამდენად რეალურია აქ დიდი კუნძულის არსებობა?

ატლანტისის ფართობს სხვადასხვაგვარად ანგარიშობენ და საკმაოდ დიდი ციფრები მოჰყავთ, განსაკუთრებით იმათ, ვისაც ატლანტისი ოკეანეში ეგულება. ამიტომ ერთი მათგანის, ნ. ჟიროვის, გამოთვლის შედეგს მოვიხმობ. ის წერდა: „პლატონის მონაცემებით, დედაქალაქის წინამდებარე დაბლობის ზომები შემდეგი იყო: 3000 სტადიონი (550 კილომეტრამდე), სიგრძე ზღვიდან შუის მიმართულებით – 2000 სტადიონი (370 კილომეტრამდე). ამრიგად, მთავარი სამეფოს ფართობი მიახლოებით 200 ათასი კვ.კმ-ს ტოლი იქნებოდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ატლანტისის დანარჩენი ცხრა სამეფო ბევრად ნაკლები იქნებოდა, ძალიან უხეში მიახლოებით შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ატლანტისის საერთო მაქსიმალური ფართობი 1 მილიონ კვ.კმ-ზე მეტი არ იყო“.

ავტორი აქვე გვაწვდის თავის მოსაზრებას კუნძულის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ: „ატლანტისის მთავარი სამეფოს მოსახლეობა, ჩემი აზრით, დედაქალაქისა და ქალაქების გარეშე, აღწევდა ოთხ მილიონ ადამიანს. თუკი ვივარაუდებთ, რომ ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 1/5-ს სოფლისას, მაშინ მივიღებთ სულ ექვს მილიონს“[2].

ატლანტისის ფართობისა და მოსახლეობის რაოდენობის შესახებ გამოთქმული ეს ვერსია იმდენადაა საყურადღებო, რამდენადაც ის კი არ პასუხობს ატლანტისთან დაკავშირებულ სტატისტიკური ხასიათის კითხვებს, არამედ თავად ბადებს არსებითი მნიშვნელობის კითხვებს: თუ ასეთი დიდი ფართობის კუნძულზე იყო განფენილი ატლანტისის სამეფო და მას ასე მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ჰყავდა, მაშინ რატომ არ დარჩა ამ კუნძულის ნაშთი, ან ატლანტისელთა კულტურის რაიმე არტეფაქტი მაინც; ან კიდევ, ეს უზარმაზარი მოსახლეობა უცებ ამოწყდა? ვერავინ გააღწია სამშვიდობოს, მათ ხომ უდიდესი ფლოტი ჰყავდათ?!

[1] იხ.: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7, გვ. 54.

[2] იხ.: Н.Ф. Жиров, «Атлантида», Государственное Издательство Географической Литературы, Москва, 1957 г., გვ. 31-32.

საქმე ისაა, რომ ნ. ჟიროვის გათვლები პლატონის ზოგიერთ მონაცემს ეფუძნება. „ტიმეოსისა“ და „კრიტიას“ ავტორს კი ატლანტისის შესახებ ყველაფერი გაზვიადებულად აქვს მოყვანილი. თავად განსაჯეთ: დაუჯერებელია დიდი კუნძულის არსებობა იქ, სადაც კანარის ღრმული და ვულკანური წარმოშობის არქიპელაგებია; აზორის, მადერას, კანარისა და მწვანე კონცხის ღრმულის გაჩენასაც ეძებნება ახსნა და ზემოხსენებულ კუნძულთა ოკეანის ზვირთებიდან ამოწვერვასაც, მაგრამ დიდი კუნძულის – ატლანტისის დედამიწის ამ კუთხეში არსებობის დასაბუთება ძნელია. მით უმეტეს, თუ სუპერკონტინენტის – პანგეას მოდელირებულ გამოსახულებას დავხედავთ სათანადო რუკაზე, სადაც კონტინენტების დრეიფის შედეგად მისი თანდათანობით დაშლისა და დედამიწის კონტინენტების მიერ თანამედროვე ფორმის მიღების პროცესია გამოსახული, დავრწმუნდებით, რომ ზემოხსენებული პროცესის არც ერთ ეტაპზე 1 მილიონი კვადრატული კილომეტრის ფართობის მქონე კუნძულისათვის იქ ადგილი არ მოიძებნება.

კონტინენტების დრეიფის თეორიას რომ თავი დავანებოთ და ატლანტის ოკეანის ფსკერის ამსახველ რუკას კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ, დავინახავთ, რომ თუ რაიმე ფიზიკური მოვლენა იქცევს იქ ყურადღებას, ეს იმის საპირისპირო ტენდენციის ნიშნებია, რასაც ი. დონელი და მისი მიმდევრები ხედავენ. კერძოდ კი ის, რომ ვხედავთ არა კუნძულებისა და მატერიკების დაძირვის კვალს, არამედ პირიქით, ატლანტის ოკეანის მთელ სიგრძეზე აღმომართულ წყალქვეშა ქედს, წყლის ზემოთ კი ვულკანური წარმოშობის კუნძულებს, რაც დადასტურებაა იმისა, რომ თუ რამ ხდებოდა ოკეანეში, ეს კუნძულების ჩაძირვა კი არა, მათი ამოწვერვა იყო და ამის მაგალითებიც არსებობს: აზორის კუნძულების, სან-მიგელისა და ტერსეირას შორის 1719 წლის 31 დეკემბერს წყალქვეშა ვულკანური ამოფრქვევის შემდეგ აღმოცენდა პატარა კუნძული, რომელიც 1723 წელს წყალქვეშ გაუჩინარდა. იმავე არქიპელაგში მსგავსი შემთხვევა კიდევ რამდენჯერმე მოხდა: 1867 წლის 1 ივნისს კუნძულებს, ტერსეირასა და გრასოზას შორის კვლავ ვულკანის წყალქვეშა ამოფრქვევა მოხდა და წყლიდან ვულკანის წვერი ამოვიდა, მაგრამ მალევე წყალქვეშ გაუჩინარდა. ასეთი შემთხვევები აზორის არქიპელაგზე კიდევ განმეორდა 1871 წლის 1 თებერვალს; ბოლო შემთხვევა კი 1957 წლის 28 სექტემბერს მოხდა, ოღონდ ეს ყველაფერი ატლანტის ოკეანეში კუნძულ ატლანტისის არსებობისა და დაღუპვის საბუთად ვერ გამოდგება.

ატლანტოლოგთა ერთი ნაწილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ შემთხვევას: 1898 წელს ევროპასა და ამერიკას შორის სატელეფონო კაბელის ატლანტის ოკეანის ფსკერზე დაგებისას ის გაწყდა და ფსკერზე დაეშვა. დაიწყეს მისი ბოლოს ძებნა, რაც მეტად ძნელი საქმე გამოდგა, რადგან ოკეანის ფსკერის ეს მონაკვეთი მთაგორიანი აღმოჩნდა; აქ მწვერვალებიც იყო, კლდეებიც, ღრმულებიც და უზარმაზარი წყალქვეშა დაბლობებიც. ეს გახლდათ შუა ატლანტიკის ქედის ნაწილი, 900 კილომეტრით ჩრდილოეთით მდებარე აზორის კუნძულებიდან. აქ კაბელის ბოლო 3000 მეტრი სიღრმიდან ამოათრიეს. მას ამოჰყვა ტიქილიტის ნამტვრევი. ეს არის მინისებრი სტრუქტურის ბაზალტის ლავა, რომელიც პარიზის

გეოლოგიურ მუზეუმში ინახება. ფრანგმა გეოლოგმა პ. ტერმიემ შეისწავლა ლავის ეს ნამტვრევი.

1913 წელს, პარიზის ოკეანოგრაფიის ინსტიტუტში მან წაიკითხა მოხსენება, რომელშიც ამტკიცებდა, ოკეანის ფსკერზე ნაპოვნი ლავის ფრაგმენტი შესაძლოა მხოლოდ ჰაერზე ანუ ხმელეთზე გადმოდინებისას გამაგრებულიყო და არა ოკეანის წიაღშიო. ანალოგად კუნძულ მარტინიკაზე მდებარე ვულკან პელეს ლავის მინისებრ სტრუქტურას ასახელებდა და, შესაბამისად, აკეთებდა დასკვნას, რომ აზორის კუნძულებიდან ჩრდილოეთით 900 კილომეტრზე მდებარე სივრცე წარმოადგენდა ხმელეთს, რომელზეც ამოიფრქვა ვულკანი და მისი ლავის ნატეხი ამოჰყვა კაბელს. ახლა ეს ხმელეთი 3000 მეტრზეა ჩაძირული ოკეანეშიო.

ამ მოსაზრებას ჩაეჭიდა ატლანტოლოგთა ნაწილი, რადგან ის მიიჩნიეს კუნძულ ატლანტისის არსებობისა და შემდგომ ოკეანეში ჩაძირვის საბუთად, მაგრამ სადღეისოდ პ. ტერმიეს მოსაზრება უსაფუძვლოდაა მიჩნეული. მის უარყოფას დიდად შეუწყო ხელი 1967 წელს ა. ლაფტონის მიერ გამოქვეყნებულმა შრომამ, რომლის მიხედვითაც ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში მინერალების ორმოცდაათი პროცენტი მცურავი ყინულების მიერ იქნა გადმოტანილი. შესაბამისად, მინისებრი ლავის ნატეხიც ისლანდიიდან უნდა ჩამოეტანა მცურავ ყინულს იქ, საიდანაც ის კაბელის ბოლოს ამოჰყვაო.

ატლანტის ოკეანეში კუნძულ ატლანტისის არსებობის კიდევ ერთი არგუმენტი ატლანტოლოგთათვის იყო გველთევზათა საქორწილო მიგრაცია. მათი ჰიპოთეზა ეფუძნება იმას, რომ ზრდასრული გველთევზები მიცურავენ სარგასის ზღვისკენ, იქ ყრიან ქვირითს 300 მეტრის სიღრმეზე, ანაყოფიერებენ და ამის შემდეგ მამრები და მდედრები იღუპებიან, გამოჩეკილი ლიფსიტები კი გზას გაუდგებიან. ამერიკული გველთევების ლიფსიტებს დიდი მანძილის გავლა არ უხდებათ, რადგან სარგასის ზღვა მათი კონტინენტის მდინარეებთან ახლოს არის, მაგრამ ევროპული გველთევზების ლიფსიტები გოლფსტრიმის თბილ დინებას მიჰყვებიან ევროპის მტკნარი წყლებისაკენ და საკმაოდ დიდ გზასაც გადიან. ამ შორეულმა და ხიფათით აღსავსე მგზავრობამ ატლანტოლოგებს აფიქრებინა, რომ კუნძულ ატლანტისის არსებობის შემთხვევაში ევროპული გველთევზას ლიფსიტებს შორი გზის გავლა არ მოუხდებოდათ და კუნძულის მტკნარ წყლებს მიაშურებდნენ; მას შემდეგ კი, რაც კუნძული ატლანტისი ოკეანეში ჩაიძირა, გველთევზათა ლიფსიტებმა მტკნარი წყლის ძიებაში ოკეანე გადალახეს და ევროპას მიაღწიესო. ეს, ცხადია, ჰიპოთეზაა, რადგან გველთევზათა საქორწინო მიგრაცია მათი ინსტინქტიდან გამომდინარე ქმედებაა...

ატლანტოლოგთა სხვა მოსაზრება შეეხება გამყინვარების, გოლფსტრიმის თბილი დინებისა და კუნძულ ატლანტისის ურთიერთქმედებას. ამ თემაზე მოსაზრება პირველად გამოთქვა ჰოლმა 1897 წელს, მაგრამ უფრო კონკრეტულად ამის თაობაზე ე. ჰეგემეისტერი წერს: „როგორც ჩანს, გაჩნდა რაღაც დაბრკოლება, რომელმაც სამხრეთის დინებას პოლარულ ოლქებში შეღწევის საშუალება მოუსპო. ასეთი დაბრკოლება შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ხმელეთის ფრაგმენტები ატლანტის ოკეანეში. თანდათანობით ეს ფრაგმენტები შეერთდნენ და წარმოქმნეს მნიშვნელოვანი მასივი ოკეანეში, რომელმაც სამხრეთის დინებას სრულიად გადაუკეტა ჩრდილოეთში შეღწევის საშუალება. ჩრდილოეთის პოლარულ ოკეანეში ძლიერ აცივდა, მძლავრმა ყინულოვანმა საფარმა შებოჭა ზღვა და კუნძულები, დაიძრა სამხრეთისაკენ და დაფარა ევრაზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიები. დაიწყო გამყინვარების პერიოდი... არაფერია დაუჯერებელი იმაში, რომ ამასთან, ატლანტის ოკეანეში გაჩნდა ხმელეთის ფართო მასივი, რომელიც მიღებულია იწოდებოდეს ატლანტისის მატერიკად... გადიოდა ათასწლეულები. ატლანტისმა თანდათანობით დაიწყო ნელა ჩაძირვა ოკეანის წყლებში... ატლანტისის გაუჩინარების შემდეგ ეკვატორული დინება ფართო ნაკადად წარიმართა ჩრდილოეთისაკენ და ევროპის ყინულით შებოჭილი ნაპირებისაკენ მიჰქონდა სითბო. დაიწყო კლიმატის ინტენსიური დათბობა, ყინული დნებოდა და ჩრდილოეთისაკენ დაიხია. გამყინვარების პერიოდი დამთავრდა... ამრიგად, თუ დავუშვებთ, რომ 11515 წლის წინათ დაღუპული ატლანტისი ნამდვილად არსებობდა, გამყინვარების მთელი პრობლემა მარტივდება და აიხსნება – ატლანტისი იყო გამყინვარების პერიოდის წარმოქმნის მიზეზი, ატლანტისივე იყო მისი დასასრულის მიზეზიც“[1].

ეს ჰიპოთეზა შეიძლება მართლაც გამომდგარიყო გამყინვარებისა და შემდგომ დათბობის პერიოდების ასახსნელად, რომ არა ერთი გარემოება: გამყინვარება რამდენჯერმე მოხდა და დათბობამაც რამდენჯერმე შეცვალა ის. გამოდის, რომ კუნძული ატლანტისი რამდენჯერმე წარმოიქმნა და ჩაიძირა. ცხადია, დაუჯერებელია, ასეთი რამ მომხდარიყო და ამიტომ უნიადაგო ჰიპოთეზების არსებობამ XX საუკუნეში ატლანტოლოგებს უბიძგა, კვლავ სხვაგან ეძებნათ ატლანტისი...

1922 წელს ქ. შელტენმა გამოთქვა აზრი, ატლანტისი სამხრეთ-დასავლეთ ესპანეთში უნდა ყოფილიყო და მისი დედაქალაქი ტარტესი მდინარე გვადალკვივირის შესართავში მდებარეობდაო. ტარტესი ანტიკურ სამყაროში ცნობილი სავაჭრო ქალაქი იყო, ის რაიმე სტიქიურ მოვლენას არ დაუქცევია, უბრალოდ, ძვ.წ. 509 წელს კართაგენელებმა ჩაკეტეს ჰიბრალტარის სრუტე და დაანგრიეს ტარტესი. მათი მიზანი ბერძნებისათვის ატლანტის ოკეანეში გასასვლელის ჩაკეტვა იყო. განზრახვა აისრულეს და ბერძენთათვის ტარტესი დავიწყებას მიეცა. ქ. შელტენმა თავისი თეორია სწორედ ამ ფაქტზე ააგო. მისი აზრით, ცნობილი ქალაქის, ტარტესის მოგონება საფუძვლად დაედო მითს ატლანტისის შესახებ...

ქ. შელტენის ჰიპოთეზას ბევრი სუსტი ადგილი აქვს, მაგრამ უმთავრესი ისაა, რომ ატლანტისის ისტორიამ ეგვიპტიდან საბერძნეთში ბევრად ადრე შეაღწია, კერძოდ, ძვ.წ. VI საუკუნის დასაწყისში, მაშინ, როცა ტარტესი კართაგენელებმა ამავე საუკუნის დასასრულს დაანგრიეს. ასე, რომ, ეს ჰიპოთეზა საფუძველს მოკლებულია...

გასული საუკუნის 30-იან წლებში ა. ჰერმანი მიიჩნევდა, რომ პლატონის მიერ დიალოგ „კრიტიაში“ ნახსენები ვაკე ადგილი იყო დაბლობი ტუნისში, ქალაქ ნეფტასა და ჰაბესის ყურეს შორის შოტ-ელ-დჯერიდში. ა. ჰერმანი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ეს დაბლობი წყალმა კი არ დაფარა, არამედ პირიქით, ზღვამ უკან დაიხია და მთელი ეს მხარე საჰარის უდაბნომ შთანთქაო. დასახელებული ადგილი სეისმურად აქტიურია და ეს ფაქტი ამყარებდა ზემოხსენებულ შეხედულებას. ოღონდ ეს ამ ჰიპოთეზის გამაძლიერებელი ერთადერთი არგუმენტი გახლავთ.

ა. ჰერმანის თეორიას რაიმე უფრო დამაჯერებელი დასაბუთება დღემდე არ მოეძებნა.

ფ. გიდონმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ატლანტისი მდებარეობდა ჩრდილო-დასავლეთი საფრანგეთის იმ ნაწილში, რომელიც ახლა დაახლოებით 100 მეტრის სიღრმეშია ჩაძირული. მისი აზრით, საფრანგეთის ეს საკმაოდ ვრცელი ნაწილი თავის დროზე აერთებდა ბრიტანეთსა და ისლანდიას და ჩაძირულა ბრინჯაოს ეპოქაში ძვ.წ. 3000 და 1200 წლებს

1 იხ.: Е.Ф. Хагемейстер, «Ледниковый период и Атлантида», журнал «Природа», 1955 г., №7, გვ. 92-96.

შორის. ფ. გიდონი თავისი ჰიპოთეზის ჩამოყალიბებისას ბოტანიკის მინაცემებს ეყრდნობოდა, რაც საკმარისი არგუმენტი არ არის. ჩრდილოეთ ატლანტიკაში ოკეანის მიერ დაფარული ტერიტორიის გამო უნდა ითქვას, რომ ეს გაცილებით ადრე, გამყინვარების შემდგომ პერიოდში მოხდა, ამიტომ ამას ყველაფერს ატლანტისის ბრინჯაოს ხანის კულტურასთან საერთო არაფერი აქვს...

ატლანტისის ძებნა მეოცე საუკუნის 50-60-იან წლებშიც ინტენსიურად გრძელდებოდა. ზოგიერთი მაშინ გამოთქმული ჰიპოთეზა თავისი არსით ფანტასტიკურია; ეს თვისება სხვა თეორიებსაც არ აკლიათ, მაგრამ მათგან განსაკუთრებით გამოირჩევა გერმანელი იურგენ შპანუტის, ბორდელუმელი პასტორის მიერ 1953 წელს გამოთქმული და 1965 წელს გამეორებული ჰიპოთეზა იმის თაობაზე, რომ ჩრდილოეთის ზღვაში გერმანიის კუნძულ ჰელჰოლანდიდან 50 სტადიონის დაშორებით, 8 მეტრის სიღრმეზე, წყალქვეშა ქედის ზემო ნაწილში, რომელსაც შტეინგრუდს უწოდებენ მდებარეობდა ატლანტისის მეტროპოლისი. იქ მართლაც ნახეს რომელიღაც დასახლების ნაშთები.

იურგენ შპანუტს გერმანიის ნაპირებთან მდებარე ატლანტისის დაღუპვის მიზეზად მიაჩნდა ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში მომხდარი ყველა კატასტროფის, ბუნებრივისა და ადამიანის მიერ გამოწვეულის, ერთიანობა, რომელთა შედეგადაც, მისი აზრით, დაიღუპა მინოსური კრეტაც, ხეთების სახელმწიფოც, გაუკაცრიელდა ეგვიპტეც (ძვ.წ. XIII საუკუნეში). ი. შპანუტს მიაჩნდა, რომ პლატონის მიერ ატლანტისის დაღუპვის შესახებ მონათხრობსა და ეგვიპტეში „ყველანაირი უბედურების“ აღწერას შორის (ეს ტექსტი თებეში ამონის ტაძრის სვეტებზეა ამოკვეთილი) დიდი მსგავსებაა. იმავე ტაძრის კედელზე გამოსახულია ფარაონ რამზეს III-ის ბრძოლა „ზღვის ხალხებთან“. ამ უკანასკნელთა გარეგნობამ, მორთულობამ, იარაღისა და გემების ფორმამ დიდი ფანტაზიის მქონე ი. შპანუტს აფიქრებინა, „ზღვის ხალხები“ ჩრდილოეთი ევროპიდან უნდა ყოფილიყვნენ, კერძოდ, კუნძულ ჰელჰოლანდსა და შლეზვინგ-ჰოლშტეინს შორის მდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებნიო. რაც შეეხება ატლანტისის დაღუპვას (ცხადია, აქ იგულისხმება ჩრდილოეთის ზღვაში ჩაძირული ტერიტორია), ის ამის მიზეზად მიიჩნევდა ერთდროულად მომხდარ კატასტროფათა მთელ ჯაჭვს. კერძოდ, ეტნას, ჰეკლას, სანტორინისა და ბევრი სხვა ვულკანის ამოფრქვევას, ამას უმატებდა აგრეთვე „ფაეტონის კომეტის“ ჩამოვარდნას მდინარე ერიდანში, რომელიც, ერთი ვერსიით, ჩრდილოეთის ზღვაში ჩაედინება (ცხადია, ი. შპანუტი სწორედ ამ ვერსიას ეყრდნობა). ამ კატასტროფებმა თურმე გამოიწვიეს უზარმაზარი ტალღა, რომელმაც დაფარა ჰელჰოლანდთან მდებარე ატლანტისი...

პასტორ იურგენ შპანუტის ჰიპოთეზა, როგორც მოგახსენეთ, ფანტასტიკურია, ის არ დასტურდება მეცნიერებისათვის მისაღები არც ერთი არგუმენტით. ხოლო ის, რაც ი. შპანუტს არგუმენტად ან რაიმე მოვლენისა თუ ფაქტის ახსნად მიაჩნია, უბრალოდ, ღიმილის მომგვრელია. ასე, მაგალითად, ის პლატონის დიალოგებში მოხსენიებულ ლითონს ორიხალკს, არც მეტი, არც ნაკლები, ქარვად მიიჩნევს... სხვათა შორის, ბერძნები ქარვას იცნობდნენ და მას „ელექტრონს“ უწოდებდნენ.

ი. შპანუტი კიდევ ერთ შეცდომას უშვებს, როცა ამონის ტაძრის კედელზე გამოსახულ მეომრებს ჩრდილოეთ ევროპიდან მოსულებად მიიჩნევს.

იურგენ შპანუტს სურვილი ჰქონდა, ატლანტისის გერმანული ვერსია შეექმნა. მას შეიძლება გავუგოთ: ხომ ათავსებენ ატლანტისს შვედეთში ან საფრანგეთში და, რაკი ასეა, გერმანიამ რაღა დააშავა? – არაფერი...

უსაფუძვლო ჰიპოთეზების მომრვლებამ ატლანტოლოგთა ნაწილი აიძულა, ატლანტისი ერთ ძველსა და საკმაოდ ცნობილ ადგილას ეძებნა...

რამდენიმე ავტორმა გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ატლანტისი აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში მდებარეობდა; XVIII-XX საუკუნეებში ასეთი შეხედულება მნიშვნელოვან ტენდენციად იქცა.

1780 წელს ბორტოლომ გამოთქვა აზრი, რომ ატლანტისის ისტორია სოლონის გამონაგონია, რომელიც მოგვიანებით პლატონმა გამოიყენა. ამასთან მიაჩნდა, ატლანტისის ამბავი ბერძენ-სპარსელთა ომის ანარეკლია, პლატონმა ლეგენდად რომ აქციაო. ბერტოლოს ჰიპოთეზა წინააღმდეგობრივია, რადგან სოლონი ბერძენ-სპარსელთა ომამდე ცხოვრობდა. ანაქრონიზმი ჰიპოთეზას აბუნდოვანებს, მაგრამ მნიშვნელოვანია თუნდაც იმით, რომ ლეგენდის წარმოშობის ადგილის ლოკალიზებას ახდენს, ანუ ლაპარაკია ეგეიდაზე.

XIX საუკუნის 50-იან წლებში რუსმა აკადემიკოსმა ა. ნოროვმა ასეთი მოსაზრება გამოთქვა: „ჩვენი ვარაუდით, ატლანტისს ეკავა ხმელთაშუა ზღვის მთელი სივრცე კუნძულ კვიპროსიდან სიცილიამდე, რომლიდანაც ჩრდილოეთით იყო ტირენიის ზღვა და ტირენია. ეს სივრცე სრულიად შეესაბამება იმას, რაც პლატონმა განსაზღვრა ატლანტისისათვის“[1].

1866 წელს ფრანგი ვულკანოლოგი ფუკე გათხრებს აწარმოებდა ეგეიდაში კუნძულ ტირასიაზე, ხოლო 1870 წელს ასევე ფრანგები, გორსიე და მამე – ტირსაზე და ტირასიაზე. მათი კვლევა-ძიების შედეგად ნათელი გახდა, რომ თავდაპირველად დიდ კუნძულზე, რომლისგანაც სამი პატარა კუნძულია დარჩენილი, საკმაოდ მაღალი კულტურა არსებობდა და ვიდრე მისი ცენტრალური ნაწილი ზღვაში ჩაიძირებოდა, ვულკანური ფერფლით დაფარულა.

ამ სამ პატარა კუნძულზე აღმოაჩინეს სხვადასხვა ეპოქის არტეფაქტები: ქვის იარაღები, საფქვავი და სანაყი მოწყობილობა, აგრეთვე ოსპის, ქერის, მუხუდოს და ჩალის ნარჩენები. ყურადღებას იქცევდა სუფთა (მინარევების გარეშე) სპილენძისაგან დამზადებული ხერხი, აგრეთვე შინაურ ცხოველთა ძვლები. მიაკვლიეს აგრეთვე საკმაოდ საინტერესო ფრესკებს. ყველაფერი ეს ადასტურებდა კუნძულზე განვითარებული საზოგადოების არსებობას.

1872 წელს ლუი ფიგუმ გამოთქვა მოსაზრება, რომ ატლანტისი ეგეოსის ზღვაში მდებარე გეოლოგიური კატასტროფის შედეგად დაღუპული კუნძული იყო და ის სანტორინი უნდა ყოფილიყო. ფიგუ ვარაუდობდა, რომ კუნძულის გადარჩენილ და პემზის ფენით დაფარულ ნაწილში პომპეის მსგავსად ვულკანურ ფერფლში დამარხულ ქალაქს იპოვნიდა.

1879 წელს ლატრელი თვლიდა, რომ ატლანტისი საბერძნეთის ახლოს იყო საძებარი.

1909 წელს კ. ფროსტმა გაზეთ „ტაიმსში“ გამოაქვეყნა ჰიპოთეზა იმის თაობაზე, რომ ატლანტისის შესახებ პლატონის მონათხრობი კრეტის მინოსური ცივილიაზციის ანარეკლი იყო.

1912 წელს მსგავსი შეხედულება გამოთქვა დ. მაკენზიმ.

ამ ჰიპოთეზებს სათანადო არტეფაქტების მოშველიებაც სჭირდებოდა. ეს ამოცანა თავისებურად – რადგან სულ სხვა მიზანი ჰქონდა – გადაჭრა ინგლისელმა არქეოლოგმა არტურ ევანსმა. ამის თაობაზე მეტად საინტერესოდ წერს გერმანელი ჟურნალისტი კ. კერამი არქეოლოგიური აღმოჩენებისადმი მიძღვნილ თავის წიგნში:

1 იხ.: А.С. Норов, «Изслъдованія объ Атлантидъ», Въ Типографии Императорской Академии Наукъ, 1854, გვ. 25.

„ევანსი კრეტაზე იმისთვის ჩავიდა, რომ დარწმუნებულიყო ერთი თავისი თეორიის სისწორეში, რომელიც საინტერესო დამწერლობას შეეხებოდა. აქ ის დიდხანს დარჩენას არ აპირებდა. კუნძულზე მოგზაურობის დროს ევანსმა ყურადღება მიაქცია ქვა-ღორღის უზარმაზარ გროვებს და ნანგრევებს, რომელთაც თავის დროზე ასე მიიზიდეს და გაიტაცეს შლიმანი. და აი, ერთ მშვენიერ დღეს მან გვერდზე გადადო თავისი თეორია დამწერლობაზე და ხელში აიღო წერაქვი. ეს იყო 1900 წელი. ერთი წლის შემდეგ მან გამოაცხადა, სულ მცირე კიდევ ერთი წელი მჭირდება ყველაფერი იმის გასათხრელად, რაც შეიძლება საინტერესო გამოდგეს მეცნიერებისთვისო. მაგრამ ევანსი შეცდა: მეოთხედი საუკუნის შემდეგაც იგი იმავე ადგილას თხრიდა... კრეტის მიწას წერაქვი რომ დაჰკრა, ევანსს იქ გამოცანების კუნძული დახვდა... ევანსმა აქ ნამდვილი საოცრებანი ნახა. აქ უცხოვრია ხალხს (შლიმანმა მხოლოდ მისი კოლონიების ნაშთებს მიაკვლია), რაზეც მანამდე არაფერი იცოდნენ, თუ არ ჩავთვლით იმას, რასაც ლეგენდები გადმოგვცემენ. ეს ხალხი, ჩანს, სიმდიდრესა და ავხორცობაში იხრჩობოდა. ეტყობა, თავისი განვითარების მწვერვალზე მას მიუღწევია იმ სიბარიტული „დეკადანსისთვის“, რომელიც თავის თავში კულტურის მომავალ დაცემასა და რეგრესს შეიცავდა. ასეთი გადაგვარება შეეძლო გამოეწვია მხოლოდ ეკონომიკური განვითარების უმაღლეს დონეს. მაშინაც, ისევე, როგორც ახლა, კრეტა ღვინისა და ზეთისხილის ქვეყანა ყოფილა. ის იყო ვაჭრობის, უფრო ზუსტად, საზღვაო ვაჭრობის ცენტრი. როდესაც ევანსმა გათხრები დაიწყო, უმდიდრეს სასახლეს არავითარი ზღუდეები არ იცავდა. მაგრამ სულ მალე ყველაფერი გასაგები გახდა: ციხის კედლები მხოლოდ თავდაცვითი ნაგებობაა, სავაჭრო საწყობებსა და ვაჭრობას კი უფრო ძლიერი დაცვა სჭირდებოდა. ასეთი საფარი იყო მთელ ზღვაზე გაბატონებული კრეტის ძლევამოსილი ფლოტი.

ზღვიდან ეს ქალაქი ალბათ ისე მოჩანდა, როგორც ზღვის მარგალიტი, ცის ლაჟვარდში ჩასმული გემა. მისი თოვლივით თეთრი კედლები, კირქვის სვეტები სიმდიდრისა და სიუხვის ნათელს ასხივებდნენ.

ევანსმა ნახა საკუჭნაოები. აქ იდგა მდიდრული ორნამენტებით შემკული უზარმაზარი ჭურჭლები, პითოსები, ოდესღაც ისინი ზეთით იყო სავსე. მათი ნატიფი ორნამენტი ტირინთში ნაპოვნი ჭურჭლის ორნამენტს ჩამოჰგავდა. ევანსმა არ დაიზარა გამოეთვალა საკუჭნაოს ყველა პითოსის საერთო ტევადობა. – 75.000 ლიტრი. ასეთი ყოფილა სასახლის მარაგი.

ვინ სარგებლობდა ამ სიმდიდრით?

ევანსი მალე დარწმუნდა, რომ ყველა მისი მონაპოვარი ერთ ეპოქას როდი ეკუთვნოდა. არც კედელი იყო ერთი და იმავე ხანისა, არც მთელი კერამიკა, არც ქაშანური და არც ნახატები. მაშინ მან დაკვირვებით შეისწავლა ეს ათასწლოვანი ცივილიზაცია და გაერკვა კიდევაც მასში. ევანსმა იგი პერიოდებად დაყო: ადრე მინოსური (ძვ.წ. III-II ათასწლეული), შუა მინოსური (დაახლოებით ძვ.წ. 1600 წლამდე) და გვიანი მინოსური, რომელიც ყველაზე ხანმოკლე იყო და დამთავრდა დაახლოებით ძვ.წ. 1250 წელს. ევანსის ამ დაყოფას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა“[1].

ის, რაც არტურ ევანსმა აღმოაჩინა მრავალწლიანი გათხრებისას, იყო კუნძულ კრეტის მინოსური კულტურა, რომელსაც სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ პროტოევროპული

1 იხ.: კ. კერამი, „ღმერთები, აკლდამები და მეცნიერები“, თბილისი, გამომცემლობა „ნაკადული“, 1972 წ., გვ. 77-80.

კულტურა, რომელიც ოთხი ათას წელზე მეტი ხნისა იყო. კრეტაზე ევანსმა აღმოაჩინა უზარმაზარი სასახლეების ნაშთები, უამრავი არტეფაქტი, რომლებიც ნათლად მეტყველებს იქ არსებული დიდი კულტურის შესახებ.

არტურ ევანსმა, ისე, რომ ამას არც ფიქრობდა, მეტად მყარი საფუძველი შეუქმნა იმ ატლანტოლოგების ჰიპოთეზას, რომლებსაც ატლანტისი ეგეიდაში ეგულებოდათ.

ახლა ამ ჰიპოთეზის მხარდამჭერებს საშუალება ჰქონდათ მხოლოდ კი არ წარმოედგინათ, თუ როგორი იქნებოდა რეალური ატლანტისის კულტურა, არამედ ის საკუთარი თვალით ეხილათ.

ა. ევანსის მიერ კრეტაზე დაწყებული გათხრებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ე. ბალჩმა, ამერიკელმა გეოგრაფმა, კრეტაზე გათხრებს რომ აწარმოებდა, გამოაქვეყნა ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც პლატონი, როცა ატლანტისის შესახებ წერდა, კრეტაზე არსებულ მინოსის უძლიერეს სახელმწიფოს გულისხმობდა; ეს სახელმწიფო ძვ.წ. 1200 წლის ახლო ხანებში გაანადგურეს ათენელებმა და მათმა მოკავშირე ეგვიპტელებმაო. თეზევსისა და მინოტავრის ბრძოლის ამბავი ამ ომის მითოლოგიური მონათხრობია; ატლანტისის ჩაძირვას ზღვის უფსკრულში ის კრეტის სახელმწიფოს ალეგორიად მიიჩნევდა, ხოლო ჰერაკლეს სვეტები, მისი აზრით, იყო უსახელო კლდეები ეგეოსის ზღვაში.

თუ დავუკვირდებით ამ ჰიპოთეზას, დავინახავთ, რომ ავტორი ცდილობს მაქსიმალურად მოიცვას საკითხი და პასუხი გასცეს ყველა შესაძლებელ კითხვას; თუმცა აშკარაა, ე. ბალჩი არგუმენტების ნაკლებობას განიცდიდა.

1925 წელს ფესენდენმა გაიმეორა ეგეიდაში ატლანტისის არსებობის ჰიპოთეზა.

იმავე წელს ფ. ბუტავანდტმა მხარი დაუჭირა ატლანტისის ხმელთაშუა ზღვაში არსებობის იდეას.

1948 წლის 24 ნოემბერს, საბერძნეთის ანთროპოლოგიური საზოგადოების სხდომაზე, ცნობილმა არქეოლოგმა, პროფესორმა სპირიდონ მარინატოსმა, მხარი დაუჭირა შეხედულებას იმის თაობაზე, რომ პლატონის მონათხრობი მოვლენათა თავისებური ასახვა იყო და გამოთქვა შემდეგი მოსაზრება: „ტირის კატასტროფამ, ბუნების კატაკლიზმათა შედეგად მომხდარმა, და იმავდროულად ეგვიპტიდან კრეტელთა გაუჩინარებამ წარმოშვა მითი ვრცელი და აყვავებული მიწის ზღვის უფსკრულში დანთქმის თაობაზე.

იტალიიდან ხალხთა შემოჭრას ლეგენდა ასევე „ატლანტებს“ მიაწერს (ლაპარაკია ე.წ. „ზღვის ხალხებზე“, რომლებიც არაერთხელ დასხმიან ეგვიპტეს ჩვენს ერამდე 1300 და 1167 წლებს შორის, ვიდრე ბოლოს რამზეს III-ის მიერ არ იქნენ განადგურებულნი. ეს „ზღვის ხალხები“ ძირითადად აქაველები, დანაელები, ტირენიელები, სიცილიელები და სარდინიელები იყვნენ). მათი საბერძნეთზე თავდასხმის წარმატებული მოგერიება და საისელი ფარაონების დაქირავებული იონიელი მეომრების სიმამაცე გახდა საფუძვლი ათენელთა ლაშქრის უძლეველობის ლეგენდისა. ყველა ეს ფაქტობრივი მოვლენა ხდებოდა ცხრაასი წლის განმავლობაში (1500 და 500 წლებს შორის ჩვენს ერამდე და ყველა ისინი ჩართულნი აღმოჩნდნენ ერთ ისტორიულ მითში.

ეგვიპტელებმა ამავე გზით შექმნეს საკუთარი ლეგენდა, სადაც ფარაონ სეზოსტრისს მიაწერდნენ ქმედებებს, რომლებიც სინამდვილეში რამდენიმე ასწლეულის მანძილზე ხდებოდა. ბერძნები ასევე მოექცნენ მინოსს“[1].

1 იხ.: А.Г. Галанопулос, Э. Бэкон, «Атлантида за легендой - истина», Издательство «Наука», Москва, 1983 г., გვ. 75-76.

სპირიდონ მარინატოსი მეტად საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს ატლანტისის მითის შექმნასთან დაკავშირებით. მისი მსჯელობა ეფუძნება ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისა და I ათასწლეულის პირველ ნახევარში მომხდარი მოვლენების ანალიზს და ამ მოვლენათა შორის იმ ურთიერთკავშირის დანახვას, რაც საბოლოო ჯამში ერთ ამბად გაერთიანდა. ბუნებრივია, კატასტროფა თუ კატასტროფები ეგეიდაში, რამაც ბოლო მოუღო კრეტის მინოსურ კულტურას, აგრეთვე პასიონარული ბიძგის შედეგად ამოძრავებული აპენინისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულებისა და მიმდებარე კუნძულების ხალხების ექსპანსია აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში, კერძოდ კი ეგვიპტის წინააღმდეგ, იონიელი დაქირავებულების წარმატებული ბრძოლა ამ ე.წ. „ზღვის ხალხებთან“ არის ის სამი ფაქტორი, რამაც წარმოშვა ატლანტისის ლეგენდა.

და ბოლოს: გავეცნოთ იმ ავტორების მოსაზრებას, რომელთა წიგნიდანაც მოვიხმეთ პროფესორ სპ. მარინატოსის ციტატა. ოღონდ, ვიდრე ა. გალანოპულოსისა და ე. ბეკონის შრომას შევეხებოდეთ, უნდა გავიხსენოთ ატლანტოლოგთა მიერ შემუშავებული მოთხოვნილებები, რომელთა არსებობის შემთხვევაში შესაძლებლად მიაჩნდათ, ატლანტისის არებობის სავარაუდო ადგილად ჩაეთვალათ ესა თუ ის ტერიტორია:

1. იქ უნდა მოიპოვებოდეს შავი, თეთრი და წითელი ფერის ქვები;
2. იქ უნდა ბინადრობდნენ სპილოები;
3. იქ შემორჩენილი უნდა იყოს კონცენტრული არხებისა და მიწაყრილების კვალი;
4. უნდა ყოფილიყო ხარების მსხვერპლად შეწირვის ტრადიცია;
5. იქ უნდა შემორჩენილიყო რაიმე კვალი ისეთი სტიქიური უბედურებებისა, როგორებიცაა მიწისძვრა, ვულკანის ამოფრქვევა ან წყალდიდობა, მომხდარი 12 ათასი წლის წინ.

ერთი შეხედვით, ცხადია, ძნელი იქნება დედაიწაზე ისეთი ადგილის მოძებნა, ყველა ამ მოთხოვნას რომ აკმაყოფილებდეს. მაგრამ ა. გალანოპულოსმა და ე. ბეკონმა მათი დიდი ნაწილი კუნძულ სანტორინსა და კრეტაზე აღმოაჩინეს. ამ გზით გააგრძელეს და განავითარეს ის მოსაზრებები, რაც ოდესმე ამ კუნძულებისა და ატლანტისის იგივეობის შესახებ ამა თუ იმ ფორმით იყო ნათქვამი და 1970 წელს გამოსცეს ზემოთ უკვე ციტირებული წიგნი „ატლანტისი ლეგენდის მიღმა – ჭეშმარიტება“. ეს ნაშრომი მრავალმხრივ მნიშვნელოვანია, რადგან მასში ყურადღებას იქცევს ის არგუმენტები, რომელთა მეშვეობითაც ავტორები ცდილობენ თავიანთი ჰიპოთეზის სისწორე დაამტკიცონ. ამიტომ აუცილებელია, გავეცნოთ რამდენიმე მოსაზრებას მათი წიგნიდან: „რამდენადაც მკითხველისათვის ცნობილია, პრობლემა ისაა, რომ ჩვენ პლატონის მონათხრობი ისტორიულ მოწმობად მიგვაჩნია და არა ფანტაზიის ნაყოფად ან ლეგენდად. ჩვენ დავამტკიცეთ უტყუარი ფაქტებით, რომ მის მიერ აღწერილი მოვლენები უნდა მომხდარიყო ბრინჯაოს საუკუნეში, ანუ 2100 და 1200 წლებს შორის ჩვენს ერამდე. ჩვენ დავადგინეთ, რომ ძველი მეტროპოლია და სამეფო ქალაქი იყო ორი განსხვავებული, განცალკევებული ტერიტორია; ამასთან, პირველი წარმოადგენდა პატარა, მრგვალ, დაახლოებით 5,75 მილის რადიუსის მქონე კუნძულს, მეორე კი დიდი ტერიტორიის ქვეყანას. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ გეოფიზიკის თვალსაზრისით ატლანტისი არ შეიძლება ყოფილიყო ატლანტის ოკეანეში და უბრალოდ არშემდგარია ყველა ის თეორია, რომელიც ზღვაში მისი მოულოდნელი გაუჩინარების ახსნას ცდილობს. ჩვენ შევძელით, დაგვედგინა, რომ ძველი ატლანტისის არსებობის ერთადერთი, ლოგიკურ ახსნას დაქვემდებარებული, ადგილი აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთია და რომ ჰერაკლეს სვეტები ჰიბრალტარის სრუტესთან არ უნდა გავაიგივოთ. და ბოლოს, ჩვენ დავამტკიცეთ, რომ აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში ბრინჯაოს ხანაში ადგილი ჰქონდა გიგანტური მასშტაბის ვულკანურ აქტივობას, რომლის ცენტრი იყო კუნძული სანტორინი; და რომ ამის შედეგად ზღვაში მოულოდნელად ჩაიძირა დასახლებული მრგვალი კუნძულის ცენტრალური ნაწილი. ამრიგად, ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს იმისათვის, რომ სანტორინი გავაიგივოთ ატლანტისის ძველ მეტროპოლიასთან, რაც მტკიცდება მთელი რიგი უჩვეულოდ საინტერესო და საფუძვლიანი მტკიცებულებებით.

პლატონი არსად პირდაპირ არ ამბობს, რომ მეტროპოლია ვულკანზე იყო აგებული, მაგრამ აღწერილობის მიხედვით ეს ხანგრძლივი ვულკანური უმოქმედობის პერიოდში მყოფი დიდი ვულკანური კუნძულია. ის (პლატონი. პ.ი.) ამტკიცებს, რომ აკროპოლისი კუნძულის ცენტრში, მაღალ ბორცვზე იდგა, ნაყოფიერი დაბლობის გვერდით, მისი (პლატონის. პ.ი.) სიტყვებით, მსოფლიოში საუკეთესოსი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყველაზე ნაყოფიერი ვულკანის ხანგრძლივი უმოქმედობის გამო გამოფიტული ვულკანური ნიადაგებია. ამას გარდა, აღწერს რა ატლანტთა სახლებს, ის (პლატონი. პ.ი.) ლაპარაკობს თეთრ, წითელ და შავ ქვებზე, რითაც ისინი იყო აგებული. წითელი და, განსაკუთრებით, შავი ქვები ფრიად დამახასიათებელია ვულკანური მოქმედების რაიონებისათვის; ტირზე კი, სანტორინის ჯგუფის ყველაზე დიდ კუნძულზე და ძველ სტრონგილე-სანტორინის ყველაზე დიდ გადარჩენილ ნაწილზე, ტიპური წითელი, შავი და თეთრი კლდეებია. ამასთან, უკანასკნელი წარმოადგენს თეთრ კირქვას, რომელიც გვხვდება ილია წინასწარმეტყველის მთასთან, თავდაპირველ ვულკანამდელ კუნძულზე, რომლის გარშემოც მთელი დანარჩენი კომპლექსი წარმოიშვა.

შემდეგ თავის მოთხრობაში პლატონი მოიხსენიებს ცივ და თბილ წყაროებს. თბილი წყაროები გვხვდება მხოლოდ ვულკანურ რაიონებში და წარმოადგენს მათ განსაკუთრებულ მახასიათებელს... თუ ატლანტისის მეტროპოლიის წარმოსახვით სურათს, როგორც მას აღწერდა პლატონი, დავადებთ სანტორინის გეოგრაფიულ რუკას იმავე მასშტაბით და შევუდარებთ ამ სურათს რელიეფურ მაკეტს, მაშინვე აშკარა გახდება, რომ არხების კვალი კალდერის (სიტყვა პორტუგალიურია და ნიშნავს წრიული ან ოვალური ფორმის ვულკანური წარმოშობის ღრმულს. პ.ი.) ფსკერზე ისეთივე სიგანისაა, როგორც პლატონის მიერ აღწერილი წყლიანი წრეები და მდებარეობენ ისინი ცენტრალური ნაგებობიდან იმდენივე მანძილზე, რა მანძილზეც მდებარეობდნენ ეს წყლიანი წრეები იმ ბორცვიდან, რომელზეც პოსეიდონის ტაძარი მდებარეობდა... პლატონი მოგვითხრობს, რომ ატლანტისის მცხოვრებლებმა გააფართოეს არხის შესასვლელი, რათა მასში შესძლებოდათ შესვლა იმ დროის ყველაზე დიდ აფრიან გემებს. რა თქმა უნდა, შეიძლება ივარაუდო, რომ ძველი ნავსადგურის ნაშთები კალდერის ფსკერზე წარმოადგენს მორფოლოგიურ ცვლილებათა კვალს, მაგრამ ეს ახსნა სრულიად არ მიესადაგება ტირასა და ტირასიას შორის მდებარე, ამჟამად წყალქვეშ მოქცეული არხის მკვეთრად შემოხაზულ შესასვლელს. მისი ფორმა და სიღრმე ვერ აიხსნება ჩვეულებრივი ეროზიით. ეს ისევე, როგორც მისი სიგრძის იდენტურობა ატლანტისის შემაერთებელ არხთან, აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ეს ჩვეულებრივი დამთხვევა არ არის. ჭეშმარიტად, მეტად ბევრი დამთხვევაა და ეს იმდენად აშკარაა, რომ არ უნდა მივიღოთ ეს უბრალო შემთხვევითობად... რას წარმოადგენს სამეფო ქალაქი? პლატონის მონათხრობიდან აშკარაა, რომ ძველი მეტროპოლია და სამეფო ქალაქი მიმდებარე დაბლობებით იყო ორი, სრულიად განსხვავებული ადგილი.

სანტორინთან შედარებით ახლოს მდებარე, რომელი მიწა დაზიანდა ასეთივე დამან-

გრეველი კატასტროფის შედეგად იმავე ისტორიულ პერიოდში? თუ ერთი წამით დავივიწყებთ პლატონის მიერ მითითებულ უზარმაზარ ზომებს, მაშინ პასუხი სრულიად ერთნიშნა იქნება: ეს არის კრეტა. გამორჩეულობითა და სამეფო ქალაქის გარემომცველი დაბლობის ფორმის აღწერით, მას აქვს მესამეულ პერიოდში კრეტის ცენტრალურ ნაწილში წარმოქმნილი მასივის ყველა გეოლოგიური დახასიათება: ეს მასივი მდებარეობს კუნძულის შუაგულში და გარშემორტყმულია ზღვისკენ დაშვებული მთებით, რომლებიც ჰგვანან პლატონის მიერ აღწერილ მთებს, სამეფო ქალაქის დაბლობს გარს რომ შემოსწყობია. მთებში იყო აყვავებული სოფლები და, უეჭველია, ძველად იქ ბევრად მდიდარი მცენარეულობა იქნებოდა. თუ ავიღებთ მესარას დაბლობს, ის ძალიან ჰგავს სამეფო ქალაქის დაბლობს; კუნძულის სამხრეთ ბოლოში მდებარე და ჩრდილოეთის ქარებისაგან დაცული, ისეთივე წაგრძელებული და სწორია. მოკლედ რომ ვთქვათ, ყველა დახასიათებით, რამდენადაც საერთოდ შესაძლებელია, ის შეესაბამება სამეფო ქალაქის დაბლობს.

მაგრამ კრეტის ცენტრალური მასივის ზომები არ ემთხვევა იმ ზომებს, რომლებიც სამეფო ქალაქის დაბლობთან დაკავშირებით პლატონს მოჰყავს. კრეტის მასივის ყველაზე დიდი სიგრძე უდრის 34 მილს, სიგანე კი 23 მილს, სხვა სიტყვებით, თითქმის 300 x 200 სტადიონს. პლატონი კი ამტკიცებს, რომ სამეფო ქალაქის დაბლობს ეკავა 3000 x 2000 სტადიონი, და შემოვლებული ჰქონდა 10.000 სტადიონი სიგრძის თხრილიო. ამასთან, თავადვე გამოთქვამს ეჭვს, შეეძლო კია ხალხს, გაეთხარა ასეთი სიგრძის არხიო?! და – აღვნიშნოთ ეს! – პირველი ეჭვი თავისი მოთხრობილი ისტორიის ჭეშმარიტების თაობაზე პლატონს აღეძრა სწორედ დასახელებულ სიდიდეთა გამო. აშკარაა, მან იგრძნო, რომ აქ რაღაც შეცდომაა, მაგრამ, არ გააჩნდა რა არავითარი მტკიცებულება ამისა და ახსოვდა რა სარწმუნო წყარო, მან კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ სიტყვასიტყვით გადმოგვცემს იმას, რაც მოისმინა.

თუ შევადარებთ კრეტის ცენტრალური დაბლობის ზომებს სამეფო ქალაქის დაბლობის ზომებთან, მაშინვე თვალშისაცემია, რომ უკანასკნელი პირველზე ათჯერ მეტია, ანუ რიცხვები უბრალოდ ათჯერაა გამრავლებული. იმავე შეცდომას ჩვენ ვნახულობთ მიწის ნაკვეთების, ეტლებისა და გემების რაოდენობაშიც, არხების სიგრძეში და, აგრეთვე, მისი გარშემომსაზღვრავი არხის სიგრძეშიც. ეს კი არა და, იგივე შეცდომა დაშვებულია პლატონის მიერ ატლანტისის ზღვის ფსკერზე ჩაძირვის თარიღშიც!

თუ ვერწმუნებით საისელ ქურუმებს, ატლანტისი სოლონის ეგვიპტეში ჩასვლამდე 9000 წლით ადრე ჩაძირულა. მაგრამ ჩვენ ისტორიის კულტურულ მონაცემებზე დაყრდნობით დავამტკიცეთ, რომ ატლანტისელთა იმპერიას არსებობა და დაღუპვა შეეძლო არა უადრეს ბრინჯაოს საუკუნისა. გეოფიზიკური ცნობები მიუთითებს იმაზე, რომ ბრინჯაოს საუკუნის პერიოდში არ მომხდარა არც ერთი შემთხვევა დასახლებული ხმელეთის მნიშვნელოვანი ნაწილის უეცარი ჩაძირვისა ზღვაში, რომელიც შეედრებოდა აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში ჩვენს ერამდე 1500 წელს მომხდარ კატასტროფას; ჩვენ ვაჩვენეთ, რომ კატასტროფის შედეგად გამოწვეული ეგეოსის ნაპირების გაუკაცრიელებას საერთოდ არა აქვს ანალოგია კაცობრიობის მთელ ისტორიაში. უბრალოდ, წარმოუდგენელია, რომ მსგავსი კატაკლიზმები ადამიანების ხსოვნაში არ შემორჩენილიყო და უცნაური იქნებოდა, თუკი ლეგენდები და მითები ასახავდნენ ბევრად უმნიშვნელო მოვლენებს და არ აღნიშნავდნენ ეგეოსის აუზის ცენტრში მინოსურ და ელადურ ცივილიზაციათა აყვავების პერიოდში მომხდარ უპრეცედენტო კატასტროფას.

სოლონი, რომელიც დაიბადა 639 წელს და გარდაიცვალა 559 წელს ჩვენს ერამდე, ეგვიპტეს, სავარაუდოდ, 600-იან წლებში უნდა სწვეოდა. რამდენადაც სტრონგილე-სანტორინის ცენტრალური ნაწილის ჩაქცევა და აღმოსავლეთი ხმელთაშუა ზღვის გაუკაცრიელება მოხდა დაახლოებით 1500-იან წლებში ჩვენს ერამდე, სრულიად ნათელია, რომ ატლანტისის დაღუპვის ისტორია უკავშირდება სოლონის ეგვიპტეში ჩამოსვლამდე 900 და არა 9000 წლის წინ მომხდარ კატაკლიზმებს. ამგვარად, ატლანტისის დაღუპვის თარიღი გადიდებულია ათჯერ. ყველაფერ ამას მივყავართ ლოგიკური დასკვნისაკენ: ყველა ეს შეცდომა ატლანტისის გაქრობის დროისა და სამეფო ქალაქის დაბლობის ზომებთან დაკავშირებით, სრულიად არ არის შემთხვევითი, არამედ ექვემდებარება ერთსა და იმავე სისტემას და ერთსა და იმავე დროს წარმოიშვა.

სხვათა შორის, პლატონის მიერ მოყვანილი ძველი მეტროპოლიის ზომები სრულად შეესაბამება სტრონგილე-სანტორინის ზომებს და ეს ამტკიცებს, რომ როცა ზომები მოცემულია ათობით სტადიონით, ისინი სრულიად სწორია, მაგრამ როცა ანგარიში ათასებითაა, ყველა რიცხვი ზუსტად ათჯერ მეტი გამოდის. როგორც ჩანს, როცა სოლონი იწერდა ეგვიპტური მანუსკრიპტებიდან, მას შეეშალა სიტყვა ან სათანადო სიმბოლო და „100“-ის აღმნიშვნელი „1000“ ეგონა“[1].

ამრიგად, ავტორებმა შეძლეს და პასუხი გასცეს ატლანტისის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა კითხვას. მათი ამოცანა იყო, დაესაბუთებინათ პლატონის მონათხრობის რეალურობა და ეს გააკეთეს კიდეც. ჩანაფიქრი, როგორც ციტატიდან ჩანს, მათ ასე განახორციელეს:

1. უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრეს ისტორიული ეპოქა – ბრინჯაოს საუკუნე, რომელშიც შესაძლებელი იყო ატლანტისის მსგავსი კულტურის არსებობა.

2. შემდეგ პარალელი გაავლეს კუნძულების, სანტორინის და კრეტის, გეოგრაფიულ მონაცემებსა და პლატონის დიალოგებში აღწერილი კუნძულის ანალოგიურ მონაცემებს შორის; დამთხვევა იმდენად დიდი იყო, რომ ატლანტისის სადმე სხვაგან არსებობაზე ლაპარაკიც შეუძლებელი გახდა. კალდერის ფსკერზე იპოვეს ატლანტისზე არსებული წყლიანი და მიწაყრილიანი წრეების კვალი; იპოვეს წყლიანი წრეების ზღვასთან დამაკავშირებელი არხის ნაშთები ზღვის ფსკერზე. კუნძულის ვულკანური წარმოშობით ახსნეს იმ ნაყოფიერი მიწის ამბავი, რასაც პლატონი ლაპარაკობს. იმავე მიზეზით აიხსნა ცხელი წყლის არსებობა ატლანტისზე. ანალოგიური წყაროების კვალი აღმოჩნდა სანტორინზე. ასევე ვულკანური წარმოშობით აიხსნა შავი, თეთრი და წითელი ქვების არსებობა. კუნძულ კრეტაზე მათ იპოვეს წაგრძელებული და სწორი, ქარებისაგან დაცული დაბლობი და ზღვისკენ დაშვებული მთები.

3. ატლანტისის ნაგებობათა და დაბლობების ზომებისა და კუნძულის დაღუპვის თარიღის კვლევისას ლოგიკური ანალიზით მივიდნენ დასკვნამდე, რომლის მიხედვით სოლონმა სწორად ვერ გაიგო ეგვიპტურ ტექსტებში მოხსენიებული რიცხვითი ნიშნების მნიშვნელობა და შეცდომით ათჯერ გამრავლებული ჩაიწერა. ეს არგუმენტი დამაჯერებელია, რადგან სოლონამდე 900 წლით ადრე ეგეიდაში ბრინჯაოს ხანის მინოსური კულტურა არსებობდა და მინოსის უძლიერესი საზღვაო სახელმწიფო ანგარიშგასაწევი ძალა იყო. 9000 წლის წინ კი აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში არაფერი მსგავსი არც ეგეიდაში

1 იხ.: А.Г. Галанопулос, Э. Бэкон, «Атлантида за легендой - истина», Издательство «Наука», Москва, 1983 г., გვ. 101-110.

და არც სხვაგან სადმე არ არსებობდა. იგივე ითქმის ზომების აღმნიშვნელი ციფრების შესახებ: პლატონის მონათხრობში ეს ციფრები ფანტასტიკურ ელფერს იძენს, ხოლო თუ მათ ათჯერ შევამცირებთ, მაშინ ნაგებობათა თუ დაბლობის ზომები რეალურია და მკითხველისათვის დამაჯერებელი ხდება ბრინჯაოს ხანის ადამიანის ძალისხმევის შედეგად შესრულებულ სამუშაოთა მასშტაბები.

თუ ყოველივე ზემოთქმულს შევაჯამებთ, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ატლანტისის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით პლატონის გამოთქმული მოსაზრებებიდან ყველაზე არგუმენტირებულია ა. გალანოპულოსი-სა და ე. ბეკონის მიერ გამოთქმული შეხედულება. ის ახალი არ გახლავთ, მაგრამ თუ ყველა დანარჩენი მხოლოდ ჰიპოთეზა იყო, მათ შეძლეს იმდენად დამაჯერებლად დაესაბუთებინათ თავიანთი მოსაზრებები, რომ შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ: საკითხი გადაწყვეტილია და პლატონისეული ატლანტისის ჭეშმარიტი ადგილსამყოფელი ნაპოვნია!

საკამათოა ის არგუმენტები, რითაც ა. გალანოპულოსი და ე. ბეკონი ცდილობენ ახსნან, თუ როგორ აღმოჩნდა ეგეიდაში მყოფი პოსეიდონის კუნძული ჰერაკლეს სვეტებს გადაღმა ატლანტის ოკეანეში: „როგორც უკვე ითქვა, ატლანტისზე ათი ქალაქი და ათი მმართველი იყო. ზემოხსენებულ ნაწყვეტებში პლატონის აღწერით სამეფო ქალაქი იყო 3000 x 2000 სტადიონის ფართობის მქონე დაბლობის დედაქალაქი. თუ დანარჩენი ცხრა ქალაქი, მოხსენიებული ახლა ციტირებული ნაწყვეტის ბოლო წინადადებაში, ანალოგიური ზომების მქონე ოლქების დედაქალაქები იყო, ატლანტისის მთელ ტერიტორიას უნდა დაეკავებინა 30.000 x 20.000 კვადრატული სტადიონის ფართობი, ე.ი. ერთად აღებული მცირე აზიისა და ჩრდილოეთი აფრიკის დასახლებულ ნაწილებზე მეტი. ხმელთაშუა ზღვის სიგრძე უტოლდება დაახლოებით 2100 მილს, ამდენად, 3400 მილის სიგრძის კუნძული მის შიდა აუზში აშკარად ვერ მოთავსდებოდა. მაგრამ სოლონი დაცურავდა ხმელთაშუა ზღვაზე და უნდა სცოდნოდა ეს შეუსაბამობა. დაახლოებით იმავე დროს, ფარაონ ნეხოს (609-593) ბრძანებით, ფინიკიელებმა გემებით გარს შემოუარეს აფრიკას და აღმოჩნდნენ ატლანტის ოკეანეში; ამიტომ სრულიად შესაძლებელია, რომ საისში ქურუმებთან საუბრისას სოლონმა ეჭვი გამოთქვა, შესაძლებელია თუ არა, ხმელთაშუა ზღვაში ყოფილიყო ასეთი ზომის კუნძული, როგორიც ატლანტისია, და, ქურუმებმა, გაიგეს რა ახლად აღმოჩენილი ატლანტის ოკეანის უზარმაზარი სივრცეების შესახებ, ამ ოკეანეში გადაიტანეს ატლანტისი. გამორიცხული არ არის, რომ სახელდობრ მაშინ მიიღო ატლანტის ოკეანემ თავისი სახელწოდება – იქ ატლანტისის გადატანის გამო. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეგვიპტურ წარწერებში არ არის სახელწოდება „ჰერაკლეს სვეტები“[1].

ამ მსჯელობაში საინტერესოა შემდეგი: პლატონი თავად ამბობს, ამ ფართობის მქონე კუნძული ხმელთაშუა ზღვაში ვერ დაეტეოდაო, – წერენ ავტორები და ამაში სრულიად მართლები არიან, მაგრამ საეჭვოა, სოლონის იდეა ყოფილიყოს ატლანტისის „ჰერაკლეს სვეტებს“ მიღმა, ოკეანეში მოთავსება. მით უმეტეს, ეჭვი გამოეთქვას იმის თაობაზე, რომ ატლანტისი ხმელთაშუა ზღვაში არ მოთავსდება, რადგან ეგვიპტური რიცხვების წაკითხვისას თუ გადაწერისას შეცდომა თავად სოლონმა დაუშვა, როცა 100 1000-ად მიიჩნია და არა საისელმა ქურუმებმა. ამასთან, თუ ეტყოდა ქურუმებს თავისი შეცდომის წყალობით წარმოშობილ გაუგებრობას, ისინი შეცდომას გაუსწორებდნენ. ასე რომ, ატლანტისის

1 იხ.: А.Г. Галанопулос, Э. Бэкон, «Атлантида за легендой - истина», Издательство «Наука», Москва, 1983 г., გვ. 23-24.

ადგილმდებარეობის შეცვლა სოლონის „დამსახურება“ არ არის. ატლანტისი, როგორც მოგახსენეთ, ოკეანეში მას შემდეგ „აღმოჩნდა“, რაც ძველი ბერძნებისთვის მაშინდელი სამყაროს ფარგლები გაფართოვდა; ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ სოლონის შეცდომის წყალობით ათჯერ გადიდებული ატლანტისი ოკეანეში პლატონმა მოათავსა...

ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ა. გალანოპულოსისა და ე. ბეკონის მსჯელობა ჰერაკლეს სვეტებთან დაკავშირებით: „მაგრამ იქნებ ჰერაკლეს სვეტები სრულიადაც არ იყო ჰიბრალტარის სრუტე?

ამ აზრმა უამრავი საინტერესო ვარაუდი გამოიწვია. ჰერაკლემ თითქმის ყველა თავისი გმირობა პელოპონესში ჩაიდინა. ბოლო და ყველაზე რთული დავალება, რომელიც გმირს მეფე ევრისთევსმა მისცა, მდგომარეობდა იმაში, რომ ჰერაკლე აიდში (იგივე ჰადესში, პ.ი.) უნდა ჩასულიყო და იქიდან გამოეყვანა ჯოჯოხეთის გუშაგი, სამთავიანი ქოფაკი ცერბერი. ყველაზე გავრცელებული ვერსიით ჰერაკლე ჰადესში ჩავიდა ლაკონიკოსის ყურის დასავლეთით, ტენარესის კონცხზე არსებული უფსკრულით, მის აღმოსავლეთით კი მდებარეობდა კონცხი მალეა, მეტად საშიში ადგილი, სადაც ხშირად ბობოქრობდნენ ტალღები.

პავსანია გვამცნობს, რომ ამ ქარებისათვის ყოველი მხრიდან გახსნილი კონცხის ორივე მხარეს ოდესღაც ორი ტაძარი იდგა; დასავლეთისა ეძღვნებოდა პოსეიდონს, აღმოსავლეთისა კი – აპოლონს. ამიტომ, შესაძლოა, არ იყოს დიდი გადაჭარბება, თუ ვივარაუდებთ, რომ ჰერაკლეს სვეტები სინამდვილეში იყო კონცხები, ტენარესი და მელეიასი. და, შესაძლოა, მოცემულ კონტექსტში მნიშვნელობა ჰქონდეს, რომ ატლანტის ძმამ – ტყუპისცალმა, სამფლობელოდ მიიღო ატლანტისის ნაწილი ჰერაკლეს სვეტებთან ახლოს. ვნახოთ, თუ რას ამბობს ამის თაობაზე პლატონი თავის „კრიტიაში“.

„...მისმა ტყუპისცალმა, რომელიც ატლანტზე გვიან დაიბადა, სამკვიდროდ მიიღო ჰერაკლეს სვეტების მხარეს, გადირიტების დღევანდელ ქვეყნამდე გადაჭიმული კუნძულის განაპირა მიწები. მას ამ სამკვიდროს სახელწოდების მიხედვით ეწოდა სახელი, რომელიც ელინურად შეიძლება გადმოვცეთ, როგორც ევმელე, ადგილობრივი ენით კი – როგორც გადირი“ („კრიტია“, 114b).

რამდენადაც ამ ადგილს პოსეიდონის მეორე შვილის სახელი დაერქვა, რომლის ბერძნული სახელი იყო ევმელე, მისი ტიტულიც შეიძლება ბერძნულად აჟღერებულიყო, როგორც „ევმელე“. – სიტყვა, რომელიც გვახსენებს კიკლადის კუნძულებიდან ყველაზე დასავლეთით მყოფს – მელოს, არსებითად სულ ახლოს მდებარეს ჩვენთვის უკვე ნაცნობ კონცხთან, მალეასთან. სახელი ევმელე ფართოდაა გავრცელებული კიკლადის კუნძულებზე, ხოლო კუნძულ ტირაზე ნაპოვნიც კი იყო კლდეზე ამოკვეთილი ძველი წარწერა: „ევმელე – ყველაზე მრისხანე საშიშროება“.

მთლიანობაში, პლატონის მონათხრობში არსებული მრავალრიცხოვანი მითითებებით თუ ვიმსჯელებთ, ჰერაკლეს სვეტები უნდა ყოფილიყო პელოპონესის სამხრეთით. თუკი გავაიგივებთ მათ ჰიბრალტარის სრუტესთან, გამოდის უაზრობა. ამრიგად, ეგეოსის არქიპელაგი წარმოადგენს ყველაზე შესაფერის ადგილმდებარეობას ატლანტისისთვის. ამასთან, დაუჯერებელია, რომ პოსეიდონს, რომელსაც ეთაყვანებოდნენ ატლანტისელები, შეეძლო განედევნა ისინი საბერძნეთიდან და ეგეოსის ზღვიდან“[1].

ციტირებული მოსაზრების ავტორები ჭეშმარიტებას ღაღადებენ – პოსეიდონს ნამ-

1 იხ.: А.Г. Галанопулос, Э. Бэкон, «Атлантида за легендой - истина», Издательство «Наука», Москва, 1983 г., გვ. 76-77.

დვილად არ შეეძლო ეგეიდიდან გაეძევებინა ატლანტები. ჩანს, ეს პლატონმა გააკეთა. პლატონამდე საუკუნენახევრით ადრე ყველაფერი თავის ადგილზე იყო: ჰერაკლეს სვეტებიც, სავარაუდოა, ჰესპერიდების ბაღიც პელოპონესის მახლობლად უნდა ყოფილიყო და პრომეთეს ძმა ატლანტიც სადღაც აქ უნდა მდგარყო ცარგვალის სვეტად. მაგრამ, როგორც უკვე მოგახსენეთ, აფრიკის გარშემო ფინიკიელთა მოგზაურობას ატლანტის ოკეანის აღმოჩენა მოჰყვა, ამან კი წყლის ამ უცნობი და უზარმაზარი მასისადმი დიდი ინტერესი გამოიწვია. ყველას იმის გაგება სურდა, სამყაროს დასავლეთი საზღვრების მიღმა კიდევ თუ იყო რამე. დაძრულ ფინიკიელებს ბერძნები მიჰყვნენ და დასავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში კოლონიებიც დააარსეს. მაგრამ, როგორც ვიცით, ფინიკიელებმა ჩაკეტეს სრუტე და ბერძენთა წინსვლა შეაჩერეს. საკვირველია, ოღონდ ფაქტია, რომ სრუტისკენ განხორციელებული ბერძენთა პოლიტიკური ექსპანსია მარცხით დამთავრდა, სამაგიეროდ გაიმარჯვა კულტურულმა ექსპანსიამ; ბერძნებმა უკიდურეს დასავლეთში გადაიტანეს თავიანთი მითოლოგიური გმირების ადგილსამყოფელი. მთათა სისტემა ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში იმ ადგილად მიიჩნიეს, სადაც ტიტანი ატლანტს ცის თაღი მხრებით ეჭირა და ამ მთებს ატლანტის ანუ ატლასის მთები უწოდეს. მთებთან ფინიკიელთა მიერ აღმოჩენილი ოკეანის სიახლოვის გამო ამ ოკეანეს ატლანტის ოკეანე უწოდეს, ხოლო ხმელთაშუა ზღვის ოკეანესთან დამაკავშირებელი სრუტის ორივე მხარეს მდებარე კლდეებს – ჰერაკლეს სვეტები. ჰესპერიდების ბაღიც სრუტის მახლობლად გადმოიტანეს. ასე რომ, ის, რაც ადრე ბერძენთათვის პელოპონესის უკიდურეს სამხრეთში მდებარეობდა, ახლა ხმელთაშუა ზღვის ოკეანესთან დამაკავშირებელი სრუტის მახლობლად აღმოჩნდა.

ამ კულტურულმა ექსპანსიამ გამოიწვია ერთგვარი მითოლოგიური მისტიფიკაცია: გარკვეულ გეოგრაფიულ გარემოში მობინადრე ღმერთები და გმირები სხვა, თავდაპირველისგან მეტად დაშორებულ გარემოში აღმოჩნდნენ. როგორც ჩანს, ბერძნულ სამყაროში ღმერთებისა და გმირების ეს გადასახლება ბერძენთათვის მისაღები იყო და ამისი მიზეზი ბერძნული ეთნოცენტრიზმია, რომლის მიხედვითაც იმდროინდელი სამყაროს ცენტრში საბერძნეთი მდებარეობდა. თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ ზემოხსენებულ საკითხს, ამაში გარკვეულ ლოგიკასაც დავინახავთ: საბერძნეთი ცენტრია, ხოლო დანარჩენი სამყარო – ბერძენთა ღმერთებისა და მითოლოგიურ გმირთა სამოქმედო არეალი...

ოღონდ ასეთი რამ მხოლოდ ეთნოცენტრისტულ შეხედულებათა გამო არ კეთდებოდა; მისტიფიკაცია იყო არა მხოლოდ ლიტერატურული ხერხი, არამედ პოლიტიკური მიზნითაც წარმატებით იყენებდნენ და გეოგრაფიულ მისტიფიკაციასაც მიმართავდნენ იმავე პოლიტიკური საჭიროებიდან გამომდინარე. ასე, მაგალითად: ბერძნულ-რომაულ ლიტერატურაში მოიპოვება ცნობები იმის თაობაზე, თითქოს ალექსანდრე მაკედონელს დაელაშქროს კავკასია... ანტიკურ სამყაროში კავკასიას განსაკუთრებული ადგილი ეკავა. ერთხანს ის მაშინდელი მსოფლიოს კიდეც იყო. აქ მდებარეობდა „ოქრომრავალი კოლხეთი“, ამ მხარეს ბევრი დიდებული მითი უკავშირდებოდა, კოლხ და იბერიელ მეფეებს ეპყრათ კავკასიონზე არსებული გადმოსასვლელები, აქ გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები. ასე რომ, კავკასიის დაპყრობა ერთობ პრესტიჟული საქმე იყო, მაგრამ დანამდვილებით არის ცნობილი: ალექსანდრე მაკედონელი კავკასიაში არ შემოჭრილა!.. საქმის ვითარებაში ბერძენი ისტორიკოსი სტრაბონი გვარკვევს: „მრავალთა მიერ განსადიდებლად გადმოცემული მოთხრობები [მათ შესახებ] თუ ერთსა და იმავე აზრს შეიცავენ, ეს იმიტომ, რომ შემთხზველები მლიქვნელობაზე უფრო ზრუნავდნენ, ვიდრე ჭეშმარიტებაზე.

ასეთია, მაგალითად, კავკასიონის გადატანა ინდოეთის მთებთან და მახლობლად მდებარე აღმოსავლეთისაკენ – ზღვასთან, კოლხიდის და ევქსინის ზემოთ მდებარე მთებიდან. ამ [მთებს] იყო, რომ ელინები კავკასიონს უწოდებდნენ და ისინი დაშორებულნი არიან ინდოეთს უფრო მეტით, ვიდრე 30.000 სტადიონია; და ამასვე ასახელებს მითი, რომელიც ეხება პრომეთევსსა და მის ბორკილებს. ეს იმიტომ, რომ [მთები] იცოდენ მაშინდელებმა უკიდურეს აღოსავლეთად, ხოლო დიონისესა და ჰერაკლეს ლაშქრობა ინდოელებზე ამჟღავნებს გვიან წარმოშობას მითისას, რადგან, როგორც ამბობენ, ჰერაკლემ პრომეთევსი გაათავისუფლა 1.000 წლის შემდეგ. ხოლო უფრო სასახელო იყო ალექსანდრესათვის ინდოეთის მთებამდე დაპყრობა აზიისა, ვიდრე ევქსინისა და კავკასიონის კუთხემდე. მაგრამ დიდება მითისა, მისი სახელი და ის ამბავი, რომ იაზონისა და მისი მახლობლების შესახებ ფიქრობენ, რომ მათ უშორესი ლაშქრობა შეასრულეს კავკასიის სანახებამდე, და ის, რომ პრომეთევსი გადაცემული იყო მისაჯაჭვად ქვეყნის კიდეზე, კავკასიონზე [ამ ამბების გამო], უნდოდათ როგორმე ესიამოვნებინათ მეფისათვის და გადაიტანეს მთის სახელი ინდოეთში“[1].

ასე რომ, როგორც ხედავთ, მითოლოგიურ გმირთა ადგილსამყოფლის ცვლა სხვადასხვა მიზეზით ხდებოდა. მაგრამ მთავრი ის არის, რომ ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო ანტიკურ სამყაროში და ატლანტისი ეგეიდიდან ჰერაკლეს ახალ ადგილზე გადატანილ სვეტებს მიღმა რომ აღმოჩნდა, ეს ერთგვარი წესის გამოხატულება იყო და არა გამონაკლისი.

ამრიგად, ვფიქრობ, არაფერი გვიშლის ხელს იმაში, რომ დავიჯეროთ: ატლანტისი ატლანტის ოკეანეში კი არა, ეგეოსის ზღვაში მდებარეობდა!

1 იხ.: ს. ყაუხჩიშვილი, „სტრაბონის გეოგრაფია“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1957 წ., XI წიგნი, მე-5 თავი, გვ. 139-140.

თავი IV

როდის და რის შედეგად დაიღუპა ატლანტისი

კოსმოსური თუ მიწიერი წარმოშობის კატასტროფები, როგორც ვნახეთ, უპირველეს ყოვლისა, ძველი ხალხების მითოლოგიაში აისახა. ზოგი მითი საკაცობრიო მნიშვნელობის მქონე ამბავს ასახავს, სხვა უფრო მოკრძალებული ხასიათისაა. ამას გარდა, მითებში მოთხრობილი ისტორიები მკვლევართა ინტერესს იმითაც იწვევენ, რომ მათში ისეთი მასშტაბის კატასტროფებია მოცემული, რომლებიც ძირეულად ცვლიდა და გადაშენებას უქადდა კაცთა მოდგმის ყოფა-ცხოვრებას. ასეთი შინაარსის მითების სიმრავლემ – ცხადია, თუ მათში რეალურად მომხდარი მოვლენებია ასახული – მეცნიერებს აღუძრათ კითხვა: ამ მითებში მოთხრობილი კატასტროფები ქრონოლოგიურად ერთმანეთს ხომ არ ემთხვევა, ანუ ერთი მოვლენის სხვადასხვა ინტერპრეტაციასთან ხომ არ გვაქვს საქმე. იგივე აინტერესებს პოლონელ ატლანტოლოგ ლუდვიკ ზაიდლერსაც: „ბერძენ ავტორთა მიერ მოთხრობილი ეს პოეტური ამბავი (მითი ფაეტონის შესახებ. პ.ი.), რომელიც, სხვათა შორის, მრავალი დრამატული ნაწარმოების, რომანის, ლექსისა და თვით ოპერის მშვენიერ თემად გამოდგებოდა, ასახავს კოსმოსური მასშტაბის საზარელ კატასტროფას, დედამიწაზე კლიმატი რომ შეუცვლია და რომელსაც ციური სხეულის მეშვეობით არნახული ნგრევა გამოუწვევია. ამ ლეგენდის ანალოგიები მოიძებნება სხვა ხალხთა, განსაკუთრებით, სამხრეთამერიკელ ინდიელთა თქმულებებში. მასვე მიმართავენ ხოლმე ატლანტისის „კოსმოსური კატასტროფის“ მომხრენი.

ოღონდ შესამოწმებელია ერთი რამ: შეიძლება თუ არა „ფაეტონის კატასტროფა“ და „საყოველთაო წარღვნა“ თუ დევკალიონის წარღვნა ერთ და იმავე მოვლენად მივიჩნიოთ?“[1]

ეს კითხვა მეტად მნიშვნელოვანია და აი, რატომ: ატლანტოლოგთა გარკვეული ნაწილი მხარს უჭერს კუნძულ ატლანტისის კოსმოსური კატასტროფის შედეგად დაღუპვას ან გულისხმობს დედამიწასთან მეტეორიტის, ასტეროიდის, კომეტის ან რომელიღაც პლანეტის, მაგალითად, პირველი მთვარის შეჯახებას... ასეთი შეჯახებები დედამიწის არსებობის მანძილზე არაერთხელ ყოფილა. ამ შეჯახებათა ნაწილი კაცობრიობის გარიჟრაჟზე, ნაწილი კი შემდგომ პერიოდებში მომხდარა და თავისებურადაც აისახა სხვადასხვა ხალხის მითოლოგიაში. ცხადია, ატლანტოლოგები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ამ მითებს. მით უმეტეს, რომ მათ ხელი შეუწყვეს ატლანტისის „კოსმოსური კატასტროფის“ თეორიის გაჩენას...

პოლკოვნიკი ა. ბრაგინი მიიჩნევდა, რომ ატლანტის დაიღუპა დედამიწასთან რომელიღაც პლანეტის შეჯახების შედეგად. ეს კი, მისი აზრით, ასე მომხდარა: დედამიწას მიზიდულობის წყალობით თავის ორბიტაში მოუქცევია ეს პლანეტა, რომელიც სულ უფრო უახლოვდებოდა, ბოლოს მის ორბიტაში შემოჭრილა და შეჯახებია კიდეც. თეორიის ავტორის აზრით, ამ კატასტროფის მსხვერპლია ატლანტის ოკეანეში კუნძული ატლანტისი, ინდოეთის ოკეანეში კი მატერიკი, რომელიც კუნძულ მადაგასკარს, ცეილონს, სამხრეთ ინდოეთს და ინდონეზიის ზოგიერთ კუძულს მოიცავდა. ამ მატერიკს ჯერ ლემურიას უწოდებდნენ, შემდეგ კი გოდვანა დაარქვეს.

ა. ბრაგინის აზრით, გოდვანაზე ჯერ კიდევ მთვარის გამჩენამდე ცხოვრობდნენ ადამიანები. შემდეგ, პირველი მთვარის გამოჩენისა და დედამიწასთან მისი შეჯახების შედეგად,

1 იხ.: ლუდვიკ ზაიდლერი, „ატლანტისი“, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1972 წ., გვ. 77-78.

მოხდა ის, რომ დედამიწამ სხვა მთვარე შეიძინა, რომელსაც პირველის ბედი ელისო...

სავარაუდოა, რომ პოლკოვნიკის თეორია ბერძნულ მითოლოგიაში მოხსენიებული პროსელენდების, მთვარის გამოჩენამდე დაბადებული, უფრო სწორად კი მიწიდან ამოზრდილი ადამიანების ამბითაც იყოს ნაკარნახევი.

სხვა თეორიები, რომლებშიც დედამიწასთან ასტეროიდის, კომეტის ან მეტეორიტის შეჯახებაზეა ლაპარაკი, უფრო ფაეტონის მითით არის სტიმულირებული, მაგრამ ამას ზოგიერთი თავგამოდებული ატლანტოლოგისათვის ხელი არ შეუშლია, ატლანტისის კოსმოსური კატასტროფის შედეგად დაღუპვის ზუსტი თარიღი დაედგინა. ასე, მაგალითად: პოლონელი ასტრონომი ოტო მუკი ამ ამბავს ძვ.წ. 8499 წლის 5 ივნისის 13 საათით ათარიღებს. ამ დროს ოთხი ციური სხეული – მზე, ვენერა, მთვარე და დედამიწა – ერთ ხაზზე განლაგებულა, ამან კი მზის სისტემაში შემოჭრილი ასტეროიდი იმდენად გადახარა ორბიტიდან, რომ ეს უკანასკნელი დედამიწას შესჯახებია. მუკი უთითებს ამ შეჯახების ადგილსაც – ნახევარკუნძული ფლორიდის რაიონი, ატლანტის ოკეანის ფსკერი, ბაჰამის კუნძულების აღმოსავლეთით. აქ ასტეროიდის ძირითადი მასა ჩამოვარდნილა, ჩრდილოეთი და სამხრეთი კაროლინის შტატების ტერიტორიაზე კი ასტეროიდის ნამსხვრევთა დაცემის რამდენიმე ათასი კვალია კრატერების სახითო.

არსებობს ოტო მუკის კოსმოსური კატასტროფის თეორიისაგან განსხვავებული სხვა თეორიაც. ასტრონომ ნ. ბონევს მიაჩნია, რომ ასტეროიდი კი არ შესჯახებია დედამიწას, არამედ 40.000 კილომეტრის მანძილზე ჩაუქროლა თურმე, მაგრამ ამას ოკეანეებში ისეთი მოქცევები და მიქცევები მოჰყოლია, რომ მთელი მატერიკები წაულეკავს. ცხადია, წალეკავდა კუნძულ ატლანტისსაც; თუმცა ეს თეორია ვერ დასტურდება იმ მიზეზით, რომ კატასტროფის გამომწვევი ასტეროიდი არსად ჩანს. მაგრამ ამას ატლანტოლოგთა იმ ნაწილისათვის, ვისაც ასეთი კატასტროფისა სჯერა, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, იმიტომ, რომ დედამიწასთან კოსმოსური სხეულის შეჯახების თეორიით სულ ადვილად ხსნიან კლიმატის შეცვლას, მაგალითად, გამყინვარების დროს „მყინვარების უკუქცევას“, რადგან მიაჩნიათ, რომ დედამიწასთან ასტეროიდის შეჯახებას უნდა მოჰყოლოდა დედამიწის ჩრდილოეთი და სამხრეთი პოლუსებისა და ეკვატორის ადგილმდებარეობის შეცვლა. ამასთან, როგორც მოგახსენეთ, საქმე ის არის, რომ გამყინვარება რამდენჯერმე მოხდა, ასევე რამდენჯერმე უკუიქცა მყინვარებიც და ყველა ეს ცვლილება ვერ დაუკავშირდება იმ კოსმოსურ კატასტროფას, რომელიც, პლატონის მიერ დასახელებული თარიღის მომხრე ატლანტოლოგთა აზრით, 12.000 წლის წინათ მომხდარა. ეს ასეა, ბევრია უპასუხო კითხვა და ატლანტისის კოსმოსური კატასტროფის თეორიის სათანადოდ მეცნიერულად დასაბუთება არ ხერხდება; ამიტომ ატლანტოლოგები მათთვის მისაღები თეორიის დადასტურებას მითებში ხედავენ. სწორედ ასეთ შეხედულებას გამოხატავდა ლუდვიკ ზაიდლერი, როცა წერდა: „ხოლო იმათ, ვინც კატასტროფას გადაურჩა, შთამომავლობისათვის გადმოუციათ ამბავი ფაეტონისა, რომელმაც მამამისის – ჰელიოსის ცეცხლოვანი ეტლის ცარგვალზე წარმართვა ვერ შეძლო, ან კიდევ ამბავი საზარელი ჰურაკანისა“[1].

რაკი ფაეტონის ამბავი ვიცით, გავეცნოთ, რას წარმოადგენს ჰურაკანის მითი. ცენტრალურ ამერიკაში, კერძოდ, გვატემალაში, ახლაც ცხოვრობს მაიას მოდგმის ინდიელთა ტომი კიჩე. მათი მითოლოგიის შესახებ ძირითად ცნობებს გვაწვდის ეპოსი „პოპოლ-ვუხი“. იქ მოთხრობილი მითის ერთი ვარიანტის მიხედვით სამყაროს შემოქმედნი იყვნენ

1 იხ.: ლუდვიკ ზაიდლერი, „ატლანტისი“, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1972 წ., გვ. 304.

ქალღმერთი თეპევი და ღმერთები კუკუმაცი და ჰურაკანი. მათ შექმნეს მიწა, მთები, დაბლობები, მცენარეულობა და ცხოველები. თავიდან ისინი შეეცადნენ, ჯერ თიხისაგან შეექმნათ ადამიანები, მაგრამ მათი ქმნილება ჩამოიღვენთა, არ შეეძლო მოძრაობა; გაბრაზებულმა ღმერთებმა ისინი გაანადგურეს; შემდეგ ხისგან გამოთალეს, მაგრამ ისინი ღმერთებს პატივს არ მიაგებდნენ და არ უჯერებდნენ, ამიტომ გამოიწვიეს წარღვნა და ცეცხლის წვიმა და ამის შედეგად თითქმის ყველა ადამიანი დაიღუპა, გადარჩენილები კი პატარა მაიმუნებად გადაიქცნენ.

ატლანტოლოგებს ჰურაკანის მიერ მოვლენილი ცეცხლის წვიმა კოსმოსური კატასტროფის გამოძახილად მიაჩნიათ.

„პოპოლ-ვუხის“ ეპოსში „ცეცხლის წვიმასთან“ ერთად წარღვნაზეც არის ლაპარაკი, ეს კი ბევრ ატლანტოლოგს იმის დადასტურებად იაჩნია, რომ დედამიწაზე საყოველთაო წარღვნა მოხდა და ის კოსმოსურმა კატასტროფამ გამოიწვია. ამ მოვლენას უკავშირებენ ატლანტისის დაღუპვასაც და ატიკის ნაყოფიერი დაბლობების გადარეცხვასაც. ამბობენ, რომ ამისი გამოძახილია ამერიკელ ინდიელთა მითებში და დევკალიონის წარღვნაც მისი ბრალი უნდა ყოფილიყო.

ამ თეორიის სუსტი მხარე ისაა, რომ მისი დასაბუთება ძნელია და აი, რატომ: როგორც ვნახეთ, მხოლოდ ბერძნულ მიოლოგიაში, სულ ცოტა, სამი წარღვნა იყო. ამას გარდა, დედამიწაზე ბევრია ხალხი, რომლის მითოლოგიაშიც ამა თუ იმ მასშტაბის წარღვნა არის მოხსენიებული, ზოგშიც – მოსალოდნელი, ამიტომ თვალი გადავავლოთ წარღვნის თემას მითოლოგიაში:

მკვლევრებმა დიდი ხანია მიაქციეს ყურადღება, რომ სხვადასხვა ხალხის მითოლოგიაში არსებულ წარღვნას არსებითად ერთი სქემა უდევს საფუძვლად. ამის შესახებ საყურადღებო ინფორმაციაა მოცემული მითოლოგიურ ენციკლოპედიაში, სადაც ამოიკითხავთ: „მსოფლიო წარღვნის მითების ძირითადი სქემის არსი შემდეგში მდგომარეობს: ღმერთი ხალხს წარღვნას უგზავნის ცუდი ქცევის, ტაბუს დარღვევის, ცხოველთა მკვლელობისა და ა.შ. გამო, ან, კიდევ, განსაკუთრებული მიზეზის გარეშე. ზოგიერთი ადამიანი (გამორჩეულნი სიმართლით) ადრევე არიან გაფრთხილებულნი წარღვნის შესახებ და გადარჩენისათვის ზომებს იღებენ: აგებენ გემს (კიდობანს, ტივს, დიდ კანოეს, ნავს და სხვ.) ან კიდევ საშიშროებისაგან თავს აფარებენ მთას, მაღალ ხეს (ვარიანტი: სწრაფად მზარდი ხე, – წყლის მატებისას, მაღლა აჰყავს ადამიანები), მცურავ კუნძულს, კუს ბაკანს, კიბორჩხალას, დიდ გოგრას ან ქოქოსის კაკლის ნაჭუჭს და ა.შ. თავის გადარჩენის მსურველთ არცთუ იშვიათად თან მიჰყავთ ცხოველები, მიაქვთ თესლი და (ან) მცენარეულობა და ა.შ. წარღვნის გამომწვევი თავსხმა გრძელდება საკრალურდ მიჩნეული დროის მანძილზე (მაგალითად, 7 ან 40 დღე, ნახევარი წელი). როცა ის შეწყდება, წყალი დაწევას იწყებს, ხმელეთის საძებნელად გამოუშვებენ კარგი ამბის მომტან ფრინველს (ზოგჯერ – მღრღნელს), გემი მიაღწევს მთებს, კუნძულს (ადამიანები ჩამოდიან ხიდან, მთიდან და ა.შ.). იწყება ახალი, ხშირად ალალ-მართალი ცხოვრება ღვთაებრივ მცნებათა შესაბამისად; ხალხი, საქონელი, მცენარეულობა მრავლდება და კვლავ დასახლდებიან დედამიწაზე. წარღვნის სიუჟეტში ნიშნდობლივია ადამიანთა პირველი წყვილის ან ცოლ-ქმრის გამოჩენა, რომლებიც წარღვნისშემდგომი ცხოვრებისას კაცობრიობის წინაპრები, ზოგჯერ კი ეთნიკური და კულტურული ტრადიციების ფუძემდებლები ხდებიან. ამრიგად, წარღვნის მითოპოეტური თემა იქცევა უმნიშვნელოვანეს დამაკავშირებელ რგოლად ბუნებასა და კულ-

ტურას, კოსმოლოგიასა და კვაზიისტორიას, ბუნებრივ უფლებებსა და მორალს შორის, ეყრდნობა ღვთაებრივ დადგენილებას (აღთქმა ღმერთსა და ადამიანებს შორის)“[1].

ასეთი გახლავთ სქემა, რომელიც წარღვნის შესახებ არსებულ თითქმის ყველა მითში მეორდება. გავეცნოთ ამათგან უძველეს მითებს. პირველად უნდა მოვიხსენიოთ წარღვნისადმი მიძღვნილი შუმერული მითის პერსონაჟი ზიუსუდრა, – „დღეგრძელი სიცოცხლისაკენ მავალი“, – ქალაქ შერუპაკის ბრძენი და ღვთისმოსავი მმართველი. მას ადამიანთა მფარველმა ღმერთმა, ენქიმ ამცნო ღმერთების განზრახვა – ადამიანებს მოუვლინონ წარღვნა და ურჩია, აეგო კიდობანი, რომელსაც წარღვნის დროს თავს შეაფარებდა.

მართლაც, ენქის ნათქვამისამებრ, ღმერთმა ენლილმა ადამიანებს თავს წარღვნა დაატეხა, ადამიანთა გამრავლებისა და მათ მიერ ატეხილი ხმაურის მიზეზით შვიდ დღესა და შვიდ ღამეს გრძელდებოდა წვიმა, ზიუსუდრამ, როგორც „კაცობრიობის თესლის მხსნელმა“, ღმერთების დარად მოიპოვა მარადიული სიცოცხლე და თავის მეუღლესთან ერთად ნეტართა კუნძულ თილმუნზე დასახლდა.

წარღვნის შუმერული მითი უდავოდ, ადგილობრივი წარმოშობისაა და ბუნებრივმა გარემომ შეუწყო ხელი. ისინი ცხოვრობდნენ მიწაზე, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ წყლით იყო დაფარული: „არ არის ძველი ის მიწა, სადაც აღმოცენდა სამხრეთი შუმერის პირველი ქალაქები. ქვის ხანა არ მოსწრებია ამ ნიადაგს. ნეოლითის ხანაშიც დღევანდელი სპარსეთის ყურე (ბაჰრეინი) ისე ღრმად იყო შეჭრილი ხმელეთში, რომ მთელი სივრცე ზღვით იყო დაფარული სწორედ ისე, როგორც იხსენიებს ქვეყნიერების შექმნას ბაბილონური მითოსი:

„წმიდა სახლი, ღმერთების სახლი, წმიდა ალაგად არ იყო შექმნილი,
ლერწამი არ იყო აღმოცენებული, ხე არ იყო დანერგილი;
აგური არ იყო დადებული, ალიზი არ იყო მოზელილი.
სახლი არ იყო აგებული, ქალაქი არ იყო აღმოცენებული.
ქალაქი არ იყო აგებული, სულდგმული – გაჩენილი.
ნიპური არ იყო შექმნილი, ექური – აღმოცენებული,
ურუქი არ იყო შექმნილი, ეანნა – აღმოცენებული,
ერიდუ არ იყო შექმნილი, აპსუ – აღმოცენებული.
წმიდა სახლი, ღმერთების სახლი, მათი ბინა არ იყო შექმნილი.
მთელი ხმელეთი ზღვა იყო ოდენ“ (53, 47).

იდიგინას და ბურანუნას (მდინარეები: ტიგროსი და ევფრატი. პ.ი.) მრავალი საუკუნის განმავლობაში მოჰქონდათ და ლექავდნენ კალაპოტის გასწვრივ უნოყიერეს, თითქმის უხვინჭკო ალუვიონს; მათვე გამოსტაცეს მლაშე წყლის სტიქიონს მოზრდილი სივრცე და დააფინეს ნიადაგი; ბაჰრეინმა უკან დაიხია, ხოლო მდინარეთა შესართავთან დიდ ფართობზე დარჩა ლერწმოვანი ჭაობი, სადაც მომავლისთვის კვლავ მყარი ნიადაგი იქმნებოდა თანდათან. ასე, რომ, ნილოსის ქვეყნის მსგავსად, ამ მხარეზეც არანაკლები უფლებით ითქმის, რომ იგი იდიგინა-ბურანუნას ძღვენი იყო. როგორც ვხედავთ, ამ ორ მდინარეს მხოლოდ მაცოცხლებელი წყალი კი არ მოუტანია, არამედ ქვეყნის საძიკველიც. ამიტომაც

1 იხ.: «Мифы Народов Мира», Энциклопедия, Москва, «Советская Энциклопедия», 1988 г., том 2, გვ. 324-325.

გასაგებია, რატომ ჰქონდა შუამდინარულ მითოსში ესეოდენ დიდი მნიშვნელობა მტკნარი წყლის სტიქიას, ენქის სამფლობელოს“[1].

დიახ, წყალმა დიდი როლი შეასრულა იმ ტერიტორიის შექმნაში, სადაც შუმერთა კულტურა აღმოცენდა და განვითარდა. მდინარეებმა მოიტანეს მიწა, მდინარეებმავე გაანოყიერეს და აქციეს უხვმოსავლიანად, მაგრამ იგივე მდინარეები საფრთხეს უქმნიდნენ ადამიანს: „ნაპირებიდან გადმოსული ტიგროსისა და ევფრატის ტალღები ათეული კილომეტრების მანძილზე წალეკავდა ხოლმე ნათეს ფართობებს. ამას ხშირად თან ახლდა სტიქიური უბედურებაც – მთელი რიგი დასახლებული ადგილების დატბორვა და წალეკვა, რაც ადამიანების შეგნებაში ტოვებდა წარღვნის შთაბეჭდილებას“[2].

ასე, რომ, თავად ბუნებრივმა პირობებმა განაპირობა წარღვნის მითის შექმნა. შუმერის ბუნებრივი გარემო ამისთვის შესაფერისი იყო. ტიგროსისა და ევფრატის უეცარ და ყველაფრისწამლეკ ადიდებას ადამიანები არხებსა და დამბებს უპირისპირებდნენ, მაგრამ როცა მათი ძალისხმევა ამაო იყო, აღარაფერი რჩებოდათ გარდა იმისა, რომ მაცოცხლებელი წყლის მომაკვდინებლად გადაქცევა ღვთის რისხვად აღექვათ, ხოლო ის ადამიანები, ვინც სტიქიისადმი ადეკვატური დამოკიდებულება გამოავლინეს, თავიანთი თავი და სხვებიც გადაარჩინეს, ღვთის რჩეულებად მიეჩნიათ. ერთი სიტყვით, ადამიანის მიერ ბუნებრივი სტიქიის ღვთაებრივი წარმომავლობის რწმუნებაში უნდა ვეძებოთ წარღვნისადმი მიძღვნილ მითებში არსებული ის სქემა, რომელზეც მითოლოგიურ ლექსიკონში არის საუბარი.

იქ, სადაც ბუნებრივი სტიქია იშვიათად ან სულაც არ ხდებოდა, – ვგულისხმობ შუმერის მეზობელ ტერიტორიებს, – აშკარად იგრძნობა შუმერული მითის გავლენა. მაგალითად, ისე, როგორც ეს აქადურ მითოლოგიაში მოხდა, სადაც შეიქმნა წარღვნაზე არსებული შუმერული მითის აქადური ვარიანტი. მისი გმირია ათრახასისი, აქადურად „სიბრძნით აღმატებული“. წარღვნის აქადური ვარიანტი სამ ვერსიად იყოფა: ძველბაბილონური, ახალსირიული და გვიანბაბილონური.

მითში მოთხრობილი ამბავი კი ასეთი გახლავთ: დედა ქალღმერთის მამის მიერ ადამიანების შექმნის შემდეგ, ღმერთი ენლილი აღაშფოთა ადამიანთა მოუსვენრობამ და ხმაურმა და გადაწყვიტა, მოესპო ისინი. მოუვლინა ხალხს ჭირი, ჟამიანობა, გვალვა, შიმშილი, ნიადაგის დამარილება, მაგრამ ღმერთი ეის (ენქი) დახმარებით ადამიანებმა ამ განსაცდელს თავი გაართვეს და ყოველ ჯერზე ისინი კვლავ მრავლდებოდნენ. ბოლოს ენლილმა ადამიანებს წარღვნა დაატეხა თავს, შვიდ დღესა და შვიდ ღამეს რომ გრძელდებოდა. კაცობრიობა დაიღუპა; გადარჩა მხოლოდ ათრახასისი, რომელმაც ღმერთი ეის (ენქი) რჩევით ააგო დიდი გემი, რომლის სახელწოდება იყო „სიცოცხლის შემნახავი ნავი“, აიყვანა მასზე თავისი ოჯახი, ქონება, ხელოსნები, ხორბალი და ყველა პირუტყვი, „რომელიც ბალახს ძოვს“. ღმერთებმა მასაც უბოძეს მარადიული სიცოცხლე. ათრახასისს ბაბილონურად უთა-ნაფიშთიმ, – „სიცოცხლის მპოვნელი“, – ეწოდება.

შუმერში შექმნილი მითის გავრცელების არეალი მოგვიანებით კიდევ უფრო გაიაზრდა და მოიცვა ისეთი ადგილიც, სადაც წყალდიდობა უჩვეულო რამ იყო. მაგალითად, პალესტინა, ნახევრად უდაბნო, სადაც მუდამ წყლის ნაკლებობა იყო და სადაც დასახლდნენ

1 იხ.: ზურაბ კიკნაძე, „შუამდინარული მითოლოგია“, გამომცემლობა „საარი“, 2006 წ., გვ. 22-23.

2 იხ.: „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია“. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1971 წ., გვ. 58-59.

ებრაელები, რომელთა მითოლოგიაშიც შეაღწია მითმა წარღვნის შესახებ. „ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ მითი წარღვნის შესახებ შუამდინარეთიდან მოდის: მოგვიანებით იგი შეიტანეს ბიბლიაში“[1].

ასე გაჩნდა შუმერში შექმნილი მითის კიდევ ერთი ვერსია, ამჯერად ებრაული.

წარღვნის მითის ებრაული ვერსიის გმირია ნოე, მისი სახელი უნდა ნიშნავდეს „დამაწყნარებელს“. ისიც მართალი კაცია, რჩეული ღვთისა, მისი დავალებით ააშენა კიდობანი და მრავალი სულიერი გადაარჩინა. ნოეს სამი შვილი – სემი, ქამი და იაფეტი ჰყავდა და წარღვნისშემდგომი თაობების მამამთავარი გახდა. ებრაული ძველი აღთქმის მიხედვით, ეს წარღვნა მსოფლიო მნიშვნელობისა ყოფილა, ხოლო ხალხისთვის მისი მოვლინების მიზეზი კი ასეთია: როცა „ღმერთის ვაჟების“, ანუ დაცემული ანგელოზების „ადამიანთა ასულებთან“ ქორწინების შემდეგ წარმოიშვა ახალი მოდგმა გოლიათი ადამიანებისა, ღმერთმა აღმოაჩინა, რომ ადამიანები გარყვნილან და ბოროტისაკენ მიდრეკილან. მხოლოდ ერთმა მათგანმა მოიპოვა ღმერთის კეთილგანწყობა. მისი ეს რჩეული იყო ნოე, ადამის შთამომავალი; ერთობ ხანდაზმული, რადგან წარღვნის დროს 600 წლისა ყოფილა. რაკი ღმერთს განზრახული ჰქონდა, ადამიანებისათვის გარყვნილების გამო წარღვნა მოევლინა, მან ნოე მოსალოდნელის შესახებ გააფრთხილა და უბრძანა, აეგო კიდობანი და ასწავლა, როგორი მასალა გამოეყენებინა. ნოემ ააგო კიდობანი და მასში შეიყვანა დედამიწაზე მცხოვრები ყველა ცხოველის თითო წყვილი, ბოლოს კი ავიდა თვითონ თავისი ცოლით და აიყვანა შვილები მათი ცოლებით. შემდეგ დაიწყო წვიმა, რომელიც გრძელდებოდა 40 დღე-ღამეს; წყალმა მაღალი მთებიც კი დაფარა და ყველა ცოცხალი არსება დაიღუპა. 150 დღე მატულობდა წყალი, შემდეგ კლება დაიწყო და კიდობანი მთის წვეტს გამოედო. ამის შემდეგ 90 დღის გასვლიდან ნოემ კიდობნის სარკმლიდან ყვავი გამოუშვა, მაგრამ ყვავმა ხმელეთი ვერ ნახა და უკან დაბრუნდა, გაშვებული მტრედიც ჯერ უკან მობრუნდა, შვიდი დღის შემდეგ კი, ნისკარტით ზეთისხილის ფოთოლი (თუ რტო?) მოიტანა, ნიშნად იმისა, რომ წყალი დაშრა და ხმელეთზე მცენარეებმა აყვავება დაიწყეს. კიდევ შვიდი დღის შემდეგ გაშვებული მტრედი აღარ დაბრუნებულა, მიწამ გაშრობა დაიწყო და წარღვნის დაწყებიდან 365 დღის შემდეგ კიდობნიდან გადმოვიდნენ ადამიანები და მხეცები და ნოემ ღმერთ იაჰვეს მსხვერპლი შესწირა. ასეთია წარღვნის შუმერული მითის ებრაული ვერსიის ჩვენთვის საინტერესო ნაწილი.

მეტად საინტერესოა წარღვნის თემა ეგვიპტურ მითოლოგიაში. მოგეხსენებათ, ეგვიპტეში წყალდიდობა ტრადიციულად პოზიტიურ მოვლენად მოიაზრებოდა; ამიტომ წყალდიდობა, წარღვნა აქ არა ადამიანების გამანადგურებელ, არამედ ადამიანების გადამრჩენელ მოვლენად არის მიჩნეული. ეგვიპტურ მითს წარღვნის შესახებ ზემოხსენებულ სქემასთან საერთო ბევრი არაფერი აქვს, თვითმყოფადია და, როგორც ჩანს, რაღაც ოდესღაც მომხდარი და ადამიანთა მეხსიერებაში შემორჩენილი კოსმოსური მოვლენა უდევს საფუძვლად. ამ მითს „ძროხის წიგნში“ ვხვდებით: რამ, ეგვიპტელთა მზის ღვთაებამ, დაუმორჩილებელ და კრძალვის არმქონე ხალხს სასჯელად მოუვლინა თავისი თვალი, ქალიშვილი ხატორ-სოხმეტი, რომელიც ცეცხლოვანი ლომის სახით დაატყდა თავის ხალხს და დაიწყო მათი და სხვა ცოცხალი არსებების შთანთქმა. ამან ისეთი დიდი მასშტაბები მიიღო, რომ ყველა სულიერს განადგურება ელოდა. ამიტომ მზის ღმერთი რა და სხვა ღმერთები ცდილობენ

1 იხ.: „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1971 წ., გვ. 59.

კაცობრიობის გადარჩენას. რამ ბრძანა, დაეთროთ მისი ქალიშვილი. ამისათვის მოამზადეს წითელი მათრობელა სასმელი, განსაკუთრებული ქერის ლუდი, რომელშიც ასევე განსაკუთრებული მინერალი შეურიეს და გაწითლებული ლუდი დიდი რაოდენობით დაღვარეს მთელ ეგვიპტეში. გამძვინვარებულ ქალღმერთს ეს სითხე სისხლი ეგონა, მიეძალა, დათვრა და დაწყნარდა. ამ დროს ბუნება გამოცოცხლდა და ადამიანებიც მომრავლდნენ.

უნდა ვიფიქროთ, რომ ცეცხლოვანი ლომის მიერ ადამიანების განადგურება სიმბოლური გამოხატულებაა უჩვეულოდ დიდხანს გაგრძელებული პაპანაქება სიცხეებისა და გვალვისა და ამას მოყოლილი შიმშილისა, რასაც ადამიანები შეეწირებოდნენ. მხოლოდ ნილოსის ადიდებამ (რომელსაც ჩამოტანილი შლამის გამო წითელი ფერი დაჰკრავს) გადაარჩინა ეგვიპტის მოსახლეობა დაღუპვისაგან.

აი, ასე იქცა ეგვიპტეში ლუდით მოწყობილი წარღვნა ადამიანთა მხსნელ მოვლენად.

ინდოეთის მოსახლეობის ყოფაში ინდის, განგისა და სხვა მდინარეების ყველაფრისწამლეკავი ადიდება ჩვეულებრივი მოვლენა იყო და ამიტომ წარღვნასთან დაკავშირებული მითები საკმაოდ მოეპოვებათ. ეს მითები ძველია და არიელების გამოჩენამდე არსებულ ხანას მიეკუთვნება. ისინი გარკვეულწილად შეიცავენ მითებისათვის დამახასიათებელ სქემას. ეს განსაკუთრებით ეთქმის მითს მანუს შესახებ: ერთხელ, რიტუალური განბანვის დროს, მანუს ხელში ჩაუვარდა პატარა თევზი, რომელმაც სთხოვა, გამოეზარდა და სამაგიეროდ დაჰპირდა, რომ მომავალი წარღვნის დროს იხსნიდა. თევზი რომ დიდი გახდა, მანუმ ზღვაში გაუშვა, თავად კი მისი რჩევით გემი ააგო. მალე წარღვნა დაიწყო, მანუმ გემი თავისი მეგობარი თევზის რქას გამოაბა, რომელმაც ის მარტოდ მდგარ მთასთან მიაცურა. რამდენიმე ხნის შემდეგ წყალმა დაიწია და თან წაიყოლა ყველაფერი ცოცხალი. მანუ მიწაზე მარტოდმარტო დარჩა. მან შესწირა ღმერთებს მსხვერპლი, რომლისგანაც ამოზრდილი გოგონა ილა ცოლად შეირთო. ეყოლთ შვილები და მისგან იწყება ადამიანთა მოდგმა.

არსებობს წარღვნის სხვა ინდური მითიც, რომელშიც ლაპრაკია კრიშნასა და ინდრას კონფლიქტზე, რაც იმიტომ დაწყებულა, რომ კრიშნას შთაუგონებია ინდრასათვის, თითქოს მწყემსებს არ ჰქონდათ ინდრასადმი კრძალვა. განრისხებულმა ინდრამ მიწას თავსხმა დაატეხა, რათა წარღვნას მოესპო მწყემსებიცა და მათი საქონელიც. მაგრამ კრიშნამ, ხალხი რომ გადაერჩინა, მთა ზემოთ ასწია და შვიდი დღე და შვიდი ღამე ეჭირა ის თითის წვერით, ვიდრე ინდრამ თავისი მარცხი არ აღიარა და არ შეწყვიტა წვიმა.

ცნობილია წარღვნის ამსახველი ჩინური მითი. ეგვიპტურის მსგავსად, იგი ჩინური რეალობის თავისუფალი ამსახველია და წარღვნის თემაზე არსებული მითებისათვის დამახასიათებელ სქემას არ იმეორებს. მასში არ არის ცოდვებისათვის ადამიანების დასჯის ამბავი. წარღვნა ჩინელებისათვის უმართავი სტიქიაა, რომელსაც უბედურება მოაქვს და რომლის დამორჩილებაც დიდი ძალისხმევის შედეგად შესაძლებელია. მითში ლაპარაკია ადიდებულ წყალთან ადამიანების ბრძოლის თაობაზე, რაც ჩინეთში ყოველთვის დიდი პრობლემა იყო. მითის მიხედვით წყალდიდობამ დიდი ნგრევა გამოიწვია, წყალი უკვე ცას სწვდებოდა, ხალხი უიმედოდ იყო და, აი, უმაღლესი მმართველის დავალებით პუნმა დაიწყო წარღვნასთან ბრძოლა. ის 9 წელი აგებდა დამბებს. ზოგიერთი ვერსიით კი, ცდილობდა მმართველისთვის მოპარული თვითმზარდი მიწით შეეკავებინა და კალაპოტში მოექცია წყალი, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწია და ამისთვის სიკვდილით დასაჯეს იაუშანის მთაზე. წარღვნასთან ბრძოლა მისმა შვილმა, იუმ გააგრძელა. მან არხები გათხარა და წყალი ზღვისკენ

მიუშვა, ჭაობიანი დაბლობებიდან განდევნა გველები და დრაკონები და ეს მიწა უხვი მოსავლის მომცემი გახადა.

ბევრი მითი აქვთ წარღვნის შესახებ ამერიკელ ინდიელებს. მაიას ტომს ჰქონდა წარმოდგენა, რომ სამყაროს არაერთხელ მოევლინა წარღვნა სხვადასხვა კატასტროფების სახით. მაიას ხალხი თაყვანს სცემდა ოთხ ძმა ბაკაბას, როლებიც წარღვნას გადაურჩნენ. ინდიელთა წიგნში „ჩილამ-ბალამი“ არის წინასწარმეტყველება სამყაროს დაღუპვის თაობაზე, რასაც ძმები ბაკაბები გამოიწვევენ, მოავლენენ თავსხმას და ზეცას დედამიწაზე დაამხობენ. სამხრეთ ამერიკაში, ჩიბჩას ტომის მიხედვით, ღმერთმა ჩიბჩაჩუმ ადამიანებს წარღვნა თავს იმიტომ დაატეხა, რომ მას აწყენინეს.

იაგანების ინდიელთა ტომი თვლიდა, რომ წარღვნა გამოიწვია მთვარემ, რომელიც ასევე ადამიანებისაგან შეურაცხყოფილად თვლიდა თავს იმით, რომ მათ ინიციაციათა რიტუალები შეურყვნიათ.

არაკუანებს სჯეროდათ, რომ წარღვნა შედეგია ორი საშინელი გველის ორთაბრძოლისა, რომლებმაც, წარმოაჩენდნენ რა თავიანთ ძალას, წყალი ისე მაღლა ატყორცნეს, რომ ამას ყველაფრის წალეკვა მოჰყვა.

წყნარი ოკეანის სანაპიროზე მოსახლე ინდიელების მითის მიხედვით წარღვნა გამოიწვია რეინირის მთის მწვერვალზე მცხოვრებმა დიდმა სულმა, რომელიც განრისხებულა ადამიანებსა და მხეცებზე და მათი ამოწყვეტა გადაუწყვეტია. ერთი მართალი კაცისა და მისი ოჯახისა და კეთილი ცხოველებისათვის გადარჩენის საშუალება მიუცია. მან უბრძანა ამ მართალ კაცს, ღრუბლისათვის ისარი ეტყორცნა, შემდეგ კი გაეტყორცნა მეორე ისარი ისე, რომ პირველ ისარს მოხვედროდა იქ, სადაც ბუმბულები აქვს და ასე შემდეგ, ვიდრე ისრებისაგან გრძელი თოკი თუ ჯაჭვი არ წარმოიქმნებოდა. როცა ეს მოხდა, დიდმა სულმა უბრძანა მართალ კაცს და მის ოჯახს, აგრეთვე კეთილ ცხოველებს, ცაზე აცოცებულიყვნენ. ხოლო როცა ცუდმა ადამიანებმა და ავმა მხეცებმაც დაიწყეს აცოცება, პირველი ისარი ამოაძრო, ისართა მთელი ჯაჭვი თუ თოკი დაიშალა და ცუდი ადამიანები და ავი მხეცები კვლავ მიწაზე აღმოჩნდნენ. დაიწყო თავსხმა, წყალმა დაფარა მიწა და ყველაფერი ცოცხალი მოსპო. მაშინ წარღვნა დამთავრდა. როცა მიწა გაშრა, მართალი კაცი, მისი ოჯახი და კეთილი მხეცები მიწაზე დაეშვნენ და ბედნიერად ცხოვრობდნენ.

მივუბრუნდეთ წარღვნის შესახებ არსებულ ბერძნულ მითებს. დევკალიონის მითში შეიძლება წარღვნაზე არსებული შუმერული და მისი გავლენით შექმნილი აქადური, ბაბილონური და ებრაული მითებისათვის დამახასიათებელი სქემის ამოკითხვა. ამიტომ ისმება კითხვა, ეს სქემა ეგეოსური კულტურის წიაღში ასევე შუმერიდან ხომ არ უნდა იყოს შესული, მაგრამ ეს ასე არ არის. ბერძნულ მითოლოგიაში სამი წარღვნაა მოხსენიებული: ოგიგოსის, დარდანოსის, დევკალიონის და კიდევ მითი ფაეტონზე. ამას გარდა, კონტინენტური და კუნძულოვანი საბერძნეთის რიგი ტერიტორიების ნიადაგის წყლისაგან გადარეცხვის ფაქტი ააშკარავებს, რომ ეგეიდაში ადგილი ჰქონდა ბუნებრივ კატაკლიზმებს, მიწიერსა და კოსმოსურს, რომლებსაც მოჰყვა წარღვნა, ამასთან არაერთი, და რომელთა ხსოვნაც ადამიანებს შემორჩათ და ის მითოლოგიაში აისახა.

იგივე ითქმის „პოპოლ-ვუხის“ ეპოსზე, არც ის არის რისამე გავლენით შექმნილი და მასშიც კოსმოსურ კატასტროფასა და წარღვნაზეა ლაპარაკი.

ამრიგად, მიმოვიხილეთ რა სხვადასხვა ხალხების მითები წარღვნის შესახებ, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ყოველი მათგანი

შექმნისათვის საჭირო ადგილობრივი პირობებისგან გამომდინარე შეიქმნა. რაც შეეხება ზემოხსენებულ სქემას, ის ორ ჭეშმარიტებას გვამცნობს. პირველი: მჭიდრო კულტურულ ურთიერთობებში მყოფი ხალხების მითოლოგიაში შეიძლება გადავიდეს პროტოტიპული მითის სტრუქტურა. მაგალითად, როგორც ეს მოხდა შუმერული მითიდან გამომდინარე აქადურში, ბაბილონურსა და ებრაულში; მეორე: ადამიანები მსგავსი ხასიათის მოვლენებს მსგავსადვე იაზრებენ. საქმე ისაა, რომ შორეულ წარსულში ისინი ვერ ხსნიდნენ კოსმოსური და მიწიერი კატასტროფების გამომწვევ მიზეზებს და მათ ღვთის რისხვად მიიჩნევდნენ. ღმერთებს კი რატომ უნდა დაეტეხათ რისხვა ადამიანებისათვის, თუკი საამისო მიზეზი არ ექნებოდათ და ელემენტარული ლოგიკა ადამიანებს აფიქრებინებდათ, რომ წყალდიდობა, ვულკანის ამოფრქვევა, მიწისძვრა ან მეტეორის ჩამოვარდნა მათ მოუვლინეს იმისთვის, რომ ღმერთებს პატივს არ სცემდნენ ან კიდევ, არღვევდნენ ღვთაებრივ კანონებს. სტიქიური უბედურებისას გადარჩენა კი იმდენად ძნელი იყო, რომ ისინი რომელიმე კონკრეტული ღმერთის თუ ღმერთების რჩეულად მიაჩნდათ, ამიტომ არ არის გასაკვირი, გადარჩენილთაგან ზოგიერთს წარღვნისშემდგომი ხალხის მამამთავრად რომ აცხადებდნენ ხოლმე.

ასეთია დასკვნა, რომელიც შეიძლება გამოვიტანოთ მას შემდეგ, რაც განვიხილეთ, რა იყო მიზეზი წარღვნის მითების ერთი ნაწილისათვის დამახასიათებელი სქემის შექმნისა.

როგორც ვნახეთ, მითებზე გავლენას ახდენდა ამა თუ იმ ხალხის ყოფის თავისებურებაც. გავიხსენოთ წარღვნისადმი მიძღვნილი ეგვიპტური და ჩინური მითები. თუ კარგად დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ წარღვნის თაობაზე შექმნილი ის უამრავი მითი, მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში რომ არის, იმდენად არ ჰგვანან ერთმანეთს, რამდენადაც განსხვავდებიან და სწორედ ეს განსხვავებულობა არის ყველაზე დამაჯერებელი არგუმენტი იმისა, რომ საქმე გვაქვს სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადგილას მომხდარი კატასტროფების ასახვასთან მითოლოგიაში და არა 12 ათასი წლის წინანდელ „მსოფლიო წარღვნის“ სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციასთან. არადა, ატლანტოლოგთა ნაწილს სწორედ ამისი დამტკიცება სურს.

თუ დავუშვებთ, რომ წარღვნა ატლანტისის დაღუპვამ გამოიწვია, მაშინ დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის ცოდნას, თუ სად მდებარეობდა ატლანტისი, რადგანაც, და ეს ჩვენ ვიცით, წარღვნის მითები ატლანტის ოკეანის ორივე მხარეს საკმაოდ არის გავრცელებული. ამან ატლანტოლოგები, კერძოდ კი ი. დონელის მიმდევრები, დაარწმუნა იმაში, რომ კუნძული ატლანტის ოკეანეში მდებარეობდა. ვნახოთ, შესაძლებელია თუ არა, რომ კუნძული „ერთი საზარელი დღე-ღამის განმავლობაში“ ოკეანეში ჩაძირულიყო, თუნდაც ამისი მიზეზი წარღვნა კი არა, მიწისძვრა ყოფილიყოს.

ატლანტის ოკეანის ჩვენთვის საინტერესო ნაწილში არაერთი მიწისძვრა მომხდარა. გავიხსენოთ თუნდაც 1755 წლის 1 ოქტომბრის ლისაბონის მიწისძვრა, რომელმაც პორტუგალიის დედაქალაქის ნახევარმილიონიანი მოსახლეობის ათი პროცენტი – 50 ათასი ადამიანი შეიწირა. მაგრამ მიაქციეთ ყურადღება, დაიღუპა ქალაქის მოსახლეობის მხოლოდ ათი პროცენტი, რომელთა მოზრდილი ნაწილი, შენობათა ნგრევით თავზარდაცემული, გადარჩენის მიზნით ოკეანის სანაპიროსკენ გაიქცა და ამ დროს მიწისძვრის მიერ აზვირთებულმა უზარმაზარმა ტალღამ ჩაიტანა ოკეანეში. ამრიგად, თუ დავუშვებთ, რომ ატლანტისი ატლანტის ოკეანეში მდებარეობდა, ლისაბონის მასშტაბის მიწისძვრა მის მოსახლეობას მთლიანად ვერ გაანადგურებდა და კუნძულსაც ვერ მოსპობდა. ამას ადასტურებს მეცნიერებაც და ის მითებიც, ატლანტოლოგები თავიანთი შეხედულების დასადასტურებლად ხშირად რომ იყენებენ.

ერთ ასეთ მითად მიჩნეულია ეგვიპტური თქმულება გველის კუნძულის შესახებ: „გველის კუნძულის თქმულება XII დინასტიის (ჩვ.წ.-მდე დაახლოებით 2000 წლის ახლოს) დროინდელ პაპირუსზე არის აღბეჭდილი, ამჟამად ლენინგრადის ერმიტაჟში ინახება. ეს არის ერთადერთი გადარჩენილი ეგზემპლარი, როგორც ჩანს, ფრაგმენტი დიდი ნაწარმოებისა, რომელიც „ხელმარჯვე გადამწერს“ – ამენის ძეს აშენოს ეკუთვნის.

ძნელი დასადგენია, როდის ხდებოდა აქ აღწერილი ამბები. თქმულების გმირია კაპიტანი ხომალდისა, რომლის სიგრძე 120, ხოლო სიგანე 40 წყრთას შეადგენდა და რომელსაც 120 მეზღვაური ჰყავდა ეკიპაჟად. სპილენძის საბადოების მხრიდან მობრუნებული ხომალდი ქარიშხალს ჩაუძირავს. გადარჩენილა მხოლოდ ამ ექსპედიციის უფროსი, რომლის სახელი არ ვიცით. რობინზონის მსგავსად, მასაც უკაცური კუნძულისთვის შეუფარებია თავი. ეგვიპტოლოგთა აზრით, აქ ლაპარაკი უნდა იყოს სინას ნახევარკუნძულზე არსებულ სპილენძის საბადოების შესახებ, იქითკენ მიმავალი უმოკლესი გზა მეწამულ ზღვაზე გადის. ცნობილია, რომ ამ გზით სპილენძს ჯერ კიდევ ჩვ.წ.-მდე მეოთხე ათასწლეულში ეზიდებოდნენ. ოღონდ, გამორიცხული არ არის, რომ თქმულება უფრო ძველი იყოს წარმოშობით. მაშინ, შეგვიძლია, მეწამულ ზღვაში კი არა, ხმელთაშუა ზღვაში ან, სულაც, ატლანტის ოკეანეში ცურვა ვიგულისხმოთ. მაგრამ დავუბრუნდეთ თავად თქმულებას.

გადარჩენილი კაპიტანი, უწინარეს ყოვლისა, საზრდოს მოსაძებნად გაეშურა. ეს მაინცდამაინც საძნელო საქმე არ ყოფილა, რადგან კუნძულზე ჩინებული ხილი, თევზი და გარეული ფრინველიც მრავლად აღმოჩნდა. კაცმა ცეცხლი დააგზნო, დანაყრდა და ღმერთებს მსხვერპლი შესწირა.

„მაგრამ უეცრად გრგვინვისებური ხმა შემომესმა. ვიფიქრე, დიდი მწვანე ზღვა თავისი ზვირთებით კვლავ კუნძულს დაატყდა-მეთქი თავს და შიშმორეულმა სახეზე ხელები ავიფარე. ირგვლივ ხეები ლაწუნობდა და ფეხქვეშ მიწა ირყეოდა. რომ ავიხედე, დავინახე, რომ ეს იყო ოცდაათი წყრთის სიგრძე გველი, რომელსაც ორი წყრთის სიგრძე წვერი ჰქონდა. მისი სხეულის რგოლები ოქროთი იყო დაფერილი. ჩემსკენ მოიგრაგნებოდა გველი.

მუცლით განვერთხე მის წინაშე, ხოლო მან ბაგენი აღახვნა და მარქვა:

– აქ ვინ მოგიღო? აქ ვინ მოგიღო, არარაობავ? თუ პასუხს დააყოვნებ და არ მეტყვი, ვინ მოგიღო ამ კუნძულზე, მყისვე დაგფერფლავ და მას უმალ შეიცნობ, ვიდრე არარად იქცეოდე“.

მაგრამ გველს მუქარა არ შეუსრულებია და, რადგან კაცმა თავს გადამხდარი მოუთხრო, სანაცვლოდ, თავაზის ნიშნად, თვითონაც აუწყა თავისი ამბავი.

„– ყური მომაპყარ, გიამბობ, რა უბედურებაც დაატყდა ამ კუნძულს. აქ ვბინადრობდი მე ჩემი სახლეულითა და შვილებითურთ, სულ სამოცდათხუთმეტი გველი ვიყავით. ერთი ასულიც იყო ჩვენთან, უბრალო მოკვდავის ქალიშვილი, გარნა მას აღარ მივათვლი. ერთხელ ცით ვარსკვლავი ჩამოიჭრა და ყველანი ცეცხლმა მოიცვა. იმხანად მათთან არ ვყოფილვარ. ყველანი ამოიბუგნენ, ოდენ მე დავშთი ცოცხალი, მაგრამ გორად მდგარი მათი დამწვარი სხეულები რომ ვიხილე, ლამის მეც გავთავდი ჯავრით...

გველის წინაშე მუცელზე განრთხმული შუბლით მიწას შევეხე და ვარქვი:

– მე ფარაონს ვაუწყებ შენი ძლევამოსილების ამბავს, შენი დიდების ამბავს ვაცნობებ

მას. მე ვბრძანებ, ნელსურნელებანი მოგართვან... ჩემს ქალაქში ხოტბას შეგასხამ მთელი სახელმწიფოს დიდებულთა საბჭოს წინაშე..“.

ოთხი თვის შემდეგ ეგვიპტიდან ხომალდი მოსულა და დაღუპვას გადარჩენილი კაცი ორ თვეში სამშობლოში დაბრუნებულა.

ოღონდ ამაო იქნებოდა რუკაზე გველის კუნძულის ძებნა. კაცმა რომ თქვას, ის კუნძული აღარც უნდა არსებობედს, თუკი აღსრულდა გველის სიტყვები:

„... ამ კუნძულს რომ დააგდებ, კვლავად ველარ იხილავ მას, რამეთუ ეს არემარე ზვირთებში დაინთქმის“.

აღიძვრის ეჭვი; მართლა მეწამული ზღვა და სინას ნახევარკუნძული იგულისხმება თუ არა ამ მონათხრობში? ამ ეჭვს სამშობლოში კაცის ჩასვლამდე ორ თვეს ცურვა იწვევს. ეს ერთობ დიდი ვადაა ამ გზის გასავლელად, რომლის სიგრძე ზღვით 200 კილომეტრს, ხოლო ხმელეთით 150 კილომეტრს არ აღემატება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ ამდენ ხანს გაგრძელდა ამერიკისაკენ კოლუმბის პირველი მოგზაურობა, ამასთან, ამ დროის ნახევარი კანარის კუნძულებზე ხომალდების შეკეთებას მოუნდა, ხოლო ზღვაოსნობის ტექნიკა ეგვიტელთა დროიდან კოლუმბის ხანამდე მაინცადამაინც დიდად არ შეცვლილა.

პუნტად წოდებული ქვეყანა, რომლის მბრძანებელიც გველი იყო, არის ჩვენთვის უცნობი რომელიღაც მხარე, საიდანაც ეგვიპტელები ოქროსა და სპილოს ძვალს ეზიდებოდნენ. გველმა რომ გადარჩენილ კაცს ძვირფასი ტვირთის წაღების უფლება მისცა, იმ შენაძენს შეადგენდა „ნელსურნელებანი ხეკენუ, იუდენები, ხესიატი, ტიშეპსესი, მირა, თვალის შავი საცხი, ჟირაფის კუდები... არომატული ფისი და საკმეველი... სპილოს ძვალი, მონადირე ძაღლები, მაიმუნები, ბაბუინები და მრავალი სხვა იშვიათობა“.

სავარაუდოა, რომ გველის კუნძული ჩაძირული ატლანტისის ნაშთთაგანი იყოს. ეს ნაშთები ნელ-ნელა წყლით იფარებოდა ალბათ“[1].

ატლანტისის მდებარეობა უკვე ვიცით, ამიტომ „გველის კუნძულის ამბავს თუ რამე მნიშვნელობა აქვს, ისაა, რომ მოგვითხრობს გრანდიოზული კატასტროფის შესახებ. შეიძლება ეს იყოს კოსმოსური კატასტროფა, რომელსაც მოჰყვა მიწისძვრები და ამან დაანგრია კუნძული, ან კიდევ ვულკანური ამოფრქვევა, რომელსაც მიწისძვრები ახლავს. ამასთან, ორივე შემთხვევაში, ადამიანებს თავდაპირელად უბედურება ზემოდან ატყდებათ.

ზღვაში დანთქმულ კუნძულთან ერთად დაიღუპებოდა ის ხალხი და მისი კულტურა, რომელთა ღვთაება გველი ყოფილა. „ხელმარჯვე გადამწერს“. – ამენის ძე აშენოს კი ამ თემაზე ერთობ პოეტური ამბავი შეუთხზავს. ზუსტად როდის მოხდა ეს კატასტროფა ან სად, ძნელი სათქმელია, მაგრამ აშკარაა, მასში აისახა მოვლენა, რომელიც დიდხანს შემორჩა კაცობრიობის მეხსიერებას.

მივუბრუნდეთ ნამდვილი, ანუ ეგეიდაში არსებული და იქ დაღუპული ატლანტისის თემას:

„1939 წელს ახალგაზრდა ბერძენმა არქეოლოგმა სპირიდონ მარინატოსმა ინგლისური სამეცნიერო ჟურნალის „ანტიკვიტის“ ფურცლებზე გამოთქვა ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც მინოსის სამეფო დაიღუპა კუნძულ-ვულკანის აფეთქების შედეგად. და, როგორც გვიჩვენეს შემდგომმა კვლევებმა, რომლებშიაც მონაწილეობდნენ არა მარტო ხმელეთის, არამედ წყალქვეშა არქეოლოგებიც, ვულკანოლოგები, სეისმოლოგები, გეოლოგები და წყ-

1 იხ.: ლუდვიკ ზაიდლერი, „ატლანტისი“, გამომცემლობა „ნაკადული“,თბილისი, 1972 წ., გვ. 99-101.

ალქვეშა გეოლოგიის სპეციალისტები, ეს ჰიპოთეზა ბრწყინვალედ დადასტურდა“[1].

ის, რომ ატლანტისი სტიქიური უბედურების შედეგად დაიღუპა, პლატონის ფანტაზიის ნაყოფი არ არის. ამასთან, ჩვენ სიტყვასიტყვით არ უნდა გავიგოთ მისი ნათქვამი ამ უბედურების შედეგების შესახებ. მაგრამ ის, რომ მინოსურ კულტურას სანტორინის ვულკანის ამოფრქვევამ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა, ეს ფაქტია, ოღონდ არც მთლიანად კუნძული მოუსპია და არც იქ მცხოვრები ადამიანები, – ამას სხვადასხვა ტიპის კატასტროფების თაობაზე არსებული და ჩვენამდე მოღწეული ცნობებიც მოწმობს. მაგალითისათვის გავიხსენოთ ვულკანი ვეზუვი და რომაული ქალაქი პომპეის ისტორია. ძვ.წ. 79 წლის 24 აგვისტოს მოხდა საყოველთაოდ ცნობილი ამოფრქვევა, რომლის დროსაც კრატერიდან ამოფრქვეულმა ფერფლისა და პემზის, აგრეთვე მომწამლავი აირების უზარმაზარმა ვულკანურმა მასამ მთლიანად დაფარა ახლოს მდებარე სამი ქალაქი: პომპეი, ჰერკულანუმი და სტაბიუმი. XVII-XX საუკუნეებში ვეზუვი რამდენჯერმე ამოიფრქვა, კერძოდ, 1631, 1794, 1822, 1872, 1906, 1927 და 1944 წლებში, მაგრამ ამას იმ ადგილას ქალაქური ცხოვრება არ მოუსპია და ვულკანური ფერფლით დაფარული პომპეის გვერდით არსებობს ქალაქი პომპეი, ხოლო იმ ადგილს, სადაც ჰერკულანუმი იყო, დღესაც ეწოდება ლა სივიტა, ე.ი. ქალაქი. ანუ, მიუხედავად ორი ათასი წლის განმავლობაში ვეზუვის ამოფრქვევებისა, არც ლავის მიერ განადგურებული ქალაქების ხსოვნა დაკარგულა და იმ მიდამოებში არც ქალაქური ცხოვრება გამქრალა, რადგან ვულკანურმა ამოფრქვევამ, ისევე, როგორც ყველა სხვა სტიქიურმა უბედურებამ, შეიძლება ერთი კულტურის დაცემა გამოიწვიოს, მაგრამ ამით მეორის წარმოქმნას უწყობს ხელს...

სტიქიური კატასტროფების, განსაკუთრებით, კი ვულკანური აქტივობის მიზეზები დიდხანს ვერ აეხსნა კაცობრიობას და, როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება, ის გააღმერთეს... ბერძნულ მითოლოგიაში მას ჰეფესტოსი (Hphaistos) ჰქვია, ზევსისა და ჰერას ვაჟი, დიდოსტატი მჭედელი, ბუნების სტიქიურ ძალთა განსახიერება, დაუშრეტელი ცეცხლის ღვთაება. ის დღედაღამ შრომობდა მიწისქვეშა სამჭედლოში, ვულკან ეტნას წიაღში, რომლის ამოფრქვევაც ძველ ბერძნებს ჰეფესტოსის მუშაობის ღვთაებრივ გამოვლინებად მიაჩნდათ. იშვიათი ხელოვნებით ჭედდა საჭურველს, ხელსაწყოებს და სამკაულებს. ჰქონდა რამდენიმე ზედწოდება, მის უებრო ოსტატობას რომ წარმოაჩენდა. მაგალითად, „კლიტოტექნეს“ – სახელოვანი ოსტატი. გარეგნულად გონჯი იყო, კოჭლი, ასეთად დაიბადა, ორჯერ გამოაგდეს ოლიმპოდან; ერთხელ ჰერამ, იმიტომ რომ გონჯი დაიბადა და შვილად არ აღიარებდა. ჩავარდა ოკეანეში, ის ზღვის ქალღმერთმა თეტიდამ და ოკეანის ასულმა ევრინამ გაზარდეს. გამოჭედა ოქროს ტახტი–ხაფანგი, – ვინც ზედ დაჯდებოდა, ველარ ადგებოდა, – და ჰერას გაუგზავნა. ის დაჯდა ტახტზე და ველარ ადგა. ჰეფესტომ გათავისუფლება აღუთქვა იმ პირობით, რომ ჰერა მას შვილად მიიღებდა. მანაც ჰეფესტო შვილად აღიარა და ამ უკანასკნელმა ოლიმპოზე ადგილი მოიპოვა. ამის მერე ჰეფესტოსი ოჯახური დავის დროს სულ თავის უარმყოფელ დედას ექომაგებოდა ხოლმე. ამით განრისხებულმა ზევსმა ფეხებში ხელი ჩაავლო და მეორედ მოისროლა ოლიმპოდან. ის დაეცა კუნძულ ლემნოსზე, რომელიც მისი საყვარელი ადგილი იყო და იქ სამჭედლო მოაწყო. ჰომეროსის მიხედვით ოლიმპოზეც გამართა სამჭედლო, ოცი საბერველით აღვივებდა ქურას და ცეცხლში იწრთობოდა რკინა, დნებოდა ოქრო და ვერცხლი. ჰეფესტომ სასახლეები აუშენა ღმერთებს. თავად ყველაზე კარგი, სპილენძის სასახლე აიშენა, ვარსკვლავებით მოჭედილი. ჰეფესტომ

1 იხ.: А.М. Кондратов, «Атлантиды моря Тетис», Ленинград, Гидрометеоиздат, 1986 г., გვ. 87.

გამოუჭედა აქილევსს ფარი, დიომედეს – აბჯარი, ეროსს – ოქროს ისრები, დიონისეს – თირსოსი; მანვე გამოჭედა ჰელიოსის ეტლი, ზევსის დავალებით კლდეს მიაჯაჭვა პრომეთე. ჰეფესტომ დაჰკრა ზევსს თავში ჩაქუჩი და გაპობილი თავიდან სრულად აღჭურვილი ათენა იშვა.

ჰეფესტოსის კულტს აღნიშნავდნენ ათენსა და კუნძულ ლემნოსზე.

ვულკანი, ლათინურად Vulcanus, რომაელთა ჰეფესტოა, ცეცხლისა და მჭედლობის ღმერთი. მას სამჭედლო ჰქონდა ეტნას წიაღში, ამ მთიდან კი ბოლი ამოდიოდა. ვულკანის დღესასწაულები, ვულკნალიები, 23 აგვისტოს იმართებოდა. ვულკანის სახელი ეწოდა ცეცხლისმფრქვეველ მთას. ვულკანზე არსებული მითები არც ისეთი მრავალრიცხოვანი და მრვალფეროვანია, როგორიც ჰეფესტოს შესახებ შეთხზული. სამაგიეროდ, ვულკანს რომში უფრო პოლიტიკური მნიშვნელობა მიენიჭა, – მის ტაძარში სენატის სხდომები იმართებოდა, ხოლო ტაძართან ახლოს – სახალხო კრებები.

სტიქიური კატასტროფებისა და ვულკანური აქტიურობის მიზეზები, მოგეხსენებათ, კაცობრიობამ დიდხანს ვერ ახსნა და მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევარში საბოლოოდ დაასკვნეს, „რომ ვულკანურ მოქმედებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი პლანეტის ჩამოყალიბების უწყვეტ პროცესში“[1].

ერთი სიტყვით, ვულკანური პროცესები თითქმის ჩვენი პლანეტის გაჩენისთანავე დაიწყო და დღემდე გრძელდება. დედამიწაზე ბევრია ადგილი, სადაც იყო და არის ჩამქრალი ან კიდევ მოქმედი ვულკანები.

ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ, ეგეიდა უდავო ინტერეს იწვევს, რადგან მისი ფორმირების საქმეში ვულკანურ პროცესებს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამის შესახებ ისევ ა. გალანოპულოსისა და ე. ბეკონის ნაშრომს უნდა მივუბრუნდეთ: „... აუცილებელია, ყურადღებით შევისწავლოთ ეგეოსის ზღვის აუზი, გამოვიკვლიოთ მისი გეოლოგიური ისტორია. ხომ არ შეიძლებოდა, მოცემულ რაიონში კატაკლიზმების მთელი სერია მომხდარიყო სამყაროს კატაკლიზმებისაგან დამოუკიდებლად? თუ შემორჩა მსგავსი კატაკლიზმის შესახებ რაიმე მოწმობა?

მესამეული პერიოდის შუახანებში, ანუ დაახოლებით 30 მილიონი წლის წინ, საბერძნეთის ნახევარკუნძული, იონიის კუნძულები, მთელი დასავლეთ მცირე აზია და ეგეოსის ზღვა ხმელეთის ერთ დიდ ნაწილს წარმოადგენდა. ეს ნაწილი, შედეგი ალპური დანაოჭებისა, რომელიც ოლიგოცენის პერიოდში დაიწყო და გაგრძელდა მეოცენის ბოლომდე, მრავალი გეოლოგის „ეგეიდად“ იწოდება. მათი ჩამოყალიბებისთანავე, ჩამოზვავებისა ზღვაში, კერძოდ, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მიუთითებენ იმას, რომ მთათა წარმოქმნის პროცესები, ამ რაიონის ფორმირება რომ მოახდინეს, ჯერაც არ დამთავრებულა.

ეგეოსის ზღვაში ვულკანური აქტიურობა მესამეულ პერიოდში დაიწყო, საბერძნეთის მცირე აზიასთან შემაერთებელი ხმელეთის ჩაძირვისა და ნაპრალების გაჩენის თანადროულად. ამ მასივის ინტენსიურმა რღვევამ საშუალება მისცა ვულკანურ მაგმას, შეეღწია ნაპრალებსა და ბზარებში, ამოეხეთქა ეგეოსის ზღვის ზედაპირზე, იმ ადგილებში, სადაც დედამიწის ქერქის წინააღმდეგობა ყველაზე ნაკლები იყო. ეგეოსის ზღვაში ბევრი ვულკანური ცენტრი წარმოიქმნა, ოღონდ, ისტორიულ დროებაში აქტიური მხოლოდ სამი ასეთი ცენტრი იყო და ყველა ისინი განლაგებული იყო კიკლადების კუნძულების ვულკანურ

1 იხ.: ჰარუნ თაზიევი, „25 წელი მსოფლიოს ვულკანებზე“, გამომცემლობა „საქართველო“, თბილისი, 1992 წ., გვ. 162.

ზონაში. ეს ზონა გადაჭიმულია ეგეოსის ზღვის გარდიგარდმო, წარმოქმნის გარე მხრით კრეტისაკენ მიმართულ რკალს. მასში შედის ვულკანური ცენტრები: სუვაკი (კალამაკის ახლოს), ეგინი, მეთანი, პაროსა, ანტიმელოსა, მელოსა, ანანოსა, კიმოლოსა, პოლივოსა, სტრონგილონა, დესპოტიკონი, ანტიპაროსა, სანტორინა, კრისტიანონა, კოსა და ნისიროს. ამ ზონაში ვულკანური მოქმედება დაიწყო პლიოცინის პერიოდში, დაახლოებით ათი მილიონი წლის წინ. ვულკანი მეთანზე ჩაწყნარდა ძვ.წ. 282 წელს. ნისიროსზე უკანასკნელი ამოფრქვევა მოხდა ჩვენი ერის 1422 წელს. ვულკანმა სანტორინზე აქტიურობა ჯერ კიდევ 1956 წელს გამოავლინა“[1].

ეს ციტატა დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის ეგეოსის ზღვის აუზისა და მისი კუნძულების წარმოშობის თაობაზე და მასში კარგადაა დასაბუთებული, რომ ხმელთაშუა ზღვის ეს ნაწილი ერთ-ერთი ყველაზე ინტენსიური ვულკანური აქტივობის რაიონი იყო; ვულკანებმა ეგეიდის ფორმირებაში ნამდვილად შეასრულეს მნიშვნელოვანი როლი. ეს ისტორიამდელ დროს, მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აქ ვულკანური აქტიურობა შეინიშნებოდა XX საუკუნის 50-იან წლებშიც, გამოდის, რომ ვულკანები ეგეიდის კულტურულ ცხოვრებაზე ისტორიულ დროშიც არანაკლებ ზემოქმედებას ახდენდა.

ეგეიდის ვულკანური წარმოშობის კუნძულებიდან და მათზე არსებული ვულკანებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი სანტორინია. ეს სიტყვა „წმინდა ირინას“ ნიშნავს. ამ კუნძულს სხვა სახელიც აქვს, უფრო ძველი – სტრონგილე, ანუ „მრგვალი კუნძული“. ფორმით ის მართლაც მრგვალია, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ოდესღაც ჰქონდა მრგვალი ფორმა, თუმცა მისი ნარჩენი კუნძულები: ტირა, ტირასია, ნეა-კაიმენი, პალეკაიმენი და ასპრონისი ისეა განლაგებული, რომ სტრონგილეს თავდაპირველი ფორმა აშკარად იკითხება. ამასთან, სანტორინის ეს კუნძულები სახილველად მეტად ლამაზია. 1892 წელს ნორმან დუგლასმა კუნძულები ნახა და აღფრთოვანებული წერდა: „სანტორინი აუცილებლად უნდა ნახო! როგორც კი წავიკითხე ფოსვინკელის „De Theralorum Insulis“. – დაუჯერებლად მოსაწყენი, ოღონდ სასარგებლო საერთო აღწერა, რადგან მასში იმოწმებს კლასიკურ წყაროებს, – მე გადავწყვიტე და შევაგროვე სანტორინის შესახებ მთელი ინფორმაცია, რისი შეკრებაც შევძელი. ცოტა არ მომიპოვებია! კუნძული ფანტასტიკური მეჩვენა. სიტყვები „ფერწერული“ ან „რომანტიკული“ არ გადმოსცემენ იმ შთაბეჭდილებას, რომელიც წარმოიშვება ამ ფრიალო კლდეების დანახვისას; ზღვისა და ხმელეთის ფერები სუნთქვას შეგიკრავს. ჩრდილოეთის მკრთალი ცის ქვეშ ეს სანახაობა საშინელების გრძნობას გამოიწვევდა, მაგრამ აქ მაისის დღის დამაბრმავებელი ციალისას ის ზღაპრულად მშვენიერი იყო. არ ვიცი, მოახდენდა კია სანტორინი ასეთივე შთაბეჭდილებას დღეს, მაგრამ ეს უკვე სხვა საკითხია: როცა ბევრ საინტერესოს ნახავ, გრძნობები ჩლუნგდება. მიუხედავად ამისა, მე დარწმუნებული ვარ, ეს კუნძული არავის გულს არ გაუტეხს“[2].

ეს თვალწარმტაცი კუნძულები, არც მეტი, არც ნაკლები, დიდი ხნის მანძილზე მოქმედი ვულკანია... მან მოქმედება დაიწყო 100 ათასი წლის წინ და მისმა ამოფრქვევებმა ეგეოსის ზღვის ამ ნაწილის ფორმირება დაახლოებით 25 ათასი წლის წინ დაამთავრა. 3500

1 იხ.: А.Г. Галанопулос, Э. Бэкон, «Атлантида за легендой - истина», Издательство «Наука», Москва, 1983 г., გვ. 77-79.

2 იხ. А.Г. Галанопулос, Э. Бекон, «Атлантида за легендой – истина», изд-во «Наука», Москва, 1983 წ., გვ. 81-82.

წლის წინ მომხდარმა გიგანტურმა ამოფრქვევამ სანტორინის კუნძულებს დღევანდელი სახე მისცა. 1200 წლის შემდეგ ვულკანი კვლავ გამოცოცხლდა. ამოფრქვევები სანტორინის კუნძულების ფსკერზე ხდებოდა, რის შედეგადაც ძვ.წ. 197 წელს გაჩნდა ვულკანური წარმოშობის პატარა კუნძული იერა; ძვ.წ. 46 წელს იერას მახლობლად წარმოიშვა მეორე ვულკანური კუნძული თეია. ძვ.წ. 32 წელს მომხდარმა ვულკანურმა ამოფრქვევამ ეს კუნძულები შეაერთა. შემდეგი ვულკანური ამოფრქვევა ახ.წ. 727 წელს მოხდა, რამაც შეერთებული კუნძულები კიდევ უფრო გააფართოვა. ამის შემდეგ ვულკანმა მიიძინა და მხოლოდ შვიდნახევარი საუკუნის შემდეგ, 1452 წელს გამოიღვიძა და ამოფრქვევის შედეგად კიდევ უფრო გაზარდა კუნძულ იერა-თეიას ფართობი. ვულკანი კვლავ ამოიფრქვა 1508 წელს და დაამთავრა კუნძულ პალეა-კაიმენის ფორმირება. ამ დროისათვის კუნძულის უმაღლესი წერტილის სიმაღლე ზღვის დონიდან 100 მეტრი იყო. 1570-1573 წლებში უწყვეტად მიმდინარეობდა წყალქვეშა ამოფრქვევები. ამას მოჰყვა კიდევ ერთი კუნძულის – მიკრო-კაიმენის გაჩენა. 1650 წელს კუნძულ ტირადან ჩრდილოეთით, ექვსნახევარი კილომეტრის მანძილზე დაიწყო წყალქვეშა ვულკანის მძლავრი ამოფრქვევა, ამას მიწისძვრები მოჰყვა. მალე კუნძულ ტირსზე მთა მეროვიგლი ორად გაიპო, ყველაფერმა ამან კი ცუნამი გამოიწვია და უზარმაზარი ტალღები დაატყდა კრეტისა და კიკლადის კუნძულებს. ქარის მიერ წაღებულმა ვულკანურმა ფერფლმა მცირე აზიის ნახევარკუნძულს მიაღწია, ხოლო ამოფრქვევის ხმა დარდანელის სრუტეში, 400 კილომეტრზე ისმოდა. ამ ამოფრქვევის შედეგად კუნძულ ტირას ჩრდილო-დასავლეთით გაჩნდა კუნძული, რომელიც მალევე ჩაიძირა. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ, 1707 წელს, ვულკანის მოქმედების შედეგად გაჩნდა კუნძული ნეა-კაიმენი. საუკუნენახევრის შემდეგ, 1866 წელს, ვულკანოსის ყურეში კუნძულ ნეა-კაიმენზე ამოქმედდა წყალქვეშა ვულკანი და 1870 წლამდე განაგრძობდა ამოფრქვევას, რის შედეგადაც კუნძულ ნეა-კაიმენის ფართობი ოთხჯერ გაიზარდა. 1928, 1939-1941 წლებისა და 1945 წლის ვულკანურმა ამოფრქვევებმა კუნძული ნეა-კაიმენი ისე გაზარდა, რომ ნიკრა-კომენს შეუერთდა. ამ ორ კუნძულს შორის სივრცის შემავსებელი კუნძული დაფნი ამოიწვერა, შემდეგ კი სამივე გაერთიანდა ერთ დიდ კუნძულად. ჯერჯერობით უკანასკნელი ამოფრქვევა 1956 წელს მოხდა.

ყოველივე ზემოთქმულს უნდა დავუმატოთ კიდევ ის, რომ ეგეოსის ზღვის რაიონი დედამიწაზე სეისმურად ერთ-ერთი ყველაზე აქტიური რაიონია, რაც, ცხადია, ვულკანური ამოფრქვევების დროს კიდევ უფრო გაზრდიდა კატასტროფის შედეგებს, რადგან ვულკანის მოქმედებას მიწისძვრები მოჰყვება ხოლმე.

ასეთი გახლდათ ხმელთაშუა ზღვის ის ნაწილი, სადაც 3500 წლის წინ გიგანტური ვულკანური ამოფრქვევა მოხდა. მისი მასშტაბები რომ განესაზღვრათ, ანგელოს გალანოპულოსმა და ედვარდ ბეკონმა ის შეუდარეს ინდონეზიაში კრაკატაუს ვულკანის ამოფრქვევის მასშტაბებს. აი, რას წერენ ისინი ამის თაობაზე: „მაგრამ იმისათვის, რომ სრულფასოვნად შევაფასოთ ჩვ.წ.-მდე XV ასწლეულში სტრონგილე-სანტორინის საშინელი ამოფრქვევის ტრაგიკული შედეგები, აუცილებელია ის შევუდაროთ ისტორიულ დროს (1883 წლის 27 აგვისტო) დარეგისტრირებულებიდან ყველაზე მძლავრის, ვულკან კრაკატაუს ამოფრქვევას, მით უმეტეს, გერმანელი ვულკანოლოგი გ. რეკი ამტკიცებს, რომ ვარცლისმაგვარი სანტორინის კალდერა წარმოიქმნა ზუსტად იმდაგვარად, როგორც კრაკატაუს ვულკანური ღრმული ზონდის სრუტეში, სუმატრასა და იავას შორის.

ამ ამოფრქვევამდე კრაკატაუს 203 წელი ეძინა. გაიღვიძა 1883 წლის 20 მაისს, მაგრამ

ფეთქებადი აქტიურობა უმნიშვნელო იყო. აპოგეას მიაღწია მხოლოდ 27 აგვისტოს. იმ დღეს, საშინელ აფეთქებათა სერიის შემდეგ, კუნძულის სამი მეოთხედი, 21 კვადრატული მილი, ზღვაში დაინთქა და ამ ადგილზე გიგანტური ღრმული, 110-დან 160-მდე ფატომი, წარმოიქმნა.

ინდოეთის ოკეანის წყლები ამ ნაპრალში ჩაიღვარა. წყლის დიდი მასების უეცარმა გადაადგილებამ გამოიწვია სამი უზარმაზარი ტალღა. ანიერში, იავაზე. მათ მიაღწიეს 118 ფუტ (39 მ) სიმაღლეს, ხოლო ტელუკბეტუნგში, სუმატრაზე – 131 ფუტს (43 მ). ტელუკბეტუნგში ტალღამ დანიური სამხედრო გემი გამოტყორცნა ხმელეთზე და ის ნაპირიდან ერთ მილზე გაეჩხირა ზღვის დონიდან 30 ფუტ (10 მ) სიმაღლეზე. ნაწილობრივ ან მლიანად დაინგრა ანიერი და კიდევ ოცდაცხრა სხვა ქალაქი იავასა და სუმატრას ბრიტანულ სანაპიროზე; 36 ათასი კაცი დაიღუპა ან დაიხრჩო კატასტროფის შედეგად. კრაკატაუს ამოფრქვევით გამოწვეულმა ჰაერის ტალღამ ზღვაზე ისეთი ღელვა გამოიწვია, რომ ჩილეში, ვალპარაისოს რეიდზე მდგარი გემები ღუზას მოსწყვიტა. გამოანგარიშებულია, რომ „მსგავსი ჰაერის ტალღის დარტყმა შეიძლებოდა გამოეწვია 100-150 მეგატონის ბომბის აფეთქებას“.

კრაკატაუს ამოფრქვევისას გრგვინვა იმდენად ძლიერი იყო, რომ 100 მილის რადიუსზე სახლების მინები ჩაიმსხვრა და კედლები დასკდა. ის ისმოდა 2250 მილის მანძილზე სამხრეთ-აღმოსავლეთ ავსტრალიაში და 2968 მილის მანძილზე დასავლეთით, კუნძულ როდრიგესზე ინდოეთის ოკეანეში. ხმოვანმა ტალღამ სამჯერ შემოუარა დედამიწას. კუნძულის გარშემო პემზის ფენის სისქემ 13 ფუტს (4,20 მ) მიაღწია. ვულკანური ფერფლი ატყორცნილი იყო 15-18,5 მილის სიმაღლეზე. ფერფლის რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ 275 მილის რადიუსში მთელი ცა დაფარა და დღე ღამედ აქცია. ვულკანიდან 130 მილის მანძილზე უკუნი წყვდიადი 22 საათი, ხოლო 50 მილის მანძილზე – 57 საათი გაგრძელდა. ამოფრქვევიდან სამი დღის შემდეგ ფერფლის უზარმაზარმა მასამ დაფარა 1600 მილის რადიუსში მყოფი ხომალდების გემბანები. ვულკანიდან ამონატყორცნმა ღრმა არხები ამოავსო და მათზე ნაოსნობა შეწყდა. შუა ამოფრქვევის დროს წვრილი ვულკანური ფერფლი ავიდა 50 მილის სიმაღლეზე და მისი ნაწილი იაპონიას, აფრიკასა და ევროპას მისწვდა. მტვრის ნაწილაკები მზის სხივებს ირეკლავდა და „ზოგიერთ ადგილას, პუჩკიპსში (ნიუ-იორკი) და ნიუ-ჰეივანში (კონეკტიკუტი) სახანძრო მანქანებიც კი გამოიძახეს, რათა აალებულ ცას გამკლვებოდნენ“. აშშ-სა და ევროპაში მრავალი თვის განმავლობაში, მზის ამოსვლისა და მზის ჩასვლის წინ, გამოჩნდებოდა ხოლმე სხვადასხვა ინტენსივობის წითელი ციალი.

დაანგარიშებულია, რომ ვულკანის მიერ ამოტყორცნილი ქანების მასა უტოლდება დაახლოებით 18 კუბურ კილომეტრს! ამას უნდა მივუმატოთ 3 კუბური მილი აირები პირველსაწყისი, 425 ატმოსფეროს წნევითა და 1400°C ტემპერატურით. მთავარი ამოფრქვევის თერმული ენერგია უტოლდება 100 ათას მილიონ კილოვატ/საათს, ხოლო ამოფრქვევის საერთო ენერგია გაანგარიშებით 200 მილიონი კილოვატ/საათი უნდა ყოფილიყო. 1950 წლისათვის ელექტროენერგიის საერთო ხარჯვა 250-ჯერ ნაკლები იყო 1883 წელს კრაკატაუს ამოფრქვევის თბოენერგიასთან შედარებით.

მოდით, ახლა შევუდაროთ ერთმანეთს ორი დიდი ამოფრქვევის შედეგები – 1883 წლის კრაკატაუს ვულკანისა და ჩვენს ერამდე XV ასწლეულის სანტორინისა.

სანტორინის კალდერას 32 კვ. მილი ფართობი უკავია, სიღრმე – 160-220 ფატომი.

კრაკატაუს კალდერა 8 კვ. მილს არ აღემატება, სიღრმე – 110-160 ფატომი.

ამრიგად, სანტორინის კალდერა დაახლოებით ხუთჯერ უფრო დიდი მოცულობისაა, ვიდრე კრაკატაუსი.

კრაკატაუს მიერ ამოტყორცნილი ფერფლის ფენის სისქე 40 სანტიმეტრს არ აღემატება. სანტორინზე ფერფლით დაფარული ფართობი მეტია, ფერფლის ფენის სისქე კი 30-40 მეტრს აღწევს!

სანტორინის ამოფრქვევის თერმული ენერგია, პეტერ ჰედერვარის გამოანგარიშებით, დაახლოებით სამჯერ დიდი იყო, ვიდრე კრაკატაუს ამოფრქვევისას. სანტორინის ვულკანის აფეთქებით გამოწვეული ცუნამის ენერგია ორჯერ ნაკლები იყო 1960 წელს ჩილეში მიწისძვრით გამოწვეული ტალღების ენერგიაზე"[1].

როგორც ამ ციტატიდან ჩანს, საქმე გვაქვს კაცობრიობის ისტორიაში მომხდარ ერთ-ერთ უდიდეს ვულკანურ კატასტროფასთან. კითხვაზე: შეეძლო თუ არა მას, გამანადგურებელი ზემოქმედება მოეხდინა კრეტის მინოსურ სახელმწიფოზე, პასუხი შეიძლება იყოს მხოლოდ დადებითი: დიახ, გაანადგურებდა, ოღონდ, კვლავ გავიმეორებ ნათქვამს, არა „ერთი საზარელი დღე-ღამის განმავლობაში", როგორც ამას პლატონი წერდა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს მინოსური კულტურის დაცემის საფუძველი გახდა. ამ კატასტროფის მასშტაბებსა და შედეგებზე კვლავ გვექნება საუბარი, ახლა კი საჭიროა, პასუხი გაეცეს კითხვას: ზუსტად როდის ამოიფრქვა მაშინდელი კულტურული სამყაროს შუაგულში მდებარე სტრონგილე-სანტორინის ვულკანი? ამისი პასუხი ისევ ა. გალანოპულოსისა და ე. ბეკონის წიგნშია საძებნი: „რაც შეეხება კატასტროფის თარიღს, პროფესორი სპირიდონ მარინატოსი, სანტორინის არქეოლოგიურ მონაპოვარზე და კრეტაზე აღმოჩენილი პემზის ფენის სისქეზე დაყრდნობით, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კრეტაზე სანაპირო დასახლებები დანგრეულ იქნა ცუნამის გიგანტური ტალღის მიერ და, მისი აზრით, ეს მოხდა 1520 წელს ჩვენს ერამდე"[2].

ანგელოს გალანოპულოსი და ედვარდ ბეკონი ბევრად უფრო ფრთხილად ეკიდებიან კატასტროფის თარიღის დადგენის საკითხს და გამოთქვამენ შემდეგ მოსაზრებას: „1956 წლის 9 ივლისის დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ ამ წიგნის ერთ-ერთი ავტორი (ა.გ. გალანოპულოსი) ეწვია ტიროსს, რათა განესაზღვრა ზარალი და პოცოლანის ადგილობრივი კარიერის მფლობელის, ბატონ კ. პაპაგეორგიუსაგან გაიგო, რომ პემზის ყველაზე ქვედა ფენის ქვეშ აღმოჩენილია წინაისტორიული ნაშთები. მისი კარიერი ფერას, ტირას მთავარი ქალაქის შორიახლოსაა განლაგებული. წინაისტორიულ კედელში აღმოჩნდა სხვადასხვაგვარი თიხის ნამტვრევები, რამდენიმე ქვის იარაღი, ადამიანის ძვლები და კბილები, ორი მათგანი შემომწვარი იყო, ზეთისხილის ფოთლები და ფიჭვის ხის დანახშირებული ნაჭრები. ხის ეს პატარა ნაწილები დაუყოვნებლივ გაგზავნეს ნიუ-იორკში, კოლუმბიის უნივერსიტეტის გეოლოგიურ ლაბორატორიაში. ფ.ა. ოლსონის და უ.ს. ბროკერის მიერ ჩატარებულმა რადიონახშირბადის ანალიზმა აჩვენა, რომ კუნძულ ტირადან გამოგზავნილი ნიმუშები ამოღებული იყო ნახშირბადის ციკლიდან და დაღუპულა 3370±100 წლის წინ, არა უადრეს 1500 და არა უგვიანეს 1310 წლებისა ჩვენს ერამდე და ეს დათარიღება არავითარ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება კრეტაზე კერამიკისა და მოხატულობის მიხედ-

1 იხ.: А.Г. Галанопулос, Э. Бэкон, «Атлантида за легендой - истина», Издательство «Наука», Москва, 1983 г., გვ. 92-93.

2 იხ.: იქვე, გვ. 98.

ვით დადგენილ თარიღებს.

ახლახან დ.გ. ბენეტმა, გამომდინარე ცნობილი პიროსის მარმარილოს მიხედვით დადგენილი დევკალიონის წარღვნის დროიდან, აგრეთვე ფარაონ თუთმოს III-ის სიკვდილის თარიღიდან და ისრაელელთა ეგვიპტიდან გამოსვლის დროიდან, ივარაუდა, რომ სანტორინის ცენტრალური ნაწილი ზღვაში დაინთქა ჩვენს ერამდე 1447 წელს, რაც სრულიად ემთხვევა რადიონახშირბადის ანალიზის მონაცემებს"[1].

როგორც ხედავთ, სტრონგილე-სანტორინის გიგანტური კატასტროფის – თუ კატასტროფების რამდენიმე თარიღი გვაქვს: ს. მარინატოსი ძვ.წ. 1520 წელს უთითებს, დ.გ. ბენეტი – ძვ.წ. 1447 წელს. რაც შეეხება ა. გალანოპულოსსა და ე. ბეკონს, ისინი თვლიან, რომ ვულკანის ამოფრქვევა ძვ.წ. 1510-1310 წლებს შორის უნდა მომხდარიყო და რომ იყო არა ერთი, არამედ სამი ამოფრქვევა 25-30- წლიანი ინტერვალებით და ბოლოს, ჩაიძირა კუნძულ სანტორინის მოზრდილი ნაწილი, რასაც უზარმაზარი ცუნამი უნდა მოჰყოლოდა.

ამ კატასტროფამ, გამომდინარე თავისი გრანდიოზული მასშტაბებიდან, აღმოსავლეთი ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებზე დიდი გავლენა მოახდინა. ამას აღიარებენ ისინიც, ვისაც ეგეოსის ზღვაში ატლანტისის არსებობა დაუშვებლად მიაჩნიათ: „საბჭოთა ატლანტოლოგი ნ.ფ. ჟიროვი თვლის, რომ ეგეოსის ზღვაში ჰერაკლეს სვეტებიდან მარჯვნივ და არა მარცხნივ მდებარე გალანოპულოსის „ატლანტისი" – ეს „რაც გნებავთ, ისაა, მხოლოდ არა პლატონის ატლანტისი", თუმცა სანტორინ-სტრონგილეს აფეთქებას და მისგან გამოწვეულ მძლავრ ცუნამს მართლაც შეეძლო საბედისწერო გავლენა მოეხდინა კრეტის მინოსური ცივილიზაციის დაისზე „და ეგვიპტის ისტორიის ზოგიერთ მომენტებზეც კი"[2].

ნ. ჟიროვი ორთოდოქსი ატლანტოლოგია და ატლანტის ოკეანის გარდა სადმე სხვაგან ატლანტისის არსებობა მისთვის დაუშვებელია; მაგრამ თავისი მოსაზრების მეორე ნაწილში ის ობიექტურად მსჯელობს, რომ სანტორინის ვულკანის სამმა ამოფრქვევამ და თანმხლებმა მოვლენებმა ნამდვილად მოახდინეს მინოსურ კრეტაზე და ეგვიპტეზე (და არა მხოლოდ მათზე) გავლენა.

ეგეიდის არქაული ისტორიისა და კულტურის მკვლევარმა, პროფესორმა დ. ბენეტმა სანტორინის ვულკანის ამოფრქვევის შედეგების თავისებური არეკვლა აღმოაჩინა ბიბლიურ თქმულებებში, იქ აღწერილ, ეგვიპტელთათვის თავს დატეხილ უბედურებათა სახით, რაზეც „გამოსვლაშია" ლაპარაკი: უდაბნოში ცხვრების მწყემს მოსეს მაყვლის ბუჩქზე დანთებულ ცეცხლად მოვლენილმა ღმერთმა ეგვიპტიდან ისრაელელთა გამოყვანა დაავალა. მოსე შეეჭვდა თავის შესაძლებლობებში, იცოდა, მოძმეთა დარწმუნება ძნელი იქნებოდა და, თუმცა ღმერთი თანადგომას ჰპირდებოდა, მაინც ყოყმანობდა. დავალების სირთულეს ღმერთიც აცნობიერებდა: „3,19. ვიცი, არ გაგიშვებთ ეგვიპტის მეფე, თუ მაგარმა ხელმა არ აიძულა. 3,20. მოვიღებ ხელს და დავსჯი ეგვიპტეს მთელი ჩემი სასწაულებით, რომლებსაც მოვახდენ მის შუაგულში. მხოლოდ ამის შემდეგ გაგიშვებთ იგი. 3,21. მადლს ვაპოვნინებ ეგვიპტელთა თვალში ამ ხალხს და როცა წასვლის დრო დაგიდგებათ, ხელცარიელნი არ წახვალთ. 3,22. ინათხოვრებს თქვენი დედაკაცი თავისი მეზობლისაგან და თავისი მდგმურისაგან ვერცხლისა და ოქროს ჭურჭელს, სამოსელს და აჰკიდებთ თქვენს ვაჟებსა და ასულებს. ასე გაეცლებით ეგვიპტეს".

1 იხ.: იქვე, გვ. 98-99.

2 იხ.: А.М. Кондратов, «Атлантиды моря Тетис», Ленинград, Гидрометеоиздат, 1986 г., გვ. 99.

მოსე ვერც ღმერთის იმ ნათქვამმა დაარწუნა, სასწაულებს მოვახდენო, მით უმეტეს, რომ ღმერთის მოთხოვნა ეგვიპტელთა გაძარცვის შესახებ ძნელი გასაბედავი და სარისკო იყო, რადგან ეგვიპტელების მხრიდან შურისძიება მოჰყვებოდა. ღმერთი იძულებული გახდა, იმ სასწაულებზე მოეთხრო, რომლებსაც მისი შეწევნით მოსე და აარონი მოახდენდნენ. მე აქ მოვიხმობ იმ სასწაულებს, რომელთაც, სანტორინის ამოფრქვევის შედეგების გათვალისწინებით, სრულიად ლოგიკური და, ამდენად, მიწიერი ახსნა ეძებნება: „4,9. თუ ამ ორ სასწაულსაც არ გერწმუნენ და არ შეისმინეს შენი სიტყვა, ამოიღე წყალი ნილოსიდან და ხმელეთზე დაღვარე. წყალი, რომელსაც ნილოსიდან ამოიღებ, სისხლად იქცევა ხმელეთზე... 4,19. უთხრა უფალმა მოსეს მიდიამში: წადი, დაბრუნდი ეგვიპტეში, რადგან ყველანი დაიხოცნენ, ვინც მოკვლას გიპირებდა... 7,17. ასე თქვა უფალმა: ამით მიხვდები, რომ უფალი ვარ: აჰა, ამ კვერთხს, ხელში რომ მიჭირავს, დავკრავ ნილოსის წყალს და სისხლად იქცევა. 7,18. გაწყდება თევზი ნილოსში, აყროლდება ნილოსი და ვეღარ დალევენ ეგვიპტელები ნილოსის წყალს... 7,20. ისე მოიქცნენ მოსე და აარონი, როგორც უფლისაგან ჰქონდათ ნაბრძანები. მოიქნია კვერთხი და დაჰკრა ნილოსის წყალს ფარაონისა და მისი მსახურების თვალწინ, და იქცა სისხლად ნილოსის წყალი. 7,21. ამოწყდა თევზი ნილოსში, აყროლდა ნილოსი და ვეღარ სვამდნენ ეგვიპტელები ნილოსის წყალს. სისხლი ჩადგა მთელს ეგვიპტის ქვეყანაში... 8,5. უთხრა უფალმა მოსეს: უთხარი აარონს: მოუღერე კვერთხიანი ხელი მდინარეებს, ნაკადულებს და ჭაობებს და ამოსხი გომბეშოები ეგვიპტის ქვეყნად. 8,6. მოუღერა ხელი აარონმა ეგვიპტის წყლებს და ამოვიდნენ გომბეშოები და დაფარეს ეგვიპტის ქვეყანა... 8,13. აასრულა უფალმა მოსეს სიტყვა და ამოწყდნენ გომბეშოები სახლებში, ეზოებში და მინდვრებში. 8,14. გროვებად დაყარეს და აქოთდა ქვეყანა... 8,21. თუ არ გაგიშვია ჩემი ხალხი, ბუზანკალს მოგისევ შენ და შენს მსახურებს, შენს ხალხს, შენს სახლებს და აივსება ბუზანკალით ეგვიპტელთა სახლები და ის მიწაც, სადაც ისინი არიან. 8,22. გამოვარჩევ იმ დღეს გოშენის მხარეს, სადაც დგას ჩემი ხალხი, რომ არ შეაღწიოს იქ ბუზანკალმა, ვინძლო დარწმუნდე, რომ ქვეყნის შუაგულში ვარ მე, უფლი... 9,3. დაჰკრავს უფლის ხელი შენს საქონელს, მინდვრად რომ გყავს – ცხენებს, სახედრებს, აქლემებს, ცხვარ-ძროხას. გაჩნდება საშინელი ჭირი... 9,6. აღასრულა უფალმა ეს საქმე მეორე დღეს და გაწყდა ეგვიპტელთა საქონელი, ხოლო ისრაელიანთა საქონელში არც ერთი სული არ დაღუპულა. 9,8. უთხრა უფალმა მოსეს და აარონს: აიღე სავსე პეშვი ქურის ნაცარი და ცისკენ ააფრქვიოს მოსემ ფარაონის თვალწინ. 9,9. მტვრად მოეფინება იგი მთელს ეგვიპტის ქვეყანას და ყვავილის მუწუკებად გამოეყრება კაცსა და პირუტყვს მთელს ეგვიპტის ქვეყანაში. 9,10. აიღეს ქურის ნაცარი და წარუდგნენ ფარაონს. ააფრქვია მოსემ ნაცარი ცისკენ და გამოეყარა კაცსა და პირუტყვს ყვავილის მუწუკები... 9,23. ცისკენ მოიღერა მოსემ თავისი კვერთხი და გამოსცა უფალმა გრგვინვა და სეტყვა. ცეცხლმა დაუარა დედამიწას და დასეტყვა უფალმა ეგვიპტის ქვეყანა. 9,24. მოდიოდა სეტყვა და ცეცხლი გიზგიზებდა სეტყვაში, ძალზე მაგარი იყო სეტყვა, მისი მსგავსი არ მოსულა ეგვიპტის ქვეყანაში, რაც იქ ხალხი სახლობს. 9,25. ყველაფერი გაანადგურა სეტყვამ ეგვიპტის ქვეყნად, რაც კი გარეთ დარჩა, კაციდან პირუტყვამდე; მინდვის მთელი ბალახი გაანადგურა სეტყვამ და მინდორში მდგარი ყველა ხე დალეწა... 10,13. მოუღერა კვერთხი მოსემ ეგვიპტის ქვეყანას და მოდენა უფალმა აღმოსავლეთის ქარი ქვეყნად; ქროდა ქარი მთელ დღეს და მთელს ღამეს. დადგა დილა და მოასია აღმოსავლეთის ქარმა კალია. 10,14. შეესია უთვალავი კალია ეგვიპტის ქვეყანას და მოეფინა მის ყოველ კუთხეს. არც მანამდე

და არც მას მერე გამოჩენილა ამდენი კალია... 10,19. შემოაქცია უფალმა აღმოსავლეთის ძლიერი ქარი და წაიღო ქარმა კალია და ჩაყარა მეწამულ ზღვაში. ერთი კალიაც არ დარჩენილა ეგვიპტის მხარეში... 10,22. ცისკენ შემართა ხელი მოსემ და ჩამოწვა უკუნი წყვდიადი მთელს ეგვიპტის ქვეყანაში, და იდგა სამ დღეს... 11,5. მოკვდება ყოველი პირმშო ეგვიპტის ქვეყნად ტახტზე მჯდომარე ფარაონის პირმშოდან პირმშომდე მხევლისა, ხელსაფქვავებს რომ უზის; მოკვდება ყოველი პირუტყვის პირველმოგებული... 14,16. შენ კი კვერთხი აღმართე და ზღვას დააღირე, შუაზე გაიპობა იგი და მშრალად შევლენ ისრაელიანები შუაგულ ზღვაში. 14,17. ხოლო მე გულს გავუსასტიკებ ეგვიპტელებს და დაგედვნებიან. მაშინ გამოჩნდება ჩემი დიდება ფარაონზე, მთელს მის კარზე, მის ეტლებსა და მხედრებზე. 14,18. მიხვდება ეგვიპტე, რომ უფალი ვარ, როცა გამოვაჩენ ჩემს დიდებას ფარაონზე, მის ეტლებზე და მხედრებზე. 14,19. დაიძრა ისრაელის ბანაკის წინ მავალი ღვთის ანგელოზი და უკან გაჰყვა მათ, დაიძრა ღრუბლის სვეტი და უკან შეუდგა მათ, 14,20. ჩადგა ეგვიპტელთა და ისრაელის ბანაკებს შორის. იყო ღრუბლად და წყვდიადად ეგვიპტელთათვის, ისრაელს კი ღამეს უნათებდა. მთელი ღამის მანძილზე არ მიახლოებიან ერთმანეთს. 14,21. დააღირა ხელი ზღვას მოსემ და მთელი ღამე მიდენიდა უფალი ზღვას აღმოსავლეთის ძლიერი ქარით. ხმელეთად აქცია ზღვა და გაიპო წყალი. 14,22. მშრალად შევიდნენ ისრაელიანები შუაგულ ზღვაში, წყალი კედლად ედგათ მარჯვნივ და მარცხნივ. 14,23. დაედევნენ ეგვიპტელები, შეჰყვნენ შუაგულ ზღვაში ფარაონის ცხენები, მისი ეტლები და მხედრები. 14,24. დაჰხედა დილის სახმილავზე უფალმა ცეცხლისა და ღრუბლის სვეტიდან ეგვიპტელთა ბანაკს და არივ-დარია ეგვიპტელთა ბანაკი. 14,25. დააძრო ბორბლები მათ ეტლებს და გაუძნელდათ სვლა. თქვეს ეგვიპტელებმა: გავერიდოთ ისრაელს, რადგან მისი გულისთვის ებრძვის უფალი ეგვიპტელებს. 14,26. უთხრა უფალმა მოსეს: დააღირე ზღვას ხელი და მიიქცევა წყალი ეგვიპტელებისკენ, მათი ეტლებისა და მხედრობისაკენ. 14,27. დააღირა ხელი ზღვას მოსემ და განთიადამდე მიიქცა ზღვა თავის ადგილას. უკან მობრუნებული ეგვიპტელები მიაწყდნენ ზღვას და ჩაყარა ისინი უფალმა შუაგულ ზღვაში. 14,28. მიიქცა წყალი და დაფარა ეტლები, მხედრები და ფარაონის მთელი ლაშქარი, ზღვაში რომ შეჰყვნენ მათ; ერთიც არ გადარჩენილა“[1].

ახლა ვნახოთ, როგორ შეიძლება ქცეულიყო აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში მომხდარი გრანდიოზული ვულკანური ამოფრქვევა ყველა მისთვის დამახასიათებელი შედეგით ბიბლიურ თქმულებათა შთაგონების წყაროდ:

სტრონგილე-სანტორინის ამოფრქვევა თუ ამოფრქვევები დროში ემთხვევა ებრაელთა გამოსვლას ეგვიპტიდან, რასაც მეცნიერები ძვ.წ. XIV საუკუნის დამდეგს აკუთვნებენ.

სანტორინის ვულკანიდან ამოფრქვეულ აირებს, ფერფლს, პემზის ნამსხვრევებს, ცხადია, შეეძლო მიეღწია ეგვიპტემდე. საქმე ისაა, რომ მანძილი დღევანდელ სტამბოლსა და პორტ-საიდს შორის 1500 კილომეტრია. სანტორინი დაახლოებით ამ ორ ქალაქს შორის მდებარეობს და იქიდან ეგვიპტემდე 750 კილომეტრი იქნება. თუ გავითვაისწინებთ იმას, რომ სანტორინის ამოფრქვევას გიგანტური მასშტაბები ჰქონდა, მაშინ ზემოხსენებული მანძილი ნამდვილად არ არის ისე დიდი, რომ კრატერიდან ამოტყორცნილ ვულკანურ მასას ეგვიპტემდე არ მიეღწია. მის იქ ჩატანას ძლიერი ქარებიც შეუწყობდა ხელს. ამის თაობაზე ატლანტოლოგი ი. მაშნიკოვი წერდა: „ამრიგად, თუ ვულკანის ამოფრქვევის დროს ჩრდილო-დასავლეთის ქარი ქროდა, ვულკანური ფერფლის მთელი ფესვედი სწორედ ეგვიპტეს

1 იხ.: ბიბლია, გამოსვლა. გვ. 60-70, თბილისი, 1989 წ.

უნდა დამხობოდა და კრეტისთვისაც გამოედო „ფრთა“[1].

თუ „ფრთის გამოდებამ“ მინოსური კულტურის განადგურებას შეუწყო ხელი, მაშინ, ადვილი წარმოსადგენია, რა მოხდებოდა ეგვიპტეში...

ზემოთ ციტირებული ბიბლიური „სასწაულები“ ამისი თავისებური ილუსტრაციაა: ღმერთი ეუბნება მოსეს, შენი მტრები დაიხოცნენო. კი მაგრამ, რამ დახოცა ისინი? უდავოდ, მომწამვლელმა ვულკანურმა აირებმა. ის მოსეს მოკვდინების მსურველებსაც დახოცავდა, ბავშვებსაც, ამასთან, განურჩევლად იმისა, ფარაონის შვილები იყვნენ ისინი თუ ვინმე მდაბიოსი, საერთოდ ყველივე სულიერს მოკლავდა, ვისაც მისწვდებოდა, ვინც ამ აირების გავრცელების ზონაში აღმოჩნდებოდა.

რაც შეეება სისხლად ქცეულ ნილოსის წყალს; ნილოსს ეგვიპტის მიწის გამაპოხიერებელი შლამი ჩამოაქვს და ამის გამო მის წყალს ისედაც დაჰკრავს მოწითალო ფერი, ვულკანური ფერფლი კი მას კიდევ უფრო გაამუქებდა, ასე რომ, ადიდებულ და კალაპოტიდან გადმოსულ ნილოსს უდავოდ ექნებოდა სისხლის ფერი.

ვულკანური ფერფლით გაჯერებულ ნილოსში ბუნებრივად გაწყდებოდა თევზი, ამიტომ მკვდარი და დამპალი თევზის სუნი შემაწუხებელი იქნებოდა. მდინარიდან თავის დაღწევას შეეცდებოდა წყლის ყველა ის ბინადარი, ვისაც ნაპირზე ამოღწევა შეეძლო. აქედან – ნაპირზე ამომხტარი გომბეშოების უჩვეულო სიმრავლეც. როგორც ჩანს, მათ იმავე მიზეზით, ანუ ვულკანური ფერფლის გამო, ხმელეთზე თევზების ბედი გაიზიარეს. დიდი რაოდენობით ნაპირზე გამორიყული დახოცილი თევზი და ხმელეთზე დახოცილი გომბეშოები კარგი პირობა იყო იმისათვის, რომ ბუზები უჩვეულოდ გამრავლებულიყვნენ. ხოლო მას შემდეგ, რაც დახოცილ წყლის ბინადართა ნაწილს ნილოსი ჩაიტანდა ზღვაში, ნაწილს კი მიწაში ჩაფლავდნენ, ბუზიც ჩვეულებრივზე მეტი აღარ იქნებოდა. ქურის ნაცარი ვულკანური მტვრის ლიტერატურული მეტაფორაა. ამ მტვერს და ნილოსში გახრწნილ უამრავ წყლის ბინადართ ნილოსის წყლის მსმელ ეგვიპტელებში მრავალი ავადმყოფობა უნდა გაეჩინა. რაც შეეხება ვულკანურ სეტყვას, ანუ ციდან პემზის ნამტვრევების ცვენას, ის, როგორც პომპეიში მოხდა, ეგვიპტეშიც ასევე იმსხვერპლებდა ადამიანებსაც და პირუტყვსაც, ბალახსაც გაანადგურებდა და ხეებსაც დალეწავდა. გრანდიოზული ამოფრქვევა დროის გარკვეულ მონაკვეთში კლიმატსაც საგრძნობლად შეცვლიდა, ამიტომ ქარის მიერ კალიების შემოტყორცნაც არ არის გასაკვირი, თუმცა ისიც ფაქტია, რომ კალიებმა ქარის გარეშეც იციან შემოსვლა და როცა ნახეს, მათი საკვები ბალახი, ფოთლები, ნათესები და ნარგავები განადგურებული იყო, იქაურობას სწრაფად გაეცალნენ. რაც შეეხება სამ დღეს მდგარ წყვდიადს, ასეთი რამ ვულკანურ მოფრქვევას ახასიათებს, რადგან ვულკანური ფერფლი, ამოფრქვევის მასშტაბებიდან გამომდინარე, ფარავს მზეს და აბნელებს დედამიწის ტერიტორიის გარკვეულ მონაკვეთს სხვადასხვა დროის განმავლობაში.

ვულკანურ დაბნელებასთან დაკავშირებით ატლანტოლოგ ნ. ჟიროვს ანტიკურ წყაროებზე დაყრდნობით ასეთი მაგალით მოჰყავს: „რომაელი მწერლის ვარონის (I საუკუნე ჩვენს ერამდე) სიტყვებით, ოგიგოსის წარღვნის დროს ცხრა თვე მეფობდა ღამე და ეგეოსის არქიპელაგის ყველა ვულკანი მოქმედებდა, წარღვნის შემდეგ კი, ათწლეულების განმავლობაში, ატიკა უკაცრიელი იყო“[2].

მოგეხსენებათ, მეცნიერები ოგიგოსის წარღვნას აიგივებენ დევკალიონის წარღვნასთან, რომლის დროსაც დაიღუპნენ ატლანტისელები, ანუ განადგურდა კრეტის მინოსური კულტურა. თუ ამ დროს ასეთი მასშტაბების ვულკანური ამოფრქვევა ხდებოდა, მაშინ, ეგვიპტეში სამი დღე წყვდიადი ნამდვილად არ არის ბევრი. სამაგიეროდ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეგეიდაში გაცილებით მეტ ხანს იქნებოდა წყვდიადი.

ვულკანური ამოფრქვევით გამოწვეული ატმოსფერული და სხვა მოვლენებით შეიძლება ისეთი ბიბლიური თქმულების ახსნაც, როგორიც არის წითელი ზღვის გადალახვა ებრაელთა მიერ. ეგვიპტელები მისდევდნენ ლტოლვილ ებრაელებს და ისინი წითელი ზღვის პირას მიმწყვდეულნი აღმოჩნდნენ, მაგრამ „ღრუბლის სვეტი“ იფარავდა ლტოლვილებს მდევართაგან. აშკარაა, ეს უნდა ყოფილიყო ვულკანური მტვრის ღრუბელი, რომელმაც მთვარე დააბნელა და ეგვიპტელებს ებრაელთა ამოჟლეტის საშუალება არ მისცა. ამავე დროს, აღმოსავლეთის ძლიერმა ქარმა ზღვის წყალი გადადენა და ფსკერიც გამოჩნდა. ეს ალბათ იქ მოხდა, სადაც თავთხელი იყო. წარმოიქმნა ერთგვარი ფონი და გადასვლა შესაძლებელი გახდა. ებრაელებმაც ეს გააკეთეს. მათ ეგვიპტელები მიჰყვნენ. ამ დროისათვის ალბათ აღმოსავლეთის ძლიერი ქარი ჩადგა და მის მიერ გადადენილი ზღვის წყალი უკუიქცა. გზას ადრე შემდგარმა ებრაელებმა გადააწრეს, გვიან დაძრულმა ეგვიპტელებმა კი – ვერა. თუმცა ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ ეგვიპტელები მხოლოდ ზღვის უკუქცევის მსხვერპლნი არ გამხდარან და მათ დაღუპვაში საბედისწერო როლი ითამაშა იმ ცუნამმა, რომელიც, სავარაუდოდ, ბოლო ამოფრქვევის შემდეგ კუნძულის ცენტრალური ნაწილის ჩაძირვის შედეგად წარმოიშვა. უზარმაზარ ტალღას ნამდვილად შეეძლო გადაელახა სუეცის ყელი, ჩაქცეულიყო წითელ ზღვაში, გაეძლიერებინა უკუქცეული ზღვის ნაწილი და დაეფარა ეგვიპტელთა ლაშქარი.

ასე რომ, „გამოსვლაში“ აღწერილი სასწაულების ახსნა კუნძულ სანტორინის ვულკანის ამოფრქვევის ხასიათის გათვალისწინებით სრულიად შესაძლებელია.

რაც შეეხება იმას, თუ რამ და როგორ დაღუპა კრეტის მინოსური სახელმწიფო და მისი კულტურა. ამის თაობაზე საკმაოდ დამაჯერებელი მოსაზრება გამოთქვა ცნობილმა არქეოლოგმა, მინოსური კულტურის აღმომჩენმა არტურ ევანსმა. ამისათვის მას კრეტაზე მრავალი წლის გატარება დასჭირდა და სწორედ ამ დროს მოხდა მოვლენა, რამაც ევანსს სწორი დასკვნა გააკეთებინა. ამასთან დაკავშირებით მოვიხმობ რამდენიმე ციტატას ზემოთ უკვე ნახსენები კ. კერამის წიგნიდან „ღმერთები, აკლდამები და მეცნიერები“:

„ისევე, როგორც კრეტაზე მცხოვრები ხალხისა და მისი დამწერლობის წარმოშობა, გაურკვეველია აგრეთვე კრეტის სამეფოს დასასრულიც. გაბედული თეორია, რამდენიც გნებავთ, იმდენია. ევანსი არჩევდა დანგრევის სამ აშკარა სტადიას. ორჯერ სასახლე აღუდგენიათ, მესამედ კი მისგან ნანგრევებიღა დარჩენილა... ევანსს მიაჩნდა, რომ მინოსის სასახლე რომელიღაც ბუნებრივ კატაკლიზმს უნდა დაენგრია. ამისი კლასიკური მაგალითია პომპეი. კნოსოსის სასახლის გათხრისას ევანსი ისეთივე უეცარი დაღუპვისა და ნგრევის ნიშნებს წააწყდა, როგორსაც დ’ელბევი და ვენუტი ვეზუვის ძირას: მიტოვებული სამეურნეო იარაღი, დაუმთავრებელი ჭურჭელი და ხელოვნების ნაწარმოებები, მოულოდნელად შეწყვეტილი საოჯახო სამუშაო.

ევანსმა შექმნა თეორია, რომლიც თვითონვე გამოსცადა. 1926 წლის 26 ივნისს, 21 საათსა და 45 წუთზე ევანსი ლოგინში იწვა და წიგნს კითხულობდა. უეცრად მან იგრძნო ძლიერი მიწისქვეშა ბიძგი. საწოლი ადგილიდან დაიძრა, სახლის კედლებმა რყევა დაიწყო. ირგვლივ რაღაც ნივთები ცვიოდა, წაქცეული კასრიდან წყალი იქცეოდა. მიწა ჯერ

1 იხ.: И.В. Машников, «Расшифрованные тайны древних мифов», Москва, «ЭКСМО», 2007 г., გვ. 237.

2 იხ.: А.Л. Кац, Н.Ф. Жиров, «Разум против стихии», Издательство «Знание», Москва, 1968 г., გვ. 40.

ოხრავდა და კვნესოდა, შემდეგ კი ისე აღრიალდა, თითქოს ლეგენდარული მინოტავრი გაცოცხლებულაო. ბიძგები მალე შეწყდა და როდესაც ყველაფერი დამშვიდდა, ევანსი საწოლიდან წამოხტა და ქუჩაში გავარდა. იგი სასახლისკენ გარბოდა. სადაც კი შეიძლებოდა, ევანსს თავიდანვე ფოლადის საყრდენები და კოჭები დაედგა. სამაგიეროდ, ახლომახლო სოფლებსა და თვით დედაქალაქ კანდლიში მიწისძვრას საშინელი ნგრევა გამოეწვია.

ასეთი იყო ევანსის პირადი შთაბეჭდილებანი. მათ განამტკიცეს მისი ჰიპოთეზა. ევანსი ეყრდნობოდა იმას, რომ კრეტა ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძლიერი მიწისძვრების რაიონია ევროპაში. ამ ჰიპოთეზის თანახმად, მხოლოდ უძლიერეს და სრულიად მოულოდნელ მიწისძვრას, ისეთს, რომელსაც შეეძლო მიწა გაეპო და შიგ ჩაეტანა ადამიანის ყოველი ნახელავი, მხოლოდ ასეთ უძლიერეს ბიძგს შეეძლო, ისე დაენგრია მინოსის სასახლე, რომ მის ადგილზე ორიოდე საცოდავი ქოხის გარდა აღარაფრის აშენება არ შეიძლებოდა“[1].

არტურ ევანსი ავტორიტეტია და უნდა ვერწმუნოთ. მან ზუსტად განსაზღვრა კრეტის ნაგებობათა ნგრევის მიზეზები; ისიც, რომ ნგრევა სამჯერ მოხდა. ეს კარგად ეხმიანება ა. გალანოპულოსისა და ე. ბეკონის მოსაზრებას 200 წლის განმავლობაში სანტორინის სამჯერ ამოფრქვევის შესახებ, რასაც წინ უსწრებდა ძლიერი მიწისძვრები, ეს კი ისედაც სეისმურად აქტიურ ზონაში მდებარე კუნძულზე კატასტროფულად აისახებოდა. არტურ ევანსის დაკვირვებიდან კარგად ჩანს, რომ პირველი და მეორე დამანგრეველი მიწისძვრების შედეგად გატიალებული მინოსის სასახლე და სხვა ნაგებობანი კრეტელებმა აღადგინეს, მაგრამ მესამე მიწისძვრის შედეგად ნგრევა ისე დიდი იყო, რომ მათ აღარ ეყოთ ეროვნული ენერგია დანგრეული ქვეყნის აღსადგენად. გარდა ნგრევისა, იყო კიდევ ცუნამიც. ამ რამდენიმე წლის წინათ მეცნიერებმა მიაგნეს ასი მეტრი სიმაღლის ტალღის კვალს, რომელიც სანტორინის ერთ-ერთი, შესაძლოა, მესამე ამოფრქვევისას კრეტას დასტყდომია.

1 იხ.: კ. კერამი, „ღმერთები აკლდამები და მეცნიერები“, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1972 წ., გვ. 85-86.

თავი V

ვინ იყო ის ხალხი, ვისაც ატლანტისელებს უწოდებდნენ და რა ენაზე მეტყველებდნენ ისინი

ძნელი აღმოჩნდა ატლანტისის ადგილსამყოფელის დადგენა და ამას 2400 წელი დასჭირდა. ცხადია, ადვილი არ იქნებოდა ატლანტისელთა ვინაობის გარკვევაც, რადგან ეძებდნენ 12 ათასი წლის წინ ატლანტის ოკეანის კუნძულზე არსებულ სახელმწიფოს, ატლანტოლოგების აზრით დედამიწაზე არსებულ კულტურათა სათავეს რომ წარმოადგენდა... ერთი სიტყვით, მათთვის კაცობრიობის ისტორია ატლანტისიდან იწყებოდა, ამისი დამადასტურებელი არტეფაქტები კი ვერ წარმოადგინეს; თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ამ ადამიანებისათვის, დარწმუნებულნი ყოფილიყვნენ, რომ ევროპაში, აზიაში, აფრიკასა და ამერიკაში მცხოვრები რიგი ხალხები ატლანტისელ კოლონისტთა შთამომავლები არიან... ამ საკითხთან დაკავშირებით მრავალი არაარგუმენტირებული და კურიოზული მოსაზრება გამოითქვა.

ორთოდოქს ატლანტოლოგთა ეთნოლოგიური ძიებების ტიპური გამოხატულებაა ფრანგი მკვლევრის, როჟე დევინის წიგნი „ატლანტისი – გამქრალი მატერიკი“, რომლის III თავში ავტორი ასეთ მოსაზრებებს გამოთქვამს: „ატლანტისი არსებობს ეთნიკური თვალსაზრისით – ზღვამ ჩაყლაპა ატლანტისური ოკეანია, მაგრამ კოლონიები კიდევ დიდხანს არსებობდნენ; ატლანტისის ხალხები – კანარის კუნძულები, მაროკოს ატლასი ანუ ლიბია, იბერია, ლიგურია, ეტრურია, კარია, ბერძნული კუნძულები, ცენტრალური ამერიკა, ანდები – ბერბერული ენა და „ბარბარო“.

როგორც ჩანს, ავტორს წუთითაც კი არ ეპარება ეჭვი იმაში, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნები თავიანთი მოსახლეობით ატლანტისის კოლონიები იყვნენ. ეს დასკვნა როჟე დევინისთვის არის არგუმენტი, რაც ეთნიკური თვალსაზრისით ატლანტისის არსებობას მისთვის უტყუარს ხდის... რ. დევინი საგანგებოდ გამოჰყოფს არასემიტური და არაარიული წარმოშობის მზის კულტის მქონე, ბრინჯაოს მწარმოებელ ხალხებს და მათ ატლანტისის კულტურის მემკვიდრეებად მიიჩნევს: „მზის კულტი, ასევე ბრინჯაოს მრეწველობა, როგორც ჩანს, მოემართებოდა, უპირველეს ყოვლისა, პირამიდებისა და დოლმენების იმ დიდი გზით, რომელზეც ისტორიამდელ დროს გაიარეს დასავლელი დამპყრობლების (ატლანტისელების. პ.ი.) ბრწყინვალე ეტლებმა, მოგვიანებით, რბოლისაგან აბუქებული მტვრის მსგავსად, მათ მიჰყვა გრძელი წყება ლეგენდებისა ჰერაკლეებზე, იაზონებზე, ატლასებზე და პრომეთეებზე“.

ადგას რა პოზიციას, რომ “ისტორია იწყება ატლანტისელებისაგან“, – რ. დევინი გულმოდგინედ დაეძებს მათ შთამომავლებს და ამ პატივს ანიჭებს ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში, ატლასის მთების მიდამოებში მცხოვრებ ბერბერებს, მათ ყველა სხვა ხალხის წინამორბედად მიიჩნევს და თავისი შეხედულების დასამტკიცებლად იშველიებს სხვადასხვა ავტორთა მოსაზრებებს, ეთანხმება მათ და თავად გამოთქვამს თამამ აზრებს: „ჩვენ კვლავ მივმართავთ ბერბერულ ენას – დასავლეთის მცხოვრებთა იმ ენას, რომელიც სანსკრიტზე უძველესია. მისი ფესვები ნამდვილად აღმოჩენილია ყველა ხალხთან, ვისი წარმოშობაც გამოცანას წარმოადგენს, – თუ არ ვაღიარებთ, რომ პირველსაწყისი ადგილი, საიდანაც ისინი გადმოსახლდნენ, ატლანტისი იყო.

რენანი თავის „სემიტური ენების ისტორიაში“ აღნიშნავს, რომ შტიკელისა და ტარკვინიუსის ცდები, ამოეხსნათ ეტრუსკული ენა სემიტურის საშუალებით, უსაფუძვლოა.

ის აღნიშნავს, რომ ჰომეროსის ნათქვამით (ილიადა, II, 867) ლაპარაკობდნენ ბერბერთა ენაზე, barbarophônoi... ლუი რენანის მიერ განსაკუთრებით მაროკოს ატლასში წარმოებული ძიებანი ძველი ბერბერული ენის თაობაზე და ჩვენთვის მისი შემომნახავი წმინდა წერილები (ტიფინარი) ამტკიცებს, რომ უძველესი შავგვრემანი რასა, რომელიც საწყის-ისტორიულ ეპოქაში შეერია კელტებს ანუ კელ-ლუას, კიმირიელებს, მიდიელებს, ირანელებს და კიდევ ჩვენს დროშიც იყო ათასწლოვან ქიშპობად ჩრდილოეთელთა და სამხრეთელთა შორის, soff Gherbi და soff Chergui, თავისი ენის ლინგვისტური ფესვების ღრმა კვალი დაასვა ხალხებს, რომელთაგან ბევრი უკვე გამქრალა, მაგრამ ყველა ისინი აღმოჩნდა ატლანტიკური იმპერიის იმ რუკაზე, რომელიც პლატონმა შემოგვიხაზა... ბერბერული ფესვების დახმარებით ზოგადად აი, ამგვარად აშუქებენ და ხსნიან ზოგიერთი ძველი ტომის სახელს:

ლიგურები: ბასკურადაა lligor;
ბერბერულად – ligor, – მთის ხალხი;

ლიბიელები ანუ
„ლებუ“ ეგვიპტურ წარწერებში: ალ-აბუ (გადმოსახლებული ხალხი);

სკვითები (სკითები), sic;
ait, – „ქალაქების“ ხალხი;

ამორძალები, alazoun, – ენნის შვილთა ხალხი;

შეიძლება სრულიად ადვილად გავაგრძელოთ ეს საყურადღებო ლინგვისტური რიგი. აი, კიდევ რამდენიმე ასეთი მაგალითი:

თურანელები – ენნის ხალხი;
კალედონიელები – ენნის ტომი;
ბრიტანელები – ემიგრანტები, ენნის შვილები;
ერ-ინნი – ენნის შვილი;
ტირენები, ტურ-ენნი – ენნის ხალხი;
სეკვანები – ენნის საცხოვრისი;
ელინები, ალ-ენნი – ენნის კლანი;
ირანელები – ურ-ანნ;
მენესი – მ’ენნუ;
კირენა (კირენანკა), კირ-ენნ – ენნის ცენტრი;
ქან-აან – ენნის ხალხთა სახელმწიფო (ფინიკიელებისა და სემიტების წინამორბედი, ფილისტიმელებთან, მადიანიტებთან და ამონიტებთან ერთად).

ასე მცირე-მცირედ ჩვენ თვალწინ აღდგება მისი ფერფლის დამფარავი ხალხებიდან ეს დიდი ხნის წინ დავიწყებული ერი მუქკანიანი თუ წითელკანიანი ადამიანებისა, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ პირველყოფილი ეგვიპტისა და ლეგენდარული ამერიკის ქანდაკებებითა და ფერწერით“.

აი, ასეთი „ენათმეცნიერული“ ძიებებით ცდილობს როჟე დევინი, „აღმოაჩინოს“ ატლანტისელთა ეთნიკურ-ლინგვისტური ზემოქმედების კვალი. მისი შემდეგი ცდა მიმართულია ატლანტისელთა კულტურის ნაკვალევის მოძიებისაკენ:

„უკვე ეტრურიის ისტორიკოსებმა შენიშნეს, რომ ტარკვინიაში, ვოლტერაში, კიუზაში, ცერაში, ლარნაკებსა და ნეკროპოლისის კედლებზე გამოსახული ადამიანის ფიგურები გამოირჩევიან ერთგვაროვნებითა და ფრიად სახასიათო ტიპურობით.

ეს პატარა ტანის ხალხი დიდი თავით, გრძელი და მსხვილი ცხვირით, მკვრივი და ჩასკვნილი; მათი ნაკვთები, – ამბობს მიშლე, – „მაგონებს მექსიკურ ქანდაკებებს პალენკეს ნანგრევებიდან“.

ოახაკეში მდებარე ძეგლი ჩვენ ასევე გვიჩვენებს გრძელ და მსხვილცხვირიან ადამიანებს; ასეთივეა რომში, ვალეტრასა და ბერლინში დაცული მექსიკური ფერწერის ნიუშებიც.

ასევე ნიბურიმაც, პლინიუსის მიერ პორსენის აკლდამის აღწერისას, მექსიკურ ტაძრებთან მსგავსება დაინახა.

დიდი ხანია უკვე დიონისე ჰალიკარნასელმა განაცხადა, რომ ეტრუსკები არც ენით, არც წეს-ჩვეულებებით არ ჰგვანან არცერთ სხვა ხალხს. ქანდაკებები რას-ენნის ხალხს, როგორც ეტრუსკები თავის თავს უწოდებდნენ, ჩვენ წარმოგვიდგენენ, როგორც მხოლოდ ჩასკვნილ ფიგურებს.

ეტრუსკები განთქმულნი იყვნენ ბრინჯაოს ნაწარმით. ვოლსინიის აღების შემდეგ რომაელებმა წამოიღეს ორი ათასი ბრინჯაოს ქანდაკება, მაგრამ თავად მათ, კიდევ დიდხანს, მხოლოდ ხისა და თიხის ქანდაკებების დამზადება შეეძლოთ.

ეტრუსკთა რელიგია წარმოადგენდა იმავე ნარევს ასტრონომიული მისტიციზმისა და სისხლიანი მსხვერპლშეწირვისა, რომელიც, როგორც ჩანს, არის მექსიკურ რელიგიურ მისტერიებში.

მათთან ქურუმები, კანონმდებლები, ქალები იყვნენ. ასევე იყო ბერბერ მმართველთა ოჯახებში, რომლებიც შეიჭრნენ ეგვიპტეში და ააგეს პირამიდები, და ასევე (ჰქონდათ. პ.ი.) ამერიკის, იბერიისა და სკვითეთის უძველეს ხალხებს.

ამგვარად, გამარტივებულად გადმოვეცით რა ჩვენი დასკვნები, ჩვენ იძულებულნი ვართ, ვაღიაროთ შემდეგი ფაქტი: ისტორიული ცივილიზაციის დასაწყისში ევროპაში, აფრიკაში, ამერიკაში ჩვენ ვპოულობთ თუ არა ერთიან პირველყოფილ ისტორიულ ხალხს, მაშინ, უკიდურეს შემთხვევაში, ლეგენდარული ხალხის ჯგუფს, რომელთაც გააჩნდათ საერთო ფიზიკური ტიპი, ერთნაირი წეს-ჩვეულებანი (განსაკუთრებით სახელმწიფოზე ქალთა გავლენასთან დაკავშირებით), რელიგია, რომელშიაც მაღალი ასტრონომიული სიმბოლოები ეწყობოდა სისხლიან მსხვერპლშეწირვას და ბრინაჯოს დამუშავების ერთნაირ მეთოდს.

ისტორიკოსები არაფერს ამბობენ იმის თაობაზე, თუ საიდან წარმოიშვნენ და გავრცელდნენ ეს ხალხები. ისინი აღნიშნავენ ამას განუსაზღვრელი ტერმინით – „დასავლეთიდან“.

აი, ამ გამოუცნობ დასავლეთში, – რომელიც გეოლოგებმა ზღვის უფსკრულიდან ამოიტანეს პლატონისეული სახელწოდებით ატლანტისი, – ენნის ხალხმა განავითარა ბრინჯაოს საუკუნის თავისი ცივილიზაცია კასტის ძალაუფლების ქვეშ, მსგავსად იმ გმირთა კასტისა, რომელიც ევსევიუსის სიტყვებით, ფლობდა ეგვიპტეს დაახლოებით თერთმეტი ათასი წლის წინ ჩვენს ერამდე.

ატლანტისის ხალხი შეეხო და შეერია ადრე მცხოვრებ ეროვნებებს იმ ქვეყნებში, სადაც ისინი ჩადიოდნენ. როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში ამან წარმოშვა ორიგინალური ტიპებისაგან საკმაოდ განსხვავებული ხალხები. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ატლანტისში,

მსგავსად ახლანდელი აფრიკისა, ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ შავი, თეთრი და წითელი რასების ადამიანები, რომელთაც მართავდა „ამაუგის“, ანუ „ქალდეველთა“ კასტა, რომელიც შედგებოდა ასტრონომთა, მეომართა, მშენებელთა, მეტალურგთაგან. მაგრამ ბრინჯაოს რასის მთავარი განმასხვავებელი ნიშნები (დაგრძელებული ქალა, მსხვილი ცხვირი, პატარა ხელები) აღმოაჩნდათ ბერბერებს, ეგვიპტელებს, ეტრუსკებს, აიმარას, ბასკებს, გუანჩებს.

მეორე მხრივ, შეიძლება დავუშვათ, რომ ატლანტისს ურთიერთობა ჰქონდა იმ საიდუმლო ჰიპერბორიულ ქვეყანასთან, აპოლონის კულტის საკურთხეველთან და მაღალ ორფიკულ ტრადიციასთან, რომლის ისტორიაც ჯერ არავის გაუბედავს, რომ ჩამოეწერა.

ყოველ შემთხვევაში, როგორც ქვემოთ გამოჩნდება, ატლანტისის რელიგიური ისტორია გადაეფინა ანტიკური რელიგიის მთელ ისტორიას და მის კვლევას შეუძლებელს ხდის, თუ არ დავუშვებთ იმას, რომ სულ თავიდან იყო ერთგვარი სამოციქულო მოძრაობა, ატლანტისელთა კოლონიზაცია“[1].

როჟე დევინის ასე ვრცლად ციტირებას ის აზრი აქვს, რომ ნათელი გახდეს ორთოდოქს ატლანტოლოგთა მიერ წარმოებული კვლევის თავისებურება. როგორი ზედაპირული და არამეცნიერულიც იყო რ. დევინის „ლინგვისტური“ ძიებები, ისეთივეა მის მიერ მოხმობილი ფაქტების კვლევა და ამის შედეგად გამოტანილი დასკვნები. მიზეზი ასეთი ტენდენციური მსჯელობისა, ეს, გინდა თუ არა, ატლანტისის არსებობისა და, აქედან გამომდინარე, ამ სახელმწიფოს ცივილიზატორული ფუნქციის აღიარებაა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ნახევარსფეროში და ამის დასასაბუთებლად გაუთავებელ პარალელებს ავლებს ხმელთაშუა ზღვისა და ცენტრალური ამერიკის კულტურებს შორის, მიუხედავად იმისა, არის ასეთი დასკვნებისთვის საჭირო მასალა თუ არა... ყველაფრისადმი ცალსახა მიდგომა ავტორს ხელს უშლის არათუ პირველწყაროს აზრს ჩასწვდეს, არამედ იმაშიც კი, რომ სწორად ამოიკითხოს ტექსტი. ასე მაგალითად: რ. დევინის მიერ დამოწმებულ ჰომეროსს „ილიადას“ ზემოხსენებულ ქებაში არ უთქვამს, კარიელები ბერბერულ ენაზე ლაპარაკობდნენო. ის წერდა:

„კარიელთ, მოუბართ ბარბაროსულ ენა-კილოზე“[2].

ბარბაროსული უცხოს, ბურდღუნას, არაბერძნულ ენას ნიშნავს და არა ბერბერულ ენას.

ასე რომ, ავტორის მიერ არგუმენტად მოხმობილი რენანის მოსაზრება მცდარია. ზუსტად ისევე, როგორც ყველა ის არგუმენტი და მასზე დაფუძნებული დასკვნა, რომელიც ბერბერული „ფესვების“ დახმარებით „აშუქებენ და ხსნიან ზოგიერთი ძველი ტომის სახელებს“.

ასევე სრულიად ხელოვნურია ლაპარაკი ეტრუსკთა ბრინჯაოს ქანდაკებებისა და მაიას ტომის სკულპტურების პორტრეტული მსგავსების შესახებ. თუ ვინმეს ჰგავს რ. დევინის მიერ აღწერილი ეტრუსკული სკულპტურები, – მიშლემ რომ მაიას ტომისას მიამსგავსა, – ისინი ჰგვანან თრიალეთში ნაპოვნი ვერცხლის თასის ფიგურებს, ოღონდ ამ მსგავსების გამომწვევი მიზეზების შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ...

როჟე დევინს აკვიტებულ იდეად რომ არ ქცეოდა მავან მეცნიერთა მოსაზრება იმის

1 იხ.: Рожэ Дэвинь, «Атлантида, исчезнувший материк», Издательство «Петроград», 1926 г., გვ. 72-85.

2 იხ.: ჰომეროსი, „ილიადა“, ქება II, 867, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1979 წ., გვ. 95.

თაობაზე, ხმელთაშუა ზღვის ხალხები დასავლეთიდან მოვიდნენო და ამ ხალხთა წარმომავლობის გარკვევა ეცადა, შესაძლოა, ატლანტისის ადგილსამყოფელი ბევრად ადრე დადგენილიყო, მაგრამ მაშინ როჟე დევინი ორთოდოქსი ატლანტოლოგი აღარ იქნებოდა...

მისი შეხედულებებიდან მნიშვნელოვნად მიმაჩნია ის, რომ ყურადღება მიაქცია არაინდოევროპელ ხალხებს, მზის კულტის მიმდევრებსა და ბრინჯაოს მწარმოებლებს, ოღონდ, ეს მხოლოდ მას არ გაუკეთებია, – ეტრუსკებსა და ბასკებში ბევრი სხვა ატლანტოლოგიც ატლანტისელთა შთამომავლებს თუ მათი კულტურის გავლენით ჩამოყალიბებულ ხალხებს ხედავდა. ზოგიერთი ატლანტოლოგი ხალხების ამ რიგს კიდევ უფრო ზრდიდა.

გავიდა წლები და პოლონელი ატლანტოლოგი ლუდვიკ ზაიდლერიც დაინტერესდა „მზის შვილთა საცხოვრისით“. ამასთან დაკავშირებით მოვიტან რამდენიმე ციტატას: „მრავალი მკვლევარი, კერძოდ ი. ლიპსიც, ფიქრობს, მზის კულტი ყველა ხალხისათვის არისო ნიშნდობლივი. მათი აზრით, ამ კულტის წყაროა ადამიანის რწმენა ციურ სხეულთა ზებუნებრივი ძალისადმი. ამ სხეულთა შორის კი მზე უდიდესი და უმნიშვნელოვანესი იყოო. მართლაც, სიცოცხლე დედამიწაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული მზის სხივთა სინათლესა და სითბოსთან, და შესაძლო იყო, ამის შეცნობა საფუძვლად დასდებოდა განსაკუთრებულ კულტს, დედამიწაზე სიცოცხლის შემოქმედ ღმერთთან მზის გაიგივებას. ოღონდ კვლევა-ძიებამ ცხადყო, რომ მზის კულტი საყოველთაო მოვლენა როდი ყოფილა. მზის კულტის საყოველთაოობა ეგვიპტური და რომაული მითოსის, აგრეთვე მაიას ხალხთა მითოსის გავლენით წარმოისახა; ხოლო ფაქტიურად მზის კულტი ძველ ეგვიპტეს, სამხრეთ აზიას, ხმელთაშუა ზღვის ნაპირებთან მდებარე ქვეყნებს, ირლანდიას, ცენტრალურ ამერიკას, კანარის კუნძულებსა და პოლინეზიას მოიცავდა მხოლოდ, ე.ი. იმ ხალხებს, რომლებსაც წესად ჰქონდათ მიცვალებულთა ჩაცუცქულად ჩამარხვა, გვამის დაბალზამება ან ჩონჩხის წითლად შეღებვა და პირამიდების აგება. უნდა აღინიშნოს, რომ მზის კულტი ნიშანდობლივია ძველი ხალხებისათვის, რომლებსაც შედარებით მაღალგანვითარებული კულტურა ჰქონდათ. ვგონებ, ეს ფაქტი იმას მიუთითებს, რომ მზის კულტის სამშობლო ატლანტისი იყო...

საიდან მოხვდნენ აპენინის ნახევარკუნძულზე ეტრუსკები? არსებობს რამდენიმე თეორია: ერთნი ეტრუსკებს მიიჩნევენ მცირე აზიიდან, სხვანი – კავკასიონის მთებიდან მოსულ ხალხად. ზოგნი იმას ფიქრობენ, ეტრუსკები ადგილობრივი მკვიდრნი არიან, ოდითგანვე აქ უცხოვრიათო. ოღონდ ყველა ისტორიკოსი და ეთნოგრაფი აღიარებს, რომ ეტრუსკების წარმომავლობის დადგენა შეუძლებელია.

ისიც უეჭველია, რომ თავდაპირველად ეტრუსკები კულტურის მხრივ გაცილებით მაღლა იდგნენ, ვიდრე მათი მეზობელი ხალხები და გვიან მოსული ლათინნი, – დღეს უკვე შესაძლოა ამის დადგენა როგორც გათხრებზე, ისე რომაელ ისტორიკოსთა საგულისხმო ცნობებზე დაყრდნობით. ეტრუსკებმა დიდი გავლენა მოახდინეს რომის კულტურის განვითარებაზე. ეს გავლენა თავს იჩენდა იმპერიის თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე, თვით ქრისტიანობის ეპოქამდე... ესპანეთის ჩრდილოეთ ნაწილში, საფრანგეთის საზღვართან, ბისკაის ყურის სანახებში ამჟამად მილიონამდე ბასკი ცხოვრობს. ისინი სხვა ეროვნულ ჯგუფს ეკუთვნიან, ვიდრე მთი მეზობელი ესპანელები და ფრანგები, ხოლო მათი ენა მსოფლიოში ცნობილ არც ერთ ენას არ ჰგავს. ისტორიული კვლევა-ძიება ცხადჰყოფს, რომ ბასკები ყოფილან შთამომავალნი ვასკონებისა, ხოლო ესენი წინარეისტორიული დროიდან პირინეის ნახევარკუნძულზე დამკვიდრებულ იბერიელთა ერთ ტომს შეადგენდნენ... თავი-

ანთ ენას ბასკები უწოდებენ ესკურას (ან ესკუარას, ეუსკარას, ეუკსარას, უსკარას), რაც „სიტყვანათელს“ უნდა ნიშნავდეს.

ბასკური ენის საგულისხმო თვისებაა რიცხვით სახელთა წარმოთქმის წესი. ერთიდან ათამდე რიცხვითი სახელები ამგვარია: bat, bi, hiru, lau, botz (ან bast), sei, zazpi, zortzi, bederatzi და hamar. თერთმეტი არის hamabatr, თოთხმეტი – hamalaur და ასე შემდეგ:

30 – hogoi ta hamar, ოცი და ათიო;

34 – hogoi ta hamalur, ოცი და თოთხმეტიო;

40 – berrogoi, ესე იგი ორი ოციო და ასე შემდეგ.

მაშასადამე, ბასკები ოცობითი თვლის სისტემას იყენებენ. ამ სისტემის ნაშთი შემორჩენილია აგრეთვე ფრანგულ ენაში: quatre-vingts – ოთხ ოცს, ესე იგი ოთხმოცს ნიშნავს სიტყვასიტყვით. Quotre-vingts-onze სიტყვასიტყვით ნიშნავს ოთხ ოცსა და თერთმეტს, ესე იგი ოთხმოცდათერთმეტს. დანიელნიც ასევე ითვლიან.

ეჭვი არ არის, რომ ბასკებს, ფრანგებს და დანიელებს ერთი წყაროდან აუღიათ მაგალითი. ამ ხალხების მეტი ოცობით სისტემას სხვა არავინ იყენებს, გარდა ცენტრალური ამერიკის ძველი მკვიდრების – მაიას და აცტეკებისა. ოცობითი სისტემის კვალს ვპოულობთ სხვა ინდოელ ხალხებშიც, აგრეთვე პოლინეზიაში. ამ საკითხის ირგვლივ კიდევ მოგვიწევს საუბარი“[1].

ლ. ზაიდლერი, მასზე ადრე ციტირებული რ. დევინის მსგავსად, იმ მაღალი კულტურის მქონე ხალხებს, რომელთა წარმომავლობაც იმ ხანად ბურუსით იყო მოცული, ატლანტისის კულტურის შთამომავლებად მიიჩნევს. ამ შემთხვევაშიც იგრძნობა ავტორის სურვილი, ეს ხალხები ატლანტისის არსებობის მტკიცებულებად განიხილოს. მისი აზრით, პროტოკულტურის არსებობის შესახებ ლაპარაკობს მზის კულტი ზოგიერთ ხალხში და რომ ატლანტისელთა გარეშე ასეთი კულტი ვერ შეიქმნებოდა. მოსაზრება, ცხადია, საკამათოა, ოღონდ ის სრულად ესადაგება ატლანტოლოგთა მსჯელობის ხასიათს... ამავე ლოგიკიდან მომდინარეობს ინტერესი ბასკებისა და ეტრუსკებისადმი და არა მხოლოდ იმიტომ, რომ პირველებმა დიდი გავლენა მოახდინეს იბერიის ნახევარკუნძულის კულტურულ განვითარებაზე, მეორეებმა კი – რომაული კულტურის ფორმირებაზე, – ავტორისათვის მთავარია, რომ ეს ხალხები, მისი აზრით, არც ერთ ერს არ ენათესავებიან, რაც იძლევა წარმოშობს შანსს, ეს ხალხები ატლანტისს დაუკავშიროს. ამავე მიზეზით მან ყურადღება მიაქცია ბასკების ოცობითი თვლის სისტემას. ამით მან ისინი ფრანგებთან და დანიელებთან, აგრეთვე მაიასა და აცტეკებთან ერთად მიაკუთვნა იმ ხალხებს, ვისაც ერთი სავარაუდო წყაროდან უნდა შეეთვისებინა თვლის ზემოხსენებული სისტემა... კარგი იქნებოდა, ლ. ზაიდლერს სცოდნოდა, რომ ქართველებიც ოცობითი თვლის სისტემას ვიყენებთ.

მსგავსი „ატლანტო-ცენტრისტული“ პოზიციის დემონსტრირებას ახდენს თანამედროვე ამერიკელი ატლანტოლოგი ფრენკ ჯოზეფი ნაშრომში „ატლანტისის დაღუპვა“. სამაგალითოდ მოვიხმობ მის ასეთ მოსაზრებას: „გუანჩების ენა მიეკუთვნება ინდოევროპულ ჯგუფს, თუმცა არც კი ჰგავდა არც ერთ ცნობილ ენას. ამასთან, მას გასაოცარი მსგავსება აქვს ბერძნულ, გოთურ და ძველ ზემოგერმანულ ენებთან, მაგრამ კანარის კუნძულების ენა ბევრ არაარიულ ელემენტს შეიცავს. ამ ელემენტებიდან ზოგიერთი აშკარად მიეკუთვნება ეუსკარა ენას – ბასკთა ენას და ძველ ეგვიპტურსაც კი, ასე რომ, ზუსტი

1 იხ.: ლუდვიკ ზაიდლერი, „ატლანტისი“, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1972 წ., გვ. 234-245.

თარგმანი შეუძლებელი იქნებოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გუანჩების ენამ განიცადა სრულიად განსხვავებული ენებისა და ხალხების გავლენა, რაც ტიპური იყო ხალხისათვის, რომელსაც ხშირი ურთიერთობა ჰქონდა უცხოელებთან. ატლანტისელთა ენასაც უნდა განეცადა ზუსტად ასეთი ზეგავლენა, ყოველ შემთხვევაში, აყვავებისა და ატლანტისის იმპერიის ბატონობის პერიოდში, შესაძლოა, სწორედ კანარის კუნძულებზე ლაპარაკობდნენ იმ ენაზე, რომელიც ატლანტისზე ჟღერდა. რაოდენ ტრაგიკულია, რომ ჩვენამდე მოაღწია ამ ენის მხოლოდ რამდენიმე ათეულმა სიტყვამ.

არ შეიძლება დანამდვილებით ამტკიცო, შემორჩნენ თუ არა სადმე მსოფლიოში ატლანტისთა შთამომავალნი. ნათელი მხოლოდ ისაა, რომ გუანჩები იყვნენ ატლანტისელები. მაგრამ, მათი გაქრობის შემდეგ, ძალიან ძნელია, რომელიმე თანამედროვე პოპულაციური ჯგუფი დაუკავშირო ატლანტისელებს. ერთი ასეთი ჯგუფი შეიძლება პირენეებში მცხოვრები ბასკები იყვნენ. მათი ენა ინდოევროპულს არ მიეკუთვნება და არ არის დაკავშირებული რომელიმე სხვა თანამედროვე ენასთან. საინტერესოა, რომ ეუსკარა ენას ბევრი აქვს საერთო ფინურ-უგორულ ჯგუფთან, აგრეთვე ეტრუსკებისა და გუანჩების ენებთან და ნაჰუალტას ენასთან, რომელზეც აცტეკები ლაპარაკობდნენ. ყველა ეს მკვდარი ენა სრულიად გასაგები არ არის, მაგრამ ის ფაქტი, რომ ბასკურ ენას – ეუსკერას გააჩნია აშკარა შესატყვისი ატლანტისელთაგან წარმოშობილი ოთხი ხალხის ენასთან, თავისთავად მეტად მნიშვნელოვანია“[1].

ასეთი გახლავთ ფ. ჯოზეფის მოსაზრება, ის გულმოდგინედ ეძებს და პოულობს აცტეკებში, გუანჩებში, ბასკებსა და ეტრუსკებში ატლანტისელთა შთამომავლებს. ამას დაახლოებით ისე აკეთებს, როგორც მასზე ადრე ციტირებული ავტორები. განსხვავება ისაა, რომ უფრო კატეგორიულად მსჯელობს.

ჩემ მიერ მოხმობილი სამივე ავტორი: როჟე დევინი, ლუდვიკ ზაიდლერი და ფრენკ ჯოზეფი ატლანტისელთა შთამომავლებად ატლანტის ოკეანის ორივე მხარეს მცხოვრებ ოთხ ხალხს მიიჩნევს. მათი არჩევანი უფრო მექანიკურია, ვიდრე მეცნიერული კვლევის შედეგებით მოტივირებული. მექანიკური იმიტომ, რომ ბრმად მიჰყვებოდნენ პლატონის დიალოგებს და, ცხადია, აგრეთვე იგნატიუს დონელის შეხედულებებსაც. მათ რომ შესძლებოდათ, ორთოდოქსი ატლანტოლოგების აზროვნების სტერეოტიპი დაეძლიათ და სხვაგან, მაგალითად, ჰერაკლეს სვეტებს გამოღმა, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ეძებნათ ატლანტისი, თუნდაც ეგეიდაში, მაშინ ძალაუნებურად მიაქცევდნენ ყურადღებას ერთ დროს იქ მცხოვრებ ხალხებს, – იქნებ ბასკებთან და ეტრუსკებთან მათი ნათესაობის კვალიც ეპოვნათ, და მათ უკიდურესად ზედაპირულ ლინგვისტურ ძიებებს მცირეოდენი შედეგი მაინც გამოეღო და ჭეშმარიტებას მიახლოებოდნენ.

მათ, ვინც სხვაგან ეძება, იპოვეს კიდეც კრეტაზე ატლანტისი, მათვე მიაქციეს ყურადღება წინარებერძნულ მოსახლეობას. ამის თაობაზე ანგელოს გალანოპულოსი და ედვარდ ბეკონი წერდნენ: „მაგრამ კრეტის პირველი მობინადრენი, ჩვ.წ.-მდე IV ათასწლეულში აქ რომ გამოჩნდნენ, რა თქმა უნდა, ბერძნებამდელი ტომები იყვნენ, განურჩევლად მათი წარმომავლობისა, ყველა ისინი კრეტაზე კიკლადებიდან მოვიდნენ. ჭეშმარიტად, კიკლადური კულტურის გავლენა ადრე მინოსურ კრეტაზე სრულიად აშკარაა. ამ ხალხებს, ვიდრე კრეტამდე მიაღწევდნენ, სანტორინისა და მელოსის ნაყოფიერ კუნძულებზე მოუხდათ შეჩერება. მინოსელთა მიერ სანტორინის დასახლება მითოლოგიაში ასახული მოვლენებიდან

1 იხ.: Фрэнк Джозеф, «Гибель Атлантиды», Москва, Фст.Фстрель, 2004 г, გვ. 206.

შეიძლება გავაიგივოთ პოსეიდონის მოსვლასთან, რომელიც აქ ევერონისა და ლევკიპას ქალიშვილ კლეიტოზე დაქორწინდა და ატლანტისელთა დინასტია დააარსა. ამ პირველმა მინოსელმა მოსახლეებმა სანტორინი მდიდარი მცენარეულობის, მათ შორის, სხვადასხვაგვარი პალმების, ფისის ხეებისა და ზეთისხილის აყვავებულ კუნძულად იხილეს. კუნძულის ნაყოფიერების თაობაზე თუნდაც მისი უძველესი სახელწოდების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ: ყველა ავტორი, – პინდარე, კალიმაქოსი, აპოლონიოს როდოსელი, პლინიუს უფროსი და პავსანიასი, – ადასტურებს, რომ ირის თავდაპირველი სახელწოდება იყო კალისტო, რაც „უმშვენიერესს“ ნიშნავს. იმისათვის, რომ სანტორინიდან კრეტაზე გადასულიყვნენ, ადრეკიკლადური პერიოდის (2800-2000) ხალხებს მოეთხოვებოდათ განსაკუთრებული ვაჟკაცობა და გამბედაობა და ასეთი გადასვლისათვის აუცილებელი ხერხემლის (კილის) მქონე გემები; მართლაც, კიკლადების მცხოვრებნი მთელ აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში პირველები იყვნენ, ვინც გამოიყენა გემის ხერხემალი (კილი)“[1].

ა. გალანოპულოსი და ე. ბეკონი, ასაბუთებენ რა ატლანტისის არსებობას ეგეიდაში, იმასაც ამბობენ, მისი მოსახლეობა ბერძნებამდელი იყოო... მათი ეს განცხადება სრულიად თანხვდება ძველი ბერძენი ავტორების შეხედულებებს იმის თაობაზე, რომ კონტინენტური და კუნძულოვანი საბერძნეთის ტერიტორიაზე ბერძენთა მოსვლამდე არაბერძნული მოსახლეობა ცხოვრობდა. ამ აზრს ბევრი თანამედროვე მეცნიერიც იზიარებდა: „საკვირველი არ უნდა იყოს, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულისათვის საბერძნეთის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ბერძნულად არ ლაპარაკობდა“[2].

არაბერძნული მოსახლეობა, ცხადია, არაბერძნულ ენაზე ლაპარაკობდა: „ამ ენის მატარებელ ერთ-ერთ ტომს შეადგენდნენ პელასგები“[3].

პელასგებს იცნობს ზოგიერთი ატლანტოლოგიც: „საინტერესო ცნობები მოუწოდებია არისტოტელეს ერთ ნაშრომში, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენს დრომდე აღარ შემონახულა. ამას არისტოტელედან ასი წლის შემდეგ მცხოვრები აპოლონიოს როდოსელისაგან ვიგებთ. არისტოტელე თურმე ამტკიცებდა, პელასგებს მეტი უფლება ჰქონდათო არკადიის მიმართ, ვიდრე გვიან მოსულ ელინებს, რადგან პელასგები უკვე მაშინ ცხოვრობდნენ არკადიაში, „როდესაც ყველა ციური სხეული ჯერაც არ ბრუნავდა ცარგვალზე, დანაელთა რასა ჯერაც ცნობილი არ ყოფილა, ხოლო პელასგთა ქვეყანას დევკალიონის შვილნი ჯერაც არ განაგებდნენ“[4].

არისტოტელეს ნათქვამი უნდა გავიგოთ იმის დადასტურებად, რომ პელასგები მეტისმტეად ძველი მცხოვრებლები არიან და ისინი აქ მითოლოგიური პერსონაჟების გაჩენამდე მოსახლეობდნენო.

ამ სიძველემ და მათმა კულტურამ არა მარტო შექმნა ის მითოლოგია, რასაც ჩვენ ბერძნულს ვუწოდებთ, არამედ დიდი მასალა მისცა ბერძნულ ლიტერატურას, აესახა ქცევა ადამიანებისა, რომლებიც თითქოს ბერძნულ სამყაროს ეკუთვნიან, მაგრამ ჯერაც შემორჩენილი ეროვნული ცნობიერება აკავებთ, რათა ბერძენთა მოწინააღმდეგე თანამოძმეებზე ხელი არ აღმართონ. „არსებობს კიდეც ცნობაც, რომ აქილევსს, რომელიც

1 იხ.: А.Г. Галанопулос, Э. Бэкон, «Атлантида за легендой - истина», Издательство «Наука», Москва, 1983 г., გვ. 118.

2 იხ.: ჯ. ჩედვიკი, „მიკენური სამყარო“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1989 წ., გვ. 42.

3 იხ.: ს. ყაუხჩიშვილი, „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“, თბილისი,, 1950 წ., ტომი I, გვ. 6.

4 იხ.: ლუდვიკ ზაიდლერი, „ატლანტისი“, თბილისი, „ნაკადული“, 1972 წ., გვ. 87.

ცნობილია ბერძნულ მითოლოგიაში ბერძენთა გმირთაგმირად, არ სურდა ტროადის ომში მონაწილეობის მიღება, რომ მან, ბრძოლის თავიდან აცილების მიზნით, ქალურად გადაცმულმა თავი შეაფარა თავის ბიძაშვილებთან (გოგონებთან) და რომ იგი სამარცხვინოდ ამხილეს ბერძენმა გმირებმა. ფილოლოგიურ მეცნიერებას არ შეუძლია, პასუხი არ გასცეს ამ გაუგებრობას და არ გაარკვიოს, თუ როგორ მოხდა, რომ ეს ბერძენი გმირთაგმირი ომს თავს არიდებდა, დიაცურდ იმალებოდა და მხოლოდ მას შემდეგ ჩაება ომში, რაც ოდისევსმა და დიომედემ ამხილეს იგი. თითქოს თავისთავად ასეთ პასუხს მოითხოვს ზემოთ დასმული კითხვა: როგორი გმირთაგმირია აქილევსი, თუკი მას ომში მონაწილეობის ეშინია? – რომ ის უმამაცესი გმირია, ამისი უარყოფა არ შეიძლება; მაშასადამე, თუ მას ომში მონაწილეობის მიღება არ სურს, ეს იმიტომ, რომ იგი არ არის ბერძენი და ბერძენთა მხარეზე ომში მონაწილეობის მიღება არ უნდა; ის სწორედ იმ წინაბერძნული მოსახლეობის რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც ბერძნებმა დაიმორჩილეს. მართლაც არ არის აქილევსი ბერძენი? გადავხედოთ ტროადის ომში მონაწილეთა სიას და დავინახავთ, რომ ბერძენთა სიაში აქილევსი არაა. აქილევსი თავისი მირმიდონელებით იქ მოთავსებულია არა ბერძენთა სიაში, არამედ „პელასგიკურ არგოსში“ (იხ ზემოთ, გვ. 45). ამ უკანასკნელში, ჩვენი აზრით, მოთავსებულნი არიან ისინი, რომელნიც წინაბერძნული მოსახლეობის კატეგორიას უნდა ეკუთვნოდნენ“[1].

ახლა ვნახოთ ციტატის ავტორის მიერ მითითებული „ხომალდების სია“, ანუ კატალოგი, რომელშიც მოცემულია ტროას ომში მონაწილე ბერძენთა სრული სია და ტროელთა მოკლე სია:

„აი, თვით „ხომალდების სიაც“ ბერძენთა ბანაკში (ტ. 494-759)

		წინამძღოლი	ხომალდების რაოდენობა
1.	ბეოტიელები	(5 კაცი)	50
2.	ორქომენი	ასკალაფე, იალმენე	30
3.	ფოკიდელები	სქედიოსი, ეპისტროფოსი	40
4.	ლოკრიდელები	აიანტი ოილეოსის ძე	40
5.	ევბეელები	ელეფენორი	40
6.	ათენი	მენესთევსი	50
7.	სალამინი	აიანტი ტელამონის ძე	12
8.	არგოსი	დიომედე, სთენელე, ევრილე	80
9.	მიკენი	აგამემნონი	100
10.	ლაკედემონი	მენელაე	60
11.	პილოსი	ნესტორი	90

1 იხ.: ს. ყაუხჩიშვილი, „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 1950 წ., გვ. 88-89.

12.	არკადია	აგაპერონი	60
13.	ელიდა	(4 კაცი)	40
14.	დულქია	მეგესი	40
15.	ითაკე	ოდისევსი	12
16.	ეტოლია	თოასი	40
17.	კრეტა	იდომენევსი	80
18.	როდოსი	ტლეპოლემოსი	9
19.	სვიმე კ.	ნირევსი	3
20.	ნისიროსი კ.	ფიდიპე, ანტიფოსი	30

Το Πελασγεχον Αεγος

21.	მირმიდონელები	აქილევსი	50
22.	ფილაკე	პროტეზილაე, პოდარკე	40
23.	ფერე	ევმელე	11
24.	მეთონე	ფილოქტეტე	7
25.	ტრიკე და ითომე	პოდალირი, მაქონი	30
26.	ორმენია	ევრიპილე	40
27.	არგისა	პოლიპეტე	40
28.	კიფოსი	გუნევსი	22
29.	მაგნეტები	პროთოოსი	40

ტროადელები და მათი მოკავშირეები (ტ. 816-877)

1.	ტროადელები	ჰექტორი
2.	დარდანები	ენეასი
3.	ძელია	პანდერე
4.	ადრასტეა	ადრასტე, ამფიოსი
5.	პერკოტე	ასიოსი
6.	პელასგები (ლარისიდან, კვიმესიდან, ეოლიიდან)	ჰიპოთოე
7.	თრაკიელები	აკამასი
8.	კიკონები	ევფემიოსი

9.	ამიდონი	პირექმე
10.	პალფაგონია	პილემენე
11.	ჰალიძონები	ოდიოსი, ეპისტროფოსი
12.	მიზიელები	ქრომიოსი, ენნომოსი
13.	ფრიგიელები	ფორკისი, ასკანიოსი
14.	მეონიელები (=ლიდიელები)	ანტიფოსი, მესთლე
15.	კარიელები	ნასტესი
16.	ლიკიელები	სარპედონი[1]

მეტად საყურადღებოა „ხომალდთა კატალოგი“, ანუ ტროას წინააღმდეგ გალაშქრებული ბერძნული კოალიციის წევრთა ჩამონათვალი. „მშვენიერი ელენეს“ გამოსახსნელად დაძრული ბერძენთა ფლოტის 1190 ხომალდიდან თითქმის ერთი მეოთხედი – 280 გემი „პელასგური არგოსიდან“ არის და ამათ შორისაა მირმიდონელების სათავეში მყოფი აქილევსი. მაშასადამე, ის პელასგია...

ძველ ბერძენ ავტორთაგან პელასგების ყველაზე ადრეულ ხსენებას ვხვდებით ძვ.წ. VIII საუკუნეში ჰომეროსის „ილიადაში“:

„ახლა ვუმღეროთ პელასგიკურ არგოსში მცხოვრებთ,
ალოსს, ალოპეს, ტრექისსა და ფთიას რომ ფლობენ.
ლამაზ ქალებით სახელგანთქმულ ჰელადის მკვიდრებს
ჰქვიათ ჰელენნი, აქაველნი, მირმიდონელნი.
მათ ორმოცდაათ გემს აქილევს მეთაურობდა“[1].

როგორც ვნახავთ, პელასგები ტროელებისა და მათი მოკავშირეების გვერდითაც იბრძვიან:

„ჰიპოთოოსი მოუძღოდა შუბოსან პელასგთ,
უხვნაყოფიან ლარისაში დასახლებულებს,
არესის მოდგმის ჰიპოთოოს და პილაოს,
ორივე იყო ტევტამიდი ლეთოსის ვაჟი“[2].

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პელასგები ორივე მხარეს იბრძვიან, გამოდის, ტროას ომის დროს პელასგები ჯერ კიდევ საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე ყოფილან განსახლებულნი.

ამრიგად, „ილიადაში“ არა მარტო მოხსენიებულნი არიან პელასგები, არამედ პოემის მეშვეობით იმასაც ვიგებთ, რომ 33 საუკუნის წინ გამართული უდიდესი ომი, რომლის

1 იხ.: ჰომეროსი, „ილიადა“, მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1979 წ., II, 681-684, გვ. 90.

2 იხ.: იქვე, გვ. 95.

მხოლოდ ერთ ეპიზოდს ასახავს ჰომეროსი, არის ბერძენ-აქაველთა ეთნიკური ექსპანსია ეგეიდასა და მომიჯნავე ტერიტორიებზე, რომლის მიზანიც ბერძნებამდელი მოსახლეობის – პელასგებისა და მათი მონათესავე ხალხების დაპყრობა და ასიმილაცია იყო. არაბერძნული მოსახლეობისათვის კიდევ უფრო გამანადგურებელი აღმოჩნდა ბერძენ-დორიელთა შემოსევა ძვ.წ. XII საუკუნეში, რომელიც მოგვიანებით ბერძნული კლასიკური ხელოვნების ერთი შედევრის საფუძველი გახდა: საქმე ის გახლავთ, რომ ძველი ბერძნები მტერზე გამარჯვების ნიშნად აღმართავდნენ ტროპაიონს – სვეტს, რომლის გარშემოც მტრისთვის წართმეული საჭურველი იყო დახვავებული. ერთხელაც, კარიელების ძლევის შემდეგ, სვეტი კი არ აღმართეს, არამედ დატყვევებული, გრძელი კაბებით შემოსილი კარიელი ქალები დააყენეს, ვითარცა გამარჯვების აღმნიშვნელი ტროპაიონი, თავზე ხონჩით, რომელზეც ბერძენთა მიერ მოპოვებული ნადავლი ეწყო. ამ ამბებიდან კარგა ხნის შემდეგ, როცა ძვ.წ. 421-409 წლებში ხუროთმოძღვარმა ალკამენემ ერეხთეონის ტაძარი ააგო, სახურავის დამჭერი სვეტების მაგივრად დატყვევებული კარიელი ქალების გამომსახველი ქანდაკებები აღმართა... მის შემდეგ დამკვიდრდა სვეტის ასეთი სკულპტურული ფორმა და მათ „კარიატიდებს“ უწოდებენ. ოღონდ ეს შემდეგ...

თავიანთი ექსპანსიის აქავეულ ეტაპზე ბერძნებმა ვერ შეძლეს, ბოლომდე გაეტეხათ პელასგები. ტროას ომის დროს მათ (პელასგებს) უკვე დაკარგული აქვთ პასიონარული ენერგია, ძლივსღა ინარჩუნებდნენ თავისთავადობას, უფრო ცალკეულ ინდივიდთა განსაკუთრებულობის გამოვლენით ახდენდნენ დამპყრობელ ბერძენ-აქაველებზე შთაბეჭდილებას. ამის ნიმუშია აქილევსი, რომელსაც გმირი მეომრის დიდი ავტორიტეტი აქვს და ამავე დროს შეუნარჩუნებია ეროვნული ცნობიერება, ამიტომ თავიდან არ სურს ბერძნებთან ერთად ტროელებთან ომი, რადგან იცის, რომ ტომით ნათესავ ხალხს უნდა ებრძოლოს, მაგრამ ისიც იძულებულია, სხვა პელასგების მსგავსად ბერძენთა მხარე ეჭიროს და თუ პელასგები ეროვნულ დონეზე ვერ ახერხებენ დაიცვან თავისთავადობა, ამას მათი მეომრები, მათ შორის, პირველ რიგში აქილევსი ინდივიდუალურ დონეზე, ახერხებს. ამასთან ისე, რომ წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს ბერძნებზე... გავიხსენოთ, „ილიადას“ დასაწყისში სწორედ აქილევსზეა ლაპარაკი:

„რისხვას, ღმერთქალო, უგალობე აქილევსისა,
აქაველთ თავს რომ დაატეხა ვნება ულევი!
გმირთა სულები გადახვეწა ქვეშეთის მხარეს,
გვამნი დაყარა ყვავ-ყორანთა დასაყივარად
და ძაღლთა წილად... ზევსის ნება მაშინ აღსრულდა,
მტრად მოეკიდნენ ოდეს ერთურთს მამაცთა მეფე
აგამემნონ და აქილევსი ღმერთის სადარი“[1].

„ილიადაში“ ჩვენ მრავალგზის ვნახულობთ „ღმერთის სადარი“ აქილევსის ვნებათაღელვის შედეგებს. კარგად რომ დააკვირდე, გაგიჭირდება იმის გარკვევა, ვინ არის ამ პოემის მთავარი გმირი – აგამემნონი, მენელაოსი, პარისი, ელენე, ჰექტორი, პრიამოსი, ოდისევსი, სხვა გმირები თუ პელასგი აქილევსი. ამ პერსონაჟს უსაზღვრო მგზნებარება და ჰეროიზმი შემოაქვს პოემაში, მისი გმირობის მაგალითზე თაობები აღიზარდა; გამოხდება

1 იხ.: იქვე, გვ. 51.

ხანი და მითოლოგიურ გმირად ქცეული აქილევსის საფლავს ისტორიული გმირი ალექსანდრე მაკედონელი მოინახულებს.

ძვ.წ. V საუკუნეში მცხოვრები ჰეროდოტესათვის პელასგთა თაობაზე ბევრი რამ უცნობი იყო: „რომელ ენაზე ლაპარაკობდნენ პელასგები, ამის თქმა არ შემიძლია დანამდვილებით. ხოლო თუ შესაძლებელია მიხვედრა იმ პელასგების მიხედვით, რომლებიც ახლაც არიან და ცხოვრობენ ტირსენთა ზემოთ ქალაქ კრესტონში და რომლებიც ოდესღაც ემეზობლებოდნენ ახლა დორიელებად წოდებულებს (მათ ეკუთვნით ის მიწა, რომელიც ახლა თესალიოტიდად იწოდება), ანდა თუ შეიძლება მიხვედრა იმ პელასგების მიხედვით, რომლებიც ჰელესპონტში ცხოვრობდნენ, პლაკიესა და სკილაკეში და რომლებიც ათენელებთან იყვნენ მჭიდროდ დაკავშირებულნი; და ასევე პელასგური დასახლებული პუნქტების მიხედვით, რომლებმაც სახელები გამოიცვალეს, თუ ამის მიხედვით შეიძლება მიხვედრა, მაშინ პელასგები ლაპარაკობდნენ ბარბაროსულ ენაზე. თუ მთელი პელასგური ტომი ასეთი იყო, პელასგური მოდგმის ატიკურმა ტომმა, ელინური რომ გახდა, თავისი ძველი ენაც დაივიწყა. რადგანაც არც კრესტონელების ენა ჰგავს მეზობელთაგან ვინმეს ენას, არც პლაკიელებისა, ხოლო ამ ორი ქალაქის მოსახლეობის ენა კი საერთოა, ცხადია, რომ როდესაც გადავიდნენ იმ ადგილებში, შეინარჩუნეს ენის თავისებურებები და ამას იცავდნენ.

მე ვფიქრობ, ელინური ტომი, თავისი შექმნის დღიდან, სულ მუდამ ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობდა. პელასგურ ტომს რომ გამოეყო, ის სუსტი იყო; დასაწყისში ის მცირე იყო, გადიდდა და მრავალტომიანად იქცა. ეს მოხდა განსაკუთრებით იმის შედეგად, რაც მრავალი პელასგური ტომი შეუერთდა მას და შემდეგ თანდათანობით კიდევ სხვა ბარბაროსული ტომებიც. ხოლო მე ვფიქრობ, რომ პელასგური ტომი, რომელიც ბარბაროსული იყო, არასოდეს გამრავლებულა დიდად“[1].

„ისტორიის მამა“ არც ბევრს და არც კონკრეტულს პელასგთა თაობაზე არ ლაპარაკობს, მაგრამ ეს ერთი შეხედვით. თუ კარგად დავუკვირდებით მის ნათქვამს, დავინახავთ, რომ მიუხედავად იმისა, პელასგების შესახებ ბევრი არაფერი იცის, ჰეროდოტე მოვლენებს აკვირდება და, აქედან გამომდინარე, აკეთებს საინტერესო დასკვნებს. ხვდება, რომ პელასგები უცხო ტომია, არაბერძნული და ამიტომ უწოდებს მათ ენასაცა და მათ ტომს ბარბაროსულს; ამავე დროს, მისი ნათქვამიდან კარგად ჩანს ისიც, რომ პელასგებს კონტინენტური და კუნძულოვანი საბერძნეთის ტერიტორიაზე ბერძნებზე ადრე უცხოვრიათ, ხოლო მოგვიანებით შემოჭრილ ბერძნულ ტომებს, სუსტთა და მცირერიცხოვანთ, მათ წიაღში უპოვნიათ გამრავლებისა და გაძლიერების კარგი პირობები და იმდენად გაძლიერებულან, რომ მოუხდენიათ პელასგური ტომების ასიმილაცია, ოღონდ არა ყველასი, რადგან ჰეროდოტეს დროს ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი პელასგური მოსახლეობა, რომელიც ნელნელა ითქვიფებოდა ბერძნულ ეთნოსში... საყურადღებოა „ისტორიის მამის“ შენიშვნა იმის თაობაზე, რომ პელასგები მრავალრიცხოვანნი არასოდეს ყოფილან. ეს დასკვნა არ უნდა იყოს სწორი, რადგან საბერძნეთის, ეგეიდისა და მცირე აზიის სანაპიროზე მცხოვრებმა პელასგებმა გაუძლეს ჯერ აქაველი და შემდეგ დორიელი ბერძნების ძლიერ ეთნიკურ ექსპანსიას და, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მიუხედავად მიგრაციისა, ხოლო დარჩენილთა ბერძნების მიერ ასიმილაციისა, ჰეროდოტეს დროს ჯერ კიდევ არსებობდნენ და ავად თუ კარგად ინარჩუნებდნენ თავისთავადობას. როგორც უკვე აღვნიშნე, ამ დროისათვის პე-

1 იხ.: ჰეროდოტე, „ისტორია“, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1975 წ., ტ. I, გვ. 54-55.

ლასგებს უკვე საბოლოოდ გახარჯული ჰქონდათ პასიონალური ენერგია, ობსკურაციის ანუ გადაშენების ფაზაში იმყოფებოდნენ, მაგრამ მათმა მაღალმა კულტურამ და ეთნიკურმა თვისებებმა დიდი გავლენა მოახდინა ნახევრადველურ ბერძნებზე და უდავოდ მყარი საფუძველი შეუქმნა მათ მიერ მოგვიანებით შექმნილ დიდებულ კულტურას. პელასგები იქცნენ ერთგვარ ეთნიკურ და ინტელექტუალურ მასალად, რომელიც ახალი (ბერძნული) ეთნოსის ჩამოსაყალიბებლად იქნა გამოყენებული.

ყველაეფრი ეს ერთბაშად არ მომხდარა, ამას დასჭირდა დრო და ასიმილაციის ხანგრძლივი პროცესი, რამაც საბერძნეთის ტერიტორიაზე მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შეცვლა გამოიწვია. ჰეროდოტეს ნაშრომში ბევრია ამ მოვლენათა გამოძახილი; ხშირად ეს ამბები თავისებურად, კონსპექტური ფორმით არის მოცემული ისე, რომ სახელთა ცვლის მიღმა ვერც კი დაინახავ ეთნიკურ დაპირისპირებას, მაგალითად, ასე, როგორც ამ ციტატაშია მოცემული: „ხოლო ათენელები, სანამ პელასგებს ეპყრათ დღევანდელი ელადად წოდებული ქვეყანა, თვითონაც პელასგები იყვნენ და ეწოდებოდათ კრანაები; მეფე კეკროპის დროს კეკროპიდები ერქვათ, ხოლო როდესაც მმართველობა ერეხთეევსმა დაიმკვიდრა, მაშინ დაერქვათ ათენელები. მაგრამ იონ ქსუთოსის ძე რომ გახდა მხედართმთავარი, ათენელებს მისი სახელის მიხედვით ეწოდათ იონელები“[1].

ვფიქრობ, ზემოთ მოხმობილი ციტატები საკმარისია იმისათვის, რომ ვირწმუნოთ ჭეშმარიტება: წინაბერძნული მოსახლეობა პელასგურია! ამიტომ კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს კითხვა იმის თაობაზე, თუ ვინ არიან პელასგები და საიდან მოვიდნენ ისინი კონტინენტური და კუნძულოვანი საბერძნეთის, აგრეთვე მცირე აზიის ნაპირებზე. პასუხს შეიძლება მივაგნოთ პროფესორ რისმაგ გორდეზიანის ფუნდამენტურ ნაშრომში „მედიტერანიულ-ქართველური მიმართებები“, რომლის, კერძოდ, მესამე წიგნის დასკვნით კომენტარებში, გამოთქმული მოსაზრებები ზედმიწევნით ზუსტად ხსნიან ჩვენთვის საინტერესო საკითხს: „მედიტერანიულ-ქართველური ენობრივი მიმართებების ის სურათი, რაც მთელი ზემოწარმოდგენილი მასალის განხილვის შედეგად იკვეთება, ბუნებრივია, ისტორიული და არქეოლოგიური მონაცემების სისტემაში ჩასმას მოითხოვს.

სავსებით ნათელია, რომ ხმელთაშუა ზღვისპირეთი, ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით, ნეოლითიდან მოყოლებული, ენათა ოჯახების ფორმირებისა და ენობრივი კონტაქტების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს არეალს წარმოადგენდა. მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ძვ.წ. VIII-VI ათასწლეულებში ე.წ. პირველი ან პროტოსაკაცობრიო ენის (თუ ენების) დიფერენციაციის პროცესი უკვე საკმაოდ შორს იყო წასული. ენათა ახალ-ახალი ოჯახების ფორმირება წარმოადგენდა ერთდროულად რაღაც უფრო ადრეული სტადიის დასრულებისა და შედარებით გვიანდელის დაწყების ეტაპს. როგორც ჩანს, თავის მხრივ, ხმელთაშუა ზღვისპირეთში მიმდინარე მოვლენები მხოლოდ ნაწილი იყო ევრაზიის სივრცეში ძველი ენობრივი ერთიანობების დაშლისა და ახალთა წარმოქმნის უწყვეტი პროცესისა. სავარაუდოა, რომ ნეოლითში არსებითად გამოიკვეთა იმ ენობრივ ერთიანობათა კონტურები, რომელნიც ჩვენთვის ცნობილი ენობრივი ოჯახების წარმოქმნის საფუძველს ქმნიდნენ. აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში ამგვარ, გარკვეულწილად, დომინანტურ ერთიანობად წარმომიდგება სამხრეთ-აღმოსავლეთ-ანატოლიური, რომლის დიფუზიამ თითქმის მთელ ამ რეგიონში წარმოშვა ე.წ. მედიტერანიული ენობრივი ერთიანობა თუ კავშირი. ახლა ძნელია იმის თქმა, შეიძლება თუ არა ამ „წარმონაქმნს“ ენობივი ოჯახის კვალიფიკაცია მიეცეს. ყოველი შემთხვევისათვის, მას ენობრივ პარალელთა თუ თანხვედრათა საკმაოდ მაღალი ხარისხი გამოარჩევდა. ჩემი აზრით, სწორედ ამ დიფუზიის შედეგად, სხვებს შორის უნდა წარმოქმნილიყო ასევე ე.წ. ეგეოსური ენობრივი არეალი, რომელიც ეგეიდა-ანატოლიის რეგიონს მოიცავდა და მესოპოტამიურ-პროტოქართველური ენობრივი არეალი, რომელიც სამხრეთი კავკასიისა და ჩრდილოეთი მესოპოტამიის რეგიონებს მოიცავდა. ვფიქრობ, ძვ.წ. IV ათასწლეულის დასაწყისიდან მესოპოტამიურ-პროტოქართველური ერთიანობის დაშლის შედეგად შუამდინარეთში შუმერული ენა ყალიბდება, ხოლო მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების სამხრეთი კავკასიის რეგიონში საერთოქართველურ ენათა ოჯახი ფორმირდება. პირველი წარმოადგენს სავარაუდო პროტოშუმერულის (სამხრეთ-აღმოსავლეთი ანატოლიურისა და ჩრდილოეთ აფრიკულის სინთეზის შედეგი) და შუმერულ-პროტოქართველურის შერწყმის შედეგს, ამიტომ შუმერულ ენას აშკარად გამოარჩევს კვაზიქართველური ხასიათი. ქართველურ ენათა ოჯახი მესოპოტამიურ-პროტოქართველური და დასავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიური ენების ურთიერთშერწყმის საფუძველზე იქმნება. ამიერიდან უკვე საკუთრივ ქართველური ხდება მედიტერანიულ მიმართებათა სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი. ბუნებრივია, ისმის კითხვა: რომელი არქეოლოგიურად ცნობილი კულტურის ფარგლებში შეიძლება ვივარაუდოთ საერთოქართველური ენის მატარებელთა გავრცელება? ჩემი აზრით, მტკვარ-არაქსის ადრებრინჯაოს ხანის კულტურის ფარგლებში. ეს კულტურა, როგორც ცნობილია, ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში გავრცელდა საკმაოდ დიდ (დაახლოებით 1000 კმ x 500 კმ) ტერიტორიაზე და მოიცვა არეალი, რომელიც ჩრდილოეთით საქართველოს, სამხრეთ-დასავლეთით კილიკიის, სამხრეთ-აღმოსავლეთით ურმიისა და ვანის ტბის, ნაწილობრივ თანამედროვე სირიის ფარგლებს სწვდებოდა... ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ევრაზიულ სივრცეში ხალხთა ინტენსიური გადაადგილების პროცესი იწყება. ვფიქრობ, რომ მისი კვალი ამ პერიოდში მტკვარ-არაქსის კულტურის იდუმალებით მოცულ „გაუჩინარებაშიც“ შეიძლება დავინახოთ. მტკვარ-არაქსის კულტურის დაქვეითების პროცესთან დაკავშირებული უნდა ყოფილიყო კავკასიური ტომების დიფუზია სხვადასხვა მიმართულებით, რაც საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. ხალხთა ამ გადაადგილებებში, როგორც ჩანს, აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველური ტომებიც. ჩემი აზრით, კავკასიურ ტომთა დასავლეთისაკენ მოძრაობა ორი მიმათულებით მიმდინარეობდა. ერთი – სამხრეთ-დასავლეთის, რისი კვალიც უნდა დავინახოთ ანატოლიაში ალაჯა-ჰიუკის, გარკვეულწილად, ენიგმატური კულტურის ისტორიულ ასპარეზზე გამოჩენაში. ამ კულტურას მკვლევართა ერთი ნაწილი ხეთებთან აკავშირებს, რომელთა ენის მიმართებაზე ქართველურთან ზემოთ გავამახვილე ყურადღება (I, 165 შმდ.). ამ მიმართულებით გადაადგილება ეგეიდას უნდა მისწვდომოდა, რაც იქ ე.წ. ქართველური შრის ფორმირებაში უნდა გამოხატულიყო. მეორე მიმართულებაა ჩრდილო-დასავლეთის, – მოძრაობა მაიკოპის ყორღანებისა და ტრიპოლიეს (უკრაინა) გავლით ევროპისა და, კერძოდ, ხმელთაშუა ზღვისპირეთისაკენ მიმდინარეობდა. მან თავისი კვალი დატოვა ე.წ. გვიანინდოევროპულ დიალექტებში; ჯერჯერობით ყველაზე რელიეფურად აქ ქართველური ელ-

1 იხ.: ჰეროდოტე, „ისტორია“, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1976 წ., ტ. II, გვ. 501.

ემენტი იკვეთება (შდრ. II, 80 შმდ.). ამ მოძრაობათა შედეგად ეგეიდასა და დასავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში იქმნება ენობრივი არეალი, რომელშიც მნიშვნელოვანი ჩანს ქართველური კომპონენტი.

წინაბერძნულ-ქართველური ენობრივი შეხვედრების ისტორიულ-არქეოლოგიური საფუძვლები. – რამდენად რეალურად გამოიყურება ქართველური მიგრაციის საკითხი ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულის და II ათასწლეულის დასაწყისის ეგეიდაში ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით? უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ თვით ბერძნული ტრადიცია, ძველ ავტორთა ცნობები ეგეიდაში ძვ.წ. II ათასწლეულის მოვლენების შესახებ. რასაკვირველია, ბერძენთა ცნობებში პრეისტორიულ ამბებზე ბევრია მითიური, წინააღმდეგობრივი, მაგრამ, ვფიქრობ, მათში შეიძლება რაციონალური მარცვლის მონახვაც. კერძოდ, ბერძენ ავტორთა ერთობლივი აღიარებით, ელინთა აღმავლობამდე ეგეიდაში წამყვანი ადგილი ეკავათ პელასგებს და სხვა არაელინურ ტომებს: ლელეგებს, კავკონებს, კურეტებს, კარიელებსა და სხვათ. ძნელი სათქმელია, რამდენად ახლოს იყვნენ თვით ეს ტომები ერთმანეთთან გენეტიკური თვალსაზრისით. ყოველი შემთხვევისათვის, თვით ბერძნულ წყაროებში არ არის იშვიათი ტერმინი „პელასგურის“ გამოყენება საერთოდ წინაბერძნული მოსახლეობის აღსანიშნავად.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ბერძნები პელასგებს თვლიდნენ ავტოქთონურ-არაელინური მოსახლეობის წამყვან ელემენტად ეგეიდაში. ბერძნულ მითოლოგიურ ტრადიციაში პელასგოსი ერთგვარ ეგეოსურ „ადამად“ არის მიჩნეული. ა.მ. პავსანიასთან (8, I, 4) მოტანილია ორსტრიქონიანი ნაწყვეტი ძვ.წ. VI ს. პოეტის, ასიოს სამოსელის, ერთ-ერთი გენეალოგიური პოემიდან:

> ἀντίθεον δέ Πελασγό ἐν ὑψικόμοισιν ὀρεσσι
> γαία μέλαίν ἀνέδωκεν, ἵνα θνητώνγένος εἴη.
> „ღვთისდარი პელასგოსი ტყით დაფარულ მთებში
> შავმა მიწამ წარმოქმნა, რათა მოკვდავთა მოდგმა ყოფილიყო“.

ძნელია იმის განსაზღვრა, თუ დაახლოებით როდის უნდა გაჩენილიყო პელასგოსი, რადგან სხვადასხვა ავტორი სხვადასხვაგვარ გენეალოგიურ სიას გვთავაზობს. ერთი აშკარაა – პელასგოსი წინ უძღვოდა ე,წ, დევკალიონის წარღვნას. აპოლოდოროსი ამგვარად აჯამებს პელასგოსის შესახებ არსებულ ცნობებს: „[პელასგოსი], როგორც აკუსილაოსი გადმოგვცემს, ყოფილა ზევსისა და ნიობეს ვაჟიშვილი, ხოლო ჰესიოდეს მიხედვით იგი „ავტოქთონია“ (III, 8, 1). როგორც ჩანს, თვით აპოლოდოროსი მხარს უჭერს პირველ ვერსიას, რადგან პელასგოსის გენეალოგია ოკეანოსსა და თეტისამდე აჰყავს. მისი ცნობით, ტიტანსა და ტიტანიდას ჰყავდათ შვილი ინაქოსი, ამ უკანასკნელს ოკეანიდა მელისაგან ჰყავდა ვაჟიშვილები: ფრონევსი და აირიალევსი. ფრონევსს ნიმფა ტელედიკესაგან ჰყავდა აპისი და ნიობე. ნიობემ ზევსისაგან ორი ვაჟი – არგოსი და პელასგოსი – გააჩინა. არგოსისა და ევანდეს შთამომავლობის ნუსხა დანაოსის არგოსში გადმოსახლებამდე, ანუ ბერძნული მითოლოგიური ქრონოლოგიის მიხედვით ძვ.წ. XVI ან XV საუკუნემდე ამგვარია:



შესაბამისად, დანაოსი არის მეცხრე თაობა არგოსის შემდგომ. ე.ი. არგოსს დანაოსამდე დაახლოებით 300 წლით ადრე, ანუ ძვ.წ. XIX-XVIII საუკუნეში უცხოვრია მითოლოგიური ტრადიციის მიხედვით. ბუნებრივია, თუკი პელასგოსი მისი თანამედროვეა, იგიც ამ პერიოდს უნდა დავუკავშიროთ, თუმცა მისი შთამომავლობის ნუსხა ერთგვარად წინააღმდეგობაშია არგოსის შთამომავლობის ნუსხასთან. კერძოდ, პელასგოსს, მითოლოგიური ტრადიციის მიხედვით, დევკალიონის წარღვნისგან (ძვ.წ. XVII, XVI ან XV საუკუნე) აშორებს მხოლოდ ორი თაობა, რადგან ზევსმა წარღვნა ადამიანებს მოუვლინა პელასგოსის ძის ლიკურგოსის 50 ვაჟის სიცოცხლეში. შესაბამისად, ამ ვერსიის თანახმად, პელასგოსი ყველაზე ადრე ძვ.წ. XVII საუკუნეში მოექცეოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ბერძნულ მითოლოგიურ ტრადიციაში გაუგებრობა შეაქვს თვით წარღვნის მოტივაციას. არ არის გამორიცხული, რომ ლიკურგოსი და მისი 50 შვილი განასახიერებენ პელასგოსის მთელ თაობებს, რომლებიც შემდგომ ტრადიციაში შეერწყნენ ერთმანეთს; ამას, სხვათა შორის, მხარს უჭერს დიონისიოს ჰალიკარნასელის ცნობაც, რომლის თანახმადაც პელასგები კონტინენტურ საბერძნეთში ტროას ომამდე 17 თაობით ადრე უნდა გამოჩენილიყვნენ (I, 11, 2). თუკი ტროას ომის ჰეროდოტესეულ თარიღს მივიღებთ ამოსავლად, ეს დაახლოებით ძვ.წ. XX-XIX საუკუნეში უნდა მომხდარიყო. როგორც ჩანს, პელასგოსის შთამომავალნი საკმაოდ სწრაფად გავრცელებულან ეგეიდაში და საერთოდ მთელ ხმელთაშუა ზღვის აუზში. სხვა ტომთა პელასგიზაციის ან პელასგური წინარემოსახლეობის დიფერენციაციის შედეგი უნდა ყოფილიყო იმ წინაბერძნულ ტომთა ფორმირება (კარიელები, ლელეგები, კავკონები და სხვ.), რომელნიც პელასგებთან ერთად ფიგურირებენ ძვ.წ. II ათასწლეულში... პელასგური მიგრაცია, პელასგთა განსახლების მთავარი რეგიონიდან, პელოპონესოსიდან უნდა დაწყებულიყო. მან, როგორც ჩანს, მალე მოიცვა

თითქმის მთელი კონტინენტური საბერძნეთი. უკვე ერთობ ადრე პელასგებს დაუარსებიათ დასახლებები იტალიაში, რის დასამტკიცებლადაც ანტიკურ წყაროებში მოაქვთ ხოლმე საკმაოდ საიმედო არგუმენტი – პელასგური გეოგრაფიული სახელწოდებები, ტოპონიმები. რომ ავიღოთ მარტო ისეთი ტიპიური პელასგური ფუძე, როგორიცაა ლარ-, მისგან ნაწარმოები სახელწოდებები გვხვდება ხმელთაშუა ზღვის სულ სხვადასხვა რეგიონში. ა.მ.: არის(ს)ა – კამპანიაში, თესალიაში, ატიკაში, არგოლიდაში, კრეტაზე, ლესბოსზე, ტროადაში, ლიდიაში, კაპადოკიაში; არინუმ – (იტალიაში); არინე – ეპირში (ატიკაში); არისოს – (პელოპონესოსში), არყმნა – (ლოკრისში, კარიაში), არყმნოს (ევბეაზე), არისიონ და არინტჰიოს – (ლაკონიაში), არას და არყმონ – (იონიაში), არანდა – (ისავრიაში და კილიკიაში) და ა.შ. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ თვით ბერძნულ წყაროებში გვაქვს მინიშნება იმის თაობაზე, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში ისტორიულ ასპარეზზე გამოსულან პელასგები, რომელთაც არა მარტო ბერძნული ენისა და კულტურის ფორირებაზე მოუხდენიათ დიდი გავლენა; ისინი საკმაოდ ფართოდ გავრცელებულან ძველი სამყაროს მრავალ რეგიონში.

პელასგთა გავრცელების საზღვრები ანტიკურ წყაროთა მიხედვით ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ: საბერძნეთი და ეგეიდა (აღმოსავლეთით საზღვარია მცირე აზიის სანაპირო, სამხრეთით – კრეტა, ჩრდილო-დასავლეთით – თრაკია, მაკედონია და ეპირე); აპენინების ნახევარკუნძული (პოს შესართავიდან უმბრიისა და კამპანიის ჩათვლით ვიდრე ბრუტიუმამდე)... ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისისათვის, ე.ი. დაახლოებით იმ დროისათვის, როდესაც ბერძნულ ტრადიციას პელასგოსი გამოჰყავს ისტორიულ ასპარეზზე, საბერძნეთში აღმავლობას იწყებს შუა ჰელადური კულტურა. იგი, როგორც ჩანს, უკვე ადრე ბრინჯაოს ხანის ბოლოს დაწყებული მიგრაციების შედეგს წარმოადგენს... „ამ მოძრაობის კვალი კარგად შემოგვინახა ლევკანდი I“-ის კულტურამ. მან, თავის მხრივ, ბიძგი მისცა ტირანსის კულტურის აღმავლობას, ხოლო ადრე ჰელადურ IIB პერიოდთან დაკავშირებულმა კულტურებმა საფუძველი შეუქმნეს შუა ჰელადური კულტურის განვითარებას. ამჟამად ამ უკანასკნელს შემდეგ ქვეპერიოდებად ჰყოფენ: შჰ I, დაახლ. 2100 ან 2050/2000-1900 („ადრეული მინიური“), შჰ II, დაახლ. ძვ.წ. 1900-1700 („დეკორატიული (ან მოწიფული) მინიური“) და შჰ III, დაახლ. 1700-1575/1550 (იმ შემთხვევაში, თუკი დავეთანხმებით სანტორინის კატასტროფის გადათარიღებას, მაშინ ძვ.წ. 1625) („გვიანი ფაზა“)... „შუა ჰელადური კულტურის მატარებლებმა, როგორც ჩანს, ესპანეთსაც კი მიაღწიეს, რაზეც აქ ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე მეოთხედში აღმოცენებული ე.წ. ელარგარ-ის კულტურა უნდა მიუთითებდეს, რომელსაც მრავალი რამ აახლოებს შუა ჰელადურ კულტურსთან, ყველაზე მეტად კი კერამიკა. თუკი ამ მონაცემებს ბერძნულ წყაროთა ცნობებთან შევაპირისპირებთ, დავინახავთ, რომ შუა ჰელადური კულტურის გავრცელება ქრონოლოგიურადაც და გეოგრაფიულადაც ყველაზე მეტად პელასგთა აღმავლობისა და განსახლების სურათს ემთხვევა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ძვ.წ. III-II ათასწლეულთა მიჯნაზე კონტინენტურ საბერძნეთში ჩამოყალიბებული პელასგური მოსახლეობა ერთერთი წამყვანი ეთნიკური ელემენტი გახდა ეგეიდა-ანატოლიაში და საკმაოდ მყარად მოიკიდა ფეხი იტალიის და რამდენადმე ესპანეთის ზოგიერთ რეგიონში... „დაახლოებით ძვ.წ. 1800 წლისათვის ესპანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში აღმავლობას იწყებს EIArgar-ის კულტურა, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, ჰელადური კულტურის აშკარა გავლენას გვიჩვენებს. ეს კულტურა, შესაძლოა, ბასკების წინაპრებთან დაკავშირებული, პელასგური ტომების ერთი ნაწილის დასავლეთით გადაადგილების კვალს არეკლავდეს“. – „ძვ.წ. III ათასწლეულში იწყება ხალხთა მძლავრი გადაადგილება, განსაკუთრებით აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. ამ პროცესში ინტენსიურად მონაწილეობენ მტკვარ-არაქსის კულტურის რეგიონში განლაგებული კავკასიური, კერძოდ, ქართველური ტომები. ამ უკანასკნელთა მოძრაობამ ჩრდილო-დასავლეთიასკენ გამოიწვია ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში შერევა ადგილობრივ ტომებთან, რამაც თავისი ანარეკლი ჰპოვა გვიან ინდოევროპულ დიალექტებში შესამჩნევი ქართველური შრის გაჩენაში, რომელმაც თავისი კვალი დატოვა განსაკუთრებით ბალტურ-სლავურ, თრაკიულ, მაკედონურ, ბერძნულ, იტალიკურ, ალბათ კელტურ, გერმანიკულ და ზოგიერთ სხვა ენასა თუ ენათა ჯგუფებში. როგორც ჩანს, ბერძნული ენის ე.წ. ქართველიზმების ერთი ნაწილი სწორედ ამ მოძრაობასა და ქართველური ელემენტების გავრცელების გვიან ინდოევროპელ მედიატორსა თუ მედიატორებთან არის დაკავშირებული. ამავე დროს, სავარაუდოდ, ანატოლიიდან ეგეიდაში აღწევს მეორე ნაკადი კავკასიელი, კერძოდ, ქართველურენოვანი ემიგრანტებისა, რომელთაც ე.წ. ეგეოსური, სამხრეთ-აღმოსავლეთ-ანატოლიური კულტურის გავრცელების შედეგად ფორმირებულ ერთიანობაში შეაქვთ მძლავრი, უკვე საკუთრივ ქართველური, კომპონენტი. ეგეიდაში იქმნება ეგეოსურ-ქართველური ენობრივი ერთიანობა, რომელსაც პირობითად მინოსურ-დასავლეთ ანატოლიურ-პელასგური (შემოკლ. მდაპ) შეიძლება ვუწოდოთ. ამ უკანასკნელის დიფერენციაციის შედეგად ამ რეგიონში ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან ფორმირებას იწყებს ერთმანეთის მონათესავე ან თითქმის მონათესავე მინოსური, პელასგური, ლელეგური, დასავლეთ ანატოლიური და სხვა ენები. ამ არეალიდან უკვე ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში ხდება გადაადგილება დასავლეთისაკენ, რაც იტალიასა და ესპანეთში შუა ჰელადური ტიპის კულტურის გავრცელებასა და ესპანეთში წინარე-ბასკურის, ხოლო იტალიაში წინარეეტრუსკულის ანუ პელასგურის დამკვიდრებას უწყობს ხელს. ძვ.წ. XVII ან XVI საუკუნეში ეგეიდაში ხდება მოვლენა, რომელიც, როგორც ჩანს, ამ რეგიონში ძალთა ახალი მნიშვნელოვანი გადაადგილების საფუძველს ქმნის – ეს იყო სანტორინის კატასტროფა ანუ ცივილიზებული სამყაროს ისტორიაში ერთერთი უმძლავრესი ვულკანური ამოფრქვევა. მას დენდროქრონოლოგიური და რადიოკარბონული მეთოდით ათარიღებენ ძვ.წ. 1650-1600 წლებით, არქეოლოგთა მიერ შემოთავაზებულ ტრადიციულ თარიღად ძვ.წ. 1550-1500 წლები ითვლება. უკანასკნელ ხანებში უფრო პირველი თარიღისაკენ იხრებიან“[1].

ქართველი მეცნიერის მონოგრაფიიდან მოხმობილი ეს ვრცელი ციტატები საშუალებას გვაძლევს, გავერკვეთ ატლანტისელთა ეროვნებაში, თუ ვირწმუნებთ იმას, რომ მინოსური კრეტის ბრწყინვალე კულტურა აირეკლა პლატონის დიალოგებში (ამისი დამადასტურებელი ფაქტები კი საჭიროზე მეტია), მაშინ იმაშიც უნდა გავერკვეთ, თუ ვინ იყო მინოსური კრეტის მოსახლეობა, რომელმაც ძვ.წ. II ათასწლეულში უძლიერესი საზღვაო იმპერია შექმნა და გაბატონებულ მდგომარეობას მიაღწია ეგეიდასა და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში, – ეს ხალხი პელასგები იყვნენ, პროტოქართველური ტომები.

აქ ბუნებრივად იბადება კითხვა: რამ მიანიჭა პროტოქართულ ტომებს ის დიდი ეროვნული ენერგია, რომ მათ ჯერ, ანუ ძვ.წ. IV ათასწლეულში შექმნეს საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე განფენილი მტკვარ-არაქსის კულტურა და დაახლოებით 1000 წლის შემ-

1 იხ.: რისმაგ გორდეზიანი, „მედიტერანიულ-ქართველური მიმართებები“, ეტრუსკული, დასკვნითი კომენტარები. გამომცემლობა „ლოგოსი“, 2007 წ., ტ. III, გვ. 404-430.

დეგ განახორციელეს დასავლეთისაკენ ორ ნაკადად მიმართული ეთნიკურ-კულტურული ექსპანსია? – ამისი მიზეზი ორი მძლავრი პასიონარული ბიძგი უნდა ყოფილიყო. პასიონარულის თაობაზე ამ ნაშრომშიც გავაკეთე კომენტარი და უფრო დეტალურად ლევ გუმილიოვის თეორიის თაობაზე უკვე ვწერდი ესეების კრებულში „ეროვნული იდეა“ (თბილისი, 2003 წელი). ამიტომ აქ აღარ გავიმეორებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ეთნოგენეზისის ეს საწყისი მომენტი საქართველოს ტერიტორიაზე არა მხოლოდ ზემოხსენებულ ორ შემთხვევაში უნდ მომხდარიყო, არამედ, როგორც ჩანს, ეს მოვლენა პერიოდულად ხდებოდა ძველი ქვის ხანისა და ახალი ქვის ხანის დროსაც, ენეოლითის ხანაშიც, როცა წარმოიშვა შულავერ-შომეთეფეს კულტურა, სიონის კულტურა; ამის შედეგია კულტურული პროცესები დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში, როგორც უკვე ვთქვი, ადრე ბრინჯაოს ხანაში მტკვარ-არაქსის კულტურა, აგრეთვე შუა ბრინჯაოს ხანაში ადრე ყორღანული კულტურა, თრიალეთის კულტურა, კოლხური კულტურა. პასიონარული ბიძგი – ეს ეთნოგენეზისის პროცესის პერმანენტული დაწყება და გაგრძელებაა, მსგავსად ეგვიპტელთა ეთნოსისა და მისი კულტურის მრავალგზისი განახლებისა, მთლიანობაში 5000 წელი რომ გაგრძელდა. ასე რომ, ზემოთ ჩამოთვლილი კულტურები ერთი პროტოქართველური ეთნოსის განვითარების სხვადასხვა კულტურული ეტაპია!

ასეთი შეხედულების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს ზოგიერთი მეცნიერული მოსაზრებაც. არქეოლოგი ოთარ ჯაფარიძე წერს: „ბოლო დროს უფრო ის აზრი დომინირებს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის წარმოქმნის პირვანდელი წარმოქმნის რეგიონი ცენტრალურ ამიერკავკასიაში, სიონ-ღელათეფეს კულტურის გავრცელების არეს მოიცავდა და ამ კულტურის საფუძველზე უნდა აღმოცენებულიყო“[1].

ეს კი, არც მეტი, არც ნაკლები, არა მარტო პროტოქართველური, არამედ ზოგადად ქართული კულტურის კონსტანტურობაზე მეტყველებს. ამასთან, ცხადია, ეს მდგრადობა და მემკვიდრეობითობა ერთი ეთნოსის წიაღში მიმდინარე პროცესების შედეგია და ყოველი ახალი პასიონარული ბიძგის შედეგად ახდენს მკვეთრ გამოვლინებას ახალი კულტურის სახით.

ნებისმიერ კულტურას აქვს თავისი განვითარების ყველაზე ნათლად გამომხატველი მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები. ასეთია, რა თქმა უნდა, პასიონარული ბიძგის შედეგად წარმოქმნილი ის ეროვნული ენერგია, ჩვენს წინაპრებს, პროტოქართველებს, მეგალითური ნაგებობების აშენების საშუალება რომ მისცა. ვგულისხმობ ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრისა და ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის ძეგლებს: ლოდოვანს, აბრამლოს, პატარა აბულს, შავორს, თეჯისს. ამ ძეგლებს ადრეც იკვლევდნენ[2], მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ჟურნალისტ ზურაბ დვალის თაოსნობით ორგანიზებულმა ექსპედიციამ, რომელშიც მონაწილეობდა ამერიკელი მეცნიერი გორდონ ჰიუსტონი, რომლის კვლევების შედეგად გამოირკვა, რომ გარდა იმ ფუნქციებისა, რასაც აკუთვნებენ ამ ნაგებობებს – თავდაცვითს ან საკულტოს, მათ აქვთ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ფუნქციაც. აღმოჩნდა, რომ აბული და შაორი ყოფილან გიგანტური ობსერვატორიები, რომელთა მეშვეობითაც ჩვენი შორეული წინაპრები ცდილობდნენ გარკვევას

1 იხ.: ოთარ ჯაფარიძე, „ქართველი ერის ეთნოგენეზისის სათავეებთან“, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2006 წ., გვ. 286.

2 იხ.: ლეონ მელექსეთ-ბეგი, „მეგალითური კულტურა საქართველოში“, თბილისი, 1938 წ.; გურამ ყიფიანი, „ქვის დარბაზები“, სამეცნიერო შრომების კრებული, ხელოვნებათმცოდნეობა, №9, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005 წ.

დროსა და სივრცეში, მათ შეუქმნიათ დღე-ღამსწორობის დადგენის სისტემა. უდავოა, ეს უძველესი ასტრონომები ზეცაზე დაკვირვების შედეგებს ყოფა-ცხოვრებაში ნერგავდნენ, – გავიხსენოთ მთვარის კალენდრის როლი სოფლის მეურნეობაში. სავარაუდოა, რომ სწორედ ამ ეპოქაში დაიწყო ის ასტრონომიული ძიებები, რომელთა შედეგიც, უკვე მოგვიანებით იყო კოლხების ის კვირბები, რომლებზეც სახმელეთო და საზღვაო გზები იყო აღნიშნული. მოგეხსენებათ, ძველად გზის გაგნება მნათობებზე დაკვირვებით ხდებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ დიდი მიგრაცია, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურის შემქმნელმა პროტოქართველურმა ტომებმა განახორციელეს შავი ზღვის სამხრეთისა და ჩრდილოეთის შემოვლით ეგეიდისაკენ და იქ კრეტის დიდი მინოსური ცივილიზაცია შექმნეს, ამ ცოდნის გამოყენებით განხორციელდა.

პასიონარული ბიძგის შედეგია მოგვიანებით წარმოქმნილი ძველი კოლხა და დიაოხი, აგრეთვე კიდევ უფრო გვიან შექმნილი იბერიის სამეფო. ამას გარდა, პასიონარული ბიძგები ხდებოდა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მცხოვრები პროტოქართველური ტომების (თობალები, მუშქები) განსახლების არეალში. ეს მათში მიმდინარე ეთნოგენეზისის პროცესის ხასიათიდან გამომდინარე შეიძლება დავინახოთ.

ყველა ეს პასიონარული ბიძგი განსხვავებული სიმძლავრისა იყო, ოღონდ, როგორც უკვე ითქვა, ორი მათგანი განსაკუთრებული სიმძლავრით გამოირჩევა. პირველი უნდა მომხდარიყო ძვ.წ. IV ათასწლეულში და წარმოქმნა მტკვარ-არაქსის პროტოქართული კულტურა, რომელიც ტერიტორიულად განფენილი იყო მთლიანად ცენტრალურ ამიერკავკასიაში, ვრცელდება სამხრეთით და მოიცავს ვანისა და ურმიის ტბების მიმდებარე ტერიტორიებს, ღრმად აღწევს ირანში, თანამედროვე ქალაქებამდე – ჰამადანამდე და გოდინამდე, აგრეთვე იჭრება ანატოლიის ნახევარკუნძულის სიღრმეში ქალაქ მალათეამდე. ამ კულტურის კვალს ვაწყდებით ცენტრალურ ანატოლიაში ალაჯას მიდამოებში და მტკვარ-არაქსის კულტურის დიდ კოლონიას აღმოსავლეთი ხმელთაშუა ზღვის პირას დღევანდელი სირიის, ლიბანისა და ისრაელის ტერიტორიებზე, რომელსაც „კირბეთ კერაკის“ კულტურას უწოდებენ. ასეთი გახლავთ ზემოხსენებული პასიონარული ბიძგის შედეგად ამოძრავებული პროტოქართული ტომების მიერ დაკავებული ტერიტორიის მასშტაბები; ამიტომ ვერ გავიზიარებთ ბ-ნი ო. ჯაფარიძის მოსაზრებას, რომელიც ამბობს: „ისიცაა საგულისხმო, რომ კულტურის დიდ სივრცეებზე განფენა შეიძლება სხვადასხვა გარემოებას გამოეწვია, მაგრამ როდესაც მიგრანტები თავის პირველ ადგილსამყოფელს მთლიანად არ ტოვებენ და საცხოვრებლად სხვა ადგილზე გადადიან, ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მოსახლეობის მკვეთრ ზრდასთან უნდა იყოს დაკავშირებული“[1].

ძნელია დაეთანხმო ავტორს იმაში, რომ დიდი სივრცის ათვისება გამოწვეული იყო მოსახლეობის მკვეთრი ზრდით, რადგან თუ ეთნოსში პასიონარები – ანუ ისინი, ვისი „მოქმედების იმპულსი აღემატება თავის გადარჩენის ინსტინქტს“, სხვანაირად, ალტრუისტული ეთიკის მქონე ადამიანები, რომლებიც პასიონარული ბიძგის შედეგად ჩნდებიან ადამიანთა პოპულაციაში, – არ არიან, მაშინ მოსახლეობის ვერანაირი ზრდა ვერ გამოიწვევს ისეთ ფართომასშტაბიან ეთნო-კულტურულ ექსპანსიას, რომელიც მტკვარ-არაქსის ეპოქის პროტოქართველმა ტომებმა განახორციელეს.

როგორც ცნობილია პასიონარული ბიძგის თეორიიდან, ეთნოგენეზის საწყისი მომენ-

1 იხ.: ოთარ ჯაფარიძე, „ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან“, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2006 წ., გვ. 285.

ტიდან 1000-1500 წლის გასვლის შემდეგ ეთნოსში პასიონართა რიცხვი კატასტროფულად კლებულობს. აქედან გამომდინარე, ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში მტკვარ-არაქსის კულტურის შემქმნელი პროტოქართველური ტომების პასიონარული ენერგია შემცირებული იქნებოდა და ისინი ყველა მიმართულებით თავდაცვაზე იქნებოდნენ გადასულნი; ამიტომ სავარაუდოა, რომ ათასწლეულის მეორე ნახევარში მტკვარ-არაქსის კულტურის შემოქმედ პროტოქართველურ ტომებში კვლავ უნდა მომხდარიყო პასიონარული ბიძგი, ამასთან უძლიერესი, რომელიც ოდესმე ქართულ ეთნოსს შეხებია და რის წყალობითაც ჩვენმა წინაპრებმა თავიანთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული მისია შეასრულეს.

დიდმა პასიონარულმა ენერგიამ და, სავარაუდოდ, ხელსაყრელმა საერთაშორისო პოლიტიკურმა ვითარებამ, პროტოქართველურ ტომებს მისცა საშუალება, დიდი მასშტაბის ეთნო-კულტურული ექსპანსია განეხორციელებინათ დასავლეთის მიმართულებით და, როგორც ამის შესახებ წერს რისმაგ გორდეზიანი თავისი მონოგრაფიის ციტირებულ მონაკვეთში, ორი გზით: ჩრდილო-დასავლეთით შავი ზღვის შემოვლით ბალკანეთის ნახევარკუნძულისაკენ და სამხრეთით, ანატოლიის ნახევარკუნძულის გავლით ეგეიდისაკენ. ორივე ნაკადმა მიაღწია კონტინენტურ და კუნძულოვან საბერძნეთს.

ის, რომ ეს ასეა, მტკიცდება მინოსური პერიოდის კრეტის მოსახლეობის დნმ-ის კვლევითაც. სტატიაში, რომლის სათაურიცაა „ევროპული მოსახლეობა მინოსურ ბრინჯაოს ხანაში კუნძულ კრეტაზე“ და რომელსაც ავტორთა კოლექტივი: ჯეფრი რ. ჰიუგი, პერისტერა პაშუ, პეტროს დრინეასი, დონალდ მასტროპაოლო, დიმიტრა მ. ლოტაკისი, პატრიკ ა. ნავასი, მანოლის მიხალოდიმითღაკისი, ჯონ ა. სტამატოიანოპულოსი და ჯორჯ სტამატოიანოპუოსი აწერს ხელს, ქვეთავში „გენეტიკური მსგავსება ნეოლითის და თანამედროვე ევროპულ მოსახლეობას შორის“, ამოიკითხავთ: „მინოსური მოსახლეობის დნმ-ის ჰაპლოტიპი წააგავს ევროპული მოსახლეობის დნმ-ის ჰაპლოტიპს (იხ. სურ. 2b, 3a 4, ასევე დამატებითი ფიგურული გამოსახულებები S1-S3). მინოსელების უმეტესობა დაკლასიფიცირებული იყო ჰაპლოიდურ ჯგუფებში H (43,2%), T (18,9%), K (16,2%) და (8,1%). ჰაპლოიდური ჯგუფები: U5A, W, J2, U, X გამოვლენილი იყო ერთადერთ ადამიანში (თითო ჰაპლოიდი ერთ ადამიანში). მინოსური ჰაპლოტიპის ყველაზე დიდი საერთო პროცენტი გამოვლინდა ევროპულ მოსახლეობასთან, განსაკუთრებით ადამიანებთან ჩრდილოეთი და დასავლეთი ევროპიდან (შესაბამისად 26,98% და 29,28%) (იხ. სურ. 2, 3, 4; ასევე დამატებითი ცხრილი S7). მეოთხე სურათზე გრადიენტი ნაკლებად ავლენს მინოსელების მსგავსებას იმ მოსახლეობასთან, რომელიც აღმოაჩინეს ჩრდილოეთ აფრიკაში; გრადიენტი გვიჩვენებს მსგავსების ზრდას იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ გადავადგილდებით ახლო აღმოსავლეთის, კავკასიისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის კუნძულების გავლით სამხრეთ და კონტინენტურ ევროპაში (იხ. სურ. 4a). აქედან გამომდინარეობს მინოსელების ჰაპლოტიპის სხვაობის დიდი პროცენტი ბრინჯაოს ხანასთან (იხ. სურ. 4c) და ნეოლითის ხანის ევროპულ მოსახლეობასთან“ (იხ. სურ. 4b).

ეს მონაცემები ადასტურებენ მინოსური კრეტის მოსახლეობაში კავკასიური სუბსტრატის არსებობას. იმავე სტატიას დართულ სქემაზე კავკასიური ელემენტის წილი 15%-ით არის წარმოდგენილი[1].

1 იხ.: Nature communications, article, received 31 Dec. 2012, Accepted 12 Apr. 2013, Published 14 May 2013, A European population in Minoan Bronze Agr Grete. Jeffery R. Hughey, Peristera Paschou, Petros Drineas, Donald Mastropaolo, Dimitra M. Lotakis, Patrick A. Navas, Manolis Michalodimitrakis, John A. Stamatoyannpoulos, George Stamatoyannopoulos. გვ. 4-5.

ამას გარდა, „იუთუბზე“ განთავსებულ ლექციათა ციკლში ნათქვამია, რომ „წინარე ბერძნული სუბსტრატი კავკასიური ტიპისა იყო“[1].

ორივე წყაროში მითითებული კავკასიური სუბსტრატი სხვა არავინაა, თუ არა მტკვარ-არაქსის კულტურის პროტოქართველური მოსახლეობა!

მტკვარ-არაქსის კულტურის შემქმნელი წინარექართველური ტომების შესახებ ვიცით კავკასიასა და მიმდებარე ტერიტორიებზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად.

არქეოლოგიამ ამ ტომების შემოქმედებითი პოტენციალის ამსახველი კიდევ უფრო დიდი მასალა მოგვცა, მაგრამ, ამავე დროს, მოიპოვა ის არტეფაქტები, რომლითაც შესაძლებლი გახდა, დადგენილიყო, თუ რა ენაზე მეტყველებდნენ პროტოქართველური ტომები; ამავე დროს, გაირკვა ისიც, თუ დამწერლობის რა სისტემებს იყენებდნენ ისინი...

ეგეიდაში მოპოვებული და დამწერლობის აღმნიშვნელი არქეოლოგიური წერილობითი ძეგლების წაკითხვა შეძლო ახალგაზრდა ქართველმა მეცნიერმა გია კვაშილავამ. ამან საბოლოოდ ნათელჰყო იმ ხალხის ეთნიკური წარმოშობა და ენა, რომელმაც კუნძულ კრეტაზე მინოსური კულტურა შექმნა...

პირველი, რაც გაშიფრა გია კვაშილავამ, ეს ე.წ. „ფესტოს დისკო“ იყო. ამ საკითხთან დაკავშირებით თავად მეცნიერი ასეთ ინფორმაციას გვაწვდის:

გია კვაშილავას კვლევის ძირითადი შედეგები:

ფესტოსის დისკოს A და B მხარის წარწერები შესრულებულია საერთოკოლხურ (საერთოქართველურ) ენაზე;

ფესტოსის დისკოს წარწერების თითოეული ნიშანი დაბეჭდილია ოქროს შტამპების საშუალებით;

ფესტოსის დისკოს A მხარის წარწერაში აღვლენილია ხვეწნა-ვედრება ღვთაება კორიბანტისადმი ოჯახისა და ქვეყნის დაცვის თაობაზე;

ფესტოსის დისკოს B მხარის წარწერაში ხვეწნა-ვედრება მიმართულია დედაღვთაება ნენასადმი (რეა-კიბელე), ღვთაება თარხონისა და ჰეფესტოსადმი, რათა განწმინდონ, განაახლონ და ააღორძინონ ტაძარი, სასახლე და ოჯახი.

https://TSU-ge.Academia.edu/GiaKvashilava

1 იხ.: Час истины - Древний Крит и его обитатели», hyyps: www.youtube.com.

ფესტოსის დისკოს **A** მხარე

ფესტოსის დისკოს **A** მხარის წარწერა

ფესტოსის დისკოს თიხის ფირფიტის A მხარეზე დაბეჭდილია ვედრება ღვთაება კორიბანტებისადმი ოჯახისა და ქვეყნის დაცვის თაობაზე.*

I. აია-ჭაბუკნო, განმწმენდელნო დაფარული ტაძრისანო,
II. აია-ჭაბუკნო, დედის კარის განმწმენდელნო, სადარნო,
III. დაფარეთ თაღი, გაღვთიურებულნო, სადარნო!
IV. ქვეყნის ხვეტის, სიმაღლის სადარნო,
V. წინმავალნო კორიბანტნო,
VI. ქვეყნის სიმტკიცენო, არწივის სადარნო,
VII. აქმენთ დაფარული ტაძარი!
VIII. ქვეყნის სიმტკიცენო, არწივის სადარნო,
IX. უკანმავალნო კორიბანტნო,
X. გარდაქმენით აიას სიცოცხლე ყველანაირად!
XI. ღაშის მთვარით განათებულნო, სადარნო,
XII. დედის ქვეყანა მუდამ დაფარეთო,
XIII. დაახსნით ხელნი დაფარულად, სხივოსანო მფარავნო,
XIV. ოჯახის ფუძის, ჯიშის სვლა-ბრუნვის განმწმენდელნო, სადარნო!

დასასრული

© 2006-2014 გია კვაშლიავა

* ეს საკვლეველი გადმოღებულია უძველესი კოლხეთიდან თანამედროვე ქართულ ენაზე.

გია კვაშლიავა, „კოლხური ოქროდამწერლობის ნიმუშის – ფესტოსის დისკოსა და მისი მონათესავე დამწერლობების გაშიფვრის შესახებ“. იხ.: ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, X ტ., ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბ., 2008, 202-241; სამეცნიერო ჟურნალი ქართველოლოგია, N10, თბ., 2008, 26-45.

https://TSU-ge.Academia.edu/GiaKvashilava

ფესტოსის დისკოს **B** მხარე

ფესტოსის დისკოს **B** მხარის წარწერა

ფესტოსის დისკოს თიხის ფირფიტის B მხარეზე დაბეჭდილია ვედრება დედაღვთაება ნენასადმი (რეა-კიბელესადმი), თარხონისა და პეფესტოსადმი, რათა აყვავონ, განაახლონ და განწმინდონ ტაძარი, ოჯახი და სასახლე.*

I. ოჯახის წყაროვ, ხელო მშობელო,
II. მოდგმის ნენავ,
III. ააყვავე ხუთი შტო, გვევდრებით, მშვენი,
IV. ჯიშის სიწმინდით, ახლით ნირშემოხილი!
V. ერთო შტოვ ძლიერო, გვევდრებით,
VI. ოჯახის წმინდავ, ძლიერო,
VII. წმინდავ, ხელთძლიერო ხუთი შტოისა,
VIII. მფარველო, სხივოსანო დედაღმერთო,
IX. წინამძღოლო, ხანგრძელ ქყავ დედის ტაძარი სპილენძისა!
X. მაყვავებელო თარხონო,
XI. ნათელო ქეფესტოვ, დაბერეთ, გვევდრებით,
XII. წინამძღოლო, განმწმენდელსხივოსანო,
XIII. მისი მოგიზგიზე, დაფარული სასახლე დაფარეთ, გვევდრებით,
XIV. ჩვენო მჭედელო, ახლითმოხილო, მთვარისნაირო, გვევდრებით!

დასასრული

© 2006-2014 გია კვაშლიავა

* ეს საკვლეველი გადმოღებულია უძველესი კოლხეთიდან თანამედროვე ქართულ ენაზე.

გია კვაშლიავა, „კოლხური ოქროდამწერლობის ნიმუშის – ფესტოსის დისკოსა და მისი მონათესავე დამწერლობების გაშიფვრის შესახებ“. იხ.: ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, X ტ., ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბ., 2008, 202-241; სამეცნიერო ჟურნალი ქართველოლოგია, N10, თბ., 2008, 26-45.

https://TSU-ge.Academia.edu/GiaKvashilava

ამრიგად, ახლა ვიცით, რომ ის ხალხი, რომელსაც ქურუმი სონქი, სოლონი და პლატონი ატლანტისელებს უწოდებენ, პროტოქართველური ტომები იყვნენ. აი, ამ ტომებმა შექმნეს კრეტაზე უძლიერესი სახელმწიფო. მათ ჰქონდათ ჯერ იეროგლიფური დამწერლობა, რასაც გია კვაშილავა „კოლხურ ოქროდამწერლობას“ უწოდებს და რასაც ზედმიწევნით ზუსტად და ვრცლად გავეცანით. მინოსური კულტურის შემქმნელმა პროტოქართველურმა ტომებმა დამწერლობა განავითარეს და შექმნეს ის, რასაც A-ხაზოვანი დამწერლობა ჰქვია, რომლის გაშიფვრაც, „ფესტოს დისკოსი“ არ იყოს, თავის დროზე მეცნიერებმა ვერ შეძლეს. ქართველი მეცნიერი ალექსანდრე წერეთელი ამასთან დაკავშირებით წერდა: „(ძვ.წ.) XVIII საუკუნისათვის კრეტელებს ახალი დამწერლობა, ეგრეთ წოდებული A-ხაზოვანი დამწერლობა შემოუღიათ. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ამ დამწერლობის ნიშნები სიტყვის მარცვლებს გამოსახავენ; ზოგი კი გვარწმუნებს, რომ A-ხაზოვანი დამწერლობა პიქტოგრაფიულის კურსივული ფორმაა. რა თქმა უნდა, როგორც ეს საკითხი, ისე იმ ენის დადგენის პრობლემა, თუ რომელი ენაა ამ დამწერლობაში მოცემული, გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება, ვიდრე მისი ამოკითხვა არ მოხდება“[1].

ენის დადგენა მასზე მოლაპარაკე ხალხის ეთნიკური წარმომავლობის გარკვევის პირობაა. კარგა ხანს გამოცანად ქცეული A-ხაზოვანი დამწერლობის ამოკითხვა შეძლო „ფესტოს დისკოს“ წამკითხავმა მეცნიერმა გია კვაშილავამ. ამის თაობაზე დაინტერესებულმა მკითხველმა შეიძლება სათანადო გამოკვლევა ნახოს 2011 წლის კრებულში „ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი“. მკითხველი რომ არ გადავტვირთოთ ერთობ სპეციფიკური ხასიათის ტექსტის ციტირებით, მოვიხმობ პროფესორ ნანა შენგელაიას მიერ შედგენილი საინფორმაციო ფურცლის მეორე ნაწილს, რომელშიც A-ხაზოვანი დამწერლობის ამოკითხვაზეა ლაპარაკი:

„A-ხაზოვანი წარწერები მეტწილად არის ავთენტური აგრიკულტურული ანგარიშები, რომლებიც შეიცავენ ანთროპონიმებს, აგრარული წესის ამსახველ სიტყვებს (როგორიცაა: მარცვლეულები), შინაურ ცხოველთა სახელებს, ზომა-წონის აღმნიშვნელ ტერმინებს, მათემატიკურ ოპერაციებს და ასე შემდეგ. გია კვაშილავამ მოახდინა A-ხაზოვანი წარწერების გაშიფვრა B-ხაზოვანი დამწერლობის (რომელიც A-ხაზოვანი წარწერების იდენტურია) ფონოლოგიური ღირებულებების მიხედვით, მისი ალგორითმის საფუძვლების თანახმად, რომლის გამოყენება/მისადაგება შეიძლება მთელი რიგი ხაზოვანი ტექსტების მიმართ.

გარდა ამისა, მოხერხდა არქეოლოგიური, ეთნოლოგიური, ისტორიული, ლინგვისტური და ბიოლოგიური მასალის გაანალიზება, ასევე A-ხაზოვანი დამწერლობის ნიშნების ტიპოლოგიური კვლევები, ამ წარწერების ფუნდირებული ამოკითხვა პროტოქართველურ-კოლხურ ენაზე.

A-ხაზოვან წარწერებში მოცემული ტოპონიმები, ეთნონიმები, მრავალრიცხოვანი ანთროპონიმები ამჟღავნებენ გარკვეულ დასაბუთებულ კანონზომიერ მსგავსებას დღევანდელ ქართულ ტოპონიმებთან, ეთნონიმებთან და ანთროპონიმებთან (მაგ. ლაზურ-მეგრულთან, სვანურთან, ხევსურულთან, ფშავურთან და სხვა).

მათემატიკური ოპერაციების გამომხატველი სიტყვები: მიმატებისთვის (kuro) და გამოკლებისთვის (kiro) ათასწლეულების მანძილზე შეინარჩუნა თანამედროვე ქართულის მონაცემთა ბაზამ. ქართველურ ენებში ხორბლის, ქერის საყოველთაო აღმნიშვნელი სიტყვებია: *dəʼar-i/*dəqar-i, ქართული ენის თანამედროვე მარცვლეულის სისტემატიზაციის

1 იხ.: ა. წერეთელი, „ძველი საბერძნეთი“, გამომცემლობა „განათლება“, 1966 წ., გვ. 41.

თანახმად, dika-ს და უძველესი კოლხური ორთავიანი ხორბლის აღმნიშვნელი სიტყვა გადმოცემულია ლათინური ტერმინებით: Triticum ibericum და Triticum paleo-colchicum (Triticum turgidum). კოლხეთი და იბერია (დღევანდელი საქართველო) ამგვარი ხორბლის აღმოცენებისა და განვითარების ტერიტორიაა.

ძვ.წ. IV-III სს-ის დაბლაგომის დოქის ძველქართული წარწერები ამოიკითხა გ. კვაშილავამ A-ხაზოვანი და ფესტოს დისკოს ნიშნების ფონოლოგიური გაჟღერების მიხედვით.

პელოპონესის ნახევარკუნძულის ძველი მოსახლეობის მონაცემების მიმოხილვა, ასევე მიმოხილვა მცირე აზიის, ეგეოსის ზღვის კუნძულების მოსახლეობის მონაცემებისა ინდოევროპული ტომების გადასახლებამდე, გვიჩვენებს, რომ ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობა არ იყო არც ინდოევროპული და არც სემიტური წარმომავლობის. ზოგიერთი მკვლევარის აზრით (კრეჩმერი, შახერმაირი, ჩედვიკი, ფურნე, გამყრელიძე, ივანოვი და სხვები) ეს იყო პროტოქართველური ტომები, რომელთა ენაც წარმოადგენდა დიდი გავლენის მქონე სუბსტრატს ბერძნული დიალექტისათვის პელოპონესზე ბერძნული ტომების შეჭრის შემდგომ.

კოლხური ანთროპონიმების, პელასგურ-კოლხური ტიპონიმებისა და ეთნონიმების გაშიფვრა ამტკიცებს, რომ ძველი პელასგურ-კოლხური კულტურა და ენა გავრცელდა სამხრეთ ევროპაში, მცირე აზიაში, ხმელთაშუა ზღვისპირეთსა და შავი ზღვისპირეთში ძვ.წ. XXV-XX სს-შიწარწერების გაშიფვრის გია კვაშილავასეულმა მეთოდმა და მისი მუშაობის შედეგებმა მოიპოვა საერთაშორისო აღიარება; და აკადემიურ წრეებში დაიწერა კომენტარები:

1. გ. კვაშილავამ წარმოადგინა თავისი გამოკვლევა საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ეძღვნებოდა ფესტოს დისკოს აღმოჩენიდან 100 წლისთავს, პარასკევს, 31 ოქტომბერს, და შაბათს, 1 ნოემბერს, 2008 წელს, ბერლინგტონჰაუსში, ლონდონის სიძველეების შემსწავლელთა საზოგადოებასა და სამეფო ხელოვნების აკადემიაში;

2. ჯერომ მ. აიზენბერგი, ფესტოს დისკოს გაშიფვრის მცდელობა. ჟურნალში: „მინერვა“, ანტიკური ხელოვნებისა და არქეოლოგიის საერთაშორისო ჟურნალი, ივლისი/აგვისტო 2008, ტ. 19, ნომერი 4. გამოცემულია დიდ ბრიტანეთში;

3. ფესტოს დისკოსადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, ორგანიზებული ჯერომ მ. აიზენბერგის მიერ. ჟურნალში: „მინერვა“, საერთაშორისო რეცენზია ანტიკურ ხელოვნებასა და არქეოლოგიაში. გამოქვეყნებული დიდ ბრიტანეთში, იანვარი/თებერვალი 2009, ტ. 20, ნომერი 1;

4. რობერტ დ. მორიტი. მოლაპარაკე ქვები. Cambridge Scholars Publishing, Cambridge, 2010;

5. ტონი ო’კონელი. ატლანტიპედია. Original Writing, Dublin, 2010;

6. ჩიზი შანდორი. არგონავტიკა. Virtus. Hu, Budapest, 2010;

7. ჯეისონ კოლავიტო. იასონი და არგონავტები: ბერძნული მითის ეპიკური ისტორია. New York, 2012;

8. რობერტ დ. მორიტი. კოლხია-კოლხის: ანტიკური საქართველო პრეისტორიულ ერაში, ანტიკური ხანა, ადრეული სამეფოები და ეკლესიის აღმავლობა. Lambert Academic Publishing, 2012.

დოქტორ გია კვაშილავას წიგნი განკუთვნილია მათთვის, ვინც შეისწავლის ისტორიას, არქეოლოგიას, ეთნოლოგიას, მითოლოგიას, ლინგვისტიკას და დამწერლობას ხმელთაშუა ზღვისპირეთში ადრეულ ბრინჯაოს ხანაში“[1].

1 იხ.: „ისტორიული და ეთნოგრაფიული ძიებანი“, XIII, თბილისი, 2011 წ.

გია კვაშილავას კვლევის ძირითადი შედეგები:

A კლასის ხაზოვან წარწერები შესრულებულია საერთოკოლხურ (საერთოქართველურ) ენაზე;

A კლასის ხაზოვანი წარწერებით შესრულებული თიხის ფირფიტები

https://TSU-ge.Academia.edu/GiaKvashilava

გია კვაშილავას კვლევის ძირითადი შედეგები:

A კლასის ხაზოვან წარწერებში ძირითადად აღრიცხულია: **სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები** (ლეღვი „ყიყინა“, სელი, ღვინო, ზეითუნის ზეთი, ზეთისხილი, სანელებლები; მარცვლეული, ხორბალი, ქერი „დიაი“), **პურეული** („დიარი“ – პური, ფქვილი), **საკულტო ან საოჯახო საქმისთვის განკუთვნილი ჭურჭელი** („კატი“, „კადი“, „კაპაᲥ“, „ასამუნე“) **და სხვა.**

მინოსური ხანის ჭურჭელი, კრეტა

https://TSU-ge.Academia.edu/GiaKvashilava

გია კვაშილავას კვლევის ძირითადი შედეგები:

A კლასის ხაზოვან წარწერებში აგრეთვე აღრიცხულია: **წვრილფეხა საქონელი** (ცხვარი, თხა, ღორი), **მსხვილფეხა რქოსანი საქონელი** (ხარი, ძროხა), **პატარა ტანის ჩლიქგაუყოფელი ცხოველი** (ცხენი) **და სხვა.**

ამ მხრივ წარწერებში წარმოდგენილია: არითმეტიკული ოპერაციების აღმნიშვნელი ტერმინები („შეკრება“, „გამოკლება“), **მთელი რიცხვები, წილადი რიცხვები და სხვა.**

მინოსური ხანის ნაკეთობა, კრეტა

https://TSU-ge.Academia.edu/GiaKvashilava

ამ აღმოჩენამ კიდევ უფრო გაამყარა მინოსური კრეტის მოსახლეობის პროტოქართველური წარმოშობის ფაქტი.

საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ XXI საუკუნის პირველი ათწლეული ატლანტისის პრობლემის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გამოდგა, რადგან სწორედ ამ ათწლეულში მოხდა „ფესტოს დისკოს“ იეროგლიფურ და A-ხაზოვან დამწერლობათა წაკითხვა.

გია კვაშილავას ინფორმაცია გვაძლევს შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას: მის მიერ გაშიფრულმა „ფესტოს დისკომ“ და A-ხაზოვანმა დამწერლობამ პასუხი გასცა ერთ მეტად მნიშვნელოვან კითხვას: რა ენაზე ლაპარაკობდა მტკვარ-არაქსის კულტურის შემქმნელი ხალხი. ისინი პროტოქართველურ ენაზე ლაპარაკობდნენ, რადგან ეს ენა ჩაიტანეს ეგეიდაში, ამ ენაზე მეტყველებდა მინოსური კრეტის პელასგი მოსახლეობა!

კიდევ ერთი საკითხი: გია კვაშილავას მიერ დაბლაგომის დოქზე და Ჯუმითის ქვაზე ამოკითხული A-ხაზოვანი დამწერლობის ასოები მაფიქრებინებს, რომ ანბანური დამწერლობა საქართველოში შემოვიდა კრეტიდან და ეს ალბათ ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის მეორე ნახევარში მოხდა! A-ხაზოვანმა ანბანურმა დამწერლობამ, როგორც პროტოტიპულმა ანბანმა, შემდეგ მრავალი საუკუნის განმავლობაში ბუნებრივად განიცადა ცვლილების რამდენიმე ეტაპი, ვიდრე თანამედროვე ქართულ ანბანს მივიღებდით! ამ ეტაპების დადგენა არქეოლოგების საქმეა...

ვფიქრობ, დროული იქნება მივუთითოთ იმ ფაქტის შესახებ, რომ კრეტულ დამწერლობას ანუ ატლანტისელთა დამწერლობას რიგი მეცნიერებისა პროტოდამწერლობად მიიჩნევს და არცთუ უსაფუძვლოდ:

„აქვე უნდა აღინიშნოს მეტად საყურადღებო თვალსაზრისი, გამოთქმული უცხოელი ლინგვისტების: ა. ევანსის, რ. რენეკის, ე. დიუსოს მიერ, რომელთა საფუძველზე ფინიკიური დამწერლობა წარმოქმნილი უნდა იყოს კრეტული და იბერიული ნიშნებისაგან, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ე.წ. „კრეტული თეორიის“ (ი. სუნდვალი, ვ. გიორგიევი) სახელწოდებით“[1]. ზემოთ ჩამოთვლილ ავტორთაგან ჩვენთვის მნიშვნელოვანია სერ არტურ ევანსის, მოსაზრება, რომელსაც სერიოზული საფუძველი აქვს. ამის არაპირდაპირ დადასტურებას ვნახულობთ ფინიკიელთა ისტორიისა და კულტურის მკვლევრის, დონალდ ჰარდენის ნაწერებში, როდესაც ის მსჯელობს ამ ხალხის შემოქმედების უაღრესად ეკლექტური ხასიათის განმაპირობებელ მიზეზებზე: „ფინიკიელთა ხელოვნებისა და კულტურის არსებობა და აყვავება არ შეიძლება უარვყოთ, მაგრამ როცა ჩვენ ვცდილობთ, მათი ნაწარმოებები გამოვყოთ, მაშინ ვაწყდებით მრავალ სირთულეს.

ბრინჯაოს საუკუნის ბოლოს ლევანტის სანაპიროსა და შიდა რაიონებში გამეფდა მხატვრულ მიმართულებათა დიდი აღრევა. XII დინასტიის პერიოდიდან, თუ უფრო ადრე არა, ქანაანელები კარგად იყვნენ გაცნობილნი ეგვიპტურ შედევრებს და ოსტატურად ბაძავდნენ ეგვიპტურ მოტივებსა და ფორმებს. ლევანტურ ხელოვნებაში ეგვიპტური გავლენა ბატონობდა XVIII დინასტიის ძლევამოსილი მეფეების დროსაც, ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ეგვიპტური სტილი შემორჩა ეგვიპტის სახელმწიფოს დაცემის შემდეგაც.

სხვა დიდი ხელოვნების, მესოპოტამიურის გავლენა, ჩვ.წ.-მდე II ათასწლეულში არ ყოფილა ისე ძლიერი, როგორც ეგვიპტურისა. ეს განსაკუთრებით საგრძნობია გლიპტიკაში (ქვის კვეთა, სპილოს ძვალი და ა.შ.). საბეჭდავ-ცილინდრებს, საბეჭდავ-შტამპებს ხშირად უწოდებენ სირო-ხეთურს, რომელთა სტილი და მოტივები აშკარად ფესვებით უკავშირდება ასირიასა და ბაბილონს. ამასთანავე, მკვეთრად ჩანს განსხვავებაც და ეგვიპტური მოტივების ერთგვარი მინარევიც, რაც ნათლად ამტკიცებს მათ ადგილობრივ წარმოშობას.

მხოლოდ ასირიელთა ბატონობის პერიოდში, ჩვ.წ. I ათასწლეულში, მკვეთრად გამოვლინდა მესოპოტამიური ხელოვნების გავლენა ლევანტურზე. ადრე ლევანტური სკულპტურის სტილი მეტად ჰგავდა ანატოლიურსა და ხეთურს. უგარიტის აღმოჩენებში, ისეთში, როგორიც ელვის ღმერთის ცნობილი სტელაა, ხეთების გავლენა საგრძნობია კოსტიუმსა და ატრიბუტებში, ოღონდ კომპოზიცია და პოზა უფრო ეგვიპტურია. XV და XIV საუკუნეებში ფინიკიელებმა ხურის (მითანი) კულტურის გავლენა განიცადეს, მაგრამ ხურიტებმა ვერ შექმნეს საკუთარი დამახასიათებელი კულტურა და – საბეჭდავ-ცილინდრებისა და თეთრად შეღებილი მუქი ფონის კერამიკის გარდა – ჩვენ არ შეგვიძლია, მათ მივაწეროთ რაიმე მხატვრული ნაკეთობა. აუცილებელია, აღვნიშნოთ ეგეიდელთა გავლენაც. ჩვ.წ. II ათასწლეულის მრავალი შუამინოსური ფერადი კერამიკა აღმოჩნდა უგარიტში და იქ დაარსებულ მინოსურ კოლონიაში. დამახასიათებელია აგრეთვე კრეტული სტილის სპირალურნაყშიანი ვერცხლის თასის ფრაგმენტი ბიბლოსიდან. მოგვიანებით, II ათასწლეულის მეორე ნახევარში, მიკენელებმა გააფართოვეს ეგეიდური კონტაქტები და აღმოსავლეთით დააარსეს დასახლება.

მაშ, რას შეიძლება სამართლიანად ვუწოდოთ ფინიკიური ბრინჯაოსა და რკინის საუკუნის დასაწყისის სტილთა ამ ნარევში?“[2]

1 იხ. მარინე ცინცაბაძე, „აღმოაჩინე ათასწლეულის საქართველო“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2013 წ., გვ. 284.

2 იხ.: Дональд Харден, «Финикийцы», Москва, Центрполиграф, 2002 г., გვ. 207-208.

როგორც ხედავთ, ფინიკიელები უაღრესად მიდრეკილნი იყვნენ, სხვა ხალხებისაგან შეეთვისებინათ მათი შემოქმედებითი მონაპოვარი და რაღა ანბანს შექმნიდნენ დამოუკიდებლად? ეს კითხვა ლეგიტიმურია, თუ გავითვალისწინებთ კრეტის მინოსური კულტურის ორიგინალურ ხასიათსა და კრეტელთა კოლონიის უგარიტში არსებობას. უფრო დამაჯერებლად ჟღერს, რომ ანბანი კრეტელმა პელასგებმა შექმნეს და მათგან შეითვისეს ფინიკიელებმა!..

ასე რომ, ანბანური დამწერლობის შექმნაც ატლანტისელებს უკავშირდებათ.

ენათმეცნიერულმა ძიებებმა დაგვანახა პროტოქართველურ ტომთა მიერ ხმელთაშუა ზღვის აუზში განხორციელებული ეთნიკური ექსპანსიის მასშტაბები, ანუ ის, რაც მითოსმა მისთვის დამახასიათებელი ფორმით შემოინახა; ლაპარაკია კირკეს (Kirke) – მზის ღმერთის, ჰელიოსისა და პერსეს ასულის, კოლხეთის ძლევამოსილი მეფის, აიეტის დისა და მედეას მამიდის (ზოგი ვერსიით კი – დის) – შესახებ, რომელიც ჰელიოსმა თავისი ეტლით ჰესპერიაში ჩაიყვანა (ამ შემთხვევაში ხმელთაშუა ზღვის უკიდურესი დასავლეთი კი არა, იტალია იგულისხმება). კირკე აპენინის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე კუნძულზე დასახლდა, რომელსაც აია ეწოდებოდა. კირკე იყო ჯადოქარი და გრძნეული; მან კოლხთაგან დევნილი იასონი და მედეა განწმინდა შეცოდებისაგან (იგულისხმება აფსირტეს მუხანათური მკვლელობა), ზევსს მსხვერპლი შესწირა, სამსხვერპლო სისხლით დაბანა ხელები იასონს და ერინიების საკურთხეველთან ევედრება აღავლინა, აღარ შეერისხათ მკვლელები. კირკემ არც ძმის მკვლელობის მონაწილე მედეას უთხრა უარი დანაშაულისაგან განწმენდაზე, რადგან მისი თვალების ელვარებაში ამოიცნო, რომ ეს ქალი მასავით მზის ღმერთის, ჰელიოსის შთამომავალი იყო... კირკეს ვხვდებით აგრეთვე ჰომეროსის „ოდისეაშიც“, სადაც ამ მითოლოგიურ პერსონაჟს საკმაოდ მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭება. ჯერ იყო და, ჯადოსნის ნიჭი უჩვენა ბერძნებს, მის სამყოფელში შესული ოდისევსის რაზმის ნაწილი, ოცდაათი კაცის შემადგენლობით, ევრილოქოსი რომ ედგა სათავეში, ღორებად აქცია:

„კარნი განიხვნეს მყის ელვისებრ გაბრწყინებულნი.
სახტად შთენილი დიდ დარბაზში შევიდა ყველა.
ევრილოქოს კი კართან დარჩა დაეჭვებული.
პატივით დასხა კირკემ ყველა სკამ-სავარძელზე,
პრამნულ ღვინოში შეურია ყველი და თაფლი,
ქერის ფქვილი და მოაყარა ზედ საწამლავი,
რომ იმის შემჭმელს დაავიწყდეს სამშობლო მხარე.
მიართვა ყველას ეს სასმისი, შესვეს და იმათ
ჯოხი შემოჰკრა, საღორეში შერეკა ყველა.
თავ-ფეხით, ბეწვით, ხმით სრულიად ღორს დაემსგავსნენ,
შეუნარჩუნდათ მარტოოდენ გონება კაცის“[1].

გრძნეულმა კირკემ მხოლოდ ოდისევსის თხოვნა-მუდარის შემდეგ, „ცხრა წლის ტახეებს დამსგავსებულნი“ მისი თანამოძმენი კვლავ ადამიანებად აქცია.

1 იხ.: ჰომეროსი, „ოდისეა“, მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1977 წ., თავი X, გვ. 216-217.

ბოლოს, კირკეს რჩევით, ოდისევსმა ქვესკნელი მოიარა, რათა გაეგო, როგორ დაბრუნებულიყო ითაკაში:

„იქნებ გგონიათ, სამშობლოში ახლავე წავალთ?
კირკემ სხვაგვარი მიმითითა გზა და სავალი:
უნდა მივადგეთ აიდის და პერსეფონეს სახლს,
რომ თებელ ბრძენის, ტირესიას სულს შევეკითხოთ“[1].

თუ „ოდისეას“ მიხედვით ვიმსჯელებთ კირკეს იტალიურ სამყოფელზე, სადაც ეზოში „რაღაც ჯადოთი“ მონუსხული მგლები და ლომები დაუდიან და მოსულ სტუმრებს ძაღლებივით ლაქუცით ხვდებიან, აქაური კუნძული აია ისეთივე მომნუსხველი და გამოუცნობია ბერძენთათვის, როგორიც აია-კოლხეთი და აქ გამოჩნდა პროტოქართველური ტომების, პელასგების დიდი კულტურა, რომელიც ბერძენ-აქაველთათვის ბოლომდე შეუცნობელი დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ პელასგთა დიდი გავლენა განიცადეს; ამიტომ გაახვიეს იდუმალების საბურველში აიეტიც, მედეაცა და მამიდამისი კირკეც. ასეთებს ვიცნობთ მათ ბერძნულ მითებში.

მიუხედავად თავდაპირველი პასიონარული ენერგიის დაქვეითებისა, რაც პელასგებზე აქაველთა გამარჯვების მიზეზი გახდა, მათ მაინც აღმოაჩნდათ იმდენი ეროვნული ენერგია, რომ მას შემდეგ, რაც იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ კონტინენტური საბერძნეთი და მცირე აზიის ნახევარკუნძულზე გადასახლდნენ, აქაც აქაველთა შემოტევას იგერიებდნენ. – გავიხსენოთ ტროას ომი, – აქედანაც აიყარნენ, აპენინის ნახევარკუნძულზე დაიდეს ბინა და ეტრუსკულ ცივილიზაციას ჩაუყარეს საფუძველი. პელასგთა ამ მიგრაციას ასახავს მითი კირკეს შესახებ და კუნძულ აიას გაჩენა ადრიატიკის ზღვაში.

ჰელიოსმა თავისი ქალიშვილი ჰესპერიაში, ანუ დასავლეთის ქვეყანაში დაასახლა; ეს იმას ნიშნავს, რომ ეგეოსის აუზიდან აყრილი პროტოქართველური ტომები დასავლეთში, ე.ი. იტალიაში გადასახლდნენ. გამოხდება ხანი და ჰესპერია ხმელთაშუა ზღვის უკიდურეს დასავლეთში აღმოჩნდება გადატანილი; და აქ თავისთავად ჩნდება აზრი, რომ: ჰესპერიის დასავლეთისაკენ გადაადგილება მითოლოგიაში არეკლილი პროტოქართველურ ტომთა დასავლეთისაკენ მიგრაციის თავისებური გამოხატულება შეიძლება იყოს. როგორც ჩანს, ეს ასეა, რადგან პროტოქართველური ტომები ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ კიდეს აღწევენ და ჰესპერიაც, სავარაუდოდ, მათი კულტურისა და მითოლოგიის ნაწილი, ასევე ადგილს იცვლის. აქ აშკარაა ანალოგია უკვე ნახსენებ ატლანტისის ოკეანეში გადატანასთან დაკავშირებით, – გაიზარდა რა ბერძენთა თვალსაწიერი, ადრე ეგეიდაში არსებული რეალიები, იქნებოდა ეს ჰერაკლეს სვეტები თუ ცის კიდეს სვეტად შემდგარი ატლანტი, ან კიდევ კუნძული ატლანტისი, იქ მოათავსეს, სადაც, მათი აზრით, სამყარო მთავრდებოდა. საყურადღებოა, რომ ძველი ბერძნები პროტოქართველურ ტომთა კვალს მიჰყვებოდნენ როგორც კონტინენტურ და კუნძულოვან საბერძნეთში, ასევე მთელ ხმელთაშუა ზღვის აუზში. მათი, ანუ პროტოქართველურ ტომთა, განსახლების არეალი კი, თუ ცნობილ მეცნიერთა დაკვირვებებს გავითვალისწინებთ, ბევრად ფართო იყო, ვიდრე ეს შეიძლება წარმოვიდგინოთ; 2010 წელს გია კვაშილავამ ისეთი მკვლევარების შრომებზე დაყრდნობით, როგორებიც იყვნენ: ჰუმბოლდტი, კლუგე, მარი, შახერმაიერი და სხვები, შეადგინა ძვ.წ. IV-II ათასწლეულების I ნახევარში პროტოქართველურ-კოლხური (იბერიული) მოდგმის განსახლების არეალის ამსახველი რუკა, რომლის მიხედვითაც პროტოქართველური ტომები დასახლებულნი ყოფილან ამიერკავკასიის მთელ ტერიტორიაზე, კავკასიონის მთიანეთის ჩათვლით. ისინი სახლობდენენ აზოვის, შავი, მარმარილოსა და ეგეოსის ზღვების გარშემო; მათი დასახლებები მოიცავდა აღმოსავლეთ თრაკიას, კონტინენტურ და კუნძულოვან საბერძნეთს, მცირე აზიის ნახევარკუნძულს მთლიანად, კუნძულ კვიპროსს, ადრიატიკის ზღვის სანაპიროებს, აპენინის ნახევარკუნძულს, კუნძულებს: კორსიკას, სარდინიასა და სიცილიას; მათი დასახლებები იყო ალპების გარშემო, პროვანსისა და ლანგედოკის სანაპიროებზე, აგრეთვე პირინეის ნახევარკუნძულის გარშემო; ისინი არსებობდენენ დასავლეთი და ჩრდილოეთი საფრანგეთის ზღვისპირა რაიონებში. ამას გარდა, დასახლებები ყოფილა სამხრეთ-დასავლეთი, სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ინგლისის სანაპიროებსა და ირლანდიის სამხრეთ სანაპიროზე. პროტოქართველურ ტომთა დასახლებები აღნიშნულია დღევანდელი მაროკოს, ალჟირისა და ტუნისის ჩრდილოეთ სანაპირო ტერიტორიებზე, ალაგ-ალაგ ლიბიის ზღვისპირეთშიც. ეს დასახლებები მოიცავდნენ ნილოსის დელტისა და აღმოსავლეთით პალესტინის ტერიტორიებს. ცხადია, პროტოქართველურ ტომთა ასეთი მასშტაბური განსახლება ერთი ზემძლავრი ან ინტერვალით მომხდარი რამდენიმე პასიონარული ბიძგის შედეგი უნდა იყოს, რამაც ერთი მოდგმის ხალხს მისცა პასიონარების დიდი რაოდენობა, რომელთაც თავიანთი თანატომელების განსახლება შეძლეს სამხრეთი, დასავლეთი და ჩრდილოეთი ევროპის, აგრეთვე ჩრდილოეთი აფრიკისა და მცირე აზიის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ სანაპიროებზე ისე, რომ ხმელთაშუა ზღვების სისტემა პროტოქართველურ ტომთა შიდა ზღვად იქცა...

ეს რუკა შეიქმნა იმ მეცნიერთა მოსაზრებების საფუძველზე, რომლებმაც ამ ფართომასშტაბიანი განსახლების შედეგად დარჩენილი კვალი დაინახეს. პროტოქართველურ ტომთა მიერ დანატოვებ კვალს ატლანტოლოგებიც ნახულობდნენ, მაგრამ მათ სათანადო კვალიფიკაცია არ გააჩნდათ და ამიტომ სწორ დასკვნებს ვერ აკეთებდნენ. ასე, მაგალითად: ატლანტოლოგი ლ. ზაიდლერი ბასკების თაობაზე მსჯელობისას წერდა: „ისიც სცადეს, ბასკური კავკასიურ ენათა ჯგუფში ჩაერიცხათ ქართულთან მისი სავარაუდო მსგავსების გამო, მაგრამ სერიოზული მკვლევარნი (კერძოდ, ი. ჩეკანოვსკი) გადაჭრით წინააღმდეგნი არიან ბასკური ენის კავკასიურ ენათა ჯგუფში შეტანისა – ბასკური ჩრდილოეთ აფრიკის ენებს უფრო ჰგავსო“[1].

დავანებოთ თავი იმას, თუ რამდენად სერიოზული მკვლევარია ი. ჩეკანოვსკი, – ეს ჩვენთვის საინტერესო არ არის. სამაგიეროდ, ბევრად მნიშვნელოვანია ნიკო მარის მიერ ტფილისში, 1927 წელს, „კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის მაცნეს“ V ტომში დაბეჭდილი წერილი „პირინეის გურიიდან“, რომელშიც მეცნიერი აღფრთოვანებული წერს საფრანგეთის ბასკეთში, სოფელ ტერდეცში ნანახი იმ გასაოცარი მსგავსების შესახებ, ბასკურ და გურულ ბუნებასა და ყოფას შორის რომ ნახა: „ნუთუ ეს არ არის სასწაული, გასაოცარი მოვლენა, როცა, ჩემთვის უცხო ენაზე მოლაპარაკეთა შორის, თავს ისე ვგრძნობ, თითქოს ქართველებით გარემოცული ვიყო. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან ქართულ ფრაზას „შენ რა ხელი გაქვსო?“ ისინი ჩვენებურად აღიქვამენ, ქართულად „შენ რა უფლება გაქვს?“-ო მნიშვნელობით. კიდევ უკეთესი, მსგავსად გამოყენებისა სიტყვის sofel (სოფელ) ძველ ლიტერატურულში „სოფლის“, „დასახლების“ მნიშვნელო-

1 იხ.: იქვე, გვ. 216-217.

1 იხ. ლუდვიკ ზაიდლერი, „ატლანტისი“, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1972 წ., გვ. 245.

ბით და აგრეთვე ქვეყნის მნიშვნელობით (ქართველებთან „მსოფლიოსა“ და „სამყაროს“ მნიშვნელობითაც), აქაც „სოფელს“ ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ხმარობენ „ქვეყნის“ მნიშვნელობით. „თავი მოიკლა“ და „თავს უთხრა“, სხვაგვარად ვერც იტყვიან აქაურ ენაზე, როცა სურთ გამოხატონ აზრი „თვითმკვლელობა“, „საკუთარ თავთან საუბარი“, ე.ი. სრულიად ისევე, როგორც ჩვენთან კავკასიაში, იაფეტიდებთან“[1].

მეცნიერის ეს დაკვირვება, ბუნებრივია, გვაფიქრებინებს, რომ აზრის გამოხატვის ასეთი მსგავსი ფორმები მხოლოდ მონათესავე ერებს შეიძლება ჰქონდეთ.

მეცნიერი მიხეილ ქურდიანი თავისი ნაშრომის, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლების“, მესამე თავში, რომლის სათაურია „ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის შუქზე“, ქართულ-ბასკურ შესატყვისობათა საინტერესო მაგალითებს გვაწვდის:

ქართველური	ბასკური
1.0. ს | ქართვ. *$ძ_1$ || *ძ :	ბასკური ც|ს (tz||z)
1.1.1. ს | ქართვ. *$ძ_1$არ-ი : „გოდორი“ ქართ. ძარ-ი „დიდი კალათა“, „გოდორი“ სვან. ჯარ < *ჯარ-ი „ვარცლი“	ბასკ. სარəი|zarri (ტრანკრ.: sarəi) „დიდი კალათა“
1.1.2. ს | ქართვ. *$ძ_1$ირ-ი : ქართ. ძირ-ი „ძირი“ „ფესვი“ ზან.: მეგრ. ჯინჯ-ი <*ჯირ-ი || ლაზ. ჯიჯი <*ჯირ-ი „id“	ბასკ. სირი | ziri (ტრანსკრ.: siri) „სოლი შდრ: ziri-tu „ყლორტის ამოყრა“
1.1.3. ს | ქართვ. *$ძ_1$უალ-ი : ქართ. ძვალი სვან. ჯიჯუ „id“	ბასკ. ასურ | azur (ტრანსკრ.: asur) ა-სურ | a-zur-ში ა | a პროთეტული ხმოვანია.
1.1.4. ს | ქართვ. *$ს_1$V-ძ-ე „რძე“ : ქართ. ძვ. სძე ახ. რძე „id“ ზან.: მეგრ.: ბ/მ ჟა<*ჯა ||ლაზ ბ/მ ჯა <*ჯა „id“ [2]	ბასკ. ესი | ezi (ტრანსკრ.: esi) „წველა

1 იხ.: ნიკო მარი, „კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის მაცნე“, V ტომი, ტფილისი, 1927 წ., გვ. 8.

უკვე აქ მოყვანილი ქართველურ-ბასკურ შესატყვისობათა ეს ნიმუშებიც საკმარისია იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ ქართველური და ბასკური ენების ნათესაობაში. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის შემქმნელმა პროტოქართველურმა ტომებმა პირინეის ნახევარკუნძულს მიაღწიეს და დროთა განმავლობაში განსახლდნენ პირინეის მთების ორივე მხარეს.

ახლა გავიხსენოთ ამ წიგნის მესამე თავში ატლანტოლოგ ლ. ზაიდლერის მიერ ბასკების იბერიელებად მოხსენიების ამბავი, კორნელიუს ტაციტუსის მოშველიებაც, კერძოდ, როცა აღწერს ბრიტანეთში მცხოვრები ძველი იბერიელების გარეგნობას და ესპანეთის მცხოვრებთა მიმართ მათი სიძულვილის ამბავს.

როგორც ლ. ზაიდლერის, ასევე ტაციტუსის ნათქვამს ადასტურებს ინგლისელი ისტორიკოსი არტურ მორტონი, რომელიც მოგვითხრობს იბერიული ტომების მიერ ბრიტანეთის კუნძულების კოლონიზაციის შესახებ: „კორნუელში, ირლანდიაში და უელსისა და შოტლანდიის სანაპიროებზე არსებობს იბერიელების ანუ ლითონის კულტურის ხალხის მიერ დატოვებული ძეგლები. ისინი მოვიდნენ და დასახლდნენ ბრიტანეთში ჩვ.წ.-მდე მესამე ათასწლეულში. ასეთი ძეგლების ბოლო ჯგუფი სატერლენდშია, უკანასკნელ პუნქტში, რომელსაც მიადგებოდნენ იბერიელთა გემები იქამდე, ვიდრე ჩრდილოეთის გზით წავიდოდნენ სკანდინავიისაკენ, ნათლად მიუთითებს გზის მიმართულებასა და მნიშვნელობას. ამ დროს ჯერ კიდევ გრძელდებოდა მიწის დაწევა; უფრო მოკლე და უსაფრთხო ჩანდა ზევით, ლა-მანშზე გამავალი გზა და ევროპული ნაპირის გასწვრივ ჩაკეტილი იყო სავალი თუ მიწის ზოლით არა, ბრიტანეთს კონტინენტთან რომ აერთებდა, მაშინ სრუტეებით, რომლებიც ვიწრო და წყალმარჩხი იყო და მიქცევისა და მოქცევის სწრაფი ტალღების გავლენით იცვლიდა თავის ფორმას. შესაძლოა, სწორედ ამან გაუღვიძა სურვილი იბერიელებს, დასახლებულიყვნენ ბრიტანეთში.

თუმცა ნეოლითის დროს იბერიელებზე ცოტაა ზუსტი ცნობები, მაინც შეიძლება მათ შესახებ გამოვთქვათ სარწმუნო მოსაზრებები, რადგან მათ დატოვეს მიწაზე ყოფნის აშკარა კვალი. ამას გარდა, ისინი გახდნენ ბრიტანეთის კუნძულების თანამედროვე მოსახლეობის ძირითადი წინაპრები“[1].

მართალია, ციტატის ავტორი არაფერს ამბობს იმის თაობაზე, თუ ვინ არიან ეს იბერიელები, – ბრიტანეთის მოსახლეობის ეთნოგენეზისის პროცესში ესოდენ დიდი როლი რომ ითამაშეს, – მაგრამ უკვე ხსენებული ტაციტუსის ნათქვამი გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს უბრალოდ პირინეის ნახევარკუნძულის ძველ მოსახლეობასთან კი არა, არამედ აქედან მოსულ პროტოქართველურ ტომებთან. მით უმეტეს, რომ ლაპარაკია „ლითონის კულტურის ხალხის“ შესახებ. ჩვენს შორეულ წინაპრებს კი ნამდვილად ეთქმით, ლითონის კულტურის ფუძემდებლები ვართო.

ამრიგად, პირდაპირი თუ არაპირდაპირი ცნობებით, გია კვაშილავას მიერ შედგენილ რუკაზე ნაჩვენები პროტოქართველურ ტომთა განსახლება დასტურდება არა მხოლოდ იმ მეცნიერთა კვლევების მიხედვით, რის საფუძველზეც მან ეს რუკა შექმნა, არამედ ბევრი გვიანდელი მეცნიერის მოსაზრებითაც..

თავად რუკამ კი მრავალ ისეთ კითხვას გასცა პასუხი, ატლანტოლოგები ხშირად რომ წამოჭრიან; მაგალითად, ბასკურისა და ჩრდილოეთი აფრიკის ენების (ალბათ ბერბერულის) სავარაუდო მსგავსების საკითხი. თუ ვინმემ ზემოხსენებულ ენებს შორის რაიმე

1 იხ.: Мортон Артур, «История Англии», Издательство Иностранной Литературы, Москва, 1950 г., გვ. 21.

შესატყვისობა და ენობრივი პარალელი აღმოაჩინა, ეს გასაოცარი სულაც არ უნდა იყოს, რადგან რუკის მიხედვით, ბასკეთის ტერიტორიაზეც და ჩრდილოეთ აფრიკაშიც ერთი მოდგმის ხალხი ყოფილა განსახლებული – პროტოქართველური ტომები! რუკაზე ჩრდილოეთი აფრიკის ამ ნაწილს „ფაზანია“ ეწოდება, ისევე, როგორც საბერძნეთს „პელასგია“, კუნძულ კრეტას „ქართი“, კვიპროსს „იათნანა“, იტალიას „ეტრურია“. აღნიშნული ტერიტორიებისათვის სხვადასხვა დროს დარქმეული ეს სახელები ჩვენთვის ნაცნობად, მეტიც, მშობლიურად ჟღერს.

მას შემდეგ, რაც ხმელთაშუა ზღვისპირეთისა და დასავლეთი ევროპის გარშემო პროტოქართველთა მიერ განხორციელებული ეთნიკური ექსპანსია (და არა მხოლოდ ეთნიკური, მაგრამ ამის შესახებ მომდევნო თავში ვილაპარაკებთ) მეცნიერულად მტკიცდება, ატლანტოლოგთა მიერ გაკეთებული ზოგიერთი დასკვნა კარგავს იმ მნიშვნელობას, რასაც ავტორები ანიჭებდნენ, იცვლება და სულ სხვა დატვირთვას იძენს აქცენტები. კერძოდ, ასეთია როჟე დევინის ეს მოსაზრება: „შავგვრემანი იბერები, ბასკები, ლიგურიელები, აუსები, ეტრუსკები, ადგილობრივ მოსახლეობასთან მეტნაკლებად შერეულნი იყვნენ labbaren (ემიგრანტები)“[1].

ცხადია, ეს ხალხები ემიგრანტები იყვნენ. ამაში სადავო არაფერია, მაგრამ ავტორი გულისხმობს, რომ ისინი წარმოშობით ატლანტისიდან იყვნენ და ეს ატლანტისი ატლანტის ოკეანეში მდებარეობდა. არადა, რეალობა სულ სხვაგვარია: ეს ხალხები ნაწილია იმ ეთნოსისა, რომელმაც შექმნა კრეტის მინოსური სახელმწიფო, პლატონის ატლანტისის პროტოტიპად რომ იქცა. ამასთან, ზემოხსენებული ხალხები წარმოშობით დასავლეთიდან კი რა, არამედ აღმოსავლეთიდან იყვნენ.

ბევრად საინტერესოდ მიმაჩნია როჟე დევინის სხვა გამონათქვამი: „ტუარეგების ქვეყანაში ჯერ კიდევ ჩვენს დღეებში უჩვენებენ იაბართა საფლავებს, როგორც ყველაზე ძველი რასის ძეგლებს“[2].

ცხადია, დევინი ამ საფლავებსაც ატლანტისელებს უკავშირებს, ამიტომ ამ არტეფაქტების შესწავლას ზოგადად ატლანტოლოგიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამას გარდა, საკითხავია, ეს საფლავები რაიმე ინფორმაციას ხომ არ შეიცავენ ჩრდილოეთ აფრიკაში მცხოვრებ პროტოქართველურ ტომებზე და თუ ეს ასეა, მაშინ, ეს ატლანტისელთა ეთნიკურ წარმოშობაზე დამატებით ცნობებს მოგვაწვდიდა.

ხმელთაშუა ზღვისპირეთსა და ევროპის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროებზე განსახლებულ და გაბატონებულ პროტოქართველურ ტომთა სიძლიერეს თანდათან მოეღო ბოლო. ჯერ იყო, სანტორინ-სტრონგილეს ამოფრქვევამ თუ ამოფრქვევებმა კრეტის მინოსური სახელმწიფოს დაქცევას შეუწყო ხელი; შემდეგ კი პროტოქართველურმა მოსახლეობამ ინდოევროპელთა შემოსევებს ვეღარ გაუძლო, პოლიტიკური აქტიურობა ვეღარ შეძლო და დროთა განმავლობაში მომხდურებთან ასიმილაცია განიცადა. მათი წარსული ან მითებად იქცა, ან დავიწყებას მიეცა... თუ როგორ ივიწყებს ესა თუ ის ხალხი წარსულს, კარგად აქვს აღწერილი ჰეროდოტეს კარიელებთან დაკავშირებით: „შემდეგ, დიდი დრო რომ გავიდა, კარიელები დორიელებმა და იონიელებმა გამოაძევეს კუნძულებიდან და ეგრე მოვიდნენ ისინი ხმელეთზე (ანუ მცირე აზიაში. პ.ი.). ეგრე იყოო, ამბობენ კრეტელები კარიელების შესახებ. ხოლო თვითონ კარიელები არ არიან ამ საკითხის შესახებ მათი აზრის, არამედ

1 იხ.: Рожэ Дэвинь, «Атлантида, исчезнувший материк», Издательство «Петроград», 1926 г., გვ. 80.

2 იხ.: იქვე, გვ. 81.

თვითონ თავისი თავი ხმელეთის მკვიდრ მცხოვრებლებად მიაჩნიათ და სახელად მუდამ ის გვერქვაო, ამბობენ, რაც ახლა გვქვია. საამისოდ მიუთითებენ კარიელი ზევსის უძველეს სალოცავზე მისალელებში, ხოლო ამ სალოცავში წილი აქვთ მისალელებსა და ლიდიელებს, როგორც კარიელების ნათესავებს, რადგან ამბობენ, რომ ლიდოსი და მისოსი კაროსის ძმები არიან. ესენი ამ სალოცავში მონაწილეობდნენ კარიელებთან ერთად, ხოლო მათ, ვინც სხვა ტომისანი არიან, მაგრამ იმავე ენაზე ლაპარაკობენ, რომელზედაც კარიელები, ამ სალოცავში წილი არა აქვთ“[1].

კარიელთა ყოფის აღწერის ეს სურათი ტიპურია ეთნოსისათვის, რომელიც კარგავს წარსულის ხსოვნას, სხვა ტომის ხალხად მიიჩნევს მის ენაზე მოლაპარაკე ხალხებს და, ახალ რეალობას შეგუებული, საკუთარი წარსულის ახალ ისტორიას იგონებს.

ასე თანდათან დავიწყებას მიეცა ატლანტისის შემქმნელი პროტოქართველური ტომების თავგადასავლი. ის სხვა ტომების ისტორიამ გადაფარა.

1 იხ. ჰეროდოტე, „ისტორია“, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1975 წ., გვ. 99.

თავი VI

როგორი იყო ატლანტისელთა კულტურა და მათ მიერ წარმოეგული „კულტურათა დალოგი“

არცთუ დიდი ხანია, ცნობილი გახდა, რომ პლატონისეული ატლანტისის რეალური ისტორიული პროტოტიპი კრეტის მინოსური სახელმწიფო იყო თავისი პროტოქართველურად მოლაპარაკე მოსახლეობით და ამ მოსახლეობის მიერ შექმნილი კრეტული ანუ პროტოქართველური კულტურით. ეს არის სიახლე ატლანტოლოგიაში. მანამდე ატლანტისის პრობლემის მკვლევრები როგორც თავად კუნძულს, ასევე მისი კულტურის ნაკვალევს ატლანტის ოკეანესა და მიმდებარე ტერიტორიებზე ეძებდნენ. გაწეული ძალისხმევის უმთავრესი მიზანი კაცობრიობის წინარეკულტურის პოვნა იყო. ამ ძიებათა თავისებურ მიმოხილვას, საკუთარი ხედვის პრიზმაში გარდატეხილს, გვთავაზობს რუსი ატლანტოლოგი ბ. ბოგაევსკი XX საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებში დაწერილ სტატიაში „ატლანტისი და ატლანტისური კულტურა“. ეს საბჭოთა მკვლევარი შესავალშივე წარმოაჩენს იმას, თუ რატომ ენიჭება ამ საკითხს ესოდენ დიდი მნიშვნელობა:

„ევროპული კულტურის ისტორიაში ძნელია იპოვო სხვა პრობლემა, რომელიც ასე ძლიერ აღელვებდეს ჩვენს წარმოსახვასა და ცნობისმოყვარეობას, როგორც ატლანტისის, ამ იდუმალი, ოკეანის ტალღებში დანთქმული მატერიკის საკითხი.

ჩვენს დროს ატლანტისი არათუ დავიწყებულია, არამედ, პირიქით, შეიძლება თვალი გავადევნოთ საზოგადოების ფართო წრეებისა და მეცნიერების სამყაროში მის მიმართ ახლად აღძრულ ინტერესს.

მკვლევარის ცნობისმოყვარე აზრის მისწრაფების გარდა, რომელიც არ არის თანახმა გამოცანათა კედლის წინაშე შეჩერდეს, რომელზეც ჩანს უიმედო წარწერა „ignoramus - ignorabimus“ („არ ვიცით და ვერც შევიცნობთ“. პ.ი.), ატლანტისის პრობლემას აქვს ჭეშმარიტად სასიცოცხლო მნიშვნელობა, სსრკ სამეცნიერო ინტერესების პირობით რომ არის გაძლიერებული.

ატლანტისის პრობლემას სამართლიანად ანიჭებდა დიდ მნიშვნელობას ვალერი ბრიუსოვი: „ჩვენ ანტიკურობისაგან ვსწავლობდით, – წერს ის, – ანტიკურობა ადრეული წარსულისაგან, ადრეული წარსული – ატლანტისისაგან. იდუმალი, ახლა ნახევრადმითიური ატლანტისელები ჩვენი მასწავლებლების მასწავლებლები იყვნენ და ჩვენ სრული უფლება გვაქვს, მივანიჭოთ მათ საპასუხისმგებლო წოდება „მასწავლებელთა მასწავლებლებისა“. იგივე აზრი უფრო ფრთხილი ფორმით გამოთქვა ნ.ო. ლერნერმა, როცა ამბობდა, რომ „ატლანტისის საკითხი დაიყვანება არსობრივად მთელი მსოფლიო კულტურის ერთიანობის საკითხამდე, უძველესი ცივილიზაციის კერა-წინაპრამდე, რომლის მოვალეც არის მთელი კაცობრიობა“. შემთხვევითი არ არის, რომ ვალერი ბრიუსოვი 1917 წელს და ლერნერი 1926 წელს აღნიშნავენ აკად. ნ.ი. მარის შრომებს იაფეტოლოგიის დარგში. იაფეტური თეორია, იაფეტურ ენათმეცნიერებასთან ერთად, აღძრავს კულტურის გენეტიკის ძირითად საკითხებს. და თუ მომავალში უნდა დადგეს ერთიანი ენის ეპოქა, მთელ კაცობრიობას რომ გააერთიანებს, მაშინ წინარეისტრიული წარსულის უშორეს ათასწლეულებში არსებობდა კულტურის ერთობა, რომლის ძირითადმა ელემენტებმა დროთა განმავლობაში კულტურათა ახალი ფორმები შეიძინეს, სხვისგან რომ განირჩეოდნენ თავისი ჩამოყალიბებული ინდივიდუალური ნიშნებით, გამომდინარე ამა თუ იმ ეკონომიკური ყოფის საზოგადოებრივი პირობებისაგან“[1].

ბ. ბოგაევსკის მსჯელობა ატლანტისის პრობლემის მნიშვნელობასთან დაკავშირებით ჰგავს იმას, რასაც ამის თაობაზე ორთოდოქსი ატლანტოლოგები წერდნენ და ეს გასაკვირი არ არის, რადგან ციტატის ავტორი მათი თანამოაზრეა, ოღონდ, ამ შემთხვევაში ყურადღებას სხვა საკითხი იქცევს: ბ. ბოგაევსკი იზიარებს მოსაზრებას (მეტად პოპულარულს 20-იან წლებში), რომლის მიხედვითაც, „მომავალში უნდა დადგეს ერთიანი ენის ეპოქა, მთელ კაცობრიობას რომ გააერთიანებს“. მოცემულ შემთხვევაში მისთვის არგუმენტის ფუნქცია ენიჭება უშორეს წარსულში მომხდარ საპირისპირო პროცესს, რის დროსაც „ამა თუ იმ ეკონომიკური ყოფის საზოგადოებრივი პირობებისაგან“ ჩამოყალიბდა ინდივიდუალური ნიშნის მქონე კულტურები და აქ აშკარად იკითხება ფარული აზრი: ხომ შეიძლება ეკონომიკურმა ყოფამ, ამ შემთხვევაში, სოციალისტურმა, ერთ დროს დაწყებული ენათა წარმოქმნისა და განვითარების პროცესი შეაჩეროს, ისტორიის ჩარხი უკუღმა დაატრიალოს, ამას კი, უდავოდ, მოჰყვებოდა ერთი ენის გაბატონებ. 20-იანი წლების სსრკ-ში კი ასეთ ენად, ბუნებრივია, რუსული იგულისხმებოდა. ფარული აზრი იკითხება ბ. ბოგაევსკის ატლანტისური კულტურის ძიებისადმი მიძღვნილი წერილის შესავალში, რაც რუსული საბჭოური იმპერიალიზმისადმი თავისებური ხარკის გადახდას წარმოადგენდა.

ამის შემდეგ ის კრიტიკულად მიმოიხილავს ატლანტისის კულტურის კვალის ძიების მცდელობას სხვადასხვა ავტორთა მხრიდან. ასე, მაგალითად: ირონიულად ეკიდება ატლანტოლოგების, ფროსტისა და ბეკის, მცდელობას, ატლანტისი და მისი კულტურა კრეტის მინოსურ კულტურას დაუკავშირონ:

„არ ღირდა შეჩერება სამართლიანად დავიწყებულ ფროსტის სტატიაზე, რომ მისი აზრები არ ყოფილიყო ატაცებული და გადმოცემული ბეკის პოპულარულ წიგნში „კრეტის საზღვაო მბრძანებლები“ და გამეორებული მის უახლეს ნაშრომში.

ბეკი სრულად ეთანხმება ფროსტს იმაში, რომ „ტიმეოსსა“ და „კრიტიაში“ მოცემულია კრეტის აღწერა: კნოსოსის ნავსადგური, აბანოები სასახლეში, ხარის მსხვერპლშეწირვა. ბეკის მიაჩნია, რომ კრეტის გეოგრაფიული მდგომარეობა სრულიად მიესადაგება პლატონის სიტყვებს:

„მხოლოდ ერთი დაბრკოლება აღიმართება სრული იგივეობის აღიარების გზაზე: დაღუპული ატლანტისი ჰერაკლეს სვეტებს გაღმა მდებარეობდა“. მიუხედავად ამისა, ავტორი სირთულეს ადვილად აღწევს თავს: „სამყაროს ძველ-ეგვიპტური წარმოდგენის თანახმად, – ამბობს ის, – ზეცა ეყრდნობოდა ოთხ სვეტს, რომლებიც სინამდვილეში მთებს წარმოადგენდნენ. ორიგინალურ მონათხრობში (სოლონმა რომ მოისმინა საისში ეგვიპტელი ქურუმებისაგან) ჩაძირული კუნძული ამ სვეტებს მიღმა მეტაფორულად მდებარეობდა“. ასეთ ახსნას მხოლოდ ღიმილის გამოწვევა შეუძლია“[2].

ამრიგად, ბ. ბოგაევსკი არ იზიარებს ფროსტისა და ბეკის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ კრეტის მინოსური კულტურა, ეს ატლანტისის კულტურა იყო; იმიტომ რომ, ჯერ ერთი, ამ ავტორებმა სათნადო არგუმენტები ვერ მოიყვანეს; მეორეც, ბ. ბოგაევსკის ატლანტისი ოკეანეში ეგულებოდა და არა ეგეოსის ზღვაში.

1 იხ.: Журнал «Новый Восток», 1926, №15, გვ. 222-223.

2 იხ.: იქვე, გვ. 228-229.

ატლანტისელთა კულტურის მაძიებელს არც გერმანელი მკვლევრის ფრობენიუსის მოსაზრება ეჩვენა დამაჯერებლად, რომელმაც ატლანტისის კულტურას გვინეის ყურის სანაპიროებზე მიაგნო. „ფრობენიუსმა ს-დ აფრიკაში, გვინეის სანაპიროზე, ტოგოსა და ლიბერიას შორის, ნახა „ნაშთები რომელიღაც ძველი, დიდებული, გადაშენებული ცივილიზაციისა“, კვალი „იმ ეპოქის მაღალი კულტურისა, როცა დედამიწაზე ბრინჯაოს საუკუნე ბატონობდა“. ტომი, ამ ოლქში რომ ბინადრობდა, იორუბად იწოდებოდა. ოლქის მთავარი რელიგიური ცენტრი ქალაქი იბადანია. იორუბები ბინის ტომს ენათესავებიან, რომელთა ცენტრიც ცნობილი ბენინია.

ატლანტისურ წრეს მიმაგრებული იორუბთა კულტურა ან ეპიგონი ამ კულტურისა ბენინი გამოირჩევა დიდი ქალაქების არსებობით, ტაძრებით, ბიუროკრატიზმით მართვისას და ძლიერი თეოკრატიით თავისი მკაცრად აგებული იერარქიით 16 მთავარი ღმერთისა და მეფის საკრალური მკვლელობით.

ატლანტისური კულტურა სასტიკია, უძრავია და მკვეთრია. მასში უნდა დავინახოთ მაღალი კლასიკური კულტურის ნიმუში, რომელსაც, ბენინის ბრინჯაოთი თუ ვიმსჯელებთ, არაფერი აქვს საერთო ზანგურ პრიმიტიულ ხელოვნებასთან.

ატლანტისურ კულტურაში ძლიერია ხმელთაშუა ზღვისპირეთული ელემენტები და ის ეტრუსკთა გარეშე გაუგებარია.

ფრობენიუსი დარწმუნებულია, რომ იორუბები არიან პირდაპირი „ეპიგონები ატლანტისელებისა და რომ მათ მიერ დასახლებული ოლქი წარმოადგენს პლატონისეულ ატლანტისს, რომელიც წინარეისტორიულ ხანაში შეიძლება კუნძული ყოფილიყო, რადგანაც საჰარა მხოლოდ ცოტა ხნის წინ (გეოლოგიური თვალსაზრისით) ამოიმართა ოკეანის სიღრმეებიდან, ადრე კი იმ ზღვის ფსკერი იყო, გვინეას რომ აშორებდა ევროპისაგან“[1]. ბ. ბოგაევსკი არ ეთანხმება ფრობენიუსის მოსაზრებას და იშველიებს ლუშანის შეხედულებებს იმის თაობაზე, რომ ბენინის კულტურა წმინდად ზანგურია. თუმცა, ბ. ბოგაევსკი იმასაც წერს, რომ ბენინის კულტურა აფრიკის სხვა ზანგური კულტურებისაგან მაღალი დონით განსხვავდება. მერე იმასაც ამბობს, თუ ოდესმე აღმოჩნდება ნამდვილი ატლანტისელების კულტურა, მაშინ შეიძლება მისაღები იყოს ბრიუსოვის წინადადება, რომლის მიხედვითაც იორუბთა ქვეყანა ატლანტისელთა კოლონიას წარმოადგენდაო.

კიდევ ერთი კულტურა, რომელსაც ბ. ბოგაევსკი განიხილავს, ეს კანარის კუნძულების მცხოვრებლების, გუანჩების კულტურა გახლავთ. ამ ხალხის სახელს იგი ასე განმარტავს: „ადამიანი კუნძულ ტენერიფედან“ (გუან – ადამიანი, შინეტ – ტენერიფე). გარდა ამისა, გუანჩებსა თუ გუაშებზე ის იშველიებს ფრანგ ანთროპოლოგთა დასკვნას და გვამცნობს, რომ ისინი კრომანიონულ რასას მიეკუთვნებოდნენ.

თავად ბოგაევსკი მათი კულტურის შესახებ წერს: „გუანშთა კულტურა, რომლის შესახებაც ჩვენ ვიცით XIV და, განსაკუთრებით XV საუკუნეების ქრონიკებით, ასევე მრავალი თვალსაზრისით განსაკუთრებულად საინტერესოა.

არ განვიხილავთ გუანშების კულტურას ყოველმხრივ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ გუანშები გამოირჩეოდნენ სტუმართმოყვარეობით, პატიოსნებით, ცხოვრებაში ზომიერებით, თავისუფლებისადმი არაჩვეულებრივი სიყვარულით, გასაოცარი სიმამაცით, ქალის პატივისცემით; გუანშებს ახასიათებდათ აგრეთვე რელიგიურობა, მაგრამ მათი კულტი გამოირჩეოდა განსაკუთრებული სილამაზით. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ცეკვისადმი არაჩვეულებრივი სიყვარული, რომელიც თავისი მრავალმხრივობით და სიმკვირცხლით აოცებდა ევროპელებს.

1 იხ.: იქვე, გვ. 229.

გუანშებმა სრულიად არ იცოდნენ ზღვაოსნობა, არ ჰქონდათ ნავები და ერთი კუნძულის მობინადრენი არ სტუმრობდნენ თავიანთ მეზობლებს. გუანშები მიწათმოქმედნი იყვნენ, ამასთან, მიწას ხელით ამუშავებდნენ. ხნული გაჰყავდათ ბასრი ძვლისპირიანი ჯოხით. ქერის მარცვალს გუანშები აშრობდნენ, ფქვავდნენ ხელის საფქვავით და აცხობდნენ ლავაშებს, როგორც ამას ადგილი აქვს ყველა თანამედროვე ბერბერულ ტომში და როგორც ამას აკეთებდა ენეოსი, ჩრდილოეთი აფრიკის ნაპირს რომ მიადგა.

საყურადღებოა, რომ გუანშები ზოგჯერ გამოშრობილ მარცვლეულს მიირთმევდნენ ხელით. XV საუკუნის ქრონისტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჩიტებივით“-ო.

ამას გარდა, ისინი მცირედ მესაქონლეობასაც ეწეოდნენ და ცხვრებისა და თხების მოშენებას მისდევდნენ, ჰყავდათ კიდევ ველური ღორები; რძე და წყალი შეადგენდა გუანშთა საკვებს.

XIV საუკუნეში ევროპელთა მოსვლამდე, გუანშებმა არ იცოდნენ ლითონების გამოყენება.

ცხოვრობდნენ გუანშები ბუნებრივ ან კლდეში გამოკვეთილ გამოქვაბულებში; ზოგჯერ აგებდნენ პატარა მრგვალ ან ოვალურ სახლებს გაუთლელი ქვისაგან, შესასვლელით, რომელიც ქვის ორი დიდი ფილისაგან შედგებოდა და მესამით იყო გადახურული.

სახლები, როგორც ჩრდილოეთ აფრიკაშია (ალჟირი, მაროკო), სანახევროდ მიწაში იყო ჩადგმული – თვისება, რომელსაც აღნიშნავს ფრობენიუსი, „როგორც დამახასიათებელს ატლანტისური კულტურისათვის... გუანშთა იარაღებიდან აღსანიშნავია შუბი, სათხედი ქვის ან ობსიდიანის პირით, შურდული, შესაძლოა, ფარიც. გრან-კანარიაზე გამოიყენებოდა გაპრიალებული ქვისაგან დამზადებული საომარი ცულები. ტანსაცმელი შედგებოდა წვრილი მყესებისაგან შეკერილი თხის ტყავისაგან. ტყავისავე ფეხსაცმელისაგან და წაწვეტებულწვერიანი ქუდისაგან, ზოგჯერ გადმოხრილი ზემო ნაწილით. მოსართავებიდან ძალიან გავრცელებული იყო მრგვალი ან ცილინდრული გრძელი მძივები და ქვის, ნიჟარისა და ტახის კბილების ბურნუკები.

სხეული მოხატული ჰქონდათ. ამასთან, დიდწილად გეომეტრიული ნაყშის ამოყვანისათვის გამოიყენებოდა ეგრეთ წოდებული პინტადერიები, თიხის ან ქვის სახელურიანი საბეჭდავები. საღებავით დაფარული ორნამენტი საბეჭდავის ბრტყელ ნაწილზე იყო მოთავსებული. მსგავსი პინტადერიები ნაპოვნი იქნა მექსიკასა და იუკატანზე, აგრეთვე ხმელთაშუა ზღვის კულტურული წრის სხვადასხვა წინარეისტორიულ სადგომებზე, ლიგურიაში, აპულეაში (მოლფეტა), ტრანსილვანიასა და თრაკიაში, სადაც სხეულის მოხატვის ფაქტებს იხსენიებენ ჰეროდოტე და სტრაბონი. სხეულის მოხატვას მიმართავდნენ წინარეისტორიულ ირლანდიაშიც და დუნაი-ტრიპოლიეს კულტურის წრეში, როგორც ამის შესახებ შეიძლება მოხატული ქანდაკებებით ვიმსჯელოთ.

ყოფაში გუანშები იყენებდნენ ფრიად უბრალო ფორმისა და პრიმიტიული ტექნიკის თიხის, ხისა და მოწნულ ჭურჭელს. კერამიკული ჭურჭელი, ჩვეულებრივ, ორნამენტის გარეშეა... რელიგიური ჩვეულებებიდან აუცილებელია აღინიშნოს უმაღლესი ფენის მიმართ ბალზამირების გამოყენება. მუმიებს შემოაკერავდნენ თხის რამდენიმე ტყავს: სავარაუდოდ, რიტუალური მნიშვნელობა ჰქონდა ქალის პატარა თიხის ქანდაკებებს, რომელთა ზურგზეც ზიგზაგური ხაზები გამოსახავდა გაშლილ თმებს... ენასთან დაკავშირებით საინ-

ტერესო დაკვირვებები აქვს ბერტელოს: „კანარის კუნძულებზე და ჩ. აფრიკის ატლასის დაბლობების და მის მთისწინეთში ბერბერებით დასახლებული ოლქების ადგილმდებარეობისა და საკუთარი სახელების შემორჩენილი დასახელებების შედარებით შესწავლას, მე მივყავარ, – ამბობს ბერტელო, – გუანშებისა და ბერბერების ენის ჰომოფონიის თაობაზე დასკვნისკენ“. ბერბერული სიტყვები ხშირად გვხვდება გუანშების ენაში... გუანშებისა და ბერბერიელების ენათა დამთხვევები არ შეიძლება შემთხვევითი იყოს“[1].

ბ. ბოგაევსკის ციტირება გვამცნობს, როგორც სხვა ორთოდოქსი ატლანტოლოგების შემთხვევაში იყო, თუ რანაირი წარმოედგინა მას ატლანტისის კულტურა, რას უარყოფს და რა მიაჩნია სარწმუნოდ. ასე, მაგალითად: მას სასაცილოდ მიაჩნია ფროსტისა და ბეკის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ატლანტისზე საუბრისას პლატონთან მოცემულია კრეტის აღწერა. ცხადია, ამ შეხედულებაში ღიმილის მომგვრელი არაფერია. ბ. ბოგაევსკისა და მსგავსი რწმენის მქონე ატლანტოლოგებს ვერავინ გადაარწმუნებდა, რომ ატლანტისი ოკეანეში არ იყო. ეს მათთვის მიუღებელი გახლდათ, ამიტომ ეძებდნენ ისინი ატლანტის ოკეანეში, ხოლო მის კულტურულ კვალს – ანტიკური სამყაროს პერიფერიებზე. მიაქციეთ ყურადღება: როგორი რუდუნებით კრებს და გადმოგვცემს ყველაფერს, რაც, მისი აზრით, ატლანტისელთა კულტურას შეეხება. მაგალითად, ფრობენიუსის ძიებებს, ოღონდ ის ბოლომდე არ იზიარებს გერმანელი მეცნიერის დასკვნებს და ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ბენინის კულტურა ატლანტისის კოლონიის ნაშთს წარმოადგენს. უფრო მეტ მნიშვნელობას ის კანარის კუნძულების მოსახლეობას ანიჭებს მის კულტურას, ამ კულტურის კავშირს ბერბერულ კულტურასთან, დიდ ადგილს უთმობს ბერტელოს მოსაზრებებს, რომელიც ბევრ საერთოს ნახულობდა გუანჩებისა და ბერბერთა ენობრივი პარალელების ძიებისას. კანარის კუნძულების მცხოვრებთა კულტურის გაცნობისას არ არის საჭირო იყო ეთნოლოგი ან კულტუროლოგი, რათა დარწმუნდე, რომ გუანჩებს საერთო არაფერი აქვთ პლატონის მიერ აღწერილ ატლანტისელებთან და აი, რატომ:

1. დავიწყოთ იმით, რომ გუანჩები მიეკუთვნებიან კრომანიონულ რასას, ხოლო ატლანტისელები, პლატონის მონათხრობიდან გამომდინარე, აშკარად ხმელთაშუა ზღვის რასის წარმომადგენლები იყვნენ;

2. გუანჩებმა ზღვაოსნობისა არა იცოდნენ რა, მაშინ, როცა ატლანტისელებს უზარმაზარი ფლოტი ჰყავდათ, გემთსაშენებიც ჰქონდათ და ნავსადგურებიც;

3. პლატონის ატლანტისი ბრინჯაოს ხანის ცივილიზაციაა, ხოლო გუანჩებმა ევროპელთა მოსვლამდე არ იცოდნენ ლითონების გამოყენება;

4. გუანჩები მისდევდნენ სხეულის მოხატვას, რასაც არ აკეთებდნენ ატლანტისელები;

5. გუანჩებს თხები ჰყავდათ, ატლანტისელებს – ხარები, იქ ხარის კულტი იყო და ხარის მსხვერპლად შეწირვის რიტუალი სრულდებოდა;

6. გუანჩები თხის ტყავებში იყვნენ გახვეულნი, ატლანტისელებს მრავალნაირი ქსოვილი ჰქონდათ, ისინი არც ტანსაცმლის ხარისხით და არც დიზაინით ერთმანეთს არ ჰგავდნენ;

7. გუანჩები გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ და, როგორც ჩანს, ახალი დაწყებული ჰქონდათ სახლების აგება, ამასთან, გაუთლელი ქვისაგან. ატლანტისელებს კი, პლატონს თუ ვერწმუნებით, საარაკო არქიტექტურა ჰქონდათ. ისინი მშენებლობისთვის არა მხ-

1 იხ.: იქვე, გვ. 240-242.

ოლოდ გათლილ ქვას, ძვირფასსა და ნახევრადძვირფას ლითონებსაც იყენებდნენ. ამიტომ სრულიად გაუგებარია, რომ ბ. ბოგაევსკი იშველიებს ფრობენიუსის აზრს, ჩრდილოეთ აფრიკის მსგავსად სანახევროდ მიწაში ჩაფლული სახლები დამახასიათებელია ატლანტისური კულტურისთვისო;

8. პლატონს არსად უწერია, ატლანტისელთა ენაში ბერბერული სიტყვები იყოო, მაგრამ საქმე ისაა, რომ ბ. ბოგაევსკის სწორედ ჩრდილოეთ და დასავლეთ აფრიკაში და მიმდებარე ტერიტორიებზე ეგულებოდა ატლანტისი და ატლანტისელთა შორეულ შთამომავლებად მიიჩნევდა ბერბერებსა და გუანჩებს. ამ მხრივ ის სრულიად იზიარებს კიდევ ერთი ატლანტოლოგის, ჟერმენის, მოსაზრებებს:

„ამრიგად, საჰარის შეფასების თვალსაზრისით და ჩ.დ. აფრიკის კანარის კუნძულებთან დამოკიდებულებისა და გუანშთა საკითხის გადაწყვეტის თვალსაზრისით, ჟერმენის თეორია „ორი ატლანტისის“ თაობაზე და ატლანტისის ნარჩენებზე, როგორც ჩანს, კანარის კუნძულების სახით, მე მგონია, დასაბუთებულია“[1].

ასეთი გახლავთ ორთოდოქსი ატლანტოლოგის ხედვა ატლანტისური კულტურის ხასიათსა და მის სავარაუდო ნაშთებზე. საჭიროა ამდაგვარი მოსაზრებების გაცნობა მკითხველისათვის, რათა მას სრული წარმოდგენა ჰქონდეს იმის თაობაზე, რა მიაჩნდათ ატლანტისის კულტურის დანატოვრად და რომ ასეთი ხედვა გამოიწვია პლატონის დიალოგების უკრიტიკო მიღებამ, ოღონდ ატლანტოლოგია ერთ ადგილზე არ დგას, როგორც ვნახეთ, დადგინდა ატლანტისის ადგილსამყოფელი და ცნობილია ატლანტისელთა კულტურული მემკვიდრეობაც.

კრეტას განსაკუთრებული ადგილი უკავია მითოლოგიაში: აქ დიქტეს გამოქვაბულში დაბადებულა ზევსი, კრონოსისა და რეას ძე, აქ დარაჯობდნენ მას ნიმფები და კურეტები, რეას ქურუმები. ეს უკანასკნელნი იარაღს აჟღარუნებდნენ, რომ კრონისს არ გაეგო პატარა ზევსის ტირილი და არ მიმხვდარიყო, რეამ შვილის მაგივრად ქვა რომ გადააყლაპა; აქ ფუტკრები თაფლს უზიდავდნენ ზევსს, აქ კვებავდა თავისი რძით მას თხა ამალთეა.

ამ კუნძულის მბრძანებელი იყო ზევსისა და ევროპეს ძე მინოსი, პასიფაეს (ჰელიოსის ასული, კირკეს და) ქმარი, არიადნეს, ფედრას, დევკალიონის (ოღონდ ეს სხვაა, წარღვნის გმირთან საერთო არაფერი აქვს), ანდროგეოსის, ევრიმედონტის, ქრისეს, ნეფალიონის მამა, რადამანთისის და სარპედონის ძმა, კრეტის უძლიერესი საზღვაო სახელმწიფოს დამაარსებელი. მის სახელს უკავშირდება კრეტის კანონების შექმნა, მისი კულტურის აყვავება, სამეფო სასახლის აგებაც (კნოსოსის სასახლე) და კრეტული დამწერლობაც.

მითებს კიდევ მივუბრუნდები, ახლა სიტყვა მივცეთ კ. კერამს, რომელმაც საინტერესოდ აღწერა ინგლისელი არქეოლოგის, არტურ ევანსის მიერ კნოსოსის სასახლის აღმოჩენის ამბავი: „ევანსმა გათხრები კნოსოსის მახლობლად დაიწყო. აქ ანტიკური კედელი ნიადაგის სულ თხელი ფენით იყო დაფარული. უკვე ორი-სამი საათის შემდეგ შეიძლებოდა ლაპარაკი პირველ შედეგებზე. ორი კვირის შემდეგ კი გაოცებული ევანსი დაჰყურებდა შენობათა ნაშთებს, რომელთაც რვა აკრის ფართობი ეკავათ. შემდგომში აქ გაითხარა სასახლის ნანგრევები ორნახევარ ჰექტარ ფართობზე.

თავისი საერთო გეგმით კნოსოსის სასახლე ტირინთისა და მიკენის სასახლეებს ჩამოჰგავდა. კიდევ მეტი, აშკარად ენათესავებოდა მათ, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად მათგან საკმაოდ განსხვავდებოდა. ამავე დროს, მისი საოცარი სიდიდე, სიმდიდრე და სი-

1 იხ.: იქვე, გვ. 243.

სადავე კიდევ ერთხელ ცხადს ხდიდა, რომ ტირინთი და მიკენი მხოლოდ მეორეხარისხოვან ქალაქებს, კოლონიათა ცენტრებს, შორეულ პროვინციებს წარმოადგენდნენ.

ცენტრალური ეზოს – უზარმაზარი მართკურთხედის – გარშემო განლაგებული იყო შენობები. მათ ღრუ აგურით ნაგები კედლები და სვეტებზე დაყრდნობილი ბანიანი სახურავები ჰქონდა. მაგრამ ოთახები, გასასვლელები და დარბაზები ისე უცნაურად იყვნენ განლაგებულნი, ისე ადვილი იყო მათში დაბნევა, გზის დაკარგვა, რომ ადამიანებს ძალაუნებურად ლაბირინთი ახსენდებოდა. ასეთი აზრი მოსდიოდა ყველას, მასაც კი, ვისაც არასოდეს არ გაეგონა ლეგენდა მეფე მინოსისა და დედალოსის მიერ აგებულ ლაბირინთზე. ყველა შემდგომი ლაბირინთების პირველსახედ რომ იქცა“[1].

გავიხსენოთ ლაბირინთის ამბავი, მეტად მიმზიდველი მითოლოგიური ისტორია, რომლის გმირებიც ვნებას აყოლილი ღმერთები და ადამიანები არიან:

კრეტის მეფე მინოსმა პოსეიდონს სთხოვა, ზღვიდან ხარი გამომიგზავნე, მინდა მსხვერპლად შეგწიროო... მალე ზღვის ტალღებიდან ოქროსფერმა ხარმა გამოსცურა. მინოსს ხარი ძალიან მოეწონა, მსხვერპლად შეწირვისათვის ვერ გაიმეტა და თავის ჯოგს შეურია ჯიშის გაუმჯობესების მიზნით, ზღვის ღმერთს კი სხვა ხარი შესწირა. სიხარბით გამოწვეულმა მეფის ამ საქციელმა განარისხა პოსეიდონი და შურისძიება აფიქრებინა. მან ოქროსფერი ხარი გააგიჟა, მეორეს მხრივ კი მინოსის ცოლს პასიფაეს ხარის სიყვარული შთააგონა; ზოოფილურ ვნებას აყოლილი ქალი ხარს დანებდა, მისგან დაორსულდა და ეყოლა კაციჭამია ხარ-კაცი მინოტავრი, რაც ნიშნავს „მინოსის ხარს“. ასე იმიტომ დაერქვა, რომ მინოსმა შეიკედლა ცოლის მიერ უკანონოდ შობილი ურჩხული, რომლის სამყოფლად ათენელ დიდოსტატს დედალოსს ლაბირინთი ააგებინა.

სიტყვა „დედალეოს“ ბერძნულად შედევრის სინონიმია, – ასე დაერქვა მითოლოგიურ გმირს, რომელიც მრავალმხრივი ნიჭით იყო დაჯილდოებული. პროფესიით მხატვარი, ხუროთმოძღვარი, სადურგლო ხელსაწყოების: ხერხის, ცულის, ბურღის, სასწორის და სხვ. გამომგონებელი. მითოლოგიაში ერთობ აღიარებული ოსტატია. მას მიაწერენ მარმარილოსაგან თვალებმოხამხამე და მოსიარულე ქანდაკების გამოკვეთას. მან თავისი დის, პედრიკეს შვილს, ტალოსს ასწავლა თავისი ხელოვნება. მოწაფემ არათუ შეითვისა ნასწავლი, არამედ განავითარა და თავადაც გამოიგონა ზოგი რამ: გვერგვი, ციბრუტის რკინა. ამ ამბავმა თავზარი დასცა დედალოსს, რადგან ტალოსში კონკურენტი დაინახა და, საფრთხე რომ თავიდან აეცილებინა, დისშვილი აკროპოლისის უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა, ხელი ჰკრა და უფსკრულში გადაჩეხა. ამ დანაშაულისათვის არეოპაგმა სიკვდილი მიუსაჯა. დედალოსმა თავს გაქცევით უშველა, კრეტაზე ჩავიდა, მეფე მინოსის ხუროთმოძღვარი გახდა და მინოტავრის სამყოფელად მიწისქვეშა ლაბირინთი ააგო. რომლის უამრავი დახლართული ტალანიდან თავის დაღწევა შეუძლებელი იყო. მანვე დაუმზადა დედოფალ პასიფაეს ხის ძროხა; მანვე გამოავლინა ქორეოგრაფიული ნიჭი და გამოიგონა ქოროს საფერხულო ცეკვა არიადნესათვის; დედალოსმა სხვა რამეც გააკეთა მინოსის ასულისათვის, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ამ დროს ათენში კიდევ ერთი მკვლელობა მოხდა. მისი მსხვერპლი მინოსისა და პასიფაეს ვაჟი ანდროგეოსი („მამაცი“) იყო. ათენში ჩასულმა მეფისწულმა თავისი სახელი გაამართლა და ახლად დაწესებულ პანათენურ დღესასწაულებზე გამართულ ასპარეზობებზე

1 იხ.: კ. კერამი, „ღმერთები, აკლდამები და მეცნიერები“, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1972 წ., გვ. 78-79.

ყველა ვარჯიშში გაიმარჯვა. კრეტელი ჭაბუკის ამ გამარჯვებამ ათენის მეფე ეგეოსის შური გამოიწვია და მისი მოკვლა განიზრახა. ანდროგეოსს მარათონის ხარი დააძგერეს და ასე მოუღეს ბოლო. მინოსმა შვილის სიკვდილი მაშინ გაიგო, როდესაც პაროსზე მსხვერპლს სწირავდა ქარიტებს; თავიდან გვირგვინი მოიგლიჯა, მემუსიკეებს უბრძანა, შეეწყვიტათ ფლეიტებზე დაკვრა, მაგრამ მსხვერპლშეწირვის წესი ბოლომდე შეასრულა. ასეთი მსხვერპლშეწირვა – უგვირგვინოდ და უმუსიკოდ – შემდგომ ტრადიციად იქცა, მინოსმა კი ათენს ალყა შემოარტყა, დაამარცხა ათენელები და შვილის მკვლელ ქალაქს მძიმე ხარკი დაადო: ყოველ ცხრა წელიწადში 7 ვაჟი და 7 ქალწული უნდა მიეცათ. კრეტაზე ჩაყვანილებს ლაბირინთის გზას გაუყენებდნენ, სადაც ისინი მინოტავრის – ხარისთავიანი ადამიანის მსხვერპლნი ხდებოდნენ.

ეგეოსის ვაჟი თეზევსი პაპასთან იზრდებოდა, როცა ათენში ჩავიდა, მაშინ გაიგო ამ მძიმე ხარკის შესახებ და გადაწყვიტა, თავად მოხალისედ გამგზავრებულიყო კრეტას. იქ ჩასულმა თეზევსმა მეფე მინოსის მიერ მოწყობილ ასპარეზობებზე გაიმარჯვა, ჭაბუკი შეუყვარდა მინოსის ასულ არიადნეს; მან ათენელ მეფისწულს დახმარება აღუთქვა, თუ ცოლად შეირთავდა. დედალოსის რჩევით არიადნემ ძაფის გორგალი და მახვილი გადასცა თეზევსს, რომელმაც ძაფი ლაბირინთის შესასვლელში მიამაგრა და ისე შევიდა მის ტალანებში, თავს დაესხა მინოტავრს, მოკლა და ძაფს გამოჰყვა ლაბირინთიდან, თან გამოიყოლა ათენელი გოგო-ბიჭები და არიადნეც გაიტაცა. კუნძულ დიაზე ღამის გასათევად შეჩერებულს სიზმრად დიონისე გამოეცხადა და უთხრა, არიადნე ჩემი დანიშნულიაო, ამიტომ თეზევსმა მძინარე ქალი მიატოვა და თავად ათენისაკენ გასწია. არიადნე გახდა დიონისეს ცოლი. ჰეფესტომ საქორწინო საჩუქრად ოქროს სხივმოსილი გვირგვინი გამოუჭედა. არიადნე შემდეგ გადაიქცა ბუნებისა და მცენარეულობის ღვთაებად. მინოსი გაქცეულებს დაედევნა, მაგრამ თეზევსსა და არიადნეს ვერ დაეწია, შემდეგ გამოედევნა დედალოსს, რომელიც გაიქცა სიცილიაში, სადაც მინოსი ღალატით მოკლეს.

მითებში მოქმედი ვნებასა და ჟინს აყოლილი ღმერთები და ადამიანები, უკვდავნი და მოკვდავნი, ხშირად ავლენენ მძვინვარე ხასიათს. როგორც ჩანს, ცივილიზაციის გარიჟრაჟზე ადამიანები, ხალხები, ბევრად დაუნდობელნი იყვნენ ერთმანეთისადმი, ვიდრე ეს ჩვენ შეიძლება წარმოვიდგინოთ. მითი მინოსზე, მინოტავრზე, დედალოსზე, არიადნასა და თეზევსზე ძველისძველია. მასში თავისებურად აისახა ეგეიდაში ეთნოსთა და კულტურათა წარმოქმნისა და დაღუპვის ეტაპები, ოღონდ მითებში, უფრო სწორად კი მათ გვიანდელ რედაქციებში, მკვეთრად გამოჩნდა არა მხოლოდ ადამიანებისა და ხალხების ზნეობრივი მდგომარეობის ობიექტური სურათი, არამედ მითებმა იდეოლოგიური დატვირთვაც შეიძინა და სუბიექტურად აისახა ის წარსული, როდესაც კონტინენტურ და კუნძულოვან საბერძნეთში მხოლოდ ბერძნები არ ცხოვრობდნენ, ან უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, ამ ტერიტორიებზე ბერძენთა ჩამოსახლების პროცესი. მაგრამ როდესაც ბერძნები აქ საბოლოოდ დამკვიდრდნენ, მაშინ მითში ნაჩვენებმა წარსულმა გამარჯვებულთა სასურველი სახე მიიღო, ბერძნები ნათელი ფერებით დაიხატნენ, მათი მოწინააღმდეგენი კი უარყოფით პერსონაჟებად იქცნენ. ამის დამოწმებას ვნახულობთ პლუტარქესთან თეზევსის ბიოგრაფიაში, რომელშიც ლაბირინთში ათენელი ყმაწვილების მინოტავრის მიერ შეჭმა-არშეჭმაზეა ლაპარაკი: „ყველაზე უფრო შემაძრწუნებელი თქმულების მიხედვით, კრეტაზე წაყვანილ ბავშვებს ლაბირინთში ჭამდა მინოტავრი; სხვა გადმოცემით, ყმაწვილები ლაბირინთში იბნეოდნენ, გამოსავალს ვერ პოულობდნენ და იქ იხოცებოდნენ. მინოტავრი, როგორც ევრ-

იპიდე ამბობს, იყო

ჩანასახშივე შერეული სახის ქმნილება

ანუ:

ნახევრად ხარი და ნახევრად ადამიანი.

ფილოქორე ამბობს, კრეტელები ასეთ გადმოცემას არ ეთანხმებიანო. ისინი ამტკიცებენ შემდეგს: ლაბირინთი იყო ციხე, რომლის საშინელება მხოლოდ და მხოლოდ ის გახლდათ, რომ იქ ჩამწყვდეულს გამოქცევა აღარ შეეძლო. მათი სიტყვით, მინოსმა ანდროგეოსის ხსოვნის აღსანიშნავად გიმნასტური ასპარეზობა დააწესა და გამარჯვებულებს ჯილდოდ აძლევდა იმ ყმაწვილებს, რომლებიც მანამდე ლაბირინთში იყვნენ ჩამწყვდეულნი. პირველ ასპარეზობაზე გაიმარჯვა სამეფო კარზე ფრიად გავლენიანმა ერთ-ერთმა სარდალმა, სახელად ტავროსმა, უკეთურმა და მრისხანე კაცმა, რომელიც ათენელთა ბავშვებს ქედმაღლურად და შეუბრალებლად ექცეოდა.

არისტოტელეც თავის „ბეოტიელთა სახელმწიფო მოწყობაში“, როგორც ჩანს, არ იზიარებს იმ აზრს, რომ მინოსი ბავშვებს კლავდა. ის ფიქრობს, რომ ყმაწვილები „კრეტაზე მონობის უღელს ეწეოდნენ და მონობაშივე ბერდებოდნენ“. „როგორც ჩანს, მართლაც დიდი უბედურებაა იმ ქალაქის მტრად გადაკიდება, რომელსაც მწარე ენის პატრონი ხალხი ჰყავს და პოეზიითაც განთქმულია. ატიკის თეატრებში მინოსს მუდამ ავად იხსენიებდნენ და ლანძღავდნენ. მას ვერ უშველა ვერც ჰესიოდემ იმით, რომ „მეფეთა შორის უდიდესი მეფე“ უწოდა და ვერც ჰომეროსმა, რომელმაც მას „ზევსთან მოსაუბრე“ შეარქვა. ტრაგიკოსებმა ყველას აჯობეს: თეატრების სცენიდან დიდად გაუტეხეს სახელი მინოსს, როგორც მრისხანე და მოძლადე კაცს“[1].

პლუტარქეს ნათქვამი გვეხმარება დავინახოთ მინოსისადმი ათენელთა უარყოფითი დამოკიდებულების ჭეშმარიტი მიზეზი. რატომ უნდა მოჰკიდებოდნენ მინოსს მტრად ათენელები და დრამატურგთა დახმარებით გაეტეხათ მისთვის სახელი? – ამ კითხვის პასუხი საძებნია შორეულ ისტორიულ წარსულში, როცა ატიკაში უკვე ბერძნები მძლავრობდნენ და მათსა და პროტოქართველურ მინოსურ კრეტას შორის სამხედრო დაპირისპირება იყო; ეს მდგომარეობა მითში აისახა ათენში ანდროგეოსის, ხოლო კრეტაზე მინოტავრის მკვლელობით და, ცხადია, სიმბოლური დატვირთვაც შეიძინა. თავიდან ანუ კრეტაზე მინოსის მითის შექმნას, მის მიერ პოსეიდონის მოტყუებასა და ოქროსფერი ხარის მსხვერპლად არშეწირვას, ღმერთის შურისძიებასა და მინოტავრის დაბადებას თავისი მნიშვნელობა ექნებოდა და, როგორც ხშირად არის მითებში, ადამიანთა ზნეობრივ პრობლემებს წარმოაჩენდა, მაგრამ ბერძნების ეთნიკური ექსპანსიისა და ათენსა და კრეტას შორის ხანგრძლივი ბრძოლის დაწყების შემდეგ, მინოსის მითოლოგიურმა სახემ შეიძინა მტრის ხატის ფუნქცია, რომლის შესახებაც ბერძნული ლიტერატურა თუ რამეს იტყოდა, ეს უარყოფითი დამოკიდებულების გამომხატველი უნდა ყოფილიყო. ასევე მოხდა მინოტავრის შემთხვევაშიც: არაბუნებრივი სიყვარულის ამ შედეგმა, ხარისთავიანმა კაცმა, განსხვავებული სიმბოლური დატვირთვა შეიძინა ბერძნულ მითოლოგიაში: კრეტაზე ხარის კულტი იყო, მინოტავრი ამ კულტისა და კრეტის განსახიერებად აქციეს, ბოროტების ხატებად, რომელიც ათენელ გოგო-ბიჭებს ჭამდა.

როცა დრო გავიდა და კრეტაზე ბერძნები დამკვიდრდნენ, მათ უკვე აღარ ესმოდათ

1 იხ.: პლუტარქე, „რჩეული ბიოგრაფიები“,„თეზევსი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1975 წ., გვ. 33-34).

მითში გამოხატული იდეოლოგიური ბრძოლის მნიშვნელობა. ამიტომ აღიქვამდნენ ლაბირინთს ათენელი ტყვეების ციხედ და არისტოტელეც ამის გამო არ იზიარებდა მინოსის მიერ ბავშვების დახოცვის ამბავს.

იგივე ითქმის მითში დედალოსის როლისა და ადგილის შესახებ, იმ ფუნქციიდან გამომდინარე, რაც მას აქვს დაკისრებული: ის კრეტასა და ატიკაში მცხოვრებ პროტოქართველთა შემოქმედების ფუძემდებელია, ხელოსნობისა და ხელოვნების პირველდამწყები, გასაოცარი ნიჭის პატრონი, რომელიც თანაბარი ძალით ვლინდებოდა სახვით ხელოვნებაში, არქიტექტურასა (მაგალითად, ლაბირინთის აგება, რაც ბევრი მკვლევარისთვის კნოსოსის სასახლის თავისებურ ანარეკლს წარმოადგენს) და ქორეოგრაფიაში; გავიხსენოთ, რომ მან შექმნა საფერხულო ცეკვა არიადნესთვის. ეს კი, – თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთი ხასიათის ცეკვები უძველესია, ცივილიზაციის გარიჟრაჟზე რწმენა-წარმოდგენებიდან მომდინარე რიტუალიდან ცეკვად ჩამოყალიბდა, – იმისი მანიშნებელია, რომ დედალოსი შეიძლება ოდესღაც ხელოსნობისა და ხელოვნების უძველესი ღვთაება ან შემოქმედების სიმბოლოდ ქცეული გმირი იყო, თანდათანობით იგი გადაიქცა მოკვდავად, რომლისთვის შური და შიში უცხო არ არის. ხოლო უკვე მითის ბერძნულ ვარიანტში ის არიადნეს და, აქედან გამომდინარე, თეზევსის მხარდამჭერი და, ამრიგად, მინოსის მოწინააღმდეგე ხდება.

მითის ასეთი ინტერპრეტირება სრულიად დასაშვებად მიმაჩნია, რადგან ფაქტია, რომ პროტოქართველური კულტურის მატარებელმა პელასგებმა კონტინენტური და კუნძულოვანი საბერძნეთის ტერიტორიაზე მანამდე არარსებული რელიგიური სისტემა შექმნეს. ამას აღნიშნავს ჰეროდოტე თავის „ისტორიაში“: „ელადაში თითქმის ყველა ღმერთის სახელი ეგვიპტიდანაა შემოსული. რომ ეს სახელები ბარბაროსთაგან არის გადმოღებული, ეს დანამდვილებით შევიტყვე გამოკითხვის შედეგად, ხოლო მე კი უფრო ის მგონია, რომ სწორედ ეგვიპტიდან ელადაში ეს სახელები, გარდა პოსეიდონისა და დიოსკურებისა, რის შესახებაც ზემოთ ვილაპარაკე, ჰერას, ჰესტიას, თემიდის, ქარიტების, მერეიდებისა და ყველა სხვა ღმერთების სახელები ეგვიპტელების ქვეყანაში ცნობილი იყო იმთავითვე. მე იმას ვამბობ, რასაც ამბობენ თვით ეგვიპტელები. ღმერთების სახელები, რომლებზედაც ეგვიპტელები ამბობენ, არ ვიცითო, მე ვფიქრობ, დარქმეულია პელასგების მიერ, გარდა პოსეიდონისა. ამ ღმერთის შესახებ ელინებმა გაიგეს ლიბიელთაგან, რადგან ლიბიელების გარდა არსად ყოფილა პოსეიდონის სახელი გავრცელებული დასაბამიდან. ლიბიელები კი მუდამ პატივს სცემდნენ ამ ღმერთს. გმირებიც სრულიად არ სწამთ ეგვიპტელებს.

ესეც, და ამის გარდა, სხვაც, რის შესახებაც ვლაპარაკობ, ელინებს ეგვიპტელთაგან გადმოულიათ, ხოლო ჰერმესის ქანდაკებათა კეთება გამართული სარცხვინელით ეგვიპტელთაგან კი არ უსწავლიათ, არამედ პელასგებისაგან და პელასგთაგან ელინთა შორის პირველად ათენელებმა გადმოიღეს, ხოლო ამათგან – დანარჩენებმა. პელასგები ათენელების მეზობლები გახდნენ მათსავე ქვეყანაში მაშინ, როდესაც ათენელები უკვე ელინებად იქცნენ. აქედან იყო, რომ დაიწყო პელასგების ელინებად მიჩნევაც. ხოლო ვისაც კი მიუღია მონაწილეობა კაბირთა მისტერიებში, რომელსაც სამოთრაკიელები ასრულებენ (და რაც მათ პელასგებისაგან გადმოიღეს), ის უთუოდ გაიგებს, რასაც მე ვამბობ. რადგან ეს პელასგები, რომლებიც ათენელების მეზობლები გახდნენ, უწინ სამოთრაკეზე ცხოვრობდნენ და ამათგან გადმოიღეს სამოთრაკელებმა მისტერიები. ხოლო ჰერმესის ქანდაკებების კეთება გამართული სარცხვინელით ელინთა შორის პირველად ათენელებმა ისწავლეს პელასგებისაგან, ხოლო პელასგები ამის შესახებ რაღაც წმინდა თქმულებებს

გადმოსცემენ, რაც ცხადდება ხოლმე სამოთრაკეში მისტერიების დროს“[1].

ის, რასაც ჰეროდოტე წერს პელასგების ცივილიზატორული როლის შესახებ ეგეიდაში, ამას თანამედროვე ენაზე კულტურათა დიალოგის წარმართვა ჰქვია, ამასთან, საკმაოდ ინტენსიურის, რადგან მათ არა მარტო შეისწავლეს და შეითვისეს ეგვიპტური რელიგია, არამედ გადმოიტანეს ის პელასგურ რეალობაში და გადაამუშავეს. ამაში მხოლოდ ღმერთებისათვის სახელების შეცვლა არ იგულისხმება; ეგვიპტური ღვთაებები რომ გაპელასგურდნენ, ჩემი აზრით, ისინი უფრო გაადამიანურდნენ და მობილურები გახდნენ; ისინი ხშირად ტრიალებენ მოკვდავთა შორის, მათთან ერთად იბრძვიან, ზოგჯერ დაიჭრებიან ხოლმე, ხან ამ გზით, ხანაც, სხვაგვარად, გულშემატკივრობენ ადამიანებს. მათი ქცევა ბევრად განსხვავდება ეგვიპტურ ღვთაებათა ქცევის სტერეოტიპისაგან, ისევე, როგორც პელასგების ცნობიერება განსხვავდებოდა ეგვიპტელთა ცნობიერებისაგან... რამდენადაც კრეტის რელიგიას ვეცნობით, ვრწმუნდებით იმაში, რომ პელასგთა ეთნიკურმა თავისებურებამ განსაზღვრა ეგვიპტელი ღმერთების ისეთი ინტერპრეტაცია, ისეთი ჰუმანიზება, რამაც უკვე მოგვიანებით ხელი შეუწყო საბერძნეთში რელიგიისგან ფილოსოფიის გამოყოფას და მის საერო პროფესიად გადაქცევას. ამან ადამიანების აზროვნება გაათავისუფლა რელიგიური შებოჭილობისაგან და შექმნა სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატიული მმართველობა, რაც საფუძველი გახლავთ ევროპული ცივილიზაციისა, რისი ფორმირების საქმეშიც პროქართველური კულტურის დამსახურება უდავოა...

მაგრამ მივუბრუნდეთ იმ ღვთაებას, რომლის შესახებაც ჰეროდოტე წერს, ელინებმა მის შესახებ ლიბიელებისაგან გაიგესო; ლიბიაში, ანუ აფრიკაში, ორად ორი სახელმწიფო იყო, სადაც ზღვაოსნობა გახლდათ განვითარებული, შედარებით ნაკლებად ეგვიპტეში და გაცილებით მეტად კართაგენში, ანუ ფინიკიელთა კოლონიაში, აფრიკის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე რომ დაარსდა. ოღონდ ეს ძვ.წ. 825 წელს მოხდა. ეგვიპტელებსა და კართაგენელებს ბერძნები კარგად იცნობდნენ და, შესაბამისად, მათ იცნობდა ჰეროდოტეც. ამ უკანასკნელს ერთი ან მეორე ხალხი რომ ეგულისხმა, ამას დაწერდა კიდეც, ამიტომ საკითხავია, ვინ იყვნენ ის ლიბიელები, ზღვის ღმერთი რომ ჰყავდათ?

დავხედოთ ცნობილ მეცნიერთა მოსაზრებების გათვალისწინებით შექმნილ გია კვაშილავას რუკას და დავინახავთ, რომ აფრიკის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, სადაც მოგვიანებით კართაგენის სამფლობელოები იყო გადაჭიმული, იქ, ფინიკიელთა მოსვლამდე ბევრად ადრე, პროტოქართველური ტომები ცხოვრობდნენ. ამავე რუკაზე დატანილია მათი ორი მოზრდილი დასახლება დღევანდელი ლიბიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ამ ქვეყნის ცენტრში და მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. პროტოქართველური ტომების ასეთი წყვეტილი განსახლება ჩრდილოეთ აფრიკაში (თუ ამას ნილოსის დელტაში ჩასახლებულ პროტოქართველურ ტომებსაც მივუმატებთ) გვაფიქრებინებს, რომ ისინი ხმელეთს არ მიუყვებოდნენ და ზღვით მოგზაურობდნენ, ამასთან სავაჭრო, რელიგიური და კულტურული კავშირები ხმელთაშუა ზღვის აუზში საზღვაო გზებით ხორციელდებოდა; ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მათ რწმენა-წარმოდგენებში ჩასახულიყოს ზღვის ღმერთის რწმენა და შემდეგ უკვე აქედან ამ კულტს შეეღწიოს ელინიზებულ ეგეიდაში. მაგრამ, ჩემი აზრით, უფრო სარწმუნა, პოსეიდონის კულტი კრეტაზე ჩასახულიყო, რადგან მინოსის სახელმწიფო ამავე დროს უძლიერესი საზღვაო იმპერია იყო და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში მისი ფლოტი ბატონობდა. კრეტელები ფლოტის მეშვეობით

1 იხ.: ჰეროდოტე, „ისტორია“, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1975 წ., ტ. I, გვ. 138-139.

იმდენად დაცულებად თვლიდნენ თავს, რომ მათ დედაქალაქ კნოსოსს გალავანიც არ ჰქონია შემოვლებული... დაუჯერებელია, ამ ზღვაოსან ხალხს არ ჰქონოდა ზღვის ღმერთის კულტი და ის უდავოდ პოსეიდონი იყო, მას შემდეგ, რაც სანტორინ-სტრონგილეს ამოფრქვევათა შედეგად კრეტას ვულკანური ფერფლი, ცუნამები და მიწისძვრები დაატყდა თავს, რამდენიმე წელიწადს რომ გრძელდებოდა და ცხოვრების ნორმალური რიტმი მოშალა, ეს კრეტელების ნაწილს აიძულებდა, სხვაგან გადასახლებულიყვნენ და ალბათ ლიბიას შეაფარეს თავი; შემდეგ კრეტიდან ლიბიაში ჩასახლებული პროტოქართველებისაგან შეითვისეს პოსეიდონის თაყვანისცემა ელინებმა.

ის, რომ პელასგებმა ეგვიპტიდან გადაიღეს ღვთაებათა დიდი ნაწილი, ამისი საფუძველი ეგვიპტესთან კრეტელი პელასგების მჭიდრო სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა იყო. ამის თაობაზე ალექსანდრე წერეთელი წერდა: „შედარებით უფრო ფართო ყოფილა კრეტის ურთიერთობა ძველ ეგვიპტესთან, განსაკუთრებით XII დინასტიის ეპოქიდან (2000-1740), სხვათა შორის, ფაიუმის ოაზისის იმ დროის ფენაში აღმოაჩინეს კამარესის სტილის ჭურჭელი, ხოლო იმავე დინასტიის ფარაონამენემხეტ III დროს (1849-1801) ლუქსორის მახლობლად (ზემო ეგვიპტეში) მინაში ჩაუფლავთ ძვირფასი კრეტული ნივთების მთელი განძი. უფრო ინტენსიურია კრეტის სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა ეგვიპტესთან თებეს XVIII დინასტიის ხანაში (1584-1388... საერთოდ, XVIII დინასტიის ხანაში ეგვიპტის სავაჭრო და კულტურული კავშირი საბერძნეთთან არამცთუ შეწყვეტილია, არამედ გაფართოებულა. ამაზე მიგვითითებს, სხვათა შორის, კნოსის სასახლეში, როდოსსა და კვიპროსში მრავლად აღმოჩენილი ეგვიპტური ხელოსნობის ნაწარმები. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ეგვიპტიდან ეგეოსის ზღვის რაიონში შემოჰქონდათ ოქრო, სპილოს ძვალი, ქვის ჭურჭელი, ქაშანურისა და საერთოდ მხატვრული ხელოსნობის ნაწარმები. თვითონ ეგვიპტეში ნუბიამდე აღმოჩენილ იქნა ეგეოსური საგნები. ამ ხნის ეგვიპტურ სამარხებზე ხშირად აღბეჭდილა ეგეოსელი ვაჭრები და მოხარკეები, რომლებიც მხარ-ზურგით მიეზიდებიან სხვადასხვა სახის ეგეოსურ საქონელს. ამ სამარხების სურათებში ვამჩნევთ აგრეთვე „კაფტისა და დიდი ზღვის კუნძულთა მაგნატებს“. კეფტიუ-კაფტი კრეტელების აღმნიშვნელ სახელად არის მიღებული“[1].ზემოთქმულს დავუმატებდი, რომ არსებობს ეგვიპტური ნახატი კაფტის წარმომადგენლისა, რომელსაც ხელში ხარისთავიანი ამფორა უჭირავს.

ცხადია, 700 წლის განმავლობაში ინტენსიურად წარმართული ურთიერთობები განსხვავებული ხასიათისა იყო. ის კრეტის მინოსური სახელმწიფოს ძლიერების ხანასაც მოიცავს და სანტორინ-სტრონგილეს ამოფრქვევის შემდგომ პერიოდსაც, როდესაც დასუსტებული კრეტის საზღვაო სახელმწიფო ეგვიპტელთა მოხარკე ხდება და, ამავე დროს, ბერძნული ტომების ექსპანსიის ობიექტად იქცევა, რასაც მოჰყვა კრეტის საკმაოდ შეთხელებული პროტოქართველური მოსახლეობის ასიმილირება იქ ჩასახლებული ბერძნების მიერ. მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდა, კრეტელმა პელასგებმა შეითვისეს ეგვიპტური რელიგია და მისი გაპელასგურებით საფუძველი ჩაუყარეს ჯერ ეგეიდის პროტოქართველური მოსახლეობის რელიგიისა და მითოლოგიის გამდიდრებას და გამრავალფეროვნებას, ხოლო შემდეგ ამაზე დაფუძნდა ბერძნული რელიგია, მითოლოგია და აზროვნება...

მეცნიერთა აზრით, ნილოსის დელტაში პროტოქართველური ტომები ყოფილან ჩასახლებულნი, რაც გ. კვაშილავას ხსენებულ რუკაზეც ჩანს. შესაძლოა, მათაც ეთამაშოთ მნიშ-

1 იხ. ალ. წერეთელი, „ძველი საბერძნეთი“, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1966 წ., გვ. 36-37.

ვნელოვანი როლი ეგვიპტური რელიგიის ეგეიდელი პელასგების მიერ გაცნობის საქმეში, ანუ დასაშვებად მიმაჩნია, რომ ამ პროტოქართველურ ტომებს შუამავლის საქმე გაეკეთებინათ.

თუმცა, ნილოსის დელტაში ჩვენს შორეულ თანატომელთა ერთ დროს არსებობის ფაქტმა შეიძლება ერთი არასწორი დასკვნის გაბათილებასაც შეუწყოს ხელი. საქმე ის გახლავთ, რომ ჰეროდოტეს თავის „ისტორიაში“ აღწერილი აქვს ეგვიპტელი ფარაონის სესოსტრისის საარაკო ლაშქრობები, რომელსაც, თითქოს, იმ დროს ცნობილი სამყაროს ნახევარი დაეპყროს. ამას ქურუმები მიყვებოდნენო, წერს „ისტორიის მამა“ და შორს მიმავალ დასკვნას აკეთებს, კერძოდ, კოლხთა წარმომავლობის თაობაზე: „მან ეს გააკეთა და გადაიარა ხმელეთი, ვიდრე აზიიდან ევროპაში არ გადავიდა და დაიმორჩილა სკვითები და თრაკიელები. მე ვფიქრობ, რომ ის უშორესი ადგილი, სანამდეც მივიდა ეგვიპტელთა ლაშქარი, სწორედ აქ იყო, რადგან ამათ ქვეყანაში კიდევ ჩანს მათ მიერ დაყენებული სვეტები, ხოლო ამათზე უფრო შორს კი აღარ არის. აქედან შემობრუნდა და უკან წავიდა. შემდეგ კი მდინარე ფასისთან იყო. მე არ შემიძლია დაბეჯითებით იმის თქმა, რომ ამ ადგილას თვით მეფე სესოსტრისმა გამოჰყო თავისი ლაშქრის რაღაცა ნაწილი და დატოვა აქ, ამ ქვეყნის მცხოვრებად; ან კიდევ იმისი, რომ ზოგიერთი ჯარისკაცთაგანი, გადაღლილი ხეტიალით, დარჩა მდინარე ფასისთან.

მაგრამ ცხადია, რომ კოლხები ეგვიპტელები არიან. ამას მე თვითონ მივხვდი იმაზე უწინ, ვიდრე სხვათაგან მოვისმენდი და ისე ვიტყოდით და რადგანაც ამას ვფიქრობდი, შევეკითხე ორივეს; კოლხებს უკეთ ახსოვდათ ეგვიპტელები, ვიდრე ეგვიპტელებს კოლხები. ეგვიპტელები ამბობენ, რომ, მათი აზრით, სესოსტრისის ლაშქრიდან არიან კოლხები და მე თვითონაც ასე მეჩვენებოდა, რადგან კოლხები შავგვრემნები არიან და ხუჭუჭთმიანები (მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, რადგან სხვებიც არიან ასეთები), მაგრამ, ამასთანავე და უფრო მეტად ამას მოწმობს ის, რომ ყველა ხალხთაგან მხოლოდ კოლხები, ეგვიპტელები და ეთიოპელები არიან, რომლებიც თავიდანვე აწარმოებენ წინადაცვეთას. ხოლო ფინიკიელებმა და იმ სირიელებმა, რომლებიც პალესტინაში არიან, როგორც თვითონ ამბობენ, ეგვიპტელებისაგან, ხოლო სირიელები, რომლებიც მდინარე თერმოდონთან და პართენიოსთან ცხოვრობენ, და მაკრონები, რომლებიც მათი მეზობლები არიან, ამბობენ, რომ კოლხთაგან ისწავლეს ეს ახლახან. მხოლოდ ესენი არიან ის ადამიანები, რომლებიც წინადაცვეთას ახდენენ და ჩანს, რომ ესენიც ეგვიპტელების მსგავსად აკეთებენ ამას, ხოლო ეგვიპტელთა და ეთიოპელთა შესახებ არ შემიძლია ვთქვა, თუ რომელმა ისწავლა ამ ორს შორის მეორისაგან. რაღაცა ძალიან ძველი ჩანს ორივეგან. ხოლო იმის დიდ საბუთად, რომ ხალხმა ეს ეგვიპტელთაგან ისწავლა მათთან შერევის საფუძველზე, მეჩვენება შემდეგი: ის ფინიკიელები, რომლებიც ელადასთან ურთიერთობაში არიან, აღარ ბაძავენ ეგვიპტელებს იმ საქმეში, რაც სარცხვინელს ეხება და შვილების წინადაცვეთას აღარ ეწევიან“[1].

ჰეროდოტეს ჰიპოთეზა კოლხების ეგვიპტური წარმოშობის შესახებ ეფუძნება ლეგენდას ფარაონ სესოსტრისის ჩრდილოეთით ლაშქრობის შესახებ, რომელიც, სავარაუდოდ, ძვ.წ. XIII საუკუნეში უნდა მომხდარიყო, მაგრამ ეს ამბავი დაუჯერებელია იმის გამო, რომ ეგვიპტელთა ომების შესახებ არსებული ცნობებით ვიცით, მათი ლაშქარი ჩრდილოეთით ისე შორს არასოდეს წაწეულა, რომ კოლხეთამდე მიეღწიოს; აღარაფერს ვამბობ სკვითებისა და თრაკიელების დაპყრობაზე...

1 იხ.: ჰეროდოტე, „ისტორია“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1975 წ., ტ. I, გვ. 155-156.

ეგვიპტელთა ჩრდილოეთით დაწყებული ლაშქრობები სირია-პალესტინის დაპყრობისათვის ხეთებთან ბრძოლას შეეხება და ის იწყება ძვ.წ. XIV საუკუნეში, როცა ეგვიპტის ახალი სამეფო ძლიერდება. ოღონდ უშუალო სამხედრო კონფლიქტს ერთი ტრაგიკული ისტორია უძღოდა წინ: ამბობენ, ეგვიპტის ახალგაზრდა ფარაონი ტუტანჰამონი ქურუმებმა მოწამლესო. რა იყო ამის მიზეზი, უცნობია, მაგრამ მისმა ქვრივმა, ახალგაზრდა დედოფალმა ანჰესენამუნმა, რომელიც ამის შემდეგ ქვეშევრდომებს აღარ ენდობოდა, მათდამი თავისი ანტიპათია იმით გამოხატა, რომ ხეთების მეფეს სუფილულიუმას წერილი გაუგზავნა: „ქმარი ჩემი გარდაიცვალა, ვაჟიშვილი კი არა მყავს. შენზე ამბობენ, ბევრი ძე ჰყავსო. შენ რომ გამომიგზავნო ერთ-ერთი შენი ძეთაგანი, იგი ჩემი ქმარი გახდება. მე არაფრით არ ავიყვან ქმარს ქვეშევრდომთაგან..“.[1] ხეთების მეფისთვის ეს წინადადება მომგებიანი იყო, რადგან ეგვიპტესთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების საწინდარი იქნებოდა და ერთი თავისი შვილი მართლაც გაგზავნა ეგვიპტეში, მაგრამ უფლისწული გზაში მოკლეს ანტიხეთური პარტიის წარმომადგენელმა ეგვიპტელებმა. ამ არასასიამოვნო ინციდენტს არ შიძლება არ დაეძაბა ხეთებ-ეგვიპტელთა ურთიერთობა და ეგვიპტის მიერ სირია-პალესტინის დაპყრობის ცდას – რასაც თავისი მეფობის 20 წელი შესწირა ფარაონმა თუთმოს III-მ – მტრულად არ შეხვედროდნენ. ეს აშკარა გახდა, როცა ფარაონმა რამზეს II-მ ძვ.წ. 1312 წელს დაიწყო ომი სირიის საბოლოოდ დასაპყრობად, მაგრამ გადააწყდა ხეთების მეფის, მუვათალის, ძლიერ წინააღმდეგობას, რომელიც ასევე ექსპანსიონისტურ პოლიტიკას აწარმოებდა სირიის მიმართ. იმავე წელს ეგვიპტელები ქალაქ ქადეშთან ბრძოლაში დამარცხდნენ. ეგვიპტე-ხეთების ომი კიდევ 16 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და 1296 წელს დამთავრდა სირიის გაყოფით: ჩრდილოეთი სირია ხეთებს გადაეცათ, სამხრეთი კი – ეგვიპტელებს. ასე რომ, ეგვიპტელებმა ნამდვილად ვერ შეძლეს სირიას გასცდენოდნენ, არათუ ის, რომ შავი ზღვისთვის მიეღწიათ.

საინტერესოა, რომ საკუთარი ჰიპოთეზის უარყოფას არაპირდაპირ თავად ჰეროდოტეც ახდენს, როცა ზემოხსენებული ფარაონის მიერ ქვეყნების დაპყრობის აღმნიშვნელი სვეტების აღმართვის თაობაზე ლაპარაკობს: „მეტი წილი სვეტებისა, რომლებიც დააყენა სხვადასხვა ქვეყნებში ეგვიპტის მეფემ სესოსტრისმა, აღარ ჩანს, ხოლო პალესტინის სირიაში ჩემი თვალით ვნახე ისინი, წარწერაც ისეთი ჰქონდა, როგორც ვთქვი და ზედ ქალის სარცხვინელიც იყო გამოსახული“[2].

არაპირდაპირი უარყოფა იმაში მდგომარეობს, რომ ჭეშმარიტების დასადგენად საკმარისია ამ ნათქვამის ლოგიკური გააზრება: ეგიპტელთა დაპყრობათა აღმნიშვნელი სვეტები იქ შემორჩა, სადაც მათ ილაშქრეს და გამარჯვების ნიშნად სვეტები აღმართეს, ანუ „პალესტინის სირიაში“. ხოლო იქ, სადაც არ ულაშქრიათ, არც სვეტები დაუდგამთ, ამიტომ სრულიად ფუჭი საქმე იქნება თრაკიაში, სკვითეთსა და კოლხეთში ამ სვეტების ძებნა.

მივუბრუნდეთ ნილოსის დელტაში ჩასახლებულ პროტოქართველებს. მე არ ვიცი, ისინი იქ როდის მოხვდნენ, დიდი პასიონარული ბიძგის დროს დაწყებული პროტოქართველური ტომების განსახლებისას თუ სანტორინ-სტრონგილეს ამფრქვევის შემდეგ კრეტიდან გადმოხვეწილი პელასგები იყვნენ, რომელთაც ბუნებრივი კატაკლიზმების გამო კუნძულის

1 იხ.: გ. გიორგაძე, „ათასი ღვთაების ქვეყანა“, თბილისი, 1988 წ., გვ. 68.

2 იხ.: ჰეროდოტე, „ისტორია“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1975 წ., ტ. I, გვ. 156.

მიტოვება მოუხდათ. ძნელი სათქმელია, რამდენ ხანს დარჩნენ იქ პროტოქართველები. ცხადია, მათი ნაწილი დროთა განმავლობაში ეგვიპტელებთან ასიმილირებული იქნებოდა, სხვა ნაწილი კი დატოვებდა ეგვიპტეს. მე გამოვთქვამ ვარაუდს, რომ ამათგან მცირე ჯგუფი მაინც მოაღწევდა კოლხეთამდე და მოიტანდა ნილოსის ნაპირებთან შეთვისებულ ეგვიპტურ კულტურას. როგორც ჩანს, ჰეროდოტე ამათ შთამომავლებს გადააწყდა ფაზისის ნაპირებზე. ამ „ეგვიპტელ კოლხებს“ ძვ.წ. V საუკუნეში ჯერ კიდევ შენარჩუნებული უნდა ჰქონოდათ ეგვიპტური ტრადიციები და ცხოვრების წესი, რაკი „ისტორიის მამას“ ისინი ეგვიპტელ ჯარისკაცთა შთამომავლები ეგონა.

ვფიქრობ, ჰეროდოტეს ჰიპოთეზა ეფუძნება არა ეგვიპტელებისა და კოლხების ეთნიკური კონტაქტის, არამედ „კულტურათა დიალოგის“ შედეგს.

მაგრამ მივუბრუნდეთ კრეტა-მიკენის, ანუ ატლანტისის, კლასიკურ კულტურას. რადგან ისიც, რაზეც ახლა ვსაუბრობდით, ატლანტური კულტურაა (პროტოქართველები და მათი „კულტურათა დიალოგი“ ეგვიპტელებთან ნილოსის დელტასა და ფასისის ნაპირებთან), ოღონდ „პერიფერიული“.

ცნობილი მეცნიერის, რ. ლიხტენბერგის, წიგნში „წინაისტორიული საბერძნეთი“, არის ერთი თავი, რომელსც „სულიერი კულტურა“ ეწოდება და მასში კრეტელთა რელიგიური და მითოლოგიური პერსონაჟების გამოსახვის ფორმებზეა ლაპარაკი:

„ეგეოსური კულტურის სფეროში უძველეს რელიგიურ ძეგლებს წარმოადგენს შიშველი ქალღმერთის გამსახულება, ... რომელშიაც ხაზგასმულია დედობრიობის იდეა... ფრიად მრავალფეროვანია ეგეოსური კერპების გამოსახულებები. ეს ქვის პატარა ფირფიტებია, რომლებზეც ადამიანის გამოსახულება ხშირად ერთობ მიახლოებითია. მას აქვს ვიოლინოს მსგავსი ფორმა, სადაც მხოლოდ მოხაზულია ადამიანის სახის ნაკვთები, სადაც არასოდეს არ არის აღნიშნული პირი. აღნიშნულია მძივი... კრეტასა და მიკენის ბეჭდებსა და სხვადასხვა ქვებზე ხშირადაა გამოსახული ხეთა კულტის სცენები, არცთუ იშვიათად გამოსახულია მამაკაცი, რომელიც მუხლმოყრილის პოზას მოგვაგონებს, – მას ჩაუჭიდია ხისთვის ხელი და თავისკენ გადაუხრია. ამასთან, იქ არის ერთი ან ორი ქალი, ერთი მათგანი ცეკვავს, მეორე კი საკურთხეველზეა დახრილი, ამ ქალის ზემოთ მცენარეებია გამოსახული... ქვებზე ხშირად ვხვდებით ყოველგვარი სახის დემონების გამოსახულებებს, მათი აღრეული ფორმები შედგება ადამიანისა და ცხოველთა ფიგურებისაგან. არაიშვიათად გამოსახავენ ნახევრად კაცისა და ნახევრად ხარის ფიგურასაც. აქ აშკარად საქმე გვაქვს მინოტავრთან, რომელიც კარგადაა ცნობილი თეზევსთან დაკავშირებული მითებითა და გადმოცემებით... ჩვენ ყურადღებას კიდევ მივაქცევთ ხარის მნიშვნელობას... ასეთი დემონების სხეულის ნაწილების შეხამება, მათი მითოლოგიური მნიშვნელობიდან გამომდინარე, დღემდე რჩება გაურკვეველი. ჩვენ ვხედავთ ჩაცუცქულ ფიგურას ხარის თავით და გრძელი კუდით. მის მარცხენა ხელის მტევანს აქვს ტოტის შეხედულებაც, წინიდან კი მას დაკიდული აქვს ქალის მკერდი, გასაოცრად გრძელი... ერთ-ერთ საბეჭდავზე გამოსახულია მცენარე და რძიანი მკერდი – ეს ამკვიდრებს კავშირს ადამიან-ხარსა და მცენარეთა სამეფოს შორის... „ამას გარდა, თიხის საბეჭდავებზე გვხვდება სათითაოდ გამოსახული ხარის თავის ქალები, ან ფრთოსანი, ან ისეთი რქები, რომლებიც მთავრდება სხვა ცხოველების თავებით... სხვა შერეული შეხამება შედგება ფრთიანი მამაკაცის ფიგურებისაგან ცხვრისა თუ ფრინველის თავით. ბევრი მსგავსი საბეჭდავი ხარის თავით იქნა ნაპოვნი კატო ზარკოს მახლობლად კრეტაზე... ხშირად გემაზე (ნახატში) მხრებით ეზიდებიან მოკლულ ცხოველებს, ხარებს ან

ირმებს. სხვა გემაზე დემონი გამოხატულია მშვიდად მდგარი ხარის უკან, რომელსაც რქაზე ექაჩება... ცნობილია ვერცხლის ხარის თავი მიკენიდან, მოოქროვილი რქებით, რომელიც ერთ დროს წარმოადგენდა სკიპტრისა თუ ღირსების აღმნიშვნელი სხვა ნიშნის ნაწილს, რქებს შორის ნახვრეტი აქვს... ...ორმაგი ცული ხარის თავის ქალებზე, სავარაუდოდ, მიუთითებს მამაკაცის სქესის მქონე ღვთაებაზე. ასეთ შემთხვევაში მოგვიხდება, ხარი გავიაზროთ არა მისი ასტრალური მნიშვნელობით, არამედ მამაკაცური სიმბოლოს როლში, მწარმოებლურ ძალად... უძველეს დროს კულტის მსახურებისას დიდი როლი ენიჭებოდა მუსიკასა და ცეკვას... ...ჩვენ მიერ განხილული თასების სურათებს გაიაზრებდნენ, როგორც ხარებზე ნადირობის გამოსახულებას. ვფიქრობ (ერთ-ერთ გამოსახულებაზე. პ.ი.), მამაკაცი მისდევს ცხოველს... მამაკაცს მაგრად ჩაუვლია ხელი ხარისთვის, რომელიც მოცემულ ვითარებაში მშვიდად დგას, მაშინ, როცა სხვა კაცი ცხოველის ზურგს ზედ ევლება... ...ასეა დანარჩენ საგნებზეც: ხარს მოუკეცავს ფეხები, წყნარად წევს მიწაზე, მაშინ, როცა კაცს ჩაუვლია მისთვის რქებში ხელი და უნდა ზედ გადაახტეს. ეს სრულიად ნათლად მიუთითებს, რომ ამ გამოსახულებაში უნდა დავინახოთ მიჩვეული და, ალბათ, სპეციალურად გაწვრნილი ხარები, რომლებზედაც ახორციელებდნენ ტანმოვარჯიშენი სავარჯიშოებს... ჩასწვდე ამ სურათების ჭეშმარიტ აზრს, არც ისე ძნელია, რადგან ბევრი მითი მოგვითხრობს გმირების შესახებ... შენობას წარმოადგენს კრეტის ლაბირინთი, რომელშიც თეზევსმა დაამარცხა მინოტავრი, ხარისთავიანი ურჩხული... კულტის მსახურებისას დაიწყეს მითების მიხედვით წარმოდგენების მოწყობა. მითებს გაითამაშებდნენ ხალხური სიმბოლოებით; ხოლო როცა მზის წელიწადის კალენდარული აღრიცხვა შემოიღეს, ამ სიმბოლური წარმოდგენების შესრულება დაიწყეს წლის დასაწყისის საზეიმო დღესასწაულზე. უმთავრესი მომენტი ამ წარმოდგენებისა იყო ადამიანის გამარჯვება ხარის მაგვარ ურჩხულზე და გმირის თანმხლებთა საფერხულო ცეკვა, რომელიც თითქოს ასახავდა ლაბირინთის მიხვეულ-მოხვეულ გასასვლელებში მოძრაობას... „არსებობს კიდევ უფრო ძველი მხატვრული გამოსახულებები. ეს, უპირველეს ყოვლისა, გაწვრთნილ ხარებთან ბრძოლის ეგეოსური სურათია და მეორე, ფერხულის გამოსახულება, რომლის თაობაზეც მოგვითხრობენ მითები“[1].

მაშ ასე, რ. ლიხტენბერგი მიმოიხილავს კრეტის რელიგიასა და კულტურას. მან კუნძულის თითქმის მთელი რელიგიური ცხოვრების გზას გაადევნა თვალი. გვესაუბრა უძველესი დროის ქალღმერთებისა და მცენარეთა გაღმერთების შესახებ, რისი სურათებიც კრეტის სახვითმა ხელოვნებამ შემოგვინახა. ამას შემდეგ ხარის კულტის ამსახველი გამოსახულებები მოჰყვება, ამასთან, მეტად დიდი რაოდენობით, რაც ამ კულტის მნიშვნელობაზე მიუთითებს. მივუბრუნდეთ ქალღმერთებს: ეს უდავოდ რეას გამოსახულებებია, რომელმაც შვა ზევსი კრეტაზე. ამბობენ, რომ აზიაში წარმოშობილი დიდი დედის, კიბელას კულტი კრეტაზე რეას კულტს შეერწყა, მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, რეას კულტი კრეტაზე უძველესი ჩანს. გავიხსენოთ კნოსოსის სასახლეში ნაპოვნი სპილოს ძვლისა და ოქროს ქანდაკება ქალღმერთი გველებით. ის ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებისაა და საბუთია იმისა, რომ ქალღმერთის კულტი კრეტის პანთეონის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. საყურადღებო ფაქტია: რეას თაყვანს სცემდნენ არა მხოლოდ კრეტელი პროტოქართველები, არამედ მათი საქართველოში, კერძოდ, კოლხეთში დარჩენილი თანამოძმენი. ამის შესახებ წერს რომაელი სახელმწიფო მოღვაწე და მწერალი ფლავიუს არიანე: „ფასისში რომ შედიხარ, მარცხნივ აღმართულია ფასისელი ქალღმერთის ქანდაკება. გარეგნობის მიხედვით

1 იხ.: Лихтенбенг Р. Фон, «Доисторическая Греция», Петербург, 1913 г., გვ. 103-140.

ის ჰგავს რეას, რადგან ხელში წინწილა უჭირავს, მისი სავარძლის წინ წვანან ლომები და თვით ის ისევე ზის, როგორც ფიდიასის ქანდაკება ათენის მეტროონში“[1].

არიანე არ გვამცნობს იმას, თუ როდიდან იდგა რეას ქანდაკება ფასისის შესასვლელში. თავისი თხზულება, „მოგზაურობა შავი ზღვის გასწვრივ“, ანუ სხვაგვარად „პერიპლუსი“ არიანემ დაწერა ახ.წ. 130/131 წლებში, მაგრამ სრულიად ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ რეას ანუ დიდი დედის, ზოგადად ნაყოფიერების ქალღმერთის, კულტი პროტოქართველურ ტომებში სულ ცოტა მატრიარქატის დროს უნდა ჩასახულიყო, თუ უფრო ადრე არა.

როგორც ვნახეთ, კრეტაზე ბევრია ზემოხსენებული კულტის ამსახველი გამოსახულებანი. „კრეტის სარწმუნოებას ემჩნევა ხის კულტიც – დენდროლატრია“[2]. ხის კულტი, როგორც ჩანს, პროტოქართველური ტომებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. გავიხსენოთ თრიალეთში, ყორღანის გათხრისას ნაპოვნი მთლიანი ვერცხლისგან გამოჭედილი ცილინდრული თასი ორი ჭედური ფრიზით. ქვედაზე გამოსახულია ერთიმეორის წინ მიმავალი ხვადი და ფური ირმები, ზემო რიგში კი – ღვთაებათა 23 ანთრომორფული გამოსახულება, ორი ძაღლი, კიდევ რამდენიმე საგანი და სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხე. ეს საკულტო ხის ერთ-ერთი უძველესი გამოსახულებაა და ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებს მიეკუთვნება.

კრეტაზე უხვად ნაპოვნ ხარისა და აკრობატების გამოსახულებებს ასევე ეძებნება პარალელი ქართულ სპორტულ შეჯიბრებებთან. როგორც ჩანს, თავიდან ხართან ბრძოლა მიწათმოქმედების ღვთაებისადმი მიძღვნილი საკულტო რიტუალი იყო კრეტაზე. დროთა განმავლობაში რიტუალმა თავდაპირველი რელიგიური ხასიათი დაკარგა და მინოსური კრეტის მაღალგანვითარებული კულტურის პირობებში მოიპოვა დანიშნულება საცირკო წარმოდგენის, – ერთგვარი მძაფრი შეგრძნებების მომგვრელი სანახაობისა, როდესაც კარგად ნავარჯიშები აკრობატები გააფთრებულ და გაქანებულ ხარს რქებში ხელს ჩაავლებდნენ და ზედ გადაევლებოდნენ. ალბათ თავიდან ხარი ველური იყო, მაგრამ, სავარაუდოა, რომ, რამდენადაც ხართან შერკინებამ უფრო თეატრალური ხასიათი მიიღო, ასპარეზობაში მონაწილე ხარები სათანადოდ გაწვრთნილნი იქნებოდნენ. ხართან აკრობატების ვარჯიშობანი იმდენად პოპულარული კრეტული სანახაობა იყო და ამასთან თუ მისი წარმოშობის საკულტო საწყისებსაც გავითვალისწინებთ, არ უნდა გაგვიკვირდეს არც ხართან ვარჯიშის გამოსახულებათა სიმრავლე და არც ის, რომ ამ მოქმედების ამსახავი ფრესკა კნოსოსის სასახლეშია გამოსახული.

ხართან შებრძოლების საკულტო რიტუალი საქართველოში, კერძოდ, კოლხეთში, ხალხურ სპორტულ სანახაობად, კურულად, გადაიქცა. ამ ტრადიციის შესახებ ცნობილი ქართველი ეთნოგრაფი, აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია წერდა:

„სამიწათმოქმედო კულტურის განვითარების უძველეს საფეხურზე მიუთითებს მასალები ხარის შესახებაც. ქართულ ხალხურ პოეზიაში ხარი წარმოდგენილია მიწათმოქმედების ფუძემდებლად. ძველი კოლხები მამაკაცს მაღლა ხეზე გადმოკიდებულ ხარის ტყავში მარხავდნენ; სვანები წმინდა ბუღა – ვისხვებს მიაწერდნენ ღვთაებრივ გამანაყოფიერებელ ძალას. ვისხვის კულტთან დაკავშირებული იყო რიგი აკრძალვებისა. არ შეიძლებოდა მისი ცუდი სიტყვით მოხსენიება, მისი თავისუფლების შეზღუდვა. მას არ

1 იხ.: „ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ“, V, ფლავიუს არიანე, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1983 წ., გვ. 157.

2 იხ.: ალ. წერეთელი, „ძველი საბერძნეთი“, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1966 წ., გვ. 49.

კოდავდნენ და უღელში არ აბამდნენ. თავისუფლად გაშვებული ვისხვა-ბუღა ველურდებოდა. ამასთანავე საზოგადოება, სადაც იყო ვისხვა, თავს ავი სულებისგან დაცულად თვლიდა. ამასთანავე ვარაუდობდნენ, რომ ვისხვა ცხოველთა გამრავლების, წველადობისა და ყოველგვარი დოვლათის გადიდებას უწყობდა ხელს. სვანებთან ადგილი ჰქონდა აგრეთვე წმინდა ხართან ბრძოლასაც.

უაღრესად ფასოვანია ის მასალები, რომლებიც ბუღებთან შეჯიბრებას გამოხატავს. სამეგრელოში ძველად გავრცელებული იყო ეს ჩვეულება კურულის სახელწოდებით.

კურული წარმოადგენდა ხალხური სპორტის ერთ-ერთ სახეს, რომელიც კვირა დღეს იმართებოდა სოფლის მახლობლად – მოედანზე. სპეციალურად მომზადებულ და გაწვრთნილ ბუღას აბამდნენ მოედნის ცენტრში დასმულ პალოზე და ორი კაცი იწყებდა მის გამოჯავრებას. ამასთანავე, სასტიკად იცავდნენ ბუღასთან მოქცევის წესებს: მას მხოლოდ სხეულის გარკვეულ ნაწილებში წვდებოდნენ – რქებსა, ყურებსა, ბეჭებსა და ზურგში. უკიდურესობამდე გაღიზიანებულ ბუღას აუშვებდენენ და ერთ-ერთი მებრძოლთაგანი შეებრძოლებოდა მას. გააფთრებულ ბუღას შემოტევათა მოგერიებასთან ერთად, მას უნდა შეებოჭა და წაექცია იგი მიწაზე. იმავე საღამოს ბუღასთან შეჭიდების ადგილზე იმართებოდა შეჯიბრება ჭიდაობაში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სპორტული სანახაობა „კურული“ – ბუღასთან შეჯიბრება – უნდა ასახავდეს ხარის მოთვინიერებას, იმ ბრძოლის მსგავსად, რომელსაც შუმერების გმირები გილგამეში და ენკიდუ გარეულ ხართან აწარმოებდნენ – კურული ასახავს ხარის წინააღმდეგ ადამიანის იმ თავდადებულ ბრძოლას, რომელიც წინ უსწრებდა მის მოშინაურებას.

ეს მატრიარქატიდან პატრიარქატში გარდამავლი პერიოდია, როცა კოლხეთში თოხის მიწათმოქმედება სპილენძ-ბრინჯაოს ხანაში თავისი განვითარების უმაღლეს ფაზაში შედის“[1].

ამრიგად, უძველესი სამონადირეო რიტუალი ჯერ პროტოქართველურ ტომთა რწმენა-წარმოდგენების ნაწილი გახდა, შემდეგ კი სპორტული სანახაობა, რაც კრეტის მინოსურ სახელმწიფოში თეატრალიზებულ, სპორტულ სანახაობად იქცა ძვ.წ. II ათასწლეულში. საქართველოში კი ის ხალხურ-სპორტულ სანახაობდ დარჩა და თითქმის XXI საუკუნემდე მოაღწია.

კრეტის მინოსური სახელმწიფოს კულტურის ხასიათსა და მასშტაბებზე ყველაზე სრულ წარმოდგენას კნოსოსის დიდი სამეფო სასახლე ქმნის. ეს გახლავთ 20.000 კვადრატულ მეტრზე გადაჭიმული 2 და 3-სართულიანი ნაგებობებისაგან შექმნილი სისტემა, რომლის ცენტრში 60 მეტრი სიგრძისა და 29 მეტრი სიგანის შიდა ეზო იყო; ის სინათლეს აწვდიდა რიგ სათავსოებს, ამავე დროს, აკავშირებდა კიდეც ერთმანეთთან სასახლის დარბაზებს, ოთახებს და დერეფნებს. ეს გრანდიოზული ნაგებობა თავისი უამრავი გასასვლელით ნამდვილად ჰგავს ლაბირინთს და საფიქრებელია, რომ მითს მინოტავრის პირქუში სამყოფელის შესახებ სწორედ კრეტის მეფეთა ამ შენობამ დაუდო საფუძველი. თუმცა თავად სასახლე, ფრესკებით მორთული ოთახებით, მეტისმეტად საზეიმოდ გამოიყურებოდა. დიდი სასახლეები კრეტელთა თვითგამოხატვის მნიშვნელოვანი ძეგლია, ისეთივე, როგორიც ეგვიპტელთათვის პირამიდები იყო. ამიტომ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ არ-

1 იხ.: გ. ჩიტაია, „თოხის კულტურა დასავლეთ საქართველოში (კოლხეთში)“, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვეთი II, თბ., 1959, გვ. 159-160.

ქეოლოგები კრეტაზე სასახლეთა მშენებლობაში სამ ეტაპს გამოჰყოფენ და ეს პროცესი 700 წელი გაგრძელდა. პირველი პერიოდია ძვ.წ. 1900-1700 წლები, მეორე – ძვ.წ. 1700-1400 წლები, მესამე კი ძვ.წ. 1400-1150 წლებია. ეს ინტენსიური მშენებლობა და ნაგებობათა მონუმენტური, საზეიმო ხასიათი ვერ შეცვალა სანტორინ-სტრონგილეს ვულკანის გამანადგურებელმა ამოფრქვევამაც, რომელმაც საბოლოო ჯამში ხელი შეუწყო მინოსური სახელმწიფოს დაცემას და კრეტელ პროტოქართველთა ეთნიკურ კატასტროფას.

კნოსოსის სასახლეში არის ფრესკა: თავზე შროშანების გვირგვინიან მეფე-ქურუმს სფინქსი მოჰყავს. ეს გამოსახულება გვარკვევს სასახლის მრავალგვარ ფუნქციაში: ის იყო კრეტის მინოსური სამეფოს რელიგიური, პოლიტიკური და კულტურული ცენტრი. აქედან მართავდა მეფე-ქურუმი დიდ საზღვაო იმპერიას, რომელიც იმდენად ძლიერი იყო, რომ კრეტელებს თავიანთი კუნძულის დასაცავად ციხე-სიმაგრეების აგება არ დასჭირვებიათ. აქ რელიგიური რიტუალების შესრულებისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ მეფე-ქურუმი და მისი გარემოცვა თეატრალურ და თეატრალიზებულ სპორტულ წარმოდგენებს უყურებდნენ, როგორიც იყო, მაგალითად, აკრობატების შერკინება ხართან. საფიქრებელია, რომ კრეტელთა რელიგიური რიტუალები ასევე გვარიანად თეატრალიზებული იყო. მინოსურ კრეტაზე თეატრის შენობა მაფიქრებინებს, რომ თეატრი აქ გაჩნდა, – ისევე, როგორც მათი რელიგია, – „კულტურათა დიალოგის“ წყალობით, კერძოდ, ეგვიპტელთა მისტერიებისა და კრეტელი პელასგების ხალხურ სახეობათა სინთეზის შედეგად, რაც, თავის მხრივ, საფუძვლად დაედო კლასიკური ხანის ბერძნულ თეატრს!..

კნოსოსის სასახლის ფრესკები ზედმიწევნით ზუსტად გადმოგვცემენ კრეტელთა ცხოვრების წესს, სულიერ განწყობას, მათ მიერ მშვენიერების აღქმის თავისებურებას: აქ ადამიანებს, ფრინველებს, ცხოველებს, მცენარეებს, რიტუალურ და ყოფით სცენებს ხატავდნენ ისე, რომ მათგან ოპტიმისტური განწყობა გამოსჭვიოდა და, ცხადია, ამისი მიზანი ამ ნახატების მაყურებელთათვის ასევე ოპტიმისტური განწყობის შექმნა-შენარჩუნება იყო. ფრესკების ხილვისას ნათლად შეიგრძნობ, რომ მინოსური საზოგადოება ცხოვრებით ტკბობაზე იყო ორიენტირებული; აშკარაა, კრეტულ ხელოვნებაში იყო მისწრაფება ადამიანისა და ადამიანური გრძნობების რეაბილიტაციისა, აგრეთვე სურვილი, ფრესკაზე ასახული ქალისა თუ კაცის ინდივიდუალური თვისებები, პირველ რიგში კი, ხასიათი და განწყობა გადმოეცათ. დავაკვირდეთ ჩვენამდე მოღწეულ ფრესკულ გამოსახულებებს, თუნდაც უკე ხსენებულ მეფე-ქურუმს: ის მოცემულია მისტიკური რიტუალის შესრულებისას, მაგრამ ერთი შეხედვაც საკმარისია, რომ დარწმუნდე – პერსონაჟის მიმიკა, ჟესტიკულაცია, პოზა (რომელშიც ეგვიპტური ტრადიციის გავლენა შეინიშნება) გადმოგვცემს მეფე-ქურუმის სურვილს, ეს საზეიმო რიტუალური სვლა თავისი პიროვნული სიდიადის წარმოსაჩენად გამოიყენოს... ან კიდევ, თვალი შევავლოთ ე.წ. „ცისფერ ქალბატონებს“, ცისფერ ფონზე რომ არიან გამოსახულნი. ისინი ვარცხნილობით, ტანსაცმლის დიზაინითა და სახითაც კი თითქოს ერთმანეთს ჰგვანან, პოზებიც მსგავსი აქვთ. ჩანს, რაღაც მეტად საინტერესო სანახაობას უყურებენ და აღფრთოვანებულნი ტაშს უკრავენ. მაგრამ თუ დავაკვირდებით ამ თითქოს მსგავს ფიგურებს, ასევე თითქოს მსგავს სახეებს, დავინახავთ, რომ, ჯერ ერთი, პროფილში მოცემული მათი სახეები სწორედ პროფილის მოხაზულობით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და მეორეც, სანახაობით გამოწვეული აღფრთოვანება ყველას სახეზე თავისებურად აისახება. ყურადღებას იქცევს ფრესკა, რომელზეც გამოსახულია კაცი თევზებით. არ ვიცი, ის მეთევზეა, ამაყად რომ დასცქერის თავისი შრომის შედეგს, თუ თევზით მოვაჭრე, მოსალოდნელმა მოგებამ რომ გააამაყა; და ბოლოს, ნამდვილი შედევრი, ე.წ. „პარიზელი ქალი“. აღფრთოვანებას იწვევს სავარაუდოდ პატარა ტანის, დიდმკერდიანი ქალის ამბიციური და ნერვული ხასიათის გამომხატველი პროფილი, რომელიც თანამედროვედ და ნაცნობ მოვლენად გამოიყურება... საერთოდ, კრეტაზე ქალი, ფრესკებიდან და ქანდაკებებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ერთობ ემანსიპირებულად გამოიყურება, რაც იქ დამკვიდრებული ცხოვრების წესის ხელოვნებით გამოვლენისას ხდება ჩვენთვის საცნაური...

მინოსური სახელმწიფო რომ კუნძულზე მდებარეობდა და ზღვასთან იყო დაკავშირებული, ეს კნოსოსის ფრესკებიდან კარგად ჩანს. მაგალითად შეიძლება მოვიხმოთ „ცისფერი დელფინების“ ოთახში გამოხატული ფრესკა, რომელზეც თევზებთან ერთად ზღვაში მოცურვე დელფინებია გამოსახული; მაგრამ ყველაზე მძაფრად კრეტელთა ზღვასთან კავშირი მეთუნეობის ნაწარმზე აისახა. ნაპოვნია უამრავი ჭურჭელია, რომლებზეც თევზები, ბადე, რვაფეხები, ნიჟარები და ზღვის მცენარეებია დახატული. ასეთებს, პოვნის ადგილიდან გამომდინარე, კამარესის სტილის ვაზებს უწოდებენ. ზღვის თემის გარდა, ლარნაკებზე ხშირია მცენარეთა გამოსახულება (ისევე, როგორც ბევრია მცენარეთა ამსახავი ფრესკები კნოსოსის სასახლეში), არის სხვა ფორმით და მასალთ დამზადებული ჭურჭელი. აღსანიშნავია ჭურჭელი ორმაგი ცულების გამოსახულებით. ორმაგი ცული ძალაუფლების სიმბოლო იყო კრეტაზე; კნოსოსის სასახლეში „ორმაგი ცულების“ დარბაზიც იყო.

როცა უყურებ მინოსური კრეტის კულტურულ მემკვიდრეობას, ფრესკებს, ვაზებს, ქანდაკებებს, საყოფაცხოვრებო და რიტუალური დანიშნულების ნაწარმს, მათი შესრულების მაღალ ხარისხს, უაღრესად დახვეწილსა და მდიდრულ სტილს, აცნობიერებ მინოსელთა მაღალ ყოფით კულტურას, – მათ ხომ ძვ.წ. II ათასწლეულში აბაზანა და კანალიზაციის სისტემები ჰქონდათ. ამას გარდა, გამოირჩეოდნენ სამყაროს ხედვის ფართო დიაპაზონით, საკუთარ თავში არ იყვნენ ჩაკეტილნი. თუ ხატავდნენ კრეტული ცხოვრების სცენებს, ასევე ხატავდნენ, მაგალითად, აფრიკული ყოფის სურათებსაც, რადგან მჭიდრო კავშირი ჰქონდათ იქაურ ქვეყნებთან. როცა უყურებ ფრესკებზე გამოსახულ საცირკო და სპორტულ სანახაობებს, ნახულობ მსოფლიოში უძველესი თეატრის შენობას, რწმუნდები, რომ კაცობრიობა კრეტელ პელასგებს უნდა უმადლოდეს თეატრის, ცირკისა და სპორტული ასპარეზობების ჩამოყალიბებას... მინოსური კრეტის ყოფა შემოქმედებითად დატვირთული, სანახაობრივად მრავალფეროვანი და მდიდრული იყო. ამან წარმოშვა არსებული ზოგიერთი არასწორი შეხედულება მათ შესახებ. კერამი წერდა: „ევანსმა აქ ნამდვილი საოცრებანი ნახა. აქ უცხოვრია ხალხს (შლიმანმა მხოლოდ მისი კოლონიების ნაშთებს მიაკვლია), რომელზედაც მანამდე არაფერი არ იცოდნენ, თუ არ ჩავთვლით იმას, რასაც ლეგენდები გადმოგვცემენ. ეს ხალხი, ჩანს, სიმდიდრესა და ავხორცობაში იხრჩობოდა. ეტყობა, თავისი განვითარების მწვერვალზე მას იმ სიბარიტული „დეკადანსისთვის“ მიუღწევია, რომელიც თავის თავში შეიცავდა კულტურის მომავალ დაცემასა და რეგრესს. ასეთი გადაგვარება შეეძლო გამოეწვია მხოლოდ ეკონომიკური განვითარების უმაღლეს დონეს“[1].

საკამათო მოსაზრებაა, რადგან კრეტის მინოსურ კულტურას არაფერი ეტყობა „დეკადანსისა“. თავად განსაჯეთ: მართალია, სანტორინ-სტრონგილეს ამოფრქვევა საბოლოო ჯამში კრეტის მინოსური სახელმწიფოს დაცემის მიზეზი გახდა, მაგრამ კატასტროფის

1 იხ.: კ. კერამი, „ღმერთები, აკლდამები და მეცნიერები“, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1972 წ., გვ. 79-80.

შემდეგ კრეტელებმა შეძლეს ქვეყნის აღდგენა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ მათ კიდევ ჰქონდათ სათანადო პასიონარული ენერგია. მოგვიანებით, აქაველთა შემოტევის შემდეგ, მათ დიდ ნაწილს კუნძულის დატოვება მოუხდა, პალესტინაში გადასახლდნენ და გახდნენ „ფილისტიმელები“, რომელთაც ისტორიული ტრადიცია განიხილავს, როგორც კრეტიდან, ეგვიპტური წყაროების „ქაფთორიდან“ გამოსულებს“[1].

ახალ ქვეყანაში დამკვიდრებას და მერე ბრძოლას ებრაელებთან, ცხადია, ასევე სჭირდებოდა პასიონარული ენერგია.

აქაველთა შემოტევამ კონტინენტზე და კუნძულებზე მცხოვრები პელასგები აიძულა, ჯერ მცირე აზიის ნახევარკუნძულზე გადასახლებულიყვნენ და მერე აქედან აპენინის ნახევარკუნძულზე, ეტრურიაში. ასე რომ, ეგეოსის ზღვის კუნძულებზე და მის სანაპიროებზე მცხოვრებ პროტოქართველურ ტომებს ნამდვილად არ ემუქრებოდათ ეროვნული ენერგიის ამოწურვის წყალობით გამოწვეული უილაჯობა. ისინი ბუნებრივი კატაკლიზმებისა და ბერძენთა ეთნიკური ექსპანსიის მსხვერპლნი გახდნენ.

მათი კულტურა, როგორც მოგახსენეთ, გასაოცრად ოპტიმისტური ჟღერადობისა იყო, რაც ამ ხალხის ხასიათიდან მომდინარეობდა და რის შესახებაც მეტად საყურადღებო მოსაზრება აქვს პროფესორ რისმაგ გორდეზიანს.:

„პირველი, რაც ადამიანს მინოსური ხელოვნების გაცნობისას მოიცავს, ესაა მისი საოცრად ახალგაზრდული სული და, მართლაც, თითქოს საგანგებოდ, თითქმის ყველგან, სადაც კი გამოსახულია ადამიანი, წარმოდგენილია ახალგაზრდა; სადაც კი გამოსახულია ბუნების სურათები, წარმოდგენილია მცენარეთა ყვავილობის პერიოდი. ხანდაზმულობა, მიძინება, ჭკნობა, როგორც ჩანს, არ იზიდავდა კრეტელ მხატვრებს. უთუოდ იპყრობს ყურადღებას კრეტული ხელოვნების თემატიკის ე.წ. იმპრესიონისტული ხასიათი. მინოსური ეპოქის მხატვარს, ძველი აღმოსავლეთის ხელოვანთაგან განსხვავებით, აინტერესებს არა იმდენად ისტორიული მოვლენის, რომელიღაც ისტორიული თუ მითოლოგიური პირის უკვდავყოფა, რამდენადაც ერთი შთაბეჭდილებით მიღებულ განცდათა ხაზისა და ფერების საშუალებით გადმოტანა. სწორედ ამიტომ ესოდენ მოჭარბებულია კრეტულ ხელოვნებაში მცენარეული და ცხოველური სამყარო, ადამიანი კი, მეტწილად, წარმოდგენილია ბუნების ფონზე ან რაღაც ყოველდღიურ ცხოვრებისეულ ეპიზოდებთან დაკავშირებით. ძველი აღმოსავლეთის ხელოვნებისაგან მინოსურს უთუოდ განასხვავებს მუდმივი განახლებისაკენ, ცვალებადობისაკენ სწრაფვა. თუმცა, ამასთანავე მას მრავალი ძაფი აკავშირებს ეგვიპტურსა თუ წინააზიურ მხატვრულ კულტურასთან. არსებითი ისაა, რომ მინოსელი მხატვარი ბევრად უფრო გაბედულია მხატვრულ კანონთა დარღვევის საქმეში“[2].

ამ შეფასებაში ზედმიწევნით ზუსტად არის მოცემული მინოსური ხელოვნების ძველი აღმოსავლურისაგან განსხვავებულობის საფუძველი, „მუდმივი განახლებისადმი, ცვალებადობისაკენ სწრაფვა“. ეს იმ კულტურისათვის არის დამახასიათებელი, სადაც, როგორც უკვე მოგახსენეთ, ადამიანური გრძნობები რელიგიური დოგმებით კი არ არის შებოჭილი, ის გარემომცველ რეალობას, პირველ რიგში კი ადამიანსა და ბუნებას ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებული, უცვლელი ხედვის კუთხით კი არ უყურებს, არამედ მის მიერ სამყაროს აღქმა დინამიური; აქ არის ტკბობა სიცოცხლით, სილამაზით, მოძრაობით, ფერთა სიუხვით, ინდივიდუალური განსაკუთრებულობით. ამან კი მინოსელთა არქიტექტურას თავისი

1 იხ.: გ. გიორგაძე, „ათასი ღვთაების ქვეყანა“, თბილისი, 1988 წ., გვ. 83.

2 იხ.: რისმაგ გორდეზიანი, „ბერძნული ცივილიზაცია“, თბილისი, „მერანი“, 1988 წ., გვ. 32.

კვალი დაამჩნია. მონუმენტურს, არსებითად მეგალითურს, ლაბირინთის ტიპის უზარმაზარ სასახლეებს მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი სიმსუბუქე და ჰაეროვნება შესძინა. ამ სასახლეებში რამდენიმე ასეული ადამიანი ცხოვრობდა, ხოლო მათ სარდაფებში სურსათის დიდი რაოდენობა ინახებოდა. კ. კერამი წერს: „ევანსმა არ დაიზარა გამოეთვალა საკუჭნაოს ყველა პითოსის საერთო ტევადობა. იგი უდრიდა 75.000 ლიტრს. ასეთი ყოფილა სასახლის მარაგი“[1]. ამდენი პროდუქტი, ხალისიანი, სიცოცხლის დამამკვიდრებელი ფრესკებით მორთული სასახლის დარბაზები, ოთახები და ტალანები, თეატრალური სანახაობები, უაღრესად მრავალფეროვან და გემოვნებით ნაკეთებ ჭურჭელთან ერთად, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ კნოსოსისა და სხვა მინოსური სასახლეები დაუსრულებელი ზეიმებისათვის აგებული სივრცეები იყო... ცხადია, ეს ასე არ ყოფილა. უბრალოდ, კრეტელთა ცხოვრების წესი იყო ისეთი, რომ მათი კულტურის გაცნობისას ექცევი ილუზიის ტყვეობაში, თითქოს ერთ დროს უწყვეტად მოზეიმე ხალხის დაქცეულ სამყოფელს უყურებ... და კიდევ: ყურდსაღებია ის მოსაზრება, რომ მინოსელ მხატვარს ისტორიულ თუ მითოლოგიურ პირზე მეტად აინტერესებდა „ერთი შთაბეჭდილებით მიღებულ განცდათა ხაზისა და ფერების საშუალებით გადმოტანა“. თუ დავუკვირდებით ამ ნათქვამს, დავინახავთ, რომ ეს თვისება კარგად მიესადაგება ქართულ ხასიათს და მინოსელ მხატვარზე თქმულს თუ ქართველური წარმოშობის შემოქმედებაზე გადავიტანთ, აღმოვაჩენთ ზოგად დამახასიათებელს ქართული შემოქმედებითი აზრისას...

ეგეიდელი პელასგების ეროვნული ხასიათი, მათი მსოფლმხედველობა იყო საფუძველი იმისა, რომ ამ ხალხმა, როგორც უკვე ვთქვით, არა მარტო ეგვიპტურ ღმერთებს შეუცვალა სახელები, არამედ ისინი გააპელასგურა კიდეც, რაც არსებითად მათ გაადამიანურებას ნიშნავდა... თუ ძველი ეგვიპტის პანთეონის ასეთი გარდაქმნა შეძლეს პელასგებმა, მაშინ სრულიად არ არის გასაკვირი, მიუხედავად იმისა, რომ მათ ხელოვნებას „მრავალი ძაფი აკავშირებს ეგვიპტურსა და წინააზიურ მხატვრულ კულტურასთან“, მოახერხეს გადაემუშავებინათ და გარდაექმნათ ეს კულტურა, – ღმერთების მსგავსად, გაეპელასგურებინათ ის, რაც ძველი აღმოსავლეთის ხელოვნებისაგან შეითვისეს, მიეცათ მისთვის არა მხოლოდ განსხვავებული ფორმა, არამედ კიდევ უფრო მეტად შეეცვალათ შინაარსი; ამის შედეგად კი მივიღეთ სრულიად სხვა კულტურა, რომლიც, ვიმეორებ, გახდა საფუძველი ბერძნულ-რომაული კულტურისა.

ასე რომ, უდავოა ეგეიდელი პელასგების როლი ანტიკური ევროპის კულტურის ჩამოყალიბების საქმეში. ამ თვალსაზრისით მათი საქმიანობა უთანაბრდება იმას, რასაც ორთოდოქსი ატლანტოლოგები მიაწერდნენ ატლანტისელებს, მით უმეტეს, რომ მინოსური კრეტა არის კიდევაც პლატონისეული ატლანტისის პროტოტიპი, მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ ობიექტურობა ითხოვს, ამ საკითხს უფრო მასშტაბურად შევხედოთ: მინოსური კრეტის კულტურა უდავოდ ყველაზე დიდი გამოვლინებაა ევროპის კონტინენტზე კავკასიიდან დაძრული პროტოქართველური ტომების ცივილიზატორული საქმიანობისა. ცხადია, ეს არ ყოფილა მათი ერთადერთი ქმედება, დიდი მნიშვნელობისა რომ იყო, ამასთან, მხოლოდ ევროპისათვის ნაღვაწი. ოღონდ, ამჯერად მათი საქმიანობის ეს კუთხე გვაინტერესებს.

ამისათვის საჭიროა, გონების თვალით გადავწვდეთ პროტოქართველური ტომების იმ შორეულ წარსულს. აქ უდიდეს სამსახურს გაგვიწევს ქართველი მეცნიერი ალექსანდრე

1 იხ.: კ. კერამი, „ღმერთები, აკლდამები და მეცნიერები“, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1972 წ., გვ. 80.

გვასალია, რომელსაც თბილისში 1927 წელს დაუბეჭდავს პატარა წიგნი სათაურით „ქართველთა უშორეულესი წინაპრები“.

ნაშრომის თემა საუკუნის დამდეგისთვის ესოდენ პოპულარულ პირველყოფილი საზოგადოების პრობლემებსა და, კერძოდ, ენის ჩასახვის საკითხს შეეხებოდა. იმისათვის, რომ მკითხველისათვის ნათლად დაენახვებინა მსჯელობის საგანი, ავტორმა მოიხმო ციტატები რიგი ცნობილი მეცნიერების, სახელდობრ კი რენკეს, ვეილის, ენგელსის, გეკელის, მორეს, დავის, ტეილორის, ნიკოლსკის, გოროდცევის და უზნაძის შრომებიდან. ისეთი მოსაზრება, როგორიც, მაგალითად, გრიგოლ ნათაძეს აქვს გამოთქმული:

„როდესაც ადამიანები უფრო და უფრო ხშირად ხვდებოდენ ერთმანეთს, მაშინ საგნების სახელებიც დასჭირდათ. თავდაპირველად ადამიანი საგნის სახელსაც ხმით ჰხატავდა. ის ცდილობდა, ისეთი ხმით გამოეხატა საგნის სახელი, რომელიც ამ საგნის ბუნებას მოაგონებდა. შემდეგში ამ ხმებისაგან სიტყვა წარმოსდგა. საზოგადოთ პირველი ადამიანის სიტყვები ბუნების მიბაძვა იყო“. ციტატა მოტანილია 1920 წელს გამოცემული გრ. ნათაძის წიგნიდან „პირველყოფილი კულტურა“, გვ. 68. შემდეგ ამისა, ალექსანდრე გვასალია ცდილობს, ქართულ ენაში იპოვოს ამ პროცესის ამსახველი მაგალითები: „ახლა შევეხოთ ქართველ ტომთა სიტყვებს და შეიძლება მათში ზემოხსენებული თეორიების განაღდება ვნახოთ. თუ ცეცხლის სახელწოდებაში პირველყოფილი ენის ბუნებასაც დავურთავთ, მაშინ, ცხადია, ქართველ ტომთა წინაპრებს ჟამთა ვითარებაში, თუნდაც სხვადასხვა სახელწოდებით, ცეცხლის მოპოვებაში, შემოღება-აღმოჩენაში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს.

ქართულად – ცეცხლი
მეგრულად – დაჩხირი
აფხაზურად – ამცა

საგულისხმოა, რომ ჯოხის, ხის ნაწილის სახელწოდება მეგრულ ენაში ცეცხლის სახელწოდების შემადგენლობაში შედის: და-ჩხირი. ყველამ კარგად ვიცით, თუ რა არის ჩხირი. ვიდრე „და“-ს განმარტებას შევუდგებოდეთ, უნდა ვახსენოთ, რომ სიტყვა „ჩხირის“ წარმოშობა წამბაძველობის ნიადაგზე შეიძლებოდა. თუ იმას წარმოვიდგენთ, რომ პირველყოფილი ადამიანი ჯოხს გადატეხდა (არავითარი დანა მას არ მოეპოვებოდა), თავისთავად ცხადია, რომ ჩხირის ბოლოები უსწორმასწორო იქნებოდა, ხშირად ნაპირებზე პატარა ფირფიტებით. ცეცხლის მოსაპოვებელი ოპერაციის დროს სწორედ და მხოლოდ ამ პატარა ფირფიტებს შეეძლო ჩხრიალი გამოეღო და ბუნებრივად ადამიანმა ამ ჯოხს ჩხირი უწოდა. გადაჭრით ვამბობ, რომ მხოლოდ ასეთი ახსნით შეიძლება სიტყვა „ჩხირის“ წარმოშობა გაგებულ იქნეს. საინტერესო ისაა, რომ ქვედა ფიცრის როლს „ნაკვე-ჩხირი“ ასრულებდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თუმცა ესეც ჩხირი იყო, მხოლოდ „ნაკვა“ – ალბათ ქვევითის შინაარსით. „ნაკვა“-ში უეჭველია „კვა“ – ქუას ნიშნავს. ალბათ ეს შედარება გვიანი დამატებაა და იმ ხანას ეკუთვნის, როდესაც არამცთუ ცეცხლის ნაცარში შენახვა ერთ ადგილზე დაბანაკებისას სცოდნიათ, არამედ ნამდვილი კერის გაჩაღებაც. ხოლო „და“ და „ნა“ ეკვივალენტები უნდა იყოს და ქალს უნდა გამოსახავდნენ: და=დია და ნა=ნანა; ორივე=დედა. ამრიგად აშკარაა: ცეცხლის მოპოვება-შენახვის პროცესში ქართველ დედაკაცს წარსულში მონაწილეობა მიუღია.

სიტყვა ჩხირის ინტერპრეტაციიდან უშუალოდ გამომდინარეობს: ქართველთა ტომს

– მეგრელებს – შორეულ წარსულში ცეცხლის ხელოვნურ მოპოვებაში მონაწილეობა მიუღიათ.

ცხ, ჩხ ერთი და იმავე ბუნებისაა. ამას პროფ. მ. წერეთელი გვიმოწმებს: „სუმერული და ქართული“-ს სათაურით ჟურნალ „გვირგვინში“ მოთავსებულ წერილში („გვირგვინი“, გვ. 115; 1912 წ., ტფილისი), სადაც ამბობს: „ზაღ (ცაღ)=შეწვა, წვა–იზაღ–(იცახ, იცი=ცეცხლი).– ქართულ. ცხ, შხ, ჩხ, წვ“. აქვე მიგვითითებს: „იხ. საღ=წვა, –ქართ. ცია, ციაგი, ცეცხლი და სხვა“ და 108-ე გვერდზე: „სახ, ზახ=წვა, –ქართ. ცხ. ჭან-მეგრ. ჩხ, ჩქ, სვან. შხ: ცეცხლი, ცხელი და სხვ. მეგრ. დაჩხირი, სვან. ლიშხი=წვა–ქართ. ნახშირი=ნახშირი, ჭან-მეგრ. გრ. ნიშქერი=რაც დამწვარია. –აგრეთვე დიშქა=რაც დასაწვავია=ქართ. შეშა (სეშა=სიშა. შ<შვ). – ძირი წვ წარმომდგარი უნდა იყოს ძირისაგან შხ (ცხ და სხვ.)“. ძირი „ცხ“-ს წარმოშობა ადვილი გასაგებიც იქნება, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ხის ფხვნილი, რომელიც ზემოხსენებული თეორიების მიხედვით საჭიროა ცეცხლის დასანთებად, ხოლო არავითარ ხმაურს არ გამოიღებს, რომ სიტყვისწამბაძველობით ნიადაგზე წარმომშობი მომენტი ვეძიოთ მასში; ცეცხლის გაღვივებისას კი საჭირო იქნებოდა ან თივა ან ბურბუშელა, რომელსაც შეეძლო გამოეღო ხმაურობა „ცხ-ცხუცხუნი“; მეორე განმარტებაც რომ მივუმატოთ, რომ ელვის საშუალებით ტყეს ცეცხლი გაუჩნდებოდა, აქაც პირველყოფილი ადამიანები „ცხ“-იებს მოისმენდა. ცხადია (თვით სიტყვა, ცხადია – ში-ცხ-ნათელს, ცეცხლს, სინათლის მომასწავებელი რამ არის), რომ ადამიანმა „ცხ“ ამ ბუნებრივი წყაროდან დაიუნჯა. „ცე“=„ცა“ არის. ადამიანი ცას უფრო ადრე იცნობდა, ვიდრე ცეცხლს. „დაჩხირი“ კი ცეცხლის ხელოვნური მოპოვების პროცესის მაჩვენებელია და მასთანვე ამ პროცესში ქართველთა წინაპრების დედას დიდი ღვაწლი მიუძღვის. ამავე ძირთა კინემატიკის ირგვლივ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა ისტორიულ-ქრონოლოგიურადაც, მაგრამ მივუბრუნდეთ აფხაზურ სიტყვას „ამცას“, რომლის ქართულ ბუნებას აშხაწავაც არ უარყოფს. ჩვენი ფიქრით, ბუნებრივი თავსართი „ა“, არც მეტი არც ნაკლები, „არის“-ისგან არის წარმონაშობი და ამიტომაცაა, რომ ყველა არსებით სახელს წინ უძღვის. ქვევით ჩვენ დავინახავთ ამ „ა“-ს შესახებ ზოგიერთ მოსაზრებას, ხოლო აქ უნდა ვაღიაროთ, რომ „მ“-მოსულის ეკვივალენტური შინაარსიანი სიტყვის ნაწყვეტია და, ბოლოს, „ცა“ უდავოდ ქართული ცის შესახებ გვეუბნება. ამრიგად, შედგა აგლუტინიური სიტყვა ა(რის)+მ(ოსული)+ცა(დან)=ამცა“. „მგონია, არც ერთ ენაზე არ არის გაერთიანებული ცის და ცეცხლის ცნება და ერთი სახით მოცემული – ცეცხლის. თუ მართალია პროფესორ გორდოვეცის დებულება (რომელსაც ჩვენ უდავოდ ვღებულობთ), რომ უკვე 200.000 წელიწადია, რაც კაცობრიობა ცეცხლს იცნობს, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, ზემოგანხილული ფაქტებისდა მიხედვით, ამავე წლოვანების არის ჯერჯერობით ქართველი ერიც, უკეთ რომ ვთქვათ, ქართველები იმ ტომიდანაა წარმოშობილი, რომელმაც ცეცხლი პირველად დაიპყრო ან – ცეცხლის დამჭერი ტომი, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ – ქართველთა წინაპრებია“[1].

ამ ციტატით გავეცანით უღრესად საყურადღებო მსჯელობის შედეგს. თავად განსაჯეთ: ქართული ენა ინახავს კვალს ჩვენი უშორესი წინაპრების მიერ ცეცხლის წარმოშობის პირობების გაცნობიერებისა და მისი მოპოვებისა და შენახვის უნარ-ჩვევის გამომუშავების ხანგრძლივი პროცესის შესახებ. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ პროტოქართველურმა ტომებმა პროგრესის გზაზე ძალიან ადრე, კაცობრიობის გარიჟრაჟზე, გადადგეს ნაბიჯი და დაეუფლნენ ცეცხლის მოპოვების ხელოვნებას. როგორც ჩანს, ეს

1 იხ.: ა. გვასალია, „ქართველთა უშორეულესი წინაპრები“, ტფილისი,1927 წ., გვ. 32-35.

პროცესი არა მარტო დიდხანს გრძელდებოდა (თანამედროვე მეცნიერთა აზრით, ცეცხლი 400.000 წლის წინათ იქნა მოპოვებული), არამედ მეტად რთულიც იყო, ამიტომ ამ საქმეში წარმატებამ არა მხოლოდ ქართულ ენაში ჰპოვა ასახვა, არამედ სათავე დაუდო მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიაში არსებული ერთი ყველაზე უფრო ძველი და საინტერესო მითის შექმნას, – ვგულისხმობ მითს ამირან-პრომეთეს შესახებ. ძველს იმიტომ, რომ სხვაგვარად მასში არ აისახებოდა ცეცხლის მოტაცების თემა, ადამიანების მიერ ცეცხლის მოპოვება – ეს დედამიწაზე ცივილიზაციის საწყისი მომენტია და რაც ამ საკითხს ეხება, ის უძველესი დროიდან შემორჩა კაცობრიობის მეხსიერებას.

ამირანის უძველესი მითი ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ შემოინახა. ის, დროის მდინარებიდან გამომდინარე, იცვლებოდა, რადგან ამა თუ იმ ეპოქის პრიორიტეტები მასზე გავლენას ახდენდა. ერთი ასეთია ქრისტეს მოტივის შემოსვლა ანტიკური ხანის მითში, ოღონდ ეს სულაც არ ამცირებს თქმულებაში დაფარული საიდუმლოს გამოცნობის მნიშვნელობას.

მითი ამირანის შესახებ რამდენიმე ვერსიით არის წარმოდგენილი. ეს გახლავთ ფშაური, ქართლური, რაჭული და სვანური. ამ ვერსიების მიხედვით შეგვიძლია დავადგინოთ ამირანის წარმომავლობის, ინდივიდუალური ნიშან-თვისებების, მისი გმირული საქმიანობის, ყამარის მოტაცებისა და გმირის მიჯაჭვის ამბების სიმბოლური მნიშვნელობა.

უნდა ვიფიქროთ, რომ თქმულებაში აირეკლა კაცობრიობის განვითარების ის პერიოდი, როცა ადამიანები შემგროვებლობითა და რაიმეს მონადირებით ირჩენდნენ თავს.

თქმულებათა მიხედვით ამირანის დედა ნადირობის ქალღმერთი, ოქროსნაწნავიანი დალია, მამა კი მონადირე სულკალმახია. ამირანს ოქროს კბილი ჰქონდა.

ეს ამირანის ღვთაებრივი თუ ნახევრადღვთაებრივი წარმოშობის მანიშნებელია – დალის ეპითეტი – ოქროსთმიიანი. ოქროს კბილით სცნობენ დევები გმირს. საყურადღებოა, რომ მის ძმობილებს ზურგზე, ბეჭებშუა, მზისა და მთვარის ნიშნები ჰქონდათ, რაც ამირანის ციურ სხეულებთან, იმ ორ მთავარ მნათობთან, კავშირზე მიუთითებს, მოგვიანებით ქართველურ ტომთა ღვთაებებად რომ იქცნენ. ამირანის გარეგნობაც განსაკუთრებულია, მას აქვს საცრისოდენა თვალები, თორმეტი უღელი ხარ-კამეჩის ძალა და მგლის მუხლი.

ამირანი ბოროტებასთან მეომარი გმირია, წარმატებით ებრძვის მოძალადე დევებს:

„ამირან, დევი ბაყბაყი
ჩასაუბრობენ მტრულადა,
ხმალზე ხელი აქვს ამირანს,
ცხარე ომი აქვ გულადა.
ამირან-დევი შეიბნენ,
მიწას გაჰქონდა გრიალი,
ამირანმა დევი დასცა,
დააწყებინა ღრიალი“[1].

დევების სახით თქმულებაში აირეკლა ის ძალები, რომლებიც ცივილიზაციის გარიჟრაჟზე საფრთხეს უქმნიდა ადამიანს და ამ ძალებზე გამარჯვება მისთვის სასიცოცხლო

1 იხ.: ხალხური სიბრძნე, ქართული ეპოსი, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1964 წელი, ტომი III. „რაჭული ვერსია“, გვ. 41.

მნიშვნელობისა იყო. ჩვენს შორეულ წინაპრებში ჩამოყალიბდა მათთვის საშიშ, ბოროტებად მიჩნეულ მოვლენებზე გამარჯვებული გმირის არსებობის მოთხოვნილება და დროთა განმავლობაში, როგორც ეს ხდებოდა ხოლმე, ჩაისახა ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში და ბოლოს მითად იქცა. როგორი იყო არქაული შინაარსი ამირანზე არსებული თქმულებისა, ძნელი დასადგენია, მაგრამ მასში რომ უძველესი ადამიანის მიერ სამყაროს ხედვაა ასახული, ეს თქმულების ყველა ვერსიაში აშკარად იკითხება – ამირანს შებრძოლება მოუხდა დევისათვის მოჭრილი თავებიდან ჭიებად ამოსულ თეთრ, წითელ და შავ გველეშაპებთან. ამირანმა თეთრი და წითელი გველეშაპები დახოცა და მერე შავს მიუბრუნდა:

„შეება შავ გველეშაპს დაღალული და დამშვრალი:
შავმა აიღო, ჩაყლაპა, შავი ზღვისაკენ გასწია“[1].

მაგრამ ამირანს ალმასის დანა ჰქონდა, გაუჭრა გველეშაპს მუცელი და გამოვიდა.

ამ ეპიზოდშიც თავს იჩენს უძველესი ამბების გამოძახილი: თეთრი, წითელი და შავი გველეშაპები რაღაც სტიქიური უბედურების სიმბოლურ გამოხატულებას ჰგვანან. ეს მოვლენა შეიძლება ყოფილიყო მეხის დაცემით გამოწვეული ტყის გრანდიოზული ხანძარი, რომელსაც გადაურჩა ამირანი და, შესაძლოა, იქიდან ცეცხლიანი მუგუზალიც გამოიტანა...

ყოველ შემთხვევაში, შავი გველეშაპის სტომაქიდან გამოსული ამირანი ცეცხლიდან გამოღწეულს, თმა და წვერ-ულვაშ შეტრუსულს ჰგავს:

„ამირანი დაიბადა, გოჭსა ჰგავდა ხუხულასა,
წვერ-ულვაში გასცვივნოდა, ჩაეყარა ტომარასა“[2].

გავიხსენოთ გველეშაპის სხვა სახელიც: „ქარცეცხლი“; ტყის ხანძარი სწორედ მაშინ არის მძვინვარე, როცა ძლიერი ქარი ქრის...

თქმულებაში სიყვარულის თემაც შემოდის, ეს მაშინ ხდება, როცა დამარცხებული დევი შებრალებას სთხოვს ამირანს და თან ლამაზი ქალის ადგილსამყოფლის თქმასაც ჰპირდება:

„ზღვის გაღმა ქალი გასწავლო, სახელად ყამარ ჰქვიანო“[3].

ამირანს უნახავდ შეუყვარდა ყამარი, რომლის მამა ქაჯების ბატონი ყოფილა და ქაჯებისა და ეშმაკებისაგან შემდგარი ზეციური მხედრობა ახლავს. ფშავური თქმულების მიხედვით, ყამარი ზღვის პირას მდგარ კოშკში ცხოვრობდა, ხოლო მშობლები კი ცაში ჰყოლია. სვანური თქმულების მიხედვით, ქალი ცხოვრობდა ცაზე ჯაჭვით ყოფილა ჩამოკიდებულ კოშკში. ეს ჯაჭვი ამირანმა გაწყვიტა, კოშკი ჩამოვარდა და გმირმა ნახა ქეთუ – ასე ჰქვია სვანურ ვერსიაში ყამარს. ამირანს ყამარის მამა შეებრძოლა.

„ამირანის ხმალი ყამარის მამის მუზარადს

1 იხ.: იქვე, გვ. 14; „ფშავური ვერსია“.
2 იხ.: იქვე, გვ. 15; „ფშავური ვერსია“.
3 იხ.: იქვე, გვ. 12; „ფშავური ვერსია“.

მოხვდებოდა, ნაპერწკლის ცეცხლი ენთებოდა“[1].

როცა მათი ბრძოლის ამბავს კითხულობ, თვალწინ წარმოგიდგება ჭექა-ქუხილის სურათი, რომელსაც მეხის ჩამოვარდნა და ხანძარი მოჰყვება ხოლმე.

ქაჯების ბატონის თაობაზე ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ერთი სიტყვით, ქალის მამა თითქოს ცეცხლისმფრქვეველი ზეციური არსებაა“[2].

უძველესი ადამიანი რომ ბუნებრივ მოვლენებს ღვთაებრივი ძალის გამოვლინებად აღიქვამდა, დიდი ხნის დადგენილი ფაქტია. ამირანის ეპოსი პროტოქართველური ტომების მიერ უხსოვარ დროს ცეცხლის მოპოვების მითოლოგიზებული ამბავია. უკვე მოგახსენეთ, რომ კაცობრიობის ისტორია სწორედ ცეცხლის მოპოვებით იწყება, ციდან მოსული ცეცხლით. ეს მოვლენა შემოინახა ქართულმა ენამ, ხოლო მითოლოგიამ – ადამიანის მიერ ცეცხლის მოპოვების პროცესი. როგორც ვნახეთ, ეპოსის ორი ეპიზოდი – შავი გველეშაპის „ქარცეცხლისა“ და ყამარის მოტაცებისა – ორი სხვადასხვა ფორმითაა გამოხატული: პირველი მისტიკურ საბურველში გახვეული ჰეროიკული ამბავია; მეორე, მისტიციზმისა და ჰეროიზმის გარდა, ეროტიკითაც არის გაჯერებული. თუ შავი გველეშაპი, „ქარცეცხლად“ წოდებული, ასოცირდება ყველაფრის გამანადგურებელ ტყის ხანძართან, როგორც ცეცხლის წყაროსთან, ყამარი თავად არის ციური ცეცხლის სიმბოლო, რომელსაც იტაცებს გმირი. ორივე ეს ამბავი ეპოსის არქაულ პლასტს წარმოადგენს.

ასევე არქაულ პლასტს განეკუთვნება ამირანის ჭიდილი ღმერთთან: ფშავურ ვერსიაში გმირი ღმერთს შეხვდება და შეჭიდებას მოინდომებს. დაარჭო ღმერთმა ჯოხი, მოსწია ამირანმა და ამოიღო, მეორედაც ამოაძრო, მესამედ ღმერთის მიერ დარჭობილმა ჯოხმა ფესვები გამოიღო, ხედ იქცა. მოზიდა ამირანმა ეს ხე და ვერ ამოაძრო. „მაშინ დასწყევლა ღმერთმა ამირანი, დააბა იმ ხეზე“, თავზე კი თოვლ-ყინულიანი მთა დაადგა. ამირანის გოშია დღედაღამ ლოკავდა ჯაჭვს, ათხელებდა. და როცა ჯაჭვი უნდა გაწყვეტილიყო, მჭედელი დაჰკრავდა გრდემლს და ჯაჭვი ისევ სქელდებოდა.

ქართლურ ვერსიაშიც თითქმის ასეა: ამირანმა უთხრა უფალს, დამეჭიდეო. ჯერ იჭიდავებს, მერე უფალმა ყავარჯენი მიწაში დაარჭო. ამირანი მივიდა ამოსაძრობად, მაგრამ რამდენადაც ამოსწია, იმდენად ღრმად ჩაესო. დამარცხებული ამირანი უფალმა ჯაჭვით დააბა და ზედ უზარმაზარი მთა გადააფარა. ამირანის ფინია თორმეტი თვე ლოკავს ჯაჭვს, ის გაილევა და უნდა გაწყდეს, რომ მჭედლები კვერს სამჯერ დაჰკრავენ და ჯაჭვი ისევ მსხვილდება.

რაჭულ ვერსიაშიც იგივე ამბები ხდება მცირედი განსხვავებით: ამირანი ჯოხზე დაყრდნობილ მოხუც კაცს შეხვდება; არ იცოდა, რომ ღმერთია, ამიტომ უთხრა, მეტაკეო. ბერიკაცმა მიუგო: „ჯოხს დავაბიჯგებ, სარტყელი შეიხსენი და ერთი პირი კისერს გამოიბი, მეორე ამ ჯოხსა და თუ ამოსწევ, გეტაკებიო“. გააკეთა ასე ამირანმა, მაგრამ ჯოხი რკინის პალოდ იქცა, სარტყელი – ჯაჭვად. ღმერთმა გვერდით ურო დაუდო. ეწევა ამირანი ჯაჭვს, ეწევა, უნდა ამოაძროს, მაგრამ ამ დროს პალოს ჩიტი დააჯდება. გულმოსულმა ამირანმა ურო დასტაცა ხელი, მოუქნია, ჩიტი გაფრინდა, რკინის პალო კი ისევ ჩაერჭო მიწაში.

სვანურ ვერსიაშიც იგივე ფინალია, ოღონდ ამ შემთხვევაში ამირანი ღმერთს არ ეჭიდება. ის არ ემორჩილებოდა მას და ამით ბევრჯერ აწყენინა, ამიტომ უფალმა ის

1 იხ.: იქვე, გვ. 21; „ფშავური ვერსია“.

2 იხ.: ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, თბილისი, 1960 წ., ტ. I, გვ. 155.

რკინის დიდი ჯაჭვით რკინისავე პალოს მიაჯაჭვა. მასთან ერთად მიაბა მისი ერთგული ყურშაც. ყოველდღე ამირანი და ყურშა ეწევიან ჯაჭვს, რათა ამოაძრონ რკინის პალო, მაგრამ მოფრინდება ჩიტი, დაჯდება პალოზე, გულმოსული ამირანი მოუქნევს უროს, ჩიტი გაფრინდება, ურო მოხვდება პალოს და ძირამდე ჩაარჭობს.

როგორც ვნახეთ, ამირანის მიჯაჭვას ერთი მიზეზი აქვს – ის ეურჩება ღმერთს. მათ შორის გამორიცხულია ნებისმიერი კომპრომისი. ადამიანები მჭედლების სახით ავლენენ მონურ მორჩილებას ღვთისადმი და, როგორც ფშავურ და ქართლურ ვერსიებშია, მაშინ, როცა ჯაჭვი უნდა გაწყდეს, ისინი საგანგებო რიტუალის წყალობით ამსხვილებენ ჯაჭვს. თავად ამირანი კი უგუნურებას ავლენს, როცა უაზროდ ბრაზდება და პალოზე ჩამომჯდარ ჩიტს უროს უქნევს, ამით კი თავის მიჯაჭვას კიდევ უფრო ახანგრძლივებს. აქ ნათლად ჩანს, რომ მიჯაჭვის ეპიზოდიც არქაული პლასტია ეპოსისა, რომ ადამიანს მისთვის აუხსნელი და დაუძლეველი ძალები ღმერთად ჰყავდა მიჩნეული და უპირობო მორჩილების მეტი აღარაფერი დარჩენოდა. იმ უძველესი დროის ხალხის მიერ შექმნილი გმირის შესაძლებლობები რეგლამენტირებულია, მას შეუძლია ღმერთს აუმბოხდეს, მაგრამ გამარჯვების იმედი არ აქვს...

ამირანის თქმულების არქაული პლასტები ძალიან ძველი ჩანს, ისინი დიდ პასიონარულ ბიძგამდე რამდენიმე ათასი წლით ადრე უნდა შექმნილიყო. ეს იმ სასტიკი და ძალადობით აღსავსე გარემოდანაც ჩანს, სადაც თქმულების გმირი მოქმედებს. ამიტომ დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ, რომ ამირანის ეპოსი, რომელიც ცეცხლის მოპოვების ამბავს შეეხება, ასახავს კაცობრიობის ცივილიზაციის საწყის მომენტს, რადგან ადამიანთა საზოგადოებრივი განვითარება ცეცხლის მოპოვებით იწყება.

ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში, პროტოქართველურმა ტომებმა ამირანის თქმულება, როგორც საკუთარი ზეპირსიტყვიერება, ეგეიდაში ჩაიტანეს. იქ კი, სავარაუდოდ, კრეტა-მიკენის დიდი პელასგური კულტურის წიაღში, მითი გადამუშავდებოდა და მიიღებდა ახალ დასახელებას და გარკვეულ მხატვრულ სახეს, ვიდრე მოგვიანებით ამას აღწერდა ჰესიოდე თავის „თეოგონიაში“, ბოლოს კი ესქილე ამ თემაზე შეთხზავდა ტრაგედიებს: „მიჯაჭვული პრომეთე“, „განთავისუფლებული პრომეთე“ და „ცეცხლოვანი პრომეთე“.

ეგეიდაში არსებული კულტურული გარემოს შესაბამისად მითი განვითარდა: კლასიკურ ვერსიაში ეს გმირი, აქ უკვე პრომეთე, ადამიანთა მოდგმის შემქმნელად არის მიჩნეული; გადამუშავებული მითის მიხედვით პრომეთეს თავგადასავალი ასეთი გახლავთ: ტიტან იაპეტოსს ოთხი ვაჟი ჰყავდა: მენიოტიოსი, ატლასი, ეპიმეთე და პრომეთე. ეს უკანასკნელი სხვებისაგან იმით განირჩეოდა, რომ წინასწარმეტყველების ნიჭი ჰქონდა მომადლებული. ზევსის მიერ ძალაუფლების მოპოვებისათვის წარმოებული ბრძოლებისას, როცა ის ტიტანებს შეება, პრომეთემ, მიუხედავად იმისა, რომ თავადაც ტიტანი იყო, ზევსის მხარე დაიკავა, რადგან განჭვრიტა მომავალი და ახალი თაობის ღმერთების გამარჯვება იხილა. ტიტანებს ურჩია, ზევსისათვის დაბრკოლება არ შეექმნათ, მაგრამ მას არ დაუჯერეს და მის ერთგულებაშიც ეჭვი შეიტანეს. პრომეთე გამარჯვებული ზევსის ბანაკში აღმოჩნდა. ერთხელ ზევსს თავი ასტკივდა და პრომეთეს სთხოვა, დახმარებოდა. წინასწარმეტყველმა იცოდა, რომ მეხთამტყორცნი ღმერთის თავიდან მისი ქალიშვილი უნდა დაბადებულიყო, ცულით თავი გაუპო ზევსს და იქიდან ათენა ამოფრინდა. ზევსს არა მარტო გაუარა თავის ტკივილმა, არამედ ჭრილობაც მაშინვე მოუშუშდა. ზევსმა პრომეთეს ადამიანების

შექმნაც დაავალა. მან მიწა წყლით დაალბო და ამ მასისაგან გამოძერწა ადამიანები. ამას გარდა, პრომეთესა და მის ძმას ეპიმეთეს დაევალათ ღმერთების წყალობა თანაბრად გაენაწილებინათ ადამიანებსა და ცხოველებს შორის. მოხდა ისე, რომ ძმის არყოფნისას ეპიმეთემ არასწორად მოახდინა ეს განაწილება და მოგებულები ცხოველები აღმოჩნდნენ. ასე, მაგალითად: ზოგს ძალა მისცა, ზოგს – სისწრაფე, ზოგს – ფრთები, ზოგს – მიწაზე ხოხვის უნარი, ზოგს – სქელი ტყავი და ბეწვი, ზოგს – ჩლიქები, ზოგს – ბრჭყალები; ზოგი ბალახის მჭამელი უნდა ყოფილიყო, ზოგიც – ხორცისა; ზოგს სწრაფად გამრავლების უნარი მიეცა, ზოგს კიდევ – არა. ამ განაწილების შედეგად ადამიანებმა ვერაფერი მიიღეს, ისინი ცხოველების წინაშე დაუცველები აღმოჩნდნენ. პრომეთემ ასეთ მდგომარეობაში მყოფი, ზეცას მიშტერებული და უსუსური ადამიანები რომ იხილა, გადაწყვიტა, მათ დახმარებოდა: ამიტომ მჭედელი ღმერთის, ჰეფესტოს სამჭედლოდან შეიპარა, მოიპარა და ადამიანებს მიუტანა ციური ცეცხლის ნაპერწკალი; თან მის მიერვე შექმნილ მოკვდავებს ასწავლა თავის გატანა მათთვის საშიშ გარემოში. ჯერ იმით, რომ ცეცხლი მისცა და მისი წყალობით მოპოვებულ ყველა სიკეთეს აზიარა: ასწავლა, როგორ დაემზადებინათ უებარი მალამოები და გამკლავებოდნენ სნეულებებს; ასწავლა ხარების მოთვინიერება, მიწის მოხვნა, ცხენების გახედნა; აპოვნინა ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის საბადოები; ასწავლა ტანსაცმლის ტარება და ხელოსნობა, სამსხვერპლო ცხოველის შიგნეულზე დაკვირვებით მკითხაობა – გარკვეულწილად გაუმხილა მისნობის საიდუმლოც. ასე აქცია ადამიანებად თავის მიერვე მიწისა და წყლისაგან გამოძერწილი არსებები; მაგრამ მათ ბევრი ნაკლიც ჰქონდათ: ვერ ისწავლეს ერთმანეთის სიყვარული, ზნეობა, კანონიერება. მეხთამტყორცნელ ზევსს არ მოსწონდა ეს მოდგმა ადამიანებისა. ბოლოს ლიკაონის მიერ მისთვის ადამიანის ხორცის შეთავაზებამ (რის შესახებაც ამ წიგნის სხვა თავში მოგახსენეთ) მისი მოთმინების ფიალა აავსო.

ზევსმა ოლიმპოს ღმერთები შეკრიბა, აცნობა მათ, რომ წარღვნით მოკვდავთა მოსპობა და შემდეგ უკეთესი ადამიანების შექმნა სურდა. როგორც ვიცით, ეს წარღვნა სამხრეთის ნოტიო ქარებისა და პოსეიდონის დახმარებით მოეწყო და დედამიწაზე სულდგმულთა პირველი თაობა განადგურდა. ვიცით, რომ ამ წარღვნას ორნი გადაურჩნენ – დევკალიონი, პრომეთეს ვაჟი და ეპიმეთეს ასული პირა. დევკალიონი ქალაქ ფთიას მეფე იყო თესალიაში. მან მისან პითიას რჩევით პირა შეირთო ცოლად. როგორც ვიცით, დევკალიონი მოსალოდნელი წარღვნის შესახებ პრომეთემ გააფრთხილა. ერთი ვერსიით, ის მაშინ უკვე მიჯაჭვული იყო, სხვა ვერსიით – არა.

პრომეთეს რჩევით დევკალიონმა კიდობანი ააგო, შიგ შეიტანა ყველაფერი, რაც საჭირო იყო და ცოლთან ერთად შევიდა კიდობანში. წარღვნა 9 დღე-ღამე გაგრძელდა, მეათე დღეს კიდობანი პარნასის მთაზე გაირიყა. როგორც ვიცით, ჰერმესის შუამავლობით ცოლ-ქმარმა ზევსისაგან ადამიანთა ახალი მოდგმის შექმნის უფლება მიიღო. დანაბარებისამებრ შეაგროვეს ქვები და უკან მოუხედავად, ხელუკუღმა ისროლეს. წარმოიშვნენ ქალები და კაცები. მთიდან ჩამოსულმა დევკალიონმა ზევსის სამლოცველო დააარსა ლიკროსსა და ათენში. დევკალიონსა და პირას შეეძინათ შვილები: ამფიქტიონი, პროტოგენეა და ჰელენოსი, რომლებიც ბერძენ ტომთა წინაპრები გახდნენ.

ახალი მოდგმის ადამიანებზე ისევ პრომეთე ზრუნავდა. ეს ადამიანები ღმერთებისადმი მოწიწებით იყვნენ განმსჭვალულნი. მათ მოინდომეს, გაერკვიათ, თუ როგორი ძღვენი უნდა შეეწირათ ღმერთებისათვის და ამ მიზნით მეკონში შეიკრიბნენ. ეს პრობლემა

მათ პრომეთემ გადაუწყვიტა: მან დაკლული ხარი აქნა, საუკეთესო ნაჭრები ერთად დადო ერთ გობზე და ზედ კუჭი დააფარა; მეორე გობზე ჯერ ძვლები, შემდეგ კი კარგი ნაჭრები და ქონი დააწყო და ზევსს მიმართა: „მეხთამპყრობელო, აირჩიე, რომელიც გსურს, შენს მახვილ თვალს არაფერი გამოეპარება“. ზევსი კარგ ნაჭერს და ქონს დახარბდა, ხელში კი ძვლები შერჩა. ამრიგად, პრომეთეს წყალობით ადამიანებს ხორცი დარჩათ, ღმერთებს კი – ძვლები და ამის შემდეგ დაწესდა, – ღმერთებისათვის შესაწირვი ადამიანისათვის საჭმელად უვარგისი იყო.

მოტყუებულმა ზევსმა ჯავრი ადამიანებზე იყარა და მათ ცეცხლი წაართვა, რათა სიბნელეში ყოფილიყვნენ და უმი საკვები ეჭამათ.

პრომეთემ გადაწყვიტა, კვლავ დახმარებოდა ადამიანებს და რადგან ჯერ კიდევ წინა მოდგმის ხალხისთვის ცეცხლის გადაცემის გამო ზევსისაგან ოლიმპოზე გამოჩენა აკრძალული ჰქონდა, ათენას სთხოვა, შეეშვა, იქ მარად მოგიზგიზე კოცონიდან კვლავ მოიპარა მუგუზალი, ლერწმის ღეროში გადამალა და სწრაფად დაეშვა დედამიწაზე, სადაც ცეცხლი ადამიანებს გადასცა. ამან განარისხა ზევსი და მისი ბრძანებით კავკასიონის ქედზე, კლდეზე მიაჯაჭვეს ტიტანი, შემდეგ კი – ეს ჰეფესტომ გააკეთა, მკერდში რკინის სარი გაუტარეს. ისე შებოჭეს, რომ განძრევა და თავის მობრუნება არ შეეძლო. ასეთი საშინელი ტანჯვა არგუნა ზევსმა ტიტანს ადამიანებისათვის აღმოჩენილი დახმარებისათვის. პრომეთე წინასწარმეტყველი იყო და იცოდა, რაც ელოდა, მაგრამ მაინც ადამიანების ერთგული დარჩა.

პრომეთეს სანუგეშოდ ოკეანოსის მეთაურობით ოკეანიდები კავკასიონისაკენ დაიძრნენ. თანაუგრძნეს ტიტანს, მაგრამ ურჩიეს, ზევსს დამორჩილებოდა. ამის გაკეთებას ტიტანი არ აპირებდა. პრომეთემ იცოდა, როდის დადგებოდა ზევსის მეფობის დასასრული და ამაზე ესაუბრა ოკეანოსსა და მის ასულებს.

მიჯაჭვულ გმირთან ღმერთების შიკრიკი მივიდა და აყვედრიდა: ადამიანების გამო ღმერთების მამა ზევსი რატომ გადაიმტერეო. პრომეთემ ასე უპასუხა ჰერმესს: „ზევსის ლაქიავ, არ გავცვლი ჩემს ტანჯვას შენს მონობაზე. გასწი, აამე მტარვალს!“

ჰერმესი ზევსის დავალებით იყო მოსული, რათა პრომეთეს საიდუმლო გაეგო, მაგრამ ვერას გახდა და იქაურობას გაეცალა.

განრისხებულმა ზევსმა კავკასიონს ელვა და მეხი დაუშინა. ამის შედეგად მოწყდა და ტარტაროსში დაინთქა ის კლდე, რომელზეც პრომეთე იყო მიჯაჭვული. კარგა ხანს იყო ქვესკნელის წყვდიადში ტიტანი, მერე ზევსმა ის კლდე თავის ადგილზე დააბრუნა, მაგრამ ახალი სატანჯველიც მოიფიქრა: ყოველდღე ციდან ეშვებოდა არწივი და ღვიძლს უკორტნიდა ტიტანს. ნაკადულებად მოედინებოდა და არემარეს ღებავდა პრომეთეს სისხლი და სადაც კი ეწვეთებოდა, ზედ წითელი ყვავილები ამოდიოდა.

სანამ გმირი მარადიული ტანჯვისთვის იყო განწირული, ზევსმა თავისი ბატონობა განამტკიცა. მან ტარტაროსიდან გაათავისუფლა და შემოირიგა ტიტანები, რომლებიც ახლა პრომეთეს ეხვეწებოდნენ, ზევსს დაზავებოდა. ქალღმერთი თემისი მივიდა გმირთან და შეეედრა: „ჩემს ვაებას მაინც ეცი პატივი, პრომეთე, შემიბრალე, გული მიკვდება შენი ტანჯვის შემყურეს. ზევსი უკვე აღარ მრისხანებს ძველებურად, ყოვლისმკურნალმა დრომ მისი რისხვა დააცხრო. ახლა ზევსის ძალაუფლება განუზომელია, ვერც ვერავინ შეარყევს, არც არავისი ეშინია. ამაოა შენი ტანჯვა“.

ქალღმერთის ქვითინმა იმოქმედა პრომეთეზე, შერიგებისაკენ ნაბიჯი გადადგა და იგ-

ივე გააკეთა ზევსმაც. მან ჰესპერიდების ბაღში ოქროს ვაშლების მოსაპოვებლად მიმავალ ჰერაკლეს დაავალა პრომეთეს განთავისუფლება. თავის მხრივ, პრომეთემაც გათქვა ის წინასწარმეტყველება, რაც ზევსს მოსვენებას უკარგავდა: „თუ ზევსი თეტისს შეეუღლება, გაჩნდება უძლიერესი ღმერთი, რომელიც მას ტახტს წაართმევს“.

ჰერაკლემ ისრით განგმირა არწივი და დაამსხვრია პრომეთეს ბორკილები, მათ ნაცვლად ზეთისხილის ტოტებისაგან გვირგვინი და რგოლები გაუკეთა. ამ შორეული დროიდან ადამიანები სამკაულებად გვირგვინსა და სამაჯურებს ხმარობენ ტანჯული გმირისადმი პატივისცემის ნიშნად. ასევე ძველია პრომეთეს პატივსაცემად დღესასწაულის ჩატარების ტრადიცია; ის იმართებოდა ყოველ წელს ათენთან ახლოს, აკადემოსის ჭალაში, სადაც პრომეთეს სამსხვერპლო იყო. აქედან იწყებოდა სირბილი ანთებული ჩირაღდნებით. მთავარი იყო, მორბენალს ცეცხლი არ ჩაქრობოდა. გამარჯვებული ის იყო, ვინც პირველი მიიტანდა ანთებულ ჩირაღდანს ათენში, კერამეიკონის უბანში, სადაც მეთუნეები მისდევდნენ თავიანთ საქმეს.

ამ შემთხვევაშიც კარგად ჩანს ნაწარმოებში არეკლილი ეპოქის თავისებურებანი: ახლა არც ყოფაა ისეთი სასტიკი, როგორიც ამირანის თქმულების დაბადებისას და ღმერთთან შეთანხმებაც უკვე შესაძლებელია. და ბოლოს, პელასგური სამყარო უფრო რაციონალურია და რეალისტური. ის ცეცხლის მოტაცების ამბავს, ამირანის თქმულებისგან განსხვავებით, აღარ ახვევს მისტიკურ და ეროტიკულ საფარველში, უკვე აცნობიერებს ის ადამიანების მიერ ცეცხლის მოპოვების საკაცობრიო მნიშვნელობას, მით უმეტეს, რომ ჩვენი უშორეულესი წინაპრების მიერ ცეცხლის მოპოვებას მათ მიერ ლითონის აღმოჩენა მოჰყვა.

ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ბერძნების მწერლებიც ერთხმად აღიარებენ, რომ საუკეთესო სპილენძის ნივთები სწორედ ამ ქვეყნიდან გამოჰქონდათო. თვით ელლადაში ხომ სპილენძი ცოტა იყო და უფრო აზიიდან შემოტანილი მადნით მიდიოდნენ იოლას. თითბრის სახელები კი, ზოგიერთ ევროპულ ენაში, მაგალითად, გერმანულად – messling, ანგლოსაქს. – mästling, ძველ ნორ. – messling, პოლნ. – mosiandz ჰქვია – მოსსენე, ანუ მოსსინიკის ტომის სახელისაგან არის წარმომდგარი. სწორედ ეს მოსსინიკები იყვნენ თითბრის ხელობაში განთქმულნი. ამ მადნის მეორე სახელიც, „თითბერი“, ნამდვილი ქართულია და ნიშნავს „თუთ-ფერი“, ე.ი. მთვარის (მეგრ. თუთა, ქართ. თთუც) ფერის მადანს. რკინის, განსაკუთრებით ფოლადის მომზადებაც, ბერძნებს, როგორც ეტყობა, პირველად ქართველი ტომებისაგან შეუსწავლიათ. ეს ფოლადის ბერძნული სახელიდანაც ჩანს: „ხალვფს, ხილვბდიკოს“ ხალიბების ტომის სახელწოდებისაგან არის წარმომდგარი და ხალიბურსა ნიშნავს. მართლაც, ხალიბების მიერ გაკეთებული რკინის ნივთები ძალიან განთქმული იყო. ერთი სიტყვით, უმთავრესი და კაცობრიობის წარმატებისათვის აუცილებლად საჭირო მადნის სახელები ან ქართველი ტომებისაგნ არის შეთვისებული, ან არადა მათი სატომო სახელწოდებისაგან არის წარმომდგარი. ამით ცხადად მტკიცდება, რომ ქართველ ტომებს მადნეულის შემუშავებაში კაცობრიობის წინაშე საპატიო ღვაწლი მიუძღვით“[1].

ჭეშმარიტებას ღაღადებდა დიდი მეცნიერი და მისი სიტყვების დადასტურებას ვნახავთ სხვა წყაროში: XX საუკუნის 70-იან წლებში გიორგი კვირკველიამ გამოსცა წიგნი „უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ“. იქ მოყვანილი უცხოელ მეცნიერთა მოსაზრებებით არათუ მტკიცდება ივანე ჯავახიშვილის შეხედულებები, არამედ კიდევ უფრო მასშტაბურად წარმოჩინდება პროტოქართველური ტომების

1 იხ.: ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, 1913 წ., ტ. I, გვ. 79-80.

როლი მსოფლიო მასშტაბით მეტალურგიის განვითარების საქმეში. მოვიტან რამდენიმე ციტატას ამ წიგნიდან: „დიდძალი არქეოლოგიური მასალისა და კლასიკური ხანის ავტორების ცნობებზე დაყრდნობით რ. ფორბსი მიდის იმ დასკვნამდე, რომ პონტოს რაიონი, სადაც ცხოვრობდნენ ხალიბები, თუბალები და მოსინიკები, წარმოადგენს მრავალი ფერადი ლითონისა და რკინის სამშობლოს...

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ უცხოელ მეცნიერთა უმრავლესობა დღესაც ერთხმად აღიარებს კავკასიისა და მცირე აზიის მეტალურგიის დიდ გავლენას შუმერზე, ეგვიპტეზე, კვიპროსზე, რომზე, საბერძნეთსა და დასავლეთ ევროპაზეც. ამ მხრივ, მათი აზრით, ყველაზე დიდი დამსახურება მიუძღვით პონტოს რაიონში, განსაკუთრებით მდინარე ჰალისის აუზში მცხოვრებ ტომებს – ხალდებს, მოსინიკებს და თუბალებს...

გერმანელი მეცნიერი რ. ვირხოვი ამტკიცებდა, რომ სპილენძის მეტალურგიას საფუძველი ჩაუყარეს პონტოს რაიონში მცხოვრებმა, მელითონეობით სახელგანთქმულმა ტომებმა, – ხალიბებმა და ტიბარენებმა...

ინგლისელმა ჰ. კარპენტერმა და პოლონელმა მკვლევარმა შტ. პშევორსკიმ მოსინიკები აღიარეს განსაკუთრებული და მაღალი ხარისხის სპილენძ-ბრინჯაოს მწარმოებელ ტომად მთელს მსოფლიოში...

მცირე აზიაში, – წერს რ. ფორბსი, – ვერცხლის მდიდარი საბადოებისა და ვერცხლოვანი ტყვიის მადნების არსებობა, ასევე პონტოში მცხოვრები სხვადასხვა ტომის, განსაკუთრებით, ხალიბების მიერ მეტალურგიის ცოდნით აღჭურვა და ის აღმოჩენები, რომლებიც მათ მიეწერებათ, გვაფიქრებინებს, რომ ვერცხლისა და ტყვიის რაფინირება პირველად შეიმუშავეს პონტოში, ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში. შემდგომ, – განაგრძობს იგი, – ეს ცოდნა გავრცელდა მთელს ძველ აღმოსავლეთში, მანამ, ვიდრე ძვ.წ. XV საუკუნეში ეს ორივე ლითონი ფართოდ არ იქნა ათვისებული.

პონტოს რაიონის ვეცხლის და ტყვიის დამორჩილების ეპიცენტრად აღიარების დასასაბუთებლად და ამ საქმეში ხალიბთა წვლილის წარმოსაჩენად რ. ფორბსს მოჰყავს სტრაბონის ცნობა ჰომეროსის მიერ Alybe-ს ქვეყნის „ვერცხლის წარმოების სამშობლოდ“ მიჩნევის შესახებ. იგი სავსებით იზიარებს Alybes chalybes-თან – „ხალიბთა ქვეყანასთან“ გაიგივების სტრაბონისეულ ვერსიას და ამ ცნობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს...

და აი, ძვ.წ. XIV საუკუნეში, მცირე აზიაში, პონტოს რაიონში, კერძოდ, მდ. ჰალისის ხეობაში მცხოვრებმა მელითონეობით სახელგანთქმულმა ქართველური მოდგმის ტომმა – ხალდებმა (ხალიბებმა) პირველად მთელ მსოფლიოში შეიმუშავეს ჯერ რკინის დაფოლადების, ხოლო შემდეგ კი ფოლადის მიღების ტექნოლოგია, რამაც დასაბამი მისცა რკინის ფართოდ წარმოებას აღმოსავლეთსა და დასავლეთში. საკაცობრიო მნიშვნელობის მოვლენას – ფოლადის აღმოჩენას – დასაბამი მიეცა იქ – პონტოს რაიონში, სადაც მეტალურგიასთან დაკავშირებით მსოფლიო მნიშვნელობის უდიდესი პრობლემა გადაწყდა“[1].

მაშ ასე, ციტირებული მოსაზრებები გვარწმუნებს, რომ ლითონის მოპოვებისა და დამუშავების საქმეში პროტოქართველურ ტომთა პირველობა უდავოა და, ამასთან, ლოკალიზებულია მათი განსახლების ადგილიც: მცირე აზიის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, ანუ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო, ოღონდ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს პროცესი დღევანდელი საქართველოს ტერიტორიას არ მოიცავდა. პირიქით,

1 იხ.: გიორგი კვირკველია, „უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1976 წ., გვ. 9-45.

ის თანდათანობით და ამასთან საკმაოდ სწრაფად ვრცელდებოდა ქართველთა განსახლების მთელ ტერიტორიაზე. ამასთან დაკავშირებით ქალბატონი მარინე ცინცაბაძე წერს: „ძვ.წ. VII ათასწლეულში ჩათალ-ქიუკში, ანატოლიაში (თანამედროვე თურქეთი) აღმოჩენილი მეტალურგიის ნიმუშები უკავშირდება ქართველ ტომებს: ხალიბს, თუბალს, მოსინიკს, რომლებმაც კულტურულ მსოფლიოს გააცნეს მეტალურგიის დარგი. ამის უტყუარი დასტურია ტერიტორიაზე მოძიებული და ძვ.წ. V-IV ათასწლეულებით დათარიღებული რკინის მდნობელი საამქროების სიმრავლე (გალის რ-ნი, სოფ. ფიჩორა, რაჭის, აფხაზეთის, შიდა ქართლის მთიანეთი). კერძოდ, გალის რ-ნის სოფელ ფიჩორაში აღმოჩენილია ძვ.წ. IV-III ათასწლეულების დასახლება, სადაც მოძიებულია მეტალის სხვადასხვა ნივთი (კავი, შუბისპირი) და საამქროსათვის საჭირო მოწყობილობა: კერამიკული მილები – ჰაერისათვის, ჩამოსასხმელი ჩამჩა. მოპოვებული მასალა ადასტურებს კოლხეთში მეტალურგიის დარგის არსებობას“[1]. თუ ამას დავუმატებთ სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში საყდრისის ოქროს საბადოს 5000 წლის წინანდელ მაღაროს, მაშინ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ლითონშემოქმედება პროტოქართველურ ტომთა ზოგადეროვნული ინტერესის საგანი იყო, აგრეთვე, ეროვნული თვითდამკვიდრებისა და თვითგამოხატვის ერთ-ერთი ფორმა. პროტოქართველ მელითონეთა მიერ აზიის, აფრიკისა და ევროპის ტომთა შორის წარმოებულმა „კულტურათა დიალოგმა“ მათი მონაპოვარი მსოფლიოს საკუთრებად აქცია. ეს დიალოგი გამოწვეული იყო იმ დიდი პასიონარული ბიძგის შედეგად, რამაც ძვ.წ. III ათასწლეულის შუახანებში დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთისაკენ დაძრა პროტოქართველური ტომები. მათი მოძრაობის თაობაზე ჩვენ ევროპაში ლითონის წარმოების გავრცელებითაც შეიძლება ვიმსჯელოთ.

მივუბრუნდეთ გიორგი კვირკველიას წიგნს. იქ ამოიკითხავთ: „ჩვენი საუკუნის (მე-20. პ.ი.) 40-ანი და 60-ანი წლების უცხოელ მკვლევართა უმრავლესობას უკვე აღარ ეპარება ეჭვი ცენტრალურ ევროპაში მეტალურგიის ძველი აღმოსავლეთიდან შემოსვლის შესახებ. „ამჟამად უკვე აღიარებულია, – წერს რ. ფორბსი, – რომ მეტალურგია ჩანასხობრივ მდგომარეობაში აღმოსავლეთიდან ევროპაში შემოიჭრა ძვ.წ. 2500 წელს, დუნაის ველისა და ტროას გავლით. ამ დროიდან, ერთდროულად, ცენტრალურ ევროპასა და უნგრეთში დაიწყო ბუნებრივი და გამოდნობილი სპილენძის ათვისება. ძვ.წ. 2200-2000 წელს სპილენძს უხვად ამუშავებდნენ კარპატებში, სლოვაკიაში, აღმოსავლეთ ალპებში, ბალკანეთში, ბოჰემიასა და საქსონიაში. ძვ.წ. 2100 წელს სპილენძის წარმოება დაიწყო პოლონეთში, 2000 წელს კი – ჩრდილოეთ იტალიაში და შემდეგ თანდათან გავრცელდა ჩრდილოეთითა და დასავლეთით. მეტალურგიამ ესპანეთში შეაღწია ზღვით არა უგვიანეს ძვ.წ. 2500 წლისა, რის შემდეგ, ძვ.წ. 2400-2000 წელს ოქროს, ვერცხლსა და სპილენძს დიდი მასშტაბით ამუშავებდნენ ალმერიასა და ანდალუზიაში“[2]. და ბოლოს, პირინეის ნახევარკუნძულიდან მოსულმა ხალხმა შეიტანა ბრიტანეთის კუნძულებზე ბრინჯაოს კულტურა და ამის წყალობით ბრიტანელები, სპილენძის ეპოქის გაუვლელად, ქვის ხანიდან პირდაპირ ბრინჯაოს ხანაში აღმოჩნდნენ.

ძნელი არ არის მიხვდე, თუ ვინ არიან ეს აღმოსავლეთიდან მოსული ხალხები,

1 იხ.: მარინე ცინცაბაძე, „ქართველი ტომები ძვ.წ. VII-ძვ.წ. I ათასწლეულებში“, წიგნი I,, 2009 წ., გვ. 20-21.

2 იხ.: გიორგი კვირკველია, „უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1976 წ., გვ. 9-10.

რომელთა მოძრაობასაც მოჰყვა მეტალურგიის განვითარება ევროპაში. ესენი დიდი პასიონარული ბიძგის შედეგად დაძრული პროტოქართველური ტომებია, რომელთა ერთი მარშრუტი ცენტრალურ ევროპაზე გადიოდა.

პროტოქართველურ ტომთა ერთმა ნაწილმა პირინეის ნახევარკუნძულიდან ბრიტანეთის კუნძულებამდე მიაღწია და მათი წყალობით განხორციელდა ზემოხსენებული ნახტომი ბრინჯაოს მეტალურგიაზე გადასვლისას.

ასე რომ, პროტოქართველურმა ტომებმა მეტალურგიის გავრცელებით ცივილიზატორული როლი შეასრულეს ევროპის განვითარების საქმეში, რამაც ამ კონტინენტის წინსვლას მტკიცე საფუძველი ჩაუყარა.

პროტოქართველური ტომების მიგრაციის დათარიღებისას, ენობრივი პარალელებისა და რიგი არტეფაქტების გარდა, ამა თუ იმ მხარეში ლითონის გავრცელების დროც აზუსტებს ეთნოსის მიგრაციის პერიოდებს. მით უმეტეს, რომ ისინი ემთხვევა პასიონარულ ბიძგებს და მათ სიმძლავრეს.

ქართველთა მიგრაციის დროისა და არეალის თაობაზე საყურადღებო კლასიფიკაციას იძლევა მარინე ცინცაბაძე დასახელებული ნაშრომის II წიგნში: „ძვ.წ. IV ათასწლეული – შუამდინარეთში (შუმერები),

ძვ.წ. III ათასწლეული – ასურეთი, ცენტრალური ევროპა, აღმოსავლეთი ევროპა, ჩრდილოეთი კავკასია,

ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნა – ბალკანეთის ნახევარკუნძული, კვიპროსი“[1].

რა ინფორმაციას გვაწვდის ეს ჩამონათვალი? – უაღრესად საყურადღებოს! ირკვევა, რომ პირველი დიდი პასიონარული ბიძგი ძვ.წ. IV ათასწლეულში მომხდარა, რის შედეგადაც პროტოქართველური ტომების ნაწილი დაიძრა შუამდინარეთისაკენ და იქ ჩამოაყალიბა შუმერულ-ქართული ერთობა. ძვ.წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში მოხდა მეორე და კიდევ უფრო ძლიერი პასიონარული ბიძგი, რომლის შედეგადაც პროტოქართველური ტომები მიემართებიან ერთი მხრივ ასურეთისაკენ, მეორე მხრივ კი – ჩრდილოეთი კავკასიის, აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპისაკენ და ბოლოს, ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის უდიდესი პასიონარული ბიძგის შედეგად პროტოქართველურმა ტომებმა დაიკავეს კუნძულოვანი და კონტინენტური საბერძნეთი და შეიქმნა დიდი პელასგური კულტურა კრეტის სახით; ბერძენთა მიერ დევნილი პელასგების ეტრურიაში გადასვლის შემდეგ – მისტიკურობით გაჯერებული ეტრუსკული კულტურა, რომაული ცივილიზაციის საფუძველი რომ გახდა და, ბოლოს, პელასგებმა შეაღწიეს პირინეის ნახევარკუნძულზე და იქ შექმნეს ბასკური კულტურა. პირინეის ნახევარკუნძულიდან და, უფრო ადრე, ცენტრალური ევროპიდან, პროტოქართველური ტომები გადავიდნენ ბრიტანეთის კუნძულებზე.

გარდა მეტალურგიისა, კოლონიზებულ ტერიტორიებზე პროტოქართველურმა ტომებმა იმ დროისათვის მოწინავე სასოფლო-სამეურნეო კულტურაც შეიტანეს. საქმე ისაა, რომ იმ მიწა-წყალზე, სადაც ჩვენი შორეული წინაპრები ცხოვრობდნენ, უშორეულეს წარსულში ინტენსიურ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწეოდნენ. „ხალხური სელექციის შედეგად გამოყვანილი მარცვლეული ჩვენსავე მიწა-წყალზე კულტურული ხორბლის სახეობათა წარმოქმნის უწყვეტი პროცესის მაჩვენებელია. მათ შორის ანასეულ I-ში აღმოჩენილი

1 იხ.: მარინე ცინცაბაძე, „აღმოაჩინე ათასწლეულის საქართველო“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2013 წ., გვ. 133.

ფაქტობრივი მასალა დათარიღებულია ძვ.წ. VII-V ათასწლეულებით“[1].

მიაქციეთ ყურადღება: ძვ.წ. VII ათასწლეული დასაწყისია პროტოქართველურ ტომთა სოციალური გააქტიურებისა, ამავე დროს, ეს მათი ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოვლენის დროც არის: ისინი თითქმის ერთდროულად ავლენენ როგორც ლითონშემოქმედების, ასევე სასოფლო საქმიანობის უნარს და იწყებენ მრავალგვარი მარცვლეული კულტურების მოყვანას: „მაგალითად, აღ. საქართველოში აღმოჩენილი, უძველესი ადრესამიწათმოქმედო დასახლების – არუხლოს ტერიტორიაზე (ბოლნისის რ., ძვ.წ. VI-V ათასწლეულები) ნაპოვნია ხორბლის შემდეგი სახეობები: ველური ერთმარცვლა კულტურები – ერთმარცვლა, ორმარცვლა, სპელტა, მახა, ძველკოლხური ასლი, რბილი, ქონდარა და მაგარი ხორბლები; იქვე დამოწმებული ეგილოფსის, ქერის (კილიანი და შიშველმარცვლიანი, ორ და მრავალმწკრივა), ფეტვის, ღომის, შვრიის, ოსპის და ბარდას ნაშთები“[2].

ხორბლეულის მოშენების ასეთი მრავალფეროვნება მეტყველებს პროცესის ინტენსიურობაზე, რაც ამ საქმეში პროტოქართველურ ტომებს უდავოდ პირველობას ანიჭებდა მაშინდელ მსოფლიოში და ქმნიდა პირობას, რომ ზემოხსენებული ხალხური სელექციის მონაპოვარი მთელ დანარჩენ სამყაროში გავრცელებულიყო: „ვ. დოროფეევისავე აზრით, დასავლეთ საქართველოს პირველ რელიქტურ სპელტას შეეძლო შეეღწია ირანსა და აზიის სხვა ქვეყნებში“[3]. დიახ, შეეძლო შეეღწია, მაგრამ საკითხავია, როგორ? ვფიქრობ, იმავე გზით, როგორითაც ქართველთა ლითონშემოქმედება გავრცელდა, ანუ მიგრაციის მეშვეობით: ყველა იმ ტერიტორიაზე, რომელსაც იკავებდნენ პროტოქართველური ტომები ემიგრაციის დროს, გადაადგილებისას, ისინი თესდნენ და იმკიდნენ მოსავალს, – ასე ხდებოდა ადამიანთა დიდი მასების ხორბლით უზრუნველყოფა მგზავრობისას. შესაბამისად, სადაც ჩვენი შორეული წინაპრები დამკვიდრდებოდნენ, იქ ვრცელდებოდა ქართული ხორბლის ჯიშები და არა მხოლოდ ის, არამედ ქართული სასოფლო-სამეურნეო იარაღებიც, სამეურნეო ნაგებობებიცა და საცხოვრებელი სახლებიც. ამ საკითხთან დაკავშირებით ესპანეთში მოგზაურობის დროს საყურადღებო დაკვირვებების თაობაზე წერს აკადემიკოსი ნ. ვავილოვი: „ასტურიაში ჩვენ მოგვიყვანა მსოფლიო მიწათმოქმედების ისტორიის შესწავლამ, ცდამ, აღგვედგინა ევროპული სამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ისტორიული პროცესის რგოლები. ასტურია ევროპის თითქმის ხელუხლებელი კუთხეა: ადამიანები, ნაგებობები, კულტურა – აქ ყველაფერი განსაკუთრებულია, შენობათა გაბატონებული ტიპია ეგრეთ წოდებული „პალაფიტი“ – ნაგებობა ხის ან ქვის ხიმინჯებზე, აუცილებლად გამოყოფილი ქვის ქოლგით უშუალოდ შენობისაგან. ეს კეთდება ნესტისა და თაგვებისაგან დასაცავად. პელაფიტური ტიპი დამახასიათებელია არა მხოლოდ მარცვლეულის საცავებისათვის, არამედ საცხოვრებელი სახლებისთვისაც. პალაფიტური ნაგებობა ძველი კულტურის ბევრ ქეყანაში გვხვდება; მათი ნახვა შეიძლება ამიერკავკასიაში, ლენქორანში, დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში, ტაივანზე და მალაის კუნძულებზე“[4].

ხიმინჯებზე შემდგარ სახლებსა და სამეურნეო ნაგებობებს, მაგალითად, სიმინდის შესანახ ნალიას, ახლაც ვხვდებით დასავლეთ საქართველოში, რომლის ნაწილიც არის აფხაზეთი (ნ. ვავილოვს ის რატომღაც ცალკე აქვს დასახელებული). ამას გარდა, ხიმინჯებზე შემდგარ სახლებს შეხვდებით თურქეთის საქართველოში, ანუ იმ ტერიტორიებზე, სადაც ლაზები მოსახლეობენ. ამასთან, იქ კლიმატიც დაახლოებით ისეთივეა, როგორც დასავლეთ საქართველოში. როგორც ჩანს, ის, რაც ასტურიასა და დასავლეთ საქართველოში ოპტიმალური ფორმაა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობისათვის, ხანგრძლივი ძიების, გეოგრაფიული გარემოსა და კლიმატის თავისებურების გათვალისწინებითაა შექმნილი; მაგრამ მივყვეთ ნ. ვავილოვის მონათხრობს: „მთელ ესპანეთში მხოლოდ ასტურიაში შემორჩა ნამდვილი ასლის კულტურა – განსაკუთრებული, ფურჩოვანი ხორბლისა, რომლის წარმომავლობაც აქამდე რჩება ამოუხსნელ გამოცანად. მაშინ, როცა რბილი ხორბლის მსოფლიო კერა აკრავს ამიერკავკასიასა და წინა აზიას; ბავარიის, ტიროლისა და ასტურიის ფარგლებში უკვე მრავალი ასწლეულია და ალბათ ათასი წელია, განკერძოებულია განსაკუთრებული შტო, რბილ ხორბალთან გენეტიკურად მეტად ახლობელი, მაგრამ სრულიად ორიგინალური, მთის რაიონებისათვის დამახასიათებელი, ძნელად გასალეწი. ამასთან, ასტურიული ასლი განსხვავებულია, ვიდრე ტიროლისა და ბავარიისა, არაა საშემოდგომო ნათესი, როგორც იქ, არამედ მარტოოდენ საგაზაფხულო ნათესია. ასტურიაში ძირითადად თავმოყრილია ფხიანთავთავიანი ასლის ფორმები“[1].

გენეტიკოს ნ. ვავილოვისათვის, მართლაც გამოცანა იყო, საიდან გაჩნდა ასლის ჯიშის ხორბალი ასტურიაში; ჩვენ ხომ ვიცით პროტოქართველურ ტომთა დასავლეთისაკენ მიგრაციის შესახებ. ნ. ვავილოვისათვის, ბუნებრივია, ეს ყველაფერი უცნობი იყო, მაგრამ საინტერესოა, რომ ის თავისი დარგის ფარგლებში ხედავს ასტურიის ხორბლის ჯიშებისა თუ საცხოვრებელი სახლებისა და სამეურნეო ნაგებობების მისთვის აუხსნელ კავშირს დასავლეთ ქართულთან...

„ჩვენ აღმოვჩნდით ასტურიაში სწორედ ასლის აღებისას. ჩვენდა გასაკვირად, აღმოჩნდა, რომ ამ კულტურას ნამგლით და ცელით კი არ იღებენ, არამედ ხის ჯოხების დახმარებით, რომლითაც თავთავებს წყვეტენ და კალათში ყრიან. 60 ქვეყანაში ყველა ჩვენი მრავალრიცხოვანი მოგზაურობისას არასდროს გვინახავს ხორბლის აღების ასეთი საშუალება, და მხოლოდ მოგვიანებით, დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, ლეჩხუმის დასახლებაში ვნახეთ ამდაგვარი ხერხი. იქ, სადაც ახლახან აღმოჩენილ იქნა ხორბლის შესანიშნავი ენდემური ჯგუფი, მათ შორის განსაკუთრებული სახეობა, გენეტიკურად მეტად ახლობელი ნამდვილი ასლისა.

ამრიგად, აგრონომიულად და ბოტანიკურად შესაძლებელი გახდა ჩრდილოეთი ესპანეთის გასაოცარი კავშირის დადგენა საქართველოსთან. ამასთან, თავად ობიექტი და თავად აგროტექნიკა იმდენად სპეციფიკურია, რომ შეუძლებელია ეჭვის შეტანა ამ კავშირის დიდ მნიშვნელობაში“[2].

ასეთია აკადემიკოს ნიკოლოზ ვავილოვის დაკვირვების ხასიათი. მან მრავალმხრივი კავშირი აღმოაჩინა ასტურიასა და დასავლეთ საქართველოს შორის: საცხოვრებელი სახლები, სამეურნეო ნაგებობები, ხორბლის ჯიშები და ბოლოს აგროტექნიკა – მოსავლის ასაღები ჯოხები, რომელსაც „შნაკვი“ ეწოდება. მსგავსება იმდენად დიდია, არ შეიძლება, არ იფიქრო, რომ ერთ დროს ჩრდილოეთი ესპანეთი და კოლხეთი ერთი დიდი სამიწათმოქმედო კულტურის ორი შემადგენელი ნაწილი იყო. ასეთი მასშტაბის სამიწათმოქმედო კულ-

1 იხ.: ნ. ბრეგაძე, „საქართველო – მიწათმოქმედების დამოუკიდებელი კერა“, თბილისი, 2004 წ., გვ. 14.

2 იხ.: იქვე, გვ. 12.

3 იხ.: იქვე, გვ. 33.

4 იხ.: Н.И. Вавилов, «Пять нонтинентов», Государственное издательство географической литературы, Москва, 1962 г., გვ. 213-214.

1 იხ.: იქვე, გვ. 214.

2 იხ.: იქვე, გვ. 214.

ტურა, რომელიც, სავარაუდოდ, ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებს სრულად მოიცავდა, ამ არეალზე განსახლებული პროტოქართველური ტომების მიერ იყო შექმნილი და ეს იყო ლითონშემოქმედების შემდეგ მეორე დიდი შენატანი მაშინდელი მსოფლიოსა და, კერძოდ, ევროპის სამიწათმოქმედო კულტურის განვითარების საქმეში.

აშკარაა, რომ პროტოქართველური ტომების გრანდიოზული მასშტაბის ემიგრაციული აქტიურობის გარეშე ორივე ზემოხსენებული ნოვაცია – მელითონეობა და მიწათმოქმედება – სწრაფად და ეფექტიანად იმ დროის სამყაროს მოზრდილ ნაწილში ვერ გავრცელდებოდა.

პროტოქართველთა კიდევ ერთი შენატანი მსოფლიო ცივილიზაციის ჩამოყალიბების საქმეში მევენახეობა და მეღვინეობაა.

დიდი ხანია, მეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს ქართულ მეღვინეობის კულტურას, დიდსა და მეტად არქაულს, რომლის ღვინის დაყენების ტექნოლოგიის პროცესი არსებითად წარმოადგენს უძველეს რელიგიურ რიტუალს, რის ჩატარების შედეგადაც იქმნება ღვთაებრივი სასმელი...

არსებობს მკვლევართა არაერთი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ღვინის კულტურა საქართველოში ჩაისახა და აქედან გავრცელდა მსოფლიოს დიდ ნაწილში. ისინი ეყრდნობოდნენ ან ისტორიულ წყაროებს, ან საკუთარ კვლევა-ძიებას. ასე, მაგალითად: ქართველ მეცნიერს, რევაზ რამიშვილს, თავის მონოგრაფიაში მოჰყავს ასურული წყაროებიდან მომდინარე ფაქტი, რომლის მიხედვითაც ხუთი ათასი წლის წინ, სარგონ დიდს, შუმერთა აქადური დინასტიის ფუძემდებელს, რომელიც ძვ.წ. 2369-2314 წლებში მეფობდა, კაპადოკიაში ულაშქრია და იქიდან თავის ქვეყანაში წაუღია ლეღვის ორი ჯიში, ვარდი და, სხვა მცენარეებთან ერთად, ვაზი. რ. რამიშვილი წერს კაპადოკიის ამიერკავკასიასთან სიახლოვეზე, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ იქ პროტოქართველური ტომები ცხოვრობდენენ...

შემდეგ წიგნის ავტორი გვაცნობს კიდევ ერთ უცხოურ წყაროს, რომელიც მოგვითხრობს ვაზის საქართველოდან გავრცელების თაობაზე:

„ამ ფაქტთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ არის ცნობილი გერმანელი მკვლევრის, ვ. ჰენის ლინგვისტურ-ფლორისტული ანალიზი: „ვაზის ჭეშმარიტი სამშობლო კასპიის ზღვის მახლობლად მდებარეობს, უღრან ტყეში მკლავის სიმსხო ვაზები უზარმაზარ ხეებზეა გადახლართული და მშვენიერი მტევნებით ხიბლავს ადამიანს. იქ და მის მახლობლად: კახეთში, სამეგრელოში, სომხითში, სადაც დღესაც შემორჩა უძველესი წეს-ჩვეულებები და რაც ბერძნების და რომაელების თხზულებებიდან არის ცნობილი, მოჰყავთ ნარინჯისფერი, ბალზამური სიტკბოს მეტად არომატული ვაზის ჯიშები, ხოლო უკეთილშობილესი კახური საფერავი ისეთ მუქწითლად შეფერილ წვენს იძლევა, რომ ამ წვენით მანდილოსნები ერთმანეთს მოკითხვის ბარათებსაც კი უწერენ“. შემდეგ მკვლევარი განაგრძობს: „...აქედან, სემიტური ტომების საშუალებით, ვაზი ქვემო ევფრატის და სამხრეთ-დასავლეთ მიმართულებით ე.წ. მცირე აზიაში ლიდიელებთან, ფრიგიელებთან, მიდიელებთან და სხვა ირანელებთან, ხოლო შემდგომ, როგორც ჩრდილოეთით და ასევე ზღვით, საბერძნეთის ნახევარკუნძულზე გავრცელდა“[1].

უაღრესად საყურადღებოა წიგნის ავტორის მიერ მოძიებული ფაქტები. თუ ასურული წყარო იმას გვამცნობს, რომ სარგონ დიდმა პროტოქართველებით დასახლებული კაპადოკიიდან ვაზი წამოიღო, მაშასადამე, ძვ.წ. III ათასწლეულში პროტოქართველურ სამყაროში მევენახეობა და მეღვინეობა საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა და დამპყრობელზე ამ საქმიანობის სარგებლიანობას ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ თავად უცდია თავის ქვეყანაში ამ შედეგის მიღება...

ვ. ჰენი, როგორც ჩანს, მევენახეობის წარმოშობის საკითხების კვლევისას, საქართველოში გადააწყდა დიდ ხეებზე ასულ ველურად გახარებულ ვაზს და ამან მიახვედრა, რომ ვაზის სამშობლოში, მევენახეობისა და მეღვინეობის უპირველეს კერაში იმყოფებოდა. ცხადია, ეს არის სწორი დასკვნა, რომლის გამოტანასაც მის მიერ ნანახმა ქართულმა ღვინის კულტურამაც შეუწყო ხელი.

ვ. ჰენის მსჯელობაში სადავო მხოლოდ ისაა, რომ ლიდიელები და ფრიგიელები ირანელებად მიიჩნია (ეს შეუსაბამობა თავის წიგნში რ. რამიშვილსაც აქვს აღნიშნული).

ციტირებული ფაქტები გვიდასტურებს, რომ მეცნიერები კარგა ხანია ვარაუდობენ, საქართველო კულტურული ვაზის სამშობლოა და ამ შეხედულებას ყველა თავისებურად, მისთვის ხელმისაწვდომი ფაქტების გამოყენებით ასაბუთებს. ასე, მაგალითად: „საქართველოს ამპელოგრაფიაში“ ამოიკითხავთ: „ა. ნეგრული სამართლიანად მიდის იმ დასკვნამდე, რომ მევენახეობა დამოუკიდებლივ განვითარდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში და აზერბაიჯანის ზოგიერთ რაიონში. საქართველოდან მევენახეობა გავრცელდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე (საბერძნეთში), აქედან კი რომში, სიცილიასა და სხვაგან.

ის ფაქტი, რომ ამჟამად გავრცელებულია 20.000-ზე მეტი ჯიში ვაზისა, ერთ-ერთი დამადასტურებელი საბუთია იმისაც, რომ იყო მევენახეობის განვითარების რამდენიმე დამოუკიდებელი ცენტრი: შუა აზიისა, ჩინეთისა, დასავლეთ აზიისა და სხვა. ამათგან, კულტურული ვაზის წარმოშობისა და მეღვინეობის განვითარების მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო და არის საქართველო, სადაც ჩამოყალიბდა 500-ზე მეტი ჯიში, ანუ მსოფლიოს მთელი ასორტიმენტის 2,5%“[1].

როგორც ხედავთ, ამ ციტატაშიც ლაპარაკია იმაზე, რომ საქართველო არის მევენახეობისა და მეღვინეობის დამოუკიდებელი კერა, დედამიწაზე არსებულ დანარჩენ რამდენიმე კერასთან ერთად. აქვე აღიარებულია ქართული ცენტრის მნიშვნელობა და ამის არგუმენტად მოხმობილია ჩვენს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული ვაზის ჯიშების რაოდენობა და მათი პროცენტი ვაზის ჯიშთა საერთო რაოდენობაში, რაც, დამეთანხმებით, საკმაოდ შთამბეჭდავია და ბოლოს: საყურადღებოა იმ ტერიტორიებისა და ქვეყნების ჩამონათვალი, სადაც საქართველოდან გავრცელებულა მევენხეობა.

ზემოთ მოყვანილი ციტატა რომ ჭეშმარიტების მღაღადებელია, ამის დადასტურებაა სხვა ავტორის მოსაზრება, უახლეს სამეცნიერო კვლევაზე დაფუძნებული: „არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ვაზის კულტურას საქართველოს ტერიტორიაზე ფართო გავრცელება ჰქონია. იგი მოიცავს პერიოდებს: ნეოლითი-ბრინჯაო, ანტიკურ და შუა საუკუნეებს, რაც გვაფიქრებინებს ამ კულტურის უწყვეტობაზე. ხოლო ენეოლითის (ძვ.წ. VI-IV ათასწლეულები) ხანაში კულტურული ვაზის ამ კერის პირველადობაზე მეტყველებს, ვინაიდან დღემდე არსებული მონაცემების მიხედვით, იგი ყველაზე ადრეულია“[2].

1 იხ.: რევაზ რამიშვილი, „ქართული ვაზისა და ღვინის ისტორია“, თბილისი, 1998 წ., გვ. 26-27.

1 იხ.: ნ. კეცხოველი, მ. რამიშვილი, დ. ტაბიძე, „საქართველოს ამპელოგრაფია“, თბილისი, 1960 წ., გვ. 14-15.

2 იხ.: ნანა რუსიშვილი, „ვაზის კულტურა საქართველოში – პალეოენობოტანიკური მონაცემების საფუძველზე“, ასოციაცია „მთენი“, 2010 წ., გვ. 36.

ასე რომ, მელითონეობისა და ხორბლის კულტურების გავრცელეის გარდა, მევენახეობა-მეღვინეობაც პროტოქართველური ტომების მიერ გავრცელებული უნდა იყოს.

ქართველმა ტომებმა მსოფლიო კულტურას შესძინეს სხვაც ბევრი რამ, რომელთა დაწვრილებით აღწერა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ თქვენი ყურადღება უნდა შევაჩერო რამდენიმე მათგანზე: ძვ.წ. III საუკუნის ბერძენ პოეტსა და მეცნიერს, აპოლონიოს როდოსელს თავისი „არგონავტიკის“ IV წიგნში ასეთი რამ უწერია:

„ხოლო აია, დღესაც ურღვევი, დგას და ცხოვრობენ იმ დიდ ქალაქში
იმ მამაც გმირთა შთამომავალნი, დიდმა მოლაშქრემ აქ რომ დატოვა.
შენახული აქვთ მამაპაპური ძველი კირბები, წერილსვეტები,
და იმ კირბებზე ნაჩვენებია გზები ყოველთა ზღვათა და ხმელთა“[1].

რომ არაფერი ვთქვათ აპოლონიოს როდოსელის მიერ ფაზისის მკვიდრთა ეგვიპტური წარმოშობის ჰეროდოტესეული ვერსიის გამეორებაზე, რისი უსაფუძვლობის შესახებაც უკვე მოგახსენეთ, როდოსელი უდავოდ საყურადღებო ცნობას გვაწვდის იმის თაობაზე, რომ კოლხები, რომელთა კირბებზეც ასახული იყო საზღვაო და სახმელეთო გზები, ყოფილან კარტოგრაფიის შემქმნელნი და გამავრცელებელნი ანტიკურ სამყაროში.

ახლა განვიხილოთ, რას წარმოადგენდა თავად ეს კირბები. ამასთან დაკავშირებით ანტიკური კულტურის ცნობილი ქართველი მკვლევარი აკაკი ურუშაძე წერდა: „კირბის სიტყვის ეტიმოლოგია აქ დამოწმებულ ცნობებში ნაირგვარადაა მოცემული. ბერძენ ავტორებს, ჩანს, მთლად ნათელი წარმოდგენა კირბებზე არ ჰქონდათ. ამის მიზეზი, უნდა ვივარაუდოთ (და ეს ვარაუდი თვითონ ბერძენთა გადმოცემებს ემყარება), ის იყო, რომ კირბები ბერძნული სამყაროსთვის უცხო წარმომავლობის, წინაელინური მოსახლეობის – პელასგების წიაღში წარმოშობილ ძველისძველ ძეგლებს წარმოადგენდნენ. დროთა განმავლობაში უცხო წარმომავლობის კირბები ბერძნულ „აქსონებს“, სვეტებზე წაწერილ კანონებს გაუთანაბრეს“[2].

ამრიგად, კირბებს ბერძნები სვეტებზე წაწერილ კანონებს უწოდებდნენ და წერის ეს ფორმა მათ პელასგებისგან, ანუ პროტოქართველური ტომისაგან შეითვისეს. კირბები მათი დამწერლობის ფორმა იყო და მას, პირველ რიგში, პელასგი ქურუმები, კორიბანტები გამოიყენებდნენ. ამასვე ადასტურებს აკაკი ურუშაძე: „ანტიკურ წყაროთა ჩვენებით კორიბანტები მცირე აზიის ავტოხთონური ტომებისა და წინაელინურ პერიოდში კრეტაზე მოსახლე პელასგების მატრიარქალური ღვთაების, კიბელეს ქურუმები იყვნენ“[3].

საინტერესო ფაქტია – ატლანტისელთა ყოფის აღწერისას პლატონი მიუთითებს, რომ მათ კანონები სტელაზე ჰქონდათ დაწერილი, ანუ ეს იყო კირბი. საყურადღებოა, რომ პლატონი იმასაც წერს, ატლანტისელი მეფეები სასამართლოს გამართვის შემდეგ განაჩენს ოქროს ფიცარზე წერდნენო. მაშასადამე, კირბები არა მხოლოდ სვეტები იყო, არამედ ფიცარი ან დაფა, რომელზეც, გარდა კანონების წერისა, რუკის დახატვაც შეიძლებოდა, მაგალითად, სახმელეთო და საზღვაო გზების ამსახველი რუკისა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ პროტოქართველურ ტომთა კიდევ ერთი შენატანი მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების

1 იხ.: აპოლონიოს როდოსელი, „არგონავტიკა“, გამომცემლობა მეცნიერება“, თბილისი, 1975 წ., გვ. 163.

2 იხ.: აკაკი ურუშაძე, „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“, თბილისი, 1964 წ., გვ. 158.

3 იხ.: იქვე, გვ. 160.

საქმეში კარტოგრაფიაა...

კიდევ ერთი ასეთი მნიშვნელოვანი შენაძენი მედიცინა გახლავთ. ქართულ თქმულებაში ამირანის შესახებ არის ერთი არქაული პლასტიკა, ისეთივე ძველი, როგორიც ცეცხლის მოპოვების ამბავია, ოღონდ მასში წამლის დამზადებაზეა ლაპარაკი. ერთგან ამირანის მიერ ზეციდან მოტაცებული ქალღმერთი ყამარი თაგვისაგან გაიგებს სამკურნალო ბალახის შესახებ: თაგვმა ხომ თავისი მკვდარი შვილი ბალახით გააცოცხლა.

მეორეგან, დევებმა ამირანს შვიდი კვირისა და შვიდი დღის ბანგი შეაპარეს და დააძინეს.

„ამრიგად, „ამირანიანში“ საძილე საშუალებაა გამოყენებული. აღსანიშნავია, რომ აქ მინიშნებულია ამ წამლის დამზადების ერთი გარკვეული მომენტი, რომ ეს საძილე საშუალება, რომელიღაც სამკურნალო მცენარე, შვიდ კვირასა და შვიდ დღეს უნდა ყოფილიყო სხვა მინარევებთან ერთად გარკვეული რეაქციების დასასრულებლად“[1].

სხვათა შორის, ამირანის თქმულებაში საკეისრო კვეთაზეც არის ლაპარაკი, თავად ამირანი ამ გზით არის დაბადებული; იქვე მითითებულია დღენაკლული ახალშობილის გამოზრდის მეთოდი, – სამი თვე დეკეულის ფაშვში უნდა ჰყოლოდათ და კიდევ სამი თვე, – კუროსაში.

თქმულების არქაულ პლასტებში აშკარად იკითხება ქართველთა უშორეულესი წინაპრების დაწინაურება მედიცინის საქმეებში და არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ უკვე ბრინჯაოს ხანაში კოლხ ქალებს ფარმაკოლოგიისა და კოსმეტოლოგიის გასაოცარი ნიჭი ჰქონდათ. იმან, რასაც „არგონავტიკასა“ და ამ ნაწარმოების კომენტატორთა შრომებში ვკითხულობთ, არ შეიძლება არ დაგვარწმუნოს მედიცინის იმ მაღალი დონის არსებობაში, რაც ხსენებული პერიოდის კოლხეთში იყო.

დიონისოს სკიტობრაქიონი მედეას დედის, ჰეკატეს, შესახებ ასეთ ცნობას გვაწვდის: „ამბობენ, რომ [ჰეკატე] მამაცი იყო სამონადირეო საქმეებში და რომ მან პირველმა აღმოაჩინა მომაკვდინებელი ფესვები და შხამებით მოაკვდინა საკუთარი მამა; კოლხეთში გაგზავნილი ცოლად გაჰყვა ბიძას – აიეტს; მისგან წარმოიშვნენ კირკე და მედეა. კირკემ, რომელიც მედეაზე უფროსი იყო, ბევრად აჯობა თავის დედას; ზოგი რამ მისგან შეითვისა, ზოგი რამ კი – მრავალი და საზარელი – თვითონ აღმოაჩინა. ჰესიოდე კი ამბობს, კირკე ჰელიოსის ასული იყოო“[2].

აიეტის უფროსი ქალიშვილისა და შემდეგ, როგორც ვნახავთ, უმცროსის – მედეას წარმატება წამლებისა და შხამების მომზადების საქმეში მხოლოდ მათი ნიჭიერების შედეგი არ არის. ეს კოლხეთში ამ მიმართულებით მიმდინარე ექსპერიმენტების გაგრძელებად უნდა გავიგოთ. საუკუნოვანი გამოცდილება მედეას ხელში ადამიანებზე ზემოქმედების ძლიერ იარაღად იქცა. ასე, მაგალითად: მეფე პელიასზე გავლენა რომ მოეპოვებინა, აიეტის ასულმა შემდეგი რამ მოიმოქმედა: „მედეამ არტემიდეს ამოღარული ქანდაკება გააკეთა და შიგ ყველანაირი თვისების წამალი ჩამალა, მერე საკუთარი თმები რაღაც საშუალებით გაიჭაღარავა, ხოლო სახე და სხეული ისე ძლიერ დაინაოჭა, რომ მის დამნახველთ ეგონებოდათ, მთლად ბებრუცუნა ვინმეაო“[3].

1 იხ. მიხეილ შენგელია, „უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინა“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1970 წ., გვ. 23-24.

2 იხ.: აკაკი ურუშაძე, „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“, თბილისი, 1964 წ., გვ. 374.

3 იხ.: იქვე, გვ. 399.

„ამბობენ, [მედეა] ერთ მომცრო ოთახში ჩაიკეტა, მთელ სხეულზე წყალი გადაისხა და წამლების ძალა ჩამოირეცხა. ამგვარად ძველი შესახედაობა დაიბრუნა და როცა მეფეს გამოეცხადა, ყველა მნახველი გააოცა“[1].

აქ, როგორც ხედავთ, ლაპარაკია კოსმეტოლოგიაში წარმატებებზე, უფრო სწორად კი გრიმისა და მაკიაჟის ხელოვნების ვირტუოზულ ფლობაზე, რაც, ბუნებრივია, შემდეგ გავრცელდა საბერძნეთსა და დანარჩენ ევროპაში.

მედეა უშვილობასაც მკურნალობდა: „კორინთოდან ლტოლვილი მედეა ეგეოსთან ცხოვრობდა. იგი მას უშვილობისაგან ჯადოსნური წამლით განკურნებას დაჰპირდა“[2].

მედეამ დაპირება შეუსრულა ეგეოსს და ის არა მარტო განკურნა უშვილობისაგან, არამედ მას გაუჩინა ვაჟი, სახელად მედოსი...

მედეას წარმატებები ფარმაკოლოგიის, კოსმეტოლოგიის, გრიმისა და მაკიაჟის ხელოვნებაში ეფუძნებოდა ძველი კოლხეთის მიღწევებს ამ დარგებში და ნასაზრდოები იყო სამკურნალო მცენარეების თვისებათა გამოვლენის, მათი შეგროვებისა და მოვლის კოლხური ტრადიციით. იმის შესახებ, თუ რას ფლობდნენ მედეა და ჰეკატე ფაზისის პირას, გალავანშემოვლებულ სამკურნალო მცენარეთა ბაღში, წერს ხალხური მედიცინის მკვლევარი მიხეილ შენგელია:

„ორფიკული არგონავტიკის ახალ ქართულ თარგმანში ეს სამკურნალო მცენარეები შემდეგი თანმიმდევრობითაა დასახელებული, ძირითადად ბერძნული ტრანსკრიფციით: 1. დაფნა, 2. შინდი, 3. ჭადარი, 4. ასფოდელოსი, 5. კლიმენოსი, 6. სურნელოვანი ადინტოსი, 7. თრიონი, 8. კიპირონი, 9. არისტერიონი, 10. ანემონი, 11. ჰორმინონი, 12. ირისიმონი, 13. იისფერი კიკლამოსი, 14. სტექასი, 15. პეონია, 16. მრავალტოტა კატერნესი, 17. მანდრაგორა, 18. პოლიონი, 19. მტვრიანი დიკტამნონი, 20. კეთილსურნელოვანი კიროკოსი, 21. კარდამონი, 22. კემოსი, 23. სმილაქსი, 24. ქამემელონი, 25. შავი მეკონი, 26. ალკია, 27, პანაკესი, 28. კარპასონი, 29. აკონიტონი, აქვეა მრავალი შხამიანი ბალახი, 30. მუხა.

ნახსენებია კიდევ შემდეგი მცენარეები, რომლებიც აქვე, „შემოღობილი ჭალაკის“ გარეთ, „წმინდა სამყოფელში“ შესვლამდე გამოიყენეს არგონავტებმა მედეასთან ერთად წამლის შესართავად თუ „მსხვერპლშეწირვის“ მაგიური რიტუალისათვის: 31. ღვია, 32. ხმელი კედარი, 33. ეკლიანი კვრინჩხი, 34. მტირალა ტირიფი, 35. ქალკანთოსი, 36. სტრუთიონი, 37. კნეკოსი, 38. სქისტი, 39. უგემური ფსილიონი, 40. წითელი ანქუსა, 41. ქალკიმონი, 42. ფიჭვი ხმელი“[3].

მცენარეთა ეს ჩამონათვალი ნათლად გვიჩვენებს ბუნების მრავალფეროვნების ღრმა ცოდნას კოლხთა მიერ და მათ უნარს, დაემზადებინათ მრავალი წამალი თუ საწამლავი. ფარმაკოლოგიაში მათი წარმატებების ევროპელთათვის გაცნობა, როგორც ჩანს, პერმანენტულად მიმდინარეობდა, ხოლო ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან, რაც არგონავტების ლაშქრობას ემთხვევა, ამ პროცესმა ინტენსიური ხასიათი მიიღო. ჩანს, მედეასგან ბევრი რამ გახდა ცნობილი ეგეიდის მცხოვრებთათვის და კოლხური მედიცინისა და კოსმეტოლოგიის მიერ მოხდენილი ეფექტი იმდენად დიდი იყო, რომ მედეას რაღაც ზებუნებრივი თვისებები მიანიჭეს.

1 იხ.: იქვე, გვ. 400.

2 იხ.: პლუტარქე, „რჩეული ბიოგრაფიაები“, „თეზევსი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1975 წ., გვ. 31.

3 იხ. მიხეილ შენგელია, „უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინა“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1970 წ., გვ. 128.

ფარმაკოლოგიაში კოლხთა მიღწევები მნიშვნელოვანი იყო შემდგომაც. მაგალითად, ძვ.წ. II-I საუკუნეების შესაყარზე მცირე აზიის ჩრდილო-აღოსავლეთ ტერიტორიებზე, – სადაც ქართველური ტომები ცხოვრობდნენ და დღესაც ცხოვრობენ, – არსებულ ბერძნულ-ქართველურ პონტოს სამეფოს განაგებდა მითრიდატე VI ევპატორი, რომელსაც სამი დიდი ომი ჰქონდა რომის რესპუბლიკასთან. პონტოს ეს მმართველი, რომელიც ამავე დროს კოლხეთსაც ფლობდა, გარემო პირობებმა აიძულა, შხამების საწინააღმდეგო წამლები ეძია, რადგან მოწამვლისა ეშინოდა; მის სახელს უკავშირდება ანტიშხამი მითრიდატუმი. ამ გამოგონების შესახებ ქართული მედიცინის წარსულისადმი მიძღვნილ და ჩვენს მიერ უკვე ციტირებულ წიგნში ამოიკითხავთ: „მითრიდატუმი ანტიკური მსოფლიოს სამკურნალო საშულებათა შორის ყველაზე პოპულარული იყო და იგი თითქმის XIX საუკუნის ბოლომდე გავრცელებული იყო ევროპისა და აღმოსავლეთის ყველა კულტურულ ქვეყანაში და მიჩნეული იყო უნივერსალურ საშუალებად მოწამვლისა და შხამების საწინააღმდეგოდ და მთელ რიგ დაავადებათა სამკურნალოდ“[1].

იმ ტერიტორიაზე, სადაც პონტოს სამეფო მდებარეობდა, ცხოვრობდნენ ქართველი ტომები: ხალიბები, ტიბერიანელები, კოლხები, მოსინიკები, მაკრონები, დრილები და ტაოხები; აგრეთვე, და ეს მე უკვე მოგახსენეთ, პონტოს სამეფოს გავლენის სფეროში მოქცეული იყო კოლხეთი თავისი სამკურნალო რესურსებითა და უძველესი სამედიცინო ტრადიციით. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მითრიდატუმის შემადგენლობის თითქმის ყველა კომპონენტი მოიპოვებოდა ქართველ ტომთა განსახლების, მდიდარი ბუნების მქონე, გეოგრაფიულ არეალში, იშვიათი გამონაკლისის გარდა. მიხეილ შენგელიას ზემოხსენებულ მონოგრაფიაში მოყვანილია მითრიდატუმის რეცეპტი, რომელიც ჩამოაყალიბა ინგლისელმა მეცნიერმა ჯ. ვატსონმა რომაელი სწავლულის, „De Medicina“-ს ავტორის, ავლუს კორნელიუს ცელსუსის მიხედვით:

1.	ასფურცელა	1,66 გრ	19.	წიწაკა, პილპილი, წითელი პილპილი	20,66 გრ
2.	კორხუჯი	20 გრ	20.	Styrax	21 გრ
3.	Malabothrum leaves	24 გრ	21.	თახვის ყვერი	24 გრ
4.	კრაზანა	8 გრ	22.	Frankincense	24 გრ
5.	ფისი	8 გრ	23.	Hypocistis juice	24 გრ
6.	Saxapenum	8 გრ	24.	Myrth	24 გრ
7.	აკაცია (აკაციის წვენი)	8 გრ	25.	Opoponax	24 გრ
8.	ზამბახი	8 გრ	26.	ჭილი	24,26 გრ
9.	კაკული (ილი, ჰილი)	8 გრ	27.	უკადრისა, ტყის ინა, ღელის ინა	24,66 გრ
10.	ანისული	12 გრ	28.	ქალბანა	24,66 გრ
11.	ნარდი	16 გრ	29.	ფერისცვალა	24,66 გრ
12.	ნაღველა, შხამა, ასისთავა	16 გრ	30.	ნარდი	24 გრ

1 იხ.: იქვე, გვ. 154.

13.	ვარდი (ვარდის მშრალი ფოთლები)	16 გრ	31.	Onobalsam	25 გრ
14.	ყაყაჩო	17 გრ	32.	წიწმატურა	25 გრ
15.	ოხრახუში	17 გრ	33.	რევანდი	28 გრ
16.	სინამაქის ხე	20,66 გრ	34.	ზაფრანა	29 გრ
17.	ქვატეხია ფხიჭა	20,66 გრ	35.	კოჭა, ჯინჯაფილა, ზანჯაფილა	29 გრ
18.	ღვიძლა	20,66 გრ	36.	დარიჩინის ხე	29 გრ[3]

მითრიდატუმის რეცეპტის მოხმობას ის აზრი აქვს, რომ, როგორც მედეას შემთხვევაში იყო, ნიჭიერ, განსაკუთრებული უნარებით დაჯილდოებულ ადამიანთა საქმიანობის მიღმა დავინახოთ ქართველი ტომების მიერ ბუნების შესაძლებლობების იმდაგვარი გააზრება-გამოყენება, რამაც ბევრი რამ შესძინა მედიცინას ზოგადად და კონკრეტულად ფარმაკოლოგიასა და ტოქსიკოლოგიას კოსმეტოლოგიისა და, ბოლოს, გრიმის, აგრეთვე მაკიაჟის ხელოვნების განვითარების თვალსაზრისით. არც ის არის შემთხვევითი, რომ თავად მედიცინის სახელწოდებაც მედეას სახელს უკავშირდება.

დასასრულს, ზემოთქმულიდან გამომდინარე, მინდა აღვნიშნო, რომ ევროპული და, ზოგადად, საკაცობრიო ცივილიზაციის სამედიცინო თვალსაზრისით წინსვლასა და გამდიდრებაში პროტოქართველურ და ქართველურ ტომებს სოლიდური წვლილი აქვთ შეტანილი.

არის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ყურადღებას იქცევს: საყოველთოდ ცნობილია ქართული მუსიკალური და მასთან განუყრელად დაკავშირებული ქორეოგრაფიული ხელოვნება. მრავალხმიანობა და რიტმულ-ტემპერამენტული ცეკვები ქართველთა ეროვნული თვითგამოხატვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმას წარმოადგენდა ათასწლეულების მანძილზე და ახლაც იგივე დანიშნულება აქვს. ამან ერთ, ჩემი აზრით, მეტად საინტერესო ჰიპოთეზის შექმნას მისცა დასაბამი; ოღონდ ეს ამბავი მაშინ იღებს სათავეს, როდესაც ცნობილი ათიათასეულის სამშობლოში დაბრუნებისას ბერძენმა მეომრებმა ქართველ ტომთა ტერიტორიაზე გაიარეს, ხოლო ქსენოფონტემ „ანაბაზისში“ აღწერა ის, რაც იქ ბერძნებმა ნახეს და რამაც მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან ქართველი ტომები, კერძოდ კი მოსინიკები, სიმღერასა და ცეკვას მიმართავდნენ ყოფისა თუ ბრძოლის ყოველ შესაფერის თუ, ბერძენთა თვალსაზრისით, შეუფერებელ სიტუაციაში. მოვიტან რამდენიმე ციტატას „ანაბაზისიდან“: „როცა [დაირაზმნენ], ერთ-ერთმა მათგანმა სიმღერა წამოიწყო, დანარჩენებმა [სიმღერის] რიტმს ფეხი აუწყეს და გაემართნენ...

მაშინ ისინი შეტრიალდნენ და წავიდნენ; [გზადაგზა] თავებს ჭრიდნენ მოკლულებს და [მოკვეთილ თავებს] უჩვენებდნენ ელინებს და თავის მტრებს და თანაც რაღაც ჰანგზე როკავდნენ და მღეროდნენ“.

ბერძნები გაუოცებია მოსინიკების მიერ ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული რელიგიური მისტერიის ნახვას, რომლის შემადგენელი ნაწილი იყო კოიტუსის ინსცენირება, რა დროსაც ისინი „თავისთავს ელაპარაკებოდნენ, თავისთვის იცინოდნენ, და მოჰყვებოდნენ როკვას, სადაც მოუხდებოდათ, თითქოს ამით სხვებთან თავს იჩენდნენ“[1].

1 იხ.: თეიმურაზ მიქელაძე, „ქსენოფონტეს „ანაბაზისი“, თბილისი, 1967 წ., გვ. 100-106.

როგორც ხედავთ, მოსინიკები მღეროდნენ ლაშქრობისას, მღეროდნენ ბრძოლისას და მაშინაც, როცა რიტუალურ ცეკვას ასრულებდნენ; ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული მისტერიის წარმოდგენისას, საზოგადოებაზე ზემოქმედების მიზნით, საგანგებოდ როკავდნენ. ბერძნებს ქსენოფონტემდეც ბევრად ადრე ჰქონდათ შეხება მოსინიკებთან და მათი ეს განსაკუთრებული მუსიკალურობა შეუნიშნავთ და არაერთხელ აღუნიშნავთ. ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ ქართველური ტომის სახელი დაერქვა მათ მიერვე შექმნილ თეთრ ლითონს – თითბერს. ამ ფაქტმა უბიძგა ისტორიკოს მარინე ცინცაბაძეს, გამოეთქვა საინტერესო ჰიპოთეზა: „ქართული მუსიკის უძველესობაზე ლაპარაკობს ბერძენი ქსენოფონტე (ძვ.წ. VI ს.) „ანაბაზისში“, ქართველი ტომის – „მოსინიკების“ უჩვეულო სიმღერა-გალობისა და მაგიური როკვის შესახებ, რომელსაც ისინი ასრულებდნენ შრომისა და ბრძოლის წინ. აღნიშნული ფაქტობრივი მასალა ლაპარაკობს ძველ კოლხეთში საწესჩვეულებო სიმღერების არსებობაზე და მუსიკის ტრადიციის დიდი ხნის ისტორიის შესახებ, რაც თვითმყოფადობის კიდევ ერთი ნიშანია. ამ მხრივ დავუკვირდეთ ტერმინ „მუსიკის“ და ქართველი ტომის „მოსინიკების“ სახელწოდებათა შორის მსგავსებას, რომელიც ამდაგვარად შეიძლება დავინახოთ: მოსი-ნი-კა და სახელწოდება „მუ-სი-კა“. ქართულ სამყაროში უძველეს წარმართულ სიმღერა-გალობის ტრადიციაზე ლაპარაკობს ასევე ძვ.წ. I ათასწლეულში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, რომელიც მიგვითითებს მუსიკის საკმაოდ დიდი ხნის ჩამოყალიბებული ტრადიციის არსებობაზე, კერძოდ, უფლისციხის განათხარში აღმოჩენილ იქნა მუსიკოს-დამკვრელის ქანდაკება, რომელსაც ხელში უჭირავს ხუთძალიანი ქნარი; ასევე არებობს სოფელ ხაიშის განათხარში აღმოჩენილი, ოქროსაგან დამზადებული, რთული კომპოზიციისაგან შედგენილი, მუსიკოსის მინიატურული ქანდაკება. როგორც ჩანს, კოლხ-პელასგებმა საბერძნეთში ჩაიტანეს სიმღერა-გალობის ტრადიცია. ძველბერძნულ წყაროებში, დაახლოებით ძვ.წ. IX საუკუნისათვის, ლაპარაკია კოლხ-პელასგთა მიერ პელასგიაში (პელოპონესში), ანუ კონტინენტურ საბერძნეთში მათი სახელობის მგოსან კოლხი ლიმნოსის ჯგუფის წევრების მიერ შეთხზული სიმღერებისა და მათ მიერ სიმღერების შესრულების შესახებ“[1].

დიახ, თუ თითბერს ეწოდება მოსინიკების სახელი, მაშინ, რატომ არ შეიძლება, მათი სატომო სახელისგან იყოს წარმოშობილი სახელწოდება „მუსიკა“. მით უმეტეს, რომ, როგორც ზემოთ ვნახეთ, მოსინიკები მელითონეობაზე არანაკლებ ნიჭიერებას ავლენდნენ სიმღერასა და ცეკვაში. გარდა ამისა, უდავოა, რომ მათი ურთიერთობა ბერძნებთან გაცილებით ადრე დაიწყო და, შესაბამისად, მოსინიკთა მუსიკალურობაც ბევრად ადრე გახდა ბერძნებისათვის ცნობილი, ვიდრე ქსენოფონტე ამის მხილველ-მსმენელი გახდებოდა. ასე რომ, ამ ჰიპოთეზას აქვს არათუ არებობის უფლება, არამედ, მგონი, ერთადერთი გონივრული ახსნაც არის სიტყვა „მუსიკის“ წარმოშობისა.

იმისათვის, რომ ზუსტად წარმოვიდგინოთ პროტოქართველურ ტომთა ექსპანსიის შედეგად ევროპის ხმელთაშუა ზღვისპირეთში შექმნილი კულტურული გარემოს ხასიათი, უნდა გავიაზროთ პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილის კიედვ ერთი მოსაზრება, რომელიც არგონავტების თქმულების პელასგურ წარმოშობას ეხება: „ძირითადი თემა არგონავტების თქმულებისა ხომ შემდეგია: თესალიის ქალაქ იოლკოსში იყო მეფე პელიასი. მის კარზე ცხოვრობდა მისი ძმისწული, იმ ძმის ვაჟი, რომელსაც პელიასმა სამეფო წაართვა. რათა

1 იხ.: მარინე ცინცაბაძე, „აღმოაჩინე ათასწლეულის საქართველო“, II ტ., გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2013 წ., გვ. 244.

თავიდან აეცდინა მომავალი შურისძიება, მან თავისი ძმისწული იაზონი შორეულ ქვეყანაში გადაკარგა. როდესაც იაზონი დაჭაბუკდა და სათანადო მითითებანი მიიღო მისანთაგან, იგი გაემგზავრა იოლკოსში თავისი მამის სამეფოს დასაბრუნებლად. როდესაც ის მივიდა იქ და მისი პრეტენზიები სამართლიანი აღმოჩნდა და პელიასს აღარ ჰქონდა უკანდასახევი გზა, ამავე დროს კი სამეფოს გადაბარება იაზონისათვის არ სურდა, მან ძნელად შესასრულებელი დავალება მისცა იაზონს: – ჩვენს გვარს ვალად აწევს აქედან წაღებული ოქროს საწმისის დაბრუნება, რომელიც ამჟამად კოლხეთში არის დაცულიო, და, რადგანაც მე უკვე ხანში შესული ვარ, შენ გმართებს ამ საქმის შესრულებაო. იაზონიც გაემგზავრა კოლხეთში ოქროს საწმისის მოსატანად. ეს თქმულება ერთი იმ თქმულებათაგნი იყო, რომელთაც ბერძნებში უდიდესი პოპულარობა ჰქონდა მოხვეჭილი. ამ თქმულებით ბერძნები იგონებდნენ იმ თავის დიად წარსულს, როდესაც ისინი ოქროს მფლობელნი იყვნენ, ე.ი. რომ ისინი უაღრესად დაწინაურებულნი იყვნენ და თავისი მომავლის აგებას ისინი აპირებდნენ ამ თავისი „ოქროს“ უკან დაბრუნებით, ხელახლა დაპყრობით. ეს თქმულებაც თესალიური თქმულებაა, ე.ი. იმ ტერიტორიას უკავშირდება, რომელიც ოდესღაც პელასგების სამკვიდრებელი იყო“[1].

ჩვენ ახლა უკვე ვიცით, რომ პელასგები პროტოქართველური ტომები იყვნენ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ წიაღში შექმნილი თქმულება ბერძენთა და კოლხთა ურთირთობას კი არ ასახავს, არამედ პროტოქართველურ სახელმწიფოთა შორის არსებულ წინააღმდეგობებს, ბრძოლას იმ ღირებულებებისათვის, მაშინ რომ იყო მნიშვნელოვანი. ამას ერთი ეთნიკური შემადგენლობის, ერთ ენაზე მოლაპარაკე და ერთი კულტურის მქონე ხალხის მითების საშუალებით გადმოცემული ისტორია შეიძლება ეწოდოს; ეს ისტორია აღსავსეა შემოქმედებითი და საბრძოლო შემართების ფაქტებით, რადგან ის ხალხი, ვის ისტორიაზეც არის საუბარი, გამოირჩეოდა გასოცარი სიცოცხლისუნარიანობით: ერთი ქვეყნიდან, სადაც დიდი ცივილიზაცია შექმნეს, დამარცხებულნი და დევნილნი, მიაშურებდნენ მეორე ქვეყანას და ახლა იქ ქმნიდნენ დიდებულ ცივილიზაციას. მათი ასეთი უნარის თაობაზე მოგვითხრობენ როგორც მათი შემოქმედების ნაშთები, ასევე წერილობითი ცნობები: „ლოგოგრაფოსი ჰელენიკე ლესბოსელი ანუ მიტილენელი (V საუკ. ძვ.წ.); თხზულებაში „ფორონიდი“, რომელშიც არგოსის ისტორიაა გადმოცემული, საბერძნეთის მკვიდრ მოსახლეობად თვლიდა პელასგებს, რომლებიც ელინებმა აქედან გააძევეს, პელასგთა ნაწილი ტირსენიაში (resp. იტალიაში) გადაიხვეწა და ტირენების სახელი მიიღო;

> ჰელენიკე ლესბოსელი ამბობს, რომ უწინ პელასგებად წოდებულმა ტირენებმა ის სახელი, რომელიც ახლა აქვთ, მიიღეს მას შემდეგ, რაც იტალიაში დასახლდნენ. ...[ნანას] მეფობის დროს ელინების მიერ პელასგები განდევნილ იქნენ: მაშინ მდინარე სპინეტთან, იონიის უბეში, მათ დატოვეს ხომალდები და აიღეს ქვეყნის შუაგულში ქალაქი კროტონი; მერე აქედან დაიძრნენ და დაასახლეს ახლა ეგრეთ წოდებული ტირსენია“[2].

1 იხ.: ს. ყაუხჩიშვილი, „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“, ტ. I, თბილისი, 1950 წ., გვ. 35-36.

2 იხ.: აკაკი ურუშაძე, „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებებში“, თბილისი, 1964 წ., გვ. 109.

ასე დაიკავეს პელასგებმა ცენტრალური იტალია, ოღონდ ეს, როგორც ვიცით, დასავლეთში მათი ექსპანსიის ერთადერთი ობიექტი არ ყოფილა, ის ერთი მრავალთაგანი იყო. სხვა ასეთი ტერიტორია კუნძული სარდინია გახლავთ, სადაც არსებულ მრავალხმიან სიმღერასა და ქართულ პოლიფონიას შორის მუსიკათმცოდნეები სიახლოვის მრავალ ნიშანს ნახულობენ; მაგრამ არის კიდევ ორი საკითხი, რომლებიც ყურადღებას ითხოვს: პირველია გასაოცარი მსგავსება ქართულ და სარდინიულ მეგალითურ ნაგებობათა შორის, რის გამოც ბუნებრივად ჩნდება აზრი, რომ ეს ნაგებობანი ერთი და იმავე კულტურის მქონე ხალხის ქვითშემოქმედება შეიძლება იყოს; მეორეა საფეიქრო საქმე და ისიც მნიშვნელოვნად წარმოაჩენს პროტოქართველური ტომების მიერ წარმოებულ „კულტურათა დიალოგს“. „ისტორიის მამა“ წერდა: „კოლხურ სელს ელინები სარდონულს უწოდებენ, ეგვიპტიდან შემოსულს კი – ეგვიპტურს“[1].

ამის წაკითხვისას, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, რატომ უწოდებენ ელინები კოლხურ სელს სარდონულს. პასუხი ასეთი შეიძლება იყოს: დიდი პასიონარული ბიძგის შემდეგ ამოძრავებული პროტოქართველური ტომების ერთი ნაწილი კუნძულ სარდინიაზე მოხვდა. მათ იქ სელის წარმოების ტექნოლოგია დაამკვიდრეს, ხოლო საბერძნეთის ტერიტორიაზე გვიან გამოჩენილი ელინები, რომელთაც აშკარად აგრესიული დამოკიდებულება ჰქონდათ პელასგებთან და ეგეიდის აღმოსავლეთით მცხოვრებ მათ მონათესავე ტომებთან (გავიხსენოთ „ილიადაში“ აღწერილი ბერძნები და მათი მოკავშირენი, ტროელები და ამათი მოკავშირეები), სელის პროდუქტს პირველად სარდინიელებისაგან უფრო ადრე გაეცნობოდნენ, ვიდრე კოლხთაგან, სელის წარმოების ტექნოლოგია კი, სავარაუდოდ, კოლხებსა და სარდინიელებს ერთნაირი ჰქონდათ; ამიტომ იყო, რომ, როდესაც ელინები კოლხებს დაუახლოვდნენ და იქ ისეთივე სელის ნაწარმი იხილეს, სარდინიელებისა რომ იყო, უწოდეს კიდეც მას სარდონული და ამის შემდეგ კოლხურ სელს სარდონულად მოიხსენიებდნენ, როგორც ამის შესახებ ჰეროდოტე იტყობინება.

დასასრულს, თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, მივიღებთ ასეთ შედეგს: კრეტის მინოსური სახელმწიფოს ბრწყინვალე კულტურა ატარებდა ბევრ იმ ღირებულებას, რაც მოგვიანებით ეგეიდაში შემოჭრილმა ბერძნულმა ტომებმა გაითავისეს და რაც მათი კულტურის საფუძველი გახდა. ეს შეეხება მითებს, რელიგიას, სპორტსა და თეატრსაც; ისეთი წმინდა ადგილის შექმნასაც, როგორიც არის ათენის აკროპოლისი, რომლის საფუძველშიც პელასგების მიერ ჩაწყობილი ლოდები ძევს... ამას კიდევ უნდა დავუმატოთ პელასგური დამწერლობა, იეროგლიფურიცა და A-ხაზოვანიც, რომელიც, მეცნიერთა აზრით, სავარაუდოდ, ფინიკიური დამწერლობის პროტოტიპს წარმოადგენს. თუ დავუკვირდებით ეგეიდელი პელასგების კულტურასა და მათ მიერ ხმელთაშუა ზღვის აუზის ფარგლებში წარმოებულ კულტურათა დიალოგს, დავინახავთ, რომ მათ სხვა ხალხებთან ინტენსიური ურთიერთობისა და საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენის გზით შეძლეს შეექმნათ სრულიად ორიგინალური კულტურა, რომელიც შეიცავდა მრავალ იმ ნიშან-თვისებას, რაც მოგვიანებით ევროპული კულტურის საფუძველი გახდა.

1 იხ.: ჰეროდოტე, „ისტორია“, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1975 წ., ტ. I, გვ. 156.

დ ა ს კ ვ ნ ა

„დგება დღეები, როცა მრავალი საუკუნის შემდეგ ოკეანე გადაგვიშლის თავის საიდუმლოს და უზარმაზარი მიწა გამოეცხადება მზერას ჩვენსას, და ახალი ტიფისი აღმოაჩენს ზღვებს, და თულე აღარ იქნება კიდე მიწისა“.

სენეკა

დიდი რომაელი მოაზროვნის ტრაგედია „მედეადან“ მოხმობილი ეს მისტიკური წინასწარმეტყველება არაფერს ისე ორგანულად არ მიესადაგება, როგორც ატლანტისის საიდუმლოს ამოხსნას.

თულე აღრ არის მიწის კიდე და აღარც ატლანტის ოკეანეა ის ადგილი, სადაც ატლანტისია საძებნი. მეცნიერთა ძალისხმევით ლეგენდა რეალობად იქცა!..

პლატონის დიალოგებში, „ტიმეოსსა“ და „კრიტიაში“, მოხსენიებული კუნძული ატლანტისი და ატლანტისელები 2400 წლის განმავლობაში ამოუხსნელ გამოცანად რჩებოდა. ავტორის მიერ მითითებულ ადგილზე, ანუ ატლანტის ოკეანეში, ვერავინ ნახა რაიმე მინიშნება „სიდიდით ლიბიაზე და აზიაზე აღმატებული კუნძულის“ არსებობისა და ვერც იმ ხალხის რაიმე კვალი, ვისაც დაუპყრია „ლიბია, თვით ეგვიპტემდე, და ევროპა, ვიდრე ტირენიამდე“. ნათქვამის დამადასტურებელი გეოგრაფიული არგუმენტისა და ადამიანის შემოქმედების რაიმე არტეფაქტის არარსებობის გამო ჩნდებოდა უამრავი კითხვა. საქმეს ვერ უშველა კუნძულის სავარაუდო მდებარეობის მახლობლად ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ. ვერც კანარის კუნძულების მცხოვრები გუანჩებისა და ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში დღესაც მომთაბარე ბერბერების ატლანტისელთა შთამომავლებად გამოცხადებამ და მათი კულტურის ინტენსიურად შესწავლამ გამოიღო შედეგი. ჭეშმარიტებასთან ახლოს იყვნენ მხოლოდ ის ატლანტოლოგები, რომელნიც ბასკებსა და ეტრუსკებს ატლანტისელთა მემკვიდრეებად მიიჩნევდნენ, მაგრამ, როგორც ვნახეთ, სიმართლის დადგენაში მათ ხელს უშლიდა თავად პლატონი, კერძოდ, მისი ცნობა ატლანტისის ადგილმდებარეობის შესახებ, რადგან მტკიცება ბასკებისა და ეტრუსკების ევროპაში დასავლეთიდან მოსვლის თაობაზე საღ აზრს ეწინააღმდეგებოდა და საკითხიც გადაუჭრელი რჩებოდა. იმის გარკვევამ, რომ ბევრი ადგილი, რომელიც მითოლოგიურ გმირთა სამოქმედო არეს წარმოადგენდა, თავდაპირველად ეგეიდაში მდებარეობდა. მაგალითად, ჰერაკლეს სვეტებად ძველად პელოპონესის სამხრეთით მდებარე კონცხები ტენარესი და მელეიასი იწოდებოდა. დროის გასვლის შემდეგ ბერძნებმა ხმელთაშუა ზღვის უკიდურეს დასავლეთ კიდეს რომ მიაღწიეს, გაფართოვდა მათი გეოგრაფიული თვალსაწიერი, იქ, პელოპონესიდან შორს გადაიტანეს ტოპონიმი „ჰერაკლეს სვეტები“ და დღევანდელი ჰიბრალტარის სრუტის ორივე მხარეს მდებარე კლდეებს დაარქვეს; გასაკვირი ამაში არაფერია, ანტიკურ სამყაროში ეს მიღებული პრაქტიკა იყო: ასე აღმოჩნდა კავკასია ინდოეთში. მიზეზი ამ გეოგრაფიული „ფენომენისა“ იყო მაამებელთა მცდელობა, ალექსანდრე მაკედონელის საარაკო გმირობისათვის „ღირსეული“ ფინალი შორეულ ინდოეთში „მოეწყოთ“ და არა ახლოს მდებარე კავკასიაში...

შემდეგ მკვლევრებმა გააცნობიერეს, რომ რამდენიც არ უნდა ეძებნათ, ატლანტის ოკეანეში ატლანტისის კვალს ვერ მიაგნებდნენ, ამიტომ ატლანტოლოგთა ნაწილმა პლატონის მიერ აღწერილი კუნძულის ძებნა XIX საუკუნიდან ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნახევარში, კერძოდ, ეგეიდაში დაიწყო.

შეხედულებათა ასეთ შემოტრიალებას ხელი შუწყო ეგეიდაში მიმდინარე არქეოლოგიურმა გათხრებმა და მასთან დაკავშირებულმა აღმოჩენებმა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო არტურ ევანსის მიერ კუნძულ კრეტაზე წარმოებული გათხრები, რასაც მინოსური ცივილიზაციის აღმოჩენა მოჰყვა. საბოლოოდ, უკვე XX საუკუნის შუა წლებში, გამოითქვა მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ატლანტისი კრეტის მინოსური სახელმწიფოს ნაწილი იყო, მდებარეობდა კუნძულ სანტორინზე და დაიღუპა ამავე კუნძულზე მდებარე ვულკანის ამოფრქვევის შედეგად. ეს შეხედულება 1938 წელს გამოთქვა არქეოლოგმა სპირიდონ მარინატოსმა. მოგვიანებით მკვლევრებმა ანგელოს გალანოპულოსმა და ედვარდ ბეკონმა ეს ნააზრევი საბოლოოდ დაასაბუთეს და დაამკვიდრეს ატლანტოლოგიაში. ოღონდ გადაუჭრელი რჩებოდა მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი: ვინ იყვნენ და რა ენაზე მეტყველებდნენ ატლანტისელები.

ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ავტორები მიუთითებდნენ იმის შესახებ, რომ ეგეიდაში მცხოვრებ ბერძნებამდელ მოსახლეობას პელასგები წარმოადგენდნენ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ კრეტის მინოსური სახელმწიფო ბერძნული ქვეყანა არ ყოფილა! ამ მოსაზრებას იზიარებდნენ არა მხოლოდ საბერძნეთის ისტორიის მკვლევრები, არამედ ატლანტოლოგთა გარკვეული ჯგუფიც. ოღონდ, ასეთი დასკვნის შემდეგ ჩნდებოდა სხვა კითხვა: ვინ იყო წინარებერძნული მოსახლეობა?!

მეცნიერთა საკმაოდ ავტორიტეტულმა ჯგუფმა ამ კითხვას ბერძნებამდელი მოსახლეობის ენისა და კავკასიურ ენათა ნათესაობის ჰიპოთეზით უპასუხა. ეს მეცნიერები არიან: ვილჰელმ ჰუმბოლდტი, პაულ კრეჩმერი, ანტონ მეიე, ედუარდ შვიცერი, ფრიც შახერმაიერი, ედვარდ ფურნიე. მსგავსი აზრი გამოთქვეს ქართველმა მეცნიერებმა: სიმონ ყაუხჩიშვილმა, არნოლდ ჩიქობავამ, აკაკი ურუშაძემ, თამაზ გამყრელიძემ, რისმაგ გორდეზიანმა. უფრო შორს წავიდა ჰერბერტ ძებიში და გამოაცხადა, რომ წინარებერძნული ენა, ანუ „პელასგური ქართველურ ენათა დედაა“ და რომ „ფესტოს დისკოს“ ენა პროტოქართველური – კოლხურია“.

ამ მხრივ წარმართული კვლევა-ძიება მაშინ გასცდა ჰიპოთეზის ფარგლებს, როდესაც ახალგაზრდა ქართველმა მეცნიერმა გია კვაშილავამ ჯერ 2006 წელს შეძლო „ფესტოს დისკოს“ იეროგლიფური წარწერის გაშიფვრა, 2011 წელს კი A-ხაზოვანი დამწერლობა წაიკითხა და ჰიპოთეზა მეცნიერულ ფაქტად აქცია. დღეს ორივე ეს დამწერლობა უკვე წაკითხულია და დადასტურდა, რომ მათი ენა წინარექართველურია. კონტინენტური და კუნძულოვანი საბერძნეთის ბერძნებამდელი მოსახლეობა, პელასგები, პროტოქართველური ტომები იყვნენ და მათ შექმნეს კრეტის მინოსური სახელმწიფო, რომელიც პლატონისეული ატლანტისის პროტოტიპია...

ატლანტოლოგები ატლანტისს მსოფლიო ცივილიზაციის კერად მიიჩნევდნენ. რეალურად, პელასგთა კრეტის მინოსური სახელმწიფო შეიძლება ევროპული ცივილიზაციის დასაწყისად მივიჩნიოთ, რადგან იმ ღირებულებათა დიდი ნაწილი, ევროპულს რომ დაედო საფუძვლად, კრეტიდან იღებს სათავეს. თუ საკითხს უფრო მასშტაბურად შევხედავთ, დავინახავთ, რომ ევროპული კულტურის ფორმირების პროცესის საწყის ეტაპზე დიდი როლი უდავოდ შეასრულეს პროტოქართველურმა ტომებმა, რომლებმაც შექმნეს კიდევაც კრეტის მინოსური სახელმწიფო ანუ ატლანტისი.

წიგნში მოხსენიებულ ფილოსოფოსთა, მითოლოგიურ პერსონაჟთა, მეცნიერთა და ატლანტოლოგთა ჩვენს მიერ მოპოვებული გამოსახულებები



პლატონი

ათენის სკოლა (რაფაელი); პლატონს უჭირავს თავისი დიალოგი „ტიმეოსი“



სოლონი



სოკრატე



არისტოტელე



ჰომეროსი



ჰესიოდე



პლუტარქე

დევკალიონი და პირა

პრომეთე



ჰელიოსი

ფაეტონი

ათენა

ზევსი

ნეითი

გეა

ჰეფესტო

ერიხთონიუსი

ჰერაკლე

ტროპაიონის აღმართვა

Kekrops (Vasenbild in Palermo).

კეკროპი კრონოსი და რეა

პოსეიდონი

ატლანტისის წრიული არხები



პერიკლე

ოდისევსი

ფსამეტიქოსი



ლევ გუმილიოვი

ზოდიაქო

კიკნოსი

ჰერმესი

ოგიგე

რევაზ გაჩეჩილაძე



პროკლე

მარცელინუსი

კლავდიუს ელიანუსი

დიოდორე სიცილიელი

კენტავრი ქირონი

ფარაონი ნეხო

ატლანტი

პერსევსი და მედუზას თავი

ალ. წერეთელი

ბრანდანის მოგზაურობა

მარტინ ბეჰაიმის გლობუსი

ქრისტეფორე კოლუმბი

ერიკ წითური

მარკო პოლო

ბართოლომეო დაიში

ამერიგო ვესპუჩი

კარტოგრაფი ორტელიუსი

ფრენსის ბეკონი

ათანასე კირხერი



ათანასე კირხერის რუკა ატლანტისის გამოსახულებით

დე ტურნეფორი

ლეო ფრობენიუსი

იგნატიუს დონელი

კეცალკოატლი

ჯორჯ ვაიიანი

ერნანდო კორტესი



კორნელიუს ტაციტუსი

ტურ ჰეიერდალი

ფრანცისკო პისარო

ალფრედ ვეგენერი

პანგეას დაშლის
პროცესის დასაწყისი

ნიკოლოზ ჟიროვი

იურგენ შპანუტი

აბრამ ნოროვი

არტურ ევანსი

კ. კერამი



სპირიდონ მარინატოსი

ანგელოს გალანოპულოსი

სტრაბონი

სიმონ ყაუხჩიშვილი



ოტო მუკის რუკა

გილგამეში

კუნძული სანტორინი

მოსე

ფრენკ ჯოზეფი

ჯეიმს ჩედვიკი

აქილევსი

კარიატიდები

რისმაგ გორდეზიანი

ოთარ ჯაფარიძე

ზურაბ დვალი

გორდონ ჰიუსტონი

გია კვაშილავა

საერთაშორისო კონფერენციის მონაწილენი, ლონდონი 2008 წ.

UNIVERSITY OF CAMBRIDGE

კემბრიჯის საერთაშორისო კონფერენციის მონაწილები, დიდი ბრიტანეთი 2017 წ.

„კავკასიური მოდგმის“ განსახლების არეალი (მონიშნულია მუქად), ძვ.წ. VI-I ათასწლეულის I ნახევარი (?)

რუკა შედგენილია: ვ. ჰუმბოლდტის, ფ. კლუგეს, ფ. ჰომელის, ჰ. შუხარდტის, ა. ტრომბეტის, ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, ფ. შახერმაირის, არნ. ჩიქობავას, ნ. ბერძენიშვილის, ს. ჯანაშიას, გ. მელიქიშვილის, ზ. გამსახურდიას, ჰ. ცებიშისა და სხვათა შრომების მიხედვით.

ATLANTIPEDIA

Tony O'Connell

Foreword by Dr. Anton Mifsud

The Phaistos Disk

Mark Newbrook, who has studied linguistics, gave a good overview of the various attempts to decipher the disk to the 2008 Phaistos Disk Conference. An even more extensive site (currently suspended) was offered by the Georgian mathematician Gia Kvashilava that includes a very comprehensive bibliography. Kvashilava offers his own interpretation based on the Colchian (Proto-Kartvelian) language printed in the unique Colchian syllabo-logogramic Goldscript. His paper is quite technical and more suited to advanced students of the subject.

Published May 30, 2010

ენციკლოპედია „ატლანტოპედიაში“ შესული ინფორმაცია გია კვაშილავაზე, როგორც ფესტოს დისკოსა და A-ხაზოვანი დამწერლობის ამომკითხველზე

მარინე ცინცაბაძე

მედეა

კირკე

ნიკო მარი



არტურ მორტონი

ბ. ბოგაევსკი

მინოსი

არიადნე ძაფის გორგალს აძლევს თეზევსს

დედალოსი და იკაროსი

მინოტავრი

თეზევსი კლავს მინოტავრს

კნოსოსის სასახლის გეგმა



თრიალეთის ვერცხლის თასი

აკრობატი ხარზე

მეფე-ქურუმი

ქალღმერთი გველებით

სატახტო დარბაზი

„პარიზელი ქალი“

„ცისფერი ქალბატონები“



დელფინებიანი ოთახი

ბატები

კამარისში ნაპოვნი კრეტული ვაზები

სარჩევი

შ ე ს ა ვ ა ლ ი 3

თავი I 4

რას წერს პლატონი ატლანტისის შესახებ 4

თავი II 22

რა ფარული აზრი ძევს დიალოგებში „ტიმეოსი“ და „კრიტია“ 22

თავი III 46

სად მდებარეობდა კუნძული ატლანტისი 46

თავი IV 88

როდის და რის შედეგად დაიღუპა ატლანტისი 88

თავი V 111

ვინ იყო ის ხალხი, ვისაც ატლანტისელებს უწოდებდნენ და 111

რა ენაზე მეტყველებდნენ ისინი 111

თავი VI 148

როგორი იყო ატლანტისელთა კულტურა და მათ მიერ წარმოებული „კულტურათა დალოგი“ 148

დ ა ს კ ვ ნ ა 194